ნიკოლოზ ჯოგიდავა

3000 შეშხული ბაბან-სახელი

1-2

თბილისი 2000

წინამდებარე ნაშრომში ავტორის მრავალწლიანი რუდუნების შედეგია. იგი შეიცავს ანბანის რიგით დალაგებულ, სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ კოლხური წარმოშობის გვარსახელთა ანალიზის მცდელობას. ავტორის მოსაზრებები არგუმენტირებულია კოლოსალური რაოდენობის უძველესი საკლესიო და ისტორიული დოკუმენტებით, თანამედროვე მეცნიერთა გამოკვლევებით, ზეპირი გადმოცემებით...

წიგნში თავმოყრილი უაღრესად მნიშვნელოვანი ზღვა მასალა ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს ამ საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართ, გარკვეულწილად დააკმაყოფილებს მკითხველთა ფართო წრის ცნობისმოყვარეობასაც.



რედაქტორები: ნაპოლეონ ლემონჯავა,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ბადრი ცხადაძე,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

რეცენზენტი: თეიმურაზ მიქირუანი,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ქართული სახელებისა და გვარების შესახებ
შეიძლება მთელი ტომები დაიწეროს
და მაინც არ იქნება ამოწურული
მთელი სიღრმე-სიგანით. ეს საინტერესო
უბანია ქართული ენისა, სადაც
ქართველი ერის ესა თუ ის მხარეა ასახული.

აკადემიკოსი აკაკი შანიძე

უკანასკნელ წლებში ქართული მეცნიერული კვლევის საგანი გახდა ონომასტიკა, ანთროპონომია და ტოპონიმიკა.

ანთროპონიმებს — ადამიანთა საკუთარ სახელებსა და გვარებს (პატრონიმებს) მიეძღვნა: ალ. ღლონტის ,,ქართველური საკუთარი სახელები", ილ. მაისურაძის ,,ქართული გვარ-სახელები", რ. თოფჩიშვილის ,,ლეჩხუმური გვარ-სახელები", პალ (პირთა ანოტირებული ლექსიკონი), ზ. ჭუმბურიძის ,,დედაენა ქართული", ი. გაგულაშვილის ,,ქართული გვარები", ა. სილაგაძისა და ა.თოთაძის ,,გვარ-სახელები საქართველოში" და ა.შ.

აღნიშნულ შრომებში განხილულია ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის გვარ-სახელები, ხოლო დასავლეთ საქართველოს — ისტორიული კოლხეთის მცხოვრებთა გვარ-სახელები დღემდე სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა. ჩვენ კი ვიკისრეთ ეს ტვირთი.

1996 წ. გამოვიდა წიგნის — ,,კოლხური (მეგრული) გვარ-სახელების" I ტომი. მოკლე ხანში იგი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, რაც ამ თემის მიმართ მკითხველის ინტერესზე მიგვანიშნებს. შემდგომი კვლევით მოძიებული მასალა, 2000-მდე ერთეული, ცალკე ტომად შეიკრა. მიზანშეწონილად ჩავთვალე ორივე ტომი ერთ წიგნად გამომეცა.

ორივე წიგნი დამაწერინა აფხაზ-აფსუა სეპარატისტების მიერ გაჩაღებულმა კონფლიქტმა, რომელსაც ხალხმა სამართლიანად უწოდა ძმათამკვლელი ომი.

ქართველები და აფხაზები წარმოშობით ძმები რომ არიან, ამაზე პასუხს იძლევა ჩემი ორივე წიგნი, განსაკუთრებით კი — მეორე.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ადამიანთა სახელები, მათი გვარები. მეგრული და აფხაზური გვარების ღრმად შესწავლამ, ერთხმოვანებამ წიგნის სათაურის შეცვლამდე მიმიყვანა და ვუწოდე 3000 მეგრული გვარ-სახელი, რაც პირობითია და 4000-ზე მეტიც იქნება, ვინაიდან წიგნში შესულია მხოლოდ ძირითადი

გვარები, ხოლო ნაწარმოები მხოლოდ მოხსენიებული გვაქვს. აქვე შევნიშნავ, რომ მეგრულად ვთქვი ყველა გვარსახელს, რომელსაც ეძებნება ქართველურ-მეგრული ეტიმოლოგია. ეს კი ბევრია სვანურ, განსაკუთრებით კი, აფხაზურ გვარსახელებში, რაც ბუნებრივია.

ისმის კითხვა, რა არის საერთო ამ ორ ხალხს შორის? — პირველ რიგში კოლხურობა. ისტორიულად კოლხეთი — „აფხაზეთი, დასავლეთ-საქართველოს ზღვისპირა მხარე" (ვახუშტი), იყო ამ ხალხის საერთო საცხოვრებელი ტერიტორია, კოლხურია მათი ეთნოგრაფიული ზნე-ჩვეულებანი, კოლხურია მათი გვარების ძირით ფუძე პრეფიქს-სუფიქსი.

მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ცოდნა იმისა, თუ რამ განაპირობა წიგნში შესული გვარ-სახელების დიდი რაოდენობა:

პირველი — როდესაც ორივე ხალხის გვარსახელები ალფავიტის მიხედვით დავალაგე, შევამჩნიე, რომ აფხაზურად აღიარებული ა წინაკიდურიანი და მეგრული გვარები ტყუპი და-ძმებივით დაემსგავსნენ ერთმანეთს. აი ნაწილი მათგანი:

მეგრული	აფხაზური
ბულია	აბულია
ბუხია	აბუხბა
შილავა	აბშილავა
ლანდია	ალანდია
აფაქელია	აფაქია და ა.შ.

ჩვენ ასეთ გვარებს სინონიმურს დავარქმევდით.

გარდა სინონიმურისა, არის გვარები, რომელნიც ბგერების გადაადგილებით ან შეცვლით ცოტათი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ მათი ნათესაობა აშკარად ჩანს, მაგ.: არდბელავა — არდბელაა, ბებიავა —ბებია, ბიგვავა — ბიგუა, გაბელია — გაბლია, გოგუა — გაგუა, ვარდია — ვრდანია და სხვ. ეს პირველი და ყველაზე მრავალრიცხოვანია მეგრულ-აფხაზურ გვარსახელებში;

მეორე — ასევე საკმაოდ ბევრია ერთი და იმავე ეტიმოლოგიის (წარმოშობის), სხვადასხვა სუფიქსიანი გვარები, რომლებიც საბუთებში ცალ-ცალკეა რეგისტრირებული: კვირკვაია, კვირკვია, კვირკელია, კვირკველია, კვირკვინია; ხანგავა, ხანაგუა, ხანწკია, ხანძია, ხანჯარია, ხენგავა, ხინგავა...

ამრიგად, მსგავს გვარსახელთა ასეთი მრავალფეროვნება განაპირობა ერთი და იმავე ძირითადი გვარიდან წარმოებული გვარების რამდენიმე ვარიანტით რეგისტრირებამ, რაც სხვადასხვა რეგიონის რეგისტრატორი მღვდლების დამსახურების შედეგია;

მესამე — ესაა კოლხეთის თაკარა მზე, კაშკაშა მთვარე და მოციმციმე ვარსკლავები, პონტოს ზღვის თბილი ჰავა, კოლხური კულტურა, კოლხური ღვინო, ზღაპრული სილამაზის კოლხური ქალები...

ასეთი ქვეყანა დამპყრობთა მუდმივი ქიშპისა და თარეშის არეალი იყო. ვინ არ დაპარპაშებდა კოლხეთში? — ბერძნები, თურქები, რუსები... ყოველი

მათგანი თავიანთი ბინძური ჩექმებითა და ხელების ფათურით ხშირად გამოუსწორებელ უარყოფით შედეგს ტოვებდა. მხოლოდ რუსული ცარიზმის წარმომადგენელთა საქციელი იკმარებდა ამის საილუსტრაციოდ.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის გაბატონების შემდეგ ეკლესიებში ძირითადად თავიანთი რუსი მსახურები დააყენეს, წირვა-ლოცვები ადგილობრივი მოსახლეობისათვის გაუგებარ – რუსულ ენაზე ტარდებოდა, დაბადების, ქორწინებისა და გარდაცვალების ჟურნალებში გვარსახელების რეგისტრაცია რუსულად მიმდინარეობდა. შედეგად რუსულში ქართული: თ, ქ, ღ, ყ, ძ, ჭ და ჯ ასოების უქონლობის გამო, რუსი მღვდლები ქართული გვარების ჩაწერას ქართული ბგერების რუსულთან მიახლოებული ასოებით ცვლიდნენ და აი შედეგიც: გვარი თათავა ჩაწერილია ტატავად, ჭიქია – ჯიკიად, ფიფია – პიპიად, ჭაჭია – ჩაჩიად და ა.შ.

წიგნში მკითხველი შეხვდება ორ და სამსუფიქსიან გვარებს: ავიაბაია, ჩაჩიბაია და სხვ. ეს აიხსნება იმით, რომ:

Абхазскии владетель Сафарбей (Георгий) Шервашидзе в своих „просительных пунктах", поданшых Александру I в 1809 году, писаль, что он вместе совсем своим народом принимает подданство российских императоров "с исповеданием прежней веры нашей, которой были предкий и наших христианами по греческому закону. (Г. А. Дзидзария. Мухаджирство", 1975г., с. 91).

შერვაშიძეთა შთამომავლობა კი მოდის ლაზური შარაშიადან, ხოლო ისინი ქართველი ქრისტიანები იყვნენ, რომელთაც ეს სარწმუნოება ბერძნებიდან ჰქონდათ მიღებული.

გვარსახელების დიდ რაოდენობას თან ახლავს სუფიქსების სიმრავლეც: ა, ვა, უა, ბა, სქირი, სქორია, სქერია... სულ 26 ერთეული.

და ბოლოს, აია – კოლხეთის ძველი სახელწოდება სუფიქსად ერთვის 200-ზე მეტ გვარსახელს, რაც სხვა ქართველური გვარსასელებისათვის დამახასიათებელი არ არის.

ვფიქრობ, სუფიქსმა აია-მ თავისი ადგილი უნდა დაიმკვიდროს ქართულ ონომასტიკაში.

მადლობას ვუძღვნი აკადემიკოს ალ. ლლონტს, პროფესორ ვალ. ზუბბაიას და პროფესორ რ. თოფჩიშვილს შრომის შექმნაში საქმიანი დახმარებისათვის.

წიგნი დაზღვეული არ იქნება შეცდომებისაგან, რისთვისაც წინასწარ ბოდიშს ვიხდი. მკითხველის ყოველგვარ შენიშვნას ავტორი გაითვალისწინებს თავის შემდგომ მუშაობაში.

ამასთან, დიდი მოკრძალებით ვთხოვ ჩემს მკითხველს, ამ ოჯის გარშემო თუ გაგაჩნიათ მასალა – გამოტოვებული გვარსახელი, ან დამატებითი ცნობები (გამოცემების სახით თუ გამოქვეყნებული შრომებიდან) მოგვაწოდოთ მისამართით: თბილისი, გამსახურდიას გამზირი 11, ბ. 57. ტელ., 33-04-62.

პატივისცემით ავტორი

აბაკელია აბაკ-ებრა — მტკვერი (ქუთ. საუბრ. IV — 1997). მეტსახელი. შესაძლოა გვარი მიღებული იყოს საკუთარი სახელისაგან: ამბაკო ამბაკელა, ბაბაკელა.

ა. თამარ გრიგოლის ას. — (1905, დ. ხონი, — 1953. თბილისი) ქართვ. მოქანდაკე, გრაფიკოსი და თეატრ. მხატვარი, საქ სსრ დამსახურებული ხელოვანი, დამსახურებული მოღვაწე (1942). (ქსე).

ა. იოსებ კონსტანტინეს ძე — (1888, ქუთაისი, — 1938), ქართვ. ფთიზიატორი, მედ. მეცნ. დოქტორი (1924), პროფესორი (1930) (ქსე).

ამჟამად აბაკელიას გვარი 651 სულს ითვალის (ზუგდიდი — 146, თბილისი — 116, სენაკი — 55). (გვარსახ. საქ-ში, გვ. 15).

აბაშია აბაშია, გადმოცემით, გვარის მამამთავარი თურმე ადგილით „აბაშია“, ანუ ეთიოპიიდან მოსულა არაბი სარდლის მურვან ყრუს ლაშქართან ერთად... გაქცევისას იმ „მხედრობათაგან“ მრავალი ტყვედ გადარჩენილა, მრავალი თავისისა ნებითაც“. ამ უკანასკნელთა შორის ყოფილა „ყმა ვინმე ბეგირა შთამომავლობისა“ (სოსელია, 115-116. შენ. 13); აბაშია, აბაშა, სააბაშიო — ახუთი (ჩხორ. რ.), ჭალე, ნოქალაქევი, ზანათი, სააბაშიო (აბაშ. რ.), პირველი გალი (გალ. რ.), მდ. აბაშა (აბაშის და მარტვ. რ-ში). აბაში პირველი წარმოდგენილია XV ს-ის მეორე ნახევარში. VI-VII ს-ში ქართლიდან მოსახლეობა მტრის შიშით კოლხეთში ეფუძნებოდა. მათ შემოიტანეს გვარის დაბოლოება „ძე“. აბაშიები აბაშიძეები გახდნენ, გაძლიერდნენ. აბაშიძეთა სამთავრო ფლობდა 80-ზე მეტ სოფელს და 1500-მდე ტყვეს (სოსელია, 157-158). აბაშია ცაიშის (ზუგდ. რ.) ეკლესიის მიმდგამსა ემართა ბეგარა: 1 — საკლავი, 1 — ქათამი, 1 — პური, 3 — ღოკი, 3 — ფოხალი ღვინო და გოჭკომური (გამასპინძლება, მისის ღომითა, ღვინითა, ხორცითა, თევზითა, ყველითა, კვერცხითა, სამხრითა, რაჲცა იმ დღესა მოუნდებოდეს (1616-1621). აბაშია ცაიშელი, ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა... (1616-1621).

„შ“ და „იშ“ მეგრულ-ჭანური გენეტიკის ნიშანია (ი. მაისურ. — 46). ასეთი სუფიქსიანი კოლხური გვარებია: აბაშ, აბიშ, არონიშ, ბარაბაშ, ბაგაპშ, ბაითაშ (კომ. 18.XI.76,4), ბექარიშ, ვანილიშ, თანალიშ, ინაპშ, კაპშ, ტრაპშე, ტულუშ, ურიაშ, ცარგუშ, ძვიშ, ხალვაშ, ხვატიშ, ხიგაშ, ხუშუტიშ, ჯაშ, ჯეგაშ.... ცნობები ზოგიერთზე იხილეთ ქვემოთ.

„მურვან ყრუ მოვიდა, მაშინ დარჩა აბაშური ბეგის შვილი, რომელიც აღზარდა არჩილ მეფემან და უბოძა ჭალა და თავადობა. სხვანიცა ამისა სახლნი დარჩნენ მრავალნი და ესენიც მუნ დაასახლა, რომელნიც არიან აზნაურად, ისევ აბაშიძეებად წოდებულნი 668 წ." („ივერია", 1883, №11-12; 1883, №1-12).

აბაშიძე მალაქია I, დას. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (1519 – XVI ს-ის 40-იან წლებში. რეზიდენცია ჰქონდა ბიჭვინთის საკათედრო საყდარში. (ქსე).

ა. ივანე (იოანი) ზაალის ძე. ბორჩალოს მოურავი და ქართლ-კახეთის სამეფოს ქეშიკშიბაში (1769-99 წ.) (ქსე).

თავადის ყმა-გლეხები ქუთაისის მაზრაში 1842 წელს აუჯანყდნენ ბატონს, გლეხები, რომლებიც „წლების განმავლობაში" ეურჩებოდნენ თავიანთ ბატონს..." (დუმბაძე, მ. 395).

ა. ლევანის ძე, ქართლის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე XVIII ს-ის პირველ ნახევარში. ვახტანგ VI-ის პოლიტიკის მიმდევარი. (ქსე).

ა. კიტა (ივანე) გიორგის ძე (დ. 1870, სოფ. ლესა ლანჩხ რ ქართველი, ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, პუბლიცისტი. საზ. მოღვაწე. საფუძველი ჩაუყარა XIX ს-ის ქართ. ლიტ-რის მცნ. შესწავლას. (ქსე)

ა. ტასო (ანასტასია) ვასილის ასული (1881-1958) ქართვ. საბჭ. მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1943), ვასო აბაშიძისა და მაკო საფაროვა-აბაშიძის ქალიშვილი. (ქსე).

ა. ლეილა მიხეილის ასული (დ. 1929, თბილისი) ქართველი კინომსახიობი. საქ. სსრ (1965) და ჩეჩნეთ-ინგუშ. ასსრ სახ. არტისტი. (ქსე).

ა. ივანე (ვანიკო) დავითის ძე (1896, ჭუთაისი – 1937) საქართვ. სსრ დამს. არტისტი (1934). (ქსე).

ა. თამარ ასლანის ასული (დ. 1892 ზესტაფონი, 1960, თბილისი, საქ. სსრ. სახ. არტისტი (1950)). (ქსე).

ა. იასონ ლევანის ძე (დ. 1904, სოფ. ზემო ალვანი, ახმეტის რ.) სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1960), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1964). (ქსე).

ა. ირაკლი ბესარიონის ძე (დ. 1909, დაბა ხონში, (ამჟ. ხონის რ.) პოეტი, საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960). (ქსე).

ა. გიორგი გრიგოლის ძე (დ. 1909, სოფ. ზედა რგანი (ახალ. ჭიათურის რ-ნი). ქართველი ქირურგი, მედიც. მეცნ. დოქტორი (1956), პროფესორი საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1962). (ქსე).

ა. ვასო (ვასილ) ალექსის ძე (დ. 1854, დუშეთი, 1926, თბილისი). საქ. სსრ პირველი სახ. არტისტი (1922). (ქსე).

ა. გრიგოლ დავითის ძე (დ. 1914) სოფ. ზედა რგანი, ახლანდ. ჭიათურის სოფ. საბჭო), ქართველი პოეტი და პროზაიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი. (1974). (ქსე).

ა. გრიგოლ დავითის ძე (1866, სოფ. დილიკაური, ახლანდ. ზესტ. რ-ნი, 1903, პეტერბურგი), ქართველი პოეტი. (ქსე).


ა. დავით (დოდო) ივანეს ძე (დ. 1924 თბილისში), ქართვ. მსახიობი, საქ. სსრ სახ. არტისტი (1967). (ქსე).

ა. როსტომ (დ. 1935, ქ. ბათუმი), სსრკ სპორტის დამსახ. ოსტატი, სსრკ სამგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში. (ქსე).

1897 წელს პირველი აღწერით აბაშიძეთა გვარი სახლობდა 1814 სული როგორც მეგრელი, ხოლო ამჟამად საგვარეულო 179 სულს ითვლის ,ზუგდიდი — 33; თბილისი 31; ფოთი — 30 . მათ შორის აბაშიძე — 8322, თბილისი — 1109, ქობულეთი — 638; ხელვაჩაური — 924 (ქართ. გვარ-სახ; 15)

აბგაჯავა აბგა (მგრ.) — ხურჯინი.

აბლოთია აბლოთ-ია, აბულეთ საკუთარი სახელისაგან შეიძლება მომდინარეობდეს. მოსახლეობენ თაგილონსა და ჭუბურხინში (გალ.



აბაშის რაიონი

რ.), ძვ. საბუთებში არ იხსენიება. შდრ. აბლეთიანი აგუბედია (ოჩამჩირის რ-ნი) თანამედროვე აგუბედია რევოლუციამდელი ბედიის სასოფლო თემში შედიოდა, მოსახლეობა კი იქ აფხაზური არ იყო. (Кавказский календарь, 1902, Тиф. III отд. 89-91)

გვარი აბლოთია მომდინარეობს ძველ საქართველოში ფართოდ გავრცელებული მამაკაცის სახელისაგან — აბულეთი, რომელიც ჯერ კიდევ „ქართლის ცხოვრებაში" დასტურდება. ეს სახელი მთიანეთში დღესაც გვხვდება. საერთოქართველური — იან სუფიქსის გამარტივებული -ია ვარიანტის დართვისას აბულეთ სახელზე სახე იცვალა ფონეტიკურად, დაიკარგა — ე ხმოვანი, — უ ხმოვანმა კი ადგილი მოინაცვლა ან ო ხმოვანად იქცა. გვარი აფხაზურ ენაზე არ იხსნება. ხელს უშლის ის, რომ აფხაზური ენისათვის არ არის დამახასიათებელი ლთ თანხმოვანებს შორის მდგომი ო ხმოვანი.

ა. რამინ — ფოთის ი. ვეკუას სახ. დამოუკიდებელი ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი).

ა. ივანე სოსოს ძე მოხსენიებულია როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. აგუბედიის მცხოვრები, ეროვნება ქართველის 1990 წ. მარტში აღდგენილთა სიაში, (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე)

აბლოთიას გვარი ამჟამად 681 სულს ითვლის (ზუგდიდი — 313; თბილისი — 135; წალენჯიხა — 90; ;გვარ-სახ. საქ.,) აბლეთიანები სვან. მოსახლეობაა ზემოსვანეთის რ-ნის სოფ. ბუდში (XIII ს. II ნახ. სვან. ძეგლები, 147).

აბრავა აბროსი (სპარს. აბრუ) „პარწყალი", პატიოსნება პატივი, ავტორიტეტი (ქეგლ). მოსახლ. წალენჯ. რ-ის, სოფლებში. აქედანაა **აბრავა, აბრამია, აბრუშია, აბრახამია, არახამია** აბრავები ამჟამად 21 სულს ითვლიან (ზუგდიდი — 15; თბილისი — 4; წალენჯიხა — 2. (გვარ-სახ. საქ.).

აბრალავა წარმომდგარი ჩანს ამბროლა საკუთარი სახელისაგან. ამ გვარსახელის პარალელურად გურიაში დღესაც არსებობს გვარსახელი **ამბროლაძე, ამროლაძე, ამბრელიანი.** აბრალავები ზემო სამეგრელოს აფაქიძეთა ყმა-გლეხები იყვნენ (სოსელია. III. 166)

ა. სამი კოკიას ძე, 69 წლის, 1975 წ. წალენჯიხის რაიონის სოფ. კუხის მცხ., კუხი ხონის რ-ნშიც არის განთქმული, როგორც მჭედელ და ნალბანდთა სოფელი. (სამეგრელო, 92).

აბრამია აბრამიანი ძვ. ეთნონიმი აბრამი-ადი ან სახლთუხუცესი განაგებდა სამეფო შემოსავალ-გასავალს, მეფის წესსა და რიგს, სახასო

მიწა-წყალსა, სამეფო თათბირს (ა. ჭყონია, ...), აქედანაა: **აბრახამია, აბრუმია.** საბრამიო – ხობი (ხობის რ.), აბრამ სახელი უძევს საფუძვლად ქართულ გვარებს: აბრამიძე, აბრამიშვილი, აბრამალაძე. აბრამი (ებრ.) წმინდანის სახელი – „მამა სიმაღლისა“ ამაღლებული. აბრამ ჭყონდიდელი, დამამტკიცებელი დავით მეფის მიერ ივანე მაღნარაძის მიცემული სასისხლო სიგლისა (1448).

ამჟამად აბრამიების საგვარეულო 90 სულს ითვლის: თბილისი – 111, ფოთი – 66, ხობი – 52 (გვარსახ. საქ. 16).

აბრახამია (იხ. აბრამია).

ამჟამად აბრახამიას გვარი 90 სულს ითვლის: (მარტვილი – 38; თბილისი – 26; სენაკი – 8) (გვარ-სახ. საქ-ში)

აბრუმია (იხ. აბრამია) გვარი მოსახლეობს ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ილორში).

ა. ღეილა შოთას ასული მოხსენიებულია ოჩამჩირის რ. სოფ. ოლორის მცხოვრებად 1990 წ. მარტში ეროვნება ქართველის აღდგენილთა სიაში (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქ.)

გვარი ამჟამად 50 სულს ითვლის (ზუგდიდი – 18; ჩხოროწყუ – 8; თბილისი – 7) (გვარ-სახ. საქართ).

აბსავა (შდრ. აბსანძე) ეტიმოლოგია საკვლევია.

ა. ნუგზარ ნოეს ძე მოხსენიებულია 1990 წ. მარტში ქართველი ეროვნების აღდგენილთა სიაში. (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

აბსავას გვარი ამჟამად 267 სულს ითვლის (ზუგდიდი – 277; თბილისი – 14; ბათუმი – 8) (გვარ-სახ. საქ. 16)

აბულაა უნდა მომდინარეობდეს მთის სახელიდან ჯავახეთში. აბულა, გადმოცემით „აბული“ ანუ „აბოლი“ ეწოდა „იმის გამო, რომ ამ მთიდან ბოლი (კვამლი) ამოდიოდა“. (გოგატიშვილი შ., საქ. გეოგრ... 7). მისგანვეა ნაწარმოები ქართული გვარები: **აბულაძე, აბუშელიშვილი** და აღნიშნავს ძე-ს. აბული ძვ. ბერძ. წარმოშობისაა – „ბაბა“-დან, სადაც მოხდა ერთი ბა-ს ჩამოცილება და დარჩა მეორე; აბული: სოფელი, მდინარე და მთები (დიდი და პატარა) (ახალქალაქის რაიონში).

აბურჯანია ა-ბურჯ-ან-ი, ა – იგივეა, რაც აფხაზურში ა წინსართი (შდრ. ჯინჯოლავა-აჯინჯალი) ბურჯი – საძირკველი, კოშკი; აბურჯანიანის ნოხორი (სენაკ. რ.)

აბურჯანიას გვარი ამჟამად 372 სულს შეადგენს: (ფოთი – 80; თბილისი – 48; სენაკი – 46. (გვარ-სახ.).

აბუქარია მკვეხარა, ბაქია (საბა). აქედან უნდა იყოს **აბუქერია. აბუქია** — სოფ. ქედის რ. (აჭარა); აბუქაიები (წალენჯ. რ-ში) აბულაძეებად იწერებიან.

აბუხბაია (შდრ. ბაბხადია) აბუხბაიას გვარი ამჟამად 47 სულს ითვლის (ზუგდიდი — 19; თბილისი — 13; ქობულეთი — 7. (გვარ-სახ. საქ-ში, 16)

აბშილავა (იხ. აფშილავა) გვარი აბშილავა ამჟამად 1748 სულს ითვლის: (ზუგდიდი — 592; თბილისი — 232; სენაკი — 200; ჩხოროწყუ — 108). არსებობს ეს გვარი სხვა ვარიანტითაც, კერძოდ, **აფშილავა** (ამგვარად დასტურდება ზეპირმეტყველებაში).

აბხაზავა (იხ. აფხაზავა) ტომი აბაზგიდან. აბაზგები ბერძნულ წყაროებში ქართველურ ტომთა გვერდით იხსენიებიან I-II საუკუნეებიდან.

გვარი 97 სულს ითვლის (თბილისი — 33; ზუგდიდი — 15; წალენჯიხა — 14), (გვარ-სახ. საქართ.)

აგირბაია, აგრბა — აგრო: ძვ. ბერძნულია და ნიშნავს მინდორს. (თანამ. რუს. ლექსიკ.) აფხაზურში აქედან უნდა იყოს მიღებული გვარის ძირი აგრ... აქედან აგრუა — მეგრელი, რაც ნიშნავს მრგველს, ე. ი. მიწის მუშას. **აგრბები** მოსახლეობდნენ ზუგდიდის მაზრის სოფ. ხეთაში. აქედან არიან მიგრირებულნი პირველად სამეგრელოდან აფხაზეთში, მერე კი უკან გამოსულნი, ნაწილი კი იქ დარჩენილნი.

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ღღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი, მათ შორის აგრბა (აგრიბა).

აგრბაიათა გვარი მოხსენიებულია მე-19 ს. I ნახ. ღღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. შქაწყარიოს მცხოვრებ სხვა ქართველებთან ერთად, სადაც აფსუათა გვარის ჭაჭანებაც არ იყო. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997)

აგრიბა მოხსენიებულია ღღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის მოსახლეთა 1837 წ. გაქრისტიანებულთა სიაში (გაზ. საქართველო, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997)

ამჟამად საგვარეულო მრავალრიცხოვანია, როგორც აფხაზეთში ისე სამეგრელოშიაც. აფხაზეთში გამოირჩევიან კულტურის დარგში.

აგრბა კიაზიმ ხოტხოტის ძე ღ. 1916 სამხედრო მფრინავი. საბჭოთა კავშირის გმირი (1943).

ა. რემზი კონსტანტინეს ძე, საქ. და აფხ. დამსახურებული მასწავლებელი.

ა. აზიზ რაშიდის ძე, ღ. 1912 ს. ყულანურხვაში (გუდ. რ.),

მსახიობი და რეჟისორი, საქ. სსრ სახალხო არტისტი (1954) (ქსე)

ა. რაზამბეი მიხეილის ძე (დ. გუდ. რ-ნის სოფ. კულანურხვაში საქ. სსრ სახ. არტისტი (1958) (ქსე)

აგუმავა. აფხაზურ ენაში ეს გვარი გამოითქმის, როგორც აგუმაა, და ასეა აგებული: ა — თავსართია, რომელიც ხშირად დაერთვის, როგორც აფხაზური წარმოშობის, ისე ნასესხებ გვარებს (ა — რუხაძე, ა — ჯინჯალ, ა — მფარ, ა — ნქვაბ, ა — ჰაშბა...); გუმ ძირია, რომელიც უკავშირდება გეოგრაფიულ სახელს და ზოგ გვარშიც გვხდება (გუმბა). შდ. ტოპონიმი გუმისთა.

(გუმისთა-ს ქართველურობა ეჭვს არ იწვევს. იგი ორი კომპონენტისგან შედგება გუმის+(მ)თა. მ დაკარგული ჩანს. ანალოგიური მაგალითია სამეგრელოში არსებული ტოპონიმი თარზენი (< მთარზენი) — ადგილის სახელი სოფ. მუხურში (ჩხოროწყუს რ-ნი).

აგუმაა შამილ გიორგის ძე მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ილორში მცხოვრები, 1990 წ. მარტში ეროვნება ქართველი აღდგენილი. (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე).

ა. აგუმაა შამილ ივანეს ძე მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. რეკას მცხოვრები და ეროვნება ქართველის აღდგენილი 1990 წ. მარტში (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე).

გვარი 182 სულია: (ზუგდიდი — 108, თბილისი — 32, ხობი — 10. გვარ. სახ. საქ.)

ადამია ადამ (ძვ. ებრ.) — „თიხა“, წითელი მიწა. ბიბლიური გადმოცემით პირველი კაცის საკუთარი სახელი; ადამი (სვან.) — კაცის სახელი იყო ძველად (ლიპარტელიანი, ლექსი). საადამიო — ეკი, (საადამიო, სენაკ. რ.), საადამიო (მარტვ. რ.); ნაწილი ადამიებისა აზნაურები იყვნენ. ადამია მამისთანა მათხოვჯს მცხოვრებს მართებდა ბიჭვინთის ეკლესიის გამოსაღები... (1621). ადამია ბუხულია, გიორგი, დავითი; დავითელა, კაცობა, კუტა, მამუკა, მამუკელა, მახარობელი, სვიმონა, ჭუჭუკლა, ხახუტელა მოხსენიებულნი არიან ამავე მათხოვჯის დავთარში. (პალ). — მამუკელა, მარშანია და საყვარელა იხსენიებიან მათხოვჯის ყმების ნუსხაში (XVII ს.), როგორც მესეფე კაცები (პალ). ადამია ჟოჟუა მოწმე კათალიკოს ნემსაძის მიერ იოვანე ქანთარიასათვის შიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნებისა (1673-1696).

ადამია ბოშიას მემკვიდრენი ამ ადგილზე ნოდო ასახლა, ბოშია თურების დინო იყო. ადამიები ერთი თურია, მას რამდენიმე ტოტი აქვს, რამდენიმე გამნარყი — განაყარი, დინო. ერთი მათ შორის ბოშია

თურებია. ბოშია ახალი თურის მეთაური არაა, იგი ადამიების ერთი ტოტის მეთაურია. მისი დინო მრავალრიცხოვანია და პირობითად თურადაა მინიშნებული (მთქმ. ადამია დურუ ლავითის ძე, 92 წ. ეკი, სენაკის რ-ნი. (მარტვილი მუზ... 80).

ა. მამუკა, გიორგი, დავითი, კაცობა, მამუკელა, ბუბულია, ჰვიმონა, მახარობელი — მათხოჯს მეზროზე კაცები. (დოკ-ბი ნ. ბერძენიშვილი რედაქციით, 438).

ა. თემურყუა подпоручик, სამურზაყანოს ოლქის მთარგმნელი (1855) (Кавк. кал. 1855 г. 513).

ა. ნოე პეტრეს ძე დ. 1917, სოფ. მათხოჯი. ამჟ. ხონის რ-ნი. საბჭოთა კავშირის გმირი — (1942, მათ ასახელეს... 25-29).

ა. გიორგი პორფირის ძე (დ. 1904, მათხოჯი, ხონის რ.) ქართველი თერაპევტი, მედიც. მეცნ. დოქტორი (1957) (ქსე).

ადამიები მოსახლეობენ: (სენაკი — 708; თბილისი — 621; ზუგდიდი — 223. (გვარ-სახ. საქ-ში)

გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (2790 სული) მიხედვით 245-ე ადგილზეა. (გაზ „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ადონია. ადონაი უძ. უფალია (მარტვ. რ.), შედიოდა ჩიჩუათა სათავადოში (ა. ცაგარელი, 212). ადანაია წყაროგზურის სასახლის „მიმდგომი კაცი, ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა... (XVII ს.). ადონაია ძველ ბერძნულ ბიბლიურ მითოლოგიაში ყველაზე ძველი და ძლიერი ღმერთი იყო.



აეიაბაია (აჩაბაია) — აფხაზეთის დიდი მთავარი

ადლეიბა უკავშირდება ძვ. სიგრძის საზომ ერთეულს — ადლი; იხმარებოდა მეტრიული სისტემის შემოღებამდე, უდრიდა დაახლოებით მეტრს. (ქეგლ).

ადონია იხ. ადონაია. გვარი 244 სულს ითვლის: ჩხოროწყუ — 58; ზუგდიდი — 55; წალენჯიხა — 20 (გვარ-სახ. საქ-ში) (Кавказский календарь, 1902)

აზაკიში-ში სუფიქსი ლაზურ გვარზე მიგვითითებს, ში-სი (გრ.) — ქარი. აზაკიშის გვარის სულადობა სულ 20-ს უდრის და მოსახლეობენ ბათუმში (გვარ-სახ. საქ-ში).

ათათია ათ-ათ-ი — თითზე ათი, ან ჯერზე ათი (ქეგლ)

ათათიას გვარი 30 სულს ითვლის (მარტვილი — 9; სამტრედია — 6; გორი — 1), (გვარსახ. საქ. ქართ.)

აიბაია აიბამ-ს, აუბამს, ფრთა აიბა.

მე-19 ს-ის 30 წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში ცხოვრობდა 40-მდე კომლი, აქედან 130-მდე გვარიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა. (გაზ. „საქართვ." სპეც. გამოშ. მარტი, 1997)

აკაბა, აკა (მეგრ.) ერთადერთი, ბა — ძე — ერთიშვილი, შდრ. აკობია.

აკერმანტია აკერი-ა (ეკერა, ჰკერებია) ... ზედ დაკერებული აქვს, ოფიცერს სამხრეები აკერია...; მანტი (ბერძ.) უსახელოებო გრძელი წამოსასხამი. გადმოცემით აკერმატია გვარის მოვაჭრე ორი ყოფილა საზღვარგარეთიდან. აფხაზეთიდან გაჰქონდათ ბზის მასალა; ყოლიათ საკუთარი გემი. ერთ-ერთ ძმას აქ აფხაზეთში პაპავას გოგო შეურთავს... ფეხმძიმე ქალი დაუტოვებია და თვითონ წასულა. უკანდაბრუნებისას გემი ჩაძირულა და ორივე ძმა დაღუპულა. ქალმა შობა ბავშვი — ბიჭი და მამის გვარი აკერმანტია მიუცია. ამჟამად გვარის შთამომავლობიდან ორი ძმა: ოპოლიტე, გრიშა) და და ნადია, რომელიც შეეწირა აფხაზეთის ძმათამკვლელ ომს, მოსახლეობდნენ (ოჩამჩირის რ-ნში). (მიამბო აკერმანტიების რძალმა — მანანა ბიგვავამ, აფხაზეთის კავშირგაბმულობის ინჟინერმა). გადმოცემა დასტურდება იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში აფხაზეთიდან გერმანიაში მართლა გაქონდათ ბზის მასალა, რომლისგანაც ამზადებდნენ საქსოვი დაზგის ძაფგამყვან-მიმწოდებელ მასრებს.

სხვა ახსნით, აკერმან გერმანული გვარია, აკერმანტია უნდა იყოს აკერმანთია, -ტ ბგერა თ-ს მაგივრადაა შენაცვლებული და ნიშნავს აკერმანის თი-ს მოგვარეს, მონათესავეს.

აკერმანტია გრიგოლი მიხეილის ძე (დ. 1924 (ოჩამჩირის რ., ყოფ. კოდორის მაზრის სოფ. ჭილოუში), აფხ. ასსრ დამსახურებული მასწავლებელი (1982).

ა. იპოლიტე მიხეილის ძე (დ. 1925 ოჩამჩირის რ-ნი, ყოფ. კოდორის მაზრის) სოფ. ჭილოუში, აფხ. ასსრ დამსახურებული აგრონომი.

აკვაზბა კვაზაფი (მგრ) — კოპწიაობა (გ. ელიავა, ლექსიკა.). აკვასკაი სოფ. ოჩამჩირის რ-ში, აკვაზბას საგვარეულო 63 სულს ითვლის (ადიგენი — 11; ბათუმი — 2; ხელვაჩაური — 50). (გვარ-სახ. საქ.).

აკიშბია აკი მამაკაცის სახელია ხურიტულ ენაზე (გ. ჟორდ. 129), ქართული გვარია. მას საფუძვლად უდევს აფხაზური გვარი აკიშბა, რომელსაც მეგრულ მეტყველებში განუცდია ცვლილება — შ თანხმოვანი ბ-სთან მეზობლობაში შეცვლილა ჟ თანხმოვნით. აკიჟბაია, -ია სუფიქსი საერთო ქართველური -იან სუფიქსის გამარტივებული ვარიანტია. საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზებით ხშირად ხდებოდა პროცესები გვარების, როგორც გაქართველების, ისე, გააფხაზებისა.

აკიჟბაიების გვარი 26 სულს ითვლის (თბილისი — 20; ზუგდიდი — 5; სენაკი — 1) (გვარსახ. საქ.).

აკობია 1. საკ. სახელი იაკობი (ძვ. ებრ.); 2. აკო. ფქვილის ჩასაყრელი. აკო (სვნ). ქალის ძველებური სახელი (ლიპარტელიანი, ლექსიკ.) შდრ. **ჯაკობია** და **იაკობია**.

იაკობიძეები სოფ. დიოკნისას (ხულოს რაიონის, აჭარა) ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ.

საგვარეულო 1844 სულს ითვლის; ზუგდიდი — 779; წალენჯიხა — 512; თბილისი — 204 (გვარსახ. საქ.).

აკობია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულოს მცხოვრები 1834-1835 წ. წ. აღრიცხვით, სადაც 156 სულიდან ორიოდე თუ ერია აფხაზური წარმოშობისა, დანარჩენები ქართველები არიან (გაზ. „საქართველო", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ა. ილარიან ანტონის ძე, ჯკვარი (წალენჯ. რ.) მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 84-ზე მეტი შრომის ავტორი (გაზ. „კომუნიზმის დროშით", 15.IX-87, II გვ.)

ა. ბეგლარ ხალხური მეჩონგურე, ქ. ზუგდიდი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

აკობიას გვარი 1744 სულს ითვლის: ზუგდიდი — 779, წალენჯიხა — 512, თბილისი — 204 (გვარსახ. საქ.)

გვარი შესულია საქ-ში 25.000-ზე მეტ ყველაზე გავრცელებულ ათას გვართა სიაში და რაოდენობის (1744 სული) მიხედვით 533-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ. 6-8 მარტი, 1997).

აკოფია შდრ. აკობია. აკოფიას გვარი 25 სულს შეადგენს (წალენჯიხა — 12; თბილისი — 8; ქუთაისი — 3). (გვარსახ. საქ-ში.)

აკრბია ა-კრბ-ი-ა, კ-რბი-კრავი-ცხვრის ნორჩი შვილი; აკრია (ქვ-აჭარა).

ალანდია ა-ლანდ-ია, ა-წინაკიდური ბგერაა, ლანდო ძვ. ოთხადგილიანი ორმხრივ გადასახსნელი — სახურავიანი ეტლი (ქეგლ). შდრ. **ლანდია** ქართული გვარი რაჭაში (ონის რ.), რაც გვაფიქრებინებს, რომ ალანდიაში ა პრეფიქსია. შდრ. კალანდია.

ალანია ეთნ. ალან — ოსი; მეგრელები ყარაჩაელებსაც ეძახდნენ. „ძლიერნი, ყოჩაღნი...“ (ყიფშიძე) ალანური — ალანელი კაცი, ჩრდილოეთ კავკასიელი. ჩამოხიზნული ხალხი (ელიაკა, 17). საალანიო. სამალანიო (ხობ. რ.), ალანიაში გა-ხუნწი (მარტვ. რ.) ალანიაში მუხური-ზანაია (აბაშ. რ.) აფხაზეთსა და სამეგრელოში იმართებოდა სიყოჩაღისა და სიძლიერის დღესასწაული — „ალანურობა-მალანურობა“ (სახ. განათ., 1910, №17)

ა. (ალან) გრიშა ივანეს ძე მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. აგუბედიის მცხოვრები, 1990 წ. მარტში ეროვნება ქართველის აღდგენილთა სიაში. (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე.)

ალანია, ალანი კოლხური ალანიას ფონეტიკურ-ადაპტირებული აფხაზური ვარიანტია. აფხაზურისათვის დამახასიათებელია ქართული — ია სუფიქსის ჩამოშორება გვარებში (შდრ. **ჯინჯოლია — აჯინჯალ, მეფორია — ამფარ, ბულისკორია აბლსკირ** ...). რაკი გვარი ალანია ა ხმოვნით იწყება, აფხაზურში მეორე ა ხმოვანი აღარ დაერთვის. გვარი ალანია ნაწარმოებია საკუთარ სახელად ქცეულ ეთნონიმ ალან-ზე ია სუფიქსის დართვით. ამ ტიპის ეთნონიმებისაგან ნაწარმოები ქართული (კოლხური) გვარები სხვაც ბევრია. მაგ.: **ჩერქეზ-ია, თურქია, რუს-ია, ჭან-ია** და სხვ. (თ. გვანცელაძე).

ამგვარად, ალანია მეგრულ-აფხაზური ერთობლივი გვარია.

გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობით (2516 სულია) (თბილისი — 396; ზუგდიდი — 355; სენაკი — 340) (გვარსახ. საქ-ში.).

ალასანია ა-წინაკიდური, ლასო მარყუჟიანი ქამანდი, რომელსაც ძველად ხმარობდნენ ზოგი ნადირის დასაჭერად... (ქეგლ). მომდინარეობს ალასან საკუთარი სახელისაგან.

ალასანიას გვარი 324 სულს ითვლის (ფოთი — 76; თბილისი — 64; სენაკი — 47) (გვარსახ. საქ-ში,)

ალექსაია წარმომდგარი ჩანს ალექსა საკუთარი სახელისაგან.

გავრცელებული გვარია გურიაში. საგვარეულო 68 სულს ითვლის (ლანჩხუთი — 45; თბილისი — 12; ბათუმი — 6) (გვარსახ. საქ-ში.).

ალექსანდრია (ბერძ. ალექსანდრე მამაცი მცველი (ვაჟკაცი).

სოჭში იყო რუსეთის ჯარის სამხედრო გამაგრება, რომელიც შეიქმნა 1838 წ. 20 აპრილს, სახელწოდებით „ალექსანდრია". შემდგომში ეწოდა „ნავაგინსკოე", სამხედრო პოლკის სახელწოდებიდან. 1864 წ. გამაგრებას ეწოდა დახოვსკოე, რომელმაც აიღო სოჭი. მერე ეწოდა სოჭი. 1894 წ. სოჭში ცხოვრობდა 836 ქართველი, რომელნიც გადმოსახლდნენ ქუთაისის გუბერნიიდან და დამკვიდრდნენ პლასტუნკაში, სადაც ამჟამად მოსახლეობენ. 1877-78 წ. წ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს დამუშრუჭდა სოჭის დასახლება. 1895 წ. 20 მარტიდან იწყეს დასახლება მხოლოდ რუსი ეროვნების მოქალაქეებისა. (ალექსანდროვკა სოფ; გულრიფშის რ-ში).

ალექსანდრია — მე 19 საუკუნეში იწოდებოდნენ ალისანდიად. ეს გვარი ორ შტოდ იყოფა — ერთი შტო ბერძენი ალექსანდრიების შთამომავლებია, მეორე დოსკიდიას. გადმოცემით ალექსანდრიები ამოწყვეტილან, დარჩენილა ერთი ფეხმძიმე ქალი, ისინი ხობის რ-ნის სოფ. ზემო ბიაში ცხოვრობდნენ, სოფლის უხუცესმა სთხოვა ღმერთს, ოღონდ ბიჭი დაიბადოს და რაც პირველად შემხვდება იმას შემოგწირავო. დაიბადა ბიჭი, დაარქვეს დოსკიდია, ამის შემდეგ დღემდე ალექსანდრიები იკრიბებიან ზემო ბიის წმ. მთავარანგელოზის ეკლესიაში და სწირავენ გოჭს: ამ შეკრებას სხვა გვარის კაცი არ ესწრება. (მომაწოდა გოგიტა გურამის ძე ჩიტაიამ 1999წ. დეკემბერი).*

ალექსანდრია პარასკას მართებს ერთი ძროხა, სამი გუდა ღვინო, ორი ქილა ღომი, ერთი ქათამი, ერთი თეფში პური (1628) (დას. საქ. საბ. წ. I, 41).

ა. ნანა გიორგის ასული (დ. 1949, ფოთი), ქართველი, საბჭ. მოჭადრაკე, საერთაშორისო ოსტატი (1967), სსრკ სპორტის დამსახ. ოსტატი (1971)... მსოფლიო პირველობის 1972-75 ციკლის პრეტენდენტი (ქსე)

ა. გიორგი ნესტორის ძე დ. 1918 წ. გვარდიის კაპიტანი. დიდი სამამულო ომის მონაწილე, თსუ დოცენტი (ე. ნ. ზაქარიაძე)

ამჟამად ალექსანდრიას გვარი 547 სულს შეადგენს (ფოთი — 98; თბილისი — 67; სენაკი — 21 ; გვარსახ. საქ-ში,)

ალმასია ალმასი — 1) ძვირფასი ქვა 2) ალმასია მომდინარეობს ალმას(ა) ადამიანის საკუთარი სახელისაგან.

გვარი მოხსენიებულია მე-19 ს-ის I ნახ-ში. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშის მცხოვრები ქართველი, სადაც აფსუური გვარის წარმომადგენელი თითო-ოროლა თუ მოიძებნებოდა. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997)

ალმასიას გვარი 45 სულს შეადგენს (ზუგდიდი – 38; თბილისი – 4; გურჯაანი – 1). (ვვარსახ. საქ-ში).

ალსანდია ეტიმოლოგია საკვლევია. შეიძლება ალექსანდრიადან იყოს (?) გვარი 34 სულს ითვლის (ზუგდიდი – 29; თბილისი – 2; ჭიათურა – 3) (გვარსახ. საქ-ში,).

ალშიბაია ალიშბა, „მეგრული ფორმაა ანჩბეია, რაც აღნიშნავს „თეთრი თხმელას შვილს“. ალშიბაიაში ნოხორი (ნასახლარი), კურზუ (მარტვ. რ.), ქ. ზუგდიდი. აზნაურები იყვნენ, ფეოდალური გვარი აფხაზეთში; საკ. სახელი ანჩაფა|ანჩფა, ან – ჩაფ, (ღლ. ,სახ.) ანჩაფაძე, ამჩაფაძე (ანჩა+ბოლოსართი ბა). შეადარეთ სოფლის სახელი -> ანჩა, ზედწოდება ანჩელი, ანჩისხატი, ანჩაბაძენი (ჟორდანია, 47); ანჩაბიძე გიორგი აფხაზი (საქ. სიძვ. II, მაისურაძე 22). ანჩაბაძე რუსულად თავადის ასულმა, ხობის ეკლესიას შესწირა ვერცხლის სურა (საქ. სიძვ. III, 156). პროფესორმა ზ. ანჩაბაძემ მიამბო, რომ ანჩაბაძის გვარი მომდინარეობს ანჩი-დან (სამხრ. საქ-ლო). ანჩაბაძე გვარს საერთო ფუძე აქვს აჩაპეთ-მაჩაბელთან (ა. ჩიქობავა).

ალშიბაია აზნაური კურზუდან, ემსახურებოდა დადიანებს. ალშიბაია, ხალხური გადმოცემით მოსულა ალანეთიდან (თუ აფხაზეთიდან) და იგი დადიანის აზნაური ყოფილა. მათი წინაპარიც სახელად ცნობილი ყოფილა ადამიანების მოპარვაში, ის მათ ოსმალებზე ყიდდა თურმე. კურზუში ალშიბაიების ყმები იყვნენ: ახალაია, ჩიქობავა და პაპავა (მაკალათია, 241).

ალშიბაია – მე-19 ს. 30-იან წლებში ღღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის ალშიბაია.

ამჟამად ალშიბაიას გვარი 155 სულს შეადგენს (ზუგდიდი – 119; თბილისი – 23; მოსკოვში ლტოლვილი – 4), (გვარ-სახ. საქ-ში), (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997). გვარი ასევე მოხსენიებულია ღღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინას მოსახლეობის 1837 წ. აღრიცხვის სიაში. (იქვე) და სოფ. ფოქვეშის მოსახლეობის იმავე წლის აღრიცხვის წიგნში (იქვე).

ალშიბაია მიხო (1908-1967), ალშიბაია (სახელი არაა, (1912-

1969), კაკო (თარიღი არაა) — საფრანგეთში პარიზთან ახლოს დაბა ლევილის ქართულ პანთეონში დაკრძალულნი. (გაზ. „ლიტ. საქ.“, 1990, 14 აპრილი).

ამბა (აბაბა — ბერძნ.) მონასტრის წინამძღვრის ქართული. სახელწოდება „მამის“ შესატყვისი. X ს-ის ძეგლში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებანი“ იხსენიება აშბა გიორგი; XI ს-დან, ა. ალავერდის ეპისკოპოსების ზედწოდება იყო (ქსე). ან შესაძლოა ამბარ(ა) მეტსახელისაგან მომდინარეობდეს.

ამბალია ეტიმოლოგიურად საკვლევია. ამბალია, ხოირს მცხოვრები, ხუცესი, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსოს ბეგარა... (1621). ამბალია ივანე, ხოირს მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსოს ბეგარა... (1621). სასახლის ბეგარა.

ამბალიას საგვარეულო ითვლის 69 სულს (ფოთი — 44; ქუთაისი — 3; წალენჯიხა — 1) (გვარსახ. საქ-ში).

ანანბა (იხ. ანდრიბავა)*

ანანბას საგვარეულო 26 სულს ითვლის (ბათუმი — 11; ხელვაჩაური — 15). (გვარსახ. საქ-ში).

ანანია 1. (ძვ. ებრ.) — „მადლი უფლისა“, „შემწეობა უფლისა“; 2. შეიძლება საკ. სახელი ანანასაგან იყოს მიღებული. შდრ. ტოპონიმი ანანური, ქართული გვარსახელი ანანიაშვილი: ანანია — ფუტკრის და მეფუტკრეობის დამცველი ღმერთი წარმართულ ეპოქაში. ანანია — გუნდას სახელწოდებით იმართებოდა ერთობლივი დღესასწაული აფხაზეთსა და სამეგრელოში, რომელიც უკავშირდებოდა ფუტკრის კულტს. ანანია მათხოვს მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა, იმდენივე, რამდენიც ემართა მისი მამულის ძველ მეპატრონეს, ნასყიდა მელაძეს... (1621).**

ანგურსია ვფიქრობ, იგი უნდა ნიშნავდეს: ანგურია — ანგურის არის, შდრ. ქრისტესია (-> ქიტესა) — „ქრისტესი არის“. ანგურსია, დარჩენული, ემართა ცაიშის საყდრის გამოსაღები ბეგარა (1616-1621).

ანდრიბავა* ანდრიბავა ან მთვარის ერთადერთი ღმერთი შუამდინარეთში (რ. პატარიძე, 8) ანდი — ბავა, ანდრი საკუთ. სახელი, ბავა — აფხაზურ-მეგრული სუფიქსი ძე-ს აღმნიშვნელია.

ანთელავა ადგილობრივი გამოთქმით, ანთელა. ანთები იყო ტომი. ანთარი, ჟინი ანთასი — ზედა მთვარე (პატარიძე რ., 9) შდ. ანთია.

ა. ირაკლი გიორგის ძე, (1912-1978) დ. სოფ. ყულისკარში ამჟ.

ზუგდიდის რ-ნი... ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1942), პროფესორი (1956), აფხაზეთის ასსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1961). სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1965),. ს. ჯანაშიას სახ. პრემიის ლაურეატი (1970), საქ-ს სახ-ფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1982). (ჯაფარიძე ს., 129).

ა. ნიკოლოზ ვარდენის ძე დ. 1893, ზუგდიდში, ქართვ. მეცნიერი, ქირურგი, გულმკერდის ქირურგიის ფუძემდებელი საქართველოში. მედ. მეცნ. დოქტორი (1936), პროფესორი (1939), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1957), სსრკ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1962).

ა. გივი მალაქიას ძე დ. 1922 ქ. თბილისში, საქ. სსრ დამსახ. ექიმი (1969), რესპუბლიკური ინფექციური საავადმყოფოს მთავარი ექიმი (1967-1987)... საქ. სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექინიკის დარგში (1985) (ჯაფარიძე ს., 189)

ამჟამად ანთელავას საგვარეულო 290 სულს ითვლის: (ზუგდიდი – 142; თბილისი – 105; წალენჯიხა – 18). (გვარსახ. საქ-ში 24).

ამბროლავა წარმომდგარი ჩანს ამბროლა საკუთარი სახელისაგან. შდრ. ქართული გვარსახელი **ამბროლაძე, ამროლაძე**. გავრცელებული გვარია გურიაში.

ანთია 1) ანთარ (მგრ), აითარ (აფხ) – მესაქონლეობის ღმერთი. 2. ანთი (სვან.) კაცის სახელი (ლიპარტელიანი, ლექსიკ.).

ეთნ. ანთი; 1. ანთები იყვნენ ქართველთა მონათესავე ტომები, რომლებსაც ეკავათ შავი ზღვის სანაპირო და ახლო ურთიერთობაში იყვნენ ქართველებთან (მაისურაძე, 1,22); 2. ანთა, ანთარი (მგრ.) ჟინი ღორონთი – ზედა ღმერთი (ყიფშიძე), საქონლის მფარველი სიკვდილისაგან. ანთიას დღესასწაული იმართებოდა დიდმარხვის პირველ დღეს. აქედან უნდა იყოს **ანთელავა, ანთია.**

გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ათას გვართა სიაში და რაოდენობის (2033 სული), (ზუგდიდი – 916, წალენჯიხა – 493; თბილისი – 181) (გვარ-სახ. საქ-ში,) მიხედვით 417-ე ადგილზეა. (გაზ. საქართველო, 6-8 მარტი, 1997)

ანთია გერასიმე სოჭში 1905 წ. რევოლუციური მოძრაობის მონაწილე. (ტულუმჯი, 102).

ანუა მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშის მცხოვრები: ქმარი – ქელაშანი, ცოლი ამისა გუნდა, ვაჟი, ამისი ხასან მოხსენებულია გაქრისტიანებულთა სიაში. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997) გვ. 8, II სკ. რიგ. №2).

ანჩებია* შესაძლებელია დაკავშირებული იყოს სამხრეთ საქართველოს კულტურის მნიშვნელოვან ცენტრ ანჩთან. (ამ აზრს იზიარებს პროფ. ზ. ანჩაბაძე); პროფ. ვალერიან ზუსბაიას გადმოცემით, გალელი ანჩაბაძეები სამხრეთისაკენ იშვერდნენ ხელს, „ჩვენ იქიდან ვართ ჩამოსულიო“.**

თავადი ალმასხან ანჩებეია მოხსენებულია აბჟუის მაზრის სოფ. ფოქვეშში 1834 წ. აპრილში ქრისტიანად მონათლული (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997, გვ. 8, 4.2.)

ანჯაფარია — ანჯაფარიძე ნაწარმოები ჩანს ანჯაფარ საკუთარი სახელისაგან; ანჯაფარიაში ნოდოხორუ (ნასახლარი) კიწია-აბედათი (მარტვ. რ.), ნაანჯაფურუ-ახუთი (ჩხორ. რ.) „აქ ანჯაფარიები სახლებულან. დღეს ეკლსიაც არის... XIX ს-ის ბაზილიკური ტიპის ნაგებობა (ელიავა, ჩხორ. ტ. 47). მეორენაირი ახსნით, ვფიქრობ, რომ ანჯაფარია ჯაფარიძის გვარის კოლხური ვარიანტია, (ავჯაფარ, ნ განვითარებული ჩანს), ხოლო ესენი უნდა იყვნენ ჩამოსულნი რაჭიდან. ჯაფარიძეთა გვარი მრავალრიცხოვანია და მათ წინაპრებზე სვანეთში ხუმრობით იტყვიან: „რაჭიდან გუდით ჩამოყვანილები არიანო“.

ა. ოთარ გიორგის ძე (დ. 1920, ბათუმი, ქართვ. ვირუსოლოგი, მედიც. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1967), სსრკ მედ. მეცნ. აკად. წ-კორ. (1971), (ქსე).

ა. ლევან ივლიანეს ძე (1902, ქუთაისი, 1972, თბილისი, ქართველი, თერაპევტი, საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1964), (ქსე).

ა.ვერიკო (ვერა) ივლიანეს ასული (დ. 1900, ქუთაისი) ქართველი მსახიობი, სსრკ სახ. არტისტი (1950), (ქსე).

ა. ზურაბ ივანეს ძე (დ. 1928-1997) ქ. ქუთაისი, ქართველი მომღერალი (დრამ. ტენორი), სსრკ სახ. არტისტი (1956), (ქსე).

ამჟამად ანჯაფარიძეთა საგვარეულო 646 სულს ითვლის (თბილისი — 283; ზუგდიდი — 106; აბაშა — 54) (გვარსახ. საქ-ში, 25).

ართილაყვა* ეტიმოლოგია და სხვა. მასალები საკვლევია.

აჟიბაია ვფიქრობთ: 1. აფხაზური „აჟვეიპშას“ — მონადირეობის ღმერთისაგან უნდა იყოს წარმომდგარი (გ. როგავა, საქ. ეკლ. ისტ.. გვ. 13), 2. ან აფხაზურად „აჟირას“, — მჭედლობის ღმერთის კულტთან დაკავშირებული.

აჟიბაია მოხსენიებულია ბარმიშის თემის დასახლება აფიცხუში (შავი ზღვის სანაპირო ზოლი, ტოპონიმი ქართულია) 1844 წ. 300-მდე მცხოვრები ქართველთაგანი. (გაზ. „საქართველო“, სპეც-გამოშვ. მარტი, 1997).

აიბას გვარი 105 სულისაგან შედგება (ბათუმი –53; გარდაბანი – 1; ზუგდიდი – 1). (გვარსახ. საქართ.).


არახისი ჭან., დიხაუშქური; მგრ. დიხაში უშქური, სვ. გიმიშ ვირგ. მიწავაშლა (ლ. ბიტ.) (აფხ. არახ-ნიგოზი; ტალერი, მარტვ. რ).

არახამია მომდინარეობს ბიბლიური სახელი აბრაჰამი-დან (არაჰამია, არახამია, აბრაჰამია. ადგ. გამოთქმ. არაჰამია. არახამია (გახარა), არახამიაში ნოხორი, დაბა ჩხოროწყუ (ჩხორ. რ.), ბაღმარანი (გულრ. რ.).

არაჰამია ვახტანგ გოგას ძე მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რაიონის სოფ. მოქვას მცხოვრები ქართველი ეროვნების აღდგენილთა სიაში (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე).

არაჩემია არა-ჩემი-ა, დაჩემებული (სიტყვა-პასუხი. შდრ. ქართული გვარი არჩემაშვილი).*

არაჩემიას გვარი 89 ერთეულს ითვლის (ზუგდიდი – 36; თბილისი – 22; სენაკი – 13). გვარი მოხსენიებულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათას გვართა სიაში და რაოდენობის (1522 სული) (ზუგდიდი – 404; ჩხოროწყუ – 209, თბილისი 15, (გვარსახ. სა ქართ.), საქ-ში 551-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-; მარტი, 1997).



არგველთა XV ს-ის ბოლოს

არაცულია არა-ცულია, არა-არა, ცული — წალდი მეგრ. - ბურჭული — არაწალდია — არაცულია).

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში) სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობიდან 35 აფსუური, 85-მდე კი ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, იყო მათ შორის **არაცულიაც.** (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1927).

არგუნაია 1. არგუნი მეგრ. — ნაჯახი; 2. არგუსი-აგვისტოს თვის სახელი. მე-10 ს. 30 წლებში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის **არგუნაია.** გვარი წარმომდგარია არგუნა შერქმეული სახელისაგან.

არგუნაია მოხსენიებულია ლიხნის 1834 წ. ქრისტიანად მონათლულთა სიაში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997).

საგულისხმოა, რომ არგუნაიას აფხაზური ვარიანტია გვარი **არგუნი.**

არდაშელია — არდი მზის ღვთაების სახელი ურარტუს ქვეყანაში. მზეს ქართულად ოდესღაც „არდი უნდა რქმეოდა“ (ივ. ჯავახ. 3, გვ. შენიშვნ. გაგრძელებაზე). აქედან უნდა იყოს **არდბელავა;** არდი სოფ. ცხინვ. რ-ში, არდისი — თეთრ. წყ. რ-ში. არდიები ზემოსამეგრელოს აფაქიძეთა ყმა-გლეხები იყვნენ (სოსელია, 3).

არდაშელია მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. მოქვში მოსახლე; ტუგვამა, ძმანი მისნი: ლაზი, აბაავ, დაი ამისი სამარხან, 1834 წ. ივნისში მიიღეს ქრისტიანობა. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997).

არდაშელიები 217 სულია (ზუგდიდი — 100; თბილისი — 60; წალენჯიხა — 13) (გვარსახ. საქ-ში).

არდბელავა არდი მზის ღვთაების სახელი იყო ურარტუში.

გვარი 134 სულია: ზუგდიდი — 61, ფოთი, 27, თბილისი — 9 (გვარსახ. საქ.).

არდია (იხ. არდბელავა) საგვარეულო 532 სულია: ზუგდიდი — 304, წალენჯ. — 86, თბილისი — 42. (გვარსახ. საქ.).

ართილაყვა გვარი წარმომდგარია ართილა მეტსახელისაგან, ართი (მგრ.) — ერთი, ყვა ძველი სიტყვაა — ყოლა. გვარი გავრცელებულია გურიაში.

* **არნანია** უნდა ნიშნავდეს დაუნანებელს, ვისაც არ ენანება. შდრ. ქართული გვარი ინაიშვილი, რომელიც ადამიანის საკუთარ სახელს ინანის (ინანას) გულისხმობს. სხვაგვარი ახსნით არნანია — ანანია.

არნანია გვარი 197 სულს შეადგენს (ზუგდიდი — 170; თბილისი — 6: ფოთი — 21. (გვარ-სახ. საქ-ში).

არონია I. მომდინარეობს არონ (ებრ.) სახელისაგან. განთქმული მეჯოგეები იყვნენ. მუხური (ჩხორ. რ.), რიონი — მუჟავა (წყალტ. რ.), მუჟავა, მიქავა, წალენჯიხის რ-ნი.

აქედანაა ნაწარმოები ლაზური გვარი არონიში. გავრცელებულია გურიაში.

არონია 490 სულს ითვლის ზუგდიდი — 181; წალენჯიხა — 153; თბილისი — 83. (გვარსახ. საქ-ში).

არტონია — **აროსია** აროსიაქეროს სახელისაგან.

არუსია წარმომდგარია რუსი ეროვნებისაგან. გვარი 64 სულს ითვლის (ჭიათურა — 28; ზუგდიდი — 16, თბილისი — 9, გვარ-სახ. საქ.).

არტონის, ვფიქრობთ, უნდა იყოს ანტონია, რ — ბგერა ჩართულია ნ-ს ნაცვლად. (იხ. ანტონია). შდრ. არტაანი, რომელიც თურქეთშია. არტონია: გიგო, მაშულია, ჭშია მუხურს მცოვრებნი ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსოს ბეგარა (1621 წ.).

არქია *1.* არქე-რკინის პატარა ნაჭერი, ჩასმული წისქვილის ზედა ქვაში. რითაც ბორბალი აბრუნებს ზედა ქვას (ქეგლ).*

არქანია ქართული გვარია, რაკი იგი გაფორმებულია საერთო ქართველური — იან სუფიქსის ფონეტიკურად გამარტივებული — ია ვარიანტით (შდრ. დად-იან-ი... დად-ია, ლიპარტ-იან-ი — ლიპარტია). არქან — იბ გვარი ერქვანია ფუძე წარმოშობილი შეიძლება იყოს ერქვანიდან.

არქანია გვადაწმიტუ, 1875 წ. გლეხთა აჯანყების მეთაურნი ჯვარსა და ლიაში (წალენჯიხის რ-ნი) მიესაჯათ ორ-ორი წლით პატიმრობა სტავროპოლის გუბერნიაში გადასახლებით. გაზ.„კომ. დ რ“. (წალენჯ. რ.), 8.XII.84).

ა. დორა შამილას ძე მოხსენიებულია, როგორც რეკას მცხოვრები, 1990 წ. მარტში, ეროვნება ქართველის აღდგენილთა სიაში (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე)

ა. ჯარნა დღ. წალენჯიხის რ-ნი ჯვარში ცნობილი მეჯოგე-წვრილფეხა საქონლის გამშენებელი. (მაკალათია, 193).

არქანიას გვარი შედგება 1532 სულისაგან: წალენჯიხა — 688; ზუგდიდი — 358; თბილისი — 210 (გვარ-სახ. საქ-ში,)

არშილავა არშია — ქსოვილის კიდეებზე მოვლებული ნაირსახიანი ზოლი, ფერით ან მასალით განსხვავებული; 2. კარნიზი; 3. რანტი

(ქეგლ). გამორიცხული არაა არჩილ საკუთარი სახელიც: არჩილაა, არშილავა.

არშილავას 56 სულს ითვლიან (ბაღდათი – 39; თბილისი – 6; ქუთაისი – 5, გვარ-სახ. საქ-ში).

არჩაია სკ. სახელი არჩილი; აქედან **არჩელია**. უფრო სავარაუდოა მისი მომდინარეობა არჩვა მეტსახელისაგან: არჩვაია -> არჩაია. შდრ. ქართული გვარი არჩვაძე.

არჩაია 634 სულს ითვლის (სენაკი – 176; თბილისი – 166; ზუგდიდი – 97), (გვარ-სახ. საქ-ში).

არჩვავა მომდინარეობს არჩვა ადამიანის მეტსახელისაგან (იხ. არჩაია); ორაჩვე, არჩვაში კარე (კარავი), (მარტვ. რ.), ორაჩვე (ხობის რ.), შდრ. არჩვაძე, ახუთი (ჩხრ. რ.), აქედანაა არჩვაია.

არჩვავას საგვარეულო 23 სულს ითვლის სენაკი – 13, ფოთი – 1, ჩხოროწყუ – 9), (გვარ-სახ. საქ.)

არჩელია 1. მიგვითითებს სადაურობაზე. დარჩელი სოფელია (ზუგდ. რ.); საარჩელიო, არჩაში გინახორა (ნასახლარი) – ნოქალაქევი – არჩაია (სენაკ. რ.).

არჩილია სკ. სახ. არჩილი. სენაკი – 8, თბილისი – 6, მარტვილი – 2, (გვარ-სხ. საქ.).

არძინბაია – არდ-ძინ-ბა-ია არდი (ს) ძე, არდძინბაია – არდძინბა-ძე. არდი ქართველთა მზის ღვთაება იყო ურარტუს ქვეყანაში, ხოლო ძე კი – შვილი – არდის ძე; შდრ. აძინბაია.

არძინბა 1. აიაზბა – აიაზმა წმინდა წყალი. ქართულად არძინბა – არძი – ჭრელი – ხამი. 2. ბამბის უხეში ქსოვილი (საბა). მოსახლეობენ: ჩხორთოლი, გალის რ-ნი, ჯგერდე (ოჩამჩ. რ.), დურიფში (გუდაუთის რ-ნი).

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის **არძინბაია**. (გაზ. საქართველო, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997).

არჯანია, არჯენია – 1. ვფიქრობთ სკ. სახელი დარეჯანი-საგან უნდა იყოს. 2. ანჯერი (მგრ.) – ბალახმორეული ყანა.

არჯენია არჯეჯანიძეებიდან არის წამომდგარი (შეიძლება პირიქითაც იყოს).

მე-10 საუკუნის 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე

ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა. მათ შორის არჯენიები. (გაზ. საქართველო, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997).

ამრიგად, არჯენია წამომდგარია არჯევან საკუთარი სახელისაგან: არჯევან–არჯეან–არჯენ–არჯენია.

არჯანიები 30 სულია (თბილისი – 12; კოდორის ხეობა – 10; ზუგდიდი – 3), (გვარ-სახ. საქ-ში,)

ასანია* ვფიქრობთ, იგი მომდინარეობს ასან (‖ჰასან) სახელისაგან. შდრ. გვარი ასანიძე... ასანური, ყოფ. სოფ. სიღნაღის რ-ში.

ასვანუა ეთნ. სვანი; საბერიო (გალის რ.), ქ. გალი. შესაძლოა, გააფხაზებული ფორმა იყოს.

ასვანუას გვარს 81 სული ადგენს (ზუგდიდი – 33; თბილისი – 16; წალენჯიხა – 16) (გვარ-სახ. საქ-ში).

ასკილეისკირი მომდინარეობს ასკილა‖ასკილე ადამიანის მეტსახელისაგან, ასკილაური სოფ. საგარეჯოს რ-ნში. ასკილი (მც). მინდვრის ვარდი (მეგრ.) – ეშმაკიში ვარდი, ეშმაკიში მათრარა (ბოტ.). ასკილეისკირი 28 სულია (აბაშა – 20; ფოთი – 5; თბილისი – 1 (გვარ-სახ. საქ-ში).

ასკურავა ა-სკურ-ა-ვა, სკური კურორტია და სოფელი წალენჯ. რ-ში. გამორიცხული არაა ასკურა მეტსახელისაგან მომდინარეობდეს.

ასკურავა ცნობილი გვარია გურიაში შერმადინ (შალვა) მიხეილის ძე (1897-1919), კომუნისტური ორგანიზაციების მოღვაწე კავკასიაში, სამოქ. ომის აქტიური მონაწილე... 1918 წ. ხელმძღვანელობდა სენაკის მაზრის გლეხთა შეიარაღებულ აჯანყებას... (127).

ა. ივანე ალექსის ძე (დ. 1917, სოფ. ქვირი, ლანჩხ. რ.) ქართვ. თეატრის მხატვარი. საქ. სსრ ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე (1950), (ქსე).

ასკურავა 353 სულს ადგენს (ლანჩხუთი – 135; თბილისი – 74; ბათუმი – 48) (გვარ-სახ. საქ-ში).

ასლანია საკ. სახელი ასლან, ასლანელე მდ. (გალ. რ.).

ასლანია 21 სულია (ზუგდიდი – 14; თბილისი – 3; მესტია – 1), (გვარ-სახ. საქ-ში).

ასმავა ეტიმოლოგია საძიებელია. ასმავას საგვარეულო 40 სულს ითვლის (ჩხოროწყუ – 12, ზუგდიდი 8, სენაკი – 7) (გვარ-სახ. საქ.).

აფაქელავა აფაქი ძვ. ბერძნ. ლებნიან მცენარეთა სახელია.

1) აფაქია, პირის სახელი „აფაქი“-დან უნდა იყოს. ეს დადასტურებულია სვანეთის XIII ს-ის II ნახევრის საისტორიე ძეგლებში. წარმომადგენელია ცოტნე აფაქიძე. იგი ჩხაგუს შვილია. (XI-XIII ს-

ბი) (იხ. ე. მეტრეველი, მასალები, თბ., გვ. 74, აღაპი 47, სოსელია, II, 57), მოკლედ, აფაქიძეთა გვარის ისტორია შორეულ წარსულს უკავშირდება თამარის მეფობამდეც კი...

სვანეთის XIII ს-ის II ნახ. საისტორიო ძეგლებში გვარსახელი „აფაქიანი“ (აფაქიას სვან. ფორმაა) და მრავლად არიან მოხსენიებული.

აფაქიძეთა თავადური გვარი დამკვიდრებული იყო საჩინოში (წალენჯიხის რ-ნი (სოსელია, III. 164-165).

აფაქიძე მამუკია, თავადი, ცხოვრობდა დღ. წალენჯიხის რ-ნის სოფ. საჩინოში. აქ არის ციხის ნანგრევი და ეძახიან „მამუკიას ჯიხას“, არდიები აფაქიძეთა ყმა გლეხები იყვნენ (სოსელია, III, 164, 165, 166).

აფაქიძეთა ყმა-გლეხები იყვნენ: ტყებუჩავები, ესებუები, ბოჯგუები, მირგატიები, ტორჩინავები, შურღაიები, კვაშილავები.

ზემო სამეგრელოს აფაქიძეების ყმა-გლეხები იყვნენ: ფიფიები, კაკალიები, ყურუები, კვირკვიები, ჭიჭაღუები, აბრალავები, შეროზიები, არდიები, ლომაიები, სალიები. წულაიები (ნაწილობრივ), მანტიები, ნაჭყებიები. (სოსელია, III, 166).

აფაქიძე ერისთო თავადმა თავისი გლეხი ერთ ხმალში დაუგირავა თავისსავე სახლიკაცს თავად ხახუ აფაქიძეს (სოსელია, III, 171).

ა. ქაიხოსროს ლევან II დადიანის კარზე სახელი უჭირავს როგორც ოდიშის სამთავროში მაღალი ხელისუფლებით აღჭურვილ მოხელეს... წალენჯიხის ფრესკულ წარწერაში დასახელებულია „აფაქიძე“ და ცაიშის ეკლესიის სახარების ბოლო მინაწერში მოხსენიებული „აფაქიძე ქაიხოსროს“, რომლის თანამეცხედრეა ვინმე როდამი.

აფაქია გურიაში გავრცელებალი გვარია.

აფაქიანი აფაქის, აფაქიძის სვანური ფორმაა — საკვლევია გვარის მთიდან ბარში მიგრაციასთან გვაქვს საქმე, თუ პირიქით, ვფიქრობთ, სავარაუდებელია ერთიც და მეორეც..

აფაქიძეებს ლევან დადიანმა ზანა უბოძა.

აფაქიძე — აზნაური ოდიშის მთავარმა გრიგოლ დადიანმა 1795 წ. ცაიშის ეკლესიას შესწირა (სოსელია, III, 161).

ა. ანდრია მელიტონის ძე დ. 1914, სოფ. ზანაში. დღ. სენაკის რ-ნი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1959), პროფესორი (1964), საქ. სსრ მეცნ. აკადემიის წ.-კორ. (1967), აკადემიკოსი (1983), საქ. სსრ მეცნიერების დამსახ. მოღვაწე (1964), საქ. სსრ. სახ. პრემიის ლაურეატი მეცნირების და ტექნიკის დარგში (1982). (ჯაფარიძე ს., 131).

ა. კაცია (კაცია), შილავას „გოგო“... ქართ. ანა — ცისა გაყიდა 40 მორჩილად (მორჩილი 1810 წ. კურსით უდრიდა სამ აბაზს) (სოსელია, 171, შენიშვნა იქვე).

ა. ბაგრატ საჩინო (წალენჯ. რ.), ცნობილი რევოლუციონერი. (სოსელია, III, 167).

ა. ვალერიან ანდრიას ძე (დ. 1914, სოფ. ფახულიანი წალენჯიხის რ-ნი, 1969, მოსკოვი), სამხედრო მოღვაწე. გენ.-მაიორი (1945).

აფაქიძეები საკმაოდ ბევრნი არიან — 1347 სული (თბილისი — 300; ხელვაჩაური — 240; ზუგდიდი — 149), (გვარ-სახ. საქ-ში).

აფაქიანი სვ. მოსახ. დღ. ზემო სვანეთის სოფ. ეცერში (სვ. ძეგლ. 131) აფაქიანი სვ. ზემო სვანეთის სოფ. ლეშტერის მცხ. (მე-13 ს-ის II ნახ.) (სვ. ძეგლ. 122).

აფაქელაა 29 სულს ითვლის (სენაკი — 17; ფოთი — 16, თბილისი —5).

აფაქიძე 1337 (თბილისი, ხელვაჩაური — 249, ზუგდიდი — 148) (გვარსახ. საქ.)

აფქილიანი სვ. მოსახლ. დღ. ზემო სვანეთის რ-ნის სოფ. ბეჩისა და დოლში (XIII ს-ის II ნახ.) (სვ. ძეგლ. 149.).

აფსავა აფსათი ნადირთა და ფრინველთა გამგებელი ღვთაებაა სვანურ მითოლოგიაში. (ქსე). აბსავა — აფსა ფუძე ცალკე გვარის სახით გვხვდება ჩრდილოეთ კავკასიაში. აფსა შესაძლებელია დაკავშირებული იყოს აფხაზურ სახელწოდება აფსუასთან (ასეთივე წარმოშობისაა გვარები აფხაზავა და აფშილავა), იგიეე ფუძე აფსა ქართული გაფორმებით დასტურდება სხვა შემთხვევაშიც. მაგ. აფსანძე ანუ აბსა-ნ-ძე, აფსარიძე. გვარი აფსავა აფხაზური არ არის. აფსავა გაფორმებულია საერთო ქართველური — ოვან სუფიქსის გამარტივებული — ვა ვარიანტით. აფხაზურში აფსაა ფორმა აფსავას გააფხაზებული ვარიანტია... ეს გვარი გავრცელებულია სამეგრელოში.

აფსაა იხ. აფსავა ნაგუჯალა, მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კინდღში მონათლული 1834 წ. ივნისში (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997, გვ. 7, III, სვ. №4).

აფსავა გვარი 40 სულისაგან შედგება (ჩხოროწყუ — 12; წალენჯიხა — 12; ფოთი — 11), (გვარ-სახ. საქ-ში, 29)

აფულავა ეტიმოლოგია საკვლევია. საგვარეულო 89 სულს ადგენს (მარტვილი — 1, ქუთაისი — 18, წყალტუბო — 65). (გვარ-სახ. საქ.)

აჩობაია, მთავარი, დიდი სარდალი.

აცანია ეთნ. ჭანი. მოსახლ. მე-19 ს. დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ.

შქაწყარის ტერიტორიაზე (გაზ. საქართვ., სპეც. გამოშვ. მარტი, 1997).

აცანია მომდინარეობს გვარი ჭანიასაგან. აცანა, როგორც ტოპონიმი, გვხვდება გურიაში სოფლის სახელად. გურიაშივე გაკრცელებული გვარი აცნელაძე. გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის საბუთებში, სადაც აფსუათა თითო-ოროლა გვარი თუ მოიძებნებოდა. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997.

აცანია სუმატა, ცოლი-გულუმხან, ძმაი ამისი — ბაღირ, ცოლი ამისი — ევე მოხსენიებულია 1834 წ. ივნისში ტამიშის მოსახლეობის მონათვლის წიგნის სიაში (გაზ. საქართვ., სპეც. გამოშვ. მარტი, 1997)

აძიმბაია აძი — აძა, Адзы აფსუურად წყალი; ბაღა ია ქართულია და შვილს აღნიშნავს — წყლის შვილი, შდრ. წყალობა.

აჭაია (შდრ. აჭაიძე). გვარი ეთნ. ჭანიდან მომდინარეობს. აქ ფუძე ადიღურად არ განიმარტება, (ზ. რატიანი, 51).

აჭაიას საგვარეულო 20 სულს ითვლის (ხობი — 20), (გვარ-სახ. საქ.) „აჭეკ“ მდინარეს ჰქვია — სოფის მარჯვენა შენაკადი და მასზე მდებარეობს დასახლების სახელწოდება (იქვე).

ახალაია მომდინარეობს ახალა მეტსახელისაგან. შდრ. გვარი ახალაძე, ტოპონიმი ალახაძე აფხაზეთში. გადმოცემით ბატონისაგან გამოქცეული და სხვა სოფელში შეხიზნული ყმა, რაკი საკუთარ გვარს არ ამკლავნებდა, ახალ გვარს ირქმევდა (მაისურაძე). ასეა დარქმეული აფხაზების მიერ აგრბა, რაც მეგრელს აღნიშნავს. ახალაიას გვარზეა ხალხური ანდაზა: ახალაიაში ოსურეფი პატარაიაშ ოსურეფს მიშარაგანდესია „ახალაიას ცოლები, პატარაიას ცოლებში ლაპარაკობდნენო“. ახალაიაქ პატარაიას მიშასხაპუა. „ახალაია პატარაიას ცეკვაში ჩაერიაო“. ახალაიაში ჯოღორი გოშუას ჯოღორენს მიშალალუნდუა „ახალაიას ძაღლი გოშუას ძალღეფთან ყეფდაო“. (ხალხ.-სიბრძ. გვ. 16).

ა. მიხეილი დღ. შრომა (სოხუმის რ-ნი) მედიც. მეცნ. დოქტორი, სახ-ფო პრემიის ლაურეატი.

ახალაიას საგვარეულო 4452 სულს ითვლის (ზუგდიდი — 114, ჩხოროწყუ — 676, თბილისი — 557) (გვარსახ. საქ.)

გვარი შესულია საქართველოს ყველაზე გავრცელებული ათას გვარსიაში და რაოდენობის (4452 სული) მიხედვით 104-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ახუბა წარმომდგარია ახობა საკუთარი სახელისაგან. შდრ. ქართ. გვარსახელი ახობაძე. ახუბაია, როგორც ახუბავა გვარი, მოხსენიებულია

მე-19 ს. I ნახ. დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. შქაწყარის მცხოვრები ქართველი, სადაც არცერთი აფსუური გვარი არ იყო (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997).

ამრიგად, ახუბაია–ახობაია, შდრ. ახობაძე

აბშილავა აბშილი კოლხეთის ტომი, ძველი ეთნომიმი. (ჯავახ, ტ. I, 427); ლაზების მოსაზღვრე აფშილებია, აბშილებს საზღვრავს აბაზგები“. შდრ. **აბშილავა, აბშილა**

სწორი ფორმაა აფშილავა; ბ და ფ ბაგისმიერი ბგერების მონაცვლეობა ხშირია ქართველურ ენებში. ყველა აფშილავა წარმოშობილია ოცინდალედან. დღ. ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. მუხურიდან არის წასული საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ოცინდალედან იყო მათი ბაბადიში /დიდი მამა/.

სოფელში დღესაც არის აფშილავებისა და თოდუების სალოცავი. გვანცელაძე, ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქ. (მცხ. 1905 წ. აქ აფშილავების რამდენიმე ოჯახი იყო (ჟურნ. „მგზავრი“, №2-4), 16 იანვარი, 1905 წ.). ამჟამად აფშილავების ოთხი ოჯახი მოსახლეობს ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ჭოლის თემის ცენტრში, საშ. სკოლიდან 200-300 მეტრის მოშორებით. ერთეული ძვ. კოლხეთში ჩამოყალიბებულია თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. თავდაპირველად მოიცავდა ახლანდ. გალის რ-ნს.

I-II ს-ში ა. სამთავროდ აფშილეთი იქცა. IV ს-ში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. V-VI სს-ში აფსილთა ჩრდილოეთის გადანაცვლებათა გამო აფშილეთი ახლანდ. სოხუმისა და გულრიფშის რ-ბის ტერიტორიას მოიცავდა. იმხანად იგი ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. VIII ს-ში ეგრისის დასუსტების შემდეგ აფშილეთი აბაზგიამ დაიმორჩილა. ამის შემდეგ სახელწოდება „აფსილი“; „აფსილეთი“ წყაროებში არ გვხვდება. (ქსე).

ზანელი აფშილაველები თავად აფაქიძეთა ყმა-გლეხები იყვნენ (სოსელია, III, 162).

„გოგო... აფშილავა ანა-ცირა“ ქალი 1826 წ. სალაყიას მიყიდა კაცია აფაქიძემ 400 მარჩილად (მარჩილი – 10 კაპ.) (სოსელია, III, 170.)

ა. როზეტა ქაჩბეს ასული, მადონა, ნინო, ნატო რაულის ასულები, როლანდი, კარბეს ძე, ფრიდონი კარბეს ასული, ოჩამჩირის რ-ნის სოფ. რეკას მცხოვრებნი იხსენიებიან ეროვნება ქართველის 1990 წ. მარტში აღდგენილთა სიაში (ისტ. და ეთნ. ინსტიტუტის, ოჩამჩირის საქმე).

ა. აკაკი ანდრიას ძე. დ. ოჩამჩირეში, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, დოცენტი, აფხაზეთის კულტურის დამსახურებული მუშაკი.

აფშილავების საგვარეულო 206 სულს ითვლის (ლანჩხუთი – 66, ზუგდიდი – 29; წალენჯიხა – 29) (გვარ-სახ. საქ.)

ა. სვ. მოსახლ. დღევანდ. ზემო სვანეთის რ-ნის სოფ. დოლში. (XIII ს-ის II ნახ.) (სვ. ძეგლ. 150).

აფხაზავა აფხაზ-ი ძვ. ეთნონიმი აფხაზავა კოლხური ფორმაა. ლეაფხაზე-ხაბუმე, სააბხაზო-ჭოლა (ჩხორ. რ.), მერხეული (გულრ. რ.). აფხაზავა უწყინარას, ქაქალიას ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა... (1621). ა. გახიჭულა, ფაცქიულია, გვანიბიას მართებთ დარჩელის სასახლის ბეგარა (1621). ა. ბოჯოჯია დარჩელის მცხოვრებთ გაკაკა, გარიჯულა, გვანება, უწყინარ, ფაცქიულაი, ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა (1621). (ჰალ) ა. საქუჩულორიოს მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა... (1621).

აფხაზავას გვარს საფუძვლად უდევს აფხაზის აღმნიშვნელი ეთნონიმი აფხაზა, რომელიც მხოლოდ ამ ფორმით დასტურდება მეგრულში (შდრ. თვით აფხაზური აფსუა, აფხ. რომელიც განსხვავდება ბგერითი შემადგენლობით. -ვა სუფიქსი საერთო ქართველური მაწარმოებელია. გვარის აფხაზურობის მტკიცება არ შეიძლება.

აფხაზავას საგვარეულო 1683 სულს შეადგენს (ლანჩხუთი – 343, თბილისი – 245, ზუგდიდი 296). გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებულ გვართა სიაში და რაოდენობის მიხედვით 564-ე ადგილზეა (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

„ნარატიული საისტორიო წყაროები, არც ენობრივი მასალები, არც ფორკლორული, არც ეთნოგრაფიული მასალა და. არც ლაპიდარული წარწერები არ გვიჩვენებენ, რომ აფხაზები ამჟამინდელი აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობაა, მეტიც, ისინი ამ მიწა-წყალზე არ ჩანან 1561 წლამდე“. ეს ის თარიღია, როდესაც აფხაზები ჩრდ. კავკასიიდან გადმოსახლდნენ დღევანდელ აფხაზეთის ტერიტორიაზე (თ. გვანცელაძე, ჟურ. ქართული მემკვიდრეობა, 3.58).

1636 წლიდან კახეთში, სოფ. კარდანახში ცხოვრობდნენ აფხაზიშვილები „ესენი არიან აფხაზეთიდან მოსრულნი, ოდეს იწყეს მაჰმადიანობა აფხაზთა. ესენი მოვიდნენ კახეთსა და მეფემან თეიმურაზ მიიღო თავადობისა ხარისხითა აფხაზად წოდებულნი, რომელნიც იწოდებიან აწ აფხაზიშვილებად და უბოძა კარდანახს სახარო მამულნი და ყმანი და მუნდ ცხოვრობდნენ, მუნდ ჟამიდან წელსა 1636 წელსა და არიან ერთსახელად“ (ი. ახუაშვილი, გვ. 232)

1788 წ. აფხაზი ნიკოლაი მოხსენიებულია, როგორც თავადი, მთლიანი საქართველოს მეფე ირაკლი II-ის მიერ (1788 წლის 6 სექტემბერს დამოწმებულ ბეჭდის დასმით. (ხახანოვი, 20).

აფხაზმა თავადმა დაიჭირა რამდენიმე საეკლესიო უპატრონო გლეხნი და ძალით იყმო. გლეხები აუჯანყდნენ. ერთი კევრში შეაბა და ზედ შეაჯდა, ამომხდეს სული, მაგრამ ჩემს გვარს კი არ გავხდი შენს მონათო... გლეხი თავადმა მოკლა (დაახლ. 1840, საქ. ბ/ყმ. მასალები, თბ. 1925, 10).

1554 წ. ალგეთში ლვალთას ხევის მარჯვენა მხარეზე, ბოლნარეთის საზრეთით, ხოი-ბუკის ჩრდილოეთით იხსენიება მებატონე, „აფხაზი". თინათინ ივანეს ასული, როგორც მამულის მქონე თელავის მაზრის სოფ. ძველ გავაზში, მამულების საჯარო ვაჭრობის განცხადებაში („იერია", 1902, №245).

აფხაზი დიმიტრის ვალში 1850 წ. 20 თებერვალს დანიშნულ ტორღზე გაიყიდება მისივე ყმათა შვიდი კომლი. (საქ. ბატ/ყმ მასალები ზ. ჭიჭინაძისა, თბ., 1924, 128).

აფხაზავა ი. მოხსენიებულია, როგორც თბილისის სახელმწიფო გლეხი (1845). (სცსა, ტ. 4. აღწ. 2 ჯს. 3102).

არის აფხაზავას გვარის მეორე ვარიანტიც — აფხაზიშვილები, იხ. ზემოთ რომელთა საგვარეულო ამჟამად 451 სულს ითვლის (თბილისი — 101, გარდაბანი — 28, გურჯაანი — 9) (გვარსახ. საქ.)

ამგვარად, ქართველი მეფეები აფხაზეთიდან გადმოსულთ გვარში პრეფიქსს უტოვებდნენ, ხოლო სუფიქსად შვილს ურთავდნენ. ასე მოხდა შარაშიას მეგრული გვარის რამდენიმე ვარიანტის გამოჩენა: შარაშენიძე, შარაშიძე, შარვაშიძე, შარაშენიძე... (იხ.).

შეუსწავლელია კახელი აფხაზიშვილების ეტიმოლოგია; ეპონიმური გვარია იგი თუ ეთნონიმური? სვამს საკითხს აკადემიკოსი ო. ჭურღულია და პასუხობს: „კახელი აფხაზები აფხაზიშვილებადაც იწოდებოდნენ და წარმოადგენდნენ კახეთის ფეოდალთა ძლიერ საგვარეულო შტოს. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში კი ეს საგვარეულო პოლიტიკურად და ეკონომიკურად ისე მომძლავრებულა, რომ ცნობილ თავადებს — ვაჩნაძეებს ისინი თავიანთ მეტოქეებად მიუჩნევიათ და სასტიკი ფარული ბრძოლა დაუწყიათ მათ წინააღმდეგ. ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის ერთი უკეთესი შვილთაგანი ლევან ბაგრატიონი, ამ ორი საგვარეულოს ფეოდალური შუღლისა და ქიშპობის მსხვერპლი გამხდარა". (ო. ჭურღულია).

აფხაზები იხსენიებიან აჭარის სოფლებშიაც: „დედა-ბერა, აქაც სახლობენ აფხაზნი. ამ სოფელს დღეს სახელი გამოუცვალეს და სტეფანოწკა ქვიან, ადრინდელი ბათუმის ოკრუგის უფროსის გვარია“ (დაახლ. 1840-50 წ. წ.). ურები, „ახლა ამ სოფელოს ფერიას უწოდებენ. ეს სახელი ამ სოფელს მას შემდეგ დაერქვა, რაც აქ აფხაზეთიდგან აფხაზები გადმოსახლდნენ. აფხაზებისგან წინად აქაური ქართველები მაჰმადიანები ძლიერ შეწუხებულნი იყვნენ. აფხაზებს აქ ქართული ენა კარგად შეუსწავლიათ...“ ყარა-შარვალი, „აფხაზები ცხოვრობდნენ, წინად აქ ქართველნი სახლობდნენ. სოფელსაც ქართული სახელი ეწოდებოდა. აფხაზებს ქართული ენა შეუთვისებიათ ქართველ მაჰმადიანთა მეოხებით“.

ა. აკაკი არქიპოს ძე (დ. 1908-1988) დ. ლანჩხუთის რ-ნის სოფ. არჩეულში. სოფლის მეურნ. მეცნ. კანდიდატი (1969), დიდი სამამულო ომის მონაწილე, საქ. მეცნ. აკადემიის სწავლული მდივანი (1958-1969)... საქ. სსრ სახ-ფო პრემიის ლაურეატი ტექნიკისა და მეცნიერების დარგში (1985) (ჯაფარიძე ს., 216).

ჩხოროწყუს რაიონის მეორე ჭოლის ტერიტორიაზე ცხოვრობდა 30 ოჯახამდე აფხაზავას გვარის მატარებელი. 1949 წელს ისინი გეგმიანი გადასახლების მიზნით აფხაზეთში, კერძოდ გულრიფშის რ-ნის სოფ. მერხეულში გადაასახლეს.

ამჟამად ჩხოროწყუს რაიონში 22 კომლი აფხაზავა ცხოვრობს 112 სულის რაოდენობითაა და უმრავლესობა აფხაზავას გვარს ატარებს.

აფხაზავა ი. (მთლიანი სახელი დოკუმენტში არაა) მოხსენიებულია 1840 წელს როგორც თბილისის სახელმწიფო გლეხი (სცსა, ფ. 4, აღწ. 4207 ძვ. აღწ. 2 საქმე, 3102.

აფხაზი დიმიტრი 1850 წ. 20 თებერვლის დანიშნულ ტორღზე გაიყიდება, მისივე ყმათა შვიდი კომლით (საქ. ბატონიშ. მასალები ზ. ჭიჭინაძისა, თბ., 1924, 12Ე).

ა. იროდი ერასტის ძე, ოჩამჩირის რაიონის ჯგალში მცხოვრები, მოხსენიებულია 1990 წ. მარტში ეროვნება ქართველის დაბრუნებულთა სიაში. (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე).

ხაბუმის თემის ეგ. წ. „ლეაბხაზეში“ (1925 წ. მონაცემებით) იყო 12-15 მოსახლე, დაახლოებით. 70-80 სულამდე. აფხაზი ამჟამად დარჩენილია 6-7 ოჯახი.

დასკვნა: 1561 წლამდე აფხაზეთის დღევანდელ ტერიტორიაზე არ სახლობდა არც ერთი აფხაზი. აღნიშნულ 1561 წ. ისინი გადმოვიდნენ

ჩრდილოეთ კავკასიიდან. გვარის მეგრული ვარიანტი აფხაზავა" საშეგრელოდან შევიდა. ამჟამადაც აფხაზავას გვარის მატარებლები მოსახლეობენ: სამეგრელოში, გურიაში, იმერეთში, ხოლო კახეთსა და ქართლში შეცვლილი გვარებით აფხაზიშვილებად იხსენიებიან.

აქირთავა ადგ. გამოთქმა აქირთაა. ვეკიქრობ ნაქართველარი გვარია. აქირთავები მოსახლეობენ გალის რ-ნის სოფ. ჭუბურხინჯში, ერთი ოჯახია ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ნაკიკიანში (ადგ. გამოთქმით ნაკიანი).

აქირთავა 223 სულს ადგენს (ზუგდიდი — 108; თბილისი — 40; ჩხოროწყუ — 13), (გვარსახ. საქ-ში,)

აქუბარდია ა — ქუბდი, ა — წან აკიდური. ქუბრდი (ფშ.). ხის სამარილე ხუფინი (ქეგლ)

გვარი შეტანილია საქართველოს 25000-ზე მეტ ყველაზე გავრცელებული ათას გვართა სიაში და რაოდენობის (1107 სული) მიხედვით 963-ე ადგილზეა (გაზ. „საქართველო", 6-8 მარტი, 1997).

ალაია გვარი 28 სულს შეადგენს (ზუგდიდი — 28; თბილისი — 9; წალენჯიხა — 3) (გვარსახ. საქ-ში, 30)

აშვეთია გვარი აშვეთია 150 სულისაგან შედგება (ქუთაისი — 74; ტყიბული — 4; თერჯოლა — 1) (გვარსახ. საქ-ში).

აშოთია 1. მგრ. აშო — აქეთ, (იშო კი იქით), თი — თური — მოგვარე — აქეთური; 2. საკუთარი სახელი შოთა „აშოთია იშოთია რენია". (ხალხ. სიბრძნ., 99).

აშოთიას საგვარეულო 175 სულს ითვლის (ტყიბული — 101, ქუთაისი — 28; ლაგოდეხი — 21) (გვარსახ. საქ.).

აშორდია აშო — რდია, მგრ. 1. აშო — აქეთ, რდი-ა — იყავ — აქეთიყავ; 2. შორდი (მგრ.) — ფოთლიანი შტო. (ფიფია დ.).

აშორდია თადა. ზუგდიდის რ-ნის სოფ. ცაიშის მასწავლებელი, რომელმაც დააყენა საკითხი სკოლებში მეგრული ენის სწავლების შემოღებაზე. ეს მოინათლა აშორდიზმად და ბასტიკად იქნა დაგმობილი მოწინავე ქართველ მწერალ-მოღვაწეთა მიერ; ცნობილია ავანტიურისტი აშორდია, რომელიც ყალბი აზნაურობის საბუთებს არიგებდა.

აშორდიას გვარი 117 სულს ადგენს (სენაკი — 34, მარტვილი — 23; თბილისი — 23) (გვარსახ. საქ-ში,).

აშორტია (იხ. აშორდია) გვარი აშორტია 269 სულს ადგენს (მარტვილი — 89; ზუგდიდი — 77; ფოთი — 26), (გვარ-სახ. საქ-ში,).

აშხარაა, აშხაუა მთიელს ნიშნავს. შხარა მთას ჰქვია ზემო სვანეთში. აშხარაა გავრცელებელი ქალღმერთის კულტი იყო მცირე აზიაში (ჯიშკ. ხეთ. პრობლ., ლიპარეტ., სვ. ლეჩს.).*

ბაავა ეტიმოლოგიას ვერ ვიგებ. ბაავა შეტანილია (ბიჭვინთის) საკათალიკოსო მამულების ნუსხაში (1449-1564).

ბაახია ადგ. გამოთქმით ბახია. ბაახ — რაიმეს დავარდნის ხმა. (იხ. ბახია).

ბაახია 52 სულს შეადგენს (აბაშა — 39; თბილისი — 9; ქუთაისი — 4), (გვარ-სახ. საქ-ში,)

ბაბალუა ბაბა-ღუ-ა, ბაბა-მამა, ღუ (მეგრ.) ფრინვ. — ჭოტი-ა-რის; ბაბაღუა — ბავშვის მამისადმი ხუმრობით მიმართვა; შდრ. ქართ. მეტსახელი ჭოტიკა, ბუკნაჭია.

ბაბილუა სვანური წარმოშობისაა ბაბილა საკ. სახელი + საგვაროვანო დაბოლოება — უან ან სხვათა (ჩუბ.); ბაბილი (ლენტ. რ.), საბაბილო-ჭუბურხინჯი (გალ. რ.); ბაბი (ხარაგ. რ.). აქედან უნდა იყოს **ბაბილაია**. მეორენაირი ახსნით, ბაბილუაში შესაძლოა ნაგულისხმევი იყოს საკუთარი სახელი ბაბილა შდრ. ბაბო, სვანური გვარი ბაბლუანი, ქართ. გვარსახელი ბაბილაშვილი.

გვარი 176 სულს შეადგენს (ფოთი — 96, სენაკი — 44, თბილისი — 7) (გვარსახ. საქ.).

ბაბკოთი „ბაბკოჩის გამონაყოფი და დასახლებული ადგილია. მისი თი-მისი ოჯახი სახლობდა აქ, დიდი ოჯახი", ე. ი. ლესიჭინეში, (მთქმ. სიჭინავა ეზიკ პეტრეს ძე, 58 წ.. ლესიჭინე (ჩხორ. რ.) (გეგეჭკ. ჰუზ., 79).

ბაბუა გვარდაქცეული მამის ან დედისმამის სახელი; ბაბულაია (გულრ. რ.). ხიდი, სოფ. ბაბუას ხიდა (ხონის რ.); ბაბუ-შარა, ბაბუ-ბაბუ, შარა-გზა. ბაბუა მამაკაცის საკუთარ სახელად არსაც იხმარება ხევსურეთში.

იმერეთში გავრცელებული გვარია ბაბულაძე, ბაბუნაშვილი.

ბაბუტია გვარდაქცეული ბავშვის მოფერებითი მიმართვის ტერმინი ბაბ-უტ-ია, სადაც ბაბა ნიშნავს მამას ან ბაბუას, -უტ კნინობითობას გამოხატავს, -ია ბოლოსართი გვარის საწარმოებელია. ბაბუტია სამინა ცაიშელი, ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა... (1616-1621) (პალ). შდრ. ბაბუთია.

ბაბუჩკოჩი მეგრ. ბაბუჩ-კოჩი, (ბაბუშკოჩი) ბაბუჩ-ბაბუას, კოჩი-კაცი. მოფერებით ნათქვამი და შერქმეული შვილიშვილისათვის. ბაბუჩკოჩში ნათ. ბრუნვის ნიშანია. ბაბუჩკოჩი მოხსენიებულია მათხოვკელ ყმათა სიაში (1621), (პალ).

ბაბუხადია აბ-ბაბუ, ხად-ი – უხმობს, ეძახის, უწოდებს (ქეგლ) ამ გვარის ვარიანტს წარმოადგენს უნიანი ბაბახადია გვარსახელი. ბაბხაიას გვარით მოსახლეობენ გალის რაიონში.

ბაბუხადია 453 სულისაგან შედგება: (ქუთაისი – 175; ტყიბული – 119; თბილისი – 69), (გვარსახ საქ-ში,).

ბაბუხადიები (ბაბხადიები) მოსახლეობენ სოჭის რ-ნის სოფ. პლასტუნკაში მცხოვრებ ქართველებს შორის. აქვეა ტოპონიმები: ბაბუხადიების კუთხე, ვასილ ბაბუხადიას ნაყანევი, მარკოზ ბაბუხადიას სათევზაო (სათებზია) ღელე. ამავე გვარის ვარიანტი ბაბღავა გავრცელებული გვარია გურიაში.

ბაგათელია 2ელ სადაურობაზე მიგვითითებს, ბაგათა დასახლებაა ჩხორ. რაიონის სოფ. სარაქონში, ბაგათათა სოფლ ცხინვალის რ-ნის ხეთაგუროვის თემში, ბაგატას კლდე ტოპონიმია გულრიფშის რ-ნის სოფ. ლათის ტერიტორიაზე.

ბ. ვანო იგორის ძე დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ბესლახუბის მცხოვრები, 80 წ., ქართულ ეროვნება დაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

ბაგათელიას საგვარეულო 421 სულს ითვლის (ზუგდიდი – 307; ჩხოროწყუ – 32; ფოთი – 17) (გვარსახ. საქ.).

ბაგაპშ ლაზური გვარია.

ბაგბაია იხ. ბაგაპშ, ბაღბაია.

ბაგია ბაგი – საკ. სახელისაგან მოდინარეობს. ბაგია ჭითანავას, ემართა ხაუჟელის სასახლის ბეგარა... (1621)

ბაგრატია ნაწარმოებია საკ. სახელ ბაგრატისაგან.

ბაგუძლა ბაგუძლა ნაწარმოებია საკ. სახელ ბაგუძლასაგან. ბაგუძლაი გვანიშლაი, ემართა ნაჭალეულის სასახლის ბეგარა... (1621).

ბაგშლია ეტიმოლოგია საძიებელია (ბაგშლია – ბაგაშელია)

ბაგშლია გვარი მოხსენებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინაში 1837 წ. აღრიცხვის სიაში (გაზ. „ საქართვ.“, სპეც. გამოშ ვ., მარტი, 1997).

ბადია ამ გვარსახელს საფუძვლად დასდებია ბადია ადამიანის საკუთარი სახელი. შდრ. ტოპონიმი ბადიაური კახეთში, სოფ. საგარეჯოს რ-ში. ღირსსაცნობია ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივში“ მოხსენიებული ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი მოქმედი პირი დათია ბადიაშვილი. შდრ. ბადია წყაროგზის მცხოვრებს ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა (1616-1621). ბადია მომრიდიას მართებს თილითას სასახლის ბეგარა... (1621).

ბადურია. ეტ. ბადური მგრ. — ოსხირი, კედლის ფიქრების შესაყრელი ვერტიკალური სქელი ფიცარი, რომლის დახმარებით კედელი შენდება. ან სხვაგვარი ახსნით, იგი შეიძლება წარმომდგარი იყოს ბაჰადურ-ბაადურ ადამიანის საკუთარი სახელისაგან. შდრ. ქართ. გვარი ბადურაშვილი.

ბაზბა იხ. ბაზირბაია. ბაზირბაია ბაზიარი, გვარადქცეული თანამდებობა — მოსაქმეობის ტერმინია (სპარს. ბაზიარი); ბაზიერი მექორე — მეშავარდნე (საბა). გვარი მოხსენიებულია სოფ. აფიცხუში (შავი ზღვის სანაპირო, ტოპონიმი ქართულია) 1844 წ. 300-მდე მცხოვრებ ქართველთაგანი (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ბათაია (იხ. ბათარია) 1858 წ. სოფ. ნახუნოვის (მარტვ. რ.), თავად ფალავების წინაალმდეგ 80-კაციანი აჯანყების მეთაური გლეხი.

ბათია იხ. ბათარია.

ბათარია გვარადქცეულლი სოფლის სახელი — ბათარი სოფელია სენაკის რ-ნის ოდიშის დაბლობზე.

ბათუა საკ. სახელი ბათუ: 1.ურარტუულში VIII-VII სს. ჩვ. წ-მდე (გ. ჟორდ. 130). ბათარა (სენაკ. რ.) შდრ. ისტორიული პიროვნების, მონგოლი ყაენის სახელი ბათუ. საინტერესოა ძაღლის სახელი ბათურაც. ბათუა — ბათუში — დან. 1. ბერძ. „ბათოს“ ან „ვათოს“ სიღრმეს, ღრმას ნიშნავს; 2. „პროფ. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, უნდა ენათესაებოდეს სვანურ სიტყვას „ბაჩ“, რაც ქვას ნიშნავს - გოგატ. 11).

ბაკარია მცენარეა, რომელიც ტანისამოსს ეკვრება.

ბაკურია ბაკური მომდინარეობს სპარსულ სიტყვა, უფრო სწორად წარმართულ ტერმინ „ბაკურიდან“... ნაწარმოებია ჩინეთის იმპერატორთა ტიტულიდან, ნიშნავს კი ზეცის, ღვთის შვილს, ხოლო ვარაზ ბაკური — უძლიერეს ღვთისშვილს შდრ. ტოპონ. ბაკურიანი.

ბაკურ საკ. სახელისაგანაა წარმომდგარი. ბაკური მოიხსენიება ეგრისლაზეთის მეფედ II ს-ის შუა წლებში. იმერეთში გავრცელებულია კნინობითობის გამომხატველი სახელები ბაკო, ბაკულა (ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, დ. კლდიაშვილის ერთ-ერთი მოთხრობის „ბაკულას ღორების“ მთავარი პერსონაჟია. ბაკურია კაჭიჭია, ხიბულას მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა — ყოველდღე კამერის შენახვა (1621).

ბაკურია მგრ. ბაკუა — ტკეპნა. აქედანაა მიღებული გვარიც; ბაკურეთი სოფელია (ჩხორ. რ-ში). დადიანების განკარგულებით შინაყმებს ამ ვაკეზე ტყე გაუჩეხავ, ეკალბარდისაგან გაუწმენდიათ და დადიანებისათვის

ცხენების საჯირითო მოედანი მოუწყვიათ. დადიანებს ამ „იპოდრომის“ მეთვალყურედ დაუნიშნავთ ყმა ბაკურა, საიდანაც წარმოდგა ამ უბნის სახელწოდებაც — ბაკურეთი, აქედან კი გვარი — ბაკურია. (გაზ. „ნაპერწკალი“, 19VII, 69).

გვარი 96 სულია (მარტვილი — 53; თბილისი — 19; ქუთაისი — 6). (გვარ-სახ. საქ-ში). ბაკურია ჩხოროწყუს რ-ნში მხოლოდ ტოპონიმია, გვარი არაა, შდრ. ბაკურაძე.

ბალავა ა-ბალშ (აფხ.), ბალიში (მეგ.), დ. გულია, ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934) გავრცელებული გვარია გურიაში. შდრ. ბალავაძე...

ბალავაძე ვახტანგ მიხეილის ძე. დ. 1927, სოფ. ღანირში (სამტრედიის რ-ნი), ქართველი სპორტსმენი თავისუფალ ჭიდაობაში, სსრკ სპორტის ოსტატი.

ბანძავა ნაწარმოებია სოფლის სახელისაგან — ბანძა (მარტვილის რ.), ბანძავა უნდა ნიშნავდეს ბანძელს, ისე როგორც სვირავა სვირელს. აქედანაა ბანძელაძე.

ბანძა შედიოდა ქუთაისის ოლქის სენაკის მაზრაში და ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი (2122 სული) მეგრელებით დასახლებული სოფელი იყო. („კაკ. კალ.“, 1902 წ. 252). ამჟამად ბანძავა 276 სულს შეადგენს (სამტრედია — 151; თბილისი — 53; ზუგდიდი — 23), (გვარსახ. საქ-ში).

ბაჟინავა — ბჟინავა,შდრ. მეგრ. ბჟა, მზე. მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში, შერვაშიძეთა რეზიდენციაში სახლობდა 400-მდე კომლი, აქედან 130-მდე გვარეულობიდან ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის ბჟინავაც. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშ., მარტი, 1997).

ბარათელი ბარათი — წერილი. გვარში ელ სადაურობაზე მიგვითითებს. ბარათელის გვარი 659 სულს შეადგენს (თბილისი — 157; მარტვილი — 135; აბაშა — 117) (გვარსახ. საქ-ში).

ბარათელია (იხ. ბარათელი).

ბარათელიას გვარი 59 სულია (აბაშა — 20; თბილისი — 13 სენაკი — 12) (გვარსახ. საქ-ში, 36).

ბარამია 1. ბარამ გამარჯვების ღვთაების სახელია (ჭუმბ.); 2. ბარამ მიღებულია მრავალსაფეხურიანი გარდაქმნის გზით ავესტური ვერეთაგნასაგან. ეს არის სახელი გამარჯვების ღვთაებისა, რომელმაც დაამარცხა ბოროტი დემონი — ვერეთრა; ლებარამიე — კიწია (მარტვ. რ.), ახუთი (ჩხორ. რ.), ბაღმარანი (გულრ. რ.). აქედან უნდა იყოს ბარმბია.

გვარი ბარამია გვხვდება გურიაში. იგი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებულთ გვართა სიაში და რაოდენობის (1385 სული) მიხედვით 727-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ“, 6-8 მარტი, 1997).

ბარამია გრიშა ბაგრატის ძე მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ბესლახუბის მცხ. და ეროვნება-დაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

ბ. ბაბუცი დიმიტრის ასული, ახუთი (ჩხორ. რ.), საქართველოს დამსახ. მასწავლებელი („კომ. დრ.“, 27.10.83).

ბარამიას გვარი 1385 წულისაგან შედგება (ზუგდიდი – 337; მარტვილი – 256; თბილისი – 244). (გვარ-სახ. საქ-ში).

ბარდია, ბარდი (აფხ., მგრ. დ. გულია, ხელნაწ. ინსტ. ს. № 1934). მომდინარეობს ბარდა შერქმეული სახელისაგან ან ეკალ-ბარდისაგან; ლებარდე – კურორტია მარტვილის რ-ში. შდრ. არდია.

ბარგანჯია გვარადქცეული რელიგიური თვალსაზრისით დანათებული ცეცხლის კოცონი, სახელი, რომელსაც აფხაზეთსა და სამეგრელოში ანთებდნენ მარიამობის დღესასწაულის წინა ღამეს „ეშმაკების დასაფრთხობად“. (იხ. გარგანჯია); 2. ბარგ-ანჯ-ია, ბარგ ბარგუა (მგრ) – მარგელა, პირველი თოხი (სიმინდის), ანჯ – მგრ. – ანჯერი – ბალახ მორეული (ყანა).

ბარგანჯია მოხსენებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კინდღის მცხოვრები ქართველი, მე-19 ს. I ნახ-ში, სადაც აფსუათა გვარი თითზე ჩამოსათვლელი იყო. („საქართველო“, სპეც. გამოშ., მარტი, 1997).

ბარგანჯია 27 სულს შეადგენს (ზუგდიდი – 14; თბილისი – 12; ფოთი – 1) (გვარ-სახ. საქ-ში, 36).

ბარგატია საკ. სახელი ბარგატი – ბარგატი. ბარგატის გვარი 26 სულს შეადგენს (მარტვილი – 21; ზუგდიდი – 1; ფოთი – 4), (გვარ-სახ. საქ-შ ი, 36).

ბართაია ნაწარმოებია ადამიანის სახელის (ან მეტსახელის) ბარათა (ბართასაგან). შდრ. ბერქაია.

„ბარათი ქართულად ავთრათი, წერილი“ (საბა); ლებართიე-გაჭედილი, აბედათი–ბართაია (მარტ. რ.), ბართია დიხაზურგა (გალ. რ.). საინტერესოა იმერეთში გავრცელებული გვარი ბარათელი, რომელშიც -ელ შესაძლოა წარმომავლობის სუფიქსი იყოს. შდრ. ქართ. ბარათაშვილი. ბარათაულისწყალი, მდ. ჭვანის წყლის მარცხ. შენაკადი; ბართაული სოფ. შუახევის რ-ში.

ბართაია მოხსენიებულია კასტელის ალბომში, გვ. 658.

ბართიას საგვარეულო 581 სულს ითვლის (მარტვილი — 300; ფოთი — 69; ზუგდიდი — 45) (გვარ-სახ.,)

ბარკალაია ნაწარმოებია ბარკალა ადამიანის მეტსახელისაგან ლებარკალეში ღალ-ლეძამე, ბარკაღელე — ნოქალაქევი (სენაკ. რ.); აქედანაა ბარკავა. საბარკალეთი სოფ. შიდა ქართლში — ახალგორის რ-ში. 1888 წ. სენაკიდან სოჭში გადასახლდა ბირკაიების რამდენიმე ოჯახი (გაზ. „ივერია", 1888 წ. იელისი).

ბარკალუა ბირკა — ხის არათვითმავალი ბრტყელფუძიანი უბრალო კონსტრუქციის „გემი". ასეთი „გემის" მმართველს, თუ წამყვანს მიეცა ეს გვარი.

ბარკავა ბარკალ-თეძო, ფრინველის ფეხი. მეგრ. ბორკ — ფეხი, ადამიანის თუ ცხოველის ბარკალი-ფეხის ნაწილი, მგრ. — ბორკი. ბარკავას გვარი 47 სულს ითვლის (თბილისი — 26; სამტრედია — 10; ზესტაფონი — 4) (გვარ-სახ. საქ-ში).

ბარკალაია (იხ. ბარკავა).

ბარკალაია პეტრემ სოხუმელებს ხუთი ათასი მანეთი შესწირა მოზარდი თაობის განათლების საქმესათვის. (გაზ. „ივერია", 1899, № 202).

ბარკალაიას გვარი 883 სულს ითვლის (სენაკი — 385; თბილისი — 265; აბაშა — 49) (გვარ-სახ. საქ-ში,)

ბარკალია (იხ. ბარკავა)

ბარმიშავა ბარმიში სოფ. გუდაუთის რ-ში. აქედანაა გვარი ბარმიშავა.

ბასარიაქბას — მამაკაცის დაბალი რეგისტრის ხმა.* ბასარია 242 სულია (ზუგდიდი — 340; თბილისი — 210; წალენჯიხა — 40) (გვარ-სახ. საქ-ში,).

ბარსავა შესაძლოა იგი ნაწარმოები იყოს ბარ სახელისაგან ბარსავა=ბარისელი ან რუსული** ბარსოვას გვარიდან იყოს წარმოქმნილი.

ბარქაია 1. ბარაქა (არაბ.) კურთხევა, მადლი, ბარაქიანი (დათიკ.); ნაბარქუ-თამაკონი (მარტვ. რ.), 2. ბარქაშ-ი (კოლხურად) სხვადასხვა ზომის მოღრმო ხის თეფში. იხმარებოდა ცომის მოსაზელად.

ბარქაია თბილისის „დინამოს" ფეხბურთელია გუნდის განთქმული თავდამსხმელი. ბარქაია გავრცელებულია გვარია გურიაში.

საგვარეულო 606 სულს ითვლის (ზუგდიდი — 153; თბილისი — 119; სენაკი — 108). (გვარ-სახ. საქ.).

ბასილაია — ბასილია ნაწარმოებია ბასილ (ბერძნ.) სახელისაგან. შდრ. ამჟამად რუსული გზით ქართველურ ანთროპონიმიაში დამკვიდრებული ვასილ ფორმა. ბასილი, მღვდელმთავარი, XI საუკუნის

ჰიმნოგრაფი (ჩვ. საუნჯე, ტ. 1, 56; ტ. 3, 98, 142, 181, 228). ბასილი – გრძელი პური კაცის სახით, ღორის ახალი ხორცით აცხობდნენ ახალი წლის წინაღამეს, წმინდა ბასილას საპატივცემულოდ... ბასილა მოხსენიებულია ქსნის ხეობის XIII ს-ის ყანჩაეთის შეწირულობის წიგნში: „ადამის ტომთაი მიქელის შვილმან ბასილი...“ (ძვ. საქ. ტ. 1, განყ. II, 64), ბასილი ბიჭვინთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთრის შემდგენელი (1621); ბასილი ჭყონდიდელი, მწიგნობართუხუცესი... პროტოიმპერტომისი... (1241-1242). ბასილი ბერი დამწერი ხონის საყდრის გამოსავლის წიგნისა (1616-1621). ბასილეთი (ჩოხტ. რ.).

ბასილაია გავრცელებული გვარია გურიაში. არის ბესიკას ფორმითაც. ბასილაია ბოშია, სალხინოს სასახლის უფროსი ხელოსანი (დაახლ. 1805 წ. (მეუნარგაია, 63). გვარი შესულია საქართველოში 25 ათასზე მეტი გვარის სიაში. (1485 სული) (მარტვილი – 508; თბილისი – 197; ზუგდიდი – 194), (გვარ-სახ. საქ-ში,)

ამ გვარის მატარებელთაგან ცნობილი პიროვნებანი იყვნენ შოთა ბასილაია (დ. 1912-1982), ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი, წლების მანძილზე სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი.

ბ. ნიკანდრო ერასტოს ძე (1906, 1986), ფილოლ. მეცნ. კანდიდატი, დოცენტი. გამოჩენილი მეცნიერი, მკვლევარი, პედაგოგი, მრავალი მეცნ. ნაშრომის ავტორი.

ბასილია (იხ. ბასილაია) გვარი ითვლის 422 სულს (ჩოხატაური – 89; თბილისი – 79; ბათუმი – 57) (გვარ.-სახ. საქ-ში, 37).

ბატაია ნოვოროსიისკის სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ მოსახლე ტომი. აქედან გვარები: ბატაია, ბატონიშვილი. ბატაიაზე არის მეგრული სიმღერა „სიქოულ ბატა, მა დომიტალენქო“ – „შენ მიდიხარ, ბატა, მე კი მტოვებო“. – მისტირის ცოლი ბატალიონში მომსახურე ქმარს, რომელიც მოკლე ხნით დაბრუნდა ნოვოროსიისკის გადმოსასვლელებიდან.

ბატაია სიკო და მათი შთამომავლობა ლეონ II-მ გააზატა და თოფი აჩუქა.

ბატონიშვილი ტარიელის აზნაურები იყვნენ: ჭუჩულორიები, ჟვანიები, გვაჯაები, თვალთვაძეები (თვართვაია) და შენგელიები. (სოსელია, III, 96).

ბატონიშვილი დუტუ მთავარ დავით დადიანის შეიარაღების რიგის კაცი (1847). (მეუნარგია, ი. 66.)

ბ. ალექსი, ტაია (ტარიელ), სუჯუნის მაზრის მდივანბეგი დავით დადიანის დროს (1847). (მეუნარგია, ი. 144).

ბალათურია. ბალათურ (ბაძდურ სპ.) „გოლიათი“, „მამაცი“; ნაწარმოებია ადამიანის საკუთარი სახელისაგან... წინაპრები კლასობრივი წინააღმდეგობის ნიადაგზე ბატონის მკვლელობის გამო, გადმოხვეწილან და თავი ლეჩხუმისათვის შეუფარებიათ. თავიანთი გმირის, ბუმბერაზის, წარმომავლობა რომ დაემალათ, მოსულებმა თავი გურულებად გამოაცხადეს და დაირქვეს გვარსახელი გურული. (რ. თოფჩიშვილი, 16) გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტ ყველაზე გავრცელებულ ათას გვართა სიაში და რაოდენობის (1819 სული) მიხედვით 506-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997). ბალათურიას საგვარეულო 1819 სულს ითვლის. ამჟამად სოფ. უსახელოში ბალათურიების ერთი დიდი უბანია. ებალა + თური (მგრ.) შთამომავალი.

„...ბაშის რ-ნის სოფ. სეფიეთში ბალათურიების რვა ოჯახი მკვიდრობს. სოფლის მკვიდრს ნაჭილაქეველი ქვრივი შეურთავს, რომელსაც მოჰყოლია ვაჟი — ქაუჩი. ის ამ ოჯახში გაზრდილა და აქვე დაოჯახებულა. მისი შთამომავალნი არიან ბალათურიები. ბალათურია ხაბეიშვილების ოჯახში აღზრდილა. ამის გამო ხაბეიშვილები და ბალათურიები ერთმანეთის ნათესავებად თვლიან თავს და არც ერთმანეთზე ქორწინდებიან“. (ქართვ. მემკვ., IIIგვ. 54).

ბალბაია ა-ბალჩა (აფხ.), ბალჩა (მეგრ.) (დ. გულია, ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934). ბალ-ი 1. ხეხილის პლანტაცია; 2. ბალა — შენობა, სადაც ერთი კარი და შესასვლელი აქვს, ხეხილის შესანახად...

ბალბაიას გვარი 119 სულს ითვლის (ზუგდიდი — 47; თბილისი — 39; სამტრედია — 9) (გვარ-სახ. საქ-ში,).

ბალდავა ადგ. გამოთქმით ბალდაა. ბალდავები მოსახლეობენ იმერეთში (ბერძ. 444). ბალდადში არის თხმეციხე, ის ოსმალთა ციხედ რჩება. 723 წ. „ჩვენი გამჩანაგებლები, ტყვეთა გასაყიდი პუნქტი იყო“ (ნ. ბერძ. საქ. ისტ. გვ. 470).

ბალუსქუა ბალ-სქუა, მეგრ. ბალ 1. ბეღელი; 2. ხეხილის ნარგავები, ადგილი სქუა-შვილი. შდრ. ბალიშვილი, ბალოშვილი, ბალნაური.

ბაშავა თუ ბაჩაა, მაშინ ბაჩა საკ. სახელი, ბაჩი, ბაჩანა, ბაჩია, ბაჩუა... შდრ. ბაჩია (სპ.) ბავშვი. გურიაში გავრცელებული გვარია.

ბაჩილაა გადმოცემით, თავის ბატონმა ძალინ დაჩაგრა და საჩივლელად დადიანთან წავიდა. მაგრამ გაიგო, რომ ბატონი გორდას იყო წასული და მალე გამოიელისო ამ გზაზე. დაიჩოქა შესახვედრად, მაგრამ მთავარი დიდხანს დარჩა აგარაკზე და როცა დაბრუნდა, სხვა გზით წამოვიდა

და ბაჩილაა კი გზაზე იყო დაჩოქილი. (მეუნარგია ი., სამეგრელო დავით დადიანის დროს, 1939 წ.

ბაჩილავა საკ. სახელი ბაჩი, ბაჩა, თავმდაბალი შდრ. ხარჩილავა.

ბაჩილავას გვარი 752 სულისაგან შედგება (მარტვილი — 313; თბილისი — 114; ხობი — 106). (გვარ-სახ. საქ-ში.,).

ბაცანია ა-ბაცვ (აფხ.), ბაცუ (მეგრ.) დ. გულია, ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934. ბაცუ (მც.) ზღმარტლი (ელიავა, გ. ლექს.).

ბაცანია ქქმალათ, დანი ამისი: ხანწუკეხაჯხან და ხანძი მოხსენებულია. დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშში გაქრისტიანებულთა სიაში 1834 წ. იენისში (გაზ. საქართველო, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7; 10).

ბაცაცია ბაცაც-ი 1. ბაჭია, კურდღლის პატარა შვილი; 2. წვრილფეხა ქურდი.

ბაძაღუა ბარძღი — დაბალი ტანის მახინჯი კაცი (ქეგლ); ლებაძაღუე, საბაძაღუო — მუხური (ჩხორ. რ.), ძვ. აბაშა (აბაშ. რ.). აქედანაა **ბარძღუა**. ამრიგად, ბარძღუა — ბაძაღუა, ერთი მხრივ და **ბარძაღუა** — ბარძღუა, მეორე მხრივ.

ბაძაღუა იგორ ივანეს ძე ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ოხურეის მცხოვრები ქართველის ეროვნება დაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

ბაძაღუას გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტად ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 832-ე ადგილზეა (გაზ. საქართველო, 6-8 მარტი, 1997 წ.) (1230 სული) (მოსახლეობენ: ზუგდიდი — 350; ჩხოროწყუ — 278; წალენჯიხა 199) (გვარ-სახ., საქ-ში).

ბაჭულია ვფიქრობთ: 1. იგი ნაწარმოები უნდა იყოს ბაჭა-ია, ბაჭ-უა, ბაჭიკო (პაჭიკო), ბაჭო, ბაჭ მეტსახელისაგან. შდრ. ბაჭელ-ი — ხაჭოთი და არა ყველით (ვ. ბერ.); 2. ბაჭა — საქონლის ბორა,ტიპი. ბაჭულია ჯგალელი, ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა... (1616-1621).

ბახბავა უნდა იყოს ბაღბავა (ღ ბგერა დაყრუებულია); ბაღ-ბა-ვა, ბაღ-ბაღი, ბა-ვა ორმაგი სუფიქსით — ძე. მეორენაირი ახსნით, იგი შეიძლება ბაღუსაგან მომდინარეობდეს. შდრ. მეგრ. ბაღუ „ბეღელი". გვარი ბეღელაძე ახლაც ცნობილია საქართველოში (იხ. ბაღბაია).

ბახბავა 22 სულია (ზუგდიდი — 3; ფოთი — 19).

ბახია (იხ. ბაახია). 47 სულია (ზუგდიდი — 25; მარტვილი — 6; სენაკი — 6) (გვარ-სახე. საქ-ში).

ბახია უტა სოჭში სასტუმროს მქონე, სადაც 1905 წ. დეკემბერში

მოეწყო იარაღებისა და საბრძოლო მასალების საწყობი რევოლუციონერებისათვის. (ტულუმჯიან, 100).

ბ. ალექსანდრე, სამამულო ომის მონაწილე ავიაციის პოლკოვნიკი, აღზარდა ქართველების მიერ დაარსებულმა სოჭის ქართულმა სკოლამ.

ბაღარია საკ. სახელი ბაღა, ბაღა-ი, სოფ. გერგეტი. (ალ. ღლონტი, 84). გვარი იხსენიება წალენჯიხის რ-ნის სოფ. ჩქვალერში. ამჟამად ბაღირიები აქ არ ცხოვრობენ. არის ტოპონიმი ბაღარეთი (გაზ. „კომ. გზით", 27.8.83).

ბახია *ბახვა საკ. სახელია ჩასუქებული კაცისა. შდრ. ტოპონიმი ბახვი (გურიაში). გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის 1834-35 წწ. აღრიცხვაში, სადაც აფსუური გვარი თითზე ჩამოსათვლელი იყო, ქართველთა 156 სული იყო, მათ შორის ბახვია.

ბახვი სოფ. ოზურგეთის რ-ნში. სახელწოდება წარმომდგარია ბერძენთა ღვინის ღმერთის ბახუსისაგან, რადგან ეს სოფელი ძველთაგანვე განთქმული ყოფილა კარგი ღვინოებით (თ. სახოკიას მიხედვით, გიგატ. 11).

ბახბაია 47 სულია (ზუგდიდი — 25; მარტვილი — 6; სენაკი — 6) (გვარსახ. საქ-ში,).

ბახბავა (იხ. ბახვაია). ბახბავა 22 სულია (ზუგდიდი — 3; ფოთი — 19), (გვარსახ. საქ-ში,).

ბახბაია (იხ. ბახვაია).

ბახია ნაწარმოები ჩანს ბაღია ადამიანის მეტრსახელისაგან. ბაღია — ბახია. ბაღია ახლაც გვხვდება მეტსახელად იმერეთში. ლებახიე-ნავკავახო, ნავკახი (მარტვ. რ.), ბახიაშო (ბახიას) წისქვილი — სამიქაო (აბაშ. რ.). ბახვი სოფ. ოზურგეთის მაზრაში, სადაც 1897 წ. პირველი აღწერით მოსახლეობა 1516 სული იყო, ამჟამად კი ბახიას გვარი 445 სულს ითვლის (თბილისი — 161; მარტვილი — 87; ზუგდიდი — 56) (გვარ-სახ. საქ-ში).

ბაჯალა კნინობითი ტერმინია (მეგრ.) ბაჯალა — ბაჯგალას იტყვიან ბავშვის მიერ ახალდაწყებულ სიარულზე.

ბდღვილავა მგრ. ბურდღა — ფრინველის ბუნტული. აქედან ზმნა ბდღვნა-ც. იტყვიან „ჩიტი ნამდვილად ღირს ბდღვნად". შდრ. დღვილავა

ბებია მამის ან დედის დედა; საბებიო — თეკლათი (სენაკ. რ.) საბებიო-ქვედა და ზედა გარახა (ჩხორ. რ.); აქედანაა ბებიავა, ბებეა, შდრ. გვარსახელი ბებიაშვილი, რომელიც ფრიად გავრცელებულია იმერეთში, გურიაში. ბებია ოფიჩხუა საქუჩულორიოს მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (1621) (ჰაილ). ბებია ბაგათელიას ცოლს მართებს ოდიშის სამთავროს საკვიტაურო ბეგარა (1640).

ბებიას საგვარეულო 1362 სულს ითვლის (ჩხოროწყუ – 318; ზუგდიდი – 247; ფოთი – 187). (გვარსახ. საქ-ში).

ბებიავა (იხ. ბებია). ბებიავას გვარი 21 სულს ითვლის (თბილისი – 10; მარტვილი – 8; ქუთაისი – 3) (გვარსახ. საქ-ში).

ბებელია ბებველი მგრ. ძაღლის განავალი.

„ბებელია აშუა – ცოლი ამისი ნიკვა, ასული ამისი ხანძი“ მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშში, გაქრისტიანებულნი 1834 წ. იენისში. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7, № 8).

გავრცელებული გვარია. ის შეტანილია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1662 სული) მიხედვით 742-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ბებურია ნაწარმოებია ბებურ საკუთარი სახელისავან. ცნობილია ისტორიული პიროვნება ბებურ ვაჩნაძე, გვარი ბებურიშვილი. ბებურიანი, სოფ. ლაგოდეხის რ-ნში.

ბებურიას გვარი 171 სულს შეადგენს: (ზუგდიდი – 43; ფოთი – 34; სენაკი – 8) (გვარ-სახ. საქ-ში,).

ბეგაია ბეგონია 1. მეგრ. მარწკინია (ბოტ.) მანათობელა; 2. ბეგი (თურქ.) მთავარი შდრ. გვარები **ბაგაშვილი, ბეგიაშვილი; ბეგიური** სოფ. ჭიათურის რ-ნში.

ბედია ნაწარმოებია ბედ-ოსია საკუთარი სახელისაგან. იმავე ძირს შეიცავენ გვარები: ბედიანიძე, ბენდიანიშვილი. **ბედია** ცნობილია როგორც სამთავროს სახელი ბედია უძველესი სოფელია... მოხსენებულია... ქართლის მატიანეში სხვადასხვა კონტექსტში... „დიდმა ხელმწიფემ (ბაგრატ III, X ს.), ააშენა ბედიას ტაძარი, დააარსა იქ საეპისკოპოსო კათედრა“ (ქართლის მატიანე, 42), გააუქმა რა გუდავას საეპისკოპოსო; მდ. ეგრისის ზედა წელზე ადგილი ეგროს, სადაც მოვიდა თარგამოსის შვილი და ააშენა ქალაქი. მერე ამ ადგილს უწოდა ბედია (ვახუშტი); საბედიო – ძვ. სენაკი, ბედიაში ჩქონი (კუნძული) – ნოქალაქევი (სენაკ. რ.); ბედია (ოჩამჩ. რ.), ბედია, სოფ. გალის რ-ნში.

ბებუა (იხ. ბებია). ბებუა 81 სულს ითვლის (თბილისი – 40; ზუგდიდი – 17; სენაკი – 16). (გვარსახ. საქ-ში,).

ბეგია ბეგი – თანამდებობის პირი – მთავარი. ბეგია ირონდიონ საფრანგეთში მცხოვრები ქართველი. 1984 წ. 7 აგვისტოს საფრანგეთის 14 კაციანი დელეგაციის ტურისტული ჯგუფის წევრი (გაზ. „საქართვ.“. № 19, 1984, სექტ. გვ. 7).

ბედიანი „საქართველოს დასავლეთის ნაწილი სამეგრელოს მთავრის სამფლობელოს შეადგენდა. მთავარს ბედიანი ეწოდებოდა“ (ივ. ჯავახიშვილი), წიგნში: თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან. ცალკე ამონაბეჭდი „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, თბ. 1967, გვ. 171). ამასვე იმეორებს ზ. ანჩაბაძეც, მისი აზრით, „თავისი სახელწოდება საბედიანო მიიღო ბედიის ერისთავების ტიტულისაგან, რომლებიც ეკუთვნოდნენ სამეგრელოს წარჩინებულ გვარეულობას დადიანებს. (იქვე. გვ. 172).

IX-X სს-ში დასავლეთ საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში 17 აპრილიდან ერთ-ერთს ეწოდებოდა ბედიის ეპარქია (გ. როგავა, 81).

ბედიას გვარი 308 სულს ითვლის (თბილისი – 133; მარტვილი – 70; სენაკი – 35) (გვარ-სახ. საქ-ში).

ბევროზია ნაწარმოები უნდა იყოს ადამიანის საკუთარი სახელისაგან ბევროს. ბევრეული ქალის სახელი მოხსენიებულია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. იგი ერქვა ადარნასე მეფის კანონიერ მეუღლეს. ბევროზია მაღლაკს მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა... (1578).

ბეზუგლაია რუსული წარმოშობის გვარია. პირდაპირი თარგმნით „კუთხის არმქონე.“

ბეთია ეტიმოლოგია საკვლევია. ბეთიას საგვარეულო 44 სულს ითვლის (ზუგდიდი – 42; სამტრედია – 1; ხობი – 1). (გვარ-სახ. საქ-ში,).

ბეთია ბეთანიიდან კურორტი თბილისთან ახლოს, აქვეა რუსთაველის ეპოქის ძეგლი ბეთანიიის მონასტერ-სახლი სათნოებისა, დოდებისა ანუ მორჩილებისა (ლატაკის სახლი) (სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით) შდრ. გეთია (გოგატ.. 12).

ბეკეია გვარსახელი მომდინარეობს ბეკე (ბეკო, ბეკინა) პიროვნების სახელისაგან. „ბეკეია დავით, ყმა გლეხი, მცხ. ქუთაისის უეზდ. სოფ. ჯიხაიშში, გაიყიდება 1846 წ. 12 აგვისტოს კნიაზ ლორთქიფანიძის ვალში“ (საქ. ბატონყ. მასალები, თხ. 1924, გვ. 34).

ბეკეერია (იხ. ბეკეია). ბეკეერიას გვარი 44 სულია (ზუგდიდი – 45; თბილისი – 13; ფოთი – 12) (გვარ-სახ. საქ-ში,).

ბელაია ბელაია მდინარეა ჩრდ. კავკასიაში. ბელა ქართველი ქალის სახელია (იხ. ლეგენდა ზ. რატიანის წიგნში: წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო, თბ., 1995, გვ. 28-31). გვარი 27 სულს ითვლის (თბილისი – 11; ბათუმი – 5; სენაკი – 3) (გვარ-სახ. საქ-ში,).

ბელია (იხ. ბელაია) გვარი 97 სულისაგან შედგება (ზუგდიდი – 84; თბილისი – 7; წყალტუბო – 2) (გვარ-სახ. საქ-ში).

ბელქანია ნაწარმოებია ადამიანის მეტსახელისაგან. ბელქანი, რომელიც ახლაც გვხვდება იმერეთში. შდრ. ტოპონიმი ბელექანი საინგილოში. ქვ. ჩხოროწყუ (ჩხორ. რ.), – ნოსირი (სენაკ. რ.) საჩინო, ჯგალი, წალენჯიხის რ-ნი.) აქედან უნდა იყოს ბექანია, ბერქანია.

ბელქანია ვარლამ ივანეს ძე (1917-1985) ნაკიფუ (წალ. რ.) რესპ. დამსახ. მასწ. პერს. პენსიონერი, მრავალი ორდენის კავალერი.

ბელქანია ბულქიანი. მოსახლ. დღ. ზემო სვანეთის რ-ნის სოფ. ცხმარში (XIII ს-ის II ნახ.) (სვ. ძეგლ. 143). საკლესიაა მთიდან ბარში მიგრაციასთან გვაქვს საქმე თუ პირიქით, იქნებ სავარაუდებელია ერთიცა და მეორეც.

ბელქანიას გვარი 1381 სულს ითვლის (წალენჯიხა – 473; ზუგდიდი – 397; ჩხოროწყუ – 105) (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (3379 სული) მიხედვით 173-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

ბენდელავა ბენდელა ბანდალა (მგრ.) აქედანაა ბენდელიანი.

შდრ. ფენდერავა ძმები ბენდელიანები: ო. გ. და ა. გ. (დოკუმენტში სახელი და მამის სახელი არაა). გაგრაში 1905 წ. რევოლუციური მოძრაობის მონაწილენი, თბილისის პალატის მიერ 1907 წ. 5-13 ნოემბერში გასამართლებულნი. (ტულუმჯიანი, 57).

ბენდელიანი ჭიჭიკო ყაისარის ძე (დ. 1914, ჩოხატაური, 1944, სოფ. ბიტენი, ქ. კპუნასის მახლობლად), საბჭ. კავშირის გმირი (1943), გვარდიის მაიორი.

ბენდელავას საგვარეული 72 სულს შეადგენს: (ზუგდიდი – 41; სენაკი – 15; თბილისი – 8) (გვარ-სახ. საქ-ში, 41).

ბენდელიანი სვ. მოსახლ. ზემო სვან. რ-ნის სოფ. ღეშტერში

საკლესია მთიდან ბარში მიგრაციასთან გვაქვს საქმე თუ ... ეფიქრობთ, ერთიც და მეორეც.

ბენია გვარი წარმომდგარია ბენიამინ//ბენიამინ საკუთარი სახელისაგან: ბენიამინ ბენია შდრ. ბინო//ბენა საკუთარი სახელი, გვარი ბენაშვილი. გადმოცემით სამი ძმა გადმოსულან სამეგრელოდან და დასახლებულან: მუხურში, წარჩეში (გალ. რ.) და გუდაუთაში. ამჟამად ბენიები ყველაზე ბევრია ახალსოფელში (გუდ. რ.) – მიამბო ომის ვეტერანმა, მუხურელმა, 70 წ. აპოლონ ბენიამ.

ბენია დღნორისს მცხოვრები, ნესტან-დარეჯან დედოფალმა, თავისი მეუღლის ალექსანდრე (იმერთა) მეფის სულის მოსახსენიებლად ერთ კომლად შესწირა გელიას მონასტერს (1660-1667). (მასალები, 78).

ბენიას საგვარეულო 378 სულია (ზუგდიდი — 167; თბილისი — 63; ზობი — 30) (გვარ-სახ. საქ-ში, 41).

ბერაია მომდინარეობს ი პრეფიქსისა და ბერ ძირისაგან — იბერია ალმ. საქართველოს კუთხე, არსებობენ „ბერული ტომები" (მარი, ხინთიბიძე, 23). შდრ. ძვ. ქართულ ლიტერატურაში ცნობილი პიროვნება მწერალ-გადამწერის გვარსახელის ტოლფასი წოდება იოანე ბერა. ბერაია ბატკა მამია დადიან-გურიელმა განუახლა მისი შეწირულობა ბიჭვინთის ღვთისმშობელს. იგი ადრე კათალიკოს დავით ნემსაძეს შეუწირავს ბიჭვინთისათვის, მაგრამ ჟამთა ვითარებაში გამოწირულა (1689-1714) (პალ). ბერაია ბაძარალა, მამია დადიან-გურიელმა განუახლა მისი შეწირულობა ბიჭვინთის ღვთისმშობელს. იბერია მსოფლიოს უძველეს ონომასტიკაში გავრცელებული სახელია. გარდა კავკასიის იბერიისა, არსებობს პირენეის იბერია და მოიხსენიება ბრიტანეთის იბერია. ბერ ძირიანი 13 გვარია მეგრულ გვარსახელებში და ტოტემური წარმოშობისაა.

ბერაია — ბერაიების ერთი შტო იწოდება ახალკოჩის მოდგმად. ამ მოდგმის წარმომადგენელმა, დავით ბერაიამ, რომელიც ქ. ხობში ცხოვრობს, მიამბო: ყულევში ჩამოსულან იტალიელი ბერები, ალბათ მისიონერები, ერთი დარჩენილა სოფელში, შეურთავს მეგრელის ცოლი და მისთვის დაუქმევიათ ახალკოჩი ბერაია. (მასალა მომაწოდა გოგიტა ჩიტაიამ)

ბერაია ბერია ქართული სახელია, ძველი ქართულით ნიშნავს დამატებულს, ზედმეტს. (სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1995). შდრ. ბერია. ბერა ქრისტიანული სახელი არ არის.

ბერაია ვალერიან, გერმანელთა ტყვე, ტექსელის (ჰოლანდია) ქართველი პარტიზანების ავჯანყების აქტიური მონაწილე, ოცეულის მეთაური. (ქოჩიაშვილი, 118).

ბერაძე ბუცა ახალი კოჩოს ძე სოფ. ჯგალი, დღევანდ. წალენჯიხის რ-ნი, აზნაური ფოკო ჩხეტიას გლეხი, გადასახლებული ციმბირში 6 წლით, როგორც სამეგრელოს 1857 წ. გლეხთა ავჯანყების დაჟინებითი მხარის დაჭერისა და მემამულეთა ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევისა. (საისტ. მ., II, 147).

ბ. პანტელეიმონ ალექსანდრეს ძე (დ. 1901, სამტრედია, 1968 თბილისი) ქართველი ფილოლოგი, მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1961), ფილოლოგ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი.

ბერაიას გვარი 3312 სული (ზუგდიდი – 736; ფოთი – 682; თბილისი – 376), (გვარ-სახ. საქ-ში).

ბერდეხელია (იხ. ბერაია). ბერდელია ნაწარმოები ჩანს ადამიანის საკუთარი სახელისაგან ბერდე//ბერე, ხელი იგივეა, რაც ძველი ქართული ხელი=გიჟი, გადარეული. ბერდეხელია//ბერეხელია=გიჟბერე, გიჟბერდეა. ბერდეხელია 28 სულია (ზუგდიდი – 27; ჩხოროწყუ – 1).

ბერია (იხ. ბერაია) ა-ბერ (აფხ.), ბერი (მეგრ.) დ. გულია, (ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934). ნაწარმოებია საკუთარი სახელისაგან. შდრ. ბერო, ბერუა. 1. ბერი (სპ.) მოხუცებული. ზოგად. მნიშვნელობით: ვაჟი, ძე, ყმა, ეთნ. საბერიო=თიბარული (საბერიო ჰეროდოტე ასე უწოდებს), – კოლხური ტომი; საბერიოში წელამი, საბერიო (გალ. რ.), ლებერიე (ჩხორ. რ.). ამჟამად აქ არის ბეროკაში ნოხორი (ნასახლარი), ლებერია მთა მარტვილის რ-ნში ეგრისის ქედზე. ბერია ხახუტია, ხახუშას და ბიბოიას ემართა გამოსაღები, როგორც ჭალის სასახლის მიმდინარე კაცებს (თაყაიშვილი, 15). ბერია ქრისტეშია ემართა ხოფის ღმრთისმშობლის ხატის ბეგარა – ოცდაერთი თეთრი (1449-1675). ბერია ხახუტა, ხიხუშია ცაიშს მცხოვრები, ემართათ ცაიშის საყდრის ბეგარა... (1616-1621). ბერია ელუკა მისიონერების მსახური. (კასტელი, 115.)

ბ. ნიკოლოზ დიტოს ძე. დ. 1915 წ. სახუმის რ-ნის სოფ. ოდიშში. გვარდიის წითელარმიელი, საბჭოთა კავშირის გმირი (1943 წ). (მათ ასახელეს... 67-68).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტ ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1698 სული) მიხედვით 558-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

ბერზენია ეთნ. ბერძენი. მეგრელი ბერძენს ბერზენს ეძახის.* ბერძნული სოფ. ქარელის რ-ნში. ბერძენი სერგო ანტონის ძე, ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ოხურეის მცხოვრები, ეროვნება ქართველდაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე). ბერზენიას გვარი 36 სულს შეადგენს (ზუგდიდი – 22; რუსთავი – 6) (გვარ-სახ. საქ-ში,)

ბერიაშვილების რამდენიმე ოჯახი მამია გურიელმა დადიანს გაატანა – აჩუქა ყმა-გლეხები ძაღლებითურთ. წალენჯიხის რაიონის სოფ. ლიაში ცხოვრობს ბერიაშვილების 60-მდე ოჯახი (მიამბო 1992 წ. 60 წ. გადაცილებულმა გიორგი ნაჭყებიამ).

ბერისკუა იხ. ბერაია; მეგრ. ბერი-სკუა ბერი – ღრმა მოხუცის სკუა – „ძე“; ლებერისკუე – ჭყონი (მარტვ. რ.). აქედან უნდა იყოს: ბესკუა. ნაბესკუ-სერგიეთი (მარტვ. რ.).

ბერნაია (იხ. ბერაია); მიღებული ჩანს ბერინაიასაგან, სადაც -ინ კნინობითობის სუფიქსია. ბერინა, შდრ. ბერია, ბერიძე.

ბეროკია (იხ. ბერია); ბერიკაობა — მასკარადი, ძველ საქართველოში, (გამსახ. „დიდოსტ. მარკვ." 1984, 166. ბეროკ-ია; ოკ ბეროკიაში კნინობითი სუფიქსის უკ-ის ვარინატია: ბერუკ. შდრ. ბეროკ//ბერუკ, ბერუკა).

ბერულავა (იხ. ბერაია); საკ. სახელი ბერულა-დან, რომელშიც -ულა კნინობითობის მაწარმოებელია. იგი უკავშირდება ბერ-ია, ბერ-აიას ბერ ფუძეს. ეს სახელი იყო ძველ ქართულში, ამჟამად კი არ იხმარება და შემორჩა გვარსს; ლებერულე — ნაფიჩხოვო, ლებერულე — ჭოლა (ჩხორ. რ.), საბერულავო — კურზუ (მარტვ. რ.), აქედანაა ბერულაა.

ბერულავა დიმიტრი გიორგის ძე, (დ. 1854-1915), სოფ. კურზუში (მარტ. რ.). წარმატებით დაამთავრა მარტვილის სასულიერო სემინარია (გაიხსნა 1830 წ.). თავისი ხარჯით ეზოში გახსნა სასწავლებელი ნაფიჩხოვოში. ებრძოდა რა აშორდიას და მის მომხრეებს, სწავლა სკოლაში მიდიოდა ქართულ ენაზე. (მარტვ. მუზ., 84).

ბ. ხუტა მიხეილის ძე (დ. 1924, ზუგდიდი). გამოჩენილი ქართველი პოეტი.

ბერულავას გვარი 1486 სულისაგან შედგება (ზუგდიდი — 507; თბილისი — 505; მარტვილი — 351) (გვარ-სახ. საქ-ში,).

ბერუჩავა (იხ. ბერაია); ნაწარმოები უნდა იყოს ბერუჩა ადამიანის სახელისაგან, რომელშიც -უჩა კნინობითობის სუფიქსია. შესაძლებელია სხვაგვარი ახსნაც: ბერუჩა=ბერსავი, უჩა=შავის, შდრ. ტყებუჩავა, რაც უნდა ნიშნავდეს ჭაკვშავაძეს.

ბერქაია (იხ. ბერაია); ბექთარი ჯავშანი ძვ. მორკინული საცმელი საომარი (საბა). ბექარები. ძვ. ტომი სამხრ. დას. საქ-ში.

ბექაია მელქისედეკ სტეფანეს ძე, დ. 1887, დიდი ჯიხაიში, სამტრ- რნი, 1964 თბილისი. ქიმიკოსი, საქ სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1961). ჟენევაში მიიღო დოქტორის ხარისხი. შდრ.

ბექაია 223 სულისაგან შედგება (სამტრედია — 81; თბილისი — 51; ქუთაისი — 38) (გვარ-სახ. საქ-ში).

ბერძენია (იხ. ბერაია) ნაწარმოები ეთნ. ბერძენი; მიხა ბერძენიში კარი (სენაკ. რ.), ბერძენიში შარა-ზანია (აბაშ. რ.), ბერძენი — აჩიგვარა (გალ. რ.). აქედანაა ბერძენიშვილი.

ბერძენიშვილი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (დ. 1895 ს.

გოგოლეისუბანი, ჩოხატაურის რ-ნი, 1965, თბილისი). ქართვ. ისტორიკოსი, პროფესორი (1939), ისტ. მეცნ. დოქტორი (1943), საქ. სსრ მეცნ. აკადემიკოსი (1944). მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1946).

ბერელია ნაწარმოები უნდა იყოს ადამიანის საკუთარი სახელისაგან. ბერსელიაში რ შეიძლება განვითარებული იყო. ამრიგად, ბერსელია// ბესელიაში, საფიქრებელია, -ელა კნინობითობის მაწარმოებლად დავსახოთ: ბესობე-ელა. საბესელო, ნოსირი სენაკის რ-ნი. ბესენია თავნასკვა, ჭან. დიხა მთხორი; მეგრ. სანთელი. ბესელაშვილები მოსახლეობენ სოფ. შუახევში, აჭარა.

ბესელიას გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტ ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1176 სული) (სენაკი — 401; თბილისი - 229; ზუგდიდი — 12), (გვარ-სახ. საქ-ში) მიხედვით 885-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

ბექირიში ში სუფიქსი მიგვანიშნებს, რომ გვარი ლაზურია. ბექირიშის გვარი 43 სულია (ხელვაჩაური — 43), (გვარ-სახ. საქ-ში).

ბეშია ბეჩ-ი ძვ. გაშტერებული (საბა). ნაწარმოები ჩანს ადამიანის სახელისაგან. შდრ გვარსახელი ბეშიძე, რომელიც გავრცელებულია რაჭაში; ბეჟია (ბეჟან). ბეშთა ტოპონიმია მდ. „ავარიის ყოსუს“ ზედა წელში, კავკასიის უკიდურეს მისადგომებთან (გ. ერაძე, 23).

ბეშია ივანე პავლეს ძე ოჩამჩ. რ-ნის სოფ. ილორის მცხოვრები. ეროვნება ქართველდაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე).

ბეშია 108 სულს ადგენს (ზუგდიდი — 80; თბილისი — 10; ჩხოროწყუ — 5) (გვარ-სახ. საქ-ში, 43).

ბეჩხია ბეჩა! ბეჩავ! ბეჩაო! ბეჩაუ! შორისდ. გამოხატავს გაკვირვებას, სიბრალულს, თანაგრძნობას (ქეგლ). აქედანაა **ბეჩეხია**. გამორიცხული არაა სხვაგვარი ახსნაც. კერძოდ, ბეჩეხიაში ხ კოლხური ჱ//ფხე სუფიქსი იყოს.

ბეჩეხია ეტიმოლოგია კვლავ საკვლევია.

გვარი 42 სულისგან შედგება (სენაკი — 23; ზუგდიდი — 4; სამტრედია — 1) (გვარ-სახ. საქ-ში, 43).

ბეჭვაია მოსაქმეობაზე მიგვითითებს — ბეჭვა — ბეჭუა (ბგერები „ვ“ და „უ“ ხშირად ცვლიან ერთმანეთს; 1. ჩაქსოვა, დამაგრება. გვარი წარმომდგარია ბეჭვა შერქმეული სახელისაგან. გოგოსი გრძელი თმის სამნაწილად გაყოფა და დამაგრება. ლებეჭვაიე-ჭყონი (მარტ. რ.); 2.

ამჟამად გვარი 958 სულს შეადგენს (ზუგდიდი — 301; მარტვილი — 195; თბილისი — 162) (გვარ-სახ. საქ-ში,).

ბზაკალავა — ბ-ზაკალ-ა-ვა. ბ — წინაკიდური ბგერაა, მეგრ. სვან. ზაკალ, ბზ აკალ (ბოტ). ზაკალ-ი მკვრივი და მაგარი, ბუჩქოვანი მცენარე. „ბზის ხეებით სავსეა მთელი ზღვისპირი". — წერს **ლამბერტი.** (არქ. ლამბ. 180). მისგან აკეთებდნენ კოვზებს, მუნდშტუკებს...

ბზეკალავა ა-ჩაზ (აფხ.), ზაკალი (მეგრ.), დ. გულია. ბზეკალი-ზაკალი (კოლხ.) — ბზა. ხარობს განსაკუთრებით აფხაზეთში (გუმისთის ხეობაში) იზრდება საშუალო სიმაღლის, ხის მკვრივი ჯიში. მისგან ამზადებდნენ საქსოვი დაზგის ძაფგამყვან-მიმწოდებელ მასრებს. საბჭოთა ხელისუფლების 20-იან წლებში აფხაზეთიდან ბზა გაქონდათ საზღვარგარეთ (გერმანია). აქედანაა გვარსახელები: **ბზეკანავა, ბზიავა, ბზილავა.** იხ. ბზაკავა.

ბზეკალავას გვარი ამჟამად 215 სულს ითვლის (ლანჩხუთი — 133; თბილისი — 36; ბათუმი — 20). (გვარ-სახ. საქ-ში).

ბზიავა ბზიანი ძვ. ქართ. ბზოვანი. ბზობა — ძვ. ბზობის დღესასწაული.

ბზიავას გვარი ამჟამად 172 სულს ითვლის (აბაშა — 73; თბილისი — 56; ფოთი — 12). (გავრ-სახ. საქ-ში).

ბზილავა ბზილი ერთგვარი მცენარე, ძღილი (ელიავა გ., ლექსიკ.).

ბზილავა 25 სულია (მარტვილი — 19; თბილისი — 2; სენაკი —1) (გვარ-სახ. საქ-ში).

ბიბილია 1. ბიბილა საკ. სახელი, „ხორცოვანი", შდრ. გვარი ბიბილაშვილი, ბიბილეიშვილი. 2. ბიბილო, წითელი დაკბილული, ბრტყელი ამონაზარდი ზოგი ფრინველისა თავზე (ქეგლ). ბიბილია ლორთელ ემართა ჭალის ეკლესიისა და ნაჯაიანოს სასახლის ბეგარა (1621).

ბიბლაია ნაწარმოებია ბიბლიასაგან, რომელშიც ი დაკარგული ჩანს.* პორველი გალი — მზიური (გალ. რ.), ნაბიბლიუ (სენაკ. რ.), ბიბლიანი ყოფ. სოფ. დუშეთის რაიონში. (გამორიცხული არაა სხვაგვარი ახსნაც. ბიბლია-ნიბლია. შდრ. გვარსახელი ნიბლაძე.)

ბიბლაიას გვარი 386 სულია (ზუგდიდი — 208; თბილისი — 63; წალენჯიხა — 15), (გვარ-სახ. საქ-ში, 44).

ბიბოია ნაწარმოებია ადამიანის საკუთარი სახელისაგან ბიბო. ბიბოია ცაიშის მიმდგამსა კაცსა მართებს ბეგარა... (1616-1621). ბიბოია შდრ. ქართული გვარი ბიბიჩაძე.

ბიგვავა ბიგა (მეგრ..) — ჯოხი; დიდი ჭყონი, სალხინო (მარტ. რ.) აფხაზეთში გადმოსახლებულნი კი ატარებენ ბიგვაას გვარს. შდრ. იყენებდნენ. ბიგვავა ჯვებე, ბიას მცხოვრები, საეკლესიო გლეხი, ემართა ხუთი ლოღარიკი სანთელი. **რიგვავა, ჩიგვავა. ბიგვავა** ხობს მცხოვრები საეკლესიო გლეხი, ემართა ხუთი ლოღარიკი სანთელი (კოლხ.)

ლაღანკონი — მცირე ნიეთების ასაწონი ორთეფშიანი სასწორი, გირების ნაცვლად ქათმის კვერცხებს იყენებდნენ.

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი, აქედან 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგურულ-ლაზური წარმოშობისა. ბიგვავა მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინას 1837 წ. მოსახლეობის აღრიცხვის სიაში. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშ. მარტი, 1997).

ბიგვავა იპოლიტე ცაკვას ძე, ოჩამჩირის რ-ნის სოფ. აგუბედიის მცხოვრები, ქართველი ეროვნებადაბრუნებული. (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

ბიგვავა გავრცელებული გვარია, იგი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (2064 სული) (ზუგდიდი — 1083; თბილისი — 250; მარტვილი — 16) (გვარ-სახ. საქ-ში) მიხედვით 410-ე ადგილზეა.

ბიგვა ფაფა, აჯმირი მოხსენებულია დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნის მოსახლეობის ქრისტიანად მონათლულთა სიაში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშ., მარტი, 1997).

ბიგუა იგივე ბიგა — ჯოხი რისიმე გასამაგრებლად შეყენებული კეტი ან ძელი, — ბოძი (ქეგლ). ბიგუა უჩალეი მუხურს მცხოვრები, ეშართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (1621). შდრ. **ჩიგუა.**

ბირკაია ბირკუ (აფხაზ.) დ. გულია. ბირკული (მეგრ.) — რიკული — სახლის დამამშვენებელი. (ხელნაწ. ინსტ. აღწ. № 1934). ნაწარმოებია ბირკა შერქმეული სახელისაგან. ბირკ — მცენარე, რომელსაც ეკლიანი ბირკები აქვს (ძვ. საქ. 240). ბირკიანი — ჯოყო აბმეტის რ-ნი.



ბისკაია დათუა — საბურელის ძლიერი და გულადი სარდალი

ბირკაიას საგვარეულო 417 სულისაგან შედგება (მარტვილი — 164; თბილისი — 105; სენაკი — 29), (გვარ-სახ. საქ-ში, 45).

ბისკაია გვარი წარმომდგარია ეთნონიმი ბასკიდან. ბისკაია ეწოდება ესპანეთის პროვინციას, რომელიც ბასკებს უკავიათ. ესპანეთში სახლობს 8000 ათასამდე ბასკი (1972 წ. მონაცემებით) (შ. ძიძიგური, ბასკები ან ქართველები, თბ, 1978, გვ. 102).

მექსიკაში სახლობს ბასკები და პროვინციას „ახალი ბასკაია" ჰქვია (იქვე, 104).

ბისკაია დათუა აზნაურ მამუკა ბისკაიას მამა კავკასიის მთებში დაბადებული დიდი სარდალი იყო სამეგრელოს ჯარისა... აფხაზებთან შეტაკებაში დაიღუპა (კასტელი, გვ. 108.)

ბიშანბაია ეტიმოლოგია დასადგენია.

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რაიონის სოფ. ლიხნში მოსახლეობდა 400-მდე კომლი, აქედან 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ჭანური წარმოშობისაა, მათ შორის **ბიშანბაიაც.**

ბიშანბაია მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინის 1837 წ. აღრიცხვის სიაში. (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშ. მარტი, 1997).

ბიტკაშა შა მიგვითითებს, რომ ლაზური გვარია. 65 სულს ითვლის (ქუთაისი – 57; სამტრედია – 7; წყალტუბო – 1), (გვარ-სახ. საქ-ში, 45).

ბიტკაში ში ლაზური გვარის სუფიქსია. ითვლის ამჟამად 98 სულს (თბილისი 94; ქუთაისი – 4), (გვარ-სახ. საქ-ში,).

ბიჭია ბიჭია კნინ. მოფერებითი შეძახილი ბიჭი (საბა). შდრ. ბიჭა (გვარსახელი ბიჭაშვილი), ბიჭია შერქმეული სახელი ჩანს. იგი უნდა ნიშნავდეს ისეთ ადამიანს, რომელიც გარეგნულად პატარაა, ან უმცროსი, ან ასაკი რომ არ ეტყობა; ბიჭია გამიგონი, ემართა ხოირის სასახლის ბეგარა... (1621).

ბიჭიას გვარი ითვლის 106 სულს (ზუგდიდი – 100, თბილისი –2; მოსკოვის ლტოლვილი – 1), (გვარ-სახ. საქ-ში, 45).

ბკა შესაძლოა მიღებული იყოს ბიკაასაგან. ბკა გიჭირდი ემართა ჭალას ეკლესიის და ნაჯაიანოს სასახლის ბეგარა... (1621).

ბკერალია ეტიმოლოგია საძიებელია. ბკერალია ქეკოჩაი, ხიბლას მცხოვრები, ემართა ბიჭვინთის ტაძრის ბეგარა... (1621) (პალ).

ბჟალავა ბჟა (მგრ.) – მზე, (იხ. ბჟოლიეთი სოფ. ჩოხატაურის რ-ნში).

ბიწკინტელია ბიწკი (მეგრ.)ფეხის ცერი. „ბიწკინტელის ღელე" ალექსანდრე. (კახთა) მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს 1579 წ.

ბიჭვინთის ტაძარი

(მასალები 142); ხალხური ენის გასატეხში ნათქვამია: „ერთსა კაცსა ბიწკინტელსა...“

ბიძანბაია ბიძა(ნ)-ბა-ია, ვფიქრობთ ბიძა-ბიძა, ნ ჩართული ბგერაა, გვარი ორი: ბა და ია სუფიქსიანია. შდრ. ბიძანა, ბიძინა გვარსახელი ბიძინაშკილი.

მე-19 საუკ. 30-იან წლებში დღ. გუდაუთას რ-ნის სოფ. ლიხნში მოსახლეობდა 400-მდე კომლი, აქედან 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგურულ-ჭანური წარმოშობისა იყო. მათ შორის **ბიძანბაია.**

ბობოხია ბობოქარ-ს, მღელვარეს, ძლიერ მშფოთვარეს; მრისხანეს, აბობოქრებულს ნიშნავს (ქეგლ), შდრ. გვარი ბობოხიძე. ნაწარმოები ჩანს ბობო საკუთარი სახელიდან.

ბობოხიას გვარი 172 სულს ითვლის: (წალენჯიხა — 87; ზუგდიდი — 50; თბილისი - 16) (გვარ-სახ. საქ-ში).

ბოდოკია გვარი 523 სულს ითვლის: ქუთაისი — 194; წყალტუბო — 190; თბილისი — 4 (გვარსახ. საქ.).

ბოკერია ბოკერია, ბოკო — წვერმომრგვალებული, პირმოცვეთილი... (ქეგლ). ნაწარმოებია ბოკვერ(ა) საკუთარო სახელისაგან ან მეტსახელისაგან. შდრ. იმერეთში გავრცელებული გვარი ბოგვერაძე (ბოკვერაძე).

ბოკერია მარიამ სევერიანის ასული (დ. ბაქო, 1900, 1975 წ. თბილისი) მედიც. მეცნ. დოქტორი (1950), პროფესორი.

ბ. ჯუმბერ მიხეილის ძე, დ. 1933. ...პროექტის მთ. ინჟინერი (1964-71),...საქ. გიპროგორსტროის მთავარი ინჟინერი (1979), საქ. სახ-ფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1981). (ჯაფარიძე ს., 113).

ბ. ლეონიდე ანტონის ძე (დ. 1939, ოჩამჩირე), ქართველი ქირურგი, მედიცინის დოქტორი (1973).

ამჟამად ბოკერიას გვარი 481 სულს ითვლის: (თბილისი - 246; აბაშა — 68; ქუთაისი — 26), (გვარ-სახ. საქ.).

ბოკუჩავა ნაწარმოები ჩანს ბოკუჩა საკ. სახელისაგან, რომელშიც - უჩა კნინობითი სუფისქსი უნდა იყოს. საბოკუჩაო — სუჯუნა, ლებოკუჩე (სენაკის რ-ნი), საბოკუჩავო (ჩხოროწყუს რ-ნი).

ბ. ბესარიონ აბაშის რ-ნის სოფ. სეფიეთის მღვდელი.

ბ. მიხეილ ალექსანდრეს ძე (დ. 1910, სოფ. საბოკუჩაო, აბაშ. რ-ნი), ქართველი ბიოქიმიკოსი, ბიოლოგ. მეცნ. დოქტორი (1950), პროფესორი (1955), საქ. სსრ მეცნ. აკად. წევრი (1961).

ბ. ნათელა ტერენტის ასული საქართველოსა (1963) და აფხაზეთის (1978) დამსახურებული მასწავლებელი.

ბ. ემილ შალვას ძე მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ილორის მცხოვრები და ქართველ ეროვნებადაბრუნებული. (ისტ. და ენათ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

ბოკუჩავას გვარი 2588 სულს ითვლის (აბაშა — 637; თბილისი — 603; ზუგდიდი — 410) (გვარ-სახ. საქ-ში).

ბონია (2. ბონი (მეგრ.) — ნავი მდინარეზე ხალხის გადასაყვანად ან ტვირთის გადასაზიდად (ქეგლ).) 1. ბონი — სწორი ზედაპირი (ელიავა გ., ლექსიკ.). შდრ. ქართული გვარი ნავაძე, მეგრული გვარსახელი მებონია, რაც მებორნეს, მებორიშვილს ნიშნავს. ბონია — ქრისტეშია იგი მამულითურთ შედიოდა შამანდავა დადიან-გურიელის მიერ იოვაკიმე კათალიკოსისათვის გაჩენილ სარგოში (1449-1571). ბონია — ქრისტეშია მისი შეწირულობა, მამულით, ლევან დადიანმა განუახლა ხობის ტაძარს (1628-1647).

ბორზალია ბორზალი — ქვის ქალი სამეგრელოში, რომელზედაც მეგრელები ლოცულობდნენ.

ბოშია*ა-ჭკუნ (აფხ.), ბოში (მეგრ.) დ. გულია, (ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934). კაცი (იხ. ბიჭია) ბოშოსანი. ყოფ. სოფ. ლენტეხის რ-ნში.

ბოცვერია ბოცვერი კურდღლის ჯიშის ცხოველის სახელია. აქედანაა ბოცვერაძე, ბოცვაძე.

ბოხუა ბოხო (მგრ.) მსვხილი, ჩასუქებული. საბოხუო-ეკი (სენაკ. რ.), ბოხუაჭალე (ბოხუას ჭალა) (აბაშ. რ.), ჯგალი (წალენჯიხის რ-ნში). ბოხუას გვარი 1064 სულია: გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტ ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1064 სული) (ზუგდიდი — 325; თბილისი — 172; აბაშა — 149), (გვარ-სახ. საქ-ში) მიხედვით მე-100 ადგილზეა (გაზ. „საქართ.“, 6-8 მარტი, 1997).

ბოჯგუა ბოჯგა ღომის ჯიშია სამეგრელოში (მაკალათია, სამეგრელო, 12. ამჟამად ბოჯგუას გვარი 417 სულს შეადგენს (სენაკი — 226; თბილისი — 49; ზუგდიდი — 39) (გვარ-სახ. საქ-ში, 47).ზანელი ბოჯგუები თავად აფაქიძეთა ყმა-გლეხები იყვნენ (სოსელია ო. III, 162). შდრ. სახელი ბოჯგურ, ბოჯგა. გვარი ბლინავა, ბდლვინაია.

ბჟავა აბრა (აფხ.) ბჟა (მეგრ.) (ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934), ბჟავას გვარი 28 სულს ითვლის (ზუგდიდი — 8; სენაკი — 6; სამტრედია — 3), (გვარ-სახ. საქ.).

ბჟალავა წ.რჩომელვარია (მეგრ.) ბჟა – მზის სახელიდან. ბჟალავები დღესაც მზის მაღლის და ხატის მლოცველად ითვლებიან. მაგ. ბალდაში და „ოსკიოდაში“ ბჟალავებს „საბარბალო“, საისკიოდო დღესასწაული აქვთ რიტუალით და გალობით (ჟურნ. „აია“, 1977, 2, 9).

ბ. გიორგი ნიკოლოზის ძე დ. 1919, ახალსენაკში, აფხაზეთის დამსახურებული ინჟინერი, სამამულო ომის ვეტერანი.

ბ. მირონ პოდპოლკოვნიკი, უკრაინის განთავისუფლებისათვის მებრძოლი, სამამულო ომის ვეტერანი. (ქოჩიაშ., 79).

1888 წლისათვის ბჟალავას რამდენიმე ოჯახი გადასულა საცხოვრებლად სოჭში (გაზ. „იერია“, 1888, ივლისი).

ბჟალავას გვარი 1231 სულს ითვლის (მარტვილი – 375; სენაკი – 211; თბილისი – 171), (გვარ-სახ. საქ.)

ბჟანია (იხ. ბჟალავა). ბჟანიას საგვარეულო 134 სულს ითვლის (ზუგდიდი – 46; თბილისი – 38; წალენჯიხა – 11), (გვარ-სახ. საქ.).

ბჟინავა (იხ. ბჟალავა).

ბჟინავა იხ. ბჟანია ბჟინევი სოფ. ჭიათურის ქალაქის საბჭოს ტერიტორიაზე, ჩერქეზულ-ყაბარდოულად „ბჟინევი“ ნიშნავს „ნიორს“, სიტყვასიტყვით „თეთრ ხახვს“ (გოგატ., 13).

ბრანძია ბრანძ-ი: დაფლეთილი, დაკონკილი ტანისამოსი, ძონძები (ქეგლ).

ბრდღვინავა – ბრდღუენა – მუქარა ბრდღვინვა... ძვ. ქართ. (სარჯველაძე, 8). ჩვენ ეფიქრობთ, გვარი მომდინარეობს მეგრ. ტერმინი ბურდღინიდან; ბურდღინ მეგრ. და აფხ-დ ბურდღა (დ. გულია, ხელნაწერთა ინსტ. საქმე № 1934) – უშინაარსო და გაუგებარი ლაპარაკი. ასე რომ, გვარი ბრდღვინავა აფხაზურ-მეგრული ერთობლივი გვარია.

ბუაჳა 1. ბუა მოგონილი საფრთხობელა, რომლითაც ბავშვებს აშინებენ; 2. ბუა მოფერებით მსხვილფეხა საქონელი ბავშვის ენაზე. შდრ. გვარსახელი ბუაძე, ბუიშვილი, ბუაჩიძე. საბუე სოფ. ახმეტის რაიონში.

ბუავას გვარი 108 სულს ითვლის (ზუგდიდი – 105; თბილისი – 39; წალენჯიხა – 31), (გვარ-სახ. საქ-ში, 47).

ბუბუტია ნაწარმოები ჩანს ბუბუტია სახელისაგან, რომელშიც -უტა კნინობითი სუფიქსია.

ბუთბაია ბუთი (სპ.) 1. კერპი (ჩუბინ.); 2. ბუთა ოქრომჭედლის ხელსაწყო: თიხის ჭურჭელი ოქრო-ვერცხლის დასადნობად ან დასახალისებლად. ბუთბაია აფხაზურ-მეგრული გვარია. საბუთბაიო სოფ. გალის რ-ნში.

ბუთბაიას გვარი ამჟამად 256 სულს ითვლის (ზუგდიდი 145; თბილისი – 50; წალენჯიხა – 21), (გვარ-სახ. საქ-ში, 48).

ბჟინავა ბუინა – ენაბლუ. ბუინავა ნაწარმოებია ბუინა მეტსახელისაგან. ბუი მდ. ზუგდ. რ-ნში, ჭურიის მარჯვ. შენაკადი.

ბუკია 1. ბუკი – დიდი საყვირი, უკრავდნენ ზეიმის დროს, განგაშის შემთხვევაში ხალხის შესაყრელად (ქეგლ), შეიძლება ბუკის დამკვრელებს ან ხელოსნებს მიეცათ ეს გვარი; საბუკიო-ხორში (სენაკ. რ.), ხეთა (ხობ. რ.), ბუკონა (მარტვ. რ.), ბუკნაში სოფ. ქობულეთის რაიონში, ბუკის ციხე სოფ. ოზურგეთის რ-ნში. ბუკია კვიჩილეს, მამაკორდას, სკვამიბას, ქვაჩარიას, ხუხუბიას, გვაჩალიას, კამიშიას, ხახუბაიას და კვიჩალიას მართებთ ცაიშის ეკლესიის გამოსაღები (1616-1621) (პალ).

ხალხური გადმოცემით, დღ. ზუგდიდის რ-ნის სოფ. ხეთის მცხოვრები ბუკიები მეკამეჩეები ყოფილან. ამავე სოფელში ამჟამად გვარი არ სახლობს, მაგრამ ბუკიებისა და ლადარაიების საგვარეულო ეკლესიები მთავარანგელოზის სახელობისაა. ხეთაშია ტოპონიმები: საბაძალუო და საქრისქუო. (გადმომცა თბილისის სასულიერო სემინარიის მეორე კურსის სტუდენტმა ხეთელმა ი. ბუკიამ (1995). ბუკისციხე ჰქვია ერთ-ერთ სოფელს ჩოხატაურის რ-ნში. ბუკის ხის ჯიშისაგან აქ აუგიათ ციხე, შემდეგ ქვის ციხედ შეუცვლიათ, მაგრამ სოფელს შერჩენია ძველი სახელი (გოგატ., 13).

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რაიონის სოფ. ლიხნში მოსახლეობდა 400-მდე კომლი, მათ შორის 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისაა. მათ შორის ბუკია. ბუკია ხაპავშ მოხსენიებულია 1834 წ. გაქრისტიანებულთა სიაში (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშ. მარტი, 1997, იქვე, გვ. 6, II სვ., რიგ. № 110). გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულისა და ტამიშის 1854-1855 წწ. მცხოვრებ 136 სულ ქართველთა შორის, სადაც აფსუათა გვარი თითზე ჩამოსათვლელი იყო. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშ. მარტი, 1997).

ბჟანია ბჟა (მეგრ.)–მზე; ლებჟე-გაჭედილი, ბჟალიეთი-ერკეთსკო (მარტვ. რ.), კვიტოული (ოჩამჩ. რ.). აქედანაა: ბჟალავა, ბჟინავა. გამორიცხული არაა სხვანაირი ახსნაც: ბჟანია – ბეჟანია. შდრ გვარსახელები ბეჟანიძე, ბეჟანიშვილი, ბეჟუაშვილი.

ბჟანია კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ილორის მცხოვრები, ეროვნებააღდგენილი ეროვნ. მოძრაობის წლებში. (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე).

ბუანიას საგვარეულო 134 სულს ითვლის (ზუგდიდი — 46; თბილისი — 38; წალენჯიხა — 11), (ქართ. გვარსახ.).

ბეინავა, ვფიქრობთ, ბუა (მზესთან) უნდდა იყოს გაეშირში. ბეინავა დავით კირილეს ძე ოტობაიელი (გალის რ-ნი), ტექსკელის კუნძულს (ჰოლანდია) ქართველ ტყვეთა ავკანყების მებრძოლი, ოცეულის მეთაური, ცოცხლად გადარჩენილი, სამამულო ომის ვეტერანი. (ნაჭყებია, მ., 67).

ბუკია ბათუ ჯუკას ძე იხსენიება როგორც სოფ. ხეთიის მცხოვრები. აზნაურ კობახიძის ყმა-გლეხი, სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების აქტიური მონაწილე, აჯანყებისადმი დაეინებითი მხარის დაჭერისა ან მემამულეთა ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევისათვის 6 წლით ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. (საისტ. მ., II, 148).

ბ. ალექსანდრე ივანეს ძე (დ. 1906, ქუთაისი — 1976, თბილისი), ქართველი კომპოზიტორი, საქ. სსრ .სახ. არტისტი (1966).

ბ. აკაკი კონსტანტინეს ძე (დ. 1914, ძვ. აბასთუმანი (ზუგდ. რ) 1974, ზუგდიდი), საბჭ. კავშირის გმირი (1945), პოლკოვნიკი.

ბუკიას გვარი 2691 სულისაგან შედგება (ზუგდიდი — 563; თბილისი — 230; ფოთი — 207), (გვარ-სახ. საქ-ში).

ბუკიას გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული 2500-ზე მეტი გვარიდან ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 291-ე ადგილზეა. (გვარსახ. საქ-ში).

ბულია ბული (მეგრ.) — ბალი, ბულეში სოფ. ლენტეხის რ-ნში, ბულიში — ქვ. ქვალონი, ბულეანი (აბაშ. რ.). ნობულევი სოფ. მარტვილის რ-ნში.. ბულია შურიმიდგიას, როგორც ჭალის სასახლის მიმდგომსა კაცსა, ემართა სასახლის გადასახადი (ე. თაყაიშ. 43); (პალ). ბულია მორდოლია მართებს თილითის სასახლის ბეგარა... (1621). შურიმიდგას, თოლიას, წყორიას და ჯიმადის მართებთ ჯგალის ციხის გამოსავალი (1621).

ბულია იასონ ალექსანდრეს ძე, ოჩამჩირის რ-ნის სოფ. აგუბედიის მცხოვრები ქართველი ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე).

ბულიას საგვარეულო 1493 სულს ითვლის (ზუგდიდი — 1235, თბილისი — 78; წალენჯიხა — 55), (გვარსახ. საქ.). გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 662-ე ადგილზეა (გვარსახ. საქ.-ში).

ბულესკირია (იხ. ბულია. ბულესკირიას გვარი 71 სულს ითვლის (ზუგდიდი — 18; სენაკი — 18; თბილისი — 12), (გვარ-სახ. საქ-ში,). ბულესკირია ვანო შამილის ძე, მოხსენიებულია ოჩამჩირის რაიონის სოფ. აგუბედიაში, ეროვნება ქართველი დაბრუნებული (ინსტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე).

ბულიავა (იხ. ბულია) ბულიავას გვარი 60 სულს ითვლის (თბილისი — 3; სენაკი — 57) (გვარ-სახ. ქართველი, 48).

ბულისკირია (იხ. ბულია) ბულესქერი-ა, მეგრ. ბული-ბალი, სქე-შვილი=ბალი(ს)შვილი. (შდრ. ბალადაშვილი). ბულისკერია (იხ. ბულია, ბალი, სკირი-ძე). გვარი 861 სულს ითვლის (ზუგდიდი — 259; თბილისი — 227; წალენჯიხა — 143), (გვარსახ. საქ-ში).

ბულესკირია ნათელა, გალის რაიონის კოლმეურნე, სოციალისტური შრომის გმირი.

ბულისკირია (იხ. ბულესკირია) გვარი 215 სულია (თბილისი — 63; ზუგდიდი - 58; წალენჯიხა — 29). (გვარსახ. საქ-ში, 49).

ბურდღა (მეგრ.) ბუმბული. გვარი მოხსენიებულია 1835 წწ. დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში მცხოვრებ ქართველ 156 სულთა შორის, სადაც აფსუური თითო-ოროლა თუ იყო. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშ., მარტი, 1997).

ბურსულაია ბურსი — მეგრელების ღმერთი; ბურსი სოფ. (სოხ. რ.), ახუთი (ჩხორ. რ.). ამ გვარისათვის სავარაუდებელი ჩანს ბურსულია მეტსახელის არსებობა.

ბურსულიას გვარი 116 სულს ითვლის (სენაკი - 36; ჩხოროწყუ — 25; აბაშა — 22) (გვარ-სახ. საქ-ში,).

ბურძგლია 1. ბურძგლა... სიცივისაგან კანზე ბუსუსის აშლა (ქეგლ); 2. ბუძგურია (კოლხ.) მცენარე, რომლის შეხება იწვევს კანზე ბუსუსის აშლას; ბარძგლია ბურძგულ გურულ გვარის მეგრული ვარიანტია. ერთიც და მეორეც იშვიათი გვარია. „ბურძგი გურულ დიალექტში ეკალს ნიშნავს, გადატანითი მნიშვნელობით — ჯაგარივით, ეკალივით ბალნიანს“ (ალ. ღლონტი, საქ-ს ლიტერატურისმცოდნეობის აკადემ. შრ. ტ. 1, 1997, გვ. 207). ბუძგური (გულ. რ.), ბურძგოლი — მწვერვალი (ონის რ.). ბურძგლა ნაწარმოები უნდა იყოს ბურძგლა მეტსახელისაგან.

ბურძგლა 203 სულია (ლანჩხუთი — 96; თბილისი — 52; ბათუმი — 26), (გვარსახ. საქ-ში).

ბურჭულაია მეგრ-ჭან. ბურჭულ წალდს ნიშნავს. ბურჭულია, როგორც ჩანს, კაცის მეტსახელი ყოფილა. შდრ. გურიაში ცნობილი გვარი

ბურჭულაძე. „მეპატრონეებს დავა მოსვლიათ მიწის თაობაზე, ისინი ბიძაშვილები ყოფილან და ერთმანეთისათვის თავი წალდით გაუჩეხავთ“. (ელიავა, სენაკ. ტოპ. 31). შდრ. ქართ. ძე დაბოლოებანი ბურჭულაძე. ამრიგად ბურჭულაია ბურჭულა შერქმეული სახელისაგან წარმომდგარა.

ბურჭულაია 72 სულს შეადგენს (ზუგდიდი - 33; მარტვილი — 15; ქუთაისი — 9), (გვარსახ. საქ-ში,).

ბურჯანია იხ. აბურჯანია.

ბუქერია მკვეხარა (შდრ. გურიაში ცნობილი გვარი მუქერია.)

ბულავა ნაწარმოები ჩანს ბულა ადამიანის მეტსახელისაგან. ბულავა მორდილია მართებს ჯგალის სასახლის ბეგარა... (1621), იმდენივე, რამდენიც ბულბულია შამიბიას. ბულავა წყორიას, რამდენიც შონია ეჩაკოჩის, ჯიმიდის იმდენივე, რამდენიც შონია ეჩაკოჩის (1616) (პალ.)

„არაბთა ბატონობის პერიოდში 853 წელს განალო კარი დარუბანდისა ბულა თურქმა (გ. ერაძე „ამარჯა“, გიორგიანელთა ერთიანი საზოგად., ცნობის ფურცელი, № 1, გვ. 3, 1997).

ბუშია ბურში (მეგრ.) — ბუში, უმამოდ დაბადებული, უკანონო ბავშვი.

ბუწია ბუწი, წლის კრავი და მცირედ ნაკლები (საბა). მეგრ-ად აკაბუცხა — აკა ერთადერთი, ბურცხა-ბირცხაზმა=ფრჩხილის ოდენა

ბუხია ბუხ! ერთბაშად გასროლის ხმა..

გაავა –1.გა (მეგრ.)* –2.მაღლობი, მაღლაკი, კა-შვილი, მაღლობის მაღლა შვილი. გავაშვილი, გავაშელაშვილი, მაღლაკელია, შდრ. მაღლაკელიძე.

გაბედავა გაბედება – გაბედვა

გაბედავას გვარი 2039 სულს ითვლის (ჩხოროწყუ 371, ზუგდიდი 330, თბილისი – 223). გაბე შუმერული სიტყვაა და ნიშნავს ღამეს.

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტ ყველაზე გავრცელებულ ათას გვართა სიაში და რაოდენობის (2039 სული) მიხედვით 415-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

გაბელაია, გაბელია გაბ-ელ-ია, ელ(ა) კნინობითობის სუფიქსი. გაბრიელა->გაბელა. შდრ. გაბილა ძალაძე ე. ნინოშვილის მოთხრობის გვარსახელი ერთ-ერთი გმირი, შდრ. აგრეთვე სვანური გვარსახელი გაბლიანი; გაბელია გაბ-ელი-ა, გაბე, გაბო საკ. სახ. – ბუჩქოვანი მცენარე; ლეგაბელე – ხაბუმე ჭოლა (ჩხორ. რ.), გაბელიხეში ნოხორი (გაბელიას ასულის ნასახლარი) – კიწია (მარტვ. რ.). გადმოცემით, გვარი პირველად სამხრეთ საქ-ში იხსენიება, თავადები ყოფილან. ერთ-ერთი, რუსუდან მეფის ამირსპასალარი იყო. გაიქცნენ მკვლელობის გამო სოხუმში. სოხუმიდან გაიქცნენ ისევ მკვლელობის ნიადაგზე და წამოსულან აბაშაში და იქ დასახლებულან. (მიამბო საქ. მწერალთა კავშირის წევრმა ალეკო გაბელაიამ). აქედანაა **გაბლაია, გაბელაია.** **გაბელია,** მართებს ნაჟანეულის ბეგარა... (1448). გაბელია უჟამია – ცაიშელი ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა (1616).

გაბლაია ყალმათ, ჯმა-სელმა, ძმისშვილები: ბესვეტ, უჩანა. გაბლაია კვალი, ძე – ნორიზ, ასული ასსრახან მოხსენიებულნი არიან დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშში მონათლულნი 1834 წ. ივნისში (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ. მარტი, 199§, გვ. 7, სვ. 1, №34).

გაბლია ვარლამ ალექსის ძე, 1912 წ. ტამიში, ოჩამჩ; რ-ნი, საბჭოთა კავშირის გმირი (1946), (მათ ასახელეს... (90-92)

გაბელია ილიკო ხვიჩას ძე, ოჩამჩ. რ-ნის სოფ. ოხურეის მცხ. მოხსენიებულია, როგორც გაფხაზებული და 80-იან წლების დასასრულს ქართველ ეროვნებას დაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩ. საქმე).

გაბელიას გვარი 2525 სულს ითვლის: ზუგდიდი – 606, თბილისი – 421, სენაკი – 305 (გვარ-სახ. საქ.). გვარი შესულია საქ-ში

25000-ზე მეტ ჯერზე გავრცელებულ ათას გვართა სიაში, რაოდენობის მიხედვით 309-ე ადგილზეა (გვარ-სახ. საქ-ში).

აქედან ნაწარმოები გვარებიდან: გაბელაია 1503 სულს ითვლის: აბაშა – 809, თბილისი – 276, ზუგდიდი – 54. ხოლო გაბლიაია 29 სულს ითვლის: თბილისი – 13, ზუგდიდი – 12, ბათუმი – 4. ტოპონიმია: გაბელაია ეფრემის ქლიავიანი სათიბები (სოფ. პალასტუნკა, სოჭის რ-ნი).

გაბელდიანი სვ. მოსახლ. ზემო სვანეთის რ-ნის სოფ. ცხმარში (XIII ს-ის II ნახ. სვ. ძეგლ. 142.

გაბელდანი სვ. ცხოვრობდნენ დღ. ზემო სვანეთის სოფ. ლეშტერში (მე-13 ს-ის II ნახ.) სვ. ძეგლ. 128.

გაბესკირია გაბი-სქირ-ი-ა, გაბი ან გაბო საკ. სახელი, სქირი. (მგრ.)-ძე; საგაბისკირიო (სენაკ. რ.), სუჯუნა (აბაშ. რ.). აქედანაა **გაბისონია**. შდრ. გვარები: გაბროშვილი, გაბოძე. გაბისკირია მოხსენიებულია, (როგორც ეკლესიაზე შეწირული) წმ. გიორგის XVII ს-ის ხატის წარწერაზე (ძვ. საქ. 3, განყ. I, 26).

გაბესკირია ვიქტორ იპატის ძე, 1903, ფოთი, 1964, თბილისი, ქართვ. პოეტი და დრამატურგი საქ. სსრ ხელოვნების დამსახ. მოღვაწე (191)

გაბესკირიას გვარი 217 სულია (სენაკი – 130; თბილისი 138, ფოთი – 12), (გვარ-სახ. საქ-ში).

გაბეჩავა (იხ. გაბეშია, გაბეჩია)

გაბეჩავას გვარი 505 სულს ითვლის: ზუგდიდი – 244; თბილისი – 65; ბათუმი – 65; (გვარ-სახ. საქ-ში).

გაბეჩია (იხ. გობეჩია).

გაბეჩია გაბე, გაბო 1; საკ. სახელია 2. შუმერული სახელია და ნიშნავს ღამეს. ლაზური წარმოშობის გვარია, რაზედაც მიგვითითებს სუფიქსი ში.

გვარი 224 სულს ითვლის: (მარტვილი – 162, თბილისი –, 19, რუსთავი – 18) (გვარ-სახ. საქ-ში).

გაბითია გაბი – საკ. სახელი, თი-თური, მოგვარე.

გაბისონია შეიძლება ნიშნავდეს გაბისანი-გაბის შთამომავალი. გაბისონია დადიანების ძაღლების მომვლელ-მწვრთნელები; კურზუ, (მარტვ. რ-ნის სოფ.). დადიანთა მიერ ამ ადგილზე ძაღლის საშენად გადაქცევის შემდეგ შეერქვა" (ელიავა, აბაშ. და გეგეჭკ. ტოპ. 144); გვარი გავრცელებულია გამისონიადანაც. იხ. ჯოლორია, ფონია; აქედან უნდა იყოს გაბია. შდრ. სვ. გვარი გაბიანი.

გაბისონია ელადიმერ, იტალიაში მებრძოლ პარტიზანთა ერთ-ერთი ჯგუფის მედგარი მეთაური (ქოჩ. მ. II, 196), (საგვარეულო 2663 სულს ითვლის: ზუგდიდი, მარტვილი — 463, თბილისი — 412. (გვარ-სახ. საქ.).

გაბისონიას გვარი მოსახლეობდა 1854-1855 წწ. დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში 156 სული სხვა ქართველთა შორის, სადაც აფსუათა გვარი თითზე ჩამოსათვლელი იყო. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვება, 6-8 მარტი, 1997).

გვარი მოსახლეობს: ზუგდიდი — 785, მარტვილი — 463, თბილისი — 412 (გვარ-სახ. საქ.)

გვარი შესულია საქ-ში არსებული 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათას გვართა სიაში და რაოდენობის 277-ე ადგილზეა.

გაბისკირია გაბი, გაბო საკ. სახელია, სკირი-ძე-გაბეს, გაბი(ს)შვილი.

გაბისკირია 443 სულს ითვლის (თბილისი — 106; სენაკი — 101; ზუგდიდი — 91), (გვარ-სახ. საქ-ში).

გაბია (იხ. გაბისკირია).

გაბიას გვარი 24 სულს ითვლის (ზუგდიდი — 20, თბილისი — 3, წყალტუბო — 1) (გვარ-სახ. საქ-ში).

გაბილაია (იხ. გაბია) გვარი 47 სულს ითვლის (თბილისი — 13, ზუგდიდი — 12, ბათუმი — 4), (გვარ-სახ. საქ-ში).

გაბლაია (იხ. გაბელია) გაბლაიას გვარი 257 სულს ითვლის (თბილისი — 81; ზუგდიდი — 75, წალენჯიხა — 22). (გვარ-სახ. საქ-ში, 51).

გაბრავა გაბრა: 1. ცხენის საწმენდი (საბა), 2. ანგარიშში ჩაგდება, რისამე ბადლად, სამაგიეროდ ჩათვლა-გაქვითვა ვალში გაბრა (ქეგლ) გამორიცხული არაა, რომ მას გაბრ||გაბრო საკუთარი სახელი უდევს საფუძვლად. შდრ. **გაბრიაძე**, გაბრავა გაიდურთი ლევან დადიანმა იგი და მისი სახლიკაცი შესწირა ბიჭვინთის ღვთისმშობელს და ყოველ მეორე წელიწადს დაუწესა გადასახადები... (1628).

გაბრავას გვარი 433 სულს ითვლის (ხობი — 268, ზუგდიდი — 84, თბილისი — 25), (გვარ-სახ. საქ-ში, 51).

გაბუნია ნაწარმოებია საკ. სახელ გაბუნასაგან (გაბ-უნ-აში უნა კნინობითობის სუფიქსი); გაბუნიაში ნოხორუ (ნასახლარი) გეჯეთი. ბანძა (მარტვ. რ.), ლეგაბუნიეში ოხვამე-უშაფათი, გაბუნიაში ნოხორი (ნასახლარი) — ლეძაძამე (სენაკ. რ.); **გაბუნია კირილე** მოხსენიებულია მარტვილის ტაძრის ხელნაწერებში, როგორც სახარების წიგნის განმაახლებელი და ამკინძავი.**ეგ.სვიმონ ადვაკის** ძე 1984 წ. სენაკის

მაზრის სოფ. ბანბიდან აფხაზეთში ჩამოვიდა, რომლის აზნაურობის დამამტკიცებელ დოკუმენტს ქართულად ხელს აწერს 34 კაცი (აცსა, ფ. 57 ისტ., საქმე 3, ფურც. 96). აფხაზეთში მისი მოდგმა გაბნიას გვარს ატარებს.

გაბუნია გიორგი საბას ძე სოფ. ხორგას (ზუგდ. რ.) მცხოვრები მემამულე, მისი მამული ქ. თბილისში იყიდებოდა საჯარო ვაჭრობაზე 1902 წ. 20 მარტს (ივერია, 1902, № 45). გაბუნია საქუჩოლორიოს მცხვორები, ლევან დადიანმა იგი შესწირა ბიჭვინთის ტაძარს. (1628).

გ. იოვანე გეგუთის – გეგუთი წინათ ერქვა ბანძას. მცხოვრები, მას და მის ძმას ემართათ ქუთაისის საყდრის ბეგარა... (1578), (ე. თაყაიშვილი, ქუთაისის საყდარის დავთარი, 1578 წ. 16).

გ კაცია – ჰყავს სახლიკაცები: მამა, ბახუელა, გარჯღუელა, ჯაშუშია. იგი თავისი სახლიკაცებით ლევან დადანმა შესწირა ხონის ტაძარს (1628-1639) (პალ).

გ. მყაზარია – ხახუსშვილის კაცი, ლევან დადიანმა იგი შესწირა ხონის ტაძარს (1628-1639) (პალ).

გ. მამა (სახლიკაცი) კაცია გაბუნიასი. გაბუნია ჯაშუშია – (სახლიკაცი) კაცია გაბუნიასი.

გ. თევდორა ივანეს ძე გეგუთს მცხოვრები ემართა ქუთაისის საყდრის გამოსავალი... (1578).

აზნაური ესენი არიან ურისტანის გაბაიდგან გარდმოსახლებულნი სემირამიდისაგან ოდიშში და მუნიდგან იწოდებიან გაბუნიებად. „ივერია", 1883, №1-12, №11-12; 1883.

გაბუნია ყველაზე მეტი გვართაგანი ცნობილი და გავლენიანი აზნაურები იყვნენ ბანძაში (დღ. მარტვილის რ-ნი). (მასალები გეგეჭკ. მუზ. XXVII კონფ. გვ. 69).

გაბუნია აზნაური – ამ გვარისა იყო ჭყონდიდელი თეოფანე. ვინაიდან სენაკის ოლქში, სადაღიანო აზნაურებში იმ დროს ყველაზე უკეთესად ითვლებოდნენ გაბუნიები. (ბოროზდირი კ., სამეგრელო და სვანეთი 1854-61, მოგონებანი, გვ. 57).

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობის გაბუნია.

გაბუნია მოხსენიებულია ასევე დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კინდღში მცხოვრები მე-19 ს-ის I ნახ-ში, სადაც აფსუების ხსენებაც არ იყო. 1834 წ. ივნისში მთელი ოჯახი გაქრისტიანდა (იქვე, გვ. 7, სვ. I,

№6). გვარი ასევე იხსენიება იმავე რ-ნის სოფ. თხინას მოსახლეობის 1837 წ. აღწერის სიაში (იქვე), (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997).

გ. სახელს არ ასახელებს, ონოღიიდან, დავით დადიანის დროს (1840-1850) განთქმული ქურდი. (მეუნარგია ი. 118).

გ. აზნაური, სოფ. ნაგურუშვილი, მოკლა გლეხმა ლეჟავამ. (დუმბაძე, 74 (შენიშვ.) დუმბაძე მ. 394).

გ. იონა-მამა, ოთარი — შვილი — სოხუმელები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები... (Абхазия... 369).

გ. ნოდარ კალისტრატეს ძე (დ. 193, თბილისი) ქართველი კომპოზიტორი, პიანისტი და პედაგოგი. საქ სსრ ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე (1967) (ქსე)

გ. ლეონიდე კალისტრატეს ძე (დ. 1920, ირკუტსკი), ქართვ. პალეონტოლოგი, გეოლ.-მინერალოგიის მეცნ. დოქტორი (1954), პროფესორი (1959), (წ.-კორ. (1961), საქ სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (1969), (ქსე).

გ. ნატო (ნატალია) მერაბის ასული (დ. 1859, გორი, 1910 თბილისი), ქართვ. მსახიობი (ქსე).

გაბუნია გავრცელებული გვარია — იგი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვართის სიაში. რაოდენობის (6389 სული) (ქუთაისის — 1350; თბილისი — 1232; წყალტუბო — 566), (გვარ-სახ. საქ-ში) მიხედვით 46-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

გაბუჩია გაბრუნჩული, გაბუცული (ქეგლ); გაბ-უჩ-იაში უჩ-(ა) კნინობითობის სუფიქსია. ან მეორე ახსნით გაბუჩა უნდა ნიშნავდეს შავ გაბის (უჩა-მეგრ. შავი). გაბუჩიაში ხაბო (ხრამი)-შენიკი (სენაკ. რ.)

გაბუჩია 66 სულისაგან შედგება: (თბილისი — 27, სენაკი — 22, ზუგდიდი — 6 (გვარ-სახ, საქ-ში).

გააგა ღვთაებრივი მნიშვნელობის სახელით კაბადოკიაში (ბ. ჟორდ. 135). გაგა — მკვახე ლელვი (ჩუბ); გაგა (მგრ) — აფხ. და მეგრ. აჩრდილი, ლანდი, შდრ. საკუთარი სახელი გააგა. გააგა ბახუტა, გინაგონ და გუგუგია ცაიშის მცხოვრებთ ემართათ ცაიშის საყდრის ბეგარა... (1616-1621) (პალ). (გაგია აპრასია, კასტელი, 137).

შესაძლოა, ეს გვარსახელი გააგას ვარიანტი იყოს. ნაგაგუ — სერგიეთი (მარტ. რ.), გაგიდა (გალ. რ.), გაგუიანი სვ. სახლ. დღ. ზემო სვანეთის რ-ნის სოფ. ეცერში (XIII ს-ის II ნახ.), (სვ. ძეგლ. 130).

საკლევია მთიდან ბარში მიგრაციასთან გვაქვს საქმე თუ?.. ვფიქრობთ, ერთიც და მეორეც.

გაგუა 1. ბლაგვი იარაღით ჭრა (ელიავა გ. გაგუ – ღმერთის სახელია:), შდ. გაგუა: ლეგაგუე, ბანძა, ნაგაგოუ-ნახუნალ, გაგუაში დიხა (მიწა) სალხინო, ნაგაგუ, ლეგაგუე-ჭყონი (მარტვ. რ.), გაგუაში ნოყონი ნაყვანი – ნაყანარი, ლეგაგუე-ნოქალაქევი (სენაკ. რ.). გაგუა ბარბარე ტრიფონის ასული, იხსენიება მამულის მქონე ქ. თბილისში და 1902 წ. 16 დეკემბრის საჯარო ვაჭრობის განცხადებაში (ივერია, 1902, №245).

აბაშის რ-ნის სოფ. სეფიეთში მკვიდრობს გაგუების 3 კომლი (1904 წ. აღწერით 2 ოჯახი იყო). გადმოსახლებული არიან დიდი ჭყონიდან მე-19 ს. II ნახევარში (ქართ. მემკვ. გვ. 55).

გაგუა ვლადიმერ იესეს ძე (1864-1944) სახალხო განათლების პირველი თაობის წარმომადგენელი. დ. ახალსენაკის მაზრის სოფ. კოტიანეთში დაამთავრა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი (მარტვილი), ხონის საოსტატო სემინარია (1884), მასწავლებელი ნოსირის დაწყებით სკოლაში (1884), შემდგომ სამეგრელოს სხვადასხვა სოფლებში... ჟურნალისტი, რამდენიმე წიგნის ავტორი. (სახ. განათ. მოღვ. 375).

გაგუა მელბასრ ბარნაბას ძე, დ. 1924. სოფ. კოტიანეთში, ამჟ. სენაკის რ-ნი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1972) (ებანოიძე თ., 67.)

გ. ილარიონ აქვსენტის ძე (1900-1951), გენერალ-მაიორი (1945), დიდი სამამულო ომის ვეტერანი – მხედართმთავარი. (ლ. დოლიძე, 197).

გ. ხუტა ლავრენტის ძე (დ. 1935, სოფ. ბაბუშერა, გულრ. რ-ნი) ქართველი პოეტი (ქსე).

გაგუები მოსაბლეობენ: თბილისი – 919; მარტვილი – 826; სამტრედია 534, (გვარ-სახ. საქ-ში).

გაგუა გავრცელებული გვარია. იგი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვართის სიაში და რაოდენობის მიხედვით 99-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997).

გაგუა და გაგულია გვარსახელებში გაგ ადამიანის საკუთარი სახელის ფუძეა, -უა და -ულ კნინობითი სუფიქსები. გაგულია ბაბაშია ფარეში, იგი მარიამ დედოფალს გააყოლეს მზითევში (1634). გაგულია მუშქვამური – მეღვინე. გაგულეჩი – სოფ. ცაგერის რ-ნში, გაგულია

სოფ. ლანჩხუთის რ-ნში. შდ. ქართ.-ებრაული გვარი — გაგულაშვილი.

გაგულია ეფრემ, სალხური მოლექსე; პირველი ხორგა (ხობ. რ.)

გაგულიაები 61 სულს ადგენენ: (აბაშა — 26, ფოთი — 9, თბილისი — 7), (გვარ-სახ. საქ-ში,).

გადელია გიდელი (მგრ.) მოგრძო, პირგანიერი და ძირწაწვეტილი, უყურო კაუჭიანი გოდორი (ხმარობენ მაღლარიდან მოკრეფილი ყურძნისა თუ ხიდან დაკრეფილი ხილის ძირს ჩამოსაშვებად) (ქეგლ); გადილი მწვერვალია მესტიის რ-ნში. ლეგადელე — კიწია (მარტვ. რ.), საგადელიო — ონტოფო (აბაშ. რ.). გადელიაში წკვარამი (უფსკრული) სენაკ. რ.); აფხაზეთში გადელიები გადლიად იწერებიან.

გადელია მეზენიტე, უფროსი მოსკოვის დაცვის მონაწილე, სერჟანტი, მისი ბრძოლები მტრის რისხვა იყვნენ. (მ. ქოჩიაშვილი, 14).

გადელიას გვარი 1561 სულს ითვლის (ზუგდიდი — 384; თბილისი — 341; სენაკი — 189), (გვარ-სახ. საქ-ში,).

გვარი შესულია საქართველოში 25 000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1561 სული) მიხედვით 627-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997.

გადია — გადუა — დედაკაცი ყმათა გამზრდელი (ჩუბ.).

გადილია* გვარი 465 სულს ითვლის (მარტვილი — 263; თბილისი — 91, სენაკი — 24), (გვარ-სახ. საქ-ში, 52).

გადლია მუშნი მიხეილის ძე დ. 1915. მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი (1943), (Абхазия... 334).

გ. რუშნი მიხეილის ტამიში (ოჩამჩ. რ.), კულტ. დამსახ. მოღვაწე, ჟურნალისტი. ამრიგად, გადელია — ‖ გადილია — ‖ კადლია.

გადელია იროდი მაქსიმეს ძე მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ოხურეის (ოჩამჩირ. რ-ნი) მცხოვრები, 80-იანი წლების დასასრულს ეროვნული მოძრაობის შედეგად ქართველის ეროვნება დაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე)

გავვა ეტიმოლოგია საკვლევია.

გავვას გვარი 47 სულისაგან შედგება (ბორჯომი — 30, თბილისი — 15, ახალციხე — 1), (გვარ-სახ. საქ-ში,).

გაიზარდელია გაიზარდე. შდრ. გვარი გამეზარდაშვილი. გაიზარდია მაფია, ყმა, მართებს ოდიშის სამთავრო გამოსაღები ბეგარა... (1640).

გაკაჯკაია შდრ. კაჟი გაკაჟდია - > გაკაჯკია. გამორიცხული არაა გაკაჯკა ადამიანის საკუთარი სახელის არსებობაც. გაკაჯკაია ჯემორდილის საცაიშლო გამოსავლის დავთრის მიხედვით ემართა... (1616-1621).

გალდავა ეტიმოლოგია საძიებელია.

გალდავა შოთა ვასილის ძე, უკრაინის ნ. ა. შჩორსის სახ. ჟიტომირის პარტიზანული რაზმის მებრძოლი (1943), (გურული ვ., 51).

გალდავას გვარი 660 სულს ითვლის (თბილისი – 246, მარტვილი – 186. სამტრედია – 90), (გვარ-სახ. საქ-ში).

გამსხარია სასიხარულო ცნობის მაუწყებელი (მაგ. ბავშვის დაბადების) აქედან ხარება – რელიგიური საზეიმო დღესასწაული.*

საგვარეულო 477 სულს ითვლის: ზუგდიდი – 249, წალენჯიხა – 95, თბილისი – 27. (გვარ-სახ. საქ.)

გამზარდია გამეზარდია იხ. ზემოთ: გაიზარდია, გამეზარდია. გენათლმა ეპისკოპოსმა მელქიზედეკ საყვარელიძემ (ივანე ცირლილაძე) უწყალობა მისი მამული (1548);

გამზარდიას გვარი 252 სულს ითვლის (აბაშა – 89; ფოთი – 70; თბილისი – 40), (გვარ-სახ.).

გამისუნია (იხ. გაბისონია).

გამისუნია ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მოხსენიებულია როგორც ოჩამჩ. რ-ნის სოფ. აგუბედიის მკვიდრი და ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტიტუტი, ოჩამჩირის საქმე).

გვარი 708 სულს ითვლის (ზუგდიდი ც 396, თბილისი – 105, წალენჯიხა – 92), (გვარ-სახ. საქ.).

გამკერვალია გამკრავი, გამკერელი (ქეგლ.). შესაძლოა, ეს გვარსახელი მომდინარეობდეს გამკერვალ მიმღეობის ფორმისაგან. გამკერვალია ხახუტია ხოირს მცხოვრები (ხოირი, მგონი, (ოჩამჩირის რ-ნის სოფელი ოხურვია), ემართა აფხაზეთის საკათალიკოსოს ბეგარა... (9621).

გამსახურდია არაა გამსახურდია, არამედ გა-მსახურ-დ-ა, ბატონის გარეშე საქმეების მოსამსახურე; გამსახურდიანი ნოხორი (ნასახლარი), საგამსახურდიო – ახუთი (ჩხორ. რ.), ნალევანჭალე – ძვ. სენაკი (სენაკ. რ.), „აქ აზნაური გამსახურდიები სახლებულან“ (ელიავა, სენაკ. ტოპ. 30). გალში იტყვიან, გამსახურდიას გვარი აქ სამურზაყანოდან სოფ. დიხაზურგიდან გამოსულან. (ელიავა). გამსახურდი ... მეგრელი პაპუნა გოსტაშაბიშვილის ყმა, მოწმე... (პალ). გამსახურდია მისი კაცი – ნასყიდა ნოდია ლევან დადიანმა შესწირა ხონის ტაძარს (1628-1639), (პალ).

გამსახურდია კონსტანტინე სიმონის ძე (დ. 1893, აბაშა, 1975 თბილისი) გამოჩენილი ქართველი მწერალი, საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944), (ქსე).

გამსახურდია ზვიადი კონსანტინეს ძე, ქ. თბილისი, ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი.

გ. აკაკი (... 1984), საფრანგეთში პარიზთან ახლოს დ. ლევილის ქართულ პანთეონში დაკრძალული (გაზ. „ლიტ. გაზეთი", 1990, 14 აპრ.).

გ. გრიგოლ კაჟუნას ძე, დ. 1911, დიდი სამეულის ომის ვეტერანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მუშაობს თსუ-ში. (ე. ზაქარიაძე, 9).

გამსახურდის მეგრელი, მოხსენიებულია, როგორც ფრანგ-რუსთა 1812 წ. ომის მონაწილე (ს. ცომაია, ქართველები 1812 წ. ფრანგ-რუსთა ომში. ჟურნ. „განათლება", 1915, №1, გვ. 15).

გამსახურდიას საგვარეულო 895 სულს ითვლის (ზუგდიდი – 382; თბილისი – 120; ჩხოროწყუ – 120), (გვარ.სახ. საქ-ში, 55).

გამცენია გამცემია, ვინც გაილებს – გასცემს (ქეგლ), შდრ. გვარი გამცემლიძე. გუბუჭურვა ან ციბუკუას დარჩას (ვფიქრობთ, უნდა იყოს დარჩელს – ნ. ჯ.) მცხოვრებს ემართა ცაიშის საყდრის გამოსაღები... (1616-1621).

განაია შესაძლოა მომდინარეობდეს განა მეტსახელისაგან. შდრ. განი, განდაგანა.

განაიას გვარი 42 სულისაგან შედგება (თბილისი – 16, მარტვილი 16, ფოთი – 3) (გვარ. სახ. საქ-ში, 54).

განარჯია, მოსაქმეობის ტერმინია; განარჯ-ი (მგრ.) ნაშრომი (კაცი), განარჯიაში მუხური, (ზუგდ. რ-ნი).

განგავა I. კეთილის მოსურნე. განგავას ვარიაციული ფორმაა განგია; 2. განგება-ღვთაება.

განვავას გვარი 77 სულს ითვლის (სენაკი – 63, ოზურგეთი 4, აბაშა – 4). (გვარ.სახ. საქ-ში,).

განგია I განგია, გამგია – მნე, მოხელე, კეთილმოსურნე (ჩუბ.) ეს გვარსახელი შეიძლება ასე ავხსნათ: განგ-ალ-ა -> ბანდალა (იტყვიან კაცზე, რომელიც ძლივს დადის; 2.* საგანგიო – ეკი (სენაკ. რ.), განგიაში ტყა (ტყე) (მარტვ. რ.), შდრ. გამგე, გვარსახელი გამგებელი.

განგიას გვარი მოხსენიებულია მე-19 ს I ნახ-ში, სოფ. კინდღში მცსოვრებ ქართველებთან ერთად, სადაც აფსუების გვარი არ მოსახლეობდა. განგია ბათაყვა, თუყვა, ცოლი – ნიშა, შესულია 1834 წ. ივნისში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში გაქრისტიანებულთა სიაში.

განგიას გვარი 54 სულს შეადგენს (სენაკი — 20; ზუგდიდი — 12; აბაშა — 11) (გვარ.სახ. საქ-ში — 54).

განგურავა (იხ. განუგრავა). განუგრავა, განუგრძობელი, შეწყვეტილი (ქეგლ).

განუგრავას გვარი 99 სულს ითვლის (თბილისი — 32, ბათუმი — 3, ზესტაფონი — 2), (გვარ-სახ. საქ-ში).

განდავა განდევნა, გაგდება (ქეგლ). იგი გალდავას ვარიანტია.

გარსია გარსტ, საფარი, ფენა, რითაც გარს ეკვრის რისამე (ან ვისამე), 2. გარსი — აფსკი, თხელი კანი კვერცხის ნაჭუჭსა და ცილას შუა ან ხახვისა, ნივრისა და სხვ. (ჩუბ.). გარსია შესაძლოა, ამოსაველად გარსოს (გარსევანს) გულისხმობდეს.

გარუჩავა გარ-უჩა-ვა, გარ — საკ. სახელი, უჩა — (მგრ.) შავი, შავაძე; (სხვაგვარი ახსნით, გარუჩავაში უჩა შეიძლება კნინობის სუფიქსი იყოს). საგარჩო, ნაგარეჩუ — დაბა ჭალადიდი, საგარეჩიო — თეკლათი, ნაგარეჩუ — მენჯი (სენაკ. რ.), გარუჩეთი სოფ. ლენინგორის რ-ნში. გარაუჩაა წყალგზის მცხოვრები, საეკლესიო გლეხი, ევალებოდა ხუთი ლოღარაკი (ძვ. სასწორი) სანთლის გამოღება, XVII ს.

გარაუჩაა გარუჩავას დიალექტიური ვარიანტი უნდა იყოს.

ამ ვარიანტის მიხედვით, იგი ორ კომპონენტს შეიცავს: გარა (ტირილი) + უჩა (შავი)

გარგანჯია (იხ. ბარბანჯია, ბარგანჯია); ვედიდარი (მარტვ. რ.)

გარგანჯიას ცეცხლი. ასეთ დიდ ცეცხლს ანთებდნენ ჭიაკოკონობის ღლესასწაულზე, ეშმაკების დასაფრთხობად. ვედიდკარი (მარტვ. რ-ნი).

გარგანჯიას გვარი 77 სულისაგან შედგება (ზუგდიდი 19, მარტვილი 18, სენაკი 10) (გვარ-სახ. საქ-ში, 54).

გარგულია გარვალი, „ცეცხლის გუზგუზი“ (გ. შარაშ.) (იხ. გარმელია).*

გვარი 129 სულს შეადგენს (წალენჯიხა — 64; ზუგდიდი — 36, თბილისი — 8). (გვარ-სახ. საქ-ში).

გარდავა (იხ. განდავა). გადავა წარსულს ჩაბარდება, მოისპობა, გაქრება; გარდეფიში ნოხორე (ნასახლარი), თამაკონი (მარტვ. რ.), აქედანაა გალდავა, გარდივაძე.

გარდავა ეკატერინე ვლადიმერის ასული, სოფ. ცაიში, ზუგდიდის რ-ნი, ხალხური მთქმელი (ღლონტი, 220).

გარდავას გვარი 192 სულს ითვლის (ზუგდიდი — 163, თბილისი — 23, მოსკოვის ლტოლვილი — 1). (გვარ-სახ. საქ-ში).

გარმელია გარმიანელი, ძვ., უცხო, გარეშე, შორეული, არაღვიძლი... (ქეგლ). გადმოცემით გარმელიები გარგულიები ყოფილან ცაიშიდან, ენგურს რომ გადასულან, გარმელიები გამხდარან.

გარმელიები 76 სულს შეადგენენ (ზუგდიდი — 43, თბილისი — 17, თერჯოლა — 6) (გვარ-სახ. საქ-ში, 55).

გარუჩავა, ეტიმოლოგია საკვლევია, ვალერიან სილიბისტროს ძე (დ. 1925, სოფ. ზემო დიმი, ბაღდ. რ-ნი, სოც. შრომის გმირი (1949) (ქსე).

გარუჩავას საგვარეულო 663 სულია (სენაკი — 212, ფოთი — 100, თბილისი — 88). (გვარ-სახ. საქ-ში, 55).

გაფშხუა გახვნეშა. გაფშხუა ცაიშის მოსახლე, ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა...

გაჩავა გვარში გ და ჩ ბგერები ჩართულია რუსულის გავლენით, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ღაჭავა, ღაჭუა (მგრ.) კრეჭვა, გაკრეჭვა; ან სხვაგვარად, გაჩა მეტსახელი შეიძლება ედოს საფუძვლად. შდრ. ტოპონ. გაჩიანი რკინიგზის სადგური რუსთავ-თბილისს შორის მდებარე; გაჩიანი ისტ. მხარე ქვ. ქართლში.

გაჩავას გვარი 63 სულს ითვლის (თბილისი — 51, რუსთავი — 5, ზუგდიდი — 4), (გვარ-სახ. საქ-ში, 55).

გაძლიკია გაძლი-გაძეხი, კი, ნამდვილად? გვარი მომდინარეობს ცრუმორწმუნოება „გაძლიკობადან". დღესასწაული იმართებოდა დიდმარხვის 24-ე დღეს, ოთხშაბათს. მოაგროვებდნენ გაზაფხულის პირზე პირველად ამოსულ ნორჩ ბალახებს: ჭინჭარს, მაჭარხვიას... მოხრშავდნენ გაძლიკიასათვის... (ს. მაკალათია, 312).

გაწერელია უნდა მომდინარეობდეს გაწერელ-გაწერილ მიმღეობური ფორმისაგან. გაწერელია მოწერილია ივანელა — მამა ივანელა, ბეჟან ბატონიშვილმა იგი უწყალობა გიორგი ასათიანს (1700).

გაწერილია აკაკი კონსტანტინეს ძე (დ. 1910, ფოთი) ქართვ. ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგი, მენც. დოქტორი (1954), პროფესორი (1955), საქ სსრ დამს. მოღვაწე (1965). (ქსე).

გაწერელიას გვარი 409 სულს შეადგენს (მარტვილი — 167, თბილისი — 111, ზუგდიდი — 39) (გვარ-სახ. საქ-ში, 55).

გაჭირდია ფუძედ გაჭირება, გაჭირდა ზმნაა. გვარი შერქმეულია, ან მეტსახელისაგან უნდა მომდინარეობდეს. გაჭირდა ცაიშელი (სახლიკაცი) სუფედალარი (1616-1621).

გახარია გასახარი რამ; გარახა (ჩხორ. რ.), აქედანაა გამახარია.

გახოცია გა-ხოკ-ი-ა, გა-მოცილება — პარსვა. გვარ-სახელი გახოკვა, გახოკვია ნაზმნარ სახელს გვარაუდებინებს. შდ. სახოკია, გახოკიძე.

გახარიას გვარი 1362 სულს შეადგენს (ჩხოროწყუ — 728, ზუგდიდი — 225, თბილისი — 200) (გვარ-სახ. საქ-ში — 55).

გახოკია მგრ. ფაშატიში კუდელი, ცხენისკუდა, აჭ. ხერტალა, გურ. ჯორისკუდა (ბოტ.).

გახოკია მიხეილ ფილიპეს ძე (1889-1926), დ. ქუთაისის მაზრის სოფ. გამოჩინებულში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოძრ. 163).

გახოკიძე მიხეილ ლევანის ძე, დ. 1909 სოფ. ქვაითი, დღ. მარტვილის რ-ნი. საბჭოთა კავშირის გმირი — 1942, მათ ასახელეს, 112-115.

გახოკიას გვარი 330 სულს ადგენს (მარტვილი — 91, თბილისი — 78, ფოთი — 29), (გვარ-სახ. საქ-ში, 55).

გაჯუა უნდა მომდინარეობდეს გაჯუ საკუთარი სახელისაგან. გაჯუა ლევან დადიანმა მთაწმინდის ხარების ღმრთის მშობელს შესწირა ბაშს მცხოვრები სიგიჯუმა გეგია, რომელიც გახუასეულ ნაპარტახტალზე ესახლა (1642).

გვარმა ვერ პოვა გავრცელების არეალი, მკითხველისთვის გასაგები მიზეზების გამო.

მე-19-ს, 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი, აქედან 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრული წარმოშობისაა. მათ შორის გაჯუა — გოჯუა. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997).

გებერავა გებირა (მგრ) — დამღერება (ფიფია დ.).

გებერავა, ნაგებერავო, სოფ. მარტვილის რ-ნში.

გეგებერია გეგე — საკ. სახელი წმ. გიორგი, ბერი — მოხუცი (მგრ) წყალი, ძე, ვაჟი, გეგებერია ბებულიას ემართა ჭალის სასახლის ბეგარა... გეგებელია მარტიშიას, უწყინარასა, თამაზასა პიპიშიას, ბაიჭუჭუს, სამართალსა, ნანატრიას, მახუხიას და გაჭირდიას ემართათ საცაიშლო ბეგარა... (1616-1621).

გეგებერია კემხელიდან (?) ლევან დადიანმა შესწირა ხოფის მონასტერს (1611), (მასალები, 122).

გეგელია გეგ-ელ-იაში წმინდა გიორგისა, ელ(ა) კნინობითობის სუფიქსია. ია-ძე; გეგ(ე) საკუთარი სახელი; საგეგელიო — ხორში (სენაკ. რ.), შდრ. ქართ. გვარი **გეგელაშვილი**, მეგრ. **გეგენავა**.

გეგელიძეები მოსახლეობენ სოფ. ცხმორისის ს/ს (ქედის რ.).

გეგელია აზნაური იყო. „სომეხთა მთავარი განში, დადგენილი ბერძენთაგან წელსა 1038 და მათი გვარნი მოვიდნენ დროსა მეფისა და მიიღეს გვარად განძიელი და იმერთ შეცვალეს ენის თვისებისა გამო გეგლიათ“ („ივერია“, 1883, №1-12; 11-12.).

გ. ბაკიჩია მთავარ დავით დადიანის ყმა, „რომელიც შეკვეთილის ბრძოლას გამოქცევია, მთავარმა ვირზე შესვა ძირუკულმა, თავზე ლეჩაქი დაახურა და ისე არონინა სახალხოდ. მას აქეთ იმას და მისიანებს „ვირინიში გიმახვენჯის“ „ვირზე მჯდომარეს“ ეძახდნენ სამეგრელოში“ (ნიკო ფალავას ნაამბობი), (მეუნარგია ი. 40).

გ. თენგიზ გიორგის ძე, დ. 1928 სოფ. პატარა ხონის რ-ნის ჯიხაიშში ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1966), საქ სსრ მეცნ. აკადემის წ. კორ. (1974), საქ. სსრ დამსახ. მოღვაწე (1985), საქ სსრ მეცნ. აკადემიის ი. ნ. ვეკუას სახ. პრემიის დაურეატი, საქ. სახ-ფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. (1971), (ჯაფარიძე 8).

ამჟამად გეგელიას გვარი 503 სულისაგან შედგება (ზუგდიდი — 123, თბილისი — 118, მარტვილი — 96). (გვარ-სახ. საქ-ში).

გეგენავა 1. გეგნია (მგრ). დიდი, უსაზღვრო ალი, გადაჭ. ნულის უსაზღვრო დარდი (ელიავა გ. ლექს). გეგე — წმ. გიორგი, ნახუნალი, გეგენიერი — სერგიეთი, გეგინეთი — ხუნწი გეგეწყუ (გეგესწყარო) (მარტვ. რ.), საგეგენიო — მენჯი (სენაკ. რ.). აქედან გეგელია. გეგელიძეები ქედის რ-ნის სოფ. ცხმორისში მოსახლეობენ. გეგენავას ჰყავს ძმა ოთია. ზაალ ღოღობერიძემ „ფიცის გასამტეხლად“ ხოფის ღვთისმშობელს შესწირა ძმები გეგენავები: ეცადია და ოთია. შემდეგში მათი შეწირულება განუახლა ხოფის ღმრთისმშობელს წინამძღვარმა ზებედემ“ (1673-1696).

გეგენავა გაბრიელი იყო ოდიშის კარის მღვდელი, ელჩი მოსკოვში ლევან II დადიანის (1614-1954) დროს. (ი. ანთელავა, 99).

გეგენავას გვარი 850 სულს ითვლის (თბილისი — 209, სენაკი — 203, ფოთი — 112). (გვარ-სახ. საქ-ში,).

გეგჩკორი (იხ. გეგეჭკორი), გეგეჩკორი 83 სულს ითვლის (თბილისი 43, მარტვილი — 22, რუსთავი — 9). (გვარ-სახ. საქ.).

გეგეჭკორი გეგე-ჭკორი გეგე წმ. გიორგი, ჭკორი (მეგრ.) — ყმა = ყმა; გეგინეთი (მარტვ. რ.).

გეგეჭკორი აზნაური ჭყორელი იყო. ამან გეგემან მიიღო აზნაურობა სამსახურის გამო მეფისა და მიუბოძა გეგეჭკორობა გვარად და გაუგვარდა ესე (ივერია, 1883, №11-12; 1884, 1-12).

გვარში შემონახული გადმოცემით, გეგეჭკორთა წინაპრები დადეშქელიანები ყოფილან. გეგეშ დადეშქელიანმა გაიტაცა ქალი, რომელსაც უკან გამოდევნებიან. მას სამეგრელოში შეუფარებია თავი. პირველ ხანებში წმინდა გიორგის კარზე ყოფილა, ხოლო შემდგომ საერო ცხოვრებისათვის მიუყვია ხელი. თუმცა მათმა შთამომავლებმა კავშირ-ურთიერთობა არ გაწყვიტეს ეკლესიასთან და საეკლესიო პირებიც ბევრი ჰყავდათ. პეტრე, ვალერიან, თეიმურაზ გეგეჭკორები მარტვილის მონასტრის მგალობლები იყვნენ, ცნობილია, მგალობელი, აგრეთვე, არქიდიაკონი მელიტონ გეგეჭკორი, მარტვილის მონასტრის მღვდელი იყო გიორგი მერაბის ძე გეგეჭკორი.

გეგეჭკორი ანდრია მთავარი დავით დადიანის რუსული კანცელარიის მწერალი. მთავარმა ის რალაც შემთხვევის გამო გალახა, ანდრიამ სიტყვა შეუბრუნა. „დედა შეაგინაო" – ამბობს მთხრობელი და „მთავარმა ამის გამო ის დასაგდაო" ანდრია ჭკუიდან შეიშალა... (მეუნარგია, ი. 33).

გ. ალექსი (საშა) ალექსანდრეს ძე (1887-1928). დაიბ. სენაკის მაზრის სოფ. ნაოღალევში, აზნაურის ოჯახში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოძრ., 168)

გ. ევგენი აიზორის ძე, უკრაინის ნ. ა. ჩორსის სახ. ჟიტომირის პარტიზანული რაზმის შენაერთის მებრძოლი (1943), (გურული, ვ., 51.)

გ. ალექსანდრე ანტონის ძე, უკრაინის ს. ფ. მალიკოვის სახ. პარტიზანული შენაერთის მებრძოლი (1943), (გურული, ვ. 53)

გ. ნიკოლოზ გიორგის ძე„ (1891, სოფ. მარტვილი, მარტვილის რ-ნი, 1937, თბილისი) ქართველი თერაპევტი, მედიც. მეცნ. დოქტორი (1937), (ქსე).

გ. ევგენი (1882-1954), სოსიკო ევგენის ძე (1911-1927), საფრანგეთში პარიზთან ახლოს დ. ლევილის ქართულ პანთეონში განისვენებენ (გაზ. „ლიტ. საქ. 1990, 14, IV).

გ. (ივანე) კიწი ბესარიონის ძე (1886, ზუგდიდი, – 1971 სოხუმი), ქართ. ხალხ. მომღერალი და ლოტბარი, ხელოვნ. დამსახურ. მოღვაწე (1946). (ქსე).

გ. გიორგი ფოთის მონასტერს ემსახურა 30 წელს. ამგვარად, გვარს ჰყავს ბევრი გამოჩენილი ადამიანი. (ი. ახუაშვილი, ქართ. გვარს. 53-54).

ამჟამად გეგეჭკორის გვარი 1743 სულს ითვლის (თბილისი – 516, მარტვილი – 393, ზუგდიდი – 272). (გვარ-სახ. საქ-ში,).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე

გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1743 სული) მიხედვით 535-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

გეგია გაიგე და გააგებინე სხვას: გეგე — წმ. გიორგი, ია — ძე, გეგიაში მუხური (კოლხ.) — კუთხე, ძვ. სენაკი (სენაკ. რ.). გეგუთი (წყალტ. რ.), გეგა მდ. გუდაუთის რ-ნში; გამორიცხული არაა გეგენავა, გეგელია... გვარსახელებთან გეგიას დაკავშირება. გეგია სიგოჯუა ბაშს მცხოვრები, იგი გახჯუასეულ ნაპარტახტალში დაასახლა ლევან დადიანმა და შესწირა მთაწმინდის ხარების ღმრთისმშობელს და დაკისრა გამოსაღები... (1642).

გ. სიგიჯუმა ნაპარტალხი, ბაშს მცხოვრები ლევან დადიანმა ნაპარტალხში გაჯუასეულს დააყენა და გამოსაღებელი დაკისრა (1642), (მასალები, 161).

გეგია — ივანე კონსტანტინეს ძე (1860-1941), სახალხო განათლების პირველი თაობის წარმომადგენილი.

გ. დ. სამურზაყანოს მაზრის სოფ. ოქუმში დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი (1880), ოჩამჩირეში გახსნა კერძო სკოლა..., შემოიტანა ჩაის ბუჩქი და გაავრცელა სამურზაყანოში, მოაწყო სანიმუშო მეურნეობა.. სამუდამოდ გადაასახლეს რუსეთის შორეულ გუბერნიაში (1904), ათავისუფლებენ, ბრუნდება. მასწავლებელი, აგრონომიული განათლება შეაქვს სოფელში, იყო გალის 9 წლ. სკოლის აგრონომ-მასწავლებელი. (სახ. განათლ. მოღვ., 367).

გეგიას გვარი 703 სულს შეადგენს (მარტვილი — 161, თბილისი — 159, სამტრედია — 114) (გვარ-სახ. საქ-ში,).

აქვე საჭიროდ მიმაჩნია, აღვნიშნოთ, რომ იოანე გეგეას გვარები მოხსენებული აქვს აფხაზ მეცნიერ სერგეი ზუხბას თავის წიგნში: „აფხაზური ზეპირსიტყვიერება“ თბ., 1988, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა (ქართულ ენაზე), აფხაზურიდან მთარგმნელები: თეიმურაზ გვანცალაძე და ავთანდილ არაბული, რედაქტორები: ნ. კიკნაძე, ჯ. თითმერია, რეცენზენტი ო. ონიანი.

ავტორი წერს: „1865 წ. თბილისში გამოვიდა პირველი წიგნი აფხაზური ანბანისა... წიგნის შემდგენელ კომისიაში შედიოდნენ აფხაზები: (ხაზგასმა ჩემია) იოანე გეგია... გიორგი ქურციკიძე, აქ მოთავსებულია ქურციკიძის მიერ მოწოდებული ორმოცდაათი აფხაზური ანდაზა... (გვ. 27). ორი გვარი ქართულია თავისი პრეფიქსითა და სუფიქსით და ისმის კითხვა: რატომ გავიდა ასეთი უვიცობა წიგნში?

გეგიდავა ეტიმოლოგია დასადგენია. გაგიდა (გალ. რ.), გეგიდავა უსკავაშაბის და შუშანიას ემართათ ჯგალის ციხის ბეგარა ისეთივე, როგორც ბუმბავა შამბიას (1612-1621).

გელენავა წარმომდგარია საკ. სახელი გედედან... საგვარეულო 15 სულს ითვლის (მარტვილი – 6, აბაშა – 5, სამტრედია – 4), (გვარ.სახ. საქ.).

გეზერდავა ადგ. გამოთქმით გეზერდაა. გეზერდა – გეზი, მიმართულება.

გეზაა ფონი – მდინარეზე გასასვლელი (ჩუბ.); გეზათი (სენაკ.) გეზათი – სამიქაო (აბაშ. რ.), გეზა შესაძლოა მეტსახელიც ყოფილიყო ძველად.

გეზერდაები მოსახლეობენ წალენჯიხის რ-ნის სოფ. ლიაში.

გეზრდა გოგია ძმაი ამისი: აბრაგი, დაი ძმისი ფათომ მოხსენებულნი არიან დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნის მკვიდრნი და 1834 წ. აპრილში „გაქრისტიანებულთა სიაში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშ. მარტი, 1997), (გვ. 6, სვ. I, №57).

გეთია მომდინარეობს ადამიანის საკუთარი სახელისაგან. შდრ. ქართული გვარი გეთიაშვილი (შდ. ბეთია) გეთიები სახლობდნენ კირცხში (ჩხორ. რ.) და იყვნენ დადიანების კაცები.*

გეთია ანტისა საბრონის ასული (1918-1986), ჯვარი (წალენჯ. რ.), საქ. სსრ კულტურის დამსახ. მოღვაწე. (გაზ. „კომ. დრ.“ 5. V. 86).

გეთიას გვარი 887 სულს ითვლის: ზუგდიდი – 417, წალენჯიხა – 192, თბილისი – 9.) (გვარ-სახ. საქ-ში,).

გელავა წარმომდგარია საკ. სახელ გელასაგან, საგვარეულო 115 სულს ითვლის (მარტვილი – 57, თბილისი – 17, რუსთავი – 15), (გვარ-სახ. საქ.).

გელაზია გელაზ-ი ზეთის სახდელი დიდი მრგვალი ქვა (ქეგლ). 2. გელაზი – წისქვილის ქვა (კ. გამს, 1, 328). გელაზონია ეთნ. ზანი აქედანაა გელაზონია.*

საგვარეულო 144 სულს ითვლის (სამტრედია – 80, თბილისი – 45, აბაშა – 6), (იქვე).

გელანტია 1. გე-ლა(ნ)ტი – ნაძვი (ჩუბ.); 2. საგელანტიო ზუმი (ჩხორ. რ.). აქედან უნდა იყოს გერანტია.

გელენავა გელა ხის ან რკინის კეტი მოღუნული ბოლოთი, ცეცხლის საჩხრეკად (ქეგლ); ორსანტია (ზუგდ. რ.).

საგვარეულო 564 სულს ითვლის (ზუგდიდი – 320, თბილისი – 107, გარდაბანი – 19), (გვარ-სახ. საქ.).

მე-19 ს-ის 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში, – შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში სახლობდა 400-მდე კომლი, აქედან 130-მდე გვარეულობიდან 35 აფსუა... 85-მდე კი ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის გელანტია.

გელანტია 481 სულს ითვლის (ჩხოროწყუ – 174, ზუგდიდი – 71, თბილისი – 54), (გვარ-სახ. საქ.).

გელოზია ეტიმოლოგია საკვლევია. საგვარეულო 58 სულს ითვლის (სენაკი – 36, ფოთი – 8, ლანჩხუთი – 1), (გვარ-სახ. საქ.).

გელუქანია გელაქნური ტბის კალმახი (ქეგლ). გელუქანი შურიძიდგა ჯგალის მცხოვრები, ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა... (1616-1621).

გერანტია (იხ. გერია).

გერანტია პავლე მოსხენიებულია ავტორის წიგნში, კოჩარა, სოხუმი, 1971 წ., გვ. 50.

საგვარეულო 109 სულს ითვლის (ზუგდიდი – 85, სენაკი – 10, თბილისი – 9). (გვარ. სახ. საქ.).

გერგაია (ო) გერგი-ლ-ი (კოლხ.) – გაქნილი „საქმის მარჯვედ მქმნელი“ (საბა).

გერგეთი სოფ. ყაზბეგის რ-ნში, საგვარეულო მოსახლეობს ხულოს რ-ნის სოფ. ღორჯომის ქობულეთის რ-ნის სოფ. ჩალაში და წალენჯიხის რ-ნის სოფ. ფახულანში.

გერგაია საღმაქვა, ცოლი – ჭიგვ, ძე – ბაღარ იხსენიებიან 1834 წ. ივნისში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ილორში გაქრისტიანებულთა სიაში. გვარი 618 სულს ითვლის (ხობი – 353, ზუგდიდი – 69, ფოთი – 52), (გვარ-სახ. საქ-ში).

გერია, გერგე – ასაკ-მცირე ცხენი და მისთანანი მგრ. ვერგედან სიტყვები შე-გერგოს, გერგება, გერგილია, წმინდა გიორგი, გერენტი – ყოფილი სოფელი ყაზბეგის რ-ნში (შეუერთდა ყაზბეგის დასახლებას). გერგეტულა – ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი ხატუალური ცეკვა-სამსართულიანი ფერხული, სრულდებოდა გერგეტის სამების ხატობაზე (ქსე, III).

წმინდა გიორგი მეგრულად მოიხსენიებოდა შემდეგი სახელებით: ჯგეგე, ჯგეგეგე, ჯგეჰე, გეგი და გერგე. ერგეტა სოფელია ზუგდიდის რ-ნში.

გერგია (იხ. გერია) საგვარეულო 23 სულს ითვლის (ზუგდიდი – 6, თბილისი – 6, ბათუმი – 2), (გვარ-სახ. საქ.).

გერეხელია გვარი სადაურობაზე მიგვითითებს, მერხეული სოფელია (გულრ. რ.). სხვაგვარი ახსნით, გერეხელი გერე გიჟს უნდა ნიშნავდეს. შდრ. ქართ. „გიჟი“. 2. არის ძვ. კოლხური სიმღერა „ერეხელ ვარდა“ – ერეხელი არ იყო.

გერგვალია საკ. სახელი გიორგი, გიორგიდანაა წარმომდგარი.

მე-19 ს-ის 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნი სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის გვრგვალია (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997).

გერვალია ხუტა, მისი ასული მუსაადი მოხსენიებული არიან 1834 წ. აპრილში ლიხნში ქრისტიანობამიღებულთა სიაში. (გაზ. „საქართ.“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997, გვ. 6).

გერენავა იხ. გერია, შესაძლოა გერენა ადამიანის საკუთარი სახელი იყოს, გერენა (მგრ.) – დგანან (ადამიანები, ცხოველები, ამხანაგები), შდრ. ქართ. გელენიძე.* გერმავა (-გერსმავა<-გერასიმოვა, როგორც ჩანს, გერზმავა გვარსახელში გერასიმე საკუთარი სახელის სახეცვლილებასთან გვაქვს საქმე.

საგვარეულო 70 სულს ითვლის (აბაშა – 25, ზუგდიდი – 16, სენაკი – 16), (გვარ-სახ. საქ.).

გერზმავა (იხ. გერია); გურზამა (მგრ) – დანთება (ცეცხლის), (გ. გელიავა, ლექსიკ).

1998 წ. გამოვიდა საქ-ს მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტის, პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის მონოგრაფია „ქართველთა სახელწოდებები და მათი ეტიმოლოგია“ დედა და ინგლისურ ენებზე. აკადემიკომა ალ. ღლონტმა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ (14.IV.98) აღნიშნულ წიგნზე გამოაქვეყნა ვრცელი რეცენზია სათაურით „ახალი თეორია ქართველურ ტომთა სახელწოდებების საკითხებზე“. სხვათა შორის, ხაზს უსვამს მგლის აღმნიშვნელ უძველეს სახელს. ქართველთა მითოლოგიაში წარმოდგენებით მგელი მიჩნეულია ტომის უძველეს მფარველად. მეგრულ-გვარსახელებში „გერ“ ფუძიანი გვარებია: გერია, გერგედავა, გერგელავა... სულ 14 ერთეული (იხ. ცალ-ცალკე), (მგლის ტოტემზე – ვრცლად დასახ. წიგნში). გერი სოფ. და მთა ცხივნალის რ-ნში. ტოპონიმია ჩხორ. რ-ნის მეორე ჭოლის ტერიტორიაზე.

გერია წარმომდგარია გერი (მგრ.) მეგრელიდან. ჯოლორია მოხსენიებულია, როგორც დღ. გუდაუთის რაიონის სოფ. ლიხნში

მცხოვრები და გაქრისტიანებული 1834 წ. აპრილში (გაზ. „საქართ.“ სპეც. გამოშვება. მარტი, 1997, გვ. 6, I, სვ. №69).

გერსამია (იხ. გერია) გერსამია <- გერასიმე. ა — ხმოვანი დაკარგული ჩანს... ლეგერსამე — ახუთი ჩხოროწყუს რ-ნი, ბაღმარანი, გულრიფშის რ-ნი.

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობიდან 35 აფსუური..., ხოლო 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის გერსამიაც. გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის მოსახლეობის გაქრისტიანების 1837 წ. სიაში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

გერსამია ვლადიმერ სიმონის ძე (1817, ახუთი, ჩხოროწყუს, რ-ნი, 1965, თბილისი), ქართველი თერაპევტი, მედიც. მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1961), საქ სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1964), (ქსე).

გერსამიას გვარი 527 სულს ითვლის (თბილისი — 154, ზუგდიდი — 75, ჩხოროწყუ — 71). (გვარ-სახ. საქ-ში).

გეფიჩია ეტიმოლოგია დასადგენია.

გეჩუა — ადგ. გამოთქმით გვაზაა, გეჩა თევზის დასაჭერი გრძელი მოწყობილობა, მოწნული წვრილი წნელისაგან (ბ. კილანავა). შდ. გუჩუა. ნაგეჩუ-ეკი (სენაკ. რ.).

გეჯუა 1. მგრ. გეჯი — თევზის საჭერი, 2. წარმომდგარია გეჯუ მესტახელისაგან. გეჯა დიდი გობა ხისა ნავის მსგავსად ამოთლილია და იხმარება ცხოველების სასმელი წყლის (საჭმლის) ჩასასხმელად, სარეცხის გასარეცხად. სკადა და სხვ. (ქეგლ); გეჯეთი (სენაკ. რ.), გეჯუების საგვარეულო 1897 წ. პირველი აღწერით 1512 სულს ითვლიდა.

გვაბავა გვაბანა — ბამბა დატანებული თბილი ტანთსაცმელი 2. ქუჩა (კილანავა).

გვაგვალია გვაგვალა (მგრ.). მომრგვალებული შემატებული, ჩასუქებული. გალი, დიხაზურგა (გალ. რ.).

გვაგვალიას გვარი 512 სულს ითვლის (ზუგდიდი — 280, წალენჯიხა — 81, თბილისი — 59), (გვარ-სახ. საქ.).

გვაზავა გვაზალა (კოლხ.) — ჩასუქებული, დუნდულა; საგვაზაო — ნორიო, სუჯუნა (აბაშ. რ.), სანაგვაზუ (სენაკ. რ. ნაგვაზუ-ლეწურწუმე

(ჩხორ. რ.), ზემო და ქვემო ნაგვაზოვუ (მარტვ. რ.), გვაზაური (ხონის რ.), გავაზი სოფ. ახალგორის რ-ნში (შიდა ქართლი), გვაზაა ვამიწეუ – ცაიშის მცხოვრები, ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა... (1616-1621).

გვაზავა პლატონ ბიქტორის ძე, ოჩამჩირის რ-ნის სოფ. მცხოვრები, იროდი ესტატეს ძე იმავე რ-ნის ჯგალის მცხოვრები 80-იანი წლების აფხაზეთის ეროვნული მოძრაობისას ქართველ ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

მე-19 ს-ის 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის გვაზავაც.

ამჟამად გვაზავას გვარი საქართველოში გავრცელებულ 25000-ზე მეტი ათასი გვარის სიაშია და რაოდენობის (2226 სული) მიხედვით 364-ე ადგილზეა. (აბაშა – 690, თბილისი – 577, მარტვილი – 229) (გვარ-სახ. საქ-ში,). (გაზ. საქართველო, 6-8 მარტი, 1997).

გვაზბაია (იხ. გვაზავა); სოფ. ნაგვაზოვო შედიოდა ქუთაისის ოლქის სენაკის მაზრაში და 1897 წ. აღწერით მოსახლეობდა 1675 სული.,ამჟამად კი ნაგვაზოვოში 2226 სულს ითვლიან (აბაშა – 690, თბილისი – 577, მარტვილი – 220), (გვარ-სახ. საქ.).

გვათუა წარმომდგარია გვათუ|გოთუ საკუთარი სახელისაგან, შდრ. გოთუა, გვათუ ჩიჩუას სათავადოს აზნაური.

გვათუა სამეგრელოში რაღაც დააშავა. მთავარი დაეშუქრა, ის ზეგანში (ჯავახეთი) გამოიქცა და სოფ. ჭვანში დასახლდა, თათრობა მიიღო. მოტყუებით ცოლ-შვილიც ჩამოიყვანა და ისინიც გაათათრა. შემდეგ საქართველოში გოგო-ბიჭების ტაცობასა და გაყიდვას მიჰყო ხელი.

ჭვანელი (ჭვანა სოფელია შუახევის რ-ნში), გვათუების მეოხებით ბევრი მეგრელი გამაჰმადიანდა. ესენი თურმე მეამბოხე მეგრელს სამეგრელოდგან თვისკენ იხმობდნენ, ზეგანში (ზეგანი – ზემო აჭარის მეორე სახელწოდებაა) ასახლებდნენ და მერე ამაჰმადიანებდნენ. 1790 წლებში ამათ მიუმხრიათ 30 მეგრელი და ყველა გაუმაჰმადიანებიათ. ამათ იქ ცოლები შეურთავთ და მერე უწყიათ სამეგრელოზე გათარეშება, ტყვეების ტაცობა და ოსმალეთში გაყიდვა. (ქართვ. გამაჰმ., 84).

გვათუა ავქსენტი 1905 წლის რევოლუციაში მოძრაობის ხელმძღვანელი სოჭის ოლქში. (ტულუმჯიანი, 52) გვათუა ბესარიონ სოჭის აფთიაქის გამგე, 1905 წ. რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი სოჭის ოლქში (A.O. ტულუმჯიან, 53).

გვათუას გვარი 302 სულს ითვლის (თბილისი – 116; ფოთი – 56, სენაკი – 50), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვალია გვალვა — ნიადაგის სიმშრალე, გამოწვეული სანგრძლივი უწვიმობითა და სიცხით (ქეგლ); ნაგვალოვუ (ოჩამჩ. რ). გვალაშარა — მდ. (ჩხორ. რ.), გვალია — მთა (წალენჯ..რ. და გალ. რ.); აქედან უნდა იყოს გვაგვალია. გვალია შესაძლებელია გვალასთან (მეგრულად მთასთან იყოს დაკავშირებული.

გ. კლიმენტი ალექსის ძე, დ. 1895 წ. სენაკის მაზრის სოფ. ლეციცხვაიეში, რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. რევ. მოძრ. 173.

გ. ალექსანდრე კოკის ძე მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. აგუბედიის მცხოვრები, 80-იან წლების დასასრულს ეროვნული მოძრაობის შედეგად ქართველი ეროვნებადაბრუნებული, (ისტ. და ეთნ, ინსტ. ოჩამჩირის საქმე).

გვალიას საგვარეულო 1945 სული თბილისი — 346, ზესტაფონი — 199, მარტვილი — 170. (გვარ-სახ. საქ-ში). (გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებული ათას, გვარის სიაში.

გვამუა საკ. სახელი გვამი, უსუფთაო, უწმინდურის ქმნა.

გვარამია ნაწარმოებია გუარამ||გურამ საკუთარი სახელისაგან. შდრ: ქართული გვარი გვარამაძე, გურამიშვილი. გვარამია, ბაილეთში მცხოვრები, მამია გურიელმა შესწირა ჩახედანას ტაძარს და დააკისრა... (1601-1927). გვარამია ჭოჭუა — მესეფე კაცი, შეტანილია მათხოვრის საყდრის ყმების დავთარში (1661-1680).

გვარამიები მოსახლეობენ სენაკის რ-ნის სოფ. თეკლათში, ქობულეთის რაიონების ორიეველან გვარად წოდებულ სოფლებში. გვარამიები ზემო სვანეთშიც გვხვდება სოფ. ცხრამში (XIII ს. II ნახ.); საკვლევია მთიდან ბარში მიგრაციასთან გვაქვს საქმე თუ პირიქით. ვფიქრობთ, სავარაუდებელია ერთიც და მეორეც.

გვარამია გია გრიგოლის ძე, დ. 1938 ქ. თბილისში, ტექნიკის მეცნ. კანდიდატი (1973), საქ სსრ დამსახ. ინჟინერი (1984), საქ სსრ სახ-ფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1988). (ჯაფარიძე ს., 280).

გ. მირიან გალის რ-ნის სოფ. სიდიდან, პოლიტხელი, ქერჩის ბრძოლების მონაწილე, სამამულო ომის ვეტერანი. (მ. ნაჭყებია., 41).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1766 სული)

მიხედვით 528-ე ადგილზეა), (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

გვარამია ვალიკო გუდუს ძე, მცხ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ილორში, მოხსენიებულია, როგორც ძალით გააფხაზებული და 80-იანი წლების დასასრულს ქართველი ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე). გვარი მოსახლეობს: ზუგდიდი – 560, სენაკი – 395, თბილისი – 280. (გვარ-სახ. საქ-ში,).

გვარდავა გვარდიის მებრძოლი (ქსე). გვარი მოხსენიებულია სოფ. აფიცხუში (შავი ზღვის სანაპირო) 1844 წ. მცხოვრები ქართველთაგანი. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997).

გვასალია 1. გვასალია მსხვილი (ფიფია დ.); 2. გვარ+სალია უნდა მომდინარეობდეს გვასალა მეტსახელისაგან. სოფელი საგვასალიო შედიოდა საჩიჩუოს სამთავროში და აერთიანებდა ათ სოფელს. გვასალიები იყვნენ ჩიჩუების მთავრის ყმა-გლეხები.

1888 წ. მონაცემებით გვასალიების რამდენიმე ოჯახი გადავიდა სოჭში (გაზ. „ივერია“, 1888 წ. ივლისი, 146, 2).

გვასალია პლატონ ივანეს ძე მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ბესლახუბას მცხოვრები, 80-იანი წლების დასასრულ ეროვნული მოძრაობის შედეგად ქართველი ეროვნებადაბრუნებული. (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

გვასალია ბუგდანი მისინ: ხიშამან და ჩაადი მოხსენებულნი არიან 1834 წ. აპრილში, ქრისტიანად მონათვლის სიაში (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997, გვ. 6, I; სვ. I, №48).

მე-19 ს-ის 30-იან წლებში დღ. გუდაურის რ-ნის სოფ. ლიხნში მოსახლეობდა 400-მდე კომლი, აქედან 130-მდე გვარებიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის გვასალიაც. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997).

გვასალია (სახელი არაა) ზუგდიდის რ-ნის სოფ. დიდინეძიდან, ლეგენდარულ ფორე მოსულიშვილთან იბრძოდა იტალიის პარტიზანებთან ერთად.

გვასალია ანდრო პლატონის ძე ბელორუსიის კპ (ბ) იატაკქვეშა რაიკომის №1 პარტიზანული რაზმის ასეულის მეთაური. (ვ. გურული, 111).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში. 3272 სულს ითვლის (სენაკი – 979, თბილისი – 486, ხობი – 480); (გვარ-სახ. საქ-ში), (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი 1997).

გვატია საკ. სახელი გვატი. მოსახლეობენ აბაშის რ-ნის სოფ. სამიქაოში.

გვაშუა (იხ. გოშუა). ნაწარმოებია გვაშ(უ)-დან ადამიანის საკუთარი სახელისაგან.

გვაძაბია ეტიმოლოგია საკვლევია. გვაძაბიაში ნოხორუ (ნასახლარი — ნოქალაქევი (სენაკ. რ.).

გვაძაბია ნაირა ხოთოს ასული, ვენეცი გოთას ძე. ემირ კვიტოს ძე აგუბედის (ოჩამჩირის რ-ნი) მცხოვრებნი. მოხსენიებულია, როგორც გააფხაზებული 80-იანი წლები დასასრულს ქართველი ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე).

გვარი 608 სულს ითვლის (სენაკი — 146, თბილისი — 96, ზუგდიდი 26), (გვარ-სახ. საქ.).

გვაძბაია (იხ. გვაძაბია): საგვარეულო 67 სულს ითვლის: ზუგდიდი — 32, თბილსი — 15, (გვარ-სახ. საქ.)

გვაჭაია, ვფიქრობთ, გვარი-საკ. სახელიდან, ჭოია-ჭანია უნდა იყოს. გვაჭაია გურმიხელიას ემართა საცაიშლო დავთრის მიხედვით ბეგარა... (1616-1621).

გვახარია უნდა მომდინარეობდეს გვახა მეტსახელისაგან. კუტაისი, ემართა ჯგალის ციხის ბეგარა.

გვახარია გიორგი ვლადიმერის ძე (დ. 1907, თბილისი, ქართველი ინჟინერ-გეოლოგი, მინერალოგიის, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნ. დოქტორი (1949), პროფესორი (1949), საქ სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1967), (ქსე).

გვახარიას. გვარი 147 სულის ითვლის (თბილისი — 78, ზუგდიდი — 24, ქუთაისი — 19), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვაჯავა 1 გვაჯა საკ. სახელია, 2. გვაჯა მოფერებითი მიმართვა უმცროსისადმი (ელიავა გ.), გვაჯალა ნიშნავს დაბალ და ჩასუქებულ კაცს; კირცხი (ჩხორ. რ.). გვაჯიანი ზენი (დაბლობი — ჭუბურხინჯი (გალ. რ.).

გვაჯავა ტაგუ-აზნაური იხსენიება დანი მისნი: ფატმანი და ფეყარა (ლიხნში, დღ. გუდაუთის რ-ნი) ქრისტიანად მონათვლის სიაში. (იქვე, გვ. 6, სვ. 3, №124).

მე-19 ს. 30-იან წლებში გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი, აქედან 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ჭანური წარმოშობისა. გვარი იხსენიება დღ. ოჩამჩირის რ-ის თხენას მოსახლეობის 1837 აღრიცხვის სიაში, მათ შორის **გვაჯავა.** (გაზ. ,,საქართვ., სპეც. გამოშვ. მარტი, 1997).

ამჟამად გვაჯაჯას გვარი 206 სულს ითვლის (ზუგდიდი — 79, წალენჯიხის — 64, თბილისი — 41), (გვარ.სახ. საქ-ში).

გვაჯაია უნდა მომდინარეობდეს გვაჯა მეტსახელისაგან. შდრ. ღვაჯაია, ღვაჭა, პირუტყვის ენის მუწუკები, რომელნიც უშლის ძოვაში. მოსახლეობენ აბაშის რ-ნის სოფ. სეფიეთში.

ამჟამად გვაჯაიას გვარი 34 სულისაგან შედგება (ზუგდიდი — 147, თბილისი — 22, აბაშა — 3), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვილაა (იხ. გვილავა).

გვილავა გვილორ-ი თევზია ერთგვარი (ქეგლ), გვილარზენი (გვილო ველობი), ზანა (სენაკ. რ.). ლეგვილე — თამაკონი, ლეგვილე, გვილაში მუხური (კუთხე), (მარტვ. რ.), საჩინო წალენჯიხის რ-ნი, ნაგვალოუ სოფ. ოჩამჩირის რ-ნის ილორის ტერიტორიაზე, გველეთი ყაზბეგის რ-ნშიცაა.

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1582 სული) (მარტვილი — 403, თბილისი — 353, ზუგდიდი — 4). (გვარ-სახ. საქ-ში) მიხედვით 615-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

გვილია (იხ. გვილავა), გვარი 623 სულს ითვლის: ზუგდიდი — 445, წალენჯიხა — 72, თბილისი — 50) (გვარ.სახ. საქ-ში, 58)

გვინჯია ეტიმოლოგია საკვლევია. გვინჯიები მოსახლეობენ ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კინდღში.

გვიჩია მომდინარეობს ადამიანის საკუთარი სახელისაგან. შდრ. სვანური გვარსახელი გვიჩიანი. საგვიჩიო (ფოთ. რ.), საგვიჩიო — ზემო ჭალადიდი (სენაკ. რ.), საგვიჩიო სოფ. ხობის რნში. გვიჩია გატანჯია ბაშს მცხოვრები, ლევან დადიანმა, მანუჩარის სულის მოსახსენიებლად შესწირა მთაწმინდის ხარების ღვთისმშობელს (1642). გვიჩია სურთამა, ფოთს მცხოვრები მეთევზე, იგი ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინთის ტაძარს (1628).

ამჟამად გვიჩიას გვარი 201 სულს ითვლის (ფოთი — 62, თბილისი — 61, სენაკი — 27). (გვარ-სახ. საქ-ში).

გზობავა შესაძლოა მომდინარეობდეს გზობა შერქმეული სახელისაგან. გოზო სოფ. ცხინვალის რ-ნში(?)

გზობავას გვარი 90 სულს ითვლის (ცაგერი — 31, თბილისი — 23, ქუთაისი — 19). (ქართვ. გვარ.სახ.).

გიგავა გიგა ხურიტული, სახელი (გ. ჟორდ., 135, საკ. სახელი), აქედანაა გიგაა, გიგაია, გიგია, გიგინა. გიგაა თოსკვამია ბაჭულიას

ემართა ჯგალის სასახლის გამოსაღები ბეგარა... გიგაა თასკვამია ჯგალში მცხოვრები, ემართა ცაიშის საყრდის ბეგარა... (1616-1621). შდრ. სვანური გვარი **გიგანი** და ქართული **გიგაშვილი**. გიგაია ცაიშს მცხოვრები, ემართა ცაიშის საყდრის გამოსაღები ბეგარა... (1616-1621). გიგაიას მართებს საცაიშლო ბეგარა... (1821). გიგა მუმაწყინდა, გებენა, დომხვადია, გოთანაბაის ემართათ ბეგარა... (1621). შია, გაჭირდია, თამაზა, მამა, მატოშია, ბაიჭუჭუ, ნატარია, მახოხია საცაიშლო გამოსავლის მიხედვით ემართათ ბეგარა... (1616-1621).

გიგავას გვარი 159 სულს ადგენს (თბილისი — 45, ზუგდიდი — 40, სენაკი — 24) (გვარ-სახ. საქ-ში,).

გიგაია, საკუთარი სახელი გიგა, გოგო-დანაა წარმომდგარი.

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში მოსახლეობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობის წარმომადგენელნი ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის **გიგაიაც**.

გიგაია მაჯი, ცოლი — დიაკა, ასულნი მისნი: ვატიშ, გვაშანას მოხსენებულნი არიან 1834 წ. აპრილში ქრისტიანად მონათლულთა სიაში, (იქვე, გვ. 6, სვ. I, №49).

გიგაიას გვარი 117 სულს მოიცავს (თბილისი — 55, გორი — 15, ბათუმი — 5), (გვარ-სახ. საქ-ში).

გიგიბერია, გიგიბი (მცხ.) სოჭში (ელიავა გ., ლექსიკა) მომდინარეობს გიგიბერ საკუთარი სახელისაგან. (იხ. გეგებერია); საგიგიბერიაო — ძვ. სენაკი (სენაკ. რ.), ნაგიბერაო-ნაჯახაო (მარტვ. რ.). გეგებერია პიპიბია, თაიმაზი, უწყინარი, მარტიბია, ნანატრია, სამართალი, გაჭირდა, შახოხია მოხსენებული არიან, როგორც ჭალის... სასახლის მიმდგამი კაცები, რომლებსაც მართებთ სასახლის გამოსაღები... (ე. თაყაიშვ., ქუთ... 1578, 39).

გიგიბერია მარიამ, ობუჯი (წალენჯ. რ.) სოც. შრ. გმირი.

გიგიბერიათა გვარი 601 სულს ითვლის (ფოთი — 140, სენაკი — 127; ზუგდიდი — 89). (გვარ-სახ. საქ-ში).

გიდელია (იხ. გადელია); გვარი 33 სულია (ზუგდიდი — 26, რუსთავი — 3); გვარ-სახ. საქ-ში, 70, 59).

გიგინავა მომდინარეობს გიგინა საკუთარი სახელისაგან. საგიგენო — ხორში (სენაკ. რ.).

გითოლენდია მომდინარეობს გითოლენდ მეტსახელისაგან. შდრ. მარდად, ელვასავით გამოხტომა.

გითოლენდია მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში 1854-1855 წ. წ. მცხოვრებ 156. ქართველთა სიაში, სადაც აფსუური გვარი თითზე ჩამოსათვლელი იყო. (გაზ. „საქართ“. სპეც. გამოშვ. მარტი, 1997). გითოლენდია გერია, ცოლი — ხანტურ, ძე — ურუსი, ასულნი: ქოჩო, ააიქვა მოხსენიებულნი არიან 1834 წ. ივნისში გაქრისტიანებულთა სიაში.

გითოლენდიას გვარი 361 სულს ითვლის (ზუგდიდი — 205, თბილისი — 70, ბორჯომი — 10), (გვარ.სახ. საქ-ში,).

გიკუტია ეტიმოლოგია საძიებელია. გიკუტია მიძურუდა ემართა ნაჭალეულის სასახლის ბეგარა (1621).

გიმატია თანურია იშვიათი სილამაზის ქალი... ცამეტი წელი ემსახურებოდა მისიონერებს... (კასტელი, 114).

გიმატია კოჩა, „ეს ყმაწვილი მაშინ მოვიყვანე, როცა ჯერ ისევ ბავშვი იყო. იგი ფეხით გამოვატარე სიცივეში კავკასიის მთების უკიდურესი მწვერვალებითა და ხეობებით“. (კასტელი, 138).

გინდია მომდინარეობს გინდა მერქნეული სახელისაგან. გორდარა, გირდი, გაგიზარდე (ბავშვი, პირუტყვი). გირდია ხაუჟელს მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა... (1621).

გინდიას გვარი 23 სულს ითვლის (თბილისი — 11, ზუგდიდი — 1, მოსკოვის ლტოლვილი — 1), (გვარ-სახ. საქ-ში, 59).

გიორგაია* გიორგობა რელიგიური დღესასწაული — ტარდებოდა თებერვალშიც. საგვარეულო 98 სულს ითვლის (სამტრედია — 55, ქუთაისი — 19, თბილისი — 17), (გვარ-სახ. საქ.).

გირგოლია (ბერძნ.) გრიგოლია, გრიგოლავა, მომდინარეობს გრიგოლ „მღვიძარე“, „ფხიზელი“ სახელისაგან. შდრ. ტოპონ. გრიგოლეთი გურიაში. გრიგოლია გირგოლია გვარსახელის დიალექტური ვარიანტია. (კომ. 22-V-64); ძვ. თეთრი ორშაურიანი ბრძანებითა გიორგი I მეფის მოჭრილი (ჩუბ.); საგრიგოლიო-მენჯი (სენაკ. რ.), გრიგოლათი (ოზურგ. რ.), გრიგოლეთის ტბა (ლანჩხ. რ.). გრიგოლია გოკურცხია, ვაჟობა ხოირს მცხოვრები, ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა... (1621). გრიგოლა(ვა) თაუზარა, ორქოია, პინათე თილითს მცხოვრებნი, ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა... (1621). გირგოლია ვარგიბია, თაუზარი, პინათე, მართებს თილითის სასახლის ბეგარა... (1621).

გიცაბაია (გიცბაია) მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი, აქედან 130-მდე გვარეულობის წარმომადგენელი ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ

შორის გიცაბაია (ასეა ტექსტში) მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის მოსახლეთა გაქრისტიანების 1837 წ. სიაში (იქვე), (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997).

გიცრია გვარი მოხსენიებულია სოფ. ლეხინოს (ეფიქრობთ, უნდა იყოს გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნი) მცხოვრები (მე-19 ს. I ნახ.). (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997, გვ. 7. სვ.).

გობეჩია საკ. სახელი გობეჩი (ღლ., სახელ.) გობეჩიანი (არ. ინგოროყვ. პ., II), შიანი, შინაური, ური(მგრ) თური — ნათესავი; საგობეჩიო — კირცხი, გობეჩიაში მამული — ქვ. ჩხოროწყუ, ნაგობეჩუ-ლეწურწუმე (ჩხორ. რ.), აქედან უნდა იყოს: გაბუჩია, გობეჩავა, გაბეჩავა... შდრ. რაჭაში გავრცელებული გვარი გაბიჩვაძე.

საფიქრებელია, გობეჩია გვარს გარკვეული მიმართება ჰქონდეს რაჭაში გავრცელებულ გვართან — გობეჯიშვილი, რამეთუ ქართველურ ენებში ჯ ბგერის დაყრუების შედეგად ჩ ბგერის მიღება საკმაოდ ხშირად დასტურდება... ცხადია, ეს არ უშლის ხელს, გობეჩია მეგრულ გვარსახელად გამოცხადდეს.

გობეჩია მელიტონ გიორგის ძე (დ. 1878, ს. ჭაქვინჯი, ახლანდ. ზუგდ. რ-ნი, 1914, ხარკოვი). პუბლიცისტი, რევოლუციონერი (ქელ).

გობეჩია ლევან გიორგის ძე დ. ახლანდ. ზუგდიდის რ-ნის სოფ. ჭაქვინჯში, სახალხო განათლების პირველი თაობის წარმომადგენელი, აგრონომიული ცოდნის პროპაგანდისტი სამეგრელოსა და აფხაზეთში. (გაზ. „ნაპერწკალი“, 3, 8, 71).

გობეჩია ბ. სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულმა ახალგაზრდა მღვდელმა დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. აკვასკაში გახსნა სამრევლო სკოლა, სადაც 20-მდე მოწაფე სწავლობდა (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899, №899).

გობეჩია რენე (1897-1960), იოსებ (1897-1960) საფრანგეთში პარიზთან ახლოს დ. ლევილის ქართულ პანთეონში განისვენებს (გაზ. „ლიტ. საქ.“, 1990, 14 აპრ.).

გობეჩია 590 სულს ითვლის (თბილისი — 173, ონი — 145, წალენჯიხა — 85). (გვარ-სახ. საქ-ში).

გოგავა 1. გოგავა, იგოგა, უგოგავს.... ლამაზად დადის (ფრინველი... მწყერი, კაკაბი (ქეგლ); აქედანაა გოგიავა, გოგენია... 2. ან შესაძლოა, გოგა საკუთარი სახელი იგულისხმებოდეს, შდრ. გონგაძე.

გოგავები მოსახლეობენ სოფ. უჩამბის თემში (შუახევის რ., აჭარა).

გოგავა მიხეილ ბესაიონის ძე, დ. 1906 წ. სამედიცინო სამსახურის

ექიმი, ბიოლოგიის მეცნ. კანდიდატი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი. (ე. ზაქარიაძე 11).

გოგავას საგვარეულო მოსახლეობს (თბილისი – 251, ქუთაისი – 161, ახაშა – 13) (გვარ-სახ. საქ.).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ გვართა სიაში და რაოდენობის (1175 სული) მიხედვით 889-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

გოგაია (იხ. გოგავა); საგვარეულო 33 სულს ითვლის (მარტვილი – 24, ბათუმი – 3, თბილისი – 2), (გვარ-სახ. საქ.).

გოგესანია გოგი-სვან-ია, გოგი-საკ. სახელი, სვანი-ეთნონიმი. შდრ. ქართ. გვარი გოგისვანიძე.

გოგია საკ. სახელი გოგი: „გოგი თითას გარეგანი ნაწევარი“ (საბა), „...კოტიანეთში (სენაკ. რ.) 6 კომლ გლეხს (გოგიებს), 3000 ქცევაზე მეტი მიწა აქვს“... შეძლებული გლეხებიც იყვნენ (ბოროზდინი); ლეგოგიე – გურძემი, კიწია, გოგიაში ღალ მგრ. – ღელე, (მარტვ. რ.), ლეგოგიე – ფოცხო, კოტიანეთი უშაფათი, (სენაკის რ.), გოგიელი დღ. გალის რ-ნის ყოფ. სახელწოდება (კასტელის რუკა), ნაფიჩხოვო (ჩხორ. რ.), რიყე (ზუგდ. რ.), გოგიე (ოზერგეთის რ.). გოგიავა, გოგავა. გოგია იმერელი, რუბს მცხოვრები, ამილახვრის სახასო ყმა, საამილახვროს დავთრის მიხედვით ევალებოდა თითო ლაშქრობა (XVIII ს. II ნახ.). გოგიდავა შუშანია, მოირიდა, უსკვამაბი მართებთ ჯგალის სასახლის ბეგარა... (1621). გოგიდავაში უნდა გამოიყოს გოგიდა/გოგიტა საკუთარი სახელი. გოგილა თოლიოქროს და ხუხუნიას ემართათ ნაჭალეულის სასახლის ბეგარა... (1621).

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობის იყო, მათ შორის გოგიაც. გვარი მოსახლეობდა ასევე დღევანდელი ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშში.

1834 წ. ივნისში გოგია ხამატია, ცოლი – ჭიგე, ძე ჩიგოგე გაქრისტიანდნენ. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997, გვ. 7, სვ. II, №21).

გოგია მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კარდღას მე-19 ს. I ნახ. მცხოვრებთა შორის, სადაც აფსუათა გვარის ხსენებაც არ იყო. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997).

გ. ბესარიონ ჯათუს ძე (1891-1938) დ. ფოთში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოძრ., 180).

გ. პლატონ ივანეს ძე ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ოხურეის მცხოვრები მოხსენიებულია, როგორც ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

გოგიას საგვარეულო 3729 სულს ითვლის (სენაკი – 880, ზუგდიდი – 820, თბილისი – 620) (გვარ-სახ. საქ.). გვარი 122 სულს ითვლის (მარტვილი – 32, ქუთაისი – 32, თბილისი – 23) (გვარ-სახ. საქ.). გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (3729) მიხედვით 142-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

გოგიბერია (იხ. გოგია); გვარი 39 სულს ითვლის (ზუგდიდი – 8, თბილისი – 6, სენაკი – 5) (გვარ-სახ. საქ.).

გოგილავა გოგილავაში ილ კნინობითი სუფიქსი გამოიყოფა. შდრ. გოგილაძე. მამის მამა, შუპითოლი ემართათ ნაჟანეულის ბეგარა... (XVI ს. II ნახ.).

გოგილავები მოსახლეობენ გალის რ-ნის სოფ. ზემო-ბარღებში და გვარი გოგიებად გადაიკეთეს.

გოგილავა გვარი 527 სულს შეადგენს (ზუგდიდი – 193, წალენჯიხა – 186, თბილისი – 32), (გვარ-სახ. საქ-ში).

არქ. ლამბერტის 1654 წლის რუკის მიხედვით დღევანდელ ქ. გალს – გოგიელი ეწოდებოდა. აქედან უნდა იყოს გვარი გოგელია ანუ გოგელი. (1654 წელს ქ. გალი ოდიშის შემადგენელი ნაწილი გახლდათ), (ჟურნ. აია, №2, 199. გვ. 58).

გოგინავა (იხ. გოგელია) ადგ. გამოთქმით გოგინაა. გვარი მოსახლეობს აჭარაში (შუახევის რ-ნის სოფ. გოგინაურში, აქ გოგინაძეების რამდენიმე სოფელია).

გოგინავას საგვარეულო 1016 სულს ითვლის (სენაკი – 458, თბილისი – 174, ზუგდიდი – 99), (გვარ-სახ. საქ.).

გოგიჩავა გოგიჩუა -> გოგოჭუა-ქალური ქცევის ბიჭი (კაცი). ქალაჩუნა. უფრო საფიქრებელია, ამ გვარში გამოვყოთ -იჩა კნინობითობის სუფიქსი, შდრ. ქართული გვარები გოგიჩაძე, გოგიჩაშვილი.

გოგოლდა ეტიმოლოგია უცნობია და საძიებელი. შესაძლებელია. მასში -ოლდ კნინობითი სუფიქსი იყოს.

გოგოლავა გვარი მომდინარეობს გოგოლა საკ. სახელისაგან გვარი 28 სულს შეადგენს (წალენჯიხა – 9; ზუგდიდი – 6, თბილისი – 5). (გვარ-სახ. საქ-ში,).

გოგოლი შდრ. ცნობილი სატირიკოსის გოგოლის გვარი. ამ გვარის ორი ოჯახი ცხოვრობს ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ხაბუმეში. გადმოცემით

წინაპარი გადმოსულა უკრაინიდან, აქ დასახლებულა. დასაშვებია ამ გვარის ქართული წარმომავლობაც. შდრ. გვარები გოგოლაძე, გოგოლაშვილი, გოგოლაური. გოგოლაურთა სოფ. დუშეთის რ-ნში. გოგოლიეს უბანი სოფ. ჩოხატაურის რ-ნში, სენაკის რ-ნის სოფ. მენჯში.

გოგოლი მარტვილის რ-ნში არის ტოპონიმი „გოგოლიში ზუგა" (გოგოლის მიწაზურგა). აქ მიწათმზომელ გოგოლს ჰქონდა სახლკარი. იგი მეგრელ აზნაურს ჩასიძებია, აქ დარჩენილა, ამ გორაკზე თავისი კარმიდამო მოუწყვია. დღესაც იმ გოგოლის მრავალი შთამომავალი სახლობს ამ გორაკის ირგვლივ. ესენი ნახევრად მეგრელები კოლხების თურნი არიან. (გეგჭკორის მასალ. 25).

გოგოლის საგვარეულო 318 სულს ითვლის (თბილისი — 137 გორი — 4, გარდაბანი — 2, ჩხოროწყუ — 2), (გვარ-სახ. საქ.).

გოგ(ო)რდავა ეტიმოლოგია სარკვევია. გოგორეთი სოფ. ოზურგეთში. გოგ(ო)რდავა გვატა ჭალის მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა... (1921), (პალ).

გოგონაია გოგონა — პატარა გოგო. ონა კნინობითობის სუფიქსია. გოგონაია წარმომდგარია გოგონა საკუთარი სახელისაგან.

გოგონაიები აბაშის რ-ნის სოფ. სეფიეთში მიგრირებული გვარია. მათი წინაპარი გურიის სოფელ ძიმითიდან მოსულა მე-16-17 სს. მიჯნაზე. ადრინდელი გვარია **გუგუნავა**. გოგონაიები ყოველწლიურად სალოცავად დადიოდნენ ძიმითის ეკლესიაში, რომელსაც მოზვერს სწირავდნენ. რადგან გოგონაიები სეფიეთში მოსული ორი ძმის შთამომავალნი არიან, ისინი ყოფილან ორ განშტოებად, ორ განაყარად, რომელსაც სამეგრელოს შესასწავლ სოფელში „დინოს" უწოდებენ. საყურადღებოა, რომ ძიმითში სალოცავად გოგონაიების ორი დინოს წარმომადგენლები ძიმითში სალოცავად 1920 წ. ყოფილან (ქართ. მემკვ. 54).

გოგონაიას გვარი 1026 სულისაგან შედგება (სენაკი — 458, თბილისი — 175, ზუგდიდი — 99). (გვარ-სახ. საქ-ში).

გოგოხია გოგოხი: 1. მცირე გოდორი (ჩუბ.), 2. მიწა გასატყორცნი ქვასავით. უფრო სავარაუდოა გოგოხიაში კოლხური სუფიქსი გამოვყოთ. შდრ. გვარი გოგოძე.

გოგოხია დამიანე ვლადიმერის ძე, დ. 1918, ფაზულიანი, საჩინო წალენჯიხის რ-ნი. საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

გ. ამირან, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

გ. რეზგენ ალექსანდრეს ძე მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. აგუბედიის მცხოვრები, 80-იანი წლების დასასრულს ეროვნული მოძრაობის შედეგად ქართველი ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე).

საგვარეულო 6064 სულს ითვლის (ზუგდიდი – 2200, წალენჯიხა – 1963, თბილისი – 677), (გვარ-სახ. საქ.)... გვარი საქართველოში 25000-ზე მეტ ყველაზე გავრცელებული გვარებიდან ათასი გვარის სიაშია შესული და რაოდენობის მიხედვით 54-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

გოგსანია გოგ-საკ. სახელი, სან-სვან=გოგისვანიძე. საგვარეულო 35 სულს ითვლის (ზუგდიდი – 22, ფოთი – 4, მოსკოვის ლტოლვილი – 1), (გვარ-სახ. საქ).

გოგუა გვაგუა (მგრ). – დაჟეჟვა (ცემით) დარბილება ვაშლის მსხლისა... რამეზე დარტყმით, ბავშვმა, მოხუცმა რომ ადვილად ჯამოს. ლეგოგუე – ნაფიჩხოვო, საგოგუე (ჩხორ. რ.). გოგუა სიქანდარა ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ტაძარს და დააკისრა ბეგარა... (1628), (პალ).

გოგუა – ღომის ჯიშია სამეგრელოში (მაკალ. სამეგრელო, 12).

გოგუა ტოტია სქვამიკოჩოს ძე სოფ. ხანწკიდან, (დღევ. ჭოლა, ჩხოროწყუს რ-ნი), თავადი კაცია დადიანის ყმა-გლეხი, სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების აქტიური მონაწილე, რუსეთის ხელისუფლებისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისათვის ათი წლით ციმბირში გადასახლებამისჯილი. (ისტ. მოამბე, 149).

მე-19 ს; 30-იან წლებში გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130 გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის **გოგუა**.

გ. ტიტუ კვიკვეშის ძე სოფ. ხანწკიდან, დღევ; ჭოლა, ჩხოროწყუს რ-ნი, ლევან დადიანის ყმა-გლეხი, სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების აქტიური მონაწილე, რუსეთის ხელისუფლებისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისათვის ათი წლით ციმბირში გადასახლებამისჯილი. (საისტ. მ., II, 149).

გ. თადა მოშიას ძე, ჩხოროწყუს რ-ნის ხაბუმეში მცხოვრები, სამეგრელოში განთქმული მჭედელი, ამზადებდა დანებს... მისი დანით შეიძლებოდა პირის გაპარსვა და ვაზის გასხლვაც. (სამეგრელო, 94).

გ. ტიტე სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების მონაწილე, ციმბირში გადასახლებამისჯილი, გზაში გაქცეული და უგზო-უკვლოდ დაკარგული (საისტ. მ. II, 144).

გ. პლატონ მაკსიმეს ძე მოხსენიებულია ოჩამჩირის რ-ნის სოფ. რეკას მცხოვრები, 80-იან წლების დასასრულს ეროვნული მოძრაობის შედეგად ქართველი ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე).

გოგუას საგვარეულო 3141 სულს ითვლის (ჩხოროწყუ – 931, თბილისი – 545, ზუგდიდი – 367), (გვარ-სახ. საქ.).

გოგხანია ეტიმოლოგია საკვლევია, გვარი მოსახლეობს ზუგდიდში – 22 სული (გვარ-სახ. საქ-ში).

გოთონელია 1. გოთონელია (მგრ.) გათენებულია; მომდინარეობს გოთონელ მეტსახელისაგან.

გოთონელიას გვარი 21 სულია (სამტრედია – 12, თბილისი – 2, ზესტაფონი – 1) (გვარ-სახ. საქ-ში).

გოთოშია მომდინარეობს მეტსახელისაგან გაყინვა, გაშეშება (ქეგლ) გოთოშა. გითოშია 168 სულია სამტრედია – 54; აბაშა – 43, თბილისი – 41. (გვარ-სახ. საქ-ში).

გოთუა გოთუ (მგრ) – დათოვა. გოთუა ლევან პართენის ძე, 1905, თბილისში, ქართველი მწერალი. გოთუა ლევან – მწვერვალი კავკასიონზე, რომლის სახელი ეწოდა 1975 წ. გამოჩენილი მწერლისა და მთასვლელის ლ. გვათუას პატივსაცემად დაბადებიდან 70 წლისთავთან დაკავშირებით (გოგატ. 26.)

გოლავა გოლა (მგრ.) მთა. შდრ. საკუთარი სახელი გოლა, გვარსახელი გოლიაძე. გოლასკურა სოფ. სენაკის რ-ნში.

გოლავას საგვარეულო 90 სულს ითვლის: თბილისი – 24, ზუგდიდი – 13, სენაკი – 10 (გვარ-სახ. საქ.)

გოლანძია გოლა(ნ)-ძე, გოლა (მგრ.) მთა, ძე-შვილი=მთის ძე. აფხაზი გოლანძიები ამბობენ: გოლაძეები ვიყავითო.

საგვარეულო 110 სულს ითვლის (ზუგდიდი – 41, ბორჯომი – 18, წალენჯიხა – 14).

გომთინარია ეტიმოლოგია დასადგენია, გომთინარია მახუტია მუხურს მცხოვრები. ემართა სუბეის სასახლის ბეგარა... (1621).

გონჯუა მომდინარეობს გონჭუ|გონჯა შერქმეული სახელისაგან. შდრ. გონჯი – პატარა ძაღლი.

გორგოლაა გორგოლა – პატარა ბორბალი (ქეგლ).

გორგოშია გირგიშა -> ხურტკბელი – დაბალი, ტოტებეკლიანი კენკროვანი ბუჩქი ისხამს მომრგვალო მწვანე ან მოწითალო მოტკბო-მჟავე ნაყოფს (ქეგლ). აქედანაა მორგოშია. მომდინარეობს გორ-

გოშა||მორგოშა საკუთარი სახელისაგან. შდრ. ქართული გვარსახელი გორგოშაძე||ორგოშაძე.

გორგოშიას გვარი 83 სულს ითვლის (ზუგდიდი – 18, ქუთაისი – 17, თბილისი – 14), (გვარ-სახ. საქ-ში, 54).

გორდილავა სადაურობაზე მიგვითითებს – გორდელი. გორდი (სოფ. ხონის რ.); 2. გორდი (მგრ.) – ციყაყი. გორდულავაში ულ, ურ||ელ სუფიქსი ფუნქციითა ნახმარი, შდრ გვარი გორდულაძე. გორდუ (მგრ) – მოზარდი. საგვარეულო 40 სულს ითვლის (ზუგდიდი – 14, ქობულეთი – 11, აბაშა – 4), (გვარ-სახ. საქ.).

გორდულავა (იხ. გორდელავა), საგვარეულო 215 სულს ითვლის (წალენჯიხა – 74, ზუგდიდი – 53, თბილისი – 24), (გვარ-სახ. საქ.).

გოროზია (თბ. 2,11,68,4); საკ. სახელი გოროზა (ჯავახ. 232); 2. ზგდ. მნიშვნელობით გოროზი, მედიდური, ამპარტავანი (ქეგლ), (შდრ. გოროზიანი).

გორზი ან გორჯი იხსენიება ქართველთა სახელად X-XV საუკუნეების სპარსულ წყაროებში (ხინთიბიძე, 18).

გოროზია 844 სულს ითვლის (თბილისი – 137, სენაკი – 86), (გვარ-სახ. საქ.).

გოშუა – ქსოვა დაამთავრა. ქართული გოშაძის გვარის მეგრული შესატყვისია. გოშაძეები ძლიერი თავადები იყვნენ ჩიქვანთა გადადიანებამდე – XVIII ს-ის დამდეგს (ჯაიანი, 31).

გოშაძე. თავადი ოდიშში. „გოშა იყო განჯელი თავადი, გვარად გოშა, ძიხიოარად წოდებული და, ოდეს სპარსთა დაიპყრეს ადგილნი მისნი, მაშინ მოვიდნენ ქართლსა და მეფესთან უბოძა ოდიშში მამული და მიიღო თავადადა გოშადვე და მის ძეთა ეწოდათ გოშაძეები წელსა 1213 და მუნიდგან იწოდებიან გოშაძეებად". („ივერია", 1883, №11-12, 1884, 1-12).

გოშუა, გოშუანი სვანური ფორმაა გვარისა. გოშუანები დღესაც ცხოვრობენ ზემო სვანეთის რ-ნის ცხუმარისა და ჭუბერას სოფლებში. (ციალა ჩართოლანი, 80);

გოშუას გვარი 104 სულს ითვლის: (ზუგდიდი – 35, ჩხოროწყუ – 29, თბილისი – 21), (გვარ-სახ. საქ-ში).

გოჩავა წარმომდგარია გოჩა საკუთარი სახელისაგან.

გოჩავა 90 სულს ითვლის (ზუგდიდი – 40, თბილისი – 23, წალენჯიხა – 17), (გვარსახ. საქ-ში, 65).

გოჩალეისკუა ,ოჩა — საკ. სახელი; სქუა-შვილი (იხ. გოჩია).

გოჩია მომდინარეობს გოჩა საკუთარი სახელისაგან შდრ. ქართული გვარი გოჩალეიშვილი, გოჩაშვილი. ლევან დადიანმა შესწირა ხონის ტაძარს (პალ). ეკუთვნოდა სოფლები: სარაქონი, გაშფერდი, კირცხია. მდ. ხობისწყლის მდიდარი, ნაყოფიერი ადგილი „ლეშდაქანებაზე (სოსელია). უთუთ (უთუში) კირცხი (ჩხორ. რ.), (ელიავა, ჩხორ. ტოპ. 31).

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130 გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის გოჩია.

გოჩინა გოშინა (მგრ.) — ,ახსენება, გოჩინას სუკი (კოლხ.) მაღლობი — კურზუ (მარტვ. რ.). აქედანაა გოჩავა. უფრო სარწმუნოდ გვესახება მისი გოჩიასთან დაკავშირება, სადაც გოჩა საკუთარი სახელია.

გოჩოლია გოჩა (გურ.) .,ძაბუნი ბერიკათი“ (ქეგლ). აქედან უნდა იყოს გოჩიტა, რომელშიც იგულისხმება კნინობ. სუფიქსია. გოჩიტაა ნასუტასა და მას ემარათათ აფხ. საკათ. ბეგარა... (პალ).

გოჩუა (იხ. გოჩავა) გოჩუას გვარი 2. სულისაგან შედგება (თბილისი — 10; წყალტუბო — 6, ბათუმი — 2). (გვარ-სახ. საქ-ში).

გოძალია ეტიმოლოგია დასადგენია. გოძალია მიხეილა, დარჩელში მცხოვრები. ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა... (1616-1621).

გოხუა გოხი — დიდი ქვა, ლოდი, კლდის ნატეხი (ქეგლ). 2. გოხუა (მგრ) დაბადა. გოხნარი, სოფ. თეთრი წყაროს რ-ნი.

გოჯუა (მგრ.) გუჯუა დაცობა (დ. ფიფია).

მე-19 ს. 30-იან წლებში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი, მათ შორის 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის გოჯუა. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

გოჯუა ბულათ და მისი ასული ტამუშან იხსენიებიან 1834 წ. აპრილში დღ. გუდაუთის რ-ნის ლიხნში გაქრისტიანებულთა სიაში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997, გვ. 6,).

გრიგალავა საკ. სახელი გრიგოლისაგან, გვარი 128 სულისაგან შედგება (მარტვილი — 80, თბილისი — 18, სენაკი — 17), (გვარ-სახ. საქ-ში).

გრიგოლავა (იხ. გრიგალავა); საგვარეულო 431 სულს ითვლის (სენაკი — 151, თბილისი — 90, ზუგდიდი — 42), (გვარ-სახ. საქ-ში).

გრიგოლაია (იხ. გრიგალავა); გვარი 196 სულს ითვლის (ზუგდიდი — 87, სენაკი — 51, თბილისი — 25), (გვარ-სახ. საქ-ში, 66).

გრიგოლიას, თეკლათს მცხოვრებს, ეკისრა 5 ლოღარიკი სანთელი (XVIIს), (მას. საქ. გეოგრ... 104).

გრიგოლია (იხ. გრიგოლავა); გრიგორია, გვარი 57 სულისაგან შედგება (თბილისი – 20, სამტრედია – 12, ფოთი – 7), (გვარ-სახ. საქ-ში, 66).

გრიგოლია არსენ იროდის ძე, მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. რეკას მცხოვრები, 80-იანი წლების დასასრულს ეროვნული მოძრაობის შედეგად ქართველის ეროვნებადაბრუნებული. (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე).

საკ. სახელი გრიგოლი. სოსია მოწმე კათალიკოს დავით ნევსაძის მიერ კანდელაკ ივანე ქანთარიასათვის მიცემული მამულის და ყმის წყალობის წიგნებისა (1679-1696), (პალ). გრიგოლია გოკურცხიას და ვაჟობას, ხოირს მცხოვრებთ, ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა... (1621).

გრიგოლეთი სოფლებს ჰქვია:: სენაკის რ-ნი, ლანჩხუთის რ-ნი, ხარაგაულის რ-ნი. გრიგოლია ანთკასი, დუშეთის რ-ნი.

გრიგოლიას თეკლათს მცხოვრებ საეკლესიო გლეხს ემართა 5 ლოღარიკი სანთელი (XVIIს.) მასალები, 104.

გრიგოლია მერაბ (მთქმელი). „ერთხელ გორდში შინაყმებმა სიმღერა გააბეს ხის ქვეშ, სანამ მზარეულები ძროხას მოუხარშავდნენ იმათ. ეს რომ დაინახა მთავარმა, უქმად დროსტარების მტერმა, ბრძანა: არც ერთს სადილი არ აჭამოთო და იმ დღეს მომღერლები ხახამშრალნი დარჩნენ...“ (მეუნარგია ი. 40).

გრიგოლია მიხეილ (1905-1974), საფრანგეთში პარიზთან ახლოს დ. ლევილის პანთეონში განისვენებს. (გაზ. ლიტ. „საქართველო“, 1990, 14 აპრ.).

გ. კონსტანტინე გრიგოლის ძე (დ. 1904, სოფ. ჭითაწყარი ახლანდ. ზუგდ. რ-ნი), ისტორ. მეცნ. დოქტორი (1956), პროფესორი (1961), საქ სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1966).

გ. ალექსანდრე ლუკას ძე (დ. 1879, სოფ. საჭილაო, ახლანდ. აბაშის რ-ნი, 1976, სოხუმი, კურორტოლოგი, საკურორტო საქმის ორგანიზატორი აფხაზეთში. პროფესორი (1946), საქ. სსრ მეცნ. მოღაწე (1957), აფხ. ასსრ დამსახ. ექიმი (1950).

გ. ვლადიმერ (ლადო) დავითის ძე (დ. 1903. სოფ. სეფიეთი, ახლანდ. აბაშ. რ-ნი, 1977, თბილისი). ქართველი გარფიკოსი და მოქანდაკე, საქ სსრ სახ. მხატვარი (1969). (ქსე).

„გრიგოლიები ძველი აბაშიდან არიან სეფიეთში გადმოსახლებულნი. ძველ აბაშაში კი სოფ შხეფიდან იყვნენ მიგრირებულნი. გრიგოლიების გვარი პირველად ნახსენებია 1621 წლის აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსელის მოსაკრებლების დავთარში. „მართებს გრიგოლიას ვაჟობა საპყრობო, l საკლავი, მუშაობა ყურძნის კრეფა, ლაშქრობა, სამსახური“ (ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 424). იქვე ნახსენებია, აგრეთვე, გოკურცხია გრიგოლია. გრიგოლიების გვარი მოხსენიებულია კიდევ 1673-1693 წ. წ. „შეწირულობის წიგნში კათალიკოს დავით ნემსაძისა ბიჭვინთისადმი“: ... შემოგწირეთ თქვენ, საშინელსა და ცათა მობამის ბიჭვინთის ღვთისმშობელსა ჩვენ კათალიკოზმან ნევსაძემ დავით თეკლათს გრიგოლია გელეი და მისი შვილი ხიხონაი მისი ცოლშვილითა“ (ქსძ. III, გვ. 612). (ქართვ. მემკვ. გვ. 55).

გრიგოლიების გვარი 1978 სულს შეადგენს (თბილისი – 469, სამტრედია – 403, სენაკი – 354), (გვარ-სახ. საქ-ში).

გუბელია -ელ. სადაურობაზე მიგვითითებს, გუბი – გუფი სოფ. ოჩამჩირის რ-ნში.

გუბაზი გვარადქცეული საკუთარი სახელი. კოლხეთის მეფე გუბაზ წათეს ძე V-VI ს. (ჯავახ. 238); გუბაზოული (ჩოხატ. რ.).*

გუბურია გუბურიაში გუბ ადგილის სახელი უნდა იყოს. ურ კი ურ!ელ სადაურობის მაწარმოებელი: გუბურია=გუბელი. კოკი, ხობს მცხოვრები, საეკლესიო გლეხი, ეკალებოდა, ხუთი ლოღარიკი სანთელი (XVII ს.) (პალ).

გუგავა l. გუგა – ქეჩეჩი სიმინდის, 2. გუგა (თვალის). მომდინარეობს გუგა საკუთარი სახელისაგან. გუგავა ოქროპირი, სუსულა ემართათ ცაგერის საყდრის ბეგარა... (XVI ს.).

გუგავას გვარი 956 სულისაგან შედგება (ცაგერი – 262, ქუთაისი – 178, ლენტეხი – 139), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინას მოსახლეობის 1837 წ. აღრიცხვის სიაში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997).

გუგლია ნუკის ასული, ნანივა მოხსენიებულია 1834 წ. აპრილში, დღ. გულაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში ქრისტიანობამიღებულთა სიაში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997, გვ. 6, I,).

გუგულავა ა – კუკუ (აფხ.), გუგული (მგრ). დ. გულია, ხელნაწ. ინსტ. საქ!ე №1934) მშვიდი ფრინველი, გუ-გუ-ს ძახილით გაზაფხულის დადგომის პირველი მაუწყებელი. გვარი 30 სულს ითვლის (სამტრედია – 313, თბილისი – 11, აბაშა – 4), (გვარ-სახ. საქ-ში).

გუგუნავა გუგუ, კაცის საკ. სახელი. გუგუნ-ი: 1. ყრუ, გაბმული გრიალი, გრგვინვა, გიზგიზი, გუზგუზი (ქეგლ); გუგუნაყათი (ყათ-ი შტო) ორი სოფელია (აბაშ. რ.), გუგნირხვა (გულ. რ.), საგუგუნო-ხორში (სენაკ. რ.); საგუგუნო სამთავრო შედიოდა საჩიჩუოს სამთავროში, ეს კი მდებარეობდა მდ. ოჩხომურსა და ცივას-ციის შორის, აერთიანებდა 10 სოფელსა (ა. ცაგარელი). ამრიგად, გუგუნავა მომდინარეობს გუგნა ადამიანის საკუთარი სახელისაგან. „გუგუნავა გიორგიმ, აცანელ გლეხის ქვრივს მოსტაცა ორი მცირეწლოვანი უკანონო ბავშვი, რომელიც თავად გუგუნავასაგან ჰყავდა. ერთი ბატონმა ყმად აიყვანა და მეორე კი გასაყიდად გაამზადა...“ (საქ-ს ბატონყმობა, თბ., 1925, 180-191).

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში მოსახლეობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის გუგუნავაც.

გუგულავა ივანა, დაი გამიჯი მოხსენიებულნი არიან ლიხნში 1834 წ. აპრილში მონათლულთა სიაში.

გუგუნავა ივანე გიორგის ძე (დ. 1960, სოფ. ლიტვინოვო, ბელიოვის ოლქი, 1919, მოსკოვი) ქართველი ფერმწერი, პეიზაჟისტი, პორტრეტისტი.. ერთ-ერთი პირველი ქართველი პროფესიონალი პეიზაჟისტია, (ქსე).

გუგუნავა დათას შეკაზმულ ცხენზე გალესილ ლეკურს დაუდებდნენ პირაღმა და მას გადააბტებოდაო. (დათა სალიკის ძე ჩიქვანის ნაამბობიდან). (მეუნარგია ი., 74).

გუგუნავას გვარი 660 სულისაგან შედგებოდა, (სენაკი — 186, თბილისი — 151, ქობულეთი — 149), (გვარ-სახ. საქ-ში).

გუგუსკუა გუგუ-სკუა, გუგუ — გუგულის ძახილი, სკუა (მგრ.) ძე; საგუგუსკუო — სუჯუნა, გუგუსკუაში ნოხორი (ნასახლარი) სენაკ. რ., გუგუთურების (თური კოლხ.) მონათესავე, ახლობელი, ნასახლარი — ჭყონი (მარტვ. რ.). უფრო სარწმუნოდ გვესახება სხვაგვარი ახსნა: გუგუ ადამიანის საკუთარი სახელი ჩანს. შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარი გუგუშვილი, გუგუციძე.

გუგუჩია გუგუ — გუგულის ძახილი, უჩ კნინ. სუფიქსია. ვფიქრობთ, უფრო სარწმუნო ჩანს გუგუჩიას ასეთი ახსნა: გუგუ-უჩ-ია, სადაც - უჩ(ა) კნინობითობის მაწარმოებელი. მომდინარეობს გუჩა|გუჩუ საკუთარი სახელისაგან.

გუგუჩია ალექსანდრე ილარიონის ძე (1905-1981). გენერალ-მაიორი (1945). დიდი სამამულო ომის მხედართმთავარი, ვეტერანი (ლ. დოლიძე, 197).

გვარი 605 სულისაგან შედგება (ზუგდიდი — თბილისი — 57, ქუთაისი — 10), (გვარ.სახ. საქ-ში, 67).

გუდავა გუდა — თხის, ცხვრის ან ხბოს ტყავისაგან დამზადებული ტიკჭორა, რომელშიც ასხამდნენ რძეს და ჩამოკიდებდნენ ცეცხლის კერიაზე 2-3 მ. სიმაღლეზე. რძე შედედდებოდა — გამაგრდებოდა, შეკმაზავდნენ და ეწოდებოდა გუდის ყველი; გუდავა პირველი, გუდავა მეორე, გუდავა (გალ. რ.), გუდათუბანი (ხარაგ. რ.). შდრ. გვარი გუდაძე, ტოპონიმები: გუდალეთი, გუდაური...

გუდავა ტოგო ესტატეს ძე (დ. 1922, ქ. სენაკი, 176, თბილისი) ქართველი ენათმეცნიერი, ფილოლოგ. მეცნ. დოქტორი (1964, პროფესორი (1966), (ქსე).

გუდავაძე გივი გრიგოლის ძე (1923-1985) დ. ქ. ოჩამჩირეში (აფხ). საქ სსრ. დამსახ. გამომგონებელი (1969) საქ. სსრ დამსახ. ინჟინერი (1977), საქ. სახ-ფო პრემიის ლაურეატი მეცნ. და ტექნიკის დარგში (1982). (ჯაფარიძე ს., 145).

1897 წ. პირველი აღწერით გუდავა შედიოდა ქუთაისის ოლქის სოხუმის მაზრაში და საგვარეულო 1122 სულს ითვლიდა (Кавк. кал. 1902, 250). ამჟამად კი 242 სულს შეადგენს (სენაკი — 59, თბილისი — 30, ქუთაისი — 8), (გვარ-სახ. საქ-ში).

გუზაია ეტიმოლოგია დასადგენია. გუზაია ემრიდონ — აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგრის ნუსხაში ალნიშნულია, რომ მოწმედ ყოფილა, როდესაც ნაგვაზაულებს ლიპარტიანმა და კათალიკოსმა ბეგარა გააწერეს (1621), (პალ).

გულავა გულა — თოფის ტყვია (ჩუბ.) მომდინარეობს ადამიანის საკუთარი სახელისაგან.

საგვარეულო 28 სულს ითვლის (ქუთაისი — 8, თბილისი — 6, სამტრედია — 1) (გვარ.სახ. საქ.).

გულაია (იხ. გულავა); ნაგულასიკ-ტალერი მარტვ. რ-ნი, საგვარეულო 23 სულს ითვლის: ზუგდიდი — 21, თბილისი — 1, სამტრედია — 4 (იქვე)

გულდედავა გულ-დედა, გულ-გული, დედა-დედა. შდ. გულდაშვილი საგვარეულო 172 სულს ადგენს (სამტრედია — 80, თბილისი — 66, წყალტუბო — 8), (იქვე).

გულია მომდინარეობს ადამიანის საკუთარი სახელისაგან. (აქედანაა გულუა). ლეგული (საგულიო), სალხინო (მარტვ. რ.), ხაბუმე, გულიაში სუკი (მგრ.) — ლეწურწუმე (ჩხორ. რ.), გულუხეთი (აბაშ. რ.), გული (ზ/სვ.).


გულია დიმიტრი იოსების ძე (დ. 1874, სოფ. უარჩა, ახლანდ. სოხუმის რ-ნი, 1960, სოფ. აგუძერა, ახლანდ. გულრ. რ-ნი), აფხ. საბჭ. მწერალი. აფხ. ლიტ-რის ფუძემდებელი, აფხაზეთის სახალხო პოეტი (1937), (ქსე).

დიმიტრის მეულლე იყო ბჟალავას ასული აბაშიდან. ოჯახში სალაპარაკო ენა იყო მეგრული, წინამდებარე წიგნის ავტორის ბებია იყო გულუას ასული.

გ. გიორგი დიმიტრის ძე (დ. 1913, სოხუმი, რუსი საბჭ. მწერალი. წარმოშობით ქართველი (მეგრელი), დ. გულიას შვილი, საქ სსრ (1943) და აფხ. ასსრ (1971) ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე, (ქსე).

გულიას გვარი 53 სულისაგან შედგება (ზუგდიდი — 23, თბილისი — 13, წალენჯიხა — 6), (გვარ-სახ. საქ-ში)

გულიდა გულიანი სოფ. ლანჩხუთის რ-ნში, გულაი ზემო სვანეთისა და ქვემო სვანეთის რ-ნში, გული — ძირია, ხოლო ია — კოლხური სუფიქსი, გული(ს) შვილი. შდრ. გულისაშვილი, გულიაშვილი.



გულაუთის რაიონი

გულისკერია გული-სკერია, გული-გული სკირი-შვილი (შდრ. ბულისკერია, გულისაშვილი) საგვარეულო 21 სულს ითვლის (ზუგდიდი – 7, აბაშა – 5, ზელვაჩაური – 5), (იქვე).

გულორდავა გულ-ორდა-ვა, გულ-გული, ორდა (მგრ.) იყავ. გულორდაში რობუ (მგრ.) – ჩავარდნილი ადგილი, ლეგუორდაეე (მარტვ. რ.), ლერწურწუმე (ჩხორ. რ.). გულორდავას საგვარეულო 1761 სულს ითვლის (ზუგდიდი – 690, მარტვილი – 361, თბილისი – 201), (იქვე).

გულუა (იხ. გულია)'; თუთაშხია, თოლითს (უნდა იყოს თხინა) მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა... (1621) (პალ). გულუა შორდა მუხურს (ჩხორ. რ.) მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა.

გულუა კონსტანტინე არარტის ძე, დ. 1920 ზუგდიდის რ-ნის სოფ. ყულიშკარი, სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი, საქ. სსრ და აფხაზეთის დამსახურებული ექიმი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი.

გ კონსტანტინ პეტრეს ძე, დ. 1930 ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ხაბუმეში – ტექნიკური მეცნ. კანდიდატი (1964), უფროსი მეცნ. მუშაკი (1970), საქ სსრ სახ-ფო პრემიის ლაურეატი, მეცნ. და ტექნიკის დარგში (1982), (ს. ჯაფარიძე, 149).

გულუას საგვარეულო 2658 სულს ითვლის (ზუგდიდი – 856, ჩხოროწყუ – 454, წალენჯიხა – 326), (იქვე).

გულუა საქართველოში გავრცელებული 25000-ზე მეტი გვარიდან ათასი გვარის სიაშია შესული და რაოდენობის (2658 სული) მიხედვით 278-ე ადგილზეა. გაზ. „საქართველო", 6-8 მარტი, 1997).


გულიორდავა გულ-ორდა-ვა, გული-გული, ორდა (მგრ.)... იყავ გულიანად იყავ. გულორდაში რობუ (მგრ) – ჩავარდნილი ადგილი (მარტვილის რ-ნი).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებული გვარიდან ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1761 სული) მიხედვით 530-ე ადგილზეა (გაზ. „საქართველო", 6-8 მარტი, 19).

გუმბა შდრ. გუმაშვილი სოფ. სახელი გუმა. გვარი მოხსენიებულია გუდაუთის რ-ნის სოფ. დურიფშის 1844 წ. 400-მდე მცხოვრებთა შორის, როგორც ძირითადი მოსახლენი. გვარი იხსენიება ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინას მოსახლეობის აღრიცხვის 1837 წ. სიაში. გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ. მარტი, 1997), შდრ. ქისტეთში პანკისის

ხეობაში (ახმეტის რ-ნი) ქისტური ქართულდაბოლოებანი გვარი **გუმაშვილი.**

გუნბა, გუნ-ბა, გუნ-საკ. სახელი, ბა-შვილი. მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში შერვაშიძეების რეზიდენციის ცენტრში სახლობდა 4000-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა. მათ შორის გუნბა.



გულრიფშის რაიონი

გვარი მოხსენიებულია ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინას მოსახლეობის 1837 წ. აღრიცხვის სიაში, მხოლოდ მეგრული ფორმით გუნბაია, (იქვე).

გუნავა (იხ. გუნუა) გუნავას საგვარეულო 150 სულს ითვლის (ზუგდიდი — 86, სენაკი — 34, თბილისი — 15), (გვარ.სახ. საქ.).

გუნგულია (იხ. გუნია), გუნგულია სოფრონ დღ. ოჩამჩირის რ-ნის მცხოვრები და ბედიის ტაძრის აშგები. (ქართვ. მემკვ. 3, 199, გვ. 55).

გუნია საკ. სახელი გუნა (სპ) — გუნა „ფერი“, გუნება, სულიერი განწყობილება (საბა); საგუნიო, საგუნიო-ზანათი, (აბაშის რ.), საგუნიოში გვალა (მგრ.). — მთა, ეკი (სენაკის რ-ნი). აქედან უნდა იყოს გუნბა-გუმბა. შდრ. გუნიავა, რომელიც დღესდღეობით იმერეთშია ცნობილი. გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. მოქვის თემში (მცხოვრები მე-19 ს. I ნახ.), გუნია იოვანე, ეკს მცხოვრები, ჰყავს (საწლიკაცი) თვალთვალი, იგი და მისი (საწლიკაცი) ოჯახითა და მამულით, ლომკაძე ჭილაძემ საკანონოდ შესწირა ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკლესიას (1621), (პალ).

1843 წ. მარტის 29-ს დავით დადიანმა, მემკვიდრემ მეწგრელიისა ალექსი დადიანისადმი: „ზანათის სოფ. მცხოვრებნი გუნიები იყვნენ აზნაურ მელიების ყმები... ჩივიან... არ ცხრებიან. „თითო ხარი ან ძროხა გარდაახდევინე და წარმოადგინე და განუცხადე: უკეთუ ბატონყმურის სამსახურითა არ დაეშორჩილებიან მებატონეებს მათსა და კვლავ იჩივლებენ, უმეტეს შემთხვევაში დასჯაშიც შევარდებიან". (სოსელია, მასალები, 124, დოკ. №105).

გუნია ავთანდილ ლევანის ძე, (დ. 1912, თბილისი), ქართველი ეკონომისტი, ეკონ. მეცნ. დოქტორი (1962), პროფესორი (1966), საქ სსრ. მეცნ აკად. წ.-კორ. (1967).

გ. სერგო უშანგის ძე (დ. 1907 წ. სოფ. ზანათი, ახლანდ. აბაშის რ-ნი, 1977, თბილისი, ფიზიკა-მათ; მეცნიერებათა დოქტორი (1962). პროფესორი (1963), საქ სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1967), (ქსე),

გ ნონა ვალერიანის ასული (1919-1998), დ. ქ. თბილისი, საქართველოს სახალხო არტისტი.

გ. ვალერიან ლევანის ძე (დ. 1862, სოფ. ეკი, ახლანდ. სენაკის რ-ნი, 1938, თბილისი), ქართველი მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი. კრიტიკოსი, თეატრის მოღვაწე, საქ სსრ. სახ. არტისტი (1933), (ქსე).

გ. იროდი დიმიტრის ძე მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ოხურეის მცხოვრები, 80-იანი წლების დასასრულს აფხაზეთის ეროვნული მოძრაობის შედეგად ქაროველი ეროვნება დაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე).

გუნიას გვარი 772 სულს ითვლის (თბილისი – 219, სენაკი – 181, ფოთი – 122), (გვარ-სახ. საქ-ში, 68).

გუნიავა (იხ. გუნავა), საგვარეულო 294 სულს შეადგენს (ზესტაფონი – 176, თბილისი – 74, ქუთაისი – 6), (გვარ-სახ. საქ.).

გუნჯუა გუნჯუთი – მცენარეა (ჩუბ); ორსანტია (ზუგდ. რ.).

საგვარეულო 189 სულს ითვლის (ზუგდიდი – 111, თბილისი – 39, ფოთი – 25), (იქვე).

გურალია.

საგვარეულო 59 სულს ითვლის (ფოთი – 16, თბილისი – 11, ზუგდიდი – 3), (იქვე).

გურგულია გურ-გულ-ი-ა, გურ-(მგრ.) გულ-ი-(ქართ). საგურგულიო – ბედია (გალ. რ.). გურგულია ისლამის ცოლი ქამსაჩა, ძე ბალირე იხსენიებიან 1834 წ. ივნისში ქრისტიანად მონათლულთა სიაში (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ. მარტი, 1997, გვ. 7, სვ. I, 40-48).


საგვარეულო 87 სულს ითვლის (ზუგდიდი – 26, თბილისი – 20, წალენჯიხა – 15), (იქვე).

გურიელი გურიის მკვიდრი. გურიელი გიორგი (1662–1685) დადიანი გურიელი... ხელმწიფე... ნაგურუ სოფ. წალენჯიხის რ-ნში.

გურული იგივეა, რაც გურიელი წარმომავლობა – წარმოების მიხედვით. გიორგი, სენაკში მცხოვრები, საეკლესიო გლეხი. ევალებოდა ხუთი ლოღარიკი სანთელი (XVIIIს.). გურული (გოთუა პართენიის ფსევდონიმი), დრამატურგი (1905 წ.).

გურიელი მოხსენიებულია შარდენის 1772 წ. რუკაზე (ჯ. გამახ. კ. ბ. გოგია).

გურძავა გურძაული სოფ. სხალთის თემში (ხულოს რ.), (აჭარა), გურზული სოფ. გულრიფშის რ-ში.



გურჯაანის რაიონი

გურუა ჯუჯა ემართა ნაჟანეულის ბეგარა... (XV ს. II ნახ.) გურუა გემჭიშია ნაჟალეულს მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (1621).

გურჯია გურჯია შერქმეული გვარია ქართველისა არაქართულ (მუსულმანურ) გარემოცვაში ყოფნა-ცხოვრებისას. გურჯი ან გოროზი X-XV საუკუნეების სპარსულ წყაროებში ქართველთა ტრადიციულ სახელად გვხვდება. (ახლო აღმოსავლეთიდან წარმოშობილი, ხინთიბიძე, 18).

გუჩუა (ეტიმოლოგია დასადგენია,*) ბიქტორი გერას ძე (1914-1985), დ. დღ. წალენჯიხის რ-ნის სოფ. ფახულანში. ისტორიის მეცნიერებათა

დოქტორი (1984), დიდი სამამულო ომის მონაწილე, საქ-ს სახ-ფო პრემიის ლაურეატი მეცნიერების და ტექნიკის დარგში (1982). (ჯაფარიძე ს., 132)

გ. შალვა სკვირჩას ძე, ოჩამჩირის რ-ნის სოფ. აგუბედიის მცხოვრები, 80-იანი წლების დასაწყისს ეროვნული მოძრაობის შედეგად ქართველი ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

გურუას გვარი 516 სულს ითვლის (წალენჯიხა — 143, ზუგდიდი — 130, თბილისი — 112), (გვარ-სახ. საქ-ში).

გუჯაბია გუჯაბი — ჯილაგი, ჯიში, მოდგმა (საბა). შდრ. ქართ. გვარი გუჯეჯიძე.

გუჯუა გუჯუ — საკ. სახელი. (მგრ) და აღნიშნავს დაცობა (ო. ფიფია, მარტლები გვ. 73), გუჯუები 46 სულს ითვლენენ (ზუგდიდი — 24, აბაშა — 3, თბილისი — 19), (გვარ-სახ. საქ-ში).

დაბალია წარმომდგარია დაბალა შერქმეული სახელისაგან, ე. ი. ტანად დაბალი, მომცრო. დაბალი ხოირს მცხოვრები, მას და პრღუნას ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსოს ბეგარა (1921).

დაბანძია 1. დაბანძული, დაბანდული — უწესრიგოდ დაყრილი; 2. შეიძლება დაბა ბანძიდან იყოს. ბანძა — დაბა - სოფ. მარტვილის რ-ნში.

დაგარგულია კრიტიკოს სოლომონ ცაიშვილის პირველი და ნამდვილი გვარია. ამჟამად დაკარგულია.

დადახავა დადიშქელიანი დადე-შქე-ლია-ნი დადე — ქორწილში პატარძლის ხელის მომკიდე ქალი, შქე შქი — სქი (შ შეცვლილია), შვილი, ნი — გვარის სვანური ფორმატი (დაბოლოება).

დადიშქელიანი ოთარ ბეჩოს მფლობელი მეფის მთავრობამ დაადანაშაულა და ის ყაბარდოში ცოლეულების მამულზე დასახლდა და თითქოს მაჰმადიანობაც მიიღო. აღნიშნულის გამო ოთარს და მის მემკვიდრეებს აეკრძალათ დადიშქელიანის გვარის ტარება. მათ წინაპართა სახელის მიხედვით, ოთაროვები ეწოდათ (1857). (გასვიანი გ. 54).

დადიშქელიანებს, ჩუბეხევის ყველა მცხოვრებს სვანეთსა და საერთოდ კავკასიაში ცხოვრება აეკრძალათ. 1859 წ. 6 დეკემბერს მეფის გადაწყვეტილებით, სვანეთიდან გადასახლებულ დადიშქელიანებს ჩუბეხევის მამულის საფასურად 150 ათასი მანეთი გამოეყო, ხოლო ჩუბეხევი ხაზინის საკუთრებად გამოაცხადა. (გასვიანი გ. 56).

დადეშქელიანების საგვარეულო 88 სულს ითვლის (მესტია — 42, ზუგდიდი — 14, თბილისი — 13), (გვარ-სახ. საქ. 70).

დადიანი ოდიშის მთავარი, წოდება — გვარ ჩიქვანთა საგვარეულოდან, სამეგრელოს მთავართა ტიტული. ადგილობრივი გამოთქმით: „დადია," ძველად მარუშიანნი (მარუშის ძენი) ყოფილან" (ჯ. ინგოროყვა, 1737) სქ; ხშირად არიან მოხსენიებული წყაროებში; დადიანი ცოტნე,გიორგი, ლევანი, ვარდან, მამია (ქართ. ცხ., 11) და სხვა. შესაძლოა წარმომდგარი იყოს საკუთარი სახელისაგან დადა, დადაი (ღლ. სახ.) დადი (ჭუმბ. 43). შდრ. საკუთარი სახელი დადაშ. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით. „დადიანობა არ არის გვარი გარნა წესი ხელობისა" (ქართ. ცხ. IV 29; მაისურაძე, 52). დად-იან-ი ამ გვარში —იან წარმომაელობა — მქონებლობის სუფიქსია ძველი სახით შემორჩენილი. დადიანი პირველ მოხსენიებულია მარტვილის ტაძრისა და ხობის ეკლესიის ღვთისმშობლის ხატების წარწერებზე. თვით მარტვილის საუკეთესო ტაძარი

აშენებულია დადიანთა გვარის მიერ (ძვ. საქ. ტ. 3,43); „დადიანობა პირველად იყო კარის მხარეზე და არა ოდიშში, მხოლოდ თამარ მეფის შემდეგ დადგენილ იქნა დადიანი ოდიშში და მიენიჭა ერისთავობა". „პირველი დადიანი ოდიშისა იყო ცოტნე, რომლის გვარი არა ჩანს და შემდეგი დადიანნი ამისგან ჩამომავლობენ" (ჭყონია, 150); დადიაში ნოხორი (ნასახლარი), სადადიანო — თეკლათი, ლედადიანე, დადიანეფიში ნოხორი (ნასახლარი) — ძვ. სენაკი, ლედადიანე, ზანა, დადიაში ნოხორუ — ბანძა, დადიაში ნოხორუ-ნოქალაქევი, „დადიანიში ნატახტუ (ნატახტარი, სენაკის რ.).

ეკი, ბერთემი დადიანთა უძველესი სამკვიდრო-სამფლობელო (ელიავა, სენაკ. ტოპ.). (სენაკ. რ.); დადიაში მამული-კეთილარი, დადიაში მარანი, პატონიშო (ბატონის) ნოხორ (ნასახლარი), დადიაში კარი — ონოღია (მარტვ. რ.), დადიაში მარანი (აბაშ რ.), დადიაში წყურგილი-ჭოღა, დადიაში შარა-ხაბუმე (ჩხორ. რ.), დადიანეთი (დუშეთ. რ.), დადიანეთი ახალგორის რ-ში, დარგვისის თემი, ალევის ქედის დას. კალთაზე, ქსნის ხეობაში.


დადიანი ლევან — სამეგრელოს მთავარი

დადიანს დღევანდელ სოფელ კურზუს (მარტვ. რ.) მიდამოებში ჰყოლია მეკოლორეები (მეძაღლეები), რომლებსაც ევალებოდათ მონადირე ძაღლების გაწვრთნა და შენახვა. ასეთები ყოფილან: **გაბისონია, ფონია და ესართია.** ამის გამო მათ უწოდებდნენ „კურზუალ" — ძაღლის მწყემსი და სოფელსაც დარქმევია კურზუ. ეს სოფელი ტეხურის ხეობის სათავეშია და ეკუთვნის მთიან სამეგრელოს. აქ დაცულია გიორგი დადიანის სასახლე (მგრ. — დოხორე), (მაკალათია, 153); სხვათა შორის, მეგრელებს ჰყავდათ ძაღლების ღვთაება ალიშკინტირ. კინტირია, კინტრ ანთროპონიმადაც გვხვდება. დადიანს უბოძებია „ნიშნად" დავით კათალიკოსისათვის გლეხი — **ხახუა ფაცია,** რომელიც კათალიკოსმა ხობის ღმრთისმშობელს შესწირა (1673-1695). ბაგრატ — შვილი ვამეყ დადიანისა. გიორგი — დადიან-გურიელი მონაწილეობა მიიღო ალექსანდრე მეფესთან და ქართლის დარბაისლებთან ერთად სიარშ

ფალავანდიშვილისა და ამერან გაბელას ძის სასიცოცხლო საქმის გარჩევაში (1448). გიორგი იხსენიება ლევან დადიანის მიერ ხოფის ტაძრისათვის მიცემულ ყმა-მამულის შეწირულობის განახლების წიგნში. (იხ.). გიორგი (იხ. ლიპარტიანი გიორგი). გიორგი — შვილი ვამეყ დადიანისა (იხ.). ვამეყ იხსენიება ლევან დადიანის მიერ ხოფის ტაძრისათვის მიცემულ ყმათა-მამულების შეწირულობის წიგნში: იგი დასაფლაებული ყოფილა ხოფის ტაძარში (1628-1647). (ვარ ლიპარტიანი) ვარ ვამეხ — (1658, 1659-1661); მეფეთ-მეფე, ხელმწიფე... იესე ბატონიშვილი — ძმა ლევან II დადიანისა (იხ.) იხსენიება: ლევან დადიანის მიერ წაჩხურის მთავარანგელოზისათვის მიცემულ შეწირულობის წიგნში: მას სტამბულში წასვლამდე ოდიშის საყდრებისათვის შეუწირავს ზოგისთვის ოცი, ზოგისთვის ათი და ხუთი (ყმა); წაჩხურის მთავარანგელოზისათვის შეუწირავს: წაჩხურელი რატია, მისი შვილი კაჭუ და ძმა ქრისტეკოჩი, ორმოცდათორმეტი მოსახლე კაცი და ორი სასახლე... ლევან (ვარდიონ) II (1628-1657) დადიანგურიელი... შესწირა ბიჭვინთის ღმრთისმშობელს: სასახლე და გლეხები მამულით და დაუწერა მათ გადასახადები; სასახლე წყალიძგას, ორი მოსახლე სალაყია თეკლათს; ფოთს: ძალიმაფ უთორდია და სურთამა გვიჩია, ჭალადიდს — მახარობელ ლომაია; წყალიძგას — პიპილეი ხუხუნია მელია, ინალუხუ შვანქირია, მახარობელ გეროზია, ხუხუნია გვარამიშვილი, პატუა ზერაგია, ნასყიდა ზერაგია, ბიბიაი სხვიტარია, შაქარ სხვიტარია, ივანე თეფანია, გვანიში ივანეიშვილი. ელიჯარ ივანეიშვილი, კაკია წულაია; საგაგულიოს-კაკაშია ჯანჯუა; გულესკარს-მიხილია ელიავა; ეკალს-ივანე კოტირიძე; საქუჩოლარიოს-გუმბილია კვირკვაია და გაბუნია; წყალიძგას-დოსქუდაი ჩიქორავა, სოხერდია ზარაგია, მიხილია ბადია; მზანათს-დათვიაი პაპაჭკორია; ლალიძეს სასახლე, ალექსანდრია პარასქია და ხახუტია კომა, რომელთაც ემართათ... თილითს ელიჯარ ნგელია და კამულეთს-გურმიხილა [illegible], რომელთაც ემართათ... მარცხეულს-გურმიხილ ესებია, რომელსაც ემართა... გაიდურთი-გაბრავა სახლიკაციით... მუთაგილუნ [illegible]... საჭვამიშია-ნადარაია, სიქანდარა გოგუა, ოლირს: გამიძულა წაწულეი, ანაკლიას:ფაცელი წაწულუას და კოჩილა ჩოდიას და მათ სახლიკაცს ემართათ : (!628); გაბუნიების მიერ შეურაცხყოფილ ხონის ეკლესიას: კაცია გაბუნია, მამა გაბუნია, ჯაშუშია გაბუნია, ბახუელა, ვარჯღუელა, თოლიოქრო პაპავა, გოჩია ხახუსშვილის კაცი — წყაზარაა გაბუნია, ჯატუეი ფანცულეია, გამსახურდიას კაცი-ნასყიდაი ნოდია და [illegible]

კომლი კაცი (1628-1639)... ლევან (ვარ. ლეონ შამანდავლე) III (1660); 1675-1680 სრულიად ოდიშისა და აფხაზეთის მპყრობელ-მჭონებელი (1675, 1448) პაპუნა რატიას უბოძა: ტყაყურს, მორკვილას, ანაკლიას, ხორგას მდგომი ხომალდების მდივნობა, მებაჟეობა, დადიანთა სახკუს მოლარეობა, მოლარეთუფროსობა... ლიპარ იხსენიება: ალექსანდრე მეფის მიერ ეზია იოსელიანისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნში: იგი და (ქაიხოსრო) გურული, ურუმის ჯარის თანხლებით ალექსანდრე მეფეს ბანძაში შეებენ და დამარცხდნენ (1647)... ლიპარიტ – ჰყავს შვილი მამია გურიელი... ლიპარიტიანი ძმა ვამეხისა (იხ.) დადიანი მამია გურიელი... შესწირა ბიჭვინთის ღვთისმშობელს: მათხოჯის სასახლე და მონასტერი, ორმოცი კომლით კაცით და ერთი აზნაურიშვილით – რატიანით, ჯიგითუბანი და მთავარანგელოზის მონასტერი თორმეტი კომლი კაცით, ეგურის პირსა – ნაჟანეო, სამოცი კომლი კაცით, ხორს წმინდა გიორგის ეკლესია ოცდაზუთი კომლიკაცით, წამხარს – გამკერვალია, სასახლე ხუბეში, სოფელი მუხური აზნაურიშვილებით და ოცდაათი კომლი კაცით, ტყაურუს-მეთევზე და მენავტე შამიგია ჭუჭურია და დათია, მარმარის კარს ეგვ(ი)პტია და ჩხუნბურია. მამია (შვილიშვილი) მამია დადიანისა მანუჩარ-შვილი ლევან დადიანისა (იხ.). მანუჩარ შვილი ლევან III დადიანისა, მარიამ... დედოფალი... ოზბეგ-ერისთავთ-ერისთავი. შამადავლა (ვარ შამადავლა სამედავლე) (1455), შამანდავლე – იხ. დადიან ლევან III. ხაჟიგ – ერსთავთ ერისთავი, მანდატურთუხუცესი, შესწირა სეტის მთავარმოწამეს ოთხი გლეხის: დაგვინაი ძიძიას, შმაგიას... შამიგია ფერუხინას და დაჟითალა გვაგვნიას ბეგარა... ბესარიონ 80-იან წლებში... ეპისკოპოსი პატონსჭუა ჭყონდარი (ბატონიშვილი ჭყონდიდელი), მარტვილში ცხოვრობდა... მთელი შტატი მოსამსახურეებისა... სანადიროდ და თავადიშვილებთან ერთად ხშირად დადიოდა ბანძაში. მის მეძებრებს, მწევრებს, ბაზიერებს (მომვლელ-მწვრთნელი) მთელი ნახევარი კილომეტრი ეჭირათ, როცა სანადიროდ მიდიოდნენ“ (ბოროზდინი, 119). დაჟით ლევანის ძე, გენერალ-მაიორი, თავადი, სამეგრელოს მფლობელი (1848), (კავკ, კალ. 1848, 23). ელიზბარ გიორგის ძე, პოდპორუჩიკი, მდივანბეგი სამეგრელოს მმართველობისას (1848), (იქვე). თამარ გრიგოლის ასული – მოხსენიებულია ბაქოს გუბერნიაში მამულის მქონე. 1. თბილისის საჯარო ვაჭრობის განცხადებაში („ივერია“, 1902, № 245). ტარიელ ალექსის ძე, თავადი, სამეგრელოს სამმართველოს ზუბის საოლქო II კლასის მდივანბეგის მოადგილე (1848), (კავკ.

კალ. 1848, 23). ივანე ოტიას ძე პორუჩიკი, თავადი, ჯვარის საოლქო II კლასის მდივანბეგი (1848). გიორგი ვამეხის ძე, პორუჩიკი, თავადი, ჯვარის საოლქო მმართველობის მდივანბეგის თანაშემწე (1848), (იქვე, კავკ. კალ.). ვახტანგ გიორგის ძე, პრაპორშიკი, თავადი, სამეგრელოს თვითმმართველობის სუჯუნის საოლქო თვითმმართველობის II კლასის მდივანბეგი (იქვე).

დადიანი ანდრია დავითის ძე (1850-1910, კიევი). ქართველი მოჭადრაკე და ჭადრაკის მეცნიატი. ეკატერინე ჭავჭავაძისა და სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის შვილი. 1874 წ-დან მსახურობდა რუსის არმიაში, გენერლის ჩინით. ჭადრაკს თამაშობდა ცნობილ მოჭადრაკეებთან (ს. როზენტალი, ს. დიუბუა, ი. შუმოვი, ი. კოლიში და სხვ.); პეტერბურგში I ადგილი დაიკავა დაუმარცხებლად. პარიზში, რომში, კიევში, თბილისში საერთაშორისო ტურნირების პრეზიდენტი...

დ. ანტონ ცაგარელი ჭყონდიდელი (გარდ. 1815 წ.), ქართველი საეკლესიო მოღვაწე. მქადაგებელი, სამეგრელოს მთავრის ოტია დადიანის ვაჟიშვილი. 1761 მიიღო ცაგერლობა (ცაგერის ეპისკოპოსობა). 1777 დაინიშნა ჭყონდიდლად...

დ. ბედან (ბედიან). ოდიშის ერისთავი XII ს-ის უკანასკნელ მეოთხედსა და XIII ს-ის დასაწყისში მონაწილეობდა გიორგი რუსის გასამეფებლად დიდგვაროვანთა მიერ მოწყობილ აჯანყებაში.

დ. ბედან (ბედიან) ჯუანშერის ძე. ოდიშის ერისთავი XIII ს. შუა წლებში. მხარში ედგა ცენტრ. ხელისუფლებას... ჰქონდა დავით VI-ის სამეფო კარის მანდატურთუხუცესის ტიტული.

დ. გრიგოლ ლევანის ძე (ლიტ. ფსევდონიმი კოლხიდელი) 1814-1902, ზუგდიდი, ქართველი პოეტი. საზ. მოღვაწე. სამეგრელოს მთავრის ლევან V-ის ძე. რუს. არმიის ინფანტერიის გენერალი (1883). პოლკოვნიკი (1844), გენერალ-მაიორი (1854), გენერალ-ადიუტანტი. მას ეკუთვნის პოემა „რუხის ბრძოლა“. მთელი თავისი ქონება და ბიბლიოთეკა დადიანმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა.

ვარდან, საქართველოს დიდგვაროვანი ფეოდალი XII ს. II ნახევარში. თამარ მეფის კარზე ეჭირა ჯერ ჩუხჩარხის თანამდებობა, შემდეგ მსახურთუხუცესობა...

კონსტანტინე ლევანის ძე (1819-1889), ზუგდიდი — რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1878), გენერალ-მაიორი *1866).

ნიკო გიორგის ძე (დაახლ. 1780-1834) ისტორიკოსი და საზ.

მოღვაწე... აქტიურად მონაწილეობდა სამეგრელოს გამგეობის საქმეში. აქტიურად მონაწილეობდა რუსეთთან სამეგრელოს შეერთების საკითხებზე რუსეთში წარგზავნის დელეგაციას... 1810-23 ლეჩხუმის სარდალ-მოურავი, გენერალ-მაიორი. მსაჯულთუხუცესი. დაკრძალულია მარტვილში. მას ეკუთვნის ისტ. ნაშრომი „ქართველთა ცხოვრება“ (1823-24), „დასტურლამა“, მიმოსელა ნიკოლაი დადიანისა...

დ. ნიკო დავითის ძე, 1847, ზუგდიდი 1903, პეტერბურგი. სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი. 1853-დან რუს. არმიის გენერალ-მაიორი (1878)... 1868 დ-მა უარი თქვა (დე. გამავრცელებელიო იურე) სამეგრელოს მთავრის ტიტულზე. პოლკოვნიკი (1877, თავისი წიგნები და ხელნაწერი უსასყიდლოდ გადასცა ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოებას.

დ. ნიკოლოზ ტარიელის ძე, 1844, სოფ. სვირი ყოფ. შორაპნის მაზრა, 1896, სოფ. აგაიმანი, ყოფ. ტაურიდის გუბ., ქართველი მწერალი, მთარგმნელი, შ. დადიანის მამა...

დ. სამსონ პლატონის ძე, 1887, სოფ. მოიდანახე, ახლანდ. ჩხოროწყუს რ-ნი, ქართველი კრიტიკოსი, დრამატურგი.

შალვა ნიკოლოზის ძე (1874, ზესტაფონი 1959 თბილისი ქართვ. მწერალი, დრამატურგი, მსახიობი თეატრის მოღვაწე, საქ. სახ. არტისტი, 1923).

დ. ცოტნე შერგილის ძე, საქართველოს დიდგვაროვანი ფეოდალი XIII ს. I ნახ-ში, დას. საქ-ს გამგებელი. მონაწილეობდა კოხტასთავის შეთქმულებაში. შეთქმულების მონაწილენი მონღოლებმა დააპატიმრეს. ცოტნე გადაურჩა. დაპატიმრებულნი გამოტეხის მიზნით მცხუნვარე მზეზე დასხეს... ცოტნემ გაიგო თანამებრძოლთა დაპატიმრება ანისში, ჩაცდა და ნებაყოფლობით გაიზიარა ამხანაგების ხვედრი. დადიანის საქციელმა მონღოლები დაარწმუნა ქართველთა სიმართლეში და ყველანი გაათავისუფლეს. მშობლებთან ერთად გამოსახულია ხობის ეკლესიის უძველეს ფრესკაზე.

შოთა რუსთაველის ნამდვილი სახელი და გვარია შოთა, იოანე ვარდანის ძე დადიანი (1160-1250). დაიბადა მესხეთის სოფელ ალში... (ა. ცამციშვილი-ფიცხალაური) დადიანის საგვარეულო 1143 სულს ითვლის (თბილისი – 244, სენაკი – 241, ზუგდიდი – 204), (გვარ-სახ. საქ.).

დადიანი გეორგი (1912-1985), მერი (1880-1968) ნიკოლოზ (1879-1939) განისვენებენ პარიზთან ახლოს დ. ლევილის ქართველთა პანთეონში. (გაზ. „ლიტ. საქ.“, 1990, 14 აპრილი).

დადიანის გვარზე ბევრი ანდაზაა. მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმეს: დადია მურცია (მიკუურსია) დო ბაჩია შარას გილაჩოქუდუა – „დადიანი მოდისო და ბაჩია გზაზე დაჩოქილი იდგაო“. დადიანს მოჩივარე არძა მართალი უჩქუდუა მოპასუხეში უმუშო – „მოპასუხის გარეშე დადიანს ყველა მომჩივანი მართალი ეგონაო“. დადიაქ თქუა გურით იბიბრქუ დო ბანი ქომიწიითია. „დადიანმა თქვაო: გულში ვმღერივარ და ბანი მითხარითო. „დადიან ხენწიფექ თქუა: სქუა მისითი ვაღურუნი, ჩქიმი სქუა ვანგარუათია“. „დადიანმა თქვაო: შვილი ვისაც არ მოკვდომია, ჩემი შვილი არ დაატირებინოთო“; ვისაც შვილი არ მოკვდომია, სხვისი შვილის სატირლად ნუ წავაო. „დადიაქ ქოთქუადა, ჭურათ წყარი იფუნენია“. „დადიანმა თუ თქვა, აყიოთი წყალი აღუღდებაო“. ბატონმა რომ თქვას, მუხას ვაშლი აბიაო, შენ დაიჯერეო. დადიაქ ყაზაყის – ოშმეში ღულა გაფუნია დო ხოჯი ოგაფუა, დადიანმა გლეხს – ულვაში სწორად არა გაქვსო („მოღუნული გაქვსო“) და ხარი გადაახდევინაო“. ბატონმა როქ გითხრას – კაცი მოკალიო, შენ ნალი ან ქუდი მოამზადეო. დადიაში ორბო დღა უქვი რენია“ „დადიანისათვის ყოველი დღე უქმეაო“. დადიაში მაკუჩხურქუ თქუა: „მიღუდუნი, თიქხოლო მემიდინუა“. დადიანის მეკვლემ თქვაო: რაც მქონდა, ისიც დამეკარგაო“ (ხალხ. სიბრძ., 34-35).

დავითაია მომდინარეობს საკ. სახელ დავითასაგან. სადავითაო – ონტოფო (აბაშ. რ.), დავითიანი (ზუგდ. რ.), სადავითაო – ეკი (სენაკ. რ.). დაუითაია იუანე, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსოს ბეგარა... დავითაია მესტუმრია, ნაჟანეულს მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა... დაუითაია იუანე, მართებს ნაჟანეულის ბეგარა... (XVI ს. II ნახ.).

გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშის მე-19 ს. I ნახ-ში მოსახელობის აღირცხვის სიაში, სადაც აფსუური გვარისა თითო-ოროლა თუ იყო. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

დ. დამეშულია, ცოლი – კოჭა, ასული – ძერა მოხსენიებულია, როგორც მდაბიონი, წარმართნი და გაქრისტიანებულნი 1854 წ. ივნისში. დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშში (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7; 15).

დ. ალექსანდრე იონას ძე, დ. 1924 წ. სენაკში. 1942 წ. მარტიდან ომის მონაწილე სხვადასხვა ფრონტზე. დიდების ორდენის კავალერი, (ნოზაძე, 18).

დ. თეოფანე ფარნას ძე (დ. სოფ. ეკი 1911, ახლანდ. სენაკის რ-ნი), ქართველი გეოგრაფი, აგრომეტეოროლოგი და კლიმატოლოგი. სოფ. მეურნეობის მეც. დოქტორი (1951), საქ. სსრ აკად. აკადემიკოსი (1960), პროფესორი (1961), საქ. სსრ მეც. დამსახ. მოღვაწე (1966).

დავითაიას საგვარეულო 1128 სულს ითვლის (თბილისი – 324, სენაკი – 290, ზუგდიდი – 1204) (გვარ-სახ. საქ., 70). გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 943-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

დაკარგულია წარმოდმგარია სიტყვა დაკარგულიდან. დაკარგულია ნიკო ვალერის ძე მოხსენიებულია ოჩამჩირის რ-ნის სოფ. აგუბედიის მცხოვრები, 80 წლ. ეროვნული მოძრაობის შედეგად ქართველის ეროვნება აღდგენილი (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

დაკარგულიას საგვარეულო 49 სულს ითვლის (ზუგდიდი – 23, თბილისი – 9, მარტვილი – 7), (გვარ-სახ. საქ.).

დალაქია გვარი მომდინარეობს საქმიანობა-დალაქიდან, დალაქი – მპარსავი. ამჟამად გვარი არ არის შემორჩენილი. შდრ. ქართული გვარი დალაქიშვილი.

დამკოჩია ეტიმოლოგია გაურკვეველია. გვარი ამჟამად არ არსებობს.

დამენია წარმომდგარია საკ. სახელ დამიანესაგან. დამიანეა – დამენია: ლედამენე-ლეჟამამე (სენაკ. რ.), ლეწურწუმე ჩხოროწყუს რ-ნი, დამენია დიაკონი, ნაჭურალში ბადალი არ ჰყავდა... რუსის მთავრობამ დაიჭირა, გაკრიჭეს და ციმბირში გადაასახლეს (ბოროზდინი, 3).

დამენიას საგვარეულო 614 სულს ითვლის (სენაკი – 126, მარტვილი – 96, თბილისი – 88), (გვარ-სახ. საქ., 71).

დანავა დანაია დანაოსი, ბერძნული წარმოშობის არგოსის მეფე; ძველბერძნული მითოლოგიით ამ მეფის 50-მა ქალმა მოკლა თავიანთი ქმარი, რისთვისაც სამუდამოდ დასაჯეს ღმერთებმა...

დანავა ჭინვარის ქალი – დიში მოხსენიებულია, როგორც მდაბიო, წარმართი სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. ივნისში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ. მარტი, 1997, გვ. 8; 33).

დანელია იხ. დანავა. ამ გვარის წარმომადგენლები ძირითადად ცხოვრობენ მარტვილის რ-ნში. აფხაზეთში მცხოვრები ქართველების, მათ შორის დანელიების, აფხაზებად ჩაწერა დაიწყო XX ს. 20-იან წლებში, როდესაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

ხელისუფლება აიძულებდა ქართულ მოსახლეობას, თავი აფხაზებად გამოეცხადებინათ (საქ. ისტ. და ეთნ. ინსტ-ის ოჩამჩირის რ-ნის არქივი).

„ეს ეკლესია დანელიების იყო. აქ დანელიებს ეკლესიის შიგნით ვეებერთელა ქვევრი ქონდათ ჩამარხული, რომელსაც „შონურის“ ჯიშის ღვინით ავსებდნენ. აღდგომა დღეს მოხსნიდნენ მას, ჯერ „ოდუდიას“ — საოხვამურის ყველა წესს შეასრულებდნენ, შემდეგ აქვე, ეკლესიაში მიუსხდებოდნენ სუფრას. ამ რიტუალს ხელმძღვანელობდა თითო მხცოვანი წევრი მორიგეობით.

დანელია ერთი დიდი თურია (გვარი), რომელიც რამდენიმე დინოდ (შტოდ) იყოფა. მაგ. ჯორიესსქუალეფი დანელიები არიან, მაგრამ ჯორიეს შტოს ეკუთვნიან, ამიტომ ჯორიესსქუალეფიში, ჯორთა-შვილების დინო შექმნეს. ასეა კოჩობასქუალეფიში დინო, კიჭურიეფიში დინო, კაკუცასქუალეფიში დინო, კიჭურიეფიში დინო და ა. შ. ასეთი შტოები ამ თურს 20-ზე მეტი ჰქონდა. ამ თურის (გვარის) ყველა დინოს ტოტის წარმომადგენელი უნდა დასწრებოდა ამ დღესასწაულს აუცილებლად და ა. შ. (მთქმ. პროფესორი სერგი დანელია, გეგეჭკ. მუზ., 82).

დანელია ყვაქ, ცოლი მისი ჩაადი და მათი ძე აშხანუყვამ ქრისტიანობა მიიღეს 1834 წ. ივნისში ტამიშის ეკლესიაში (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997, გვ. 8. სვ. III, 28).

დანელია ყვაღქ, ცოლი — ჩაადი; ძე შხანუყვა მოხსენიებულნი არიან, როგორც მდაბიონი, წარმართი სარწმუნოებისა და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., 1997, გვ. 7, 10).

დანელია სერგი იოსების ძე (დ. 1884, სოფ. ნაჯახაო, ახლანდ. მარტვ. რ-ნი, 1963, თბილისი), ქართველი ფილოსოფოსი და ლიტერატურათმცოდნე, ფილოს. მეცნ. დოქტორი (1917), პროფესორი (1930), მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1944).

დ. ჭიჭიკო ტრიფონის ძე, დ. 1924, დღ. გაგრის რ-ნის სოფ. სიხარულში, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, დაჯილდოებული ორდენითა და რამდენიმე მედლით. 1953 წ. დაამთავრა ფრუნზეს სახ. აკადემია. 1967 წ-მდე მსახურობდა შეიარაღებულ ძალებში, 1967 წ. გავიდა თადარიგის პენსიაზე პოლკოვნიკის ხარისხით. არის სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი.

დ. შალვა დიმიტრის ძე (1894-1930), დ. სენაკის მაზრის სოფ. ლეხაინდრაოში, რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი (გეგეჭკორის მუზ. იქვე).

დ. დანელია აბირან იოსების ძე, დ. 1923, ფოთი. საბჭოთა კავშირის გმირი – 1945, (მათ ასახელეს, 151-153).

დ. დანელია ნიკოლოზ თედორეს ძე, (დ. 1905, სოფ. ლეხაინდრარო, ახლანდ. მარტვილის რ-ნი, 1977, თბილისი ქართველი ჰიდროტექნიკოსი, ტექნიკ. მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1960), საქ. სსრ მეცნ. და ტექ. დაშსახ. მოღვაწე (1967), საქ. სსრ სახელმ. პრემიის ლაურეატი (1971).

დ. გიორგი სერგის ძე, დ. 1923 ქ. თბილისში... მედიც. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1987), საქ. სსრ სახ. პრემიის ლაურეატი (1988) მეცნ. და ტექნ. დარგში, (ჯაფარიძე ს., 293).

დ. გიორგი ნიკოლოზის ძე, (დ. 1930, თბილისი, კინორეჟისორი, რსფსრ ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე (1965). (იქვე).

დ. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მოხსენიებულია ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ილორის მცხოვრები 80-იან წლებში, ეროვნული მოძრაობის შედეგად ქართველობადაბრუნებული. (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

დანელიას საგვარეულო 5666 სულს ითვლის (მარტვილი – 1955, თბილისი – 1412, ზუგდიდი – 306) (გვარ-სახ. საქ.).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით მე-60 ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

დარასელია 1. დარანა – ბრიალა (ცეცხლი) (კილანავა); შეიძლება ტოპონიმი დარჩელიდან (ზუგდ. რ.) იყოს, მაგრამ უფრო საფიქრებელია, დარასავ ტოპონიმისაგან მომდინარეობა. შდრ. დარსალია//დარასელია, ქართული დაბოლოებით: დარსაველიძე ლედარსალე სოფ. ჩხოროწყუს რ-ნში. დარასელიებზეა ანდაზა: „დარსალიემქ თქვისია – შარა გიბრთათ დღ ოულარო მუთა ბხვადუნანია“. – დარსალიებმა თქვეს: „გზა გავიყოთ და სიმგზავროდ (ცოტა) არაფერი შეგვხვდებაო“ (ხალხ. სიბრძ., გვ. 35).

ვფიქრობთ, გვარი მიღებულია სამეგრელოში გავრცელებული მამაკაცის დრასი სახელისაგან (ალ. ღლონტი, ქართველური საკუთ. სახელები, 1986, გვ. 111). სუფიქსის დართვით – ია სუფიქსი საერთო ქართველური -იან სუფიქსის გამარტივებული ვარიანტია.

დარასელია მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის 1834-1835 წ. მოსახლეობის აღრიცხვის სიაში, სადაც 156 სულიდან ორიოდე თუ ერია აფსუური გვარი, დანარჩენი სულ ქართული იყო (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997). პეტრე, მაღლი,

ცოლი — სადლამ, ძენი: მაქვა, კვაბა, ასული ამისი ზევა, მისი ასული — ძანძა, თუთა, ცოლი — ცირაკვეკვა, ძენი: რაგერა, ქვაჩალა, ასული — ხაჯხან იხსენიებიან, როგორც მდაბიონი, წარმართი სარწმუნოებისა და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ.. 7; 32, 43, 44, 45).

დარასელია მიხეილ კონსტანტინეს ძე, დ. 1902, დაბა ზუგდიდში, სოფლის მეურნ. მეცნ. დოქტორი (1946), პროფესორი (1947), საქ. სსრ მეცნ. აკად. წევრ-კორ. (1955), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1961)

დ. ვანიან ალექსანდრეს ძე (დ. 1909, სოფ. კახათში, ახლანდ. ზუგდიდის რ-ნი, 1954, თბილისი), ქართველი მწერალი და დრამატურგი, სამამულო ომის ვეტერანი.

დ. დარასელია კაპიტონ ნიკოს ძე მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ბესლახუბის მცხოვრები, 80-იანი წლების დასასრულს ეროვნული მოძრაობის შედეგად ქართველობადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

დ. ვიტალი, ოჩამჩირე, ფეხბურთელი, რომლის მიერ გატანილი გოლით თბილისის დინამომ მოიპოვა ევროპის ოქროს თასი.

დარასელია საგვარეულო 1806 სულს ითვლის (ზუგდიდი — 1375, თბილისი — 220, სენაკი — 38), (გვარ-სახ. საქ.). გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 512-ე ადგილზეა (იქვე, გვ. 284).

დარსალია დარე — ნახევრად უვარგისი, სალი-ა — სალი, ხოლო წაწვეტებული ხის ან რკინის ნაჭერი, ხის (შეშის) პობისას დამხმარე. მოსახლეობენ: ჩხოროწყუს რაიონის ლეწურწუმისა და ნაფიჩხუს სოფლებში.

დარსალია ვლადიმერ (ძაძ) ხარიტონის ძე, (დ. 1898, სოფ. გუფი, ახლანდ. ოჩამჩ. რ-ნი, 1944, სოხუმი), აფხაზი საბჭოთა მწერალი.

დარსალიას საგვარეულო 734 სულის ითვლის: (ჩხოროწყუ — 936, თბილისი — 217, სენაკი — 94), (გვარ-სახ. საქ.,).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 540-ე ადგილზეა (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

დარსანია (იხ. დარსალია), შდრ. დარასაძე.

დარსანია იასონ მაქსიმეს ძე, დ. დღ. გულრიფშის რ-ნის სოფ. მერხეულში, აფხაზეთის ასსრ. განათლების მინისტრი. საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ამჟამად 94 წლის.

დარჩია შეიძლება დარჩელი (მეგრ.) — დაგებულიდან იყოს. მეორენაირი ახსნით, შესაძლოა დარჩა ზმნისაგან მომდინარეობდეს, ე. ი. დარჩა=გადარჩა რაღაც მიზეზით შერქმეოდა დარჩიას მატარებელი გვარის წინაპარს. შდრ. გვარები: გამიხარდია, ინანიშვილი, დარჩიძეები.

დარჩიას საგვარეულო 1819 სულს ითვლის: (ოზურგეთი — 1023, თბილისი — 263, ბათუმი — 180), (გვარ-სახ. საქ.,).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 507-ე ადგილზეა (იქვე, გვ. 284).

სოფ. დარჩელი შედიოდა ქუთაისის ოლქის ზუგდიდის მაზრაში და მოსახლეობის პირველი აღწერით 1978 სულს ითვლიდა, უმეტესობა იყო დარჩიას გვარისა, შეიძლება, ამიტომ ეწოდა სოფელს დარჩელი.

დარციმელია (იხ. დარცმელია) დარცმელია ფუძე დარცმელ მომდინარეობს დარცმელისაგან (შდრ. დარციმელია, (ილ. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ, 1981, გვ, 54). მოსალოდნელია, რომ დარცმელ — ფუძეში გამოიყოფოდეს წარმომავლობის აღმნიშვნელი -ელ სუფიქსი. გვარი არ იხსნება აფხაზურ ენაზე. გვარი გვხვდება აბაშისა და სენაკის რაიონებში.

დარცმელია ირაკლი ალექსანდრეს ძე მოხსენიებულია ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ბესლახუბის მცხოვრები, 80-იანი წლების დასასრულს ეროვნული მოძრაობის შედეგად ქართველობადაბრუნებული. (საქ. ისტ. და ინსტ. ოჩამჩირის რ-ნის არქივი).

დარცმელიას საგვარეულო 328 სულს ითვლის (მარტვილი — 243, თბილისი — 56, სენაკი — 9), (გვარ-სახ. საქ., 72).

დარცმელიას საგვარეული 251 სულს ითვლის (თბილისი — 103, რუსთავი — 25, აბაშა — 23), (გვარ-სახ. საქ., 72).

დარჯანია — დარეჯანისაგან ნაწარმოები გვარია (ზ. ჭუმბ., დედაენა ქართ., 383). შეიძლება დარე — მცირე, დაბალი ჯანისაგან იყოს. 1888 წ. მონაცემებით დარჯანიას რამდენიმე ოჯახი გადავიდა სამეგრელოდან საცხოვრებლად სოჭში (გაზ. „ივერია“, 1888 წ. ივლისი, 146, გვ. 8).

დარჯანია შალვა ელიზბარის ძე, დ. ქუთაისი, 1928), ქართველი მექანიზატორი, ლენინური პრემიის ლაურეატი (1967).

დარჯანიას საგვარეულო 1124 სულს ითვლის (მარტვილი — 356,

თბილისი — 271, ქუთაისი — 91), (გვარ-სახ. საქ.,). გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 946-ე ადგილზეა (იქვე, 287).

დასტურია — ეს გვარსახელი უნდა მომდინარეობდეს დასტურა მეტსახელისაგან. ამჟამად გვარი არ არსებობს.

დასტურაია ჭუჭუ, მამია დადიან — გურიელმა მისი შეწირულობა განუახლა დავით ნემსაძეს, მაგრამ შემდეგ გამოწერილიყო (1689-1714).

დაშურიმორთა (მგრ.) და- შური-მორთა, და — წინაკიდური ბგერაა, შური — სული, მორთა — გადაბრუნება (მგრ.) მოთატ შერქმეული სახელი ჩანს. მოთეს ემართა ნაჭალეულის სასახლის ბეგარა... (1621).

დარჩმელია შერქმეული სახელისაგან უნდა იყოს მომდინარე. შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარი დარცმელიძე//დარსმელიძე, რომელთა ფუძე დარჩმელის ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს.

დარჩქელავა იხ. დარჩია.

დგებია დგებ-ა (ადგა, ამდგარა)... (ქებულ); დგებია შერქმეული სახელისაგან მომდინარეობს. ამავე ძირისაა დგებუაძე, დამოწმებულია დგებუაც. ლედგებიე-თამაკონი, ჯოლორია დგებიაში ციხე, დგებიაში ნოხორი — კიწია, ლედგებიე-თამაკონი, ლედგებიე-ჭყონი, დგებიაში ნადოხორ (ნასახლარი) — ჭყონი, დგებიაში დიხა-ინჩხური, ნადგებუ გოჭკადილი (გაჭედილი, მარტვ. რ.); დგებიაში ნოხორი (ნასახლარი) — ლეძამე, დგებიაში ნოხორი ზემოჭალა — დიდი (სენაკ. რ.); ლედგებიე, დგებიაში ტყა-ლესიჭინე (ჩხორ. რ.); დგებიეფიში სუკი (გორაკი) (გულრ. რ.).

დგებიების მთავარი ხატი წალენჯიხის ეკლესიაშია— მიამბო ბაღმარანელ გრიშა დგებიამ; თითქმის ყოველ წელიწადს დგებიები ვიკრიბებით და მივდივართ წალენჯიხაში, თან წავიყვანთ, ან იქვე — ადგილზე შევიძენთ ხატის შესაწირავ საკლავს, მიიპატიჟებენ ახლო-მახლო მცხოვრებ დგებიებს ეკლესიის ეზოში და იმართება ზეიმი — პურის ჭამითა და წინაპართა მოხსენიებით... შემდეგ წალენჯიხელი დგებიები თავიანთ ოჯახებში იწვევენ ბაღმარანელ თანამოგვარეებს და ეს გრძელდებოდა 3-4 დღეს.

დგებია ნიკო — თავადი, სენაკის რ-ნში არის მისი სახელწოდების ადგილი: „ეს ადგილები სულ თავად ნიკო დადიანის იყო. იგი ძალიან მკაცრი კაცი და ბატონი ყოფილა. ყმებს მისი ძალიან შინებიათ

თურმე. ძაღლს ეძახდნენ ამ ბატონს"... „ღორონთქ დოჭყუას ნიკო პატონიში სახელი" „ღმერთმა დაწყევლოს ნიკო ბატონის სახელი" (გ. ელიავა, აბაშ. მარტვ. ტოპ. 16).

დგებია — „დგებუაძე მდივანი აბგარ ნეფისა, რომელმაც აღწერა ცხოვრება აბგარ მეფისა წელსა ქრისტეს აქედ 67 და მათნი გვარნი დროსა თურქთაგან დაპყრობისა მოვიდნენ ახალციხეს და მუნიდგან ოლიშში და მეფემან მიიღო თავადად წელსა 785" „ივერია", 1883, № 11-12; 1884, 1-12).

დ. ბეჟან, სალხინოს სასახლის კომენდანტი, რომელსაც სადგომი სასახლის ეზოშივე ჰქონდა დახლ. 1805 წ. (მეუნარგია ი. 62).

დ. გრიგოლ მთავარ დაჟით დადიანის შეიარაღების რიგის კაცი. (მეურნაგია ი., 66).

დ. ეგენი, მარტვილის სასწავლებელდამთავრებული, მთავარ დადიანის მწერალი ანდრია გეგეჭკორთან ერთად, (მეუნარგია ი., 33).

დგებუაძე — ფულარია მარიამ (ფუცუ) დავითის ასული, 1887, სოფ. ჩუნეშში, ახლანდ. წყალტუბოს რ-ნი, 1969, მწერალი.

დ. ბეჟანა, თავადი 1863 წ. თამაკონის გლეხთა აჯანყების დროს მოკლეს. ბეჟანა დგებუაძისადმი განსაკუთრებული სიძულვილი გამოხატულია ხალხურ ლექსში:

	თარგმანი
„ბეჟა დგებია გეგუთუუ,	ბეჟან დგებუაძე გეგუთუუ
დღა დო სერქ დეგელუუ.	დღე და ღამე დაგელია.
ჯანაშიაქ თოფი გოოთუ,	ჯანაშიამ თოფი რომ გესროლა,
ტეხურს ქიგგოკერკელუუ.	ტეხურში გადაგაკოტრიალა.
სქანი სირმაში ქუდი	შენი სირმიანი ქუდი
წყარქ მიდასერგელუუ.	წყალმა წაათრია.
უსამართო ორდი მარა,	უსამართლო იყავი, მაგრამ
ჯოლორქ გიგგობებელუუ.	ძაღლმა დაგა...ალ.

(ავტორისთვის მიუწოდებია აკადემიკოს ს. ჯანაშიას).

წალენჯიხის რ-ნის სოფ. ლედგებიე შედიოდა ქუთაისის ოლქის ზუგდიდის მაზრაში და 1897 წ. პირველი აღწერით აქ მოსახლეობდა 1042 სული დგებია — სოფელში მცხოვრებთა უმრავლესობა, ამიტომ დაერქვა სოფელს ლედგებიე. დგებიას საგვარეულო ამჟამად 42 სულს ითვლის (ზუგდიდი — 19, თბილისი — 6, ბათუმი — 3), (გვარ-სახ. საქ.).

დემანია (იხ. დემურია) დემანიას საგვარეულო 29 სულს ითვლის: (ზუგდიდი — 7, თბილისი — 6, ფოთი — 5), (გვარ-სახ. საქ., 73).

დემურია 1. დემური — ტყავის საფხეკი, 2. დემ-ურია. დემი (მეგრ.) — დიდი, ურია — ებრაელი; დღ. ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ახუთში წინათ ბაზრობა იმართებოდა. ამაში სახელი გაითქვა ერთმა ებრაელმა ვაჭარმა, რომელსაც ხალხმა დემი — დიდი ურია უწოდა. სენაკის რ-ნი. სადემურიო ფოცხო ჩხოროწყუს რ-ნის (გაზ. „ნაპერწკალი", 8. V. 71).

დემურიას საგვარეულო 661 სულს ითვლის (სენაკი — 202, თბილისი — 149, ზუგდიდი — 114), (გვარ-სახ. საქ., 73).

დერბიში ლაზური გვარია. დერბისი, დერბი, ვფიქრობთ, საკ. სახელია, ში- — ძე. დერბიშის საგვარეულო 43 სულს ითვლის (ბაღდათი — 6, ბათუმი — 2, სამტრედია — 35), (გვარ-სახ. საქ.).

დიდავა დიდა მგრ. — დედა, ვა — შვილი=დედი(ს)შვილი. საგვარეულო 56 სულს ითვლის (ქუთაისი — 20, თბილისი — 5, რუსთავი — 2), (გვარ-სახ. საქ).

დიდია ეს გვარსახელი შერქმეული სახელისაგან მომდინარეობს. შდრ. დიდია — პატარაია; დიდიაში ეზო-კეთილარი, დიდიაში ჭალე (აბაშ. რ.). დ. გაბრიელა მართებს ნაჟანეულის ბეგარა... (XVI ს. II ნახ.). დიდია ხახუტას, მაშუტიას, თოლიოქროს ემართათ ხოირის სასახლის ბეგარა... (1621). დიდია მაშუტია, ხახუტია, ხოირს მცხოვრები ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა... (1621). დ. ჯგეკოჩის, (მგრ. კარგიკაცი) ნაჟანეულს მცხოვრებს, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსოს ბეგარა... (1621). დ. ჯგეკოჩი, ბახუტა, კოჩილეი ემართა ნაჟანეულის სასახლის ბეგარა... (1621). დ. გიგო ნიკოლოზის ძე — ფოთელი, მოხსენიებულია ქ. თბილისში მამულების საჯარო ვაჭრობის განცხადებაში (ივერია, 1902, № 245).

დიხამინჯია (თბ. 27. V.64.4); დიხა (მგრ.) — მიწა, მინჯ-ე — პატრონი=მიწის მეპატრონე; აბედათი (მარტვ. რ.), ლედიხამინჯე — ჭოლა (ჩხორ. რ.). დიხამინჯია თამაზ, ძლიკვი, ხობის მცხოვრებნი, საეკლესიო გლეხები, ევალებოდათ ხუთი ლოღარიკი სანთელი თითოეულს (XVII ს.).

1888 წ. მონაცემებით დიხამინჯიების რამდენიმე ოჯახი სამეგრელოდან გადავიდა სოჭში. (გაზ. „ივერია", 1988 წ. ივლისი, 146, გვ. 8).

დიხამინჯიას საგვარეულო 711 სულს ითვლის (თბილისი — 171, მარტვილი — 146, სენაკი — 90), (გვარ-სახ. საქ.). ვიქტორ დიხამინჯიას და სხვათა ინიციატივით 1921-1922 წ. სოჭში გაიხსნა ქართული

სკოლა (ნ. კეცხოველი, პლასტუნკელი ქართველი მოღვაწენი, თბ., 1966, გვ. 23-24).

დოდელია დოდინ-ი – „წყნარად და სინაზით საქმის ქმნა“ (საბა). უფრო საფიქრებელია, დოდელია – გვარი საკუთარი სახელი დოდელისაგან მომდინარეობა.

დოდელია 40 სულს ითვლის (თბილისი – 25, აბაშა – 4, ტყიბული – 4), (გვარ-სახ. საქ.).

დოლბაია – ეს გვარი დოლ საკუთარი სახელისაგან მომდინარეობს. შდრ. ქართ. გვარი დოლიძე, შდრ., აგრეთვე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ დამოწმებული ისტორიული ტოპონიმი ტაო-კლარჯეთში დოლის ყანა. დოლბაია ნააფხაზარი მეგრულდაბოლოებიანი გვარსახელია. შდრ. დოლბაძე.

დოლბაიას საგვარეულო 387 სულს ითვლის (ფოთი – 148, თბილისი – 42, ზუგდიდი – 26).

დოლბაძე (იხ. დოლბაია) დოლბაძის საგვარეულო 299 სულს ითვლის (თბილისი – 70, ჩხოროწყუ – 46, სენაკი – 43), (გვარ-სახ. საქ.).

დოლია წარმომდგარია დოლა საკუთარი სახელისაგან. შდრ. ქართ. გვარები: დოლიძე, დოლიაშვილი, დოლაკიძე.

დოლიას საგვარეულო 22 სულს ითვლის (თბილისი – 13, სენაკი – 1, ფოთი – 8), (გვარ-სახ. საქ.).

დონდუა დონდუა (მგრ.) – ჩაყურყუმალავება (წყალში), 1988 წ. მონაცემებით დონდუას რამდენიმე ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად სოჭში (გაზ. „იverია“, 1988, ივლისი, 146, გვ. 2).

დ. დავით დარისპანის ძე, დ. 1898, ქუთაისი, 1958, თბილისი საქ. სსრ სკოლის დამსახ. მასწ.

დ. კარპეზ დარისპანის ძე დ. 1891, ქუთაისი, 1951, ლენინგრადი, ქართვ. ფილოლოგი, ენათმეცნიერი, ფილოლ.მეცნ. დოქტორი (1935), ლენინგრადისა და თბილ. უნივერსიტეტების პროფესორი (1940), საქ. სსრ მეცნ. აკად. წევრ-კორ. (1944).

დ. ვარლამ დარისპანის ძე დ. 1895, ქუთაისი, 1969, თბილისი ისტ. მეცნ.-დოქტორი (1963), მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1965).

დ. ვასო (1888-1942), ლევან (1918-1975), ლიდა (1896-1979), სერგო (1916-1985), განისვენებენ საფრანგეთში, პარიზთან ახლოს დ. ლევილის ქართულ პანთეონში (გაზ. „ლიტ. საქ.“ 1990, 14 აპრილი).

საგვარეულო 192 სულს ითვლის (თბილისი – 99, სამტრედია – 29, რუსთავი – 13), (გვარ-სახ. საქ.).

დოღანია დოღანაგი – ტყავის მოსაქონელ-გამომყვანი კაპიანი ჯოხი, რომელსაც ყბაში ნამგალივით მოყვანილი რკინა აქვს (ქეგლ). ამრიგად, დოღანია შერქმეული სახელისაგან უნდა მომდინარეობდეს. აქედანაა დოღონაძეც.

დოღუზია (მგრ.) – გაღუნვა (ჯოხის, მავთულის...) გვარი ამჟამად არ არის. გამორიცხული არაა გვარის სხვაგვარი ახსნაც: კერძოდ, გვარი დოღუზია უნდა მომდინარეობდეს დოღუზ თურქული სიტყვისაგან (ღორს ნიშნავს). შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარი დონღუზაშვილი/ /დოღუზაშვილი და რუსულსუფიქსიანი დოღუზოვი//დოგუზოვი. **დოღუზია** ქიმიხერდა, ხიბულას მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსოს ბეგარა... (1621).

დოჩია ოჩე – ლაზური წარმოშობისაა – ყანა ვრცელი (ფართეო; აქედანაა ტოპონიმი ოჩე-მჩირე. ოჩე ადგილის სახელწოდებაა აჭარის ოლქის ქედისა და ღონჯოშის ტერიტორიაზე (გ. როგავა, ზოგი გეოგრაფიული სახელის... შედგენილობისათვის, თბ., სახ. უნტ-ის შრ. ტომი 93, 1960). უფრო სარწმუნო ჩანს დოჩიას დოჩა მეტსახელისაგან მომდინარეობა.

დოჩიას საგვარეულო 418 სულს ითვლის (ზუგდიდი – 229, თბილისი – 62, წალენჯიხა – 18), (გვარ-სახ. საქ.).

დოჭვირი შერქმეული სახელი ჩანს, მომდინარე მეგრული ნაზმნარი სახელისაგან. ამ გვარის დამატებითი ეტიმოლოგია სარკვევია. სოფ. ახმეტის რ-ნში. დოჭვირი ბაჩუნია და მამუკა მათხოვჯელი ყმები, მესეფე კაცები იხსენიებიან ყმების ნუსხაში მათხოვჯის დავთარში (XVII ს.). დოჭვირი გეგუტა, მათხოვჯს მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა... (1621).

დოჭვირი ბაჩუნია, მამუკა, მამისთვალა მოხსენიებულია XVII ს. მათხოვჯის დავთარში, როგორც მესეფენი (დოკ-ბი ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1, 478).

დოჭვირის საგვარეულო 139 სულს ადგენს (თბილისი – 103, ბათუმი – 1, ზესტაფონი – 2), (გვარ-სახ. საქ. 76).

დუდელია დუდელი (მგრ.) – თავთავი (ღომის, საცოცხე მცენარის). დუდელია მიღებული ჩანს დუდელ მეტსახელისაგან.

დუდუნია დუდუნი – გაურკვეველი ლაპარაკი. გვარი მომდინარეობს დუდუნა შერქმეული სახელისაგან. დუდუნია ამბინარს ემართა ხოფის

ღმრთისმშობლის ბეგარა – ოცი თეთრი (1550), კ(ე)თილსა ოცდაათი თეთრი (1550), მამრომჲს – თხუთმეტი ნაღდი თეთრი (1550).

დ. ამბაჲნაბარს, მამრომჲს, ხოფელი ეპისკოპოსის გლეხებს მართებთ ოც-ოცი თეთრი თითოეულს. XVI ს-ის შუა ხანები (დას. საქ. წიგნი 1, გვ. 13).

დ. კთილისას მართებს ხოფის ეკლესიის ოცდაათი თეთრი, მამრომჲს თხუთმეტი თეთრი (ქართ. სამ. ძეგლები III, 349, XVI ს.).

დუდუჩავა დუდ-ი (მგრ.) – თავი, უჩა – შავი=შავთავიანი (მეტსახელი). გამორიცხული არაა, დუდუჩაში –უჩა კნინობითობის სუფიქსი იყოს.

დუდუჩაევები აზნაურები: კიკო, მასიკო, ჯაბულო და ოსება მოხსენიებულნი არიან ყმათა საჩივრის საბუთში (აპრილი, საქ. ბატონყმ. მასალები, თბ., 1924, გვ. 136).

დუდუჩავას საგვარეულო 375 სულს ითვლის (თბილისი – 112, სენაკი – 59, ჩოხატაური – 48).

დუნდუა დუნდუ-ა=დუნდულა, ზანტი; სადუნდუო – მარანი (აბაშ. რ.) მიღებული ჩანს დუნდუ მეტსახელისაგან.

დ. რუსუდან გიორგის ასული, დ. 1945 აბაშის რ-ნი, ცენტრალური სამეც. კვლევითი ინსტიტუტი, საქ. ფილიალის მეცნიერ-მუშაკი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის კომპლექსური შენაერთების ლაბორატორიის მეცნიერ-მუშაკი (1987-1988). საქ. სსრ სახ-ფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1980). (ჯაფარიძე ს., 94).

დუნდუა გიორგი, დივიზიის შტაბის კომისარი, უკრაინის განთავისუფლებისათვის მებრძოლი, სამამულო ომის ვეტერანი.

დ. პეტრე ბესარიონის ძე, დ. 1931, ბორჯომის რ-ნის სოფ. წაღვერში, საქ. სსრ დამსახ. ინჟინერი (1985), საქ. სსრ სახ-ფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1988). (ჯაფარიძე ს., 306).

დუნდუას საგვარეულო 1541 სულს ითვლის (აბაშა – 544, სამტრედია – 375, თბილისი – 342). (გვარ-სახ. საქ-ში).

დუშია მომდინარეობს დუშა//დუშია ადამიანის საკ. სახელისაგან. შდრ. ამ ფუძის შემცველი დღემდე არსებული სახელები: იმერეთში: დუშია, დუშიკო, დუშა, დუშალია,. დუშია თასკვამია, ძუკა, შმაია მართებთ ხაუჟელის სასახლის ბეგარა... (1621); დუშია, ძუკა, თოსქვამია, მ(ა)მია ხაუჟელს მცხოვრებთ, ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა... (1621).

დღვანავა დღა ძველად ერქვა მზეს. ეს შემონახულია მეგრულ და ვაინახურ ენებში (ჯ. ლომაშვილი, გვ. 6). დღვანა სოფ. მარტვილის რაიონში, დღვაბა ხობის რ-ნში, ხოლო დვაბზუ ტოპონიმია გურიის რეგიონში (ერაძე გ. მარჯა, 24).

დღვილავა დღვინდღვუ: 1. ფუტკრის ნაწარმს ფისი; 2. დღვინდღფიშონა — ვაზის ჯიშის სახელიცაა. დღვებუ, დღვინდღვიშონა — ნაკიანი (ჩხორ. რ.). ამრიგად, დღვილავა — დღვიდღვავა. საფიქრებელია, დღვილ//დღვირ (ბდღვირი, მტვერი) მეტსახელისაგან მომდინარეობს.

დღვანა სოფ. მარტვილის რ-ნში. ის შედიოდა სალიპარტიანოს სამთავროში (სულ 16 სოფელია), რომელიც მდებარობდა ტეხურის ნაპირზე და მოიცავდა დღევანდელ მარტვილის რ-ნს.

დღვილავას საგვარეულო 101 სულს ითვლის (მარტვილი — 70, თბილისი — 10, გარდაბანი — 6).

ეგვიპტია „კოლხები მოვიდნენ ეგვიპტიდან“ (დიონისე პერიოგეტელი, ა. წ. 60 წ.). ამას ადასტურებს „ისტორიის მამამთავარი“ — ჰეროდოტეც (გ. ერაძე. 8, 1997). ეს მიგვითითებს იმაზე, რომ მეგრულმა სიტყვამ შემოგვინახა სადაურობის მაჩვენებელი გვარი — ეგვიპტია. მამია დადიანმა მარმარის კარის მცხოვრები ეგვიპტია და ჩხუნგურია შესწირა ბიჭვინთას (1512-32), (მასალები საქ. ისტ. გეოგრ. და ტოპონიმიკისათვის, I, 38).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ისტორიოგრაფები არ იზიარებენ ამ აზრს.

ეგია მოსახლეობენ წალენჯიხის რაიონში, მომდინარეობს ეგია საკუთარი სახელისაგან. შდრ. აგია — აგიაშვილი, ეგა — ეგაძე.

ეგუთია 1. ეთნ. ეგუთი; ეგუთიას ფონეტიკური ვარიანტი ჩანს ეგუტია. ეგური მომდინარეობს ჰიდრონიმი ენგურიდან. წინათ ერქვა ეგური, ხოლო ბგერა „ნ“ მერეა ჩართული. მამია დადიანმა შესწირა ბიჭვინთის ღვთისმშობელის ეკლესიას ეგურის პირას **ნაჟანეს** მცხოვრები 60 კომლი. (1512-1532), (მასალები, 78).

ეგრისი ეგრ და გურ (გერ) ძირიდანაა ნაწარმოები. სამეგრელოს უძველეს სახელწოდებად ძველ ქართულ წყაროებში დადასტურებულია ეგური: „„აშინ ვარ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვისთაგან და მეფე იქნა ყოველსა ქართველსა და ეგურსა ზედა“. (ე. ხინთიბიძე, 41).

ამგვარად, ეგია და ეგუთია ეგურიდანაა.

ეგუტია (იხ. ეგური) გვარი 52 სულს ითვლის (ზუგდიდი — 29, თბილისი — 22, სენაკი — 1), (გვარ-სახ. საქ.) ეგუტებზეა ნათქვამი მეგრული ანდაზა: „ეგუტიაქ სუმარიში პატიში ოცემულო დღაშით ლამპას მუუნტუა“. „ეგუტიამ სტუმრის საპატივცემულოდ დღისით ლამპა ანთოო“. (ხალხ. სიბრძნე, 341).

ევსაია (ებრ. ახსნა). გვარი წარმომდგარი უნდა იყოს ევსევი საკუთარი სახელისაგან. ევსაია ლენა ალექსის ასული. ქ. წალენჯიხა, სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი (1971). ევსაიას გვარი 32 სულს ითვლის (წალენჯიხა — 12, ზუგდიდი — 9, თბილისი — 8), (გვარ-სახ. საქ-ში).

ეზუგბაია გზის მოძღვარი მეფის კარზე.

ეზუხბაია (იხ. ეზუგბაია); გვარი 86 სულს ითვლის (ზუგდიდი — 27, წალენჯიხა — 20, ხობი — 15), (გვარ-სახ. საქ-ში).

ეთერია ეთერი 1.* ქალის სახელი; 2. სურნელოვანი ზეთი, ნივთი ნისლისა, ცეცხლისა და სითბოსი (ჩუბ.) ამრიგად, ეთერია მომდინარეობს ეთერ საკუთარი სახელისაგან.

ეთერიას გვარი 357 სულს ითვლის (ზუგდიდი – 186, წალენჯიხა – 55, თბილისი – 43), (გვარ-სახ. საქ-ში).

ეიბაია ეტიმოლოგია• და დამატებითი საილუსტრაციო მასალა საძიებელია. ეიბაია ჰადუხ, ცოლი – ჩაჩა, ასული – ფუნდუკი, მწეკალი მოსამსახურე თეკლე მოხსენიებულნი არიან, როგორც მდაბიო ხალხი, წარმართი სარწმუნოებისა და 1834 წ. აპრილში გაქრისტიანებულნი დღ. გუდ. რ-ნი, სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6).

ეკავა წარმომდგარია ეკა//ეგა საკუთარი სახელისაგან. ეტიმოლოგია და დამატებითი საილუსტრაციო მასალა საძიებელია.

ელარჯია ელარჯი (მეგრ.) – ყველჩაზელილი ღომი, სამეგრელოში ამზადებდნენ ყველაზე საპატივცემულო სტუმრისათვის.

ელიავა მიღებული ჩანს ელია საკუთარი სახელისაგან. ელია: 1. ქართული წარმართული ღვთაება, წვიმა-სეტყვისა და ჭექა-ქუხილის გამგებელი; 2. ელიაშია – ლაზურ-ჭანურადი ელი (ბოტ.).

ელიობა ძვ. ეთნონიმი, წარმართული წმენით – ამინდის ღვთაების ელია წინასწარმეტყველის დღეობა, რომელიც იმართებოდა 20 ივლისს. საელიაო ტოპონიმია მარტვ. რ-ნში. სამეგრელოსა და აფხაზეთში ტარდებოდა „ელიობის დღესასწაული“. დილით ელიის – გაზაფხულის პირველი ყვავილით სამზარეულოს შიგა კედლის გასწვრივ მოპნევა...

ელიავა გიორგი – მღვდელი, დავით კათალიკოსის მიერ ივანე კათალიკოსისათვის მიცემული ყმა მამულის წიგნისა (1673-1696).

ე. ლია შალვას ასული, დ. 1934, თბილისი. ქართველი კინომსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1975).

ე. შალვა ზურაბის ძე (1885-1937) დ. ქუთაისის მაზრის ახლ. სამტრედიის რ-ნის სოფ. ღანირში, აზნაურის ოჯახში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში.

ე. მიხეილ, ვულეკარის მცხოვრები. დადიანმა შესწირა ბიჭვინთას (1628).

ე. შალვა ამროსის ძე, აფხ. რევ. მოძრაობის შედეგად ქართველობა-დაბრუნებული. (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩ. საქმე).

ე. გიორგი პეტრეს ძე (1885-1905), დ. გორის მაზრის სოფ. ახალქალაქში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში.

(რევ. მოძრ., 21). ე. კაპიტონ. უხუროდან (გალის რ-ნი), სამამულო ომის ვეტერანი („ორჯერ დაბადებული"), მშობლიური სოფლის ჯგუბურიას სახ. კოლმეურნეობის თავ-რე. (ნაჭყებია, მ., 23).*

ე. ეკა (1966) საფრანგეთში პარიზთან ახლოს დაბა ლევილის ქართულ პანთეონში განისვენებს. (გაზ. „ლიტ. საქ", 1990, 14 აპრილი).

ელიავას გვარი 1115 სულს ითვლის (ზუგდიდი — 277, თბილისი — 192, სენაკი — 126), (გვარ-სახ. საქ.).

ელიავა შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 955-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

ელიშია იხ. ელიავა. (ელისია) ხობს მცხოვრები, საეკლესიო გლეხი, ემართა გადასახადი... (XVII ს.), ელიშია გულაბა, ემართა საკათალიკოსო ბეგარა... (XVI ს.) ე. თოლმისხილათს, კოჩილას და უსქვამადას, ნაჟანეულს მცხოვრებთ, ემართათ საკათალიკოსო ბეგარა... (1621).

ელშიბაია (შდრ. ალშიბაია) ელშიბაია ისმაილ, მოხსენიებულია როგორც მდაბიო, წარმართი სარწმუნოებისა და ქრისტიანად მონათლული 1834 წ. ივნისში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8).

ემუხვარი (გაზ. „საბჭ. აფხ.", 1984, 26. V.)„ ემხი ანუ ემუხვარი, როგორც ამბობენ თვითონ აფხაზები, გადმოსახლებულნი არიან საქართველოდან და მიეკუთვნებიან ქართულ გვარ ამილახვარს" (მაჭავარ., 14.) ე. არზაყან (1880-1939), საფრანგეთში, პარიზთან ახლოს, დ. ლევილის ქართულ პანთეონში განისვენებს (გაზ. „ლიტ. საქ.", 1990, 14, 4). ამჟამად გვარი 148 სულს ითვლის (თბილისი -73, ზუგდიდი — 42, მოსკოვის ლტოლვილი — 7), (გვარ-სახ. საქ.).

ერაგია (ეტიმოლოგია საკვლევია). გვარი 52 სულს ითვლის: სენაკი — 22, ფოთი — 12, ქუთაისი — 4 (გვარ-სახ. საქ.).

ერანგია (იხ. ერაგია) გვარი 32 სულს ითვლის (ზუგდიდი — 32), (გვარ-სახ. საქ.).

ერბაია ეტიმოლოგია საძიებელია. ერბაიას ასული დარჯა მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის მოსახლეთა 1834 წ. ქრისტიანად მონათლულთა სიაში (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8, 4).

ერემია* შეიძლება საკ. სახელი ერემიადან იყოს. ირემ-ი, გარეული, მშვიდი ცხოველი ირმის სახელია; ოირემე (ზუგდ. რ.), საირმე (ლანჩხ. რ.). შდრ. ქართ. გვარი ირმაძე, ირემაშვილი. სხვა ახსნით, იგი შესაძლოა, ერემია (იერემია) საკუთარი სახელისაგან მომდინარეობდეს. შდრ. ქართ. გვარი რემეიშვილი.

ერია გვარადქცეული ერი — ხალხთა ერთობის ერთ-ერთი ფორმა; უფრო სარწმუნო ახსნით, ერია მომდინარეობს ერა//ერია საკუთარი სახელისაგან. შდრ. ქართ. გვარები: ერაძე, ერიაშვილი. ერის წყალი, დიდი ერის წყალი მდ. გალის რ-ნში — ოქუმის მარცხენა შენაკადი; ერის წყალი — მუშათა დასახლება წალენჯიხის რ-ნში.

ერი გვარის აღმნიშვნელი თავდაპირველი ტერმინი უნდა ყოფილიყო (ინაძე მერი ძველი კოლხეთის საზოგადეობა, 3).

ერჟვანია (იხ. ჟვანია) ან ეჟვანი კატას რომ აბამენ კისერზე.

ერჟვანია ნიკოლოზ, მეულლე — მარინა მოხსენიებულნი არიან როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისანი და გაქრისტიანებულნი1834 წ. აპრილში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6, I სვ., 15).

ერქვანია ერქვანი — სახვნელი გუთანი. მომდინარეობს ერქვან(ა) შერქმეული სახელისაგან.

ერქვანიას საგვარეულო 232 სულს ითვლის (მარტვილი — 111, თბილისი — 49, სენაკი — 14), (გვარ-სახ. საქ.).

ერჩქინდია ერჩქინდი-ა, ერჩქინდი (მგრ) — გაჩნდი, დაიბადე. როგორც ჩანს, ერჩქინდია შერქმეული სახელისაგან მომდინარეობს.

ერჯუკია ერჯ-ი (მგრ) მამალი თხა. ერჯუკია შურიმიდგას, უჩარდიას მართებთ დარჩელის სასახლის ბეგარა... გვარი ბიბლიური წარმოშობისაა. „ერჯიში დღა“ (მგრ.) — ვერძის დღე — თხის დღე, თხის კულტზე მიგვითითებს.

ესაბუა (იხ. ესებუა).

ესაბუა 26 სულს ითვლის (თბილისი — 5, სენაკი — 4, ქობულეთი — 1), (გვარ-სახ., საქ-ში).

ესათია (იხ. ესართია), მომდინარეობს ასაოიანიდან.

ესათიას გვარი 120 სულს ითვლის (ზუგდიდი — 35, თბილისი — 30, ენაკი — 11), (გვარ-სახ. საქ-ში).

ესაკია ისაკ (ძვ.· ებრ.) „მოცინარი“ (ჭუმბ., 146). საკუთარი სახელისაგან მომდინარეობს. საესაკაო, ნაესაკაო (აბაშ. რ.), შდრ. ქართ. გვარები: ისაკაძე, სააკაძე, სააკაშვილი.·

ესაკია ნიკოლოზ შახვილის ძე, დ. 1906, ფოთი, ქართველი სამთო ინჟინერი, სოც. შრომის გმირი (1949), საქ. დამსახ. ინჟინერი (1967).

ე. ლეო (ლეონარდ) დიმიტრის ძე, (დ. სოფ. სენაკი, ქუთაისის გუბ., 1969, ქ. თბილისი. ქართვ. რეჟისორი, საქ. სსრ სახ. არტისტი (1966).

ე. დავით ბასას ძე უკრაინის მ. ი. ნაუმივის სახ. პარტიზანული შენაერთის მებრძოლი. (ვ. გურულღი, 61).

ესაკიას გვარი 449 სულს ითვლის (თბილისი — 212, აბაშა — 115, ფოთი — 34), (გვარ-სახ. საქ-ში).

ესართია ეტიმოლოგია საკვლევია. **ესართია** ნიკოლოზ იტალიაში მებრძოლ პარტიზანთა ერთ-ერთი ჯგუფის მეთაური. (მ. ქოჩიაშვ. II, 196).

ესართიას საგვარეულო 1422 სულს ითვლის (ზუგდიდი — 592, ჩხოროწყუ — 245, თბილისი — 175), (გვარ-სახ. საქ-ში,).

ესაბუა გვარსახელი მომდინარეობს იოსებ (ესებ) საკუთარი სახელისაგან. შდრ. ქართ. გვარები: იოსებიძე, იოსებაშვილი. **ესებია** გურმიხილა, მარცხეულს (მგონი მერხეული უნდა იყოს, ალბათ მერხეული შედიოდა ოჩამჩირის მაზრაში), (ოჩამჩ. რ.), მცხოვრები ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინთის ღმრთისმშობელს და დაუწერა გადასახადი... (1628). ამრიგად, ესებია უნდა მომდინარეობდეს იოსებ საკუთარი სახელისაგან. საესებუო (სოფ. სენაკის რ-ნში). ზანელი ესებუები თავად აფაქიძეების ყმა-გლეხები იყვნენ. (სოსელია, III. 162).

ესებია გურმიხილი, მარცხეულს მცხოვრები, ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინთის ღვთისმშობელს, (მასალები, 138).

ე. ნესტორ ივანეს ძე, (1864 სოფ. სორტა, ახლანდ. სენაკის რ-ნი, 1931, თბილისი, ქართველი ფალავანი, ჭიდაობა დაიწყო 1885. პოპულარობა მოიპოვა ულა გრანელთან შეხვედრებში. ა. წერეთელმა მათ შეხვედრას პოემა „ჭიდაობა“ უძღვნა, აღიარებული იყო სახალხო მოჭიდავედ.

ნესტორის უფროსი და მარიკაც ძმასავით ღონიერი იყო. ერთ-ერთ შეჯიბრებაში მან ელვისებური ფანდით დაანარცხა ე. წ. „შავი მასკა“ (გაზ. „ნაპერწკ.“ 6. I. 72).

ე. ვლადიმერ მიხეილის ძე, დ. 1917. სოფ. გრიგოლეთში, ზუგდიდის რ-ნი, საბჭოთა კავშირის გმირი — 1943. (მათ ასახელეს, 171-174).

ესებუას გვარი სახლობს (ზუგდიდი — 283, თბილისი — 212, ხობი — 183), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარის ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1202 სული) მიხედვით 855-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ესენჯია (იხ. ესვანჯია) საგვარეულო 22 სულს ითვლის (რუსთავი – 1, სამტრედია – 210, (გვარ-სახ. საქ.).

ესვანჯია ე-სვანჯი, სვანჯი (კოლხ. – მოსვენება); საესვანჯიო – ვედიდკარი (მარტვ. რ.). გვარი წარმომდგარია ესვანჯ შერქმეული სახელისაგან.

ესვანჯიას საგვარეული 270 სულს ითვლის (თბილისი – 82, მარტვილი – 71, აბაშა – 26), (გვარ-სახ. საქ-ში).

ესიავა ესავა – კერპთა თაყვანისმცემელი (ჩუბ.); (ესია ფონი – ონტოფო (აბაშ. რ.). გვარი მომდინარეობს ესია საკუთარი სახელისაგან.

ესიავა 420 სულს ადგენს (თბილისი – 131, მარტვილი – 89, აბაშა – 84) (გვარ-სახ. საქ-ში).

ეფენია ეფრემი იყო ცაიშის ეპისკოპოსი და მოხსენიებულია XI ს-ში დამზადებული ბაგრატ IV საწინამძღვრო ჯვრის წარწერაზე. (მ. პაჭკორია, შორეული გამოძახილი, თბ. 1979, გვ. 40-41). ეტიმოლოგია საძებნია.

საგვარეულო 122 სულს ითვლის (ზუგდიდი – 80, თბილისი – 15, წალენჯიხა – 6), (გვარ-სახ. საქ.)

ეფსია წარმოდგენილია ჰიდრონიმ ფსოუდან. საგვარეულო 126 სულს ითვლის (ზუგდიდი – 19, თბილისი – 12, სენაკი – 7), (გვარ-სახ. საქ.).

ექონია ეტიმოლოგია საძებნია საგვარეულო 94 სულს ითვლის (ზუგდიდი – 94), (გვარ-სახ. საქ.).

ეხვაია წარმომდგარი უნდა იყოს ემხვა საკუთარი სახელისაგან. ემხვაია – ეხვაია. შდრ. გვარსახელი ემუხვარი – ემხვარი. ეხვაია ქელის მცხოვრებს, ომერ-ფაშას ლაშქარი მდ. ენგურში ჩაუხრჩვია მოტყუებით; „ფონი უჩვენა“ (ხალხური გადმოცემით).

ეხვაიას საგვარეულო 981 სულს ითვლის (ზუგდიდი – 653, თბილისი – 136, ხობი – 33), (გვარ-სახ. საქ-ში,).

ეჯიბია 1. ეჯიბი: „„ (არაბ.) მეფის მხლებელი; პირის ფარეში, მეკარე; კარისკაცი. („ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი, თაყაიშვილი, ძვ. საქ., ტ. 1, 125); 2. ეჯიბი, ერთ-ერთი დიდი მოხელეთაგანი მეფის ან დიდებულის სასახლეში, მეკარე (ქეგლ), მეფესთან ახლოსმდგომი, ხელჯოხიანი, თუ მეფეს რამე არ მოეწონება, მან ჩუმად უნდა უთხრას მაყრებს გაჩუმების თაობაზე (ჩუბ.). ეჯიბია იოანე ნახსენებია წალენჯიხის XVIII-XIX საუკუნის ჯვარცმის ხატის წარწერაზე (ძვ. საქ. III, 225); საეჯიბიო-მენჯი, ეჯიბური (სენაკ. რ.); აქედანაა გვარი ეჯიბია. ეჯიბეთი. ეჯიბია სახარბედიოში მცხოვრები, საეკლესიო გლეხი, ორი მოსაკ[illegible]

ეკისრათ ხუთ-ხუთი ლოღარიკი სანთელი (XVII ს.). ეჯიბია კიკოლა, სადადიანოს ყმა-გლეხი. უკანონოდ იყმო ფარემუზ ანთიამ, შემდეგ ფირან მხეიძემ დაიჭირა და გაყიდვა დაუპირა. იგი გაქცეულა და კათალიკოს დავით ნემსაძისათვის უთხოვია ყმობა. კათალიკოსმა მისი თაკი სთხოვა იმხანად ოდიშის ტახტზე მჯდომ გიორგი გურიელს, რომელმაც იგი დაუთმო კათალიკოსს. კათალიკოსმა კი შესწირა ბიჭვინთის ღმრთისმშობელს (1682). ეჯიბიას ანალოგიური ქართულდაბოლოებიანი გვარია „ეჯიბაძე“.

ეჯიბიას საგვარეულო 65 სულს ითვლის (სენაკი – 378, თბილისი – 92, ფოთი – 58), (გვარ-სახ. საქ-ში, 82).

ვადაქარია (იხ. ვადაჭკორია); საგვარეულო 169 სულს ითვლის (სენაკი — 41, ფოთი — 38, ზუგდიდი — 36). (გვარ-სახ. საქ.).

ვადაჩქორია (იხ. ვადაჭკორია); საგვარეულო 52 სულს ითვლის (თბილისი — 29, ქობულეთი — 13, გარდაბანი — 2) (გვარ-სახ. საქ.).

ვადაჭკორია ვა-და: 1. (არაბ.) — დაპირება; 2. ვადა — ხმლის ტარი ჯვარედინი, ე. ი. ლეკური (ჩუბ.), ჭკორი (მგრ) — ყმა, მონა (იხ. გეგეჭკორი).

ვადაჭკორია მიხეილ კლიმენტის ძე, დ. 1919, სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი, საქ. სსრ. დამსახ. ექიმი. დიდი სამამულო ომის ვეტერანი.

ვ. შოთა იპოლიტეს ძე, დ. 1918,ქ. თბილისში,საქ. სსრ კულტურის დამსახ. მუშაკი (1983), საქ. სსრ სახ-ფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1988), (ჯაფარიძე ს., 245).

ვ. ზურაბი, საქართველოში განთქმული ილუზიონისტი.

ვადაჭკორიას გვარი 1202 სულს ითვლის (თბილისი — 349, ლანჩხუთი — 265, ბათუმი — 183), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში რაოდენობის (1202 სული) მიხედვით 856-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ვათანია — ვართანია ვართი უარყოფითი ნაწილაკი: „არც შენ და არც მე“.

ვ. ნუმატა, ცოლი — გუგუ, ძე — მისურიდ და ასული ჭუჭუ მოხსენიებულნი არიან, როგორც მდაბიო ხალხი, წარმართი სარწმუნოებისა და გაქრისტიანებულნი 1834 წ. აპრილში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6, 13).

ვანილიში ში მიგვანიშნებს გვარის ლაზურობაზე. საგვარეულო 47 სულს ითვლის (ბათუმი — 13, ხელვაჩაური — 14), (გვარ-სახ. საქ.).

ვარდაია წარმომდგარია საკუთარი სახელისაგან ვარდა, რომელშიც -ა კნინობითობის სუფიქსია. შდრ. ვარდო, ვარდიკო, ვარდიძე, ვარდიაშვილი. ვარდაია ილიკო ვანოს ძე მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. აგუბედიის მცხოვრები და ეროვნებადაბრუნებული. (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

ვარდაია მარინა აკუნის ასული მოხსენიებულია, როგორც თბილისში მცხ., საქნავთის დასახლ., სახლი 2, ბ. 27, და ეროვნება დაბრუნებული (იქვე).

ვარდაიას გვარი 123 სულს ითვლის (ზუგდიდი — 27, სენაკი — 21, თბილისი — 7), (გვარ-სახ. საქ.).

ვარდანია* წარმომდგარია საკ. სახელ ვარდანისაგან. შეიძლება უძველესი ღვთაების ვარდანას სახელი იყოს. ვარდანული მსხლის ჯიშია (ქეგლ), ვარდან(ა)-ს ვარიანტია ვარდენა. ვარდანია ხუცესი, ძმა ვარდანია ქაქალიასი. ვარდანია გიორგი, გუფუსმახუ, მიხილია, საბედათი, სქუმიშია, ქაქალია, ხაუჟელს მცხოვრებთ ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა... (1621), ვარდანია ხეცე, გუფუ, გი, საბედო, მიხილია ემართათ ხაუჟელის სასახლის ბეგარა... (1621).

ვარდანისძენი დიდ ფეოდალთა საგვარეულო იყო XI-XIV სს. საუკ-ში... ვარდანისძეთა პირველი წარმომადგენელი და მისი დამფუძნებელი ჩანს სვანთა ერისთავი ვარდან, რომელიც მეფე გიორგი II-ის დროს მოღვაწეობდა...

ვარდანიას საგვარეულო 178 სულს ითვლის (ზუგდიდი — 81, თბილისი — 51, წალენჯიხა — 9), (გვარ-სახ. საქ-ში). ვარდალიანი სვ. მოსახ. ზემო სვანეთის რ-ნის სოფ. ცხმარში (XIII ს-ის II ნახ.) (სვ. ძეგლ. 143).

ვართაგავა წარმომდგარი ჩანს საკ. სახელ ვართაგისაგან. ვართაგავას ვარიანტი ვართანგია, მოსახლეობენ ხობის რ-ნის ხეთაში. ვართა მდ. ონის რ-ნში. ვართაგავა ჯოროლი, ეგურ, მიხილია, გუჭკურუა, დეის-შმა, იორდანე — ემართათ ცაიშის საყდრის ბეგარა... (1616-1621).

ვართაგავა იპოლიტე პეტრეს ძე, (დ. 1872, სოფ. ხეთა, ახლანდ. ზუგდიდის რ-ნი, **1967, თბილისის, ქართველი კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პედაგოგი. მრავალი პედაგ. და ლიტ. შინაარსის სტატიები), მემუარული მოგონებათა ავტორი.

ვართაგაა იორდანეს მართებს დარჩელის სასახლის ბეგარა...

ვართაგავას საგვარეულო 217 სულს ითვლიდა (ზუგდიდი — 122, სენაკი — 34, თბილისი — 20), (გვარ-სახ. საქ-ში, 83).

ვაჭარია ა-უაჭარ (აფხ.) ვაჭარი (მგრ.) (ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934). გვარი წარმომდგარია შერქმეულ. სახელისაგან.

ვაჭარია ჩაგოგე, ძმა — ხვატა, მოხსენიებულია, როგორც მდაბიონი, კეთილშობილნი, გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში, დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშში. (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., 1997 წ. გვ. 7, 5).

ვაჭარიას გვარი 44 სულს ითვლის (ზუგდიდი — 38, გორი — 2, ბაღდათი — 2), (გვარ-სახ. საქ-ში).

ვახანია ვახაკ, ვარ (არაბ.) — სჯული; ვახა-სალხინო, ლევახანე — ბანძა (მარტვ. რ.), ქ. აბაშა, ხაბუმე (ჩხორ. რ.), ვახანი (ხარაგ. რ.) სოფ.

ვახა შედიოდა მდ. ტეხურის ორივე მხარეზე მდებარე სალი პარტიანოს სამთავაროში და ვახანიები იყვნენ სამთავროს ყმები (სოსელია)... ვახანიაში ამოსავლად ვახან საკუთარი სახელი უნდა ვიგულისხმოთ.

თბილისის სახ. უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგემ, დოც. ოთარ ვახანიამ მიამბო: ბაბუაჩემი პეტრე დღ. ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. საბუმდან 1848 წ. ჩამოსულა აფხაზეთში და შარაშიას მამულში დაუწყია მუშაობა, რომელიც მდებარეობდა დღ. გულრიფშის ტერიტორიაზე, შემოსავლის ნაოთხალზე. ამჟამად სოხუმში ვახანიების 20 ოჯახზე მეტი სახლობს. მათი შთამომავალები მარტვილის რ-ნის სოფლებში მოსახლეობენ.

ვახანიები მოსახლეობდნენ დღ. მარტვილის რ-ნის სოფ. ბანძაში და თავად ფალავების ყმა-გლეხები იყვნენ. (გეგეჭკ. მუზ., 69).

ვახანია ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, დ. 1932 წ., თბილისის მათემატ. ინსტიტუტის დერექტორი, პროფესორი.

ვ. ვახტანგ ანტონის ძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ვ. ეგრაფი, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ვახანიების საგვარეულო 735 სულს ითვლის (თბილისი — 185; ზუგდიდი — 129, მარტვილი — 108), (გვარ-სახ. საქ-ში).

ვეკუა წარმომდგარი უნდა იყოს ვეკო შერქმეული სახელისაგან. სავეკუო-ლესიჭინე, ვეკუა — ახუთი (ჩხორ. რ.).

ერთ-ერთი გადმოცემით, დღ. ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ახუთის დასახლება სავეკუოში მოსულა ორი ძმა ბზიფიდან (თავად ინალ-იფას სამფლობელოდან), წარმოშობით ფრანგები თუ პორტუგალიელები, გვარად „ვეკნე" თუ „ვეკნა". ერთს მკვლელობა ჩაუდენია. გაქცეულან... ერთი აბაშის რ-ნის სოფ. აიდანში მოხვედრილა (აქ ამჟამად 50-ზე მეტი კომლი მოსახლეობს). მეორე კი, სახელად შაქრო დასახლებულა ახლანდელი სავეკუოს ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით. ბატონს შაქროსათვის გვარი შეუცვლია დანაშაულისათვის: ვეუ-ვეკუა — არ გამრავლდეთო. მეორე ვარიანტით: „თე კოჩიში ჭოფუა ვეკუა („ამ კაცის შეპყრობა არ იქნა"-ო), ჩვენ ვეკუას შთამომავალნი ვართო. ამ გადმოცემის შესახებ მასალა მომაწოდა გულრიფშის რ-ნის სოფ. ბაღმარანის საშუალო სკოლის დირექტორმა რეზო ვეკუამ.

ვეკუა ილია ნესტორის ძე, სამურზაყანოს მაზრის (ამჟ. გალის რ-ნი) მათემატიკის მეცნ. დოქტორი (1939), პროფესორი, საქ. სსრ მეცნ. აკად წევრ.-კორ. (1944), ნამდვ. წევრი (1946), სსრ მეცნ. აკად. წევრ.-კორ

(1950). სსრკ სახელმწიფ. პრემიის ლაურეატი (1950), ლენინური პრემიის ლაურეატი (1963), მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1966), სოც. შრომის გმირი (1969). სერგი კავილოვის სას. ოქროს მედალის მფლობელი (1971), (ებანოიძე თ., 52).

ვ. გრიშა ივანეს ძე, მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. აგუბედიის მცხოვრები და ეროვნებადაბრუნებული. (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

ვ. ნიკოლოზ პეტრეს ძე, დ. 1913 სოფ. ახუთში დღ. ჩხოროწყუს რ-ნი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნ. დოქტორი (1946), პროფესორი (1947), წევრ.-კორესპონდენტი (1955), საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (1960), მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1966), საქ. სსრ სახ-ფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნ. დარგში (1975), (ჯაფარიძე ს., 47).

უტუ მიქავას 1857 წ. სამეგრელოს გლეხთა აჯანყების ახუთის (წიგნში ახუთი) მხარის ერთ-ერთ მეთაურად აჯანყების თანამედროვე თედ. ხოშტარია ასახელებს ზუგდიდელ გლეხს ვეხუას (ვეკუას). საკვლევია, ხომ არ არის კავშირში ახუთის სოფლის სახელწოდება ვეხუას (ვეკუას) — (არ დაიბადოს) სახელთან. ს. კაკაბაძის წიგნში უხუთი (ახუთის ნაცვლად) შემთხვევით არ უნდა იყოს დასახელებული (ს. კაკაბაძე, ქართვ. ხალხის ისტორია... 1997, გვ. 133).

1897 წ. პირველი აღწერით ახუთში სახლობდა 2332 სული. აქედან საეკკო იყო ყველაზე მჭიდრო და მრავალრიცხოვანი დასახლების უბანი და უბანსაც გვარის სახელი სავეკუო ეწოდა.

ვეკუას საგვარეულო 3158 სულს ადგენს: ზუგდიდი — 778, ჩხოროწყუ — 582, თბილისი — 534 (გვარ-სახ. საქ-ში, 85).

ვეკუა კირილე მოსეს ძე, ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი ქიმიის განხრით, გადაასახლეს საქართველოდან 1922 წელს. მოღვაწეობდა გერმანიაში. გარდაიცვალა ბერლინში 1968 წელს. (იხ. გურამ შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი 3, თბ., 1993).

ვერულავა ვე-რულა-ვა, ვე(კოლხ.)-არ, რულა (კოლხ.) — სირბილი=არ ირბინო. აქედანაა ვერულია. ვერულა ძველად ადამიანის საკუთარი სახელი უნდა ყოფილიყო. შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარი ვერულაშვილი: ვერულა//ველურა.

ვერულავას საგვარეულო 125 სულს შეადგენს (თბილისი — 81, მარტვილი — 26, ზესტაფონი — 7), (გვარ.სახ. საქ-ში, 85).

ზაბულია წარმომდგარია ზაბულ(ა) საკუთარი სახელისაგან. შდრ. ძველქართულ წერილობით ძეგლებში არსებული ანთროპონიმი ზაბულონ.

ზაზულია, ზაზუნი: 1. ზაზუნ-ი — ნელი, აუჩქარებელი სიარული; 2. ზანტი, ზარმაცი... (ქეგლ). ზაზულიაში — ულ(ა) კნინობითობის სუფიქსი ჩანს. შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარი ზაზაძე.

ზანთარაია ზან-თარ-ია, ზან-ეთნონიმი, თარი (მგრ) — თური — ნათესავი, მოგვარე; ზანათი, ოტობაია (გალ. რ.). (აბაშ. რ.), ზანა, პატარა ზანა (სენაკ. რ.). დასაშვებია **ზანთარიას ზამთარიასაგან** მომდინარეობა (მ-ნ), რასაც მხარს უჭერს ქართულდაბოლოებიანი გვარსახელი ზამთარაძე.

ზამთარაიას გვარი 248 სულისაგან შედგება (ზუგდიდი — 138, თბილისი — 45, წალენჯიხა — 8), (გვარ-სახ. საქ-ში).

ზანთარია (იხ. ზანტარაია); გვარი 176 წულს შეადგენს: ზუგდიდი — 75, თბილისი — 23, სენაკი — 19. (გვარ-სახ. საქ-ში.).

ზარანდია ზარანდ სკვითური სახელია და ნიშნავს მოხუცს (ჭუმბ, 306.ზარ.) (ებრ) — „უცხო“, „გარეშე“. ადგილი დობერობა... „აქ ზარანდიები სახლებულან, დასახლებულა ოთხი კაცი, ოთხი ოჯახი. წალდის მეტი არაფერი ჰქონიათ: წალდით მოუჭრიათ მუხა, მრგვალ ნაჭრებად დაუხერგავთ, ხელით მოზელილი წითელი მიწით შეულესავთ. აქ, ამ დობერაზე მათი ჯარგვალა (ჯარგვალი — მრგვალი ხის ნაჭრებით ნაშენი პატარა სახლი) წითელი მიწით შეულესავთ. აქ ამ დობერაზე შელესილი სახლი ყოფილა მარტო. მათ მიწის ზელვა და მისგან ქოთნების გაკეთება დაუწყიათ. მათი გვარი ზარანდია აქედანაა წარმომდგარი“ (ელიავა, სენაკ. ტოპ. 94); ზარათი — რიონი (სენაკ. რ.), ზარანდიები ცხოვრობენ ჭაქვინჯში (ზუგდ. რ.). ზარანდიანთკარი სოფ. გორის რ-ნში.

გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (2717 სული) (ზუგდიდი — 237, ხობი — 375, სენაკი — 294), მიხედვით 261-ე ადგილზეა, (გვარ-სახ. საქ-ში).

ზარანდია გიორგი იასონის ძე, დ. ქ. გალში, საქ. სსრ. დამსახ ინჟინერი.

ზ. გოგია ბაბუთას ძე, სოფ. ჭაქვინჯიდან, დღევ. ზუგდიდის რ-ნი, ანაურ ხახუ ცხონდიას ყმა-გლეხი, სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების მონაწილე, რუსეთის ხელისუფლებისადმი შეიარაღებული

წინააღმდეგობის გაწევისათვის 10 წლით ციმბირში გადასახლებული, გზაში გაქცეული და უგზო-უკლოდ დაკარგული. (საისტ. II, 148).

ზარბაზია ზარბაზანა, დ. გულია (ხელნაწ. ინსტ. საქმე. 1934), მეგრ. ზარბაზან-ი=მსუბუქი არტილერია.

ზარგინავა (იხ. ზარანდია). ზარაგულა სოფ. ცაგერის რ-ნში.

ზარდანია აქ ბგერების გადასმასთან გვაქვს საქმე: ზარდანია გვარი 165 სულს ითვლის (ფოთი — 57, ხობი — 57, სენაკი — 27), (გვარ-სახ. საქ-ში, 87). ზარანდია... ზარდანიები ამჟამად ცხოვრობენ კალდახვარაში (გულ. რ.), ზარდიანთკარი — სოფ. გორის რ-ნში. ამბობენ, წალენჯიხიდან ვართო. ზარ ებრ. — „უცხო, გარეშე" (ქუთ. საუბ. 1997, გვ. 41).

ზარია (იხ. ზარანდია) ზარი — ნიშანი შეკრებისა. დიხაზურგა (გალის რ.). გვარსახელი მიღებული ჩანს ზარია მეტსახელისაგან. შდრ. ქართ. გვარი ზარიძე.

ზარია — ზარიძეებიდან მომდინარეობს, ზარიძეები კი — ხორნაულის გვარიდან. (რ. თოფჩ. გაზ. „ლიტ. საქ.") 21-26-VI. 96.

ზარიას გვარი 151 სულს ითვლის (ზუგდიდი — 53, თბილისი — 31, წალენჯიხა — 19), (გვარ-სახ. საქ-ში).

ზარალუა (იხ. ზარია) წარმომდგარია შერქმეული სახელისაგან: **ზარულავა — მზარულავა — მზარეულავა.**

ზარაქუა იხ. ზარია ცხოვრობენ ჩხორთოლში, გალის რ. ზარაქუასაგან ჩანს წარმომდგარი **ზარქუა** (ა ხმოვნის ამოვარდნით) ზარქუა//ზარაქუა. ამოსავლად ზარაქ საკუთარ სახელს გვავარაუდებინებს. შდრ. ზირაქ — ზირაქიძე.

ზარქუა — (იხ. ზარია). ზარქუა-ზაქრუ. მათხოვს მცხოვრები მოხსენიებულია ყმების ნუსხაში (XVIII ს.). ზარქუა თოლიშია, კოჩია, მახარობელს, ხიბულს მცხოვრებთ, ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა... (1621). ზარქუა ზუზულობა თილითს მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა... (1621).

ზარქუები ცხოვრობენ ოჩამჩირეში, გალის რ-ნის სოფ. ჩხორთოლში.


ზარქუა გერმანე (სახელი დოკუმენტში არაა) ოჩამჩირის რაიონის სოფ. აგუბედიის მცხ. 90-იან წლებში აფხ-ში ეროვნული მოძრაობის შედეგად ქართველის ეროვნებადაბრუნებული. (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე)

ზ. ვასილ ტაიას ძე, სოფ. წალენჯიხა (წალენჯ. რ.), რესპ. დამსახ. ექიმი (გაზ. „კომ-ზმის დროშით", 26IX-67).

ზ. ლავრენტი ვასილის ძე (წალენჯ. რ.) დამსახ. ეკონომისტი.

ზ. აკაკი (ქ. სოხუმი), აფხ. კულტ. დამსახ. მუშაკი. (გაზ. „საბჭ. აფხ.“ 10. 01-89).

ზარქუების გვარი 2802 სულს შეადგენს (ზუგდიდი – 723, წალენჯიხა – 506, მარტვილი – 427), (გვარ-სახ. საქ-ში,).



ზესტაფონის რაიონი

გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (2802 სული) მიხედვით 243-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ს. ზანა (დღ. სენაკის რ-ნი), 1898 დიდ ზანაში ცხოვრობდა 243 კომლი, 1572 სული; მამრ. 325 და მდედრ. 747. ამათგან სამღვდელო (სასულიერო) – 4 კომლი, 28 სული. მამრ. სქ. 13, მდედრ. 15 თავადიშვილნი – 22 კომლი, 110 სული., მამრ. სქესის – 60, მდედრ. 50, გლეხნი 217 კომლი, 1434 სული, მამრ. 752, მდედრ. 682. ამ წელს დაიბადნენ 25 მამრ. და 23 მდედრ. სულ 48, გარდაიცვალა (6 მამრ. 8 – მდედრ.), ქორწინება მოხდა – 15, ე. ი. დაქორწინებულან 30 პირი. 1899 წლისათვის ცხოვრობს, ე. ი. ცოცხალია 831 მამრ. სქესისა და 762 მდედრობითისა, სულ 1593 სული.

ზაქარაია ზაქარია (ძვ. ებრ.) „ღვთის მიერ დაუვიწყარი“ (ჭუმბ. 340), (წარმომდგარია ზაქარია საკუთარი სახელისაგან. შდრ. ზარქუა,

ზაქარიაძე, ზაქარეიშვილი). ზაქარიასთავი, ზაქარიასწყერი — მთა მცხეთის რ-ნში, ქართლის ქედზე. ზაქარაიას მიწა მიუცია დღ. მარტვილის რ-ნის სოფ. ჯოლოდან ჩამოსულ ნარსიასათვის. კირცხი (ჩხრ. რ.) ზაქარაია... ქვარიანი, გენათელი (1644), აფხაზეთის კათალიკოსი.

ზაქარაია აკაკი ივანეს ძე, დ. 1916 დღ. მარტვილის რ-ნის სოფ. ნაჯახალში. დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო და სოხუმის პედინსტ. 1941 წ. 1941-1942 წწ. ქერჩის I დესანტის მონაწილე. 1942 წ. თებერვალში წით. ვარსკვ. ორდენი მოზდოკს, III უკრ. ფრონტი, დემობილ. შემდეგ გადაეცა წით. დროშისა და საპ. ნიშნის ორდენები, სამამულო ომის ორდენი. ამჟამად სამამულო ომის ვეტერანი.

ზ. პარმენ ფარნაოზის ძე, დ. 1914, სოფ. ნაჯავახაო. (ახლანდ. მარტვილის რ-ნი), ქართველი ხელოვნებათმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (!960), პროფესორი (1962), საქ სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1973).

გვარი მოხსენიებულია საქართველოს 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1715 სული) მიხედვით 552-ე ადგილზეა (ზუგდიდი — 748, თბილისი — 290, სენაკი — 159). (გვარ-სახ. საქ-ში).

ზედანია ზედა რამესთან შედარებით მაღლა მყოფი (ქეგლ). ზედაშე — შესაწირავი ღვინო. (კ. გამსახ. V, 960). ზედანია წარმომდგარი ჩანს შერქმეული სახელისაგან. საზედანიო — ქვ. ჩხოროწყუ (ჩხორ. რ.).*


ზენაია ისლამუ მოხსენებულია ობუჯს მცხოვრები და გიორგი ლიპარტიანის მიერ მთაწმინდას ხარებას ღვთისმშობელს შეწირული (1642), (მას. საქ. ისტ.).**

ზედანიას გვარი 92 სულს ითვლის (ჩხოროწყუ — 59, თბილისი — 18, ბათუმი — 7), (გვარ-სახ. საქ-ში).

ზერაგია ზერგნა-ტკეპნა (ქეგლ) მიღებული უნდა იყოს ზერაგ(ა) მეტსახელისაგან. ზერაგია ნასყიდაი და პატუა, ლევან დადიანმა იგი შესწირა პიჭვინთის ტაძარს... (1621).

ზ. პოლიკარპე კონსტანტინეს ძე, (დ. 1912, ფოთი), ქართვ. მათემატიკოსი, ფიზ-მათ. მეცნ. დოქტორი (1957), პროფესორი (1959). საქ სსრ დამსახ. მოღვაწე (1979).

ზერაგია 169 ერთეულს ითვლის (თბილისი — 47, ფოთი — 18, წყალტუბო — 11), (გვარ-სახ. საქ-ში).



ზუგდიდის რაიონი



დადიანების სასახლე და კარის ეკლესია ზუგდიდი *

ზვანბაია, ზვამბაია *„ზვამბაიები აფხაზეთიდან გადმოსულები არიან და მოსახლეობენ: აჭარის ბათუმისა და კახაბერის თემებში... აზნაურნი“ (გურიის თავადთა... 15). ზვამბაია პოდპოლკოვნიკი, 1855 წ. თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის გმირი.

ზვანბაია იმიმკო პროკოფის ძე, ოჩამჩირის რ-ნის სოფ. აგუბედიას მცხოვრები, აფხაზეთში 80-იან წ. დასასრულ. ეროვნება დაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

ზვანბაია 79 სულს ითვლის (ზუგდიდი — 49, თბილისი — 11, მოსკოვის ლტოლვილი — 3), (გვარ-სახ. საქ.).

ზვამბაიას (იხ. ზვანბაია) გვარი 79 სულისაგან შედგება (ზუგდიდი — 42, თბილისი — 11, ქუთაისი — 9), (გვარ-სახ. საქ-ში).

ზიკილია (იხ. ზეკალია), ზიკილი სოფ. ახალციხის რ-ში.

ზოდელავა ზოდ-ი გამოდნობის შემდეგ მიღებული ლითონის მთლიანი ნაჭერი (ქეგლ); ლეზოდელე-კირცხი, ნაზოდელუ-ახუთი (ჩხორ. რ.). ზოდელავაში -ელა კნინობითობის სუფიქსი უნდა იყოს. ამრიგად, ძველად ზოდელა კაცის მეტსახელი უნდა ყოფილიყო. ზოდელა ღომის ჯიშია სამეგრელოში, (სამეგრ. 12). ზოდი — სოფელი ჭიათურის რ-ში.

ზოდელავა ანდრო სიმონის ძე (1905-1942), გენერალ-მაიორი (1942), სამამულო ომის მხედართმთავარი, ვეტერანი (დოლიძე, ლ., 199).

ზოდელავას გვარი 50 სულს ითვლის (ზუგდიდი — 18, წალენჯიხა — 17. თბილისი — 7), (გვარ-სახ. საქ-ში).

ზურბაია ზურა (მეგრ.), მშიშარა (ელიავა გ. ლექსიკ.). ზურბაია 71 სულს ითვლის (თბილისი — 38, ზუგდიდი.— 10, ქუთაისი — 8), (გვარ-სახ. საქ-ში).

ზულბაია, ზუხბაია, ზულბაიას გვარი 79 სულს ითვლის (ზუგდიდი — 39, თბილისი — 26, წალენჯიხა — 4), (გვარ-სახ. საქ-ში).

„აფხაზურ-მეგრული კამათი მიმდინარეობს ვითომ ეს გვარი იყოს „მეგრელიზებული ნამდვილი აფხაზური გვარი“, სინამდვილეში კი ზანურიდან ზოგად ქართველურისაკენ მიმავალი გზაა“ (ერაძე, 16). ვფიქრობთ, ზუხბაია და ეზუხბაია ერთი და იგივე ფონეტიკურად განსხვავებული გვარი უნდა იყოს ისტორიულად.

ზუხბაია ვალერიან აქვსენტის ძე, დ. 1914 წ. გალში, ომისა და შრომის ვეტერანი, საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი, აფხაზეთის მეცნირებათა აკადემიის აკადემიკოსი, 60-მდე მონოგრაფიისა და 200-მდე მეცნიერული სტატიის ავტორი.

ზ. ოთარ გიორგის ძე (1940-1995), დ. გალში, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. საქ-ს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე.

ზ. გივი დიმიტრის ძე, დ. 1929 წ. სოფ. ოქუმში (გალის რ.), საქ-ს დამსახ. ეკონომისტი.

ზ. გრიგოლ მათეს ძე (1880-1952) დ. გალის რ-ნის სოფ. ღუმურიშში, ადვოკატი, ნაფიცი მსაჯული, 1918-21 წწ. სოხუმის ქალაქის მერი.

ზუხბაიას გვარი 920 სულს ითვლის (ზუგდიდი - 346, თბილისი – 240, წალენჯიხა – 82), (გვარ-სახ. საქ-ში, 90).

ზუხბა მინადორა ივანეს ასული დ. 1909, სოფ. ღუმურიში, გალის რ-ნი, საქ. სსრ სახალხო არტისტი (1958).

თაგანია თაგალ-ი: 1. ძვ. გვირისტი (საბა); 2. კუთხ. (ჯავახ.) ძაფით გამოყვანილი სახეები, როგორც პერანგის გულზე, ისე ნიფხვის ტოტებზე თეთრი გამოყვანილი სახეებით, რომელსაც თაგალი ქვია; 3. თაგანიას მეგრულად იტყვიან მაღალტემპერატურიან დღეზე; 4. გამორიცხული არაა ტაგან სიტყვისაგან მომდინარეობაც. შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარი ტაგანაშვილი, ცხადია, თაგანია//ტაგანა ისტორიულად ადამიანის მეტსახელი უნდა იყოს.

თაგველია თაგვი შერქმეული სახელისაგან მომდინარეობს. თაგვარელიას გვარი 24 სულს ადგენს (ზესტაფონი – 12, თბილისი – 11, სენაკი – 1), (გვარ-სახ. საქ-ში).

თავნაბია გვარი წარმომდგარი ჩანს თავნება შერქმეული სახელისაგან. მსხულებს მცხოვრები, ემართა ხოფის ღმრთისმშობლის ბეგარა (1550). თავნაბიას და მის განაყოფს ემართათ ხოფის ღმრთისმშობლის ბეგარა ათი თეთრი (1550).

თათავა თათა – ღვთაების აღმნიშვნელი სიტყვაა კაბადოკიისა (ჟორდ. 147).

თაკვარელია –ელ სუფიქსი მიგვითითებს სადაურობაზე. თაკვარი, თაკვერი ისტორიული მხარე დას. საქართველოში; ფართო მნიშვნელობით მოიცავდა ახლანდელ რაჭა-ლეჩხუმს. ვიწრო მნიშვნელობით – ცხენისწყლის აუზის შუა წელსა და ლაჯანურის ხეობას შორის მოქცეულ ტერიტორიას; გვარი განსახლებულია ლეჩხუმის სოფლებში. მეცნიერებაში არის აზრი, რომ გვარი სამეგრელოდან უნდა იყოს. გამორიცხული არაა, აგრეთვე, სხვაგვარი ახსნაც: „თაკვარელაია“ ძველად შეიძლება ადამიანის იყო.

თაკვარელიას გვარი 126 სულისაგან შედგება (აბაშა – 59, თბილისი – 43, სამტრედია – 12), (გვარ-სახ. საქ-ში).

თამაზია წარმომდგარია საკუთარ სახელ თამაზისაგან, თამაზეთი, ლესიჭინე (ჩხორ. რ.), თამაზიანი (ჯავის რ.). შდრ. ქართ. გვარი თამაზაშვილი.

თამამაა თამაში – თამამე წარმომდგარია თამამა შერქმეული სახელისაგან. თამამა მათხოვს მცხოვრები, ემართა საკათალიკოსო ბეგარა... (1621).

თანალიში –იშ ჭანურში გვარის საწარმოებელი ბოლოსართია (შდრ. მეგრულში, ჯეჯილში, გურიაში ცნობილი გვარი ტყულუში). –იშ წარმოშობით

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია. ამრიგად, თანალიში=თანალისი, თანალის შთამომავალი.

თანდილავა თანდ. (მგრ.) თენდება, განთიადი ჭანური წარმოშობისაა. თანდქიში=თანდიში=ტანდილავა. „მღერის ბიჭი თანდილა“. ისმის საბაყშვო სიმღერაში; თანდილაანთკარი (დუშ. რ.), სარფი (ხელვაჩ. რ.), თანდი წყარო (ზნაურ. რ.). თანდილა სოფ. ჯავის რ-ში (სამხრ. ოსეთი). სხვა ახსნით, იგი თანდილა საკუთარი სახელისაგან მომდინარედ შეიძლება დავსახოთ.

თანდილავას გვარი 32 სულს ითვლის (ბათუმი — 13, თბილისი — 1, ხელვაჩაური — 18), (გვარ-სახ. საქ.).

თანია „ტანია ფოქვეშელის ცნობით, ისინი გადმოსახლდნენ ჩრდ. კავკასიიდან, მათი ნათესავის მიერ მკვლელობის ჩადენის გამო. ორი ძმიდან ერთი დასახლდა ფოქვეშში, ხოლო მეორე — დურიფშში. ფოქვეშელი ტანიების ოჯახი, სანამ გაიყოფოდნენ (1937 წ.), 55 სულს შეადგენდნენ...“ თანიანთკარი სოფ. დუშეთის რ-ნში, შდრ. ქართ. ისტორიული გვარი თანიაშვილი.

თანია მოხსენიებულია ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ათარაში მოსახლე მე-19 ს. I ნახ-ში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვება, მარტი, 1917).

თანია მახლოუ, ასულნი: გვაშანა, სადლამ, ცულუკ, ვაჟი — კალმახი მოხსენიებულნი არიან როგორც თათარნი, წარმართი სარწმუნოებისა და ქრისტიანად მონათლულნი (1834 წ. აპრილში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ფოქვეშში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვება, მარტი, 1997, გვ. 8, 4, 7).

თარბაია ათარი — 1. წვრილმანი მოვაჭრე; თარი მეგრ. — რჩეული ხელმძღვანელი, მეთაური; თარიაში წყარო (მგრ.) — წყარო — ფოცხო (სენაკ. რ.), ოქუმი (გალ. რ.). აქედანაა: **თარნავა, თარია, თარბა, თარბაია.**

თარბაია მოხსენიებულია სოფ. აფიცხუში შავი ზღვის სანაპიროზე. (ტოპ. ქართულია). მცხოვრები 300-მდე ქართველთაგანი. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვება, 1997).

თარბა მოხსენიებულია სოფ. ლეხინოში (უნდა იყოს ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინა) მცხოვრები (მე-19 ს-ის I ნახ.), (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვება, მარტი, 1997).

თარბაია ასევე მოხსენიებულია მე-19 ს. I ნახ. დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. მოქვში მოსახლე. თარბაია ქაქუთი, ცოლი ჴათინჯ, და — ჩადე; კიკო, და — ციცო; კვალი, დანი: ტამხან, აბრიგხან მოხსენიებულნი არიან, როგორც მდაბიო წრის წარმომადგენელნი, წარმართი

სარწმუნოებისა და ქრისტიანად მონათლულნი 1834 წ. მარტში, დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინაში. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვება, მარტი, 1997, გვ. 8, 2, 3, 6).

თარბაია შერყურ, ძენი: მაცი, ლაზი, მაფ, ქალნი მისნი — ეკი, ფუნდუკი მოხსენიებულია, როგორც თათარნი, წარმართნი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ. გუდაუთის რ-ნი სოფ. თხინაში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997 წ. გვ. 8, 1); თარბაია ბულათ და ასული — დაქე; გულაბა, ცოლი — ხიშამან, ძე — ფათ ნახსენებია, როგორც მდაბიონი, წარმართი სარწმუნოებისა და გაქრისტიანებულნი 1834 წ. აპრილში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვება, მარტი, 1997, გვ. 6; 95, 97).

თარბაია ანტა ალექსანდრეს ასული მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ოხურეიშის მცხოვრები და ეროვნება დაბრუნებული. (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე).

თარბაიას გვარი 173 სულს ითვლის (ზუგდიდი — 69, თბილისი — 32, წალენჯიხა — 20), (გვარ-სახ. საქ-ში).

თარბა თემურ, სოციალისტური შრომის გმირი. თარბას გვარი, მოსახლეობს გუდაუთის რ-ნის სოფ. დურიფშში.

თარგაია თარგი, თანგი — ასლი.

თარია თარი (მგრ.) — ამორჩეული, ხელმძღვანელი, მეთაური.

თედორაია თედო, თედუა ხურიტული წარმოშობის საკ. სახელია (გ. ჯორდანია, 144). მიღებული ჩანს თედორა ადამიანის საკუთარი სახელისაგან, რომელშიც ბოლოკიდური —ა კნინობითობის სუფიქსია. თევდორობა — თევდორეს სახელობის დღე — დიდმარხვის პირველი კვირა... (ქეგლ). თევდორე დრანდელი იხსენიება ალექსანდრე მეფის მიერ კაციბეი თოფურიძისათვის მიცემული სასიცოცხლო სიგლის მტკიცებულებით ნაწილში (XVI-XVII სს.). თევდორა მეგრელი, ბაშში მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა... თედელეთი სოფ. ჯავის რ-ნში; თედოწმინდა სოფ. გორის რ-ნში.

თედორაიას გვარი 27 სულს ითვლის (აბაშა — 21, თბილისი — 5, სენაკი — 1), (გვარ-სახ. საქ-ში).

თევზაია საკ. სახელი თევზა; წარმომდგარია თევზა მეტსახელისაგან შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარი ტევზაძე. ტბა (ხულოს რ.). სათევზაო მღვიმე ხონის რ-ნში.

თევზაძე ნიკოლოზ არტემის ძე, დ. 1908, ქუთაისი, ქართველი გეოდეზისტი, ტექნ. მეცნ. დოქტორი (1962), პროფესორი (1962), საქ. სსრ მეცნ. და ტექ. დამსახ. მოღვაწე (1967).

თ. რევაზ ნიკოლოზის ძე, დ. 1931, ქუთაისი, გეოლოგი, რესპ. დამსახ. ინჟინერი (1975).

თელია თელი (მგრ). — ცოცხალი; წარმომდგარია თელა/ია შერქმეული სახელისაგან. შდრ. ტოპონიმები თელეთი, თელავი, თელადგორი, თელიანი. თელიების უბანი — მარანი (აბაშ. რ.), თელოვანი (მცხ. რ.), თელა სოფ. ლაგოდეხის რ-ნში, თელეთი სოფლების — ზემო თელეთის და ქვემო თელეთის გავრცელებული სახელწოდებაა, თელია, სოფლებია ჯავის რ-ნში (შიდა ქართლი), ქვედა თელეთი გარდაბნის რ-ნში.

თელია ბესარიონ თადეოზის ძე (1880-1918), დ. ქუთაისის მაზრის სოფ. ჭაგანში რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოსა და თურქესტანში. (რევ. მოძრ., 264).

თ. გიორგი პეტრეს ძე (1880-1907), დ. ქუთაისის მაზრის სოფ. ჭაგანში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოძრ., 265).

თ. შალვა, მაიორი, 808-ე პოლკის მეთაური მარუხის... გადასახლებების მტრისაგან განთავისუფლებაში დაღუპული თავისი მებრძოლებით. (ქოჩიაშ. მ., 86).

თელიას გვარი 672 სულს შეადგენს: თბილისი — 212, აბაშა — 156, სამტრედია — 133. (გვარ-სახ. საქ-ში,).

თეფანია წარმომდგარია ადამიანის საკ. სახელ თეოფანიასაგან. თეოფანია — თეფანია. თეფანია ივანე, ლევან დადიანმა იგი შესწირა ბიჭვინთის ტაძარს (1628).

თვართაია თვარ — მთვარე, თაია — სოფ. ჩხორ. რ-ნის, ნაფიჩხოვოს ტერიტორიაზე.

თვართაია გედევანის ძე ვანო, მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის სოფ. ობურეის მცხოვრები და ეროვნებადაბრუნებული. (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩ. საქმე).

თვალთვაძე* სოფ. წალენჯიხის რ-ნში. თვალთვაძე სამსონ, წალენჯიხის მღვდელი. მთავარი დავით დადიანი ყურადღებას აქცევდა ისტორიულ ნაშთებს. „ბერძნის კალატოზებს შეულესიათ. ადგილები და კირ-ქვეშ მოუყოლებიათ წალენჯიხის ეკლესიის ძველი მხატვრობა... მთავარი განრისხებულა და გაურეკია მანდედან ბერძნები. ბერძნებს დადიანის კაცებმა ფოთამდე მისდიეს“. (ი. მეუნარგია, 39).

თვალთვაძე ფეოდოსია, წალენჯ. რ-ნი, საქ. დამსახურებული მასწავლებელი.

თვალთვაიას გვარი 26 სულს ითვლის (ზუგდიდი – 13, ქუთაისი – 9, მოსკოვის ლტოლვილი – 3), (გვარ-სახ. საქ-ში).

თითბერია* წარმომდგარი ჩანს თითბერ(ა) მეტსახელისაგან. შდრ. გვარი თითბერიძე. გალის, ხობისა და ზუგდიდის რაიონებში გავრცელებული გვარია.

თითბერიას გვარი 133 სულისაგან შედგება (ზუგდიდი – 13, ფოთი – 21, მარტვილი) (გვარ-სახ. საქ-ში).

თირქია ეთნ. ოურქი; თირქია წარმოშობილი ჩანს შერქმეული სახელისაგან. შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარი: ქურტაძე, თურქესტანიშვილი.

თირქიას საგვარეულო 963 სულს შეადგენს (ზუგდიდი 437, ხობი - 336, ფოთი – 45), (გვარ-სახ. საქ.).

თიფშხუა თიფ-შხუ-ა, თიფ-ი, კოლხ. ბალახია ერთგვარი, შხუ-ა მსხვილია. წარმომდგარია თიფშხუ მეტსახელისაგან. თილითს მცხოვრებ ხუცესს ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა... (1621). თიფშხუა ნანარტია, თილითს მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა.

თოდრია (იხ. თოდუა) სილიბისტრო (სილია) ესეს ძე, 1880, სოფ. იანეული, ოზურგეთის მაზრა, 1936, თბილისი, პროფესიონალი რევოლუციონერი...

თოდრია (ციმახოვა) სოფიო პავლეს ასული (1885-1959), დ. ვიტებსკის გუბერნიის ქ. პოლოცკოში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოძრ., 270).

თოდუა წარმომდგარია თეოდე(//თეოდორე) საკუთარი სახელისაგან: თეოდორე – თეოდე – თოდეა – თოდუა. ლეთოდუე – სალხინო (მარტვ. რ.), ნათოდუ-ნაფიჩხუ, თაია (ჩხორ. რ.), ნარაზენი (ზუგდ. რ.). „თოდუები რუხშიაც (ზუგდ. რ.) სახლებულან და აქედან ბატონს გამოქცევიან, გვარი შეუცვლიათ ლეთოდიანი დაურქმევიათ, ილორში დადიოდნენ სალოცავად. თოდუები: კოჩა და უტუ იყვნენ უტუ მიქავასთან ერთად სამეგრელოს გლეხების 1857 წ. აჯანყების მეთაურები. სამივე რუსეთის მთავრობამ გადაასახლა რუსეთის შორეულ გუბერნიებში“ (მაკალათია, 164). გავრცელებული გვარია. თოდუების რამდენიმე ოჯახი მოსახლეობდა 1905 წ. მაღალმთიან ჩხოროწყუს რ-ნის სოფელ ოსინდალეში (ჟურნ. „მოგზაური“, № 241, 16. 1. 1905 წ. (შდრ. თორდუა).

თოდუა უტუ, ზედმეტსახელად „მართალია“, სამთაუროს ყმა, 1856 წ. სოფ. თამაკონის (მარტვ. რ.) გლეხების მეთაური. აქ გლეხები სასახლის მშენებლობაზე მუშაობდნენ, რომელთაც ავალდებულებდნენ, თავიანთი სურსათით გამოსულიყვნენ, სიმინდის დაფქვისათვის სამთაუროს წისქვილში ბაჟი დააწესეს, ამაზე გლეხებმა პროტესტი განაცხადეს, მიმართეს სასახლის მშენებლობის უფროსს დავით ჩიქოვანს, შემდეგ სამთაუროს დროებით მმართველს გრიგოლ დადიანს, მაგრამ უშედეგოდ. აჯაყდნენ. აჯანყებულთა რიცხვი 300-400-მდე ავიდა. შემდგომ 1000-მდე ავიდა. აჯანყებულებმა დაიკავეს სალხინოს სასახლე. ლაშქრის რაოდენობა 4000-მდე ავიდა. ეს იყო აჯანყების პირველი რაიონი. ((წალენჯ. რ-ნული გაზ. „კომუნიზმის გზით“, 3. IX-87).

უტუ მეთაურობდა სალიპარიტო და მდ. ხობისწყლის მიდამოებში მოქმედ სახალხო ლაშქარს. აჯანყების დამარცხების შემდეგ უტუ კოსტრომაში გადაასახლეს. კოჩა, სამეგრ. 1857 წ. გლეხთა აჯანყების ერთ-ერთი მეთაური, საჭილაო — სუჯუნის გლეხთა ლაშქრის წინამძღოლი 1858 წ. 10 წლით გადაასახლეს არხანგელსკის გუბერნიაში, სადაც გარდაიცვალა. ტოგო, ბიტუ ბუტუს ძე ღვინჯილია, ივანე გვინიას ძე ჯოლოხავა, ბადხუ მაგულიას ძე კვარაცხელია, ქარაია გურუთი კოკიას ძე და გოგუა ტატუ კვიკვიშიას ძე, გადასახლებაში გარდაიცვალნენ. (1868 წ. ცნობით), (საისტ. მოამბე, წ. II). კოცა სოფ. საჭილაოდან (დღ. წალენჯიხის რ-ნი), აზნაურიკორძაიას ყმა-გლეხი, გადასახლებული ციმბირში 15 წლით, როგორც სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების წამომწყები. (საისტ. მ., 146).

თოდუა მაგალი არეს ძე, 1927, სალხინო, მარტვ. რ-ნი, ქართველი ლიტერატურათმცოდნე და მთარგმნელი. ფილ. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1971).

თოდუას გვარი 8079 სულს შეადგენს (ზუგდიდი — 3004, თბილისი — 1090, მარტვილი — 926), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (8069 სული) მიხედვით 24-ე ადგილზეა. გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

თოთოზია (თოთო მგრ. — ჩვილი (ბავშვი). წარმომდგარი ჩანს თოთოზა საკუთარი სახელისაგან. თოთოზია თოლიოქრო ემართა ჭალის სასახლის ბეგარა...

თოლისკუა თოლი-სკუა — თოლი (მგრ.) — თვალი, სკუა-ძე თვალი(ს) ძე. წარმოშობილი ჩანს თოლისქუა მოფერებით შერქმეული სახელისაგან.

თოლისკუა კირჩხელი (ვფიქრობთ, კირცხი (ჩხორ. რ.) უნდა იყოს), ემართა... თილითის სასახლის ბეგარა... (1621).

თოლორაია (კომ. 24-V 64,4); თოლ-ო-რა-ია, თოლ-ი (მგრ) – თვალი, არა – არის, ია – ძე=თოლი(ს) ძე; აქედანაა: **თოლორდია.** გამორიცხული არაა ასეთი ახსნაც: თოლორაიაში თოლორაია ადამიანის შერქმეული სახელი იყოს.

თოლორაია დიმიტრი ბლაღოჩინი მღვდ. მოხსენიებულია კორცხელის მეორედ – 1858 წ. განახლებული ეკლესიის კანკელის მხედრულ წარწერაზე. (თაყაიშვილი, III, 202).

თ. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე (1890-1958), დ. ზუგდიდის მაზრის სოფ. კახათში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოძრ., 272).

თოლორაიას გვარი 1307 სულს ითვლის (ზუგდიდი – 835, თბილისი – 227, ქუთაისი – 39), (გვარ-სახ. საქ-ში.)

თოლორაიათა გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1307 სული) მიხედვით 786-ე ადგილზეა (გაზ. „საქართ", 6-8 მარტი, 1997).

თოლორდავა იხ. თოლორაია, თოლორდავა, თოლ – თვალი, ორდა – იყავ, ე. ი. ყურადღებით იყავი. 300-მდე კომლი მოსახლეობს ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. მუხურში. ლეგენდა ამბობს: ბატონყმობის სიმკაცრეს გამოქცეული ახალგაზრდა ყმა ჩამოსულა აქ, შეკედლებია ერთ-ერთ მოხუცს, რომელსაც გაუფრთხილებია – ყურადღებით იყავიო. ოჯახი შეუქმნია, გამრავლებულა და გვარად მოხუცის სიტყვები თოლ(ო)რდავა (ყურადღებით იყავ) შერჩენია. (მიამბო. ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ-ფო უნივერსიტეტის თანამშრომელმა, კარტოგრაფმა მუხურელმა რევაზ თოლორდავამ.

თოლორდავას გვარი 2127 სულს ითვლის (ჩხოროწყუ – 907, თბილისი – 274, სენაკი – 170), (გვარ-სახ. საქ-ში, 94).

თომაია თომა: 1. თმა; 2. საკუთარი სახელი; თომი მგრ. – წერაქვა მც (ბოტ.). წარმომდგარი უნდა იყოს თომა საკუთარი სახელისაგან. შდრ. გვარი **თომაძე.*** თომაია იანა, ხიბულას მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა.

თ. მიქაი, დარჩელს მცხოვრები, ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა... (1616).

თონთუა თონთლე, ნაზი, სუსტი, დონდლო (დათიკაშ.); თონთუაში

ნოხორუ (ნასახლარი), სამიქაო (აბაშ. რ.); გვარი თონთუა თონთო, თონთუ მეტსახელს აღგვადგენინებს ისტორიულად.

თონთუას გვარი 31 სულს ითვლის (აბაშა – 17, ბათუმი – 8, ბილისი – 4), (გვარ-სახ. საქ-ში).

თორბაია (იხ. თორდია) თორბაია ბულათ და ცოლი ხიშ მოხსენიებულია, როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისანი



სურათზე: თორდია ეკა, 1999 წ. საქართველოში გოგონების სილამაზის კონკურსში გამარჯვებული

მეგრული ქალები, მეტადრე ქვრა-შავთვალება და შავგვრემანი-ცისფერთვალა ქალები, ულაბაზესი არსებანი არიან დედამიწის ზურგზე.

ალექსანდრე დიუმა, „კავკასია“

„მარგალიჩე XV-სის წინა ამბებია. ძალიან მომხიბვლელი ქალები ყოფილან, თორემ ყველგან ისინი დედოფლებად არ მოგვევლინებოდნენ“.

ჯ. ჯიშკარიანი

და გაქრისტიანებულნი 1834 წ. აპრილში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ", სპეც. გამოშვ., 1997, გვ. 6, 19).

თორდია თ-ორდ-ი-ა, თ-წინაკიდური ბგერა, ა ორდ (მგრ.) — სამშობლო-საგაზრდელო; თორდია — ზედა ეწერი (ზუგდ. რ.). თორდუი — მენჯი, თორდუაში ბოგა (მგრ.) — (ხიდი) — თეკლათი (სენაკ. რ.). აქედან უნდა იყოს თოდრია. არ გამოვრიცხავთ ასეთ ახსნასაც: თოდრია — თეოდორია, რომლისგანაც უნდა მიგველო მეტათეზისის მეშვეობით გვარსახელი თორდია: თევდორია — თოდრია — თორდია. შდრ. ქართ. გვარები თევდორაძე, თევდორაშვილი. თორდია ძალიმაფუ ფოთის მცხოვრები, ლევან დადიანმა იგი შესწირა ბიჭვინთას (1628).

თ. ბულითია ბებულას ძე, სოფ. ჯგალიდან, დღევანდ. წალენჯიხის რ-ნი, თავადი გიორგი დადიანის ყმა-გლეხი, გადასახლებული ციმბირში 6 წლით, სამეგრელოს 1957 წ. გლეხთა აჯანყებისათვის დაჟინებითი მხარისდაჭერისა და მემამულეთა ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევის გამო. (საისტ. მ., II, 147).

თ. ტიკვა ქუთათიას ძე, სოფ. ჯგალიდან, დღევანდ. წალენჯიხის რ-ნი, თავადი გიორგი დადიანის ყმა-გლეხი, გადასახლებული ციმბირში 6 წლით, სამეგრელოს 1857 წ. გლეხთა აჯანყებისათვის დაჟინებითი მხარისდაჭერისა და მემამულეთა ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევის გამო. (იქვე).

თ. პანტიკო შალვას ძე, დ. 1935, ზუგდიდის რ-ნის სოფ. ზედა-ეწერი, ინჟინერ-კონსტრუქტორი (1967-1968), წამყვანი ინჟინერი (1968-1972), მთ. ინჟ. (1976-1978)... თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანებს გენერალური დირექტორი (1984), საქ. სახ-ფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1983), (ჯაფარიძე ს., 166).

თორდიას გვარი 1596 სულს ითვლის (ზუგდიდი — 1208, თბილისი — 151, წალენჯიხა — 76), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი მოხსენიებულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1596 სული) მიხედვით 607-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ", 6-8 მარტ, 1997).

თორდინავა (იხ. თორდია). თორდინაეას გვარი 299 სულისაგან შედგება (მარტვილი — 131, თბილისი — 57, ქუთაისი — 30), (გვარ-სახ. საქ-ში).

თორდუა (შდრ. თოდდუა. იხ. თორია). თორდუა ვლადიმერ დიმიტრის ძე (1914, სოფ. თეკლათი, სენაკის რ-ნი) ქართვ. მწერალი, ჟურნალისტი, სამამ. ომის ვეტერანი.

თორდუას საგვარეულო 198 სულს ითვლის (ზუგდიდი – 64, თბილისი – 18, ახალციხე – 4), (გვარ-სახ. საქ-ში).

თორია თორი ზგდ. მნიშვნელობით აბჯარი (არაბ.), ტანზე ჩასაცმელი ჯაჭვი. თორია, როგორც გვარი, თორა-თორია მეტსახელისაგან უნდა მომდინარეობდეს. თორი მხარე ისტორიულ სამხრ. საქ-ში სამხრ-დასავლეთ ნაწილში (ამჟამად თურქეთის საზღვრებშია), თორის ქვაბული ბორჯომის რ-ნში, თორია სოფ. ბოგდანოვკის რ-ნში. შდრ. გვარი თორაძე, აქედანაა **თორუა**. კოკი, ორსანტია (ზუგდ. რ.), ნაბაკევი (გალ. რ.).

თორიას გვარი მოხსენიებულია დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ბარმიშის თემში მოსახლეთა სიაში. (გაზ. „საქართვ“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997). გვარი ასევე მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის მოსახლეთა ქრისტიანად მონათვლის (1834 წ.) სიებში. (გაზ. საქართველო, სპეც. გამოშვ, 1997). მოხსენიებულია, როგორც მდაბიონი.

თორია ითანეს ცოლი – ხანიშ ლაკა, იბანა და იამკოჩ მოხსენიებულია, როგორც მდაბიო ხალხიდან, წარმართი სარწმუნოებისა და მონათლული ქრისტიანად 1834 წ. იანვარში, დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8; 2).

თორიას საგვარეულო 1523 სულს ითვლის (ზუგდიდი – 990, თბილისი – 242, ზობი, – 62), (გვარ-სახ. საქ.).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობით 1523 სულია. (გაზ. „საქართვ“, 6-8 მარტი, 1997).

თორნავა, ადგ. გამოთქმით, თორნაა (იხ. თორია). თორნავა გაბრიელი და მამის ბმის ასული დარეჯან, მდაბიო ხალხი, წარმართი სარწმუნოებისანი მოხსენიებულნი არიან 1834 წ. აპრილში გაქრისტიანებულნი დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997 წ. გვ. 6, 2). თორნა ფოთლა მოხსენებულია, როგორც მდაბიო წლის წარმომადგენელი, წარმართი სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. ივნისში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (იქვე).

თოსკვამია გვარადქცეული ლამაზთვალა. თო(ლ) (მგრ.) თვალი, სკვამია (მგრ.) – ლამაზა... თოსკვამია პეტრია, მუხურს მცხოვრები,

ემართა აფხაზეთის საკათალიკოსოს ბეგარა — მეჯოგეობა (1621). თოსკვამია ხვინგია (ხვინგია ძველად ალბათ სახელი იყო). იმერთა ცაიშის საყდრის ბეგარა... (1621).

თოფურია თოფურია (კოლხ.) — თაფლი, ფუტკრის ნაწარმი; სათოფურიო — ქ. აბაშა, ნათოფურუ, — დაბა მარტვილი, ნათოფურუ - ხუნწი (მარტვ. რ.), ნათოფურუ — სოფ. გალის რ-ნში, ლეთოფურე — წალენჯიხის რ-ნი. სეფიეთის (აბაშ. რ.) ძველი ეკლესიის ეკვდერის მოხატულობათა შორის არის მეფუტკრის სურათი სპეციალური ტანსაცმლით (ძვ. საქ, III, 35).

ამაკე „ეკლესიის სამხრეთ ნაწილში ოთხი დიდებულია დახატული. ერთის გარშემო ხუცური წარწერაა და იკითხება „დადიანი ლიპარიტ", მეორეს კი მიწერილი აქვს „მამიზბედი (ანუ, მამისბედი თოფურია"... წარწერა მე-17 ს. განეკუთვნება. თოფურიძეების გვარი დაფიქსირებულია ეკლესიაში ნაპოვნი წმინდა გიორგის ხატზეც, რომელზედაც მხედრულად აწერია: „შემოვსწირე მთავარანგელოზის ეკლესიას აზნაურმან როსტომის ძემა ლევან თოფურიამან სადღეგრძელოდ ჩემდა ძირის ეკლესიას წ ჩ (1845 წ.) ღვინობისთვის აქ..." თოფურიების (თოფურიძეების) გვარი კი პირველად საისტორიო საბუთებში მოიხსენიება 1413-1444 წწ. (ო. სოსელია, 1973, გვ. 285). 1904 წ. მონაცემებით, სეფიეთში თოფურიძეების 23 ოჯახი მკვიდრობდა და ყველა აზნაური იყო... ამათგან ზოგიერთი თოფურიად იწერებოდა. დღეს თოფურიძეები კომპაქტურად მოსახლეობენ აგრეთვე აბაშის ხეობის სოფლებში: კაპანასა და განკარში (ქართველური მემკვიდრ., I. 1996).

„სამეგრელოს ზოგიერთ ბატონებს ჰქონდათ თაფლის და ცვილის გადასახადი (მაკალათია, 154); სამეგრელოსა და აფხაზეთში ფუტკრის როფე შედიოდა დედოფლის მზითევში. 1888 წ. მონაცემებით თოფურიების რამდენიმე ოჯახი გადასახლდა სოჭში. (გაზ. „ივერია", 1888, 146, გვ. 2). თოფურია სამსონ მელიტონის ძე, მოხსენიებულია ქუთაისის გუბერნიიდან ქ. თბილისის მამულების საჯარო ვაჭრობის განცხადებაში („ივერია", 1902, № 245). ამრიგად, თოფურია წარმომდგარია თოფურია ადამიანის მეტსახელისაგან: (შდრ. ქართ. თაფლა, თაფლიკო).

თოფურია „თური მოგვარეა. თურის ან მოგვარეს შიგნით არის განსხვავება, მას ჩვენ დიდ პაპის სახელით აღვნიშნავთ და პეტრეია თურეფიში ან პეტრეიას შთამომავალთა ტოტს ვეძახით. იგი დინოა თურის შიგნით". (გეგეჭკ. მუზ., 78).

ურარტუული გვარების სუფიქსია ტუნით (ოჯახი). (შდრ. მეგრული თური). მაგ. ამატუნი, რშუნი, ხორხორუმი, ბზნუნი, ბაგრატუნიც ურარტუული წარმოშობისაა (მ. მელიქიშვილი).

თოფურია სენი, ფალავას გლეხი), გავარდნილი ქურდი. მთავარმა დავით დადიანმა (1840-1853) ჩამოახრჩო ხეზე ქვატახტს (ჭაქვინჯის, დღ. ზუგდიდის რ., საზოგადოებაში რომ დასჯა სამგალითო ყოფილიყო, მთავარმა თოფურიას ჩამოხრჩობაზე დიდძალი საზოგადოება შეკრიბა. რომ მოკიდეს ხელი მაღლა ასაყვანად, თოფურიამ დაიწყო მთავრის გინება და ამ გინებაში სული ამოხდა. (მეუნარგია, ი. 119).

თ. ბორის სელოვანის ძე, იდუხას (უკრაინა) პარტიზანული შენაერთის მებრძოლი (1944). (გურული, 47).

თ. არკადი პავლეს ძე, დ. 1923 წ. აბაშის რ-ნში, სამამულო ომის ვეტერანი.

თ. აკაკი სარდიონის ძე, 1916, სოფ. სირიაჩქონი, ახლანდ. სენაკის რ-ნი, სამამულო ომის მონაწილე, ვეტერანი, აკაკის ოჯახიდან სამამულო ომში მონაწილეობდა ხუთი ძმა, ერთი რძალი და ერთი შვილობილი. (გრ. დარჯანია, ფოთი, გაზ. „ახ. კოლხ.", 1970, № 154). ქართველი ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი. ფილოლოგ.მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1965), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე.

თ. ვარლამ ტრიფონის ძე (1901-1966), დ. სოფ. ონტიფოში, (დღ. აბაშის რ-ნი. ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი (1944), საქ. სსრ. სახ-ფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1971). (ჯაფარიძე, ს., 13).

თ. სესირყვა მოხსენიებულია, როგორც მდაბიო, წარმართული სარწმუნოებისა, გაქრისტიანებული 1834 წ. იენისში ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშში. (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., 1997. გვ. 7, 9, 51).

თოფურიძეები მოსახლეობენ: თბილისი – 1020, აბაშა – 736, ფოთი – 300 (გვარ-სახ. საქ-ში,).

თოფურიას გვარი შეტანილია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათას გვარის სიაში და რაოენობის (3225 სული) მიხედვით 182-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართველო", 6-8 მარტი, 1997).

თოფურიდი, ყოფ. ლაზები, გაბერძნებულები. მოსახლეობენ წალკის რ-ნში. (მიამბო ისტორიკოსმა კარლო თოფურიამ).

აბაშელი თოფურიების გვერდით მეზობლურად და მეგობრულად ცხოვრობდნენ და ამჟერადაც მოსახლეობენ აზნაური თოფურიძეები. მათ ერთიანი ეკლესია ჰქონდათ.

თოფაური (თოფურია) აზნაურნი, არიან ჩერქეზის მხრიდან თათარ თოფიდგან მოსულნი და ადგილისა გამო მიიღეს თოფურია („იკერია", 1883, № 11-12, 1884, 1-2).

თოფურიძეების გვარი კი პირველად საისტორიო საბუთებში მოიხსენიება 1413-1444 წწ. (სოსელია ო., 1973, 285). 1904 წ. მონაცემებით აბაშის რ-ნის სოფ. სეფიეთში თოფურიძეების 23 ოჯახი სახლობდა. ყველა აზნაური იყო. თოფურიძეების გვარი დაფიქსირებულია სეფიეთის (აბაშის რ.) ეკლესიაში ნაპოვნი წმინდა გიორგის ხატზეც, რომელზედაც მხედრულად წერია: „შემოვსწირე მთავარნაგელოზის ეკლესიას აზნაურმან როსტომის ძემა ლოვანე თოფურიამან სადღეგრძელოდ ჩემ და ძირის ეკლესიას წ. ჩ. (1845), ღვინობისთვის... (აქ 15).

თოფურიძე კაციბერ მოხსენიებულია, როგორც ტახტის აზნაური.

თოფურიძე კლიმენტი — აზნაურიშვილი (პალ)

თ. სარდიონ ივანეს ძე, დ. 1995-1982), ომის ვეტერანი. ეროვნული მოძრაობის მონაწილე, საქ. დამსახ. მასწ. თ. დიომიდე ალექსანდრეს ძე (1871-1992) — სოციალ-დემოკრატი, 1902 წ. რედაქტორობდა გაზ. „კვალს".

თ. ვალენტინ ბაგრატის ძე (1907-1980), საქ-ს სახალხო მხატვარი, სსრკ-ს სამხატვრო აკადემიის წევრი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

თ. ციალა (ეთერი) ევტიხის ასული, დ. 1926, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

თ. ირაკლი ირაკლის ძე, დ. 1949, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

თოფურიძე კლიმენტი, თვალის ექიმი, აზნაური და გამოჩენილი ქართველი მწერალი, დრამატურგი, მსახიობი. შაკუვა დადიანს ენათესავებოდა და ახლო კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან. ერთხელ შალვა შეხვდა კლიმენტის და უთხრა: „მოსკოვში მივდივარ, ჩემო კლიმენტი, ხომ არაფერს დამაბარებო. მეც ვთხოვე, ჯოხი დამეკარგა და ველარ ვიშოვე, თუ შეხვდები მოსკოვში, იქნებ მიყიდო = მეთქი".

შალვამ მეგობარს თხოვნა შეუსრულა და 1947 წ. 3 ოქტომბერს წერილი ლექსად მისწერა სალაღობოს სათაურით:

ღირსეულ ადამიანსა და ექიმს,ძვირფას კლიმენტი თოფურიძეს!
თავადისა და აზნაურის გააბასება
რაც მიბრძანე, მის ძებნაში

გავცივდი და ხმა მაქვს ბოხი,
მაგრამ მაინც ავადმყოფმაც,
ვერ ვიპოვე კარგი ჯოხი:
სპილოს ძვლის და შაეი ხისა
სურნელოვნად მონაპოხი,
შენ რომ გსურდა, შეგფეროდა,
მოხატული, როგორც ნოხი.
მაინც ვგზავნი... წვრილია და
მოკაკული ვით რომ თოხი...
თუ კი ვინმემ გაგაჯავრა —
დაუშინე როგორც კოხი!
მე კი არა... რომ ჩამოვალ,
მე არ მდრუბო თავში ჯოხი:
„აბა, ეს რა მაკადრეო!“
მაძებნინო ჩემი ქოხი!
ესეც კია: დადიანმა
რომ აჩუქოს თუნდაც ჯოხი
მის აზნაურს ძველებურად,
თუნდ უეცრად „მონაფოხი“, —
ღმერთს მადლობა უნდა უძღვნას
თოფურიძემ მეტანიით,
მოიაროს მონასტრები
მარტვილიდან ბეთანიით...
ეჰ, რა ვქნა, რომ შემომაკლდა
„ჯოხზე“ რითმა დასაყრდენი!
შენ იცოცხლე კვლავ მრავალ წელს,
გაიხარე შენი ღღენი!

შალვა დადიანი

კლიმენტის პასუხი:
სალაღობოს სალაღობო,
ერთი წილი, კიდევ მეტი...
როგორც იყო, ჩემო შალვა,
ძლივს მივიღე შენგან კეტი,
რომ დავხედე, გამიკვირდა,
დამეხვია თავზე რეტი.
ვთქვი, რადა სწერ ასე ოხვრით,

რომ სიტყვები შემოგაკლდა,
ვერ გარითმე სიტყვა „ჯოხი!“
ან რად ფიქრობ, დადიანთან
თოფურიძეს ნახავ მოხრილს
და მონასტრებს მადლობისთვის
ჩამოვიელით მუხლზე ხოხვით.
ჩვენ ვართ ტახტის აზნაურნი,
თქვენგან შორს ღგას ჩვენი ქოხი,
თოფურიძეს ვერ მოხიბლავს
მოკაკული შავი ჯოხი.
საჭიროა ნადიმობა,
დაძახილი – წვრილი, ბოხი,
რომ მიართვას დადიანმა
თოფურიძეს რამე ჯოხი.
ჩამოდი და სალაღობოდ
ჩვენ გავშალოთ ჭრელი ნოხი,
რომ თამადამ გვაღღეგრძელოს
მე და შენ და ჩვენი ჯოხი!

შენი მოყვარული კლიმენტი
ჟურნ. დროშა № 2, 1967 წ.

თოშხუა თოშ-ხუა, თოშ-ი (მგრ.) – ყინული, შხუ (მგრ.) – მსხვილი. გვარი, ცხადია თოშხუა მეტსახელისაგან მომდინარეობს.

თოშხულარია თო(ხი) თოხი – შხუ (მეგრ.) მსხვილ(ი), ლარი მეგრ. – სწორი=თოხი. მსხვილი და სწორტარიანი. თოხი სხვადასხვა ფორმისა და ზომის იყო, მაგრამ „კურზუ–გურზემის ბრინჯაოს თოხით... ფეტვის ყანებს ამუშავებდნენ“, (სამეგრელო, 17).

„კოლხური სამიწათმოქმედო იარაღების კულტურა ფართო ასპარეზზე გადის“ აფხაზეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში.

თოშხუას გვარი 41 სულს ითვლის (ქუთაისი – 15, ბათუმი – 6, მარტვილი – 4), (გვარ-სახ. საქ-ში,).

თოხულარია თოხული ძველად შესაძლოა ტოპონიმი ყოფილიყო: თოხლიაური სოფ. საგარეჯოს რ-ნში, თოხოლჩა – თიანეთის რ-ნში. თუ ეს ასეა, მაშინ თოხულარია თოხულელს, თოხულში მცხოვრებს ან დაბადებულს უნდა ნიშნავდეს. თოხულარია კათალიკოს დავით ნემსაძეს ბიჭვინთის ღმრთისმშობლისათვის შეუწირავს.

თუზბაია ეტიმოლოგია და დამატებითი საილუსტრაციო მასალა საკვლევია. თუზბაიას საგვარეულო 49 სულს ითვლის (ზუგდიდი –

45, თბილისი – 4), (გვარ-სახ. საქ-ში).

თუთაშხია აბზა (აფხ.), თუთა (მგრ) მთვარე; დ. გულია, (სელნაწ. ინსტ. საქმე № 1934). თუთაშხია – თუთაშდღია, წარმომდგარი ჩანს თუთაშხა//თუთაშდღა – „ორშაბათს დაბადებული“ საკუთარი სახელისაგან. „თუთა წარმართული რელიგიური პანთეონის ერთ-ერთი მთავარი ღმერთი იყო“ (ყიფშიძე). „მეგრული წეს-ჩვეულება „თუთაშხური“, ანდა „თუთაშხა ბედნიერი“, რაც დაკავშირებული იყო იმასთან, რომ მეგრელებს სწამდათ, ყოველი საქმე, დაწყებული ორშაბათს ბედნიერი იქნებაო. ამავე შინაარსისაა აფხაზური წეს-ჩვეულება „ხუაჟკვირა“ (აკაბა). თუთაშხია ქუფაჩას მართებს თილითის სასახლის ბეგარა... (1621).

თუთაშხიას გვარი მოხსენიებულია, როგორც მე-19 ს. I ნახ. მოსახლე, დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ათარაში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვება, 1997).

თუთხალია ამ გვარზე მკითხველს ვთავაზობ ამონაწერს ჩემი უახლოესი მეგობრის დოც. კ. თოფურიას სტატიიდან, რომელიც გამოქვეყნდა ჟურ. „აიას“ 1999 წ. № 9-ში.

„თუთხალია IV-ის დროს (ძვ. წ. 1250-1220) ხეთებმა დიდი წარმატება მოიპოვეს საგარეო პოლიტიკაში: შემოიმტკიცეს მცირეაზიური „ვასალური“ ქვეყნები, ილაშქრეს დასავლეთში „ასუგაში“.

„თუთხალია – ეტიმოლოგია და დამატებითი დოკუმენტური მასალა საძიებელია (ნიკოლოზ ჯომიდავა, კოლხური (მეგრული) გვარ-სახელები, თბ, 1996, გვ. 85). შეგვიძლია ბატონ ნიკოლოზ ჯომიდავას მადლობა გადავუხადოთ ამ შესაშური, საშვილიშვილო საქმისათვის, როგორიც არის მისი დასახელებული წიგნი. ეს წიგნი უამრავ ასეთ გასაშიფრ მასალას შეიცავს. ეს მასალა მკვლევარს ელოდება. შეგვიძლია ბატონ ნიკოლოზს მივმართოთ: თუთხალია – ეტიმოლოგია და დამატებითი დოკუმენტური მასალა მოძებნილია. ქართულ ხალხურ მეხსიერებას ნათლად შემოუნახავს არა ერთი სინამდვილის ხსოვნა ძველაღმოსავლეთის ხალხთა ისტორიიდან, ამ შემთხვევაში, ხეთების ისტორიიდან. „ქართული კულტურა თავისი შედგენილობით ძველაღმოსავლურია“, (ს. ჯანაშია).

ამგვარად, თუთხალიას გვარი კოლხური წარმოშობისაა.

თუნგია თუნგი (სპ.) სპილენძის ან თიხის ვიწრო ყელიანი დოქი; (ქეგლ), „თუნგიები აქ სამურზაყანოდან ჩამოსახლებულან სოფ.

შეშელეთიდან. თუნგიებს (გალ. რ.) იქ რაღაც დაუშავებიათ. აქ გამოქცეულან და აზნაურ მელიებს მინდობიან. მათი ძირი ილორშია“ (ელიავა, აბაშ. ტოპ.).

თუნგიას საგვარეულო 228 სულს ითვლის (ზუგდიდი – 110, თბილისი – 34, აბაშა – 17), (გვარ-სახ. საქ.).

თუნთია თუნთი (მგრ.) – დათვი, ნათუნთურუ – (ნადათვური) – ახალი სოფელი (სენაკ. რ.). წარმომდგარია თუნთია მეტსახელისაგან.

თუნთია თა გვარი174 სულს ითვლის (ფოთი – 79, სენაკი – 51, თბილისი – 8), (გვარ-სახ. საქ.).

თურნავა თურ-ნა-ვა, თური – გვარი (მოგვარე), ნაა-ვა ნაავას გვარისა (იხ. ნავა).

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქ 130 გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგურულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის თურნავა. (გაზ. „საქართვ., სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

თურნავას გვარი 39 სულს შეადგენს (თბილისი – 20, ლანჩხუთი – 17, ბათუმი – 1), (გვარ-სახ. საქ-ში,).

თურვანი სვ. მოსახლ. დღ. ზემო სვანეთის რ-ნის სოფ. დოლში (XIII ს-ის II ნახ.), (სვ. ძეგლ. 50). საკვლევია მთიდან ბარში მიგრაციასთან გვაქვს საქმე თუ? ვფიქრობთ, ერთიც და მეორეც.

თურქია თორქვა (აფხ.). თურქი (მგრ.), დ. გულია, (ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934). ეთნ. თურქი; სათურქიო – გეჯეთი (სენაკ. რ.), ნათურქუ – ძვ. აბაშა (აბაშ. რ.) – თათრის ჯარის ნაბანაკარი. თურქია – თირქია. წარმომდგარია მეტსახელისაგან. თურქია წყაროგზურს მცხოვრებს ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა... (1616-1621).

თ. ხუტა, გერმანელთა ტყვე, ტექსელის კუნძულზე (ჰოლანდია) ქართველ პარტიზანთა აჯანყების მონაწილე. (ქოჩიაშვილი, გვ. 50).

თ. რენო ვალერიანის ძე, დ. 1926, სოხუმი, 1979, თბილისი. ქართველი ფერმწერი, საქ. სსრ დამსახ. მხატვარი (1976).

თურქიას გვარი 667 სულს ითვლის (თბილისი – 192, სენაკი – 118, აბაშა – 86), (გვარ-სახ. საქ-ში, 95).

თურღულაია თურ-ღულა, თურ-ი მოგვარე, ღულა (მეგრ). მრუდე=ხელმრუდე... გვარი მოხსენიებულია რაჭის რაიონის სოფ. ფარახეთში, როგორც ტოპონიმიდან მომდინარე (რ. თოფჩ, როდის წარმოიშ. 61).

თუშუა თუშვა (იმერ.) — ცოტათი მოწევა (ქეგლ); წარმოშობილი უნდა იყოს თუშუ მეტსახელისაგან. თუშეთი მხარე — აღმ. საქ-ს მთიანეთში.


თხელია თხელი: ქაღალდი, კედელი, მგრ. თითხუ. თხელიას საგვარეულო 21 სულს ითვლის (სენაკი — 19, თბილისი — 1, ხობი — 1), (გვარ-სახ. საქ.).

თხილავა თხილი — ბუჩქოვანი მცენარე, თხილის ნაყოფის მომცემი. წარმართულ ეპოქაში ხეთა კულტი უძველესი რწმენის ყველაზე უფრო მტკიცე ფორმას წარმოადგენდა, რაც გვარმა შემოინახა. მათ შორის **თხილის კულტი.** მრავალი ტოპონიმი ამაზე მეტყველებს.

ბიჭვინთის 1628 წლის სიგელში, შუა-სოფლის მხარეში მოხსენიებულია სოფელი თხალარი; თხირნალა — სოფ. ბათუმის რ-ნში. თხინლარია — ქართლში (დუშეთის რ-ნი), თხილვანა — აჭარაში (ხულოს რ-ნი), თხილვანა ქართლში (თბილისის რ-ნში), თხინა — ქართლში (ხაშურის რ-ნი), ითხინაჭ — კარი, (გალის რ-ნში). თხეინა (ოჩამჩირის რ.)

თხილავას გვარი 75 სულს ითვლის (თბილისი — 44, სამტრედია — 15, კასპი — 4), (გვარ-სახ. საქ-ში,).

იაზარია წარმომდგარი ჩანს იაზარა საკუთარი სახელისაგან. შდრ. ქართ. გვარები: აზარიაშვილი, აზარაშვილი, იაზარონი. ლეიზარე (სალხინო – მარტვ. რ.)



იბერია

იბერსკუა იბერ, ივერ – საქართველოს ისტორიული მხარე, სკუა – შვილი=იბერი.

ივანასია (იხ. ივანბაია) ზუგდიდის მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა... (1621).


ივანბაია მიღებულია საკ. სახელ ივანესაგან.

ივარდავა ი(ა)-ვარდ-ა-ვა, ი(ა)-ვარდი. გვარის პრეფიქსიც (წინასართი) და სუფიქსიც – ვარდია. უფრო სარწმუნოა ივარდავას ივარდა მეტსახელისაგან მომდინარეობა. გადმოცემებით („ქართლის ცხოვრება"), ივარდავების უშუალო წინაპრები ქსნის ერისთავის ინასარის ორი ძმის: ლომკაცისა და ასლანის ძენი ყოფილან. ბაგრატიონთა გვარის (მე-17 ს). მეფის შთამომავალი შემოკედომიათ და ლევან II-ის (ლევან დიდად წოდებული, 1611-1657) დროს ოდიშის სამთავროს შეხიზნვიან. ლევან II-ს ძმებისათვის ზუგდიდის შემოგარენთან სოფლები: კორცხელი,

ზედაწერი და რიყე უბოძებია (დემნა შენგელაია, „გურამ ბარამანდია“), (ახუაშვილი ი., „ქართ. გვარსახელები, გვ. 80).

ივარდავას საგვარეულო 113 სულს ითვლის (ზუგდიდი — 61, თბილისი — 15, რუსთავი — 12) (გვარ-სახ. საქ.).

იზორია წარმოშობილი უნდა იყოს ისიდორისაგან: ისიდორეა — ისიდორია — იზორია. საიზორიო, სარაქონი, კირცხი (ჩხორ. რ.), ერგეტა (ზუგდ. რ.).



კოლხეთი

იზორია შალვა დიმიტრის ძე, მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის საიონის სოფ. აგბედიის ცხოვრებიდან ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე).

სავარეულო 1221 სულს ითვლის (ზუგდიდი 651, ჩხოროწყუ — 270, თბილისი — 117), (გვარ-სახ. საქ.). გვარი შესულია საქართველოში არსებული 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი).

ინალისკუა ნინალი (მგრ.) — მომსახურე სხვისი, სკუა — ძე. ინალისქუა, შდრ, ქართულდაბოლოებიან გვარსახელი ინალიშვილი; აფხაზ. ინალიფა (აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელში“ მოხსენიებული გვარსახელი).

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში, შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში სახლობდა 400-მდე კომლი, მათ შორის 130-მდე გვარეულობიდან 35 იყო აფსუური, ხოლო 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის **ინალისკუა** (ინალიშვილი). (გაზ. „საქართვ." სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ინალიშვილი თავად თამკოჩის ცოლი — დადიხან მოხსენიებულია 1834 წ. ივნისში ქრისტიანად მონათლულთა შორის დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.", სპეც გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8; 32).

ი. მარგალიტა ანტონის ასული, მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ოხურეის მცხოვრები და ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

ინაშარია გვარის ქართული ვარიანტია ინასარიძე და ლაზური წარმოშობისა ჩანს; ინა (მგრ)-ის, სარი და ძე — შვილი. ინაშარიძეები მოსახლეობენ ქედის რ-ნის სოფ. მერისის თემის ტერიტორიაზე.

ინჯგია ინჯა (კოლხ.) — იჯრა — ჭამა ერთ ჯერობაზე; შდრ. ინჯია, ინჯგიაში გ განვითარებული ჩანს. ამრიგად, ინჯგია//ინჯია წარმომდგარია შერქმეული სახელისაგან. ინჯაი, ინჯალი სოფ. ბოლნისის ხელვაჩაურის რ-ნებში.

ინჯგიას გვარი 631 სულს ითვლის (მარტვილი — 216, სენაკი — 182, თბილისი — 72), (გვარ-სახ. საქ-ში).

ინჯია (იხ. ინჯგია) ინჯიას გვარი 107 სულს ითვლის (თბილისი — 71, ქუთაისი — 7, ფოთი — 5), (გვარ-სახ. საქ.).

იობაია იობი — აბრეშუმის ჭია; მეგრელების რწმენით, მშვიდობის, სიკეთის მომტანი მწერი; სადღეგრძელოში არის ასეთი ფრაზა: „იობი შემოგიფრინდეთ ოჯახში"-ო; იობავას უფრო სარწმუნო ახსნა, ვფიქრობთ, ასეთია: იგი მიღებული უნდა იყოს ბიბლიური პერსონაჟის იობის სახელის გავრცელების და დამკვიდრების შემდეგ კოლხეთში. ქართული იობაშვილის, იობავას ფონეტიკური ვარიანტია გვარსახელი ჯობავა. იობავა — ჯობავა (ა. შანიძე). საიობაო (ქ. აბაშა).

იოსავა იასავა, საკ. სახელი იოსე; ამრიგად, იოსავა, იოსე საკუთარი სახელისაგან არის წარმომდგარი. შდრ. **იოსია** — ოსია, ტოპონიმი ოსიაური, გვარები ოსაძე, ოსიძე, თუ, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელში -ოს ეთნონიმის არსებობასთან არ გვაქვს საქმე.

იოსავა მოგელის და დარჩინას მართებთ ოცდახუთი თეთრი თითოეულს (XVI) (დას. საქ. საბ. წ. I. 13).

კარლო ვლადიმერის ძე, დ. 1929, ქ. სენაკში... სსრ კავშირის მედიც. მეცნიერებათა კიბერნეტიკის ინსტიტუტის სამედიცინო განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1971-1973), საქ. სსრ ჯანმრთელობის სამინისტროს ინფარქტისა და მიოკარდიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, უფროსი მეცნიერ-მუშაკი (1973), საქ. სსრ სახ-ფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1981). (ჯაფარიძე ს., 153).

იოსავას გვარი 831 სულისაგან შედგება (თბილისი – 150, ფოთი – 106, სენაკი – 49), (გვარ-სახ. საქ-ში, 99).

კაბუხია კაბუტი ზამთარგამოვლილი მიმინო (კ. გამსახ. I, 730), კაბუხია მოხსენიებულია ოჩამჩირის რ-ნის 1837 წ. მოსახლეობის აღრიცხვის სიაში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კაზანჯიში კაზან — ყაზანი, ჯიში — მოდგმა. კაზანჯიში ილიას მემეტის ძე, ლაზი მთქმელი, დ. 1924 წ, ცხოვრობს სოხუმში, მშობლები კი არქაბელებში (თურქეთში).

კაკავა კაკა — ხილი, ტკბილეული (ბავშვის ენაზე (ქეგლ); ან წარმოდმგარი ჩანს კაკა//კაკია (აკაკი) საკუთარი სახელისაგან. კაკა ხურიტული სახელი, შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარები: კაკიაშვილი, კაკიტაძე, ანთროპონიმები: კაკუტა, კაკია, კაკუნა, კაკო. (გალის რ).

კაკალია ერთწლიან მცენარეთა: სიმინდი, ლობიო, მუხუდო... ნაყოფი — მარცვალი; წარმოშობილია კაკალია შერქმეული სახელისაგან. კაკლიანი — სოფლებია: დმანისის რ-ნის გომარეთისა და ყიზილქილისის ტერიტორიაზე, წალენჯიხის რ-ნში.

ქართულად კაკალი, მეგრ. კაკალი, აფხ. აკაკან (დ. გულია). გვარი კაკალია ქართულია, აფხაზურში შესულია მეგრულიდან.

კაკალიები ზემო სამეგრელოს აფაქიძეების ყმა-გლეხები იყვნენ (სოსელია, III, 166).

კაკალუა ოქრომჭედელი, მოხსენიებულია 1741 წ. ყმების ნასყიდობის წიგნში, როგორც მოწმე. (დოკ-ბი ნ. ბერძენიშვილის რედ., 199).

კაკასქუა (იხ. კაკავა) კაკა — სქუა, კაკა საკ. სახელი, სქუა — ძე; საკაკასქუო (კაკასქუალების საცხოვრისი) — ლესიჭინე (ჩხორ. რ.).

კაკაჩია (იხ. კაკავა) კაკაჩი (მგრ.) — მთვარიანი, კაშკაშა ნათელი ღამე, განათებული (საბა). ჩანს, კაკაჩია შერქმეული სახელი ყოფილა. 2. კაკაჩა მტაცებელი ფრინველია შავარდნისნაირთა გვარისა. კაკაჩიას გამახადის „ჰყავს შვილი გაუზი, მას ემართა შერგელაია მამაშის ვალი... კაკაჩიას და შერგელაიას საქმე გაარჩიეს: კაცია ჩიქვანმა, საუსტარ შერვაშიძემ და მურზაყან ანჩბაძემ. აღმოჩნდა, რომ კაკაჩიას ვალის გადახდა არ შეეძლო. მისმა შვილმა — გაუზიმ დადო ორი სასახლე, მაგრამ ესეც არ იყო საკმარისი. კაკაჩიამ კიდევ დადო ხატის კლიტე არჩივი, რომელიც მოსამართლეებმა მისცეს შერგელაიას; კაკუჩა (ქობ. რ.), ობუჯი (წალენჯიხის რ-ნი).

კაკაჩია მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის 1834-1855 წწ. მცხოვრებად 156 სულ ქართველს შორის აფსუური

გვარი თითზე ჩამოსათვლელი იყო. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კაკაჩია ივანე (ვანო) თეოფანეს ძე, ობუჯი (ზუგდ. მაზრა), საქ. დამსახ. მასწ-ლი. (წალენჯიხის რ-ნული გაზ. „კომუნიზმის დროშით“, 25. VIII. 79).

კ. ილიკო ხვიჩას ძე, მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. აგუბედიის მცხოვრები და ეროვნებადაბრუნებული. (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

კაკაჩიას გვარი 889 სულს ითვლის (წალენჯიხა – 412, ზუგდიდი – 183, თბილისი – 115, (გვარ-სახ. საქ-ში).

კაკუა კაკუა (მგრ.) – ნაყვა (მარილის) ან კაკო – პიროვნების საკუთარი სახელისაგან მომდინარე უნდა იყოს. კაკუა მხიარლა, შამორთა, მოირდინა, მართებთ ხოირის სასახლის ბეგარა... (1621).

კაკუბავა (იხ. კაკავა), კაკაბი ვარიის ტოლი გარეული ფრინველია (ქათმების ოჯახისა); კაკუ//კაკავას ძირია. კაკაბეთი (საგარ. რ.), კაკაბაური (თერჯ. რ.)

კაკუბავას გვარი 579 სულს ითვლის (ზუგდიდი – 251, თბილისი – 143, წალენჯიხა – 49), (გვარ-სახ. საქ-ში).

კაკუბერია (იხ. კაკუბავა) საგვარეულო 25 სულს ითვლის (თბილისი – 7, გორი – 6, ბათუმი – 3), (იქვე).

კაკუტია (იხ. კაკავა) კაკუტი – სახლის სახურავის დასაგები მრგვალი ხე საშუალო სიმსხოსი; კაკუთი (ოზურგ. რ.), ლეკეკუთიე – ჭყონი (მარტვ. რ.). ამრიგად, კაკუთ ადამიანის მეტსახელად უნდა ვიგულვოთ.

კაკუტიას საგვარეულო 63 სულს ითვლის (თბილისი – 29, მარტვილი – 5, წალენჯიხა – 5), (გვარ-სახ. საქ-ში, 102).

კაკულია ხურიტული სახელები: კაკო, კაკუი გვხვდება, აგრეთვე ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“. ამავე რიგში დგანან: კაკა, კანკა, კიკა... გვარები: **კაკაშვილი, კაკიაშვილი, კანკავა, კიკაძე, კიკიანი, კიკოლაშვილი, კაკულია, კუკულაძე** და სხვ. (ზ. ჭუმბ, დედაენა... 266); გურიაში კაკულიას უწოდებენ „წელში მოხრილ მორცხვ ადამიანსაც“. გამორიცხული არაა კაკულაა//კაკულიაში ულა კნინობითობის ბოლოსართი იყოს, ამ გვარის კაკ ძირი მაშინ დაუკავშირდება კაკავა გვარსახელს. ლეკაკულე (წალ. რ.), კაკულური (მარტვ. რ.).

კაკულია ფილიპე, მეტყვიამფრქვეველთა მეთაური, მისი ბიძაშვილი სიმონი, დედაქალაქს იცავდნენ და გმირულად დაეცნენ. (ქოჩიაშვილი მ., 13).

კ. მიხეილ ლევანის ძე, დ. 1915 წ. გაგრაში. დიდი სამამულო ომის ვეტერანი.

კ. ვლადიმერ დუტუს ძე, მოხსენიებულია ოჩამჩირის რ-ის სოფ. ბესლახუბის მცხოვრები და ქართველი ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთ. ინ-ტი., ოჩამჩირის საქმე)

კაკულიას გვარი 2803 სულს ითვლის (ზუგდიდი – 766, თბილისი – 267, მარტვილი – 307), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 241-ე ადგილზეა (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

კაკურია (იხ. კაკულია) საგვარეულო 113 სულს ითვლის (ჩოხატაური – 55, ბათუმი – 18, რუსთავი – 16) (გვარ-სახ. საქ.).

კალანდია გვარადქცეული ახალი წლის სახელი – კალანდა; ჭოლა (ჩხორ. რ.), კალანდა//კალანდია უნდა დარქმეოდა ბავშვს, რომელიც კალანდა დღეს, ახალ წელიწადს დაიბადა. ამრიგად, კალანდია კალანდას საკუთარი სახელისაგან მომდინარეობს. შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარები: კალანდაძე, კალანდარიშვილი.

კალანდობა – ახალი წლის სახელწოდება გურიასა და სამეგრელოში, ხოლო სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში ახალი წლის წინა ღამე.

კალანდია გენო, ცნობილი ქართველი პოეტი – აკადემიკოსი.

კალანდიას საგვარეულო 2788 სულს ითვლის (ზუგდიდი – 697, თბილისი – 494, წალენჯიხა – 476), (გვარ-სახ. საქ-ში). გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (2780 სული) მიხედვით, 249-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

კამლია ა-კალამ (აფხ.), კალამი (მგრ.), დ. გულია, ხელნაწ. ინსტ. საქმე, № 1934). უნდა იყოს კალამია-დან, კალამია – ღერო, ლერწამი (დ. ფიფია), მცენარე, რომლის ღეროსაგან აკეთებენ დგამ-ავეჯს.

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი, აქედან 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის კამლია (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კამლაია კეგვა, სიმონიკა კამლაიას ქალი – ხუჭე, კამლია, ხანასუ მოხსენიებული არიან, როგორც მდაბიონი, წარმართნი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8; 6, 7, 8). კამულია

ფუჯის ასული ფატიშ, მოხსენიებულია როგორც მდაბიო, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. აპრილში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6; 112).

კამკია კამკამა, რასაც კამკამი გააქვს — ელვარე, მოციმციმე (ქეგლ). კამკია — კამკმია. კამკიას ფონეტიკური ვარიანტი ჩანს კანკია და კანკავა გვარები.

კამკიას გვარი 146 სულისგან შედგება (ზუგდიდი — 34, თბილისი — 34, წალენჯიხა — 2), (გვარ-სახ, საქ-ში).

კანკავა (იხ. კანკია) ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, დ. 1916, მარტვილის რ-ნის სოფ. სერგიეთში, საბჭოთა კავშირის გმირი, 1942, სიკვდილის შემდეგ. (მათ ასახელეს, 212-217).

კანკავას გვარი 569 სულს ითვლის (თბილისი — 221, სენაკი — 242, ზუგდიდი — 46), (გვარ-სახ. საქ-ში).

კანკია (იხ. კამკია) საკ. სახელი კანკა, კამკა მიჩნეულია ბურიტული წარმოშობის სახელად (ჭუმბ. 13); კანკ-დო კანკ — (ჭან.), კაკ-კანკუა (მეგრ.), ქართ. კაკ-დაუ-კაკუნა=ზუსტი ფონემური შესატყვისი; კაკაში მუხური — ხორში — (სენაკ რ.), კანკიაშ ღალ (ღელე) — ჭოლა (ჩხორ. რ.).

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. 130 გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის **კანკია**. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997). გვარი მოხსენიებულია სოფ. აფიცხუაში ზღვის სანაპიროზე, (ტოპ. ქართულია, 1844 წ).

კანკიას საგვარეულო 1112 სულს ითვლის (ზუგდიდი — 334, მარტვილი — 206, თბილისი — 134) (გვარ-სახ. საქ.).

კ. მიხეილ ბართლომეს ძე, დ. 1900, სოფ. ხორშში, აბლანდ. სენაკ. რ-ნი, 1977, თბილისი, ქართველი ენათმეცნიერი, რუსისტი, ლექსიკოგრაფი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1952), პროფესორი (1953), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1961).

კანჯუა თუ ჯ ბგერა მონაცვლეა და ამოსავალი არის კანჭია, მაშინ ეს უკანასკნელი ნიშნავს ფეხის ნაწილს მუხლის თავიდან კოჭამდე (ქეგლ).

მე-19 ს. 30-იან წლებში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში მოსახლეობდა 400-მდე კომლი. აქედან 130 გვარეულობიდან 85-მდე მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის **კანჯუა**. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კაპანია ა-კაპან: I. წონა, 2. საწვავი, 3. ოყა, (ჯანაშია ბ. ლექსიკ.). კაპანა სოფ. აბაშის რ-ნში. სადაურობის მაჩვენებელი გვარია. კაპანელი (მგრ.) დატვირთული.

კაპანელი (ნამდვ. გვარი ჭანტურია) კონსტანტინე გრიგოლის ძე, დ. 1889, კაპანა, აბაშის რ-ნი, 1952, თბილისი, ქართვ. ლიტერატურათმცოდნე, ხელოვნებათმცოდნე — ესთეტიკოსი, ფილოსოფოსი.

კაპანაძე იოსებ (სოსო), დ. 1928 წ. ცნობილი გენეტიკოსი, ბიოლოგიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი. აფხაზეთის მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი.

კაპანაძე სიმონ დავითის ძე, დ. 1938, ქ. ფოთი... თბილისის VII საქალაქო კლინიკური საავადმყოფოს თერაპევტული განყოფილების ექიმი-ორდინატორი (1965-1968), საქ-ს ჯანმრთელობის სამინისტროს ინფარქტისა და მიოკარდიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-მუშაკი, (1968-1975), ამავე ინსტიტუტის ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის უფროსი მეცნიერ-მუშაკი (1975), ქ. თბილისის მთავარი თერაპევტი (1975), საქ. სსრ სახ. პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის ღარგში (1981).

კაპარჭია ნაწარმოები ჩანს კაპარჭა//კაპოჭია ადამიანის მეტსახელისაგან. კ. კაპარჭია კოჩიღე ჭალაის სასახლის „მიმდგომი კაცი", ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა (1616-1621).

კაჟია ნაწარმოებია კაჟა//კაჟია მეტსახელისაგან. ზაქარია, ბაილეთში მცხოვრები, მამია გურიელმა იგი შესწირა ჩახედანას საყდარს და დააკისრა ბეგარა... (1601-1627).

კარბაია კარ — კარე, ბა — შვილი, კარე(ს)შვილი. შდრ. კარბელაშვილი. კარბაია გვატი, დანი, ჩაალი, ახჩანა, ჯავაზ, სადღახან მოხსენიებულნი არიან, როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისა და ქრისტიანად მონათლულნი 1834 წ. აპრილში, დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფელ ფოქვეშში (გაზ. „საქართველო", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8; 3).

კარბია მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ათარაში მოსახლე მე-19 ს. I ნახ. აღრიცხვაში (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კარია „კარი" ძველი ქართული პირველყოფილი თემური ურთიერთობის დროინდელი ტერმინია და იგი თავდაპირველად ეროვნულ სამოსახლოს აღნიშნავდა. ეს მოსაზრება ივ. ჯავახიშვილმა წამოაყენა ჯერ კიდევ 1905 წ. ამას იზიარებდა ნ. ბერძენიშვილიც. (დ.

მუხსელშვილი, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის. (ისტორიის სერია, გვ. 14).

ჩვენ დავუმატებდით, რომ „კარი" (მგრ.) — კარე, რაც ნიშნავს დროებით სადგომს — ღამის გასათევს. ამჟამად მარტვილის რ-ნში არის ე. წ. კალანდიას კარე. ზაფხულში საძოვრებზე საქონლის ასარეკ დავაკებაზე იყო სადგომები: ძროხისათვის... პირველი ღამის გასათევი ადგილი (ავტორი მონაწილეა ღამის გათევისა სხვა მწყემსებთან ერთად). აქედანაა გვარები: **კარია, კარბაია, კარტოზია...**

კარკალია კარკარა (აფხ.), კარკალა (მგრ.), დ. გულია, კარკალი (ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934). კარკალიას გვარი 59 სულს ითვლის (ქუთაისი — 18, თბილისი — 9, სენაკი — 8), (გვარ-სახ. საქ-ში).

კართხია კარ-კარე, თხია — თხისა. კართხიას გვარი 27 სულს ითვლის (სენაკი — 15, ფოთი — 7, თბილისი — 4), (გვარ-სახ. საქ.).

კარსაბია კარ-კარე, საკ. სახელი (საბა). გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის მოსახლეთა ქრისტიანად მონათლის 1837 წ. სიაში (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კარტოზია შდრ. კარია, კარტოზიაში ნოხორუ (ნასახლარი) — აბედათი (მარტვ. რ.), კარტოზიაში ჭალე (სენაკ. რ. ბალმარანი (გულრ. რ.), კარტოზია — **კალტოზია** — კალატოზია. შდრ. იმერეთში გავრცელებული გვარი კალატოზი (ზესტაფონის რ-ნის სოფ. ზოვრეთი) და გურიაში ცნობილი გვარი კალატოზიშვილი.

კ. ლეონტი იოსების ძე, დ. 1889 წ. სენაკის მაზრის სოფ. ნოქალაქევში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოძრ. 310).

კ. ვახტანგი ივანეს ძე, დ. 1912 წ. ქ. ქუთაისში საქართველოს სსრ. დამსახ. ვეტექიმი (1962), სამამულო ომის ვეტერანი.

კ. არნოლდ თეიმურაზის ძე, დ. 1909, ზუგდიდი, 1979, მოსკოვი ქართველი სპეციალისტი ქვანახშირის მრეწველობის დარგში. სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1947).

კ. გიეი ალექსანდრეს ძე, დ. 1929, ქ. ბათუმი, ქართველი სპორტსმენი (კლასიკური ჭიდაობა). სსრკ სპორტის დამსახ. ოსტატი (1953). მსოფლიო სამგზის, სსრკ ოთხგზის ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი.

კ. ავთანდილ ეგორის ძე, მოხსენიებულია როგორც თბილისში მცხოვრები და ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

კარტოზიას საგვარეულო 1147 სულს ითვლის (თბილისი – 347, სენაკი – 207, ზუგდიდი – 144), (გვარ-სახ. საქ-ში, 105). გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებულ 1000 გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 919-ე ადგილზეა (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, III, 1997).

კარსალაია (იხ. კარია).

კასლანძია შეიძლება საკ. სახელი ასლანიდან მომდინარეობდეს (შდრ. კარსანიძე).

კასლანძია ლეუარსან შარდინის ძე, დ. 1912, სოფ. კვიტოული, ოჩამჩირის რ-ნი, აფხაზი საბჭოთა მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1954).

კატუკია კატუ (მგრ.) – კატა, კია – პატარა, კატა – ცინდალი. ტოპ. ოცინდალე ჩხოროწყუს რ-ნში.

კატუკიას საგვარეულო 128 სულს ითვლის (წალენჯიხა – 54, თბილისი – 32, ზუგდიდი – 13), (გვარ-სახ. საქ.).

კაშია ა-კაშია (აფხ.) არაფრად; არაფრად ჩაგდება. (ჯანაშია ბ. ლექსიკ.)

კაშია ჯანრი ილიას ძე, დაბ. ქ. ბათუმში 1939წ. დაამთავრა ქ. თბილისის პირველი საშ. სკოლა. თბილისის სახ. უნივერ., მუშაობდა საქ. ტელევიზიაში უმცრ. რედაქტორად 1964-66, ლექციებს კითხულობდა სამხატვრო აკადემიაში 1967-1978. 1982 წ-დან საფრანგეთის მოქალაქეა და მუშაობს ქართულ = ევროპული ინსტიტუტის დირექტორად. 1999 წ. აირჩიეს აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად.

კაშიას საგვარეულო 876 სულს ითვლის (ქუთაისი – 241, სამტრედია – 221, თბილისი – 197), (გვარ-სახ. საქ.).

კაცია წარმომდგარია კაცია საკუთარი სახელისაგან. საეკლესიო კალენდარში მიჩნეულია ადამ-ის შესატყვისი მნიშვნელობით (შდრ. ბერძნული არსენ „მამაცი“, „ვაჟკაცი“, გერმანული კარლ ნიშნავს „მამაკაცს“), (ახუაშვ. 394), მეგრულად კოჩი. კაცია მეფის ბოქაულთუხუცესი, მოწმე ლევან დადიანის მიერ ხონის ტაძრისათვის მიცემული განჩინების წიგნისა (1628-1639); ობუჯი, წალენჯიხის რ-ნი.

კაცია მოხსენიებულია მე-19 ს. I ნახ. დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. შქაწყარის მცხოვრებ სხვა ქართველებთან ერთად, სადაც აფსუების გვარი იყო (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კ. გივი ალექსანდრეს ძე, მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ოხურეის მცხოვრები და ქართველობადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

კაციას საგვარეულო 493 სულს ითვლის (ზუგდიდი – 111, ჩხოროწყუ – 104, წალენჯიხა – 97), (გვარ-სახ. საქ-ში.).

კაჭაბავა (იხ. კაჭარავა).

კაჭარავა 1. კაჭა – კოჭლი, რა – არის, კოჭლია; 2. კაჭარი – უწყლო ადგილის რიყის მსგავსი ქვა (ჩუბ.); კაჭარავა, საკაჭარაო (ქ. აბაშა), – ნორისი (აბაშ რ.), კაჭარავა ამოსავლად კაჭარ მეტსახელს გულისხმობს.

კაჭარავები წარმომავლობით არიან სოფ. ზანათიდან (აბაშის რ.). აქ არის მათი ძირი. აქედან გავრცელდა ეს გვარი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის: ჩხოროწყუსა და გალის რ-ების სოფლებში.

კაჭარავა ალექსანდრე, რევოლუციონერი, 1905 წ. 28 ნოემბერს სოჭში შექმნილი სახელმწიფო მილიციის ჯგუფის წევრი. (ტულუშკიან, 83).

კ. დავით კონსტანტინეს ძე (1902-1925), დ. სენაკის მაზრის სოფ. აბაშაში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში», (რევ. მოძრ., 317).

კ. იური მიხეილის ძე, დ. 1913 სოფ. ბანძაში, დღ. მარტვილის რ-ნი. ისტორიის მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1961), საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორ. (1983), აკადემიკოსი (1988), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1965), საქ. სსრ სახ. პრემიის ლაურეატი მეცნ. და ტექნიკის დარგში (1982), (ჯაფარიძე ს., 133).

კ. ნადია დ. გულრიფშის რ-ნის სოფ. ბაბუშერაში, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი.

კაჭარავები, ძმები, დაბადებულნი ქ. სოხუმში: ანატოლი (უფროსი) – სამხედრო ხომალდის მეთაური და ლეონიდი (უმცროსი) – ტანკისტი მუსრს ავლებდნენ ფაშისტ დამპყრობლებს. (გაზ. „სოვეტ. აფხ.“, 1942, 2 აგვისტო).

კ. პეტრე მიხეილის ძე, დ. 1908, ქუთაისი, 1968, თბილისი, ქართვ. აგრონომი, სოფლ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი (1962), საქ. მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1964).

კ. ეთერი სარდიონის ასული, ოჩამჩირის რ-ნის სოფ. რეკას მცხოვრები და ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე).

კ. ივანე ბესარიონის ძე (1894-1977), დ. საჭილაოში, ამჟ. აბაშის რ-ნი. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნ. დოქტორი (1944), პროფესორი (1964), საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (1955), საქ. სსრ სახ. პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1973), (ჯაფარიძე ს., 42).

კაჭარავას საგვარეულო 3108 სულს ითვლის (აბაშა – 1010, თბილისი – 820, ჩხოროწყუ – 210), (გვარ-სახ. საქ.).

კახაია ტერმინი „კახ" მიგვითითებს, რომ გვარი ეთნ. კახელი-საგანაა. კახი, საქ-ს ისტორიული პროვინციის – ჰერეთის მნიშვნელოვანი პუნქტი და მხარე (ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე); კახეთი (ზუგდ. რ.), „კახაია და ლანჩავა აგიაშვილების სათავადოს ყმა-გლეხები იყვნენ" (სოსელია, 1215). კახ საკუთარი სახელია ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში (შდრ. მარტვილობაჲ კონსტანტი კახაჲსი – ცნობილი ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლი). კახაია ქორთოძის მიერ ცაიშის ღმრთისმშობლისათვის შეწირული კაცი. საცაიშლოს შესავლის დავთრის მიხედვით ემართა... (1616-1621).

კახაიას საგვარეულო 131 სულს ითვლის (ქუთაისი – 46, წალენჯიხა – 37, თბილისი – 25), (გვარ-სახ. საქ.).

კედია ეტიმოლოგია საკვლევია. კედია მიშა (1902-1952), დიკა (1932-1982), ოლღა თოფურიძე (858-136), მექი (1878-1945) საფრანგეთშო პარიზთან ახლოს დ. ლევილის ქართულ პანთეონში განისვენებენ (გაზ. „ლიტ. საქ.", 1990, 14 IV).

კედიას საგვარეულო 90 სულს ითვლის (თბილისი – 49, ზუგდიდი – 21, ბათუმი – 12), (გვარ-სახ. საქ-ში).

კიკედიანი ზემო სვანეთის რ-ნის ლეშტერს მცხ. (მე-13 ს-ის II ნახ.) (სვ. ძეგლ. 121).

კ. ვალერიან ალექსანდრეს ძე, დ. 1911, ზუგდიდი, 1968, თბილისი ქართველი არქიტექტორი, საქ. სსრ დამსახ. ინჟინერი (1961).

კედია (იხ. კედია); გვარი 132 სულს ითვლის (ზუგდიდი – 81, თბილისი – 38, ჩხოროწყუ – 5), (გვარ-სახ. საქ-ში,).

კეზუა კეზ-ი (ხევს.) „ძალიან სქელი ან მაგარი ხე". კეზუა წარმომდგარია კეზე/კეზუ მეტსახელისაგან. შდრ. დასავლეთ საქართველოში (გურია-იმერეთში) გავრცელებული გვარი კეზევაძე, ასევე გვარსახელი კეზელი. მოსახლეობენ ჩხორ. რ-ში.

კეზუას გვარი 277 სულს ითვლის (ზუგდიდი – 249, თბილისი – 16, აბაშა – 1 (გვარ-სახ. საქ-ში).

კეკელია კეკელა – კეკლუცი (ქეგლ), კეკე – „მშვენიერი“, „ლამაზი“, „ტურფა“. წარმომდგარია საკუთარი სახელისაგან. შდრ. კეკელიძე; ლეკეკელე სოფ. მარტვილის რ-ნში, კეკია, კეკიას მთა ბორჯომის რ-ნის ხეობაში. მარტვილის რ-ნის სოფ. ბანძაში;. კეკელიძეები თავად ფალავების ყმა-გლეხები იყვნენ. (გეგეჭკორის ჰუზ., 69).

კეკელია დათა ცნობილი მჭედელი იყო XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში. ანტონ კეკელია კი ცნობილი იურისტი იყო ქუთაისის გუბერნიაში (იქვე, 70).

1896 წ. ბანძაში დაარსდა ერთკლასიანი სკოლა, რომელსაც 1917 წლამდე განაგებდა ანტონ კეკელია. ეს სკოლა 1896 წელსვე გადაკეთდა ორკლასიან საეკლესიო-სამასწავლებლო სკოლად, რომელიც უფრო მაღალი ტიპის სასწავლებელი იყო შვიდწლიანი კურსით. იგი დასავლეთ საქართველოს საეპარქიოს ექვემდებარებოდა.

კეკელია ჯანსულ გეოგრაფიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი.

კეკელიას გვარი 1248 სულს შეადგენს (თბილისი – 510, მარტვილი – 279, ზუგდიდი – 104), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებული გვარის სიაში და რაოდენობის (1248 სული) მიხედვით 826-ე ადგილზეა (გაზ. „საქართ.“, 6-8 მარტი, 1997).

კეკუა კეკუა: 1. ჩარტყმა, დაარტყამს (ქეგლ) (მარტვ. რ.). აქედანაა: კეკურია, კეკუტია... წარმომდგარია შერქმეული სახელისაგან. საკეკუო (სენაკ. რ.), ლეკეკიე – ვედიდკარი (მარტვ. რ.).

კეკუას საგვარეულო 392 სულს ითვლის (ზუგდიდი – 11, თბილისი – 69, ქუთაისი – 63), (გვარ-სახ. საქ.).

კეკუტია (იხ. კეკუა); საგვარეულო 720 სულს ითვლის (მარტვილი – 400, ზუგდიდი – 64, სენაკი – 37), (გვარ-სახ. საქ.).

კემულარია საფიქრებელია ისტორიულად კემულ ტოპონიმის არსებობა კემულარი=კემულელი, კემულის მცხოვრები.

კემულარია – ნათაძე ლუბა მანუჩარის ასული (1891, სოფ. ზუბი, ახლანდ. ხობის რ-ნი), ქართველი ბოტანიკოსი, ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1965), საქ. სსრ. მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1966).

კ. იოსებ (1879-1956), მარგარიტა (ეიხენ-ლაუბ), 1892-1968 საფრანგეთში, პარიზთან ახლოს დ. ლევილის ქართულ პანთეონში განისვენებენ (გაზ. „ლიტ. საქ.“, 1990, 14 აპრილი).

კემულარიას საგვარეულო 707 სულს ითვლის (ზუგდიდი – 225, თბილისი – 124, სენაკი – 99), (გვარ-სახ. საქ-ში, 108).

კენჯია მგრ. – დედოფალა; კენჯ. სოფ. წარჩეში (ოჩამჩირის რ-ნის სოფ. რეფში).

კენჯია აქვსენტი პაულეს ძე, მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. რეკაში მცხოვრები და ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე). საგვარეულო 92 სულს შეადგენს (ზუგდიდი – 31, წალენჯიხა – 13, თბილისი – 11), (გვარ-სახ. საქ-ში).

კერკენჯია ეტიმოლოგია საძებნია.

კეტამსკირი კეტი (აფხ.), კეტი (მგრ.) – ჯოხი, დ. გულია (ხელნაწ. ინსტ., საქმე № 1934), სკირი (მგრ.) – შვილი. კეტამიში ქართული წარმოშობის ლაზური გვარია. აქედანაა ნათარგმნი გვარი სუფილ-ოღ ლი, სოფალ ჯოხიანს (ჯოხით, კეტით შეიარაღებულს) ნიშნავს, ოღლი კი – შვილს. შდრ. ჯოხაძე, ჯოხაია, კეტაშვილი... (ტუღუში, 26). აქედანაა გვარი **კეტია**.

კერშილავა შდრ. კეშელავა. კერ-ი დაუკოდავი მამალი ღორი. კერშილობა იგივეა, რაც ღორის დაგრილება, ღორთა მაკინტლობა (ქეგლ). გვარსახელი მიღებული ჩანს კერშილა მეტსახელისაგან. კერშილავა ულვინობა, ემართა ჯგალის ციხის ისეთივე ბეგარა, როგორიც ბუმბუა შამიბიას... (1616-1621).

კეშილავა ვლადიმერ ანტონის ძე. დ. 1893, თბილისი ქართვ. გრაფიკოსი საქ. სსრ ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე (1958), თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი (1943).

კეშელავას საგვარეულო 794 სულს შეადგენს (თბილისი – 211, ჩოხატაური – 154, ბათუმი – 128), (გვარ-სახ. საქ-ში).

კეცია კეც-ი თიხის (ან თირის ქვის) ბრტყელი, მრგვალი დაბალკიდიანი ჭურჭელი, რომელშიაც აცხობენ მჭადს, პურს... (ქეგლ). წარმომდგარია კეცია მეტსახელისაგან.

კეცები, მთა ამბროლაურის რ-ნში, რაჭის ქედზე. საკეცია სოფ. ამბროლაურის რ-ნში. (მგრ.); პირდაპირი თარგმნით – ჭრა (ხისა); ნაკვათუ-კურზა (მარტვ. რ.), წარმოშობილია კვათუ შერქმეული სახელისაგან.

კვაკვავა 1. მგრ. კვაკვუ – პატარა რამ წეებს (დ. ფიფია); 2. კვაკვუა – კოდვა (ელიავა გ., ლექსიკ.); 3. კვაკვალი – განუწყვეტელი საყვედური, ლაპარაკი (კილანავა).

გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის მოსახლეთა გაქრისტიანების 1837 წ. სიაში (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კვაკვარქირი (კვაკვასქირია) საკ. სახელი კვაკვა, სქირი (მგრ.) — შეილი.

კვაკვასქირი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინას მოსახლეობის აღწერის 1837 წ. სიაში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კვაკვარქირი ხმაფ მოხსენიებულია როგორც მდაბიო წრისა, წარმართი და გაქრისტიანებული დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში 1834 წ. იენისში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7; 38).

კვარაია კვარია (მგრ.) — ყვავი. კვარიათი სოფ. კირნათის და გონიოს თემში (ხელვაჩაურის რ-ნი) (რაჭა).

კვარცხალაია (იხ. კვარაცხელია); გვარი 35 სულისაგან შედგება: ზუგდიდი — 32, თბილისი — 3 (გვარ-სახ. საქ-ში).

კვარაჩხელია (იხ. კვარაცხელია)

კვარანცხელიას გვარი 24 სულს ადგენს: ოზურგეთი — 13, ლანჩხუთი — 10, წყალტუბო — 1 (გვარ-სახ. საქ-ში).

კვარაცხელია კვარ-ა-ცხელია, კვარი — ფიჭვის ან ნაძვის ხის მორის ანახეთქის ფისიანი ნაჭერი, იწვის სანოლივით, ცხელია. ნაკვაჩხარი (მგრ.) ნაკვერცხალი. ამრიგად, კვარაცხელია კვარაცხელ(ია) მეტსახელისაგან უნდა მომდინარეობდეს. გადმოცემით, რაჭაში კვარა სოფელი და ციხესიმაგრეა. ერთმა მეციხოვნემ დააშავა, გამოიქცა სამეგრელოში, კერძოდ, წალენჯიხაში და თავისი ნამდვილი გვარის დაფარვის მიზნით განაცხადა — **კვარაციხელი** ვარო. ამჟამად გავრცელებული გვარია: „ქუდი რომ ააგდო, კვარაცხელიას მოხვდება თავშიო“, იტყვიან სამეგრელოში. სკურში და ჯგალში მოსახლე კვარაცხელიების წინაპარი გადმოსულა სვანეთიდან. (მაკალათია, 24-4). ლეკვარაცხელე — ნაკიანი, საკვარაცხელიო (ქვემო ჩხორწყუს. რამდენიმე სოფელია (წალენჯ. რ.). სახელგანთქმული მწყემსები, ძროხის ჯიშების გამოყვანის ოსტატები, ჰქონდათ პირუტყვის საკუთარი ნიშანი — დაღი. კვარაცხელი პატია — მოლარე, გააყოლეს მზითევში მარიამ დედოფალს (1634).

კვარაცხელიანი — სვანური გვარი მოხსენიებულია XIV საუკუნის „სვანეთის სულთა მატიანეში“ (თ. მიბჩუანი, აფხ. მეფეები... 21).

კვარაცხელია ბესარიონ ბახუს ძე სოფ. ჯგალის, ამჟამად წალენჯიხის რ-ნი, მღვდელი, სამღვდელოების მმართველობის ცნობის არქონე. (საისტ. მ., II. 150).

კ. ლევან და ბათაია უტუ მიქავამ დანიშნა წალენჯიხაში ჯვანყების მეთაურად, (იხ. მიქავა უტუ).

კ. ლევან უჩარდის ძე, სოფ. წალენჯიხიდან (დღ. წალენჯიხის რ-ნი) ყმა-გლეხი თავადის პლატონ დადიანისა, გადასახლებული ციმბირში 15 წლით, როგორც სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების მონაწილე. („საისტ მოამბე" წ., II, გვ. 146).

კ. მახუ კოჩოს ძე, სოფ. ჯგალიდან (წალენჯიხის რ-ნი), ყმა-გლეხი იულონ დადიანისა, გადასახლებული ციმბირში 6 წლით სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების მხარდაჭერისა და მემამულეთა ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევისათვის. (საისტ. მ., 147).

კ. ჯოტო ომირტას ძე, სოფ. ჯგალიდან (ამჟამად წალენჯიხის რ-ნი), ყმა-გლეხი დათო დადიანისა, გადასახლებული ციმბირში 6 წლით, სამეგრელოს გლეხთ 1857 წლის აჯანყების მხარდაჭერისა და მემამულეთა ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევისათვის (საისტ. მ., 146).

კ. ბეხუ მაგულის ძე, სოფ. ჯგალიდან, დღ. წალენჯიხის რ-ნი, თავად დუტუ დადიანის ყმა-გლეხი, სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების აქტიური მონაწილე, რუსეთის ხელისუფლებისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისათვის 10 წლით ციმბირში გადასახლებამისჯილი, (საისტ. მ., II, 149).

კ. ბახუ ყურუს ძე სოფ. ჯგალიდან ამჟ. წალენჯიხის რ-ნი, ყმა-გლეხი დათო დადიანისა, გადასახლებული ციმბირში 6 წლით, სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების მხარდაჭერისა და მემამულეთა ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევისათვის, (საისტ. მ., II, 146).

კ. ხუტუ მაგულის ძე, სოფ. ჯგალიდან, დღ წალენჯიხის რ-ნი, ყმა-გლეხი თავადი იულონ დადიანისა, გადასახლებული ციმბირში 6 წლით, სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების დაჟინებითი მხარდაჭერისა და მემამულეთა ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევისათვის, (საისტ. მ., II, 147).

კ. შალვა იასონის ძე, დ. გულრიფშის რ-ნის სოფ. განახლებაში, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1994), პროფესორი (1995).

კ. მოსე მურზას ძე (1882-1942), დ. ზუგდიდის მაზრის სოფ. ჯგალში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოძრ., 325).

კ. ალექსანდრე (ალიკო) ილიას ძე ნაკიანი (ჩხორ. რ.), სოც. შრ. გმირი („კომ. დრ." 20.IX.83).

ჯ. მიხეილ ვასილის ძე, (1910-1987), ნაკიფუ (წალენჯ. რ.) სოც. შრ. გმირი (წალენჯ. რ-ნული გაზ. "კომ. დრ.", 5.II-87).

ჯ. მამანტი დათოს ძე, ჯგალი (წალენჯ. რ.) სსრკ დამსახ. აგრონომი.

ჯ. ტარასი ყარამანის ძე, დ. 1889, სოფ. ნაკიფუ, ახლანდ. წალ. რ-ნი, 1951, თბილისი) ქართვ. აგრონომი, სოფლ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1936), პროფესორი (1946), საქ. სსრ აკად. აკადემიკოსი (1941), საკავშირო მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (1948), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1946).

ჯ. ნუცა ექვთიმეს ასული, ნაკიფუ (წალ. რ.), სოფ. მეურნ. დამსახ. მუშაკი.

ჯ. ნაპო იროდის ძე, დ. 1945, ბაღმარანი, გულრიფშის რ-ნი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1985), პროფესორი (1985).

ჯ. პარმენ თეოფანეს ძე, საქ. სსრ დამსახ. ექიმი, დიდი სამ. ომის მონაწილე, ომისა და შრომის ვეტერანი, (წალენჯ. რ-ნული გაზ. „კომ. დრ." 29. XI. 80).

ჯ. ბორისი ესტატეს ძე, დ. 1964 წ. გულრიფშის რ-ნის სოფ. განახლება. ისტორიის მეცნ. დოქტორი (1987), პროფესორი (1990), რამდენიმე მონოგრაფიისა და მეცნიერული სტატიის ავტორი.

ჯ. რაჟდენ ნესტორის ძე, ნაკიფუ (წალენჯ. რ.), საქ. სსრ დამსახ. მასწ.

ჯ. ძიკი სახელგანთქმული მეჯოგე, თვითნასწავლი სელექციონერი, მეგრული (შემდეგ კვარაცხელიას) ჯიშის სახელწოდებით ცნობილი პირუტყვი. (გაზ. „ლენ. დრ.", 9.IX.75).

ჯ. სოლომონ, ჯგალი (წალენჯ. რ.), საქ. სსრ დამსახ. მასწ. (წალენჯ. რ-ნული გაზ. „კომუნიზმის დროშით", 10.IV.89).

ჯ. თადა, წალენჯიხაში განთქმული მჭედელი, დანის დამზადების ოსტატი. „კვარაცხელიას დანა" ცნობილი იყო მთელს საბეგრელოში, (სამეგრელო, 94).

ჯ. დურუ ანდროს ძე, დ. 1925, წალენჯიხის რ-ნის სოფ. ნაკიფუში, საქ. სსრ და აფხაზეთის ასსრ საპატიო წოდების მქონე, სამამულო ომის ვეტერანი.

ჯ. მარგო ანდრიას ასული ნაკიფუ (წალენჯ. რ.), გმირი დედა (1969).

ჯ. იროდი ისლას ძე, მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის მცხოვრები და ქართული ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

კვარაცხელიას საგვარეულო ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარია დასავლეთ საქართველოში. ის შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ათასი ყველაზე გავრცელებული გვარის სიაში და რაოდენობის (13618) მიხედვით მე-6 ადგილზეა. მოსახლეობენ: წალენჯიხა – 4952, ზუგდიდი – 3533, თბილისი – 1116 (გვარ-სახ. საქ-ში,).

კვარტავა 1. კვარტი (მგრ.) წიხლი; 2. კვარტი ლიტრზე ცოტა მეტი (გ. ელიავა, მეგრ. ლექსიკ.).

გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის მოსახლეთა ქრისტიანად მონათვლის 1857 წ. სიაში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კვარტავას ქალი რიფა; ბაზა, ძმა – ტიტი მოხსენიებულნი არიან როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისა და ქრისტიანად მონათლულნი 1834 წ. მარტში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფელ – ეშკიდს (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8; 3).

კვარქალია (იხ. კვარტავა) მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის 1834-1835 წწ. მცხოვრებ 156 სულ ქართველთა შორის, სადაც აფსუური გვარი თითზე ჩამოსათვლელი იყო. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კვარჩელია „ელ“ სუფიქსი სადაურობაზე მიგვითითებს, ტყვარჩელი – ტკვარ-ჩე-ლი (მგრ.) ტკვა – კობე, რჩელი – დაწვენილი; ტკვარჩელი ქვანახშირის ქალაქი აფხაზეთში.

კვარცხავა (იხ. კვარაცხელია); საგვარეულო 75 სულს ითვლის (თბილისი – 25, ზუგდიდი – 16, რუსთავი – 10), (გვარ-სახ. საქ.).

კვატაია კვატა აფხ. და მეგრ. კვატა ფრინველი – იხვი.

კვატაიას გვარი 124 სულისგან შედგება (თერჯოლა – 69, ქუთაისი – 75, ზესტაფონი – 6), (გვარ-სახ. საქ-ში).

კვატანია (იხ. კვატაია); გვარი 109 სულისაგან შედგება (ზუგდიდი – 36, წალენჯიხა – 23, ჩხოროწყუ – 9), (გვარ-სახ. საქ-ში).

კვატაში ლაზური გვარია. საკ. სახელი კვატა-დან.

კვატაში მოხსენიებულია გუდაუთის რ-ნის სოფ. აფიცხუს ბარმიშის თემის მცხოვრები 1844 წ. 300-მდე ქართველთაგანი (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კვატია კვატია (მგრ.) – იხვი. წარმომდგარია კვატია შერქმეული სახელისაგან. კვატია სოფ. ხულოს რ-ნში.

ბაბუაჩემის მამის ნასახლარი კვატიაში ნოხორი (ნასახლარი),

ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ჭოლის ლეჯომიდეს ტერიტორიაზე (ავტორი).

კვატია გვარი 21 სულს ითვლის (თერჯოლა – 16, თბილისი – 1, ზუგდიდი – 1), (გვარ-სახ. საქ-ში, 109).

კვაშალავა კვაშილავა წარმომდგარი კვაშილა მეტსახელისაგან. საკვაშილო – ზანა (სენაკ. რ.), ლეკვაშილე – თამაკონი, კოწია (მარტვ. რ.), მერხეული – ღერძეული (გულრ. რ.), ჭოლა (ჩხოროწყ. რ.).(იხ. კვაშილავა); გვარი 43 სულს შეადგენს (მარტვილი – 29, ბათუმი – 6, თბილისი – 2), (გვარ-სახ. საქ-ში.).

ზანელი კვაშილავები თავად აფაქიძეთა ყმა-გლეხები იყვნენ.

კვაშჩია უნდა იყოს კვაშილა. ბუძოლეი, ბორძას მცხოვრები, ლევან დადიანმა მამამისის მანუჩარის სულის მოსახსენიებლად შესწირა თაწმინდის ხარების ღვთისმშობელს (1642). (მასალები, 45).

ამჟამად კვაშილავების საგვარეულო 1607 სულს ითვლის (მარტვილი – 358, სენაკი – 253, თბილისი – 235), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 604-ე ადგილზეა (გვარ-სახ. საქ.).

კვაჭაია წარმომდგარი ჩანს კვაჭი მეტსახელისაგან. შდრ. ქართული გვარი კვაჭაძე.

კვაჭალია წარმოშობილი ჩანს კვაჭალია (=კოჭლის) მეტსახელისაგან. ხვაჭაეთი სოფ. ოზურგეთის რ-ნში. ვაშკურუდა, ისაგუჯუ, ცაიშელი, სამართალ, თამაზი, მახილია ცაიშს მცხოვრებთ ეძართათ ცაიშის საყდრის ბეგარა... (1616-1621).

კვაჭია 1. კვაჭა – პატარაა, დაბალი, მორჩილი ტანის ადამიანი (ქეგლ). 2. ასევე კვაჭია იტყვიან – მოხერხებულიაო ყოველ საქმეში. შდრ. ჩვენი გამოჩენილი ბელეტრისტის მიხეილ ჯავახიშვილის რომანის მთავარი გმირის სახელი „კვაჭი კვაჭანტირაძე“.

კვახაია საკ. სახელი კახა – შეიძლება ეს სახელი ბოსტნეულ მცენარე – კვახიდან იყოს წარმოებული, კვახი – გოგრა, კვახი აყირო (ბალ.). „ესეცა სამგუარნი არიან: აყირო, გოგრა და ბაბა“ (საბა).

კვახიძეები შუახევის რ-ნის (რაჭა) სოფ. დღვანიძეში მოსახლეობენ.

კვეკველია (იხ. კვეკვესკირი); საგვარეულო 20 სულს ითვლის (თბილისი – 4, მარტვილი – 16), (გვარ-სახ. საქ.).

კვეკვესსჭირი კვეკვე-სჭირი (მგრ.) კვეკვე – საკ. სახელი. სჭირი – შვილი.

კვეკვესკირი სამი ძმა: შამან, თენგიზ და ბახვა მოსახლეობდნენ

გუდაუთის რ-ნის სოფ. ბზიფში. ერთს შემოკვდომია კაცი და სოფელს გაუსახლებია ბზიფიდან. ერთი დარჩენილა გუდაუთაში, ხოლო ორი წამოსულა გალში. აქედან ერთი დარჩენილა გალში, ხოლო მეორე ამავე რ-ნის სოფ. ხუმუშკურში. ორივე ფლობდა აფხაზურ ენას. (მიამბო სოხუმის V სკოლის მასწავლებელმა კვეკვესკირმა და მთხოვა სახელი არ გამემჟღავნებინა).

კვეკვესკირი ნიკოლოზ ვანოს ძე მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. აგუბედიის მცხოვრები და ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

კვეკვესქირები ამჟამად 20 სულს შეადგენენ (ბორჯომი — 3, თბილისი — 17), (გვარ-სახ. საქ.).

კვეკვესქირი (იხ. კვეკვესკირი); საგვარეულო115 სულს ითვლის: ზუგდიდი — 73, თბილისი — 24, სენაკი — 4 (გვარ-სახ. საქ.).

კვერკვეცია კვერ-კვეცია 1. კვერი — კვერი, კვეცია — ნაპერწკლების გაყრა, დაკვეცება; 2. გაბედულად ლაპარაკი (გ. ელიავა, ლექსიკ). კვერკვეციების ტყე — სამიქაო (აბაშ. რ.), კვეკვეცია, ნაკვეკვეცუ — ნახონაუ (მარტვ. რ.).

კვესელავა წარმომდგარია საკუთარი სახელ კვესელასაგან, რომელშიც -ელა კნინობითობის სუფიქსია. შდრ. სახელი კვესი. 1. კვესია (ივ. ჯავახ. ეკონ. ისტ. ძეგლ... 53); 2. „კვესი — ფოლადის ბრტყელი ნაჭერი, რომლის ტალზე (კაჟზე) ჩამოკვრით აჩენდნენ ცეცხლს“ (ქეგლ).

კვესელავები ჩამოსულან მარტვილიდან აფხაზეთში და დასახლებულან თაგილონში (გალ. რ.). იქ ბატონის მოკვლის გამო გვარი შეუცვლიათ და კვესელავა დაურქმევიათ (მიამბო დიდი სამამულო ომის ვეტერანმა ნიკოლოზ კვესელავამ). კვესელავაში რ განვითარებულია: კვესელავა კვერსელავა.

კვესელავა დავით ალექსანდრეს ძე, დ. 1911, სოფ. ლეციცხვაიეში, ამჟ. მარტვილის რ-ნი, მეცნ. დოქტორი (1952), პროფესორი, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამოთვლითი ცენტრის დირექტორი (1956), ფიზიკა-მათემატიკის მეცნ. დოქტორი, მეცნ. დამსახ. მოღვაწე.

კვესელავას საგვარეულო 702 სულს ითვლის (მარტვილი — 380, თბილისი — 125, ზუგდიდი — 47), (გვარ-სახ. საქ-ში).

კვეცია საკვეცი (მგრ.) — საკვესი. „ცეცხლს ვშობ კვესითა“ (ჩუბ.); წარმომდგარია კვეცია მეტსახელისაგან. ნაკვეცუ — სერგიეთი, საკვეციო (მარტვ. რ.).

კვიკვანია (ალბათ საკ. სახელი კვიკვასაგან წარმომდგარია. კვიკვა — ნართი (გ. ელიავა, ლექსიკ). კვიკვინია გლეხი, მცხოვრები დღ. ზუგდიდის რაიონის სოფ. ხეთაში, ჩინოვნიკ შერემეტიევის მკვლელობაში ეჭვმიტანილი სამეგრელოს გლეხთა აჯანყების დროს (1857). (სცსა, ფ. 4, აღ წ. I, 451).

კვიკვინიას საგვარეულო ამჟამად 747 სულს ადგენს (ზუგდიდი — 114, ფოთი — 51, თბილისი — 47), (გვარ-სახ. საქ-ში).

კვიკვილია კვიკვილი (მგრ.) — სინსილა. ჩხოროწყუს რ-ნში 1 ოჯახია 4 სულით.

კვიკვინია (იხ. კვიკვილია); არის მეგრ. სიმღერა „ოსვისვინა, ოკვიკვინა სი ეშმაკი სქვამი ცირა". ინაზები... შე, ეშმაკო ლამაზი ცირავ. საკვიკვანიო სოფ. ხობის რ-ნში.

კვინრია კვინორი — თრითინა, შავი ფერის, ტყავს ქალები ხმარობენ პალტოზე გადასადებად. გუგუნის ცოლი — ეკა მოხსენიებულია, რომორც მდაბიო ხალხის წარმომადგენელი, წარმართული სარწმუნოებისა და ქრისტიანად მონათლული 1834 წ. აპრილში, დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ფოქვეშში (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., მარტი, 1987, გვ. 8).

კვინჩია სკვინჩა პატარა ფრინველია. 10 ოჯახია 38 სულით ჩხოროწყუს რ-ნში (ახალაია, 3-7).

კვინჩიას საგვარეულო საერთოდ კი ამჟამად 245 სულს შეადგენს (ხობი — 97, ფოთი — 58, ჩხოროწყუ — 44), (გვარ-სახ. საქ-ში).

კვირაია დაბადების დღე — კვირა. კვირია — განაყოფიერების და შვილიანობის ღვთაება (ჯავახ. I, თბ., 1928, გვ. 3-6); საკვირეთიო, (შიდა ქართლი); კვირაული — კვირა აული — კვირაების უბანი, კვირიას ხევი სოფ. თიანეთის რ-ნში.

კვირიას საგვარეულო 280 სულს ითვლის (სენაკი — 101, ზუგდიდი — 34, თბილისი — 30), (გვარ-სახ. საქ.).

კვირკვაია წარმომდგარია კვირკვა მეტსახელისაგან,რომელშიც -აა კინინობითობის სუფიქსია. გუმიხილია, საქუჩულორიეს მცხოვრები ლევან დადიანმა იგი შესწირა ბიჭვინთის ტაძარს (1628).

კვირკვაიას საგვარეულო 268 სულს ითვლის (სენაკი — 44, ჩხოროწყუ — 27, ფოთი — 19), (გვარ-სახ. საქ.).

კვირკვია — 1. კვირკვე (მგრ.) ივლისი; 2. კვირკვი — ძაფის კოჭი (კილანავა); გვარი — დაბადების თვის აღმნიშვნელია; ნაკვირკვე — გურძემი (მარტვ. რ.), საჩინო წალენჯიხის რ-ნი, ზედა — კვირკვე, ქვედა კვირიკე სოფლებია, კვირკვია ქობულეთის რ-ნში, კვირაული — სოფ. შუახევის რ-ნში.

ზოგიერთი ვერსიით, კვირკვია იყო ნამდვილი გვარი ქართველი პოეტი ტერენტი გრანელისა.

კვირკვიები ზემო სამეგრელოს აფაქიძეების ყმა-გლეხები იყვნენ. (სოსელია, III, 166).

კვირკვია ხუსენია წალენჯიხის რ-ნის სოფ. საჩინოს გლეხთა 1856-1857 წწ. აჯანყების მეთაური (გაზ. „კომ. დროშით", 3, 9, 87).

კვირკვია 458 სულს ითვლის (წალენჯიხა — 322, ზუგდიდი — 95, თბილისი — 16), (გვარ-სახ. საქ.).

კვირკველია სადაურობაზე მიგვითითებს; 1. კვირიკე სოფ. ზემო სვანეთში. სოფლის თავზე დგას წმინდა კვირიკეს სახელობის ეკლესია; საქართველოში მტრის საშიშროების დროს აქ ამოჰქონდათ განსაკუთრებით დას. საქართველოს ეკლესიებიდან ძვირფასეული ნივთები, ხატები, ჯვრები... 2. კვირიკე ჩხოროწყუს რ-ნში „ნაოხვამუ (ნაეკლესიარია) ოსინდალეში" (ელიავა, ჩხორ. ტოპ.). ოსინდალე მთაა და უწოდებენ თაიას. კვირიკი სოფ. სამტრედიის რ-ნში. წინაკვირიკე სოფ. მარტვილის რ-ნში. კვირიკეთი სოფ. ჩხოროწყუს რ-ნში, კვირკველიები მოსახლეობენ მცხეთის რ-ნის სოფ. ძოწირეთში.

კვირკველია — „რკინის დამუშავების ხანგრძლივი ტრადიციის მაჩვენებელია გვართა და გეოგრაფიულ პუნქტთა სახელები, რომელთაგან ბევრს დღემდე შერჩენილი აქვს სახელთან დაკავშირებული ტრადიცია წარმოებისა", მაგალითად: კვირკველია (ე. ი. კვერი, კვერია, ქართულად კვერე, ქვერე ან ჭედე). (აკად. ა. აფაქიძე).

აბაშის რ-ნის სოფ. კათხადან **კვირკველიების** რამდენიმე ოჯახი გადავიდა ლაგოდეხის რ-ნში და იქ გახდნენ **კვერკველაძეები** (ლაგოდეხელი კვერკველაძეები ყოფილი კვირკველიები არიან). (ახუაშვ., ი., ქართ. გვარ-სახ. საიდუმლ. გვ. 92).

კვირკველია მამუბიას, დონუჩას, სანასრას, მამისარისა, კახაბერასა, გავაშელ, მაკაკასას, სვიმონს, გამიგონის დედისკილს, მამისარას, პაპას, გუგულას მართებთ ხოირის ეკლესიის გასაღები ოც-ოცი თეთრი თითოეულს (XVI), (ქართ. სამართ. ძეგლ., 3, 350).

კ. ბესარიონ (ბესო) მელქისედეკის ძე, დ. (1885-1937) ს. ოზურგეთის მაზრის დაბა ლანჩხუთში აზნაურის ოჯახში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში, (რევ. მოძრ, 329).

კ. გიორგი დომენტის ძე, დ. 1920, თსუ-ს დოც. დიდი სამამულო ომის ვეტერანი. (ზაქარიაძე, ე. 28).

ქ. გივი სკვინჩას ძე, მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. აგუბედიის მცხოვრები და ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

გვარი მრავალრიცხოვანია და შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში. ამჟამად 2693 სულს შეადგენს (თბილისი 452, ჩხოროწყუ – 450, სენაკი – 339), (გვარ-სახ. საქ-ში, 110).

სვანი, კვირკველიანი მოხსენიებულია ზემო სვანეთის რაიონის სოფ. ეცერში (XIII ს-ის II ნახ. სვ. ძეგლ.). საკვლევია მთიდან ბარში მიგრაციასთან გვაქვს საქმე თუ პირიქით, მგონი, ერთიც და მეორეც.

კვირკვილია (იხ. კვირკველია); საგვარეულო 22 სულს ითვლის (თბილისი – 4, ქუთაისი – 4, ზესტაფონი – 1), (გვარ-სახ. საქ-ში).

კვირკვინია (იხ. კვირკველია); საგვარეულო 21 სულისაგან შედგება (ზუგდიდი – 8, ბათუმი – 4, გარდაბანი – 1), (გვარ-სახ. საქ-ში 110).

კვირკუცლია (იხ. კვირკველი), გ(ა)მიგონა, გავაშელი, შაბუბია, დოხუჩა, დედისკეთილ, მამისარა, პაპა, მაკაკაი, სანაოარა, სვიმონა, შაბუბია წყალგზის მცხოვრები, ემართათ ხოფის ღვთისმშობლის ეკლესიის ბეგარა, თითოეულს ოც-ოცი თეთრი (1550).

კვირკუცლია მამუბიას სანაპირს, მამისარისას, კახაბერას, გავაშელს, მაკაკას, სჯმონს, გმიგონის, დედისკილას, მმისარას, პაპას, გუგულას – ხოფის ეპისკოპოსის გლეხებს მართებს ოც-ოცი თეთრი თითოეულს (XVI), (დას. საქ. საბ. წ. I, 14).

კვირტია კვირტი – მცენარეულის წამონაზარდი; წარმომდგარია კვირტი, კვირტია მეტსახელისაგან. შდრ. გვარები: კვიტიშვილი, კვიტაშვილი.

კვირტია მამანტი, დ. 1912, დღ. ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. კირცხში, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებულო ჟურნალისტი.

კვირტიას საგვარეულო 567 სულს შეადგენს (ზუგდიდი – 149, ჩხოროწყუ – 149, თბილისი – 94), (გვარ-სახ. საქ-ში).*

კვიწინია 1. კვიწიანა – პატარა ქოთანი (იმერ.); 1. კვიცი – ცხენის შვილი (ჩუბ.); აქედანაა: კუწნია, კუწანი, დაბალ ეკალთაგან აღმართული (საბა). კვიცინია იგივე გვარია, რაც კვიწინია. იმერ. კვიწინა=ლამაზი, მშვენიერი, კოხტა, მოხდენილი. ამრიგად, კვიცინია//კვიწინია მეტსახელი უნდა ყოფილიყო ისტორიულად.

გვარი მოხსენიებულია გუდაუთის რ-ნის სოფ. ბარმიშში 1844 წ. მცხოვრებ 300-მდე ქართველთა შორის. ოჩამჩირის რაიონის სოფ.

კვიტოულის მოსახლეთა ქრისტიანად მონათვლის 1837 წ. სიაში, სოფ. ათარის მცხოვრებნი. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კვიწინია ქვაბსაჩი, ვაჟი — გიდ, ჯენგერი, ქალი — ხან, და — ჯუჯა, ნარჩაუ — ცოლი — ავჯიხან მოხსენიებულნი არიან, როგორც მდაბიონი, წარმართნი და ქრისტიანად მონათლულნი 1834 წ. იანვარში, დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ათარაში (გაზ. „საქართვ., სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8; 6, 7).

კ. ოროდი შალვას ძე მოხსენიებულია როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. აგუბედიის მცხოვრები და ქართველის ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

კ. ოროდი დოროთეს ძე მოხსენიებულია, როგორც თბილისში (თემქა IIმ/რ, I კვ. მე-4 კორპ. ბინა 48) მცხოვრები და ეროვნება-დაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (2514 სული) მიხედვით 314-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

კ. შენიშნავს ეტიმოლოგია საკვლევია. თაგვა, ძენი: მაქვა, გიდი, ასულნი: ხუზ, ყარარუ მოხსენიებული არიან როგორც მდაბიო ხალხი, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. ივნისში, დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., 1997, გვ. 6; 6).

კიზირია საქმიანობაზე მიგვითითებს. კიზი მგრ. — კოვზი (კოვზის ხელოსანი); საკიზირიო — ნაესაკავო (აბაშ. რ.), კიზირიაში ნოხორუ (ნასახლარი) — ძვ. სენაკი (სენაკ. რ.), საკიზირიო — ლესიჭინე (ჩხორ. რ.), კიზირიაში ტყალეფი (ტყე) — ლეხაინდრავე (მარტვ. რ.).

კიზირია ანტონ, ცნობილი ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

კ. ბენიტო ივანეს ძე (1930, თბილისი), ქართვ. გეოფიზიკოსი, სსრკ სახ. პრემიის ლაურეატი.

კიზირიას საგვარეულო 560 სულს ითვლის (აბაშა — 182, თბილისი — 145, ფოთი — 70), (გვარ-სახ. საქ-ში).

კიკავა საკ. სახელი კიკასაგან. კიკავა ადგ. გამოთქმ. კიკაა. ორსანტია ზუგდ. რ-ნი, კიკეთი სოფ. გარდაბნის რ-ნში.

კიკავას გვარი 135 სულისაგან შედგება (ზუგდიდი — 121, თბილისი — 5, მოსკოვის ლტოლვილი — 2), (გვარ-სახ. საქ-ში).

კიკალიშვილიები მოსახლეობენ დღ. მარტვილის რ-ნის სოფ. ბანძაში. აქ მათი სამი დინო (განაყოფი) არსებობს, რომელნიც მომდინარეობენ იმ სამი ძმა კიკეს შვილებისაგან, რომლებიც აქ სოფ. ჭალადიდიდან მოსულან და გვარიც — თურიც, კიკესჭუალეფი აქედან მიუღიათ, (მარტვილის მუზ., 69).

კიკია (იხ. კიკავა) გვარი იხსენიება დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინას 1837 წ. მოსახლეობის აღიცხვის სიაში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კიკია ხაჩილ მოხსენიებულია, როგორც მდაბიო, წარმართი და გაქრისტიანებული 1834 წ. ივნისში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7; 15).

მე-19 ს-ის 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარებიდან 35 — აფსუური, ხოლო 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის კიკიაც. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კიკალია კიკა საკ. სახელია -ალა კნინობითობის სუფიქსია. ამრიგად, კიკალია საკუთარი სახელი ჩანს წარმოშობით. შდრ. გვარი კიკალისჭუა, კიკალეიშვილი. გვარი მოსახლეობს გალის რ-ნის სოფ. ბარღებში.

კიკალია გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის 1854-1855 წწ. აღწერით ქართველ 156 სულთა შორის, სადაც აფსუათა გვარი თითზე ჩამოსათვლელი იყო (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კიკალია ქუჩუ, მეულლე — ფატიმ, ძე — მაქვა, კვალი, ცოლი — კვაფ, ძენი: საკუტ, დუმ მოხსენიებულნი არიან როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისანი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6; 16, 17).

კიკალიას საგვარეულო 381 სულს ითვლის (ზუგდიდი — 267, თბილისი — 49, წალენჯიხა — 23), (გვარ-სახ. საქ-ში).

კილაბერია (იხ. კილასონია); საგვარეულო 127 სულს ითვლის (თბილისი — 24, ლანჩხუთი — 23, აბაშა — 19), (გვარ-სახ. საქ.).

კილავა (იხ. კილასონია). კილავას საგვარეულო 65 სულს შეადგენს: ზუგდიდი — 43, ტყიბული — 8, წალენჯიხა — 7 (გვარ-სახ. საქ-ში).

კილანავა (იხ. კილასონია); საგვარეულო 205 სულს ითვლის (თბილისი — 108, ზუგდიდი — 69, წალენჯიხა — 15), (გვარ-სახ. საქ.).

კილასონია i. კილა (მგრ.) — გასალები; 2. შეიძლება ჰიდრონომი კილასურიდან მომდინარეობდეს.

კილასური — მდ. აფხაზეთში, ბერძნ. ვიწრო გასასვლელი — კლდეკარი. თურქები უწოდებდნენ „კელასიურს“, რაც ნიშნავს „მოსჭერ კისერი“ (გოგატ., 24).

ხობში მცხოვრებ მაყვალა ვლადიმერის ასულ კოლასონიას გადმოცემით, კილასონიები ბერძენი ვაჭრის კილასონიებისაგან წარმოიშვნენ (მასალა მომაწოდა გოგიტა ჩიტაიამ).

კ. არჩილ ნიკიფორეს ძე, დ. 1949 პოლკოვნიკი, თსუ-ს დოცენტი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი.

კ. გერმანე ვლადიმერის ძე, დ. 1913 წ. ფოთში, მაიორი, საბჭოთა კავშირის გმირი — 1945. (მათ ასახელეს... 223-225).

კ. ნაზი, პოეტი, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

საგვარეულო 2514 სულს ითვლის (სენაკი — 535, თბილისი — 416, მარტვილი — 325), (გვარ-სახ. საქ.).

კიკიანი კიკინი ყურებთან ჩამოშვებული გრძელი თმა, წარმომდგარი ჩანს კიკია საკუთარი სახელისაგან. კიკი საკ. სახელია; ნაკიან-ი=ნაკიკიან-ი (ჩხორ. რ.), კიკიანიში ნოხორუ (ნასახლარი), კიკიანიში ტყატალერი, სერგიეთი (მარტვ. რ.); ამჟამად ჩხორ. რ-ში მხოლოდ ერთი მოსახლეა, ნაკიან — კიკიანების ნამყოფი (მ. კვირტია), კიკიან-ი. კიკიანი ისან — მართებს გურია-ოდიშის სამთავროების ბეგარა... (1466-1770).

კიკიანის გვარი 98 სულს ითვლის (თბილისი — 35, ზუგდიდი — 21, მარტვილი — 13), (გვარ-სახ. საქ-ში).

ნაკიანი სვ. მოსახლ. დღ. ზემო სვანეთის რ-ნის სოფ. ეცერში (XIII ს-ის II ნახ., სვ. ძეგლ.).

კიკორია საკ. სახელი კიკო; კიკორია მომდინარეობს კიკორ მეტსახელისაგან. ჩხოროწყუ, გალ. რ., ქ. ოჩამჩირე.

კიკორიას საგვარეულო 409 სულს ითვლის (ზუგდიდი — 139, თბილისი — 81, წალენჯიხა — 58), (გვარ-სახ. საქ-ში).

კიკურია სამართალის, მართოლას, ხახუშიას მართებთ დარჩელის სასახლის ბეგარა...

კილტავა (იხ. კილასონია) კილტავას გვარი 40 სულს ითვლის (თბილისი — 19, ბათუმი — 13, რუსთავი — 1) (გვარ-სახ. საქ-ში, 112).

კიმატია ეტიმოლოგია დასადგენია.

კიმატია თამურია სურათის მინაწერში ვკითხულობთ: „იშვიათი სილამაზის მქონე თამურია... უფრო ანგელოზსა ჰგავდა, ვიდრე ადამიანს, რომელსაც თვალებში მზე ჩასდგომოდა და პირზე აპრილი ეთამაშებოდა“ (კასტელი, 23).



კიმატია (გიმატია) — იშვიათი სილამაზის ქალი (კასტელი).

კინტირაია — კინტირი, ბოსტნეული მცენარე; ქართ. კიტრი, მგრ. კინტირი აფხ. კინტრ (გულია დ. ხელნაწ. ინსტ. საქმე, 1934), გვარი ქართულია; კიტროული სოფ. ახალგორის (შიდა ქართლი) რ-ნში. 1888 წ. მონაცემებით, სამეგრელოდან კინტრაიას საგვარეულოს რამდენიმე ოჯახი სახლობდა სოჭში (გაზ. „ივერია“, 1888, 146, გვ. 2).

კინტირაიას საგვარეულო 133 სულს ითვლის (მარტვილი — 72, სენაკი — 17, ფოთი — 17), (გვარ-სახ. საქ-ში).

კინტრაია (იხ. კინტირაია) გვარი 31 სულისაგან შედგება (რუსთავი - 19, თბილისი — 10, ზუგდიდი — 10, (გვარ-სახ. საქ-ში).

კინტრაია პალიკო იასონის ძე დ. 1922 ქ. თბილისში, მედიც. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1974), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე მეცნ. და ტექნიკ. დარგში (1985). (ჯაფარიძე ს., 191).

კინტრაიას საგვარეულო 31 სულს ითვლის (რუსთავი — 19, თბილისი — 10, ზუგდიდი — 1), (გვარ-სახ. საქ.).

კინწურია საგვარეულო 55 სულს ითვლის (ქუთაისი — 36, წყალტუბო — 19), (გვარ-სახ. საქ.) მოსახლეობენ ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. სარაქონში.

კირიბზია კირი-ბზა, კირიბ — (მგრ.) კრავი, ბზია — აფხ. კარგი, ლამაზი.

აპ. როდოსელი არგონავტიკაში მოიხსენიებს სიტყვა „კირიბს“ და ხსნის მის მნიშვნელობას (გამახ., გოგ., 23). კირბები, კვირბი — „ოქროს საწმისის“ წარწერას ერქვა. კირიბი — კრავი — ცხვრის პატარა შვილი.

მე-19 ს-ის 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში სახლობდა 400-მდე კომლი, გვარეულობიდან 130-დან 35 იყო აფსუური, ხოლო 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის **კირიბზია**, გვარი ასევე მოხსენიებული დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინას 1837 წ. მოსახლეობის აღრიცხვის სიაში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კირტავა არის გვარი: **აქირთავა, ქირთავა, ქართუა**... ყველა ქართული წარმოშობისაა, ძირია მეგრული: ქართ, ქირთ=თბილისი, ქართველი.

კირტავები მოსახლეობენ წალენჯიხის რ-ნის სოფ. ნაშამუგუში.

საგვარეულო 330 სულისაგან შედგება (სენაკი – 90, თბილისი – 43, წყალტუბო – 40), (გვარ-სახ. საქ-ში, 112).

კირცხალია კირცხი (მგრ.) აქრცხ (აფხ.) — სეტყვა. კირცხალიას საგვარეულო 32 სულს ითვლის (თბილისი – 10, ზუგდიდი – 6, ქუთაისი – 5). (გვარ-სახ. საქ.).

კირცხალია (იხ. კირცხალაა); საგვარეულო 452 სულს ითვლის (სენაკი – 157, თბილისი – 75, ფოთი – 32), (გვარ-სახ. საქ.).

კიტია მოშდინარე კიტა//კიტია საკუთარი სახელისაგან. კიტეა – ქუთაისი ძველი სახელწოდებაა. კიტია თაიმაზი, ქუაქალი, ქერაბინ, მამულია, ბაბაყვა, შურიმიდგია, ჯგერეკოჩი, ელიჯარი, გავაშელი, ამუღაბარ, კუცკუცშია, მიხილია, დემეტრე, პირნათე, მუხურს მცხოვრებნი. მართებთ სამეჯოლორო (მგრ.) — სამეძაღლო ბეგარა... კიტია მამისშვილს ემართა ჭალაის სასახლის ბეგარა...

კიტია მისა ცნობილი ოქრომჭედელი იყო XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში. მისი ზარნიში ცნობილი იყო მთელს სამეგრელოში, (გეგეჭკ., მუზ. 70).

კიტოვანი იხ. კიტია, საგვარეულო 84 სულს ითვლის (თბილისი – 45, ქუთაისი – 19, მარტვილი – 11), (გვარ-სახ. საქ.).

(მგრ.) – მიზეზიანი, ანგარებიანი (კილანავა). **კიუტი** მაჯი, ზოლი – ნანიჯე, ასული – ყურჯა, ძენი: გიდ, გოგო მოხსენიებულნი არიან, როგორც მდაბიონი, წარმართი სარწმუნოებისანი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კინდღში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7; 7-9). სოფუჯი ცოლი – გულქან, ასულნი: თეიდან, ხანდაქი, მუდაქვი, საგესა, ცოლი – ფუნდუკი; ვაჟები: შხანუკია, გიდ, ქალი ამისა ეკე მოხსენიებულნი არიან, როგორც მდაბიონი, თათარნი, წარმართნი და ქრისტიანად მონათლულნი 1834 წ. აპრილში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კინდღში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8; 1, 2, 3).

კიუტის საგვარეულო 75 სულს ითვლის (ზუგდიდი – 48, თბილისი – 10, კოდორის ხეობა – 5), (გვარ-სახ. საქ-ში).

კიწია გადმოცემით დღევანდელ სოფელ კიწიაში ცხოვრობდა მკაცრი თავადი კიწია დადიანი. 1924 წ. ბოლშევიკებმა ის დაიჭირეს და ფეხით გამოატარეს ჩხოროწყუს სოფლები: ხანწკი, ჭოღა, მოიდანახე, ჩხოროწყუ... „გეხვეწებით, ნუ მომკლავთ –გამუდმებით იმეორებდა და სთხოვდა დამაპატიმრებლებს და გამყოლ გლეხებს, – ნუ დაიდებთ ჩემი ცოლ-შვილის ცოდვას-ო“. (მთქმელი 80 წელს გადაცილებული პანიკო ცქვიტია, 1984 წ., მცხოვრები სოფ. ჭოღაში (ჩხორ. რ.). მთქმელის მტკიცებით, სოფელმა სახელი კოწია დადიანისაგან მიიღო. გამორიცხული არაა კიწია გვარის კოწიასაგან მიღება.

კობახია კობა-ხი-ა, კობა საკ. სახელი, ხი, ხე (მგრ.) ასული=კობახიძე – კობახია. გადმოცემით მათი ძირი მარტვილის რაიონის სოფ. ნაჯავახოდან არის. ისინი გამრავლებულია ორი ძმისაგან. სოფელ ნაჯავახოში დღესაც არის უბანი ლებახიე. შტო, რომელიც გადასახლდა აფხაზეთში, გადმოცემის მისედვით, კობახია გახდა. აფხაზი კობახიები სოფელ ცაიშიდან არიან.

კობახია, კობახიძე აზნაური. ამათი წინაპარი იმერეთიდან მოსულა თეიმურაზ მეფის დროს 1730 წ. დასახლდნენ იმერეთს, რომელთაც ენისა გამო იწოდენ კობახად... („ივერია“, 1883, № 11-12, 1884 № 1-12).

კობახია: ქუჩუ, ცოლი – ტატა, აუსლნი: გიდ, ხვარაშა მოხსენიებულნი არიან, როგორც მდაბიონი, წარმართნი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშში (გაზ. „საქართვ.“. სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7; 22).

კობახია მოხსენიებულია სხვა ქართველებთან ერთად როგორც ოჩამჩირის რაიონის სოფ. ტამიშის მცხოვრები.

კობახიძე სუმატა, ასული ხაჭა, მახუ აშოუას ნაცოლევი ჩიკოკულა, მდაბიონი, წარმართი სარწმუნოებისანი, გაქრისტიანდნენ 1834 წ. ივნისში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7;).

კობახია ნელი ალექსანდრეს ასული მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. რეკას მცხოვრები და ქართველი ეროვნება დაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

კობახიას საგვარეულო 153 სულს ითვლის (ზუგდიდი – 53, თბილისი – 25, ბორჯომი – 10), (გვარ-სახ. საქ-ში, 113).

კობახიძე მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის 1854-1855 წწ. აღწერით 156 ქართველ სულთა შორის, სადაც აფსუათა გვარი ითითზე ჩამოსათვლელი იყო (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., 1997).

კ. პეტრე (პიერ) კალისტრატე (1907, ზუგდიდი, 1963, ქ. სოხუმი, დაკრძალულია თბილისში) ქართველი მსახიობი, საქ. სსრ სახ. არტისტი (1946).

კ. გრიგოლ ბეგლარის ძე, დ. 1910, სოფ. ხეთა, ხობის რ-ნი, სსრკ სახ. მასწავლებელი (1979), საქ. სსრ სკოლის დამსახ. მასწავლებელი (1959).

კ. დავით სტეფანეს ძე, დ. 1885, სამტრედია 1947, თბილისი, ქართველი რეჟისორი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1929).

კ. ბადრი პეტრეს ძე, დ. 1926, სოხუმი ქართველი მსახიობი და რეჟისორი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1977).

კობალია (იხ. ქობალია).

კობრავა კობრი თევზის სახეობაა. სარწმუნო ეტიმოლოგია საძიებელია.

კობრავა 233 სულს ითვლის (სამტრედია – 107, თბილისი – 65, ბათუმი – 20), (გვარ-სახ. საქ.).

კოგავა ვომინიჯა კოპრას მეუღლე, პატრების მოსამსახურე ქალი, რომელმაც შობა თავის სიცოცხლეში მრავალი ბავშვი. ჩვენმა პატრებმა ყველა საზეიმოდ მონათლეს. (კასტელი, 117).

კოგავა ძილე კოპრას მსვასი პატრების მსახურია ქუთაისში. იგი უბრალო, მორცხვი... კბილებჩამტვრეული... მოკლეწელიანი... და სქელბაგიანია. (კასტელი, 117).

კოგიტია გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის მოსახლეთა ქრისტიანად მონათვლის 1837 წ. სიაში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კოდია 1. კოდი ძველ სამეგრელოში ზომის ერთეულს ერქვა და უდრიდა სამ ფუთს. წარმომდგარია კოდა//კოდია მეტსახელისაგან. კოდია სოლერდია, ვაკიგონდი, ჯაშირაბას ნაჟანეულის მცხოვრები ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსოს ბეგარა... (1621). კოდია ორქოლეი, მჭიხოლა, სოლერდია, ბუბუტია, მიხილია, კაცებია – ემართათ ნაჟანეულის სასახლის ბეგარა... (1621).

კოდია, კოდუა, როგორც ჩანს ერთი ფუძიდან და ერთნაირი მოტივაციით არიან შექმნილი.

კოდუას საგვარეულო 963 სულისაგან შედგება (ზუგდიდი – 550, თბილისი – 142, ფოთი – 60), (გვარ-სახ. საქ-ში).

კოდუა (იხ. კოდია). სამართალია, დარჩს მცხოვრები ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა... (1616-1621).

კოზმავა ადგ. გამოთქმით, კოზმაა, ნაწარმოებია კოზმა საკუთარი სახელისაგან.

კოზი სოფლების: ზემო კოზის, ქვემო კოზისა და შუა კოზის გავრც. სახელწოდებაა, კოზისწყალი მდ. ჯავის რ-ნში. კოზმაეო უბანი, საკოზმე ჭალა, კირცხი (ჩხორ. რ.), კოზმა ხახუტია, ღალიძგის მცხოვრები, ლევან დადიანმა იგი შესწირა ბიჭვინთას პარასქია ალექსანდრიასთან ერთად და დაუდგინა გადასახადი... (1628).

კოზოლია (იხ. კოზმავა); ამ გვარის წინაპრები ტყეშელაშვილები ყოფილან აფხაზეთიდან (წებელდიდან), გადმოსულან იმერეთში და კოზოლაძეებად ქცეულან, შემდეგ ხატისკაცებად. ტყეშელაშვილების პირველი საცხოვრისი იმერეთში ბზვანია. (ი. ახუაშვილი, 541).

კოზმავას საგვარეულო 392 სულს ადგენს (ზუგდიდი – 109, ჩხოროწყუ – 101, თბილისი – 74), (გვარ-სახ. საქ.).

კოზუა (იხ. კოზმავა); კოზუას გვარი 73 სულია (ზუგდიდი – 66, თბილისი – 7), (გვარ-სახ. საქ.).

კოთოლია ეტიმოლოგია საძებნია, კოთოლი სოფ. ახალციხის რ-ნში.

კოთხონჯია კორთხონჯია, კორთხო მარცვლეულის საზომი ერთეული იყო სამეგრელოში. გვარი 22 სულს ადგენს (ზუგდიდი – 7, ქუთაისი – 4, ქობულეთი – 3), (გვარ-სახ. საქ.).

კოკაია კოკა, ვფიქრობთ, ნაწარმოები ჩანს კოკი//კოკა საკუთარი სახელისაგან. გვარადქცეული კოკა – წყლის საზიდი თიხის ჭურჭელი – 16 ლიტრიანი. ხმარობენ ღვინისთვისაც; კოკა – კოკაინის ხე (ბოტ.); კოკი (ზუგდ. რ.), კოკი – ქოლობანი (აბაშ რ.), კოკათი ლანჩხუთის რ-ნში, კოკათი – ნახუნაო, კოკაიაში კარიჭყონი (მარტვ. რ.); ლეკოკაიე (სენაკ. რ.).

კ. გედევან გრიგოლის ძე, დ. სოხუმში, ტექნ. მეცნ. კანდიდატი (1967), უფრ. მეცნ. მუშაკი (!975), საქ. სსრ სახ. პრემიის ლაურეატი (1968), (ჯაფარიძე ს., 307).

კ. ასმათ კონსტანტინეს ძე მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. რეკას მცხოვრები და ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე).

გვარი მოსახლეობს (თბილისი – 499, მარტვილი – 351, სენაკი – 285). (გვარ-სახ. საქ.).

კ. ივლიანე საფრანგეთის (პარიზთან ახლოს) დ. ლევილის ქართულ პანთეონში განისვენებს (გაზ. „ლიტ. საქ.“, 14.IV, 1990).

გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1974 სული) მიხედვით 438-ე ადგილზეა (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

კოკოლია წარმომდგარია კოკოლა საკუთარი სახელისაგან.

კოკოლიას გვარი 33 სულს ითვლის (ბორჯომი – 1, თბილისი – 33), (გვარ-სახ. საქ.).

კოკოსკერია კოკო, კოკა საკუთარი სახელი, სქირი (მგრ.) – შვილი=კოკო(ს)შვილი. მოსახლეობენ ოჩამჩირის რ-ნში.

კოკოსქერია იასონ ბასიათის ძე, დ. 1914, გაგრის რ-ნის სოფ. კაღდახვარაში, საბჭოთა კავშირის გმირი (1945). (მათ ასახელეს, 240).

კოლაია კოლა 1. კოლხური ეთნონიმი – ტომი (ჯავახ. საქ. კაეკ.). კოლაიები მეთუნეები ყოფილან; ნაკოლუ (ჩხორ. რ.), კოლავა, ნაკოლუარი (ჭიათ. რ.); კოლა ისტ. მხარე სამხრ. საქ-ში (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე), კოლიადი სოფ. ასკანის თემში (ოზურგეთის რ-ნი). კოლა – სამხ. საქ-ს ოლქი VIII ს-დან შდრ. კულხა (გოგატ. 25). მისიმიანეთი – ძვ. სახელი კოლაეთი, კოდორის ხეობის მოსახლენი. კოლხა კოლხიდის მკვიდრი.*

კონკონბაია 1. კორკონტი მგრ. – ფოჩი; 2. კონკი (მგრ.) – ძველმანი, დაძონძილი (გ. ელიავა, ლექსიკ.).

კონკონბაია 1834-1835 წწ. აღრიცხვით, დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში ერთეული აფსუური გვარი თუ იყო, ხოლო ქართველებისა 156 სული, მათ შორის **კონკონბაია** (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კონჯარია შეიძლება 1. კონ-ჯარია კონ რუსული – ცხენოსანთა ჯარი – ჯარი-დან იყოს. კონ-ი „თევზის საპყრობი“ (საბა) – ფაცერი. 2. ჯარ-ი – შეიარაღებული ადამიანები, ლაშქარი. ან სხვაგვარი ეტიმოლოგიით: კონჯარიაში თუ -არ წარმომავლობის, სადაურობის სუფიქსია, იგი უნდა ნიშნავდეს: კონჯელს, კონჯის მცხოვრებს. კონჯარია ჭუჭუ. გიორგი, თოსკვამია, მამალეი, ხახუტა – ნაჟანეულს მცხოვრებნი ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა... (1621).

კონჯარია ვასილ ზურაბის ძე (1886-1960), დ. ზუგდიდის მაზრის სოფ. ობუჯში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოძრ., 342).

კოპალიანი კოპალა ფშავ-ხევსურელთა და რაჭველთა ღვთაება (ი. ჯავახიშვილი). გადმოცემით გვარი გურიაში კოპალაძეები ყოფილან. კაცი მოუკლავს და გადასახლებულა ლეჩხუმში. იქ დამკვიდრდა სოფ. ზარაგულაში. ერთს ვეფხვი მოუკლავს და დადიანისათვის უჩუქებია. ბატონს კოპალიანის გვარი მიუცია (მიამბო სამამულო ომის ვეტერანმა იოსებ კოპალიანმა, მცხოვრებმა გულრიფშის რ-ნის სოფ. აგუძერაში (1996 წ.), ამჟამად აფხაზეთიდან ლტოლვილი და ცხოვრობს თბილისში).

კორაია წარმომდგარია კორა საკუთარი სახელისაგან. შდრ. გვარი კორაშვილი.

კორაქსები ერთ-ერთი ტომი, რომელიც იცავდა ჩრდილო კავკასიას. (გ. ერაძე, 5).

კორზუა უნდა მომდინარეობდეს შერქმეული სახელისაგან. კურზუ (სოფ. მარტვ. რ.), სადაც დადიანებს ჰქონდათ სანადირო ძაღლების გასამრავლებელი და საწრთენელი ადგილი. კორზაიები საჭილაოს მცხოვრებნი, აზნაურები იყვნენ, ხოლო მათი ყმები კახიანები. ყმებმა წერილით მიმართეს მთავარ ლევან დადიანს, სადაც აღნიშნავდნენ, რომ ჩვენ ყმები არ ვართ, არამედ თავისუფალნიო. მთავარმა 1831 წელს თხოვნას მიაწერა, სასამართლოში გამოცხადებულიყვნენ ყმებითურთ. (ო. სოსელია, მასალები, 115).

კორთხონჯია კორთხო (მგრ.) — მარცვლეულის საზომი ხის ან გამოშიგნული მწარე გოგრის ჭურჭელი, ონჯ შესაძლოა სუფიქსად გამოვყოთ.

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130 გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის **კორთხონჯია — კოთხონჯია** (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კორთხონჯია ნანდუკი, ცოლი ჩაადე, ასულნი მათი: ფატიშ, მისადი, ძმის ასული ამისი — სანდაკ იხსენიებიან, როგორც მდაბიონი წარმართული სარწმუნოებისანი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. აპრილში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6; 55).

კორთხონჯიების საგვარეულო 339 სულს ითვლის (მარტვილი — 197, სენაკი — 43, ზუგდიდი — 33), (გვარ-სახ. საქ-ში).

კორკელია ელ სადაურობეზე მიგვითითებს, კორკი – რ ბგერა ჩართული უნდა იყოს, ხოლო კოკი სოფელია (ზუგდ. რ.). 2. კორკოლია (კორკოა) (მეგრ.) – საგორებელი (ელიავა გ., ლექსიკ). კორკული სოფლების – ზემო კორკულისა და ქვემო კორკულის – გავრცელებული სახელწოდებაა.

კორკელიას საგვარეულო 495 სულს ითვლის (ზუგდიდი – 322, თბილისი – 58, ფოთი – 52), (გვარ-სახ., საქ-ში, 116).

კორკოტაჯა (იხ. კორკეტი) კორკოტავა მუშტი იროდის ძე მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის -რნის სოფ. რეკას მცხოვრები და ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

კორსავა (იხ. კორსანტია) კორსავა გავრცელებული გვარსახელია სოფლებში ზემო კორსევა და ქვემო კორსევა. კორსავას გვარი 164 სულს ითვლის: თბილისი – 87, მარტვილი – 52, სენაკი – 13 (გვარ-სახ. საქ.).

კორსანტია გვარადქცეული სოფლის – ორსანტია-ს (ზუგდ. რ.) სახელი. კ განვითარდა თუ დაიკარგა, ძნელი სათქმელია. შეიძლება საკ. სახ. კონსტანტინედან იყოს; ეტიმოლოგია კვლავს დასადგენია.

კორსანტია გივი შალვას ძე მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირი რ-ნის სოფ. ილორის მცხოვრები, ეროვნება დაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

კორძაია (იხ. კორძახია); ონოფრე მოხსენიებულია ტყვირის (აბაშ. რ.) ეკლესიის მცხოვრების დიდი, სატარებელი ჯვრის წარწერაზე, როგორც ჩანს, მისი მამკობელი „კორძაიები XIX საუკუნის მიწურულში მოსახლეობდნენ სოფ. საჭილაოში (აბაშ. რ.) და აზნაურობდნენ“ (ძვ. საქ. 3 განყ. I, გვ. 14). კორძაია ზაალ ზაალის ძე, აზნაური, სამეგრელოს სამმართველოს საჭილაოს ოლქის II კლ. მდივანბეგის მოადგილე (1848). (კავკ. კალენდ. 1848, 23). კორძაიები ამჟამად სვანებიც არიან და ცხოვრობენ ზემო სვანეთში (სოფ. იფარში).

„კორძაია არიან გვარად კურტნისძეები, ქართლიდან მოსულნი და ამათნი რომელნიმე თავადნი არიან და რომელნიმე აზნაურნი (ეხლა მათში თავადნი არ არიან“, „იერია“, 1883, № 11, 12; 1884, 1-12).

კორძაია ბატონს ჭუთაისის მაზრის სოფ. ზემოხეთში 1848 წ. აუჯანყდნენ გლეხი თავაძეები (28 კომლი). პოლიციამ დააპატიმრა აჯანყებულნი, მაგრამ ბრძოლა ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა. (დუმბაძე მ., 395).

კორძაიას საგვარეულო 1131 სულს ითვლის (თბილისი – 288, ხელვაჩაური – 158, მესტია – 125), (გვარ-სახ. საქ.).

კორძაიები მეგრელებიც არიან და სვანებიც. გვარი შესულია საქართველოში არსებული 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 937-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

კორძახია (იხ. კორძაია). კორძ-ა-ხი-ა, „კორძი — ჯირკვალი, ხორცმეტი“ (ჩუბ.), ხი-ა ხე-ა მგრ. ასული — კორძახია. შდრ. იმერეთში გავრცელებული გვარი კობახიძე, რომელშიც რ დაკარგულია. ამრიგად, კორძახია ზუსტი შესატყვისი უნდა იყოს კორძაია, კორძაძე გვარებისა. როგორც ჩანს, კორძახია//კორძაია//კორძაძე მიღებული ჩანს კორძა მეტსახელისაგან. საკორძახიო — უშაფათი, საკორძახიო, კორძახიაში კარი — ნოქალაქევი, საკორძახიოში ნოხორი (ნასახლარი) — (სენაკ. რ.); ძველ აბაშაში მცხოვრებ კორძახიებს ჯინჯი მგრ. ძირი. ნოქალაქევში ქონიათ (თოფჩ. რ., როდის..., 88). საკორძახიო — ქოლობანი (აბაშ. რ.).

კორძახია მიტროფანე ოტიას ძე (1890-1970), დ. სოფ. აბაშაში დღ. აბაშის რ-ნი, თბილისის ჰიდროფიზიკური ობსერვატორიის განყოფილების გამგე (1925-1940). კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, (1925-1955), საქ. სსრ სახ. პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დაგრში (1971). (ჯაფარიძე ს., 31).

ჯ გურამ ვლადიმერის ძე, დ. 1923, თბილისი, 1970, თბილისი, ქართვ. მოქანდაკე. სსრკ დამსახ. მოქანდაკე (1966).

კორძახიას გვარი 559 სულს ითვლის (თბილისი — 220, აბაშა — 140, სენაკი — 47), (გვარ-სახ. საქ-ში).


კორტავა (იხ. ქორუა) კორტე (მგრ.) — ფიცრის სამაგრი ენა (ელიავა გ., ლექსიკ.); წარმომდგარი ჩანს კორტა მეტსახელისაგან. შდრ. ტოპონიმი კორტანეთი, გვარი კორტანელი. კორტი სოფ. ამბროლაურის რ-ნში.

კორტავა წარმოშობით უკავშირდება გვარადქცეულ ისეთი მნიშვნელობის სიტყვას, როგორიცაა კორტი — ამყი, ზვიადი, ქედმაღალი. ეს სიტყვა უნდა ნიშნავდეს გორაკსაც, საერთოდ მაღალს, ამართულს (შდრ. კორტოხი, სოფლის სახ. კორტანე. კორტი სოფელია რაჭაში (ამბროლაურის რ-ნი). (ნ. ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხები“, III, 154). ამავე ძირისაა: კორტიაშვილი, (ილ. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, 1981, 91-92). გვარი გავრცელებულია სოფ. მუხურაშიც (ტყიბულის საქალაქო საბჭო), გვარს, ერთვის საერთო ქართველური ბოლოსართი — ვა.

კორტავა – ქორთავა, ქორთ (მეგრ.) ქართველი, ვა – ძე=ქართველიშვილი. კორტოხი სოფ. ხულოს რ-ნში (აჭარა), სორტი სოფ. ამბროლაურის რ-ნში, კორტანეთი სოფ. ბორჯომის რ-ნში. კორტია კორტიკიას, ეპისკოპოსის გლეხს, მართებს ოცდაათი თეთრი (XVI), (დას. საქ. საბ., გვ. 13).

კორტავა გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში 1854-1855 წწ. მცხოვრებ 156 სულ ქართველს შორის, სადაც აფსუური გვარისა თითზე ჩამოსათვლელი იყო (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კორტავას საგვარეულო 636 სულს ითვლის (ფოთი – 19, ზუგდიდი – 57, თბილისი – 53), (გვარ-სახ. საქ.).



კრასნოდარის მხარე

კორჭუა ეტიმოლოგია საკვლევია, შხვატ, ძე – ჯანიკე, ძმის ცოლი – ჩაფრახან, ძე მისი – ბაზირხან მოხსენიებულნი არიან, როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისანი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. აპრილში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6; 106).

კოსტავა ნაწარმოები ჩანს საკ. სახელ კოსტასაგან. აქედანაა კოსტია.

კოსტავა მერაბ, დამოუკიდებელი საქართველოსთვის მებრძოლი, ავტოკატასტროფაში დაღუპული (გაზ. „კომ. დღ.“ (წყალ. რ.), 21.X.89).

კოსტავა გრიგორ ქრისტეფორეს ძე, (1907, ქუთაისი, 1979, თბილისი), ქართვ. მსახიობი, საქ. სსრ სახ. არტისტი (1965).

კოსტავას საგვარეულო 1986 სულს ითვლის (ქუთაისი – 295, წყალტუბო – 251, ოზურგეთი – 192), (გვარ-სახ. საქ.).

კოტარია კოიტი (იმერ.) ზაქი, ხბო (ქეგლ); კოტიაში კარი – ბანძა (მარტვ. რ.). კოტარია წარმომდგარი ჩანს კოტია მეტსახელისაგან. კოტარია გორშიას, ემართა ნაჟანეულის სასახლის ბეგარა... (1621).

კოტარია ანდრო თომას ძე, დ. 1918, თადარიგის ლეიტანანტი, თსუ-ს დოცენტი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი (ს. ზაქარიაძე, 25).

კოტარიას გვარი 39 სულს ითვლის (თბილისი – 29, ზუგდიდი – 7, სენაკი – 3), (გვარ-სახ. საქ-ში).

კოტია იხ. კოტარია ბანძა, ეედიდკარი (მარტვ. რ.), კოტიები მოსახლეობდნენ დღ. მარტვილის რ-ნის სოფ. ბანძაში და თავად ფალავების ყმა-გლეხები იყვნენ. (გეგეჭკორის მუზ., 69).

კოტირიძე ივანე, ეკალოს მცხოვრები, ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინთას (1628), (მასალები, 78).

კოტიას საგვარეულო 240 სულს ადგენს (მარტვილი – 135, თბილისი – 57, ბათუმი – 9), (გვარ-სახ, საქ-ში).

კოტუა 1. კოტი – ზაქი, ხბო (ქეგლ); აქედან უნდა იყოს: კოტორია, კოტელია, კოტუა. 2. კოტო (მგრ.) – თიხის დაბალი ჭურჭელი ლობიოს მოსახარშად. კოტუა მეტსახელისაგან მომდინარედ უნდა დავსახოთ.კოტუა მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში, 18541-55 წწ. აღწერით 156 სულ მცხოვრებთა შორის, სადაც აფსუური გვარი თითზე ჩამოსათვლელი იყო. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კოტუას საგვარეულო 184 სულს ითვლის (ზუგდიდი – 63, თბილისი – 27, წყალტუბო – 26), (გვარ-საქხ. საქ.).

კოლონია კოლო წვრილ და გრძელფეხებიანი მწერი (ქეგლ) მალარიის გამჩენი; (შდრ. რუს. კომароვ.); კოლონიაში -ონა — კნინობითი სუფიქსი ჩანს. ამრიგად, კოლონია საკუთარი სახელისაგან მომდინარეობს. საკოლო — ეკი (სენაკ. რ.). კოლური — სეფიეთი (აბაშ. რ.). „ამ სოფელში დღეს მხოლოდ 5 მოსახლეა შემორჩენილი...“ (ელიავა, სენაკ. 86). კოლოთი სოფ. ახმეტის რ-ნში.

1834-1895 წწ. დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში ერთეული აფსუური გვარი თუ იყო, ხოლო ქართველებისა კი — 156, მათ შორის კოლონია. გვარი ასევე მოხსენიებულია ამავე სოფლის მოსახლეთა ქრისტიანად მონათვლის 1837 წ. სიაში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

კოლონია ბიჭო; სიმო, ძე — კვაჯი, ასული — კვამიტ, ძმა — დარუყვა, მიღმა, ასული — დუდხან; ბოლხუხ, ძე — კვიტაში; ხუტატა, ცოლი — გუჯინ, ასული — ჩუვა, ძე — ასლან; ხუტატას ცოლი — გუჯინ, ასული — ბაჯხან; ესლან, ცოლი — ხვარამზე, ასული — სელმა, ძმა — ბაკურ მოხსენიებულნი არიან, როგორც მდაბიო ხალხი, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებულნი დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში 1834 წ. ივნისში; ხოლო კაკუ კოლონიას ცოლი დარჯა კი იმავე წლის იანვარში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6; 5, 8, 11, 13, 15, 18, 25, 26; გვ. 8; 5).

კოლონია შალვა იროდის ძე მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. რეკას მცხოვრები ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

კოლუა კოლო — მალარიის გამჩენი — მკბენარა მწერი, შდრ. რუსული კომარ, აქედანაა კოლონია. კოლუა წარმოშობილი ჩანს კოლუა მეტსახელისაგან. შდრ. გვარი **კოლუაშვილი.**

კოლუას საგვარეულო 213 სულს ითვლის (სენაკი — 106, ფოთი — 40, თბილისი — 31), (გვარ-სახ. საქ-ში).

კოლუსქუა (იხ. კოლონია), შდრ. გვარი კოლუაშვილი. კოლუსქუაში ნოხორი (ნასახლარი) — ნოქალაქევი (სენაკ. რ.).

კოჩობია (უნდა იყოს კოჭობია, ვინაიდან ჩ ბგერა შეცვლილია ჭ-ს მიერ); კოჭობი (=ჭურჭელი). კოჩობია მომდინარეობს კოჭობა// კოჩობია საკუთარი სახელისაგან. კოჭობი — ძველად თუნუქისაგან გაკეთებული ზომით პატარა, ნავთის ჩამოსასხმელი და სანათებელი ჭურჭელი იყო. კოჭობია მოხსენიებულია კაცია დადიანის შვილის გიორგი დადიანის წყალობის წიგნში. აქედანაა გვარი **კოჩუა.**

კოხია წარმომდგარი ჩანს კოხი შერქმეული სახელისაგან. კოხი — აგური, ცეცხლგამძლე (ქეგლ). შეიძლება ეთნონიმი კოლხიდან იყოს. ლეკოხიე გურძემი, ლეკოხიე — კიწია (მარტვ. რ.), კოხი სოფელი და მთაა თიანეთის რ-ნში, საკოხიე — სოფელი საჩხერის რ-ნში. კოხია იმერეთში გავრცელებული გვარია, საგვარეულო 397 სულს ითვლის (სენაკი — 108, ჩხოროწყუ — 62, ზუგდიდი — 52 ; გვარ-სახ. საქ.).

კუატარია კუატარა — ქუთაისის ძველი ბერძნული სახელი (ქუთა+ტოპონიმიკური დაბოლოება ისი). ამრიგად, კუატარია სიტყვასიტყვით უნდა ნიშნავდეს ქუთაისელს, ქუთაელს, კუტაელს. კოჩივარას ემართა ნაჭალეულის სასახლის ბეგარა... (1621).

კუბეცია კუბეცია მეგრული გამოთქმით კუპეცი — დიდი მოვაჭრე. მიხილი, კამულეთს მცხოვრები, ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინთის ღვთისმშობელს (1628). (მასალები, 106).

კუბეციას საგვარეულო 99 სულს ითვლის (სენაკი — 46, თბილისი — 25, ფოთი — 19; გვარ-სახ. საქ-ში).

კუდავა კუდა (მგრ.) — ავი ზნე; ქართული ანდაზაა: „კუდა ხარი (ე. ი. უკუდო ხარი), სხვას ბუზებს უგერიებდაო". კუდავას საგვარეულო 153 სულს ითვლის (მარტვილი — 64, ზუგდიდი — 38, თბილისი — 26); (გვარ-სახ. საქ.).

კუდარავა (იხ. კუდავა). გვარი 67 სულს ითვლის (ბაღდადი — 36, რუსთავი — 9, ქუთაისი — 8); (გვარ-სახ. საქ.).

კუდელია (იხ. კუდავა) წარმომდგარია კუდელ(ი) მეტსახელისაგან, რომელშიც ელ(ი) კნინობითი სუფიქსია. კუდელი (მგრ.) — კუდი; ლეკუდელე — საკუდელიო (მარტვ. რ.), (ელიავა, აბაშ. ტოპ. 117). ლეკუდელე — მთა მარტვილისა და ჩხოროწყუს განშტოებაზე.

კუკაა (იხ. კოკავა) ივანე, ხაუენელს მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსოს ბეგარა... (1621).

კუკავა კუკ-ი: 1. დედოფალა, თოჯინა; 2. უკანალი, საჯდომი (ცხოველისა) (ქეგლ). კუკიაში ჭალე — აბედათი (მარტვ. რ.), კუკიაძე, კუკუიაში ფონი (მდინარეზე გასასვლელი დაბალწყლიანი ადგილი), აბაშა (აბაშ. რ.). აქედანაა კუკალავა, კუკია, კუკაა, კუკალია, კუკანია, კუკაა... ფუძე-სიტყვის მხრით შეადარეთ ქართულ გეოგრაფიულ სახელებს: კუკია, გოკია, კოკია (სოფელი ჯავახეთში), კოკი (სოფელი ოდიშში), კოკა (სოფელი იმერეთში, ოკრიბაში), კოკათი (სოფელი გურიაში) და სხვა. ასე რომ, გვარი წარმოშობილია სოფლის სახელისაგან.

კუკაა ივანე, ხაუჟელს მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა... (1621).

კუკავა პორფირე მიხეილის ძე, სოციალისტური შრომის გმირი.

კუკავას საგვარეულო 1848 სულს ითვლის (ზუგდიდი — 883, ხობი — 421, წალენჯიხა — 258); (გვარ-სახ. საქ.).

კუკავა, გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1348 სული) მიხედვით 489-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

კუკანია (იხ. კუკავა); საგვარეულო 165 სულს ითვლის (მარტვილი — 82, ქუთაისი — 22, თბილისი — 11); (გვარ-სახ. საქ.).

ჩხოროწყუს რაიონში ცხოვრობს კუკანიას 1 ოჯახი 4 სულით (ახალაია, 3, 7).

კუკუთარია კუკუ — თარი(თური) მონათესავე, მოგვარე, ან უფროსი. შესაძლოა კუკუთარია კუკუთელს ნიშნავს, თუკი ისტორიულად არსებობდა ტოპონიმი კუკუთი.

კუკულავა კუკუ ქალის და მამაკაცის სახელებია ხურიტულში, გვხვდება ხეთურშიაც (გ. ჟორდანია, 140). გვარი 295 სულს ითვლის (ლანჩხუთი — 86, ჩოხატაური — 48, ბათუმი — 44); (გვარ-სახ. საქ.).

კუკურდია შდრ. ქართული გვარი კუკულაძე.

კუკურია (იხ. კუკავა).

კულავა კულა „ხის სასმისი ხმიანი" (საბა); არის კოლხური ძველი სიმღერა „ოლური კულა რე" — წასვლის კულაა (ე. ი. სასმისების სათვალავთა დამატებითი სასმისია). გამარჯვებული — თამადა თუ მოადგილე — ამ სასმისს სთავაზობს სუფრიდან ადგომის მომენტში. აქედანაა გვარი კულია. ამრიგად, კულავა წარმომდგარია კულა საკუთარი სახელისაგან (შდრ. წარსულში ცნობილი მოჭიდავე კულა გლდანელის სახელი).

კულაში, სოფ. დღ. სენაკის რ-ნში. გვარი შდრ. კულაევი. 1897 წ. აპრილის აღწერით იგი შედიოდა ქუთაისის ოლქის სენაკის მაზრაში, სადაც სახლობდა 7282 სული. ყველაზე მრავალრიცხოვანი სოფელი მთელ ოლქში. კულავას საგვარეულოს უმრავლესობის გამო სოფელს კულაში — კულასი ეწოდა.

კულუა (იხ. კულავა); კულუას საგვარეულო 122 სულს ითლის (სენაკი — 54, ფოთი — 38., თბილისი — 4); (გვარ-სახ. საქ.).

კუკუსკერია კუკუ — საკ. სახელი, სქი — ძე.

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიბნში შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში მოსახლეობდა 400-მდე კომლი, აქედან 130-მდე გვარეულობიდან 35 აფსუური იყო, ხოლო 85-მდე მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის კუკუსქერია (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშ., მარტი, 1997).

კუკუთაია კუკუ საკ. სახ., თაია, ძველი კოლხეთის მთა. შეიძლება ქუთაისაგან იყოს წარმომდგარი. კუკუტაია ბედიანის მართებს ბოფის ეკლესიის გასაღები ხუთმეტი თეთრი (XVI) (ქ. სამ. ძეგლ. 3, 349).

კუნტელია.*

კუნჭულია „კუნჭულა“ ერქვა კონუსისებრი (ფაცხას, რომელსაც ერთი შესასვლელი კარი ჰქონდა. (ს. მაკალათია 248). კუჭულა სოფელია ქედის რ-ნში (აჭარა). კუნჭულიები გურიაში კონჯარიებად თვლიან თავიანთ თავს. სალოცავად ილორში დადიან.

კუნჭულია შუშანა ნიკიფორეს ასული, დ. 1916. სოფ. ლესა, ლანჩხუთის რ-ნი, მეჩაიე, სოციალისტ. შრომის გმირი (1951).

კუნჭულიების საგვარეულო 806 სულს ითვლის (ლანჩხუთი — 293, ბათუმი — 227, თბილისი — 110), (გვარ-სახ. საქ.).

კუპრავა კუპრი — ტიკჭორა, ღვინოს ჩასასხმელი ჭურჭელი თხის ან ხბოს ტყავისაგან ხალხური წესით დამზადებულ-დამუშავებული; წარმომდგარია საკუთარი სახელისაგან კუპრა. ეს სახელი ძველ ქართულ აგიორგაფიულ ძეგლებშია დადასტურებული. კუპრა=შავი, შავკვრემანი. შდრ. ქართ. გვარები: კუპრაძე, კუპრაშვილი, კუპრეიშვილი. (საკუპრო — ძვ. აბაშა (აბაშ. რ.), ლეკუპრე (მარტვ. რ.), კუპრა — მთა ონის რ-ში, ლეჩხუმის ქედზე. „კუპრავა იასე გურიანთელი, საბატონო გლეხი; 1837 წ. ბატონმა ალექსანდრე ჭყონიამ ორი გოგო: ჯავიკა და ნანუა მოსტაცა და გაყიდა...“ (საქ. ბატ. ყმ. მას. თბ. 1924, 62).

კუპრავა არველოდ ერასტოს ძე, დ. 1925, ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ფოქვეშში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

კ. ჟუჟუნა ნესტორის ასული მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. რეკაში მცხოვრები და როგორც ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე).

კუპრავას საგვარეულო მოსახლეობს (ზუგდიდი — 327, თბილისი — 252, მარტვილი — 217), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1321 სული) მიხედვით 776 ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

კუპრეისქირი (იხ. კუპრავა) კუპრ-ეი-სქირი, კუპრი — ტიკჭორა, სქირი — ძე; საკუპრეისქირო — გეჯეთი (სენაკ. რ.), საკუპრეიშვილო — წყემი (აბაშ. რ.).

კუპრაშვილი ნინო (გოგუცა) ნიკოლოზის ასული, დ. 1908, დ. ცაგერა, ქართვ. მსახიობი საქ. სსრ სახ. არტისტი (1955).

კურდღელია კურდღელი — გარეული მშვიდი ცხოველი. გვარი 398 სულს ითვლის (ზუგდიდი — 111, მარტვილი — 100, სენაკი — 49), (გვარ-სახ. საქ-ში).

კურსალია (იხ. ყურსალია).

კურცხალია 1. კურცხე (მგრ.) — მკვირცხლი, ფხიზელი; კურცხალი (ხულ. რ.), კორცხელი (ზუგდ. რ.). 2. კურცხალი ცრემლსაც ნიშნავს. ამრიგად, კურცხალია წარმომდგარია შერქმეული სახელისაგან კურცხალია. გარდა სამეგრელოსი, **კურცხალია** ცნობილი გვარია იმერეთშიც (ზესტაფონის რ-ნი, სოფ. ზოვრეთი), კურცხალი სოფ. ხულოს რ-ნში (აჭარა).

კურცხალია ალექსანდრე გიორგის ძე, დ. 1940, ქ. თბილისში, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, (1985) საქ. სსრ სახ. პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1984), (ჯაფარიძე ს., 192).

კურცხალიას საგვარეულო 402 სულს ითვლის (ზესტაფონი — 83, თბილისი — 86, ქუთაისი — 53) (გვარ-სახ. საქ-ში, 121).

კურცხიანი სვანური გვარისახელია და მოსახლეობენ დღ. ზემო სვანეთის რ-ნის სოფ. ცხუმარში. XIII ს-ის II ნახ. (სვ. ძეგლები., 145).

კუტალია კუტალი: 1. ხის კუმკუმა (საბა), კუტალი — საცობი (გამსახ. V, 966). ხის ჭურჭელი ტუჩიანი — წყლისათვის, ხის სარწყული. წარმომდგარია მეტსახელისაგან. 2. კუტაია ქუთაისის ძველი სახელწოდება IX-X სს.

კუტალია აბედიას და კუკუჩიას მართებთ ხოფის ეკლესიის გამოსაღები ოცდაათი თეთრი (XVI).

კუტალიას საგვარეულო 720 სულს ითვლის (ზუგდიდი — 488, თბილისი — 77, ფოთი — 30), (გვარ-სახ., საქ-ში).

კუტულია კუტუ (მგრ.) — პატარა ბიჭის სასქესო ორგანო. (ივ. ჯავახ. ქართ. ერის... I შესავ., გვ. 205). კუტულია პაპიას ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა... (1616-1621).

კუცია კუცა//კუციავა წარმომდგარი ჩანს ადამიანის საკუთარი სახელისაგან: შდრ, კუცია კუწია კოწია. ნიკოლა და ეგნატია – სუჯუნელები, 1854 წ. გამოგზავნილი ყმები საეკლესიო აზნაურ გუგუშვილთან, რომელიც იყო ყმათამყიდველი... (ბატონყმ. მას. 128).

კუციას საგვარეულო 118 სულს ითვლის (აბაშა – 424, თბილისი – 221, ფოთი – 204), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ქველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1186 სული) მიხედვით 871-ე ადილზეა (გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

კუჭავა ნაწარმოები უნდა იყოს კუჭა მეტსახელისაგან. აქედანაა კუჭაა. ამ გვარზეა სალხური ანდაზა: „ნარტია კუჭამ საქმეს სეხიტია კორძახია რაგადანსია". „ნარტია კუჭავას საქმეს სეხიტია კორძახია ლაპარაკობსო". (ხალხ. სიბრძ., 104).

კუჭავას გვარი მრავალრიცხოვანია – 2601 სულს ითვლის (წყალტუბო – 508, სენაკი – 451, თბილისი – 440), (გვარ-სახ. საქ-ში).

ლაბაკია — ლაბაკა — გული ხისა ან კაკლისა (ს. ჩუბ. ქეგლ); ლაბაკი — მცენარეა.

ლაბაკია კანუა ღირსეული არსებაა. საქართველოს მეფემ მისცა ჩვენს პატრებს მოსამსახურედ ქალაქ ქუთაისში (კასტელი, 116); ლაბაკია პასკო ჩვენი პატრების მოსამსახურე, იმერეთის პროვინციის ქალაქ ქუთაისში (კასტელი, 117).

ლაბარტყავა — ლა-მარტყი მართვე (ქეგლ).

ლაბარტყავა ადგ. გამოთქმ. ლაბარტყაა. „გვარი — თურია, ლაბარტყეფი ართი თურირე — ლაბარტყავები ერთი გვარია. ის იყოფა დინოებად — განაყოფად საძმოდ. ნამუთინე დინო თეში შორირე, ნამდა სამოხიოშა ვაუძახუთუ — ზოგიერთი დინო ისე შორისაა, რომ „სამოხიოში“ ვერ ვეძახით. ხანდახან დინოს მრავალრიცხოვნობის გამო თურსაც ვეძახით, მაგრამ ცალკე გვარი არაა“. მთქმ. ლაბარტყავა აკაკი ლეონტის ძე, 58 წ., ონტოფო (აბაშის რ-ნი. გეგეჭკ. მუზ. 78).

ლაბარტყავები სეფიეთში (აბაშის რ-ნი) დღეს 50 კომლის რაოდენობით ცხოვრობენ ცალკე უბნად. ლაბარტყავები საეკლესიო ყმები ყოფილან. სასაფლაო ეკლესიის აღმოსავლეთით ჰქონიათ. გვარს აქვს კილი. მათ „პირუტყვებს“ უწოდებენ (ქართვ. მემკვ., გვ. 53).

ლაბარტყავა 734 სულს ითვლის (აბაშა — 287, თბილისი — 202, ფოთი — 73), (გვარ-სახ. საქ.).

ლაბაშია ლაბა — რქებდახრილი ხარი; ლაბაშა — მოხუცის ჯოხი რკინის ბოლოწვეტიანი (გაზ. „ნაპერწკალი“, 30. VII, 1970).

ლაბაშიას გვარი 52 სულს ითვლის (ზუგდიდი — 47, თბილისი — 7, ბათუმი — 1), (გვარ-სახ. საქ-ში).

ლაბახუა — ლაბახა — ძვ. ჭიშკარი, იქით-აქეთ დასობილ სარებს შორისგაყრილი ჰორიზონტალურად ხუთი-ექვსი ლარტყა კაცის სიმაღლეზე.

ლაბახუას გვარი აფხაზეთიდან არის გადმოსული სენაკის რ-ნის სოფ. ხორშში.

ლაბახუა შოთა ხვიჩას ძე მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. აგუბედიის მცხოვრები და ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე).

გვარი 120 სულს შეადგენს (სენაკი — 37, თბილისი — 16, ფოთი — 15), (გვარ-სახ. საქ-ში, 122).

ლაბჟანია (იხ. ბჟანია)

ლაბჟანია ეთერ გოჯოს ასული მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ილორის მცხოვრები და ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

ლაბჟანიას საგვარეულო 110 სულს ითვლის (ზუგდიდი – 57, თბილისი – 18, სენაკი – 9), (გვარ-სახ. საქ.).

ლაგვილავა ლაგვა 1. ზანტი ძაღლი, რომელსაც ყეფა ეზარება (უმაქნის კაცზე იტყვიან) (კილანავა). ლაგვანი (მგრ.) დიდი ქვევრი (ქვგლ). წარმომდგარია ლაგვილა მეტსახელისაგან. ლაგვაში – მდინარე ოჩამჩირის რ-ნში, თომუშის მარცხ. შენაკადი.

ლაგულავა ხალტიკ და ასული – ფუხუკ მოხსენიებულია, როგორც მდაბიონი, წარმართი სარწმუნოებისანი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში. (გაზ. „საქართველო", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6, 28).

ლაგვილავა ტიკვა ჯუმამხის ძე, სოფ. ჯგალიდან, დღ. წალენჯიხის რ-ნი, საეკლესიო გლეხი, გადასახლებული ციმბირში 6 წლით, სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების მხარდამჭერის და პემპელიეთა ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გამწვევის. (საისტ. მ., 147).

ლ. ივანე მახუტის ძე, სოფ. ჯგალიდან, დღ. წალენჯიხის რ-ნი, საეკლესიო გლეხი, გადასახლებული ციმბირში 6 წლით, სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების მხარის დაჭერისა და მემამულეთა ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწვევისათვის. (საისტ. მ., II, 147).

ლ. ტარასი. ჭოლა (დღ. ჩხოროწყუს რ-ნი), რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი სამეგრელოსა და აფხაზეთში.

ლ. ბაბუცა კაპიტონის ასული, ზუგდიდის ჩაის ფაბრიკის მუშა, სოციალისტური შრომის გმირი.

ლ. მარიკა იონას ას. დ. 1922, რეფი-შეშელეთი, გალის რ-ნი, აფხ. ასსრ. დამსახურებული ზოოტექნიკოსი (1975), სამამულო ომის ვეტერანი.

ლაგვილავას საგვარეულო 3075 სულისაგან შედგება (ზუგდიდი - 1238, ჩხოროწყუ – 396, თბილისი – 371), (გვარ-სახ. საქ-ში, 122).

გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 201-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

ლაგინძავა ლა-გინძ-ე, ლა – წინაკიდური, გინძე (მგრ.) – გრძელი, მაღალი. წარმომდგარია ლაგინძა მეტსახელისაგან.

ლადარია ლადარი (მგრ.) — ნეტლი; (ა-ლადარა — დალმართი, ბ. ჯანაშია ლექსიკონი); წარმომდგარი ჩანს ლადარა/ია მეტსახელისაგან. აქედან უნდა იყოს გვარი ლატარია. ოლადური (შუახ. რ.); ლადრერი (მესტ. რ.). ლადარია მამისთვალი და მექაი ლევან — დადიანმა განუახლა ხობის ტაძარს მათი შეწირულობა (1628-1647).

ლადარიები მოსახლეობდნენ ზუგდიდის რ-ნის სოფ. ხეთაში. ამჟამად აქ არავინაა დარჩენილი. არის ამავე გვარის და ბუკიების საგვარეულო ეკლესია მთავარანგელოზის სახელობისა. (მთქმ. თბილისის სასულიერო სემინარიის III კურსის სტუდ. ბუკია, (1996).

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში მოსახლეობდა 400-მდე კომლი, მათ შორის 130-მდე გვარეულობის ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის ლადარია (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ლადარია იხსენიება დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის მოსახლეთა ქრისტიანად მონათვლის 1837 წ. სიაში. ავრეთვე იმავე რ-ნის სოფ. თხინას მოსახლეობის 1837 წ. აღრიცხვის სიაში (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ლ. ხანაფსუ მოხსენიებულია, როგორც მდაბიო წრისა, წარმართი სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. ივნისში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7, 45).

ლ. ნოდარი კონსტანტინეს ძე, დ. 1960, ქ. სოხუმში, აღმოსავლურ მეცნიერებათა დოქტორი (1996 წ.).

ლ. მარგარიტა გლებოვნა, დ. 1925. ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი.

ლაზარია ლაზ-არ-ია, ლაზ-ეთნ., არ-არის — ია-ძე-ლაზის ძე. მეორენაირი ახსნით, ლაზარია მიღებული უნდა იყოს ლაზარე ანთროპონიმისაგან. (ჯანაშია ბ., ლექსიკ.), ლაზარე — იოანე იყო მოწაფე, მთავარი მოციქული და საყვარელი მეგობარი ქრისტესი.** ლაზარეს ენა იყო პირველი და მთავარი ქართველურ ენებს შორის. შავი ზღვის აღმ. სანაპიროზე ლაზთა სახ-ფო იყო (ი. ჯავახ. ტ. 1) და ეწოდებოდა **ლაზიკა** (დღ. ტუაფსე სოჭის ოლქში).

სამეგრელოში ლაზზე იტყვიან — „ზარმაცი, არაფრის მკეთებელი“-ო.

ლაზარეზე სიარული, ცრუმორწმუნეებმა ძველად იცოდნენ ფეხშიშველა დედაკაცების ან ბავშვების კარდაკარ სიარული და ვედრება წვიმის მოსაყვანად (გვალვის დროს), ან გამოსადარებლად (ხანგრძლივი წვიმის დროს), ლაზარობის სინონიმია გონჯაობა... იყო სიმღერაც:

ეხ, ლაზარე, ლაზარე,
ღმერთო, მოგვეც ცის ნამი,
ალარ გვინდა მზის თვალი“.

ლაზარია — შეშელეთი (გალ. რ-ნი), ლაზარევსკოე, კლიმატური კურორტი კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე და შედის სოჭ-ის საკურორტო რ-ნში.

ლაზარიას საგვარეულო ამჟამად 217 სულს ითვლის (ზუგდიდი — 43, მარტვილი — 34, სენაკი — 32), (გვარ-სახ. საქ-ში).

ლათათია „ადგ. ამბობენ, უთუთიას მემკვიდრენი არიან“-ო (ელიავა, ჩხორ. ტოპ. 33). ეტიმოლოგია საძიებელია.

სალათათიო უბანი სარაქონი — კირცხი (ჩხ. რ-ნი), ექვსი ოჯახი. (ვ. ახალაია).

ლათათიას საგვარეულო 44 სულს ითვლის (ზუგდიდი — 18, სენაკი — 12, ჩხოროწყუ — 8), (გვარ-სახ.. საქ-ში).

ლათარია ჩქვალერი (წალ. რ.), აქ მხოლოდ ტოპონიმია, ხოლო ლათარიები აქ არ ცხოვრობენ. (წალენჯიხის რაიონული გაზ. „კომუნიზმის დროშით“, 27-VIII-83). შეიძლება, ლადარიაზე იყოს თქმული.*

ლაკერბაია ლა-კერბ-ა-ია, ლა-წინაკიდური მარცვალი, კირაბი(მგრ.) — ცხვრის ნორჩი შვილი; სოხუმელი ეკონომისტი ჭუჭუ ლაკირბაიას გადმოცემით, გვარი ფრანგო ლაკრუას გვარიდან არისო ჯვაროსნული ომის დროს დარჩენილი. 1869 წ. სამეგრელოდან აფხაზეთში ჩამოსახლდა ლაკერბაიების რამდენიმე ოჯახი.* აქედან, ერთი — კვაჯ სმელ ლაკერბაი (გვარის ბოლო ა ბგერის ამოგდებით), დასახლდა გუდაუთის რაიონის სოფ. კულანურხვაში (აცსაა, ისტ. ფონდი 57, ს. 24, ფურც. 134); 1903 წ. იმავე რაიონის სოფ. დურიფშში ცხოვრობდა გვარშეუცვლელი ლაკერბაიების 13 ოჯახი (იქვე, ს. 7, ფ. 2, 3, 8). ცნობილი პროგრესულად მოაზროვნე, ქართველებისა და აფხაზების მოამაგე, მეგობარი და მეგობრობის პროპაგანდისტი მიხეილ ლაკერბაია (იხ. მისი ნოველა „ნეკი“, „ნამუსი“). მიხეილ ლაკერბაია დაიბადა მერხეულში (გულრ. რ.), მამამისი სოფელში ზედსიძედ იყო. მიშა სწავლობდა მერხეულის სეკლესიო სკოლაში და საკლასო ჟურნალში წერია ლაკერბაია მიხეილ, ხოლო მისი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ იწყო ლაკერბა-ს გვარის ტარება. (მერხეულის სკოლა მისი სახელობისაა). ასე იწყეს ლაკერბაიებმა (და სხვებმაც) გვარების გადაკეთება ქართული წარმოშობის დაფარვის მიზნით. ამჟამად

ქ. სოხუმის საქალაქო ტელეფონების საცნობარო წიგნში მოცემულია ლაკერბაიას გვარის დასახელება, საიდანაც: 19 — ლაკერბაია, 7 — ლაკერბაი, ხოლო 1 — ლაკრბა. ასე რომ, აფხაზეთში ცხოვრობს უამრავი გვარშეცვლილი თუ გადაკეთებული ქართული წარმოშობის ფუძიანი გვარის ოჯახი. აქედანაა გვარი აკრბია. ამაზეა ნათქვამი ხალხური მეგრული ანდაზა: ქორთუქ გეაფხაზდა, მუთუნი აფხაზა ვემიალენია. „ქართველი თუ გააფხაზდა, ვერავითარი აფხაზი ვერ შეედრებაო“. (... ვერ მივა მასთანაო“), (ხალხ. სიბრძ. 145).

მკითხველს ვთავაზობ ნაწყვეტს მ. ლაკერბაიას ნოველიდან: „თემურ აძინბას სტუმარი, მეგრელი კაცი ელიზბარ კვარაცხელია, უტუ მიქავას თანამებრძოლი, ჯგიარდაში იმალებოდა... მეფის პოლიცია და საშვერელოს თავადები დადიანები დასდევდნენ... ხუთი ათასს დაჰპირდნენ, ვინც კაჩალად გავარდნილს მოკლავდა ან ცოცხლად ჩააბარებდა, მაგრამ აფხაზმა გლეხებმა არ გასცეს, შეინახეს და „დააქორწინეს“ კიდეც აფხაზ ქალიშვილ ადაზე...“

ლაკერბაია ახმეტმა და ქეშლუსმა 1834 წ. ივნისში მიიღეს ქრისტიანობა დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., 3ართი, 1997, გვ. 7, 6).

ლაკერბაია ივანე მოხსენიებულია, როგორც სოფ. აგუბედიის მცხოვრები და ეროვნებააღდგენილი. (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირ. საქმე).

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში ცხოვრობდა ლაკიბას (ასეა დოკუმენტში) რამდენიმე ოჯახი (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ლაკერბაია მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინას მოსახლეობის 1837 წ. აღრიცხვის სიაში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ. 6-8 მარტი, 1997).

ამჟამად ლაკერბაიას საგვარეულო 116 სულს ითვლის (თბილისი — 59, ქუთაისი — 16, ბორჯომი — 11), (გვარ-სახ. საქ-ში,). ხოლო ლაკირბაიასი — 204 სული (ზუგდიდი - 68, თბილისი 65, ჩხოროწყუ — 26), (იქვე).

ლაკვარავა ადგ. გამოთქმით, ლაკვა, ლაკვი — მგრ. ლეკვი. შდრ. ლეკვეიშვილი. მაჯი, ცოლი — საბდი, ძე — ციგვა; ხუნდუკას ასული ჭიჭუ, მისი ცოლი — საბდიი, ძენი: მედლაჩ და პეტრა მოხსენებულნი არიან, როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისანი და 1834 წ.

აპრილში გაქრისტიანებულნი დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6; 86).

ლაკვა (იხ. ლაკვატავა) ლაკვა, გვარი მოხსენიებულია დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. თხინას მოსახლეობის 1837 წ. აღწერის სიაში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ლაკვატავა ლაკვატა (მგრ.) ჯოხი (მცირე ზომისა), რომლითაც ჩამოაგდებენ ხეხილს... წარმომდგარია ლაკვატა მეტსახელისაგან. გამორიცხული არაა ლაკვატავას მეორენაირი ახსნა: ლაკვატაში ლაკვ (მგრ. ლეკვ.) – ფუძე ჩანს, -ატა კნინობითობის სუფიქსია, ე. ი. ლაკვატა – ქართ. ლეკვუნა. შდრ. ქართ. გვარი ლეკვეიშვილი.

ლეკია შეიძლება ეთნ. ლეკი-დან იყოს; ლაკიაში ნოხორი (ნასახლარი) – უშაფათი (სენაკ რ.). აქ „ლაკიების გვარი სახლებულა“ (ელიავა, სენაკ. ტოპ. 100). ან: ლაკია შეიძლება მომდინარეობდეს ლაკვია (=ლეკვი) მეტსახელისაგან, რომელშიც ვ ბგერა დაკარგულია.

გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინაში მოსახლეობის 1837 წ. აღწერის სიაში (იქვე).

ლაკიას საგვარეულო 284 უსლს ითვლის (სენაკი – 171, ფოთი – 29, თბილისი – 22), (გვარ-სახ. საქ-ში).

ლაკვბაია (იხ. ლაკვატავა); კვაჯი მოხსენიებულია, როგორც მდაბიო, წარმართული სარწმუნოებისა, თათარი და გაქრისტიანებული 1834 წ. ივნისში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ლაკუშია კუშა ლაკვას ასული და შინა მოხსენიებული, არიან წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებულნი 1834 წ. აპრილში, სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., 1997).

მე-19 ს. 30-იან წ. დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში, შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში მოსახლეობდა 400-მდე კომლი, აქედან 130-მდე საგვარეულოდან 35 იყო აფსუური. ხოლო 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის **ლაკუშია**. (გაზ. „საქართვ., სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ლამანძია ეტიმოლოგია საკვლევია. საგვარეულო 203 სულს ითვლის (ზუგდიდი – 118, წალენჯიხა – 68, თბილისი – 4), (გვარ-სახ. საქ.).

ლანდია ლანდი (მგრ.) აჩრდილი, ჩრდილი (ქეგლ). წარმომდგარია ლანდია მეტსახელისაგან. ლანდიები ამჟამად რაჭველებიც არიან.

ლანდია ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, დ. 1919, ქუთაისი, ქართველი ქიმიკოსი, საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1974), ქიმიის მეცნ.

დოქტორი (1958), პროფესორი (1958), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1967).

ლ. ქეთევან ალექსანდრეს ასული, დ. 1914, თბილისი, ქართველი მსახიობი, დიქტორი, საქ. სახალხო არტისტი (1976).

ლანჩავა ლანჩა — ფეხსაცმლის გაცვეთილი საძირე (დათიკ.); არჩვა სოფ. ხობის რ-ნში. ლანჩავა მოხსენიებულია, როგორც დღ. ზუგდიდის რ-ნის სოფ. კოკის მკვიდრი და მიგრირებული სოფ. ოკრიბაში. (ქართ. მემკვ. 1999).

ლანჩავა მანუჩარ დავითის ძე, დ. 1932 ქ. ბათუმში, ტექნიკის მეცნ. კანდიდატი (1965), უფროსი მეცნ. მუშაკი (1968), მეტალურგიის ინსტიტუტის ლითონის ჩამოსხმის ლაბორატორიის უფროსი (1965), საქ. სსრ სახ-ფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში 1988), (ჯაფარიძე ს., 263).

ლანჩხუთი ლანჩავების საგვარეულო სახელიდან უნდა მომდინარეობდეს. ლანჩხუთი ქუთაისის ოლქის ოზურგეთის მაზრაში შედიოდა და 3069 სულს ითვლიდა. ამჟამად ლანჩავას საგვარეულო 1296 სულს შეადგენს (ქუთაისი — 438, თერჯოლა — 400, ტყიბული — 147), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1296 სული) მიხედვით 795-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

ლაპარტყავა (იხ. ლაბარტყავა)

ლაპარტყავა 51 სულს ითვლის (თბილისი — 22, სამტრედია — 19, ბათუმი — 3), (გვარ-სახ. საქ-ში).

ლაჟიბაია ლაჟი მგრ. — ლოჟო — უჭკუო, ულაზათო.

მე-19 ს. 30-იან წლებში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში — შერვაშიძეთა რეზიდენციაში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე ვაჟკაცობიდან 35 იყო აფსუური, 85-მდე კი — ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის ლაჟიბაია. (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ლასურია ეთნ. ლასხი, ურ — თური, ნათესავი, ჯიში... ლასხები ქართველთა ტომები იყვნენ; ლასი — ქართული წარმართული პანთეონის თევზის ღვთაება იყო. შდრ. რუსული ლასასინა.

ლასურია უსკუპში, ხოირს უკულაში და ურთამ, ხოირის მცხოვრებთ, ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსოს ბეგარა... (1621).

ლასურიძე ბეჟან მოხსენიებულია 1741 წ. ყმების ნასყიდობის წიგნში, როგორც მოწმე. (დოკ-ბი, ნ. ბერძენიშვილის რედ., 199).

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში — შერვაშიძეთა რეზიდენციაში სახლობდა 400-მდე კომლი, აქედან 130-მდე გვარეულობიდან 35 აფსუური... 85-მდე ქართულ-მეგრულ-ჭანური წარმოშობისა, მათ შორის ლასურია. აგრეთვე დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში მცხოვრები 1854 -55 წწ. აღწერით (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997). ლასურიაში, სოფ. ცაგერის რ-ნში. ლასურია მუშნი ტაიას ძე (1938, სოფ. კუტოლი, ოჩამჩირის რ-ნი). აფხაზი პოეტი, მთარგმნელი, ფილოლოგ. მეცნ. კანდიდატი (1974).

ლ. გრიშა ვანოს ძე მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. აგუბედიის მცხოვრები და ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

ლ. ედვარდი შალვას ძე მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. აგუბედიის მცხოვრები და ეროვნებადაბრუნებული (იქვე).

ლატარია ჯამ (აფხ.), ატარი (მგრ), დ. გულია (ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934). (იხ. ლადარია). ლატალი — „სადარაჯო“: მართლაც ლატალი იყო პირველი სოფელი, რომელიც დარაჯად ედგა თავისუფალ სვანეთს (გოგატ., 26). გადმოცემით ლატარიები სვანეთის სოფელ ლატალიდან ყოფილან და დასახლებულან ხეთაში (ხობის. რ.); ხეთაშია მიკროტოპონიმები: თირსა, ხამისკურა და მუნჩი. ამჟამად ჩამოთვლილი ტოპონიმები ცალ-ცალკე თემებია. (გვიამბო 58 წლის ექიმმა გესმან ლატარიამ, მცხ. სოხუმში, გობეჩიას, 25). აქედან იყო რევოლუციონერი, საქ. ცაკ-ის წევრი 1 მოწვევისა ლატარია. კოჩილას, ხუხულიას ახ. წ. გვაჩარიას მართებთ ცაიშის ეკლესიის ბევარა... (1600).

ლატარიები მოსახლეობდნენ ხობის რ-ნის სოფ. ხეთაში. აქედან გადავიდნენ აფხაზეთში და იქ ლადარიებად იხსენიებიან. (მთქმელი თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტი ლადარია).

ლატარია მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის მოსახლეთა გაქრისტიანების 1837 წ. სიაში; ხოლო იმავე რ-ნის სოფ. თხინას და ათარას მოსახლეობის იმავე წლის აღრიცხვის სიაში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ლ. გიორგის ქალი — ხათინჯა მოხსენიებულია როგორც მდაბიო წრისა, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. ივნისში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში.

ლ. ფათქერის ცოლი — სელირა მოხსენიებულია, როგორც თათარი, მდაბიოთა წრისა, წარმართი და ქრისტიანად მონათლული 1834 წ. იანვარში ღღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ათარაში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8; 4).

ლ. ნოდარ ვალერის ძე, დ. 1947 ზუგდიდის რ-ნის სოფ. ხეთაში, ტექნიკის მეცნ. კანდიდატი (1987), საქ. სსრ სახ-ფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1988) (ჯაფარიძე ს., 307).

ლატარიას გვარი 2283 სულს ითვლის (ხობი — 876, ზუგდიდი — 858, თბილისი — 220), (გვარ-სახ. საქ-ში). გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (2283 სული) მიხედვით 353-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ლაქენაიხ. ლაქვინავა ქობიშველა, ცაიშს მცხოვრები, ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა (1616-1621).

ლაქენავა 1. ლაქებიანი, რასაც ლაქები აქვს (ქეგლ); 2. ლაქია — ხელზე მოსამსახურე მამაკაცი (ქეგლ). აქედანაა **ლაქველავა** ლაქენა/ /ლაქველა, ეფიქრობთ, როგორც მეტსახელი, საფუძვლად დასდებია ამ გვარებს.

ლალუზბაია ლალუზია — „წვრილი სარი“ (საბა). ლალუზბაია ლალუზ მეტსახელისაგან მომდინარე ჩანს. ლაქაში — ჭაობის ბალახი ერთგვარი (კ. გამსახ.).

ლაშქრავა ლაშქარი — ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობისაგან შემდგარი სამხედრო ფორმირება... (ქართლ. ცხ., 11, 518). შდრ. ლაშქარაშვილი.

ლაშქრავას საგვარეულო 398 სულს ითვლის (სენაკი — 276, თბილისი — 51, ფოთი — 31), (გვარ-სახ. საქ.).

ლაშხია წარმომდგარია ეთნ. ლასხისაგან; ლელააშხა მთაა ამბროლაურის რ-ნში, ლაშხრაში სოფელია ზემო სვანეთის თავრარის თემში, (ჩარკვ. ა., 238).

ლაშხია კლიმენტი, წალენჯ. რ-ნი. 1975 წ. სახ-ფო პრემია, პირველი მეჩაიე მექანიზატორია სსრკ-ში. (წალენჯიხის რ-ნული გაზ. „კომ. დრ.“ 17-II. 77).

ლაშხიას ჩამოესიძა, ანასტა, სალხინოს სასახლის მებაღე, ბერძენი. სალხინოს ხეები მის დროს არის დარგული. (მეუნარგია, ი., 63).

ამჟამად ლაშხიას საგვარეულო 1674 სულს ითვლის (ზუგდიდი — 730, თბილისი — 26, მარტვილი — 168), (გვარ-სახ. საქ-ში). გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 559-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ლაჭიბაია ლარჭა — მგრ. ნაჭა — საცეცხლურზე ქვაბის ჩამოსაკიდი რგოლებიანი რკინის ასხმა.


ლაჭიბაია ბულათის ქალი — ხიში მოხსენიებულია როგორ მდაბიო, წარმართი და თათარი, გაქრისტიანებული 1834 წ. ივნისში დღ გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 997, გვ. 8, 19).

ლებსაია ლები, ჭაობიანი ნიადაგების ფენა მოლურჯო ფერისა (ქვემ). წარმომდგარია ლებსა მეტსახელისაგან.

ლემონჯავა ლემონ-ჯაა-ვა, ლემონ-ლიმონი, ჯა (კოლხ.) — ხე-ვა-ძე — ლიმონის ხე. სალემონჯო — ზუმი (ჩხორ. რ.). ლემონჯავა ნაწარმოებია ლემონჯა მეტსახელისაგან.

პროფესორ ნაპოლეონ ლემონჯავას ინფორმაციით, ლემონჯავას გვარი მოიცავს შვიდ თურს (გვარის მოდგმას): 1. თნაფიათური, 2. კოჩათური, 3. მესელათური, 4, ქორდათური, 5. ფაცუთური, 6. ქუჩიათური.

ლემონჯავა დიმიტრი მიხეილის ძე, დ. 1907 წ. ისტ. მეცნ. დოქტორი, 1972, პროფესორი 1979 (გაზ. „კომ. დროშა“, (წალენჯ. რ.) 11-V-78.



ლენტეხის რაიონი

ლ. ნაპოლეონ ანტონის ძე, დ. 1927 წ., ამჟამად ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ზუმში. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1985), პროფესორი (1986).

ლ. ბიძინა ნაპოლეონის ძე, დ. 1959, ჩხორ. რ-ნის სოფ. ზუმში ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

საგვარეულო 1935 სულს ითვლის (ჩხოროწყუ – 626, ზუგდიდი – 392, წალენჯიხა – 275), (გვარ-სახ. საქ.).

გვარი შესულია საქ-ში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში.

ლემონჯარია (იხ. ლემონჯავა), საგვარეულო 75 სულს ითვლის (ზუგდიდი – 73, სენაკი – 1, წალენჯიხა – 1), (გავრ-სახ. საქ.).

ლენსავა ეტიმოლოგია საძიებელია. ის შესულია საქ-ში ყველაზე გავრცელებულ 25 000-ზე მეტ ათასი გვარის სიაში.

ლეპარტია ლეპი (მგრ.) – ნერწყვი, დორბლი (ელიავა, გ., ლექსიკ.). უნდა იყოს ლიპარტია (იხ.). ნაწარმოები ჩანს ლიპარიტ ანთროპონიმისაგან.

ლეჟავა შეიძლება ლეჟერი-საგან იყოს. ლეჟერი – (მგრ.) ნედლი (შეშა, მოუხარშავი ხორცი)... ლეჟავების ნაწილი აზნაურები იყვნენ. მოსახლეობენ: რაჭაში, იმერეთში, ჭიათურაში.

ლეჟავა ნაზარი (ერისკაცობაში ნესტორ ანდრიას ძე) (1870-1924). დ. ქუთაისი. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სემინარია, თბილისის სასულიერო სემინარია (1892), ხონის ეკლესიის მღვდელი (იმავე წელს), კიევის სასულიერო აკადემია (1901-1905). ქ. ბელინკის სასულიერო სემინარიის პედაგოგი (1905), კლევანის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი... ქართლ-კახეთის მონასტრების ბლალოჩინი, მიტროპოლიტის ხარისხი (1919).

ლეჟავას საგვარეულო იხსენიება ქუთაისი მაზრის სოფ. წკადისში, კულაშში, სამტრედიაში. ლეჟავების გვარი მოსახლეობს ჭიათურაში და არის ლეჟავების უბანი.

ლეჟავა (ჭიჭინაძე) ელისაბედ მიხეილის ასული, დ. 1882, რაჭის მაზრის სოფ. ხოტევში, აზნაურის ოჯახში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოძრ., 362).

ლ. ანდრო თომას ძე (1870-1938) დ. ქ. სიღნაღში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოძრ., 356).

ლ. ნოე მაქსიმეს ძე. (1884-1938), დ. ქუთაისის მაზრის სოფ. კულაშში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოძრ., 358).

ლ. შამშე (სიმონ) კონსტანტინეს ძე, დ. რაჭის მაზრის სოფ. წკადისში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოძრ., 360).

ლ. გრიგოლი პლატონის ძე, დ. 1920, ქ. თბილისში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1997).

ლ. ვახტანგ აკაკის ძე, დ. ქ. თბილისში. საბჭოთა კავშირის გმირი 1944. (მათ ასახელეს, 249-251).

ლ. ვლადიმერ ნესტორის ძე (1901-1968), კონტრ-ადმირალი (1950), სამამულო ომის მხედართმთავარ, ვეტერანი (დოლიძე, ლ., 201).

ლ. კოტე, იტალიაში მებრძოლ პარტიზანთა ერთ-ერთი ჯგუფის უშიშარი მეთაური. (ქოჩიაშვილი მ., II, 196).

ლეჟავას საგვარეულო 4063 სულს შეადგენს (თბილისი — 1237, სამტრედია — 875, ქუთაისი — 402) (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (4063 სული) მიხედვით 124-ე ადგილზეა (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

ლესია ლესვა შეიძლება უკრაინული წარმოშობის იყოს (შდრ. ლესია უკრაინკას სახელი). ეტიმოლოგია სარკვევია.

ლეფანავა წარმომდგარია ლეფონა (=ლაფანა) მეტსახელისაგან. ლეფონი ქართ. ლაფანი — ხე, რომელიც იზრდება მდინარის პირას, ისხამს მოგრძო და წვრილ მწარე ფოთოლს, ნაყენი გამოიყენება მდინარის თევზების გასაბრუებლად. (იხ. ლეფონავა). ინაუხუ, იგი კათალიკოს დავით ნემსაძეს შეუწირავს ბიჭვინთის ღმრთისმშობლისათვის, ჟამთა ვითარებაში უკან გამოწირულიყო. მამია დადიან-გურიელმა განუახლა მისი შეწირულობა ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ეკლესიას (1689-1714).

ლიფონავა იუსუფ იხსენიება დღ. ზუგდიდის რ-ნის სოფ. ხორგაში. 1673-1680 წწ. (მასალები, 276).

ლეფონავას საგვარეულო 35 სულს შეადგენს (ზუგდიდი — 22, სენაკი — 6, თბილისი — 5), (გვარ-სახ, საქ-ში).

ლეფსაია ლემსი — ნემსი; ნალეფსაო (მარტვ. რ.), ლემსია (მესტ. რ.). წარმომდგარია ლეფსა მეტსახელისაგან. (შდრ. ქართ. გვარი ნემსაძე, ნემსიწვერიძე).

ლეფსაიას საგვარეულო 355 სულს შეადგენს (ზუგდიდი — 77, თბილისი — 61, ფოთი — 43), (გვარ-სახ. საქ-ში).

ლეფსია (იხ. ლეფსაია). საგვარეულო 46 სულს ითვლის (ზუგდიდი — 37, თბილისი — 3, სენაკი — 3), (გვარ-სახ. საქ.).

ლიმუა 1. ლიმა (მეგრ.) — ჯანყი. ლიმუა აზნ. ფლობს სოფ. დიდგორუმს. 2. ლიმუა გამომღები ყმა. (იას. ლორთქ. ქვ. ქართველი, თბ., 1935, გვ. 168).

ლიპარია (იხ. ლიპარტია). საგვარეულო 23 სულს ითვლის (ზუგდიდი — 22, თბილისი — 1), (გვარ-სახ. საქ.).

ლიპარტია საქართველოს ისტორიიდან ცნობილია ლიპარიტ ბალუაშის სახელი, რომელიც ლიხთ-იმერეთიდან წამოსულია IX ს-ის მეორე ნახევარში და კლდეკარში დასახლებულია, საიდანაც დამკვიდრდა „ლიპარიტეთი“... ლიპარტიანი ნიშნავს ერთგვარ წოდებას ტიტულს. (სოსელია,1.312); ახუთი (ჩხორ. რ.),ბალმარანი (გულრ. რ.),სალიპარტიო – კიწია,ლიპარტიაში ღალ (ღელე),ნალიპარტუ – გაჭედილი (მარტვ. რ.),სალიპარტიო (ქ. აბაშა). ლიპარტიანმა (ვარ. ლიპარტიანი) შესწირა ხონის საყდარს ხუნწში მცხოვრები ყმა ჯაველ მამფორია (XII ს. ბოლო, 1448-1503); აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარის ნუსხაში აღნიშნულია, რომ მას და კათალიკოსს ნაგვაზაურებისათვის დაუდეია საკათალიკოსო ბეგარა (1621), იგი, იმერელი ბატონი და დადიანი ლაშქრით კახთ ბატონს მცხეთამდე ჩაჰყოლიან – აღნიშნულია უცნობი პირის (მერაბ სააკაძის სიძის) საჩივრის წიგნში. (XVII ს-ის შუა ხანი). წარმომდგარია ლიპარიტ საკუთარი სახელისაგან:ლიპარტელიანი – ლიპარიტელიანი. ლიპარტიანი გიორგი... იგია ბიძა ლევან დადიანისა (1611-1615), ჰყავს თანამეცხედრე დარეჯან ჭილაძის ასული... ლევან დადიანთან ერთად (ბიჭვინთის) ღმრთისმშობლის ეკლესიას ეფთუიმის კათალიკოსობის დროს შესწირა: ერთი კომლი ყმა... ვანდალ შაფათია შვილებითურთ. ლიპარტიანი ქაიხოსრო – მოურავი, შვილი გიორგი ლიპარტელიანისა. ჯაიანის მიერ დავით კათალიკოსისათვის მიცემულ პირობის წიგნში აღნიშნულია, რომ ხორგაში მცხოვრებ კათალიკოსის ყმებს ედოთ დადიანის – დედოფლის ან ლიპარტიანის გადასახადი (1673-1696).

ლიპარიტის შვილი,ძველადვე გააზნაურებული ორბელიანთ გვარისა, რომელსაც ეწოდა ლიპარიტ ორბელიანი, იოანეს მამა და არიან იმერეთიდგან მოსრულნი 1711 წ... (ივერია, 1883, № 11-12, 1884, № 1-12).

ლიპარტიანი ვახუშტი ბატონიშვილ-ლიპარტიანს პირველად 1858 წლის აბებთან დაკავშირებით იხსენიებს. პირველი ლიპარტიანი იყო გიორგი, იგი სამეგრელოს სამთავროს ფაქტობრივი გამგებელია ლევან II დადიანის მცირეწლოვანების დროს. ბიძა ლევან დადიანისა, მისი მამიდის ქმარი, მამია დადიანის შვილი. სალიპარტიანო შეიცავს მდ. ტეხურის ორივე ნაპირის სოფლებს: ნობული, წაჩხურია, ოქური, თამაკო, მაცა ციხე, ნახურცილუ, გურზემი, კიწია, დოშაყი, ტალერი, დღვანა, ჟინოთა. (საქ. ისტ. გვ. 127).

ლიპარტიანი, რადგან სამეგრელოს მთავარ დადიანს ჯანმრთელი შვილი არ ჰყავდა, სამთავროს დინასტიას გამგრძელებლად ჩვენი დიდი კეთილისმყოფელი და მეგობარი ვამეყ ლიპარტიანი დადგა. (კასტელი, 80).

ლიპარიტის უბანი იხსენიება აღმოს. საქ. ქვემო ქართლის ქციის ხეობაში. აქვე ლიპარიტის მონასტერი. 1721 წ. აღწერით ითვლებოდნენ 1 მებატონე (იოთამაშვილები) და 1 გამომღები ყმა. XVIII საუკ. I მეოთხედი, (ლორთქიფანიძე იასე, 323).

ლიპარტიას საგვარეულო 1173 სულისაგან შედგება (ზუგდიდი – 317, თბილისი – 161, ხობი – 141), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი მოხსენიებულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და 891-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

ლიპარტელიანი (იხ. ლიპარტია). „ქვემო სვანეთიდან მიგრირებული. „ეს გვარი ლეჩხუმში მკვიდრობდა ცხენისწყლის სოფლებში: წიფერჩი, რუნდერი,ბარდნალა,ქულბაქი“ (თოფჩიშვილი. ლეჩხ.). ლიპარტელიანი ვამეყ – სამეგრელოს მთავარი.

ლიპარტიანი გიორგი ვამეყის ძე, ამბობენ,რომ ეს აზნაური კოლხეთის მეფის ნამდვილი შვილია. მან ცოლად მოიყვანა აფხაზეთის მთავრის შარაშიას ქალიშვილი. შარაშია ჩვენი პატრების მეგობარია (კასტელი, 80).

ლიფონავა ა-ლაფან (აფხ.), ლიფონი (მგრ.) დ. გულია, (ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934). (იხ. ლეფონავა). ლიფონავას საგვარეულო 114 სულს შეადგენს (ფოთი – 41, თბილისი – 34, სენაკი – 26), (გვარ-სახ. საქ-ში).

ლობჟანია მომდინარეობს ლობჟანა მეტსახელისაგან. (შდრ. ბჟანია). შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარსახელი ლობჟანიძე.

ლობჟანიას საგვარეულო 107 სულს შეადგენს (ზუგდიდი – 36, თბილისი – 18, წალენჯიხა – 12), (გვარ-სახ. საქ-ში).

ლოგუა ლოგო (მგრ.). ლოგუა კურცხაი, თოლიშია მართებთ ნაჯანეულს ბეგარა... (XVI ს. II ნახ.).

ლ. ვალერი ალიოშას ძე, მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ოხურეის მცხოვრები, ეროვნებადაბრუნებული (ისტ. ეთნ. ინსტ. ოჩამჩ. საქმე).

ლ. შალვა სარდიონის ძე, დ. 1908, თბილისი, 1978, მოსკოვი, ინჟინერი რკინიგზის ელექტროფიკაციის სპეციალისტი, სოც. შრომის გმირი (1962).

ლოგუას საგვარეულო 664 სულს შეადგენს (ზუგდიდი — 379, თბილისი — 89, ჩხოროწყუ — 83), (გვარ-სახ. საქ-ში).

ლოდია ძალიან დიდი ქვა (ქეგლ). წარმომდგარია ლოდია მეტსახელისაგან.

ლოდიას საგვარეულო 57 სულს შეადგენს (ოზურგეთი — 32, თბილისი — 19, ბათუმი — 2), (გვარ-სახ. საქ-ში).

ლოკაია ეტიმოლოგია საძიებელია. ლოკაია თოლიოქროს მეთალაის მართებთ საცაიშლო ბეგარა... (1621).

ლოლუა (კომ. 15.2.75 სიტყვა ბასკებზე); გრძელი პური (ჩუბ); ლოლუა — შენობის სახურავზე ან ხის ტოტებზე ჩურჩხელასავით დაკიდებული ყინული. ლოლუა მგრ. - შებოლვა: სულუგუნის, თევზის... წარმომდგარია ლოლუ მეტსახელისაგან.

ლოლუა აზნაურნი — ესენი არიან ქურთის გვარისანი — ლოლა-ღისშვილები, ესენი მოვიდნენ და მეფემან უბოძა აზნაურიბა (ივერია, 1883, 11-12; 1884, 1-12).

ლ. ბასას და უტას ქურთების ოჯახის დაწვა უბრძანა დავით დადიანმა ზუგდიდის მაზრის მდივანბეგს კაცია ჩიჩუას. (მეუნარგია, ი. 119).

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში ცხოვრობდა 400-მდე კომლი, აქედან 130 გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, აქედან ლოლუა. გვარი მოსახლეობდა ასევე დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. შქაშწყარის ტერიტორიაზე, სადაც აფსუების ჭაჭანება არ იყო (გაზ. „საქართვ.", სპეც, გამოშვ., მარტი, 1997).

ლოლუა ქარდამურ და ბიძაშვილი ხაძგერუთა იხსენიებიან, როგორც დაბალი წრისანი, წარმართული სარწმუნოებისანი და გაქრისტიანებული 1834 წ. აპრილში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ., სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6, 61).

ლ. სალიმე მოიხსენიება, როგორც სოხუმელი მანდილოსანი, სტუდენტი ახალგაზრდობისათვის შემოწირულების ორგანიზატორი (გაზ. „ივერია", 1898, № 276).

ლ. მამია (ჯემალ) გიორგის ძე, დ. 1932, თბილისი, ქართველი გრაფიკოსი. საქ. სსრ დამსახ. მხატვარი (1969).

ლ. ძუკუ (პორფირე) ბახვას ძე, დ. 1887, სოფ. ქვალონი, ახლანდ. ხობის რ., 1924, თბილისი. ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი.

ლ. ემელიანე თეიმურაზის ძე, პოლკის მეტყვიმფრქვეველე ასეულის მეთაური, ლინინგრადის გარღვევისათვის მებრძოლი, ომის ვეტერანი. (ქოჩიაშ., მ., 125).

ლ. ივანე, 1905 წ. რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი სოჭის ოლქში. (ტულუმჯიანი, 52).

ლოლუას საგვარეულო 729 სულისაგან შედგება (თბილისი – 173, ფოთი – 142, სენაკი – 84), (გვარ-სახ. საქ-ში, 126).

ლომაია ა-ლამ, აფხ. (დ. გულია, ხელნაწერთა ინსტ.) ლომი მგრ. – ლომი. გამიგონია, მისკვამ, ქე(რო)ბ(ი)ნა, ხახულარა, კუატა. სომიხერდა, მახუჭაბა, ხახულა, ქებნა, თაიმაზა, ბაბადიბა, ივანე, თოლიორქო, თოსკვამია, განაგონა – ხიბლას მცხოვრებთ ემართათ ბიჭვინთის ტაძრის ბეგარა... (1621). წარმომდგარია ლომა მეტსახელისაგან. ლომაია მახარობელი, ჭალადიდს მცხოვრები, ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ეკლესიას სულის საოხად (1628). ლომაია – სოფ. ჩქვალერში წალენჯიხის რ-ნი, ლომანაური სოფ. შუახევის რ-ში (აჭარა), ღღვანის ტერიტორიაზე.

ლომაიები ზემო სამეგრელოს აფაქიძეთა ყმა-გლეხები იყვნენ (სოსელია, III, 166).

ლომაიას საგვარეულო 1339 სულს ადგენს:(ზუგდიდი - 31, ხობი – 271, სენაკი – 226), (გვარსახ. საქ-ში). ლომაიას საგვარეულო შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1339 სული) მიხედვით 764-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ლომია (იხ. ლომაია) წარმომდგარია ლომია შერქმეული სახელისაგან; ზედა სალომიო, ლომიაში სუკი – მაღლობი (სენაკ. რ.), ლომნახორ - სუჯუნა (აბაშ. რ.), ლომიაში ნოხორი – ჭოლა (ჩხორ. რ.).

ლომია შალვა დიმიტრის ძე მოხსენიებულია როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. რეკას მცხოვრები და ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

სოფ. სალომიო შედიოდა ქუთაისის ოლქის სენაკის მაზრაში და აქ მოსახლეობა (1504 სული) ლომიას საგვარეულო იყო. ამჟამად კი 946 სულს ითვლის (სენაკი – 448, თბილისი – 170, ზუგდიდი – 70), (გვარ-სახ. საქ.).

ლომჯარია ლომ-ჯარი... შდრ. ლომჯელი? ვფიქრობთ, იგი წარმოშობილია ლომჯარა მეტსახელისაგან.

ლომჯარია ლევან — 1823 მარტის 20-ს ყმობიდან გაათავისუფლა მფლობელმა თავადმა იოვანე პარუჩიკმა აგიაშვილმა ნამზითევი ბიჭი ლამჯარია ლევანი. მთავრობის ბრძანებით დაჭირული მოგიყვანე და ისევე მევედრე და ვისმინე შენი ვედრება და ცამეტი თუმანი გამოვართვი თეთრი ფული და თავი დავიხსნევინე და ასე თავისუფლების წიგნი მიგვირთმევია"... და ასახელებს მოწმეებს... (საისელია, მასალები, 84, დოკ. № 90).

ლ. სილიბისტრო შევარდენის ძე (1875-1903), დ. ოზურგეთის მაზრის სოფ. მაკვანეთში, რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოძრ., 372).

ლომჯარიების საგვარეულო 496 სულს ითვლის (ოზურგეთი — 345, თბილისი — 102, ბათუმი — 31), (გვარ-სახ. საქ-ში).

ლორია ეტიმოლოგია საკვლევია. ულურია, (წალენჯ. რ.), ილორი (ოჩამჩ. რ.), ილორი — ყოფილი სოფელი სამტრედიის რ-ნში... ილორი მდინარე (გალ. რ.). გამორიცხული არაა ლორია მეტსახელისაგან წარმომავლობა.

ლორიას 1537 სული გვარი მოსახლეობს: სამტრედია — 420, თბილისი — 364, ბათუმი — 259 (გვარ-სახ. საქ-ში,). გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და 733-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

ლუკავა ლუკა ლათ. ნიშნავს მზის ამოსვლისას დაბადებულს. ლუკა წმინდანის სახელია, რომელსაც დღესასწაულობდა მართლმადიდებლური ეკლესია 4, 29 თებერვალს, 7 აპრილს, 22 ივლისს, 30 სექტემბერს, 11 დეკემბერს.

ლათინურად — მანათობელე, ბრწყინვალე. პალესტინის ჯვრის მონასტერში დაიწერა „ლუკას წამება" (გ. როგავა, საქ. ეკლ., გვ. 68). წარმომდგარი უნდა იყოს ლუკა საკუთარი სახელისაგან. შდრ. ლუკაშვილი.

ლუკავა იონა ონისეს ძე, მიქავა (წალენჯ. რ.) საქ. სსრ. დამსახ. აგრონომი, სოც. შრ. გმირი, საკავშ. მნიშვ. პერსონალური პენსიონერი. (კომ-ზმის დროშით 12-VIII-83).

ლ. ვარლამ გიორგის ძე ნაკიფუ (წალ. რ.) რესპ. დამსახ. აგრონომი. (წალენჯის რ-ნული გაზ. „კომ-ზმის დრო". 27-IX-83).

ლ. აკაკი ძეკეს ძე, ნაკიფუ (წალენჯ. რ.). ჯანმრთელობის ფრიადოსანი, ომისა და შრომის ვეტერანი. (იქვე, 4-VI-85).

ლუკავას საგვარეულო 1330 სულს შეადგენს (ზუგდიდი – 529, წალენჯიხა – 382, თბილისი – 140), (გვარ-სახ. საქ-ში).

ლუხავა ლუხუმა – კულმუხო (სამკურნალო ბალახი), (ქეგლ).

ლუხავა ლუხუმი (მგრ.) – ველური, გაუგებარი (ელიავა გ., ლექსიკ.). ლუხვანო სოფ. მოხსენიებულია 1897 წ. პირველი აღწერის სიაში, როგორც შემავალი ქუთაისის ოლქში, სადაც მოსახლეობდა 1950 სული მეგრელი. ამჟამად ლუხავას საგვარეულო 65 სულს შეადგენს: (ფოთი – 24, სენაკი – 16, თბილისი – 12), (გვარ-სახ. საქ-ში).

ლხინია ლხინი – სასიამოვნო საკრებულო ადამიანებისა, ლხინია კი საკრებულოს მონაწილე. სალხინო სოფლებია მარტვილისა და გალის რ-ნის ტერიტორიებზე.

მაგულია ა-მაგუ აფხაზურად ჩექმა, წაღა (ჯანაშია, ბ. ლექსიკ.). მაგუია (მგრ.) თვითნაკერი რეზინის ფეხსაცმელი. მეგრულ-აფხაზური საერთო გვარია. არის ტოპონიმი სამაგულიო, (მასალები, 180). მაგრი — ტოპონიმია ჩრდილოეთ კავკასიაში, ტუაფსესთან ახლოს; აქ მცხოვრები ჯინჯუა კაკაშია შესწირა ლევან დადიანმა ბიჭვინთას (1628), (მასალები საქ. გვ. 180) მაგია — მისნობა, მოვლენათა სასწაულებრივად გამოწვევის ცრუ „ხელოვნება" (კ. გამსახურდია, V, 962).

მაზელია ეტიმოლოგია საძიებელია. მაზერი სოფ. და მწვერვალი მესტიის რ-ნში. მაზაში — სოფ. ლენტეხის რ-ნში (ჩარკვიანი ა., 138). მაზიხვა — სოფ. გუდაუთის რ-ნში.

მათარაა მათარა — პატარა სამგზავრო წყლის ჭურჭელი, რომელსაც ჩვეულებრივ იკიდებენ ქამარზე... (ქეგლ); მათარა მოხსენიებულია მარტვილის ტაძრის ხელნაწერებში, როგორც მღვდელ-მონაზონი და მწერალ-მდივანი (ძვ. საქ. III, 103). მათარა — მთა მარტვილის რ-ნში.

მათუა მათარე (მგრ) — თოვლის მოლოდინი. მათურა სოფელი და უღელტეხილი დუშეთის რ-ნში. გვარეულობა 536 სულს ითვლის (წალენჯიხა — 280, ზუგდიდი — 137, თბილისი — 76), (გვარ-სახ. საქ.).

მაზერი — სოფ. და მყინვარი ზემო სვანეთში, მესტიის რ-ნში, სახელწოდება აფხაზურ-ადიღეურად მთვარეს ნიშნავს. (გოგატ., 27).

მაისაია საკ. სახელი მაისა, მაისში დაბადებულის აღსანიშნავად (მაისურაძე, სემანტიკა, 31). მაისაური — სოფ. ვანის რ-ნში, მაისი მდ. გულრიფშის რ-ნში.

მაისაიას საგვარეულო 509 სულს ითვლის (მარტვილი — 177, თბილისი — 176, სენაკი — 39), (გვარ-სახ. საქ.).

მაისეა (იხ. მაისაია).

მაკალათია ა-კალათ (აფხ.), კალათი (მგრ.) დ. გულია (ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934). მა-კალათ-ია, მა(მგრ.)-მე, კალათ — კალათა, ია — ძე — მეკალათე, კალათის წვნის ხელოსანი; „კალათა — წნელის, ტკეჩისა... დაწნული, რისიმე ჩასაწყობად ან გადასატანად (ქეგლ). ამრიგად, მაკალათია — მეკალათეა წარმომდგარია ხელობის ტერმინისაგან.

სეფიეთში (აბაშის რ-ნი) ცხოვრობენ ამავე რ-ნის სოფ. ზანათიდან მიგრირებული მაკალათიების 25 ოჯახი. ეთნოგრაფიული მონაცემებით,

მაკალათიების გვარი ზანათში სამურზაყანოდან გადმოსახლებულა. აქ მათ წინაპარს ბატონი მოუკლავს, გამოქცეულა და დასახლებულა უდაბურ ადგილას, რომელსაც დღეს ზანათი ეწოდება. სეფიეთში ორი ძმა მოსულა — დავითი და ნიკოლოზი. უპირატესად დავითის შთამომავალნი გამრავლებულან. მაკალათიები ცხოვრობენ სოფლის აღმოსავლეთით „სამაკალათიოს“ უბანში. მათი „ჯინჯი“ ანუ ძირია ილორის წმინდა „გიორგი“, მაგრამ სამურზაყანოდან მესისხლეობის გამო გადმოსახლებულნი „სალოცავად ველარ დაღიოდნენ ილორში და სუჯუნის წმინდა გიორგის ეყმნენ.

მაკალათია სერგი იოსების ძე, დ. 1893, სოფ. სეფიეთი, აბაშის რ-ნი, 1974, თბილისი, ქართვ. ეთნოგრაფი, საზოგადო მოღვაწე, ისტ. მეცნ. დოქტორი (1948), პროფესორი (1950), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1967).

მაკალათიას საგვარეულო 709 სულს ითვლის (აბაშა — 312, თბილისი — 140, ფოთი — 102), (გვარ-სახ. საქ.).

მაკარია წარმომდგარია საკ. სახელი მაკარისაგან. შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარსახელი იმერეთში: მაკარიძე (ცხოვრობენ თერჯოლის რაიონში).*

მაკარაძეს კორცხის მცხოვრებს, დაუცხრომელი ქურდობისათვის სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა (1840-1853), ვახტანგის კანონის ძალით, ხელი მოსჭრა. (მეუნარგია ი., 119).

მ. დიდიმ გაიოზის ძე, დ. 1925, სოფ. თერჯოლა, ახლანდ. დაბა თერჯოლა, მევენახე-ბრიგადირი, სოციალ. შრომის გმირი (1950).

მ. ალექსანდრე მათეს ძე, დ. 1910, სოფ. თერჯოლა, შორაპნის მაზრა, ქართვ. ფსიქიატრი, მედ. მეცნ. დოქტორი (1958), პროფესორი (1964), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1974).

მალაზონია მალაზონი: 1. მონაზონი (ბერძ. მარტოდმყოფი, ბერი; 2. ქალი, რომელსაც მონასტერში ასკეტური ცხოვრების აღთქმა აქვს დადებული (ქეგლ); წარმომდგარი უნდა იყოს მალაზონ(ია) შერქმეული სახელისაგან. ნამალაზონუ — ჭოლა (ჩხორ. რ.).

მალაზონია ენვერ სევერიანეს ძე, დ. 1933, ქ. ბათუმში. აჭარის ასსრ დამსახ. ინჟინერი (1972). საქ. სახ. პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1982), (ჯაფარიძე ს., 151).

მ. ნოდარ ვლადიმერის ძე, დ. 1929, ქ. ოზურგეთი, ქართვ. გრაფიკოსი, საქ. სსრ დამსახ. მხატვარი (1966).

მალაზონიას საგვარეულო 947 სულს შეადგენს (ოზურგეთი — 229, წალენჯიხა — 169, თბილისი — 151), (გვარ-სახ, საქ-ში).

მალანია წარმომდგარია მალან (შდრ. მელანი) საკუთარი სახელისაგან. მალანურობა — სახალხო დღესასწაული, იციან სოფ. ბიაში (ხობის რაიონი), (ელიავა გ., ლექსიკ.).

მალანია მახუ, ასული — ფუნდუკ, ძია ამისი კოჭო; მაჯი, ცოლი — გინ, ასული — ცუგ მოხსენიებულია, როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისანი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., 1997, გვ. 6; 27, 29).

მ. სოლომონ, კირცხი (ჩხორ. რ.), სოციალ. შრ. გმირი.

საგვარეულო 1947 სულს ითვლის (ზუგდიდი — 509, თბილისი — 353, ჩხოროწყუ — 304), (გვარ. სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 448-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

მალალურია მალალური აფხ. (დ. გულია, ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934), მალალური მგრ.=მალა(ს) მალე, ღურ-ი — მოკვდი, მომიკვდი...

გამორიცხული არაა მალალურის (მალალური ჩიტია ერთგვარი) მეტსახელისაგან მომდინარეობა. შდრ. გურული მალულარია (მალალურია) და იმერეთში გავრცელებული გვარი მალალურაძე.

მალაშხია ეთნ. ლასხი. მოლა-შ ხია, მოლა-მუსულმანი, ლაშხი — ეთნ. ლასხი. ან სხვაგვარად მოლაშხია — მოლაშხნა, ლაშხის//ლასხის მსგავსი, ლაშხეთიდან მოსული.

მ. იური ამბერკის ძე ნაკიფუ (წალენჯ. რ.). მედიც. მეცნ. დოქტორი, პროფ. (გაზ. „კომუნიზმის დროშით", 25 II. 89).

მ. გიორგი მამანტის ძე, დ. 1934 ს. ნაკუნუში, წალენჯიხის რ-ნი. ეკონომიკურ მეცნ. კანდიდატი (1966), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1969), საქ. სსრ რესპუბლიკასთან არსებულ სახალხო მეურნეობის სამმართველოს ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი სექტორის განყოფილების გამგე (1969), საქ. სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1975).

მალაშხიას საგვარეულო 145 სულს ითვლის (თბილისი — 67, ზუგდიდი — 31, აბაშა — 9), (გვარ-სახ. საქ-ში).

მალაია მალი — სწრაფი, ჩქარი, მარდი (ქეგლ). წარმომდგარია მალა მეტსახელისაგან.

მალექსია წარმომდგარია მალექსია მეტსახელისაგან.

მალია ნალია, სალომე სახლი (ჩუბ.).

მალიშავა მალიკი — ხის პატარა სოლი, ჩარჭობილი ფანდურის ყელში; დაკვრის დროს თითებს იცვლიან მასზე წარმომდგარია მალიშა მეტსახელისაგან.

მალიშავას საგვარეულო 235 სულს ითვლის (ზუგდიდი — 122, თბილისი — 31, ხობი — 13), (გვარ-სახ. საქ-ში).

მალუა მალვა, დაფარვა, არგამოჩენა... (ქეგლ). წარმოშობილი ჩანს მალუ მეტსახელისაგან. შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარი კახეთში: მალუძე (თელავის რ.).

მალუშია (მგრ.) მალა — ლუმა=ჯანყი, ომი, მალუშია — მეომარი. მელემიას ცაიშის მიმდგამსა კაცსა, მართებს ბეგარა... (1621).

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი, აქედან 130 გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის **მალუშია**. გვარი მიგვანიშნებს ხალხური აჯანყების მებრძოლზე (ლიმა — ჯანყი). (გაზ. „საქართველო", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

მალურავა ლური (მგრ.) — ძილი, აქედან მალურია — მძინარა. შურითოლი — ემართა თილითის სასახლის ბეგარა... (1621). ეტიმოლოგია საძიებელია.

მამავა მამა-ვა, მამა — კაცი-მშობელი, ვა — ძე; მამი(ს)ძე. შდრ. მამინაშვილი, მამიაშვილი. მამაი სოფ. მარნეულის რ-ნში, მამავა ლანჩხუთის რ-ნში.*

მამაილა მამაილასი, კუთხ. (ქართ. კახ.) ზედმიწევნით მამის მსგავსი (ხასიათით).

მამაშელია მამა-შელია, მამა — მამა, შელი ძვ. ქართულით — შვილი-მამაშვილია.

მამაშელია: გვარი მოხსენიებულია ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშში, მე-19 ს-ის I ნახ-ის მცხოვრები ქართველი, სადაც აფსუათა გვარი თითზე ჩამოსათვლელი იყო. (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

მამულია მამულის მფლობელი; მამულონი — თეკლათი (სენაკ. რ.). მამულია გურ. მყრალი ბალახი; აბზინდა; აჭ. გიაუროთი; მგრ. ოშაშურია, აბზინდა; სვნ. ვოფსოლა, მქსანი (ბოტ.).

გადმოცემით, მამულიები ძველად მუმულიები ყოფილან და საქ. კპ. ცეკას მდივნის სამსონ მამულიას მითითებით, გვარი მამულიად შეუცვლიათ.

მამულარი — სოფ. ჩოხატაურის რ-ნში, მამულა — დმანისის რ-ნში, მამულაანი სოფ. ახალგორის რ-ნში (შიდა ქართლი).

მამულია სამსონ ანდროს ძე (1891-1937), დ. სენაკის მაზრის სოფ. ფოცხოში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში, (რევ. მოძრ., 379).

მ. ერმილი ივანეს ძე (ფოცხო, სენაკ. რ.). სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქ. სსრ დამსახ. ინჟინერი, რესპ. მნიშვ. პერსონალური პენსიონერი (1909-1989).

მამულიას საგვარეულო 423 სულს ითვლის (სენაკი — 134, თბილისი — 70, ჩხოროწყუ — 54), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი მოხსენიებულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან, ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 522-ე ადგილზეა (გაზ. „საქართველო", 6-8 მარტი, 1997).

მამფორია ამფორა* კოლხურ-თურქული წყლის მოგრძო დოქი; ახუთი (ჩხორ. რ.), ბაღმარანი (გულრ. რ.), მამფორიაში გორა — ხუნწი (მარტვ. რ.). მამფორია მოხსენიებულია ხონის ეკლესიის სიგელ-გუჯრებში, როგორც ყმები და ჩხეიძეებისაგან დაფიცულ წერილში ურიცხვი. (ძვ. საქ., III გან. III, 300-301). მ. ლიპარტელიანის მიერ ხუნწის შემოწირულ კაცს მართებს ხონის საყდრის ბეგარა... (1600). მ. ორქოშიას მართებს ხონის საყდრის გამოსაღები... (1600). მ. გაბრიელას მართებს: დიდად შემცირებული და მოკლებული ხონის წმ. გიორგის საყრდრის ბეგარა — მორჩილი ღორი, 1 ქათამი, მისი ყუცლი და კუცრცხი. (კაკაბაძე ს., წ. II, 36).

მ. ფილიპე დიმიტრის ძე (1904-1984), დ. სოფ. ჩხოროწყუში (ჩხოროწყუს რ.), ბიოლოგიის მეცნ. დოქტორი (1954), დოცენტი (1954), პროფესორი (1956), საქ. სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1984), (ჯაფარიძე ს., 178).

მ. შოთა ვასილის ძე, დ. 1915 სოფ. ახუთში (ჩხორ. რ.), სამამულო ომის ვეტერანი, ინვალიდი.

მ. ვარლამ ვლადიმერის ძე, დ. 1925, ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ახუთში, აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი.

მ. ოთარ ანტონის ძე, დ. 1924, ქუთაისი ქართველი მწერალი.

მამფორია არკადი (1902-1949), განისვენებს საფრანგეთში, პარიზთან ახლოს ლევილის ქართულ პანთეონში (გაზ. „ლიტ. საქ.", 1990, 14 აპრილი).

მამფორიას საგვარეულო 1779 სულს შეადგენს (ზუგდიდი – 511, ჩხოროწყუ – 285, თბილისი – 250), (გვარ-სახ. საქ-ში).

მანავა – მანა – მონა, ვა – ძე, მონის შვილი, ქ. გალი.

მანარია ეტიმოლოგია საძიებელია. ლემინარიე – ფოცხო (სენაკ. რ.), მანანური – სოფ. ქვემო სვანეთის რ-ნში. (ჩარკვიანი პ., 238).

მანდარაია მანდა ებრ. გლახა სიტყვაა,* წარმომდგარია მანდარა მეტსახელისაგან. „ძირი გვარია მარღანია. მესისხლეობის გამო ორი ძმა ლეჩხუმში გადასულა. ლეგენდა: დადიანმა მარღანიებს ძმა მოუკლეს. შურისმაძიებელმა ძმებმა დადიანს სულ ამოუძირკვეს უცხოეთიდან ჩამოტანილი ვაზის ჯიში „უსახელური...“ (თოფჩიშვილი, 16).

სოფ. მანდაეთი შედიოდა ქუთაისის ოლქის იმერეთის მაზრაში და 1205 სულს შეადგენდა. ვფიქრობთ, სოფელსაც გვარის სახელი საგვარეულოს სიმრავლის გამო დაერქვა. ამჟამად მანდარიას საგვარეულო 469 სულს ითვლის (თბილისი – 100, ცაგერი – 98, ქუთაისი – 56), (გვარ-სახ, საქ-ში).

მანია მანუა (მგრ.) – ტრუსვა, (ელიავა გ., ლექსიკ.), წარმომდგარია მანა საკუთარი სახელისაგან.** მანიაკეთი – სოფ. ხულოს რ-ნში (აჭარა), ნამანევი – პატარა ონი (ონის რ.), ჯვარი (წალენჯ. რ.). მანია (ბერძ. – სიგიჟე, ვნება), ფსიქიკური დაავადების ერთ-ერთი გამოვლინება. მანიები ზემო სამეგრელოს აფაქიძეთა ყმა-გლეხები იყვნენ (სოსელია, III. 166).

მ. გვანჯი მიხეილის ძე, დ. 1918, სოფ. ორჯონ (წალენჯ. რ-ნი), ქართველი მათემატიკოსი, ფიზ-მათ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (196 4), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1980).

მ. გიორგი, აჩიგვარელი (გალის რ-ნი), პოდპოლკოვნიკი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, 1945 წ. 24 ივნისს მოსკოვში გამართულ გამარჯვების ზეიმის მონაწილე, (ნაჭყებია, მ. 52).

მანიები მოსახლეობენ: ზუგდიდი – 581, წალენჯიხა – 278, თბილისი – 188 (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 849-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

მანტკავა (იხ. მანტუა),*** საგვარეულო 34 სულს ითვლის (მარტვილი – 21, თბილისი – 2, ბათუმი – 2, მარტვილი – 7), (გვარ-სახ. საქ.).

მანტუა – მანტო (ფრანგ.), ქალის ფართო პალტო, ჩვეულებრივ

ბეწვისა (ქელ.). საგვარეულო 34 სულს ითვლის (მარტვილი – 29, თბილისი – 2, ბათუმი – 2), (გვარ-სახ. საქ.).

მანჩხავა ეტიმოლოგია საძიებელია.

მანჩხავას საგვარეულო 53 სულს ითვლის (თბილისი – 26, ბათუმი – 10, მარტვილი – 6), (გვარ-სახ. საქ-ში, 131).

მანცურია ეტიმოლოგია სარკვევია.

მანწკავა მოხსენიებულია როგორც ნამზითევი ყმა, (საქ-ს ბ/ყმ. მასალები, გვ. 143).

მანწკავა ისიდორე (1900-1944) განისვენებს საფრანგეთში, პარიზთან ახლოს, დ. ლევილის ქართულ პანთეონში (გაზ. „ლიტერ. საქ.“, 1990, 14 აპრილი).

მანწკავას საგვარეულო 178 სულს ითვლის (ლანჩხუთი – 71, თბილისი – 48, ბათუმი – 17), (გვარ-სახ. საქ-ში, 131).

მარგალია ეთნ. მეგრული, მგრ. მარგალი, ეს კი ნიშნავს: მრგველს ნერგისა: პამიდერისა, ხის, ე. ი. მშრომელი, საქმის მკეთებელი. აგრუა (აფხ.), მარგალი (მგრ.) დ. გულია, (ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934).

მარა (მარუა) მგრ. – კვირა. აქედანაა ნაწარმოები 17 მეგრული გვარსახელის ვარიანტი.

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130 გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის მარგალია (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

მარგალიტია 1. საკ. სახელი (ქალის) მარგალიტა. 2. ძვირფასი ქვა მარგალიტი; 3. ეთნ. მარგალი (მეგრელი). შდრ. ქართ. გვარი მარგალიტაძე.

მარგანია უნდა იყოს მარღანია, „გ“ ჩართულია ღ-ს მაგივრად რუსულის გავლენით. მ. ბეჟან, კაცი აფხაზეთის აზნაურიშვილთაგანი, სახელი გაითქვა კავკასიის მთიელებთან ბრძოლით, 44 წ. ებოძა გენერალ-მაიორობა.. დაახლ. 1800-1850 წწ. (საქ. კალენდ, 1890, 456).

მარგალი-დან, ეფიქრობთ, მომდინარეობს, შეიძლება პირიქითაც, ასევე სვანური გვარი მარგიანი, სადაც „გ“ ბგერა ჩანაცვლებულია. იგივე მარღ//მარგ ძირი უნდა გვქონდეს მარღიშვილ//ბარგიშვილ და მარგიევ გვარსახელებში, მარგიევები ამჟამად ოსებიც არიან, მაგრამ, როგორც ჩანს, გვარსახელის მარგ ძირი საერთოქართველურია.

მარლია მგრ. მარლი, მარლის მეგრელები იტყვიან ღონემიხდილ, დასუსტებულ კაცზე, რომელიც თვალს ძლივს აღებს. 1. ბრუციანი, 2. მარგი, მარგებელი. ვფიქრობთ, ტომი მარგალიდან უნდა იყოს; მარლიები მოსახლეობენ წალენჯიხის რაიონის სოფ. ლიაში, ობუჯში, ზუგდიდის რ-ნის სოფ. ჭაქვინჯში. მარლი დასახლებაა ქვემო და ზემო მესტიის რ-ნის სოფ. ჭუბერში.

მარლიას საგვარეულო 397 სულს ითვლის (წალენჯიხა — 210, ზუგდიდი — 166, თბილისი — 11), (გვარ-სახ. საქ-ში).


მარგოშია გვარი ლაზური წარმოშობისაა. საგვარეულო 24 სულს ითვლის (თბილისი — 8, რუსთავი — 6, მარტვილი — 4), (გვარ-სახ. საქ-ში).

მარკელია 1. ა-მარკან აფხ. ნარმა (ჯანაშია ბ., ლექსიკ., 185). 2. „ელ“ სადაურობაზე მიგვითითებს.

მარკველია, მარკვა — ცუდად მოზელილ ღომში დარჩენილი ჩკვრივი ბურთულები — ჩაუზელავი ნაწილაკი. მარკელია პატილა — პატრეხის უერთგულესი მოსამსახურე გურიაში, (მარლის მეგრელები იტყვიან ღონემიხდილ, დასუსტებულ კაცზე, რომელიც თვალს ძლივს აღებს. (კასტელი, 137).

მარკელიას საგვარეულო 250 სულს ითვლის (ზუგდიდში — 83, თბილისი — 81, სენაკი — 20), (გვარ-სახ. საქ.)

მარკოზია წარმომდგარია მარკოზ საკუთარი სახელისაგან. შდრ. ქართ. გვარი მარკოზაშვილი; მოხსენიებულია ხონის ეკლესიის სიგელგუჯრებში (საქ. სიძვ., III, 198). მარკოზია კოჩილა მართებს ნაჭალეულის სასახლის ბეგარა... (1621).



მარტვილის რაიონი

მარკოზია მარკოზი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (460-65).

მარტვილაია წარმომდგარია მარტვილისაგან. სოფ. მარტვილი შედიოდა ქუთაისის ოლქის შორაპნის მაზრაში. ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი სოფელი იყო და მისი მოსახლეობა 2774 სულს შეადგენდა.

მარტკილაია ბერძნულია და აღნიშნავს „წამებულს“, ქართულში უპირატესად „მარტვილს“, „მარტვილობას“ (მოწამე, ტანჯვა, წვალებული) უკავშირდება (ახუაშ ვ., 38). ზაქარიას მართებს დარჩელის სასახლის ბეგარა...

IX-X ს-ებში დას. საქ-ში, კერძოდ აფხაზეთის საკათალიკოსოში შედიოდა 17 ეპარქია, მათ შორის მარტვილის ეპარქია (გ. როგავა, 81).

მარტიშია ლაზური გვარია; მარტიში — მარტში დაბადებულს უნდა ნიშნავდეს. შდრ. მარტიაშვილი, მაისაშვილი. გვარი მოხსენიებულია როგორც საეკლესიო ყმა. (მაკალათია, ს., 117).

მარქელია ა-მარქვა (აფხ.), მარქვა (მგრ), დ. გულია, (ხელნაწერთა ინსტ. საქმე № 1934). მარქე — რკინის ნაჭერი, რომელიც წისქვილის ზედა ქვას აბრუნებს; „ელ“ ბგერები სადაურობაზეც გვანიშნებს. ოქუმი, რეჟი (გალის რ.).

მარღანია 1. საკ. სახელი მარღანა; 2. მარღან — ეთნონიმური გვარია — მარგალი; სამარღანიო — ზანათი, სამარღანიო — კეთილარი (აბაშ. რ.), სამარღანიო — ზემო ჭალადიდი (სენაკ. რ.), მარღი მდინარეა მესტიის რ-ში; „სამარღანიო სოფელია ჭილაძეების სამთავროში „ცხენისწყლისა და ტეხურის შესართავთან“ (სოსელია, 1277). „მარღანია და ზვანბა კელასურელი გ. დ. შერვაშიძის ყმები იყვნენ“ (ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი, სოსელია, 5).

მარღანიას ქალი — გიდ მოხსენიებულია როგორც კეთილშობილი, ქრისტიანად მონათლული 1834 წ. იანვარში, დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. შქაწყარში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8; 1).

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში — შერვაშიძეთა რეზიდენციაში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 30-მდე გვარეულობიდან 35 იყო აფსუური, ხოლო 85-მდე ქართულ-მეგრულ-ჭანური წარმოშობისა, მათ შორის მარღანია (გაზ. „საქართვ.“, სპც. გამოშვ., მარტი, 1997).

მარღანიები მოსახლეობდნენ ასევე ოჩამჩირის რ-ნის სოფ. შქაწყარში, სადაც აფსუათა გვარის, თითქმის არავინ იყო (იქვე). მარღანიას

გვარი მოიხსენიება იმავე რაიონის სოფ. თხინას მოსახლეობის 1837 წ. აღრიცხვის სიაში (იქვე); მარღანია ტიტუ – კეთილშობილი, ქრისტიანად მოინათლა ლიხნში 1834 წ. ივნისში (იქვე, 3).

მარღანია, „აქ (ოჩამჩირეში) ახლა გადმოიყვანეს ბლაღოჩინად მამა დიმიტრი მარღანია... ის წარმომადგენელია იმ ახალგაზრდა აფხაზთა ჯგუფისა, რომელნიც სულითა და გულით მოწადინებულნი არიან, არ მოისპოს ძველებური კავშირი აფხაზთა და ქართველთა შორის“ (ო. ჭურღულია, ნარკვ., გვ. 37), (გაზ. „ივერია“, 1898, № 218).

მარღანია მოხსენიებულია როგორც მიგრირებული ოკრიბაში და იქ მაწკეპლაძეების გვარით სახლობენ (ქართვ. მემკვ., 1999, 3, 196).

მარშავა მარშანიას გვარის მეგრული ვარიანტია.

მარშავას საგვარეულო 159 სულს შეადგენს (ფოთი – 51, ზუგდიდი – 35, სენაკი – 26), (გვარ-სახ. საქ-ში, 133).

მარშანია მარ(გალ)+შ(ს)ვან ეთნონიმების სინთეზი. ამარშან – აფხაზ., ხოლო მარშავა გვარის მეგრული ვარიანტია. მარა – შინა, მარა – მარიამ, შინა – ხსენება, ღვთისმშობლისა.

მარშანიას საგვარეულო 730 სულს ითვლის (თბილისი – 278, ზუგდიი – 184, მცხეთა – 66), (გვარ-სახ, საქ.).

მარიამის გახსენება. მარშანიები წებელდელი თავადები იყვნენ. ზედა წებელდაში, ე. წ. დალის მფლობელი. მარშანია, ოჯახური უსიამოვნების გამო, აქ გადმოსახლებულა. ზეპირსა მარშანია იყო ხაშიპსი ციმპარიას ტომის მეთაური.

მარშანიკვარა, მარშანიკვარას წყალი მდ. გალის რ-ნში, ოქუმის მარცხ. შენაკადი.

მარშანია მარშანცია გურ. თითა-თითა; აჭ. აღმათითა, დაღმათითა; ჭნ. ანელა; მგრ. უჭირალე, უჭურალე (შდრ. უჭურველი), ჭურიალე (ბოტ.).

ადიღეში აულ მარშანის ახლოს არის აულ ულაფი, რომლის შესახებ ს. ჯანაშიას აქვს ასეთი ჩანაწერი: „აქ არის მთლად 7 ჰაბლი (ე. ი. უბანი) მარშანჰაბლ... “

ეს მარშანჰაბლი ნიშნავს მარშანის უბანს, ხოლო მარშანი, იგივე მარშანიაა... გვარი მარშანია ს. ჯანაშიას ყაბარდოშიც აქვს დადასტურებული, ფორმით მარშანხა და იქაც თავადად იხსენიება“ (ზ. რატიანი, გვ. 47).

მე-19 ს. 30-იან წლებში სოფ. ლიხნში შერვაშიძეთა რეზიდენციაში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130 გვარეულობიდან 30 აფსუური

იყო. ხილო 85-მდე კი ქართულ-მეგრული წარმოშობისა, მათ შორის მარშანია. თავადი ბაღირყან მარშანია იყო მაჰმადიანი და აქ ლიხნში მიიღო ქრისტიანობა 1834 წ. ივნისში (იქვე, გვ. 7; 1), (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

მარშანია ლორიკ ბესარიონის ძე, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ვიცე-პრეზიდენტი.

მარშანიას საგვარეულო 479 სულს ითვლის (თბილისი — 194, ზუგდიდი — 96, სენაკი — 34), (გვარ-სახ. საქ-ში).

მარჩამია მარჩიბი — ტყუპები. (კ. გამსახ. I. 732).

მარცვალია (იხ. მარცვალავა) რუსაყია მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ნაჟანეულის (დღ. ჭილოუს) მცხოვრები (XVI ს-ის დასასრ. 1521 წ.).

მარცვალავა მარცვალი — ნაყოფი, თესლი ზოგიერთი მცენარისა (უპირატესად პურეულისა), (ქეგლ), წარმომდგარია მარცვალა მეტსახელისაგან.

მარხოლია მარხები ქართველი ტომები იყვნენ; წარმოშობილია მარხოლ(ი) შერქმეული სახელისაგან. აქედანაა სოფლის სახელწოდება მერხეული; მერხეული, ქვედა მერხეული (გულრ. რ.), „წინათ აქ იყო წებელდელი მარშანიების რეზიდენცია“.

მარხულია ვინც იმარხულა (ქეგლ)*. წარმომდგარია მარხულა მეტსახელისაგან.

მარხულიას საგვარეულო ამჟამად 329 სულს ითვლის (წალენჯიხა — 125, ზუგდიდი — 84, თბილისი — 38), (გვარ-სახ. საქ-ში).

მასკურია მასკურ-ი — ქარის. მიმართულებაზე იტყვიან (ქეგლ). წარმოშობილი ჩანს მასკურ(ია) შერქმეული სახელისაგან.

მასხულია უკავშირებენ მასხ, მოხს, მესხ ეთნონიმებს, ჩვენ ვფიქრობთ, სხული (მგრ.) მსხალისაგან უნდა იყოს ნაწარმოები; მსხალდიდი (მცხ. რ.), მსხლები (ახალგორის რ.), მსხლები (ჯავის რ.), მარტვ. რ. და სხვ. მასხულია ამარცვალას, სამამულის და ნაცვალს ემართათ ჭალაის სასახლის- ბეგარა...

„მასხულიები აზნაურები იყვნენ. მასხული არის ადგილი თათართა და იქიდან არიან მოსულნი“. („ივერია“, 1883, № 11-12, 1883, 1-12).

მასხულია დიმიტრი 1847 წ. 25, აზნაური, საჭილაოს მაზრის მცხოვრები, წერს დადიანს და ამის გამო მიწერილობაში სუჯუნის მაზრის მდივანბეგ ალექსი დადიანთან ვკითხულობთ: ...ჩემი ყმები ხარს არ ეკიდებიან და არცა სხვები, სამსახური მაკლიან... გთხოვთ

სამსახური არ დამაკლდეს. დადიანის მინაწერი: თხოვნა განიხილეთ... არ დატოვოთ გლეხთა სამსახურის გარეშე (სოსელია, 124, დოკ. № 103).

მასხულიას საგვარეულო 267 სულს ითვლის (თბილისი – 151, ფოთი – 26, მარტვილი – 25), (გვარ-სახ. საქ.).

მატარია მატარა – ტ ბგერა ჩართულია თ-ს მაგივრად, უნდა იყოს მათარა. მათარა ტყავისაგან შეკერილი და ქამარზე ჩამოსაკიდი საკვების (ტალკვესის) და აბედის, ასევე ხურდა ფულის შესანახად მგზავრობის დროს. აქედან გვარი მათარი – მატარია, შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარი მატარაძე.

მატარია ბაღირის მოჯალაბე ქვაქვალა,ძმები: ფაფა, ტიტუ მოხსენიებული როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისა და ქრისტიანად მონათლულნი 1834 წ. იანვარში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8; 7).

მატაბერია (იხ. მატარია) სამატაბერიო – მენჯი (სენაკ. რ.).

საგვარეულო 79 სულს ითვლის (სენაკი – 26, თბილისი – 13, ფოთი – 12), (გვარ-სახ., საქ-ში).

მატკავა ხურიტული სახელია (გ. ჟორდანია, 167). რელიგიური წარმოშობის სახელწოდებაა. მატკა იყო ხურიტული ღვთაება, რომელიც ადრე ტოპონიმიც იყო (თბ., 1978, გვ. 37).

მატკავა ვანო ხვიჩას ძე მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. აგუბედიის მცხოვრები და ეროვნებადაბრუნებული (ისტ. და ეთნ. ინსტ. ოჩამჩირის საქმე).

საგვარეულო 713 სულს ითვლის (ზუგდიდი – 245, თბილისი – 107, წალენჯიხა – 99), (გვარ-სახ. საქ-ში).

მატუა ა-მატი, აფხაზურად ჭეო (ჯანაშია ბ., ლექსიკ.). ლემატუე ტოპონიმია წალენჯიხის რ-ნის სოფ. ჩქვალერში (გაზ. „კომ. დრ.“ 27. VIII. 83). მატუები ამავე რაიონის სოფ. ობუჯსა და ჯვარში მოიხსენიებიან.

მატუა სოფუჯის ქალი – საბდე მოხსენიებულია, როგორც მდაბიო წრიდან, წარმართი სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. იანვარში, დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8; 6).

მ. კუკური ტრიფონის ძე, დ. 1919 წ. ქ. ზუგდიდში, აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის დამსახ. მუშაკი, სამამულო ომის ვეტერანი.

მატუჟია (იხ. მატოფია). მატუფია შერთლის ემართა ნაჟანეულის ბეგარა... (XVII ს-ის II ნახ.). ეტიმოლოგია დასაძებნია.

მაფშალია მა-ფშალ-ია, მა(მგრ.)-ძე, ფშალა-სვია (ფრინველის სახელი). წარმომდგარია მაფშალია შერქმეული სახელისაგან.

მაქაცარია ქაცარი (მგრ.) — თხის ბატკანი. თხის ბატკნის მომვლელი — მწყემსი. წარმომდგარია მაქაცარ(ია) მეტსახელისაგან.

მაქაცარიას საგვარეულო 1552 სულს შეადგენს (ზუგდიდი — 1174, თბილისი — 115, ფოთი — 55), (გვარ-სახ. საქ-ში, გვ. 134). გვარი მოხსენიებულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე უფრო გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 631-ე ადგილზეა (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

მაქაცარია ვასილი — მღვდელი და პაპალაძე იოსებ მედავითნედ მუშაობდნენ ჭლოუს ეკლესიაში (1898-1899).

მ.-ს თეკლათს მცხოვრებ საეკლესიო გლეხს ემართა 5 ლოღარიკი სანთელი (XVII), (მასალები, 104).

მ. ვლადიმერ მიხეილის ძე, სოციალისტური შრომის გმირი (ზუგდიდის რ-ნის სოფ. ახალსოფელი).

მაღლაკია მაღლაკი — მცირე ამაღლების გორაკი. სოფ. მაღლაკი ორია: ზედა და ქვედა. მაღლაკონე სოფ. ხელვაჩაურის რ-ნში. სოფ მაღლაკი შედიოდა ქუთაისის ოლქში და მაღლაკიას საგვარეულო 1923 სულს შეადგენდა. ვფიქრობ, სოფელსაც მაღლაკი მაღლაკიას საგვარეულოს სიმრავლის გამო ეწოდა.

მაღულარია მაღულ-არ-ია, მა — წინაკიდური, ლულ (მგრ.) — ლელვი. ბგერების გადაადგილება უნდა იყოს, არ — არის, ი — ძე — მალულია(ს)ძე. ან მეტათეზისით: მაღულარია — მალალურია. გვარი მალალურაძე. როგორც ჩანს, მაღულარია მალალურ (მოლალურ) ფრინველის სახელისაგანაა წარმომდგარი.

მაღულარია 300 სულს ადგენს (თბილისი — 106, ჩოხატაური — 78, ბათუმი — 35), (გვარ-სახ. საქ.).

მაჭიხოლია მაჭირხოლი (მგრ.) — მერცხალი. მაჭიხოლიას... ემართა ხაუჟელის სასახლის ბეგარა... (1621).

მახარია წარმომდგარია საკ. სახელი მახარასაგან. მახარია მგრ. — მახარაძე (კ. გამსახ. I, 732). „მახარე დასტურდება I საუკუნ. (ძვ. წ. ა.): მითრიდატე პონტოელის ერთ-ერთ ვაჟს ერქვა. ამ სახელში გამოხატულია ის სიხარული და აღტაცება, რასაც განიცდიდა მითრიდატეს ოჯახი და სამეფო კარი პირმშოს დაბადების გამო“

(გოზალ. მითრიდატე, 242); სამახარიო – ბედია, სამახარიო – კვიტოული (ოჩამჩ. რ.); მახალაკაური სოფ. ხულოს რ-ნში (აჭარა), მახარიების უბანი (საჩხ. რ.), გარახა, ლეგარახე – მუხური (ჩხორ. რ.), შდრ. გამახარია, გახარია, მახარაშვილი, მახარაძე.

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი, აქედან 130 გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის **მახარია**. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

მახარია ქეხეს ასული– საადი; ქირზეს ცოლი ნიჯე, ძენი: ნიჯე და ფაფა ღვაპის ასულნი: ჯავაზ და დაქე, კვატაშ მოხსენიებულია როგორც გლეხნი, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებულნი 1834 წ. აპრილს დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., 1997, გვ. 6; 31, 84, 118, 40, 59). მახარობლიძე გუჯა, ცოლი – შ თრიტან, გოგო – ხანტუ მოხსენიებულია, როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისა და მონათლული ქრისტიანად 1834 წ. აპრილში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინაში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8; 4).

მახარობელი მოხსენიებულია ქიბალავა გერასი და გაბისულა ანდრონიკესთან ერთად, ვამეყ დადიანის მიერ გაგზავნილნი კონსტანტინეპოლს წალენჯიხის ეკლესიის პირველად მოსახატავად. (XIV ს. დასასრული), (საქ. სიძვ., 3, 325).

მახუტია ნაწარმოები უნდა იყოს **მახ** ფუძესახელისაგან, რომლის ეტიმოლოგია საძიებელია, -უტ(ა) კნინობითობის სუფიქსია.

მაჯაგალაია მაჯაგანი (მგრ.) – ორკაპიანი ჯოხი თასმის გამოსაბდელი (კ. გამსახურდია, 1, 732). გვარი მოხსენიებულია კვაუთელი ჩიქვანების ყმა-გლეხების სიაში დავით დადიანის დროს (1788-1804).

მგიშია ეტიმოლოგია სარკვევია. მგიშია კაკაური, მართებს ნაჟანეულის ბეგარა... (XVI ს. II ნახ.).

მდივანი წარმომდგარია ხელობა-პროფესიის ტერმინისაგან. მეფის კარის ხელისუფალთაგან საქმის მწარმოებელი... ვინც წერს ოქმებს, აწარმოებს მიმოწერას.

მებუკე (იხ. ბუკია). ეს გვარსახელი ხელობა-პროფესიის აღმნიშვნელია. 1. ფუტკრის ოჯახის – ბუკის ხელოსანი, 2. ბუკის დამკვრელი.

მებუკე გურამ ვახტანგის ძე, დ. 1930 ქ. თბილისში, საქ. სსრ დამსახ. ინჟინერი (1979), საქ. სსრ სახ. პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1984), (ჯაფარძე ს., 183).

მებუკეს საგვარეულო 236 სულს ითვლის: თბილისი – 109, ქუთაისი – 41. სამტრედია – 17 (გვარ-სახ. საქ-ში, 136).

მებონია საქმიანობის აღმნიშვნელი ტერმინი – ბორნის (ბორანის) მმართველი, მებორნე. ობუჯი (წალენჯიხის რ-ნი), ლეწურწუმე (ჩხორ. რ.).

მებონია ნიკოია ს. ჩაჩათი (გაქცეული) საისტ. მოამბე, 11, 150.

საგვარეულო 1672 სულს ითვლის (ზუგდიდი – 659, წალენჯიხა – 512, თბილისი – 174), (გვარ-სახ. საქ.).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 571-ე ადგილზეა (ვაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

მეგრელი იხ. მარგალია 1900-1907 წწ. სოჭის მოსახლეობის უმრავლესობას მეგრელები შეადგენდნენ. მეგრელებზეა ასეთი ანდაზა: დღას მის გაუგონებუ მარგალიშე (ყაზახიშ) სამართალი, კამბეჩიშ კამანწყარი. „აბა ვის გაუგონია მეგრელის (გლეხის) სამართალი და კამეჩის ხორცის წვენი“. (ხალხ. სიბრძ., 41). მეგრელი ეთნ. მეგრელი;

„ჩემის ღრმა რწმენით – წერს ვლ. ჩუბინიძე თავის წიგნში: „სასწაული თბ., 1993“. „ენას წარმოადგენს დღეისათვის ეგრეთ წოდებული „მეგრული ენა“, სხვადასხვა ეროვნების ბევრი გამოჩენილი ენათმეცნიერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წარსულში ყველა ხალხისთვის ერთი საერთო ენა უნდა არსებობდეს და ის მეგრულ, სვანურ, ლაზურ ან ჭანურში მოიძიებაო“ (ჩუბინიძე ვლ. „სასწაული“, გვ. 330).

მეგრელი ქართული ტერმინია და მეგრულად მარგალი – ვინც რგავს ნერგს (ხისა, პამიდვრისა, კიტრის)... ვინც შრომობს. მეგრელის საგვარეულო 339 სულს ითვლის (ცაგერი – 160, ქუთაისი – 82, თბილისი – 39), (გვარ-სახ. საქ-ში).

მეგრელიძე იოსებ ბართლომეს ძე, დ. 1909, სოფ. ხიდისთავი, ჩოხატაურის რ-ნი, ქართველი ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, ფილ. მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი (1966), მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1980).

მეგრელიშვილი ნოე გიორგის ძე, დ. 1898, სოფ. შუა ფარცხა, ახლანდ. ჩოხატაურის რ-ნი, ქართველი თერაპევტი, მედიც. მეცნ. დოქტორი (1954), პროფესორი (1956), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1964).

მ. (ფსევდონიმი ვაკელი) იონა მეგრელიძე ლუკას ძე, დ. 1900, სოფ. ვაკე, ახლანდ. სოფ. შრომა, (ოზურგ. რ-ნი), ქართველი პოეტი, მთარგმნელი.

მ. აქსენტი ვასილის ძე (!877, სოფ. ხრიალეთი, ახლანდ. ოზურგეთის რ-ნი, 1953, თბილისი), ქართველი ლოტბარი. ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე (1964).

მეგრელიშვილი ვახტანგ პავლეს ძე (1919, ღანირი, სამტრ. რ-ნი), ქართველი მსახიობი, საქ. სსრ სახ. არტისტი (1965).

მელაია მელა, გარეული მტაცებელი ცხოველებიდანაა მიღებული გვარი. მელაიას საგვარეულო 131 სულს ითვლის (ზუგდიდი — 59, თბილისი — 26, ქუთაისი — 11), (გვარ-სახ. საქ-ში).

მელანია მელანია — ქალის საკ. სახელისაგან წარმომდგარი გვარია. მელანი (ბერძნ.) — შავი — შავგვრემანი. მელაიას საგვარეულო 131 სულს ითვლის (ზუგდიდი — 53, თბილისი — 26, ქუთაისი — 11), (გვარ-სახ. საქ-ში, 137).

მელია* წარმომდგარია შერქმეული სახელისაგან — მელია. შდრ. ქართ. მელაძე, მელაშვილი. აქედანაა: **მელაია, მელუა, მელიავა.** მელიების გვარსახელს საფუძვლად უდევს ძველი ქართული მამაკაცის სახელი „მელა“. გვაქვს აგრეთვე გვარები მელაძე და მელაშვილი. (ქართვ. მემკვ., I, 1996, გვ. 54). სამეღიო — სოფ. გალის რ-ნში, „... გვარი მოხსენიებულია პირველად 1628 წ“.

მელია პიპილეი, ჩიგორავა დოქუდარ (იხ. ჩიგორავა) და წყალიგზის სასახლე ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინთას. თავისი მოსახლეობით; ასევე „მელია, შვანცირია, გერაზია და სხვა. მელიების გვარი ფიქსირებულია. აგრეთვე 1700-1714 წწ. გაბრიელ ჭყონდიდელის მიერ სუჯუნის წმინდა გიორგისადმი შეწირულობის წიგნში: მელია ოთარი და მისი შვილები ჩემი დახსნილის... და ესეც შენთვის შემომიწირავს და ამათაც თითო მორჩილი სანთელი მართებს ყოველ გიორგობის წინადღეს...“ (ქართვ. მემკვ., I, 1996, გვ. 54-55).

„აბაშის რ-ნის სოფ. სეფიეთში მელიები მოსულნი არიან სოფ. გეჯეთიდან (დღ. სენაკის რ-ნი), რომლებიც კომპაქტურად მოსახლეობენ სეფიეთის ეკლესიის აღმოსავლეთით, მელიების უბანში. 1904 წ. მონაცემებით სოფელში მელიების 7 კომლი მკვიდრობდა... დღეს მათი რაოდენობა 22 ოჯახის ფარგლებშია“ (ქართ. მემკვ. I, 1996, გვ. 53).

მელიას გვარი მოხსენიებულია მე-19 ს. I ნახ., დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. შქაწყარის მცხოვრები, სხვა ქართველებთან ერთად, სადაც აფსუური გვარისა არავინ იყო. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

მელია ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, დ. 1907, ბათუმი, 1978, კიევი, ქართველი ინჟინერი გამომგონებელი, სსრკ სახ. პრემიის ლაურეატი (1949).

მ. მიხეილ სიმონის ძე (1909, ბაქო), ქართველი არქიტექტორი, საქ. სსრ ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე (1961).

მ. (სახელი დოკუმენტში არაა) 1905 წ. რევოლუციური მოძრაობის მონაწილე სოჭის ოლქში.

მ. ილია (1915-1988) განისვენებს საფრანგეთში პარიზთან ახლოს დ. ლევილის ქართველთა პანთეონში (გაზ. „ლიტ. საქ.“, 1990, 14 აპრილი).

მელიას საგვარეულო ითვლის 573 სულს (აბაშა – 169, თბილისი – 125, ზუგდიდი – 100), (გვარ-სახ. საქ-ში).

მელიავა (იხ. მელია) მიშელ საფრანგეთის სამშენებლო ფირმა „სბს“-ის გენერალური დირექტორის მოადგილე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის საკითხებში (გაზ. „სახ. განათლ.“, 1990, № 1, 3 იანვარი).

მელიავა თამაზ გიორგის ძე, დ. 1929, თბილისი, 1972, იქვე ქართველი კინორეჟისორი, საქ. სსრ ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე (1967).

მელიავას საგვარეულო 155 სულს ითვლის (მარტვილი – 50, ქუთაისი – 48, თბილისი – 14), (გვარ-სახ. საქ-ში).

მელივა (იხ. მელია).

საგვარეულო 39 სულს ითვლის (ოზურგეთი – 12, თბილისი – 10, ლანჩხუთი – 7), (გვარ-სახ. საქ-ში).

მელიქია მელიქ-ი (არაბ. მელიქ „მეფე“) ისტორიული კუთხის, სოფლის, ქალაქის მმართველი, გამგებელი – მამასახლისი (ქეგლ). შდრ. ქართ. გვარები მელიქიძე, მელიქიშვილი, საკუთარი სახელი მელიქო.

მელიქიას საგვარეულო 48 სულს ითვლის: ფოთი – 25, თბილისი – 17, რუსთავი – 3 (გვარ-სახ. საქ-ში,).

მელუა (იხ. მელია) მელუა თომა ოზურგეთის მაზრის ძიმითის წმინდა კვირიაკეს ეკლესიის მღვდელი. („მწყ.“ 1884, 8).

მელუას საგვარეულო 482 სულს ითვლის (ოზურგეთო – 268, თბილისი – 56, ლანჩხუთი - 46) (გვარ-სახ. საქ-ში).

მელუავა (იხ. მელია); საგვარეულო 25 სულს ითვლის (თერჯოლა – 5, თბილისი – 3, ახმეტა – 2), (გვარ-სახ. საქ-ში, 138).


მემიშიში — საკ. სახ. მემი. ლაზური გვარია. საგვარეულო 154 სულს ადგენს (ბათუმი — 24, რუთავი — 4, წყალტუბო — 1), (გვარ-სახ. საქ-ში).

მენაბდე ნაბდის ხელოსანი, ოსტატი. მენაბდეები 900 სულს ითვლიან (თბილისი — 325, ოზურგეთი — 247, სამტრედია — 46), (გვარ-სახ. საქ-ში).

მერჭული შეიძლება რჯულისაგან იყოს. რჯული — ესა თუ ის რელიგიური მოძღვრება — კულტი, სარწმუნოება, სჯული (ქეგლ). შდრ. ზეწოდება — მერჩულე.

მესტუმრია მესტი — (მგრ.) წუღა (ელიავა გ. ლექსიკ.). ნაწარმოებია მესტუმრია მეტსახელისაგან. მესტუმრია დათის ემართა ნაჭალეულის სასახლის ბეგარა...“ (1621).

მესხია გვარადქცეული ეთნონიმი მეს.ხი. მესხიები აზნაურები იყვნენ. რუსთაველი ტომით მესხი იყო. (ძვ. საქ., I, 182). მესხიების მთავარი ღვთაება მთვარე-თორე, მთოვარე იყო (ჯ. ლომაშვილი, 25). „ჩვენი წ-აღ-მდე VI ს-ის ბოლოს მცირე აზიიდან მესხური ტომების ნაკადი შემოიჭრა. მათი სახელი აქაურმა ადგილებმა შემოინახა, მაგალითად მესხეთი, სამცხე (სამესხე). თვით მცხეთაც მესხთა ქალაქს ნიშნავს“ (საქ. ისტ. 8, 40). ვფიქრობთ, ხეთაც მესხთა სოფელს ნიშნავს (ავტ.)“. ზედა და ქვედა მესხეთი (წყალტ. რ.), მესხიეფში ნოხორი (ნასახლარი) — აბედათი (მარტვ. რ.), მესხიში გა. (მაღლობი) სენაკ. რ., სამესხიო (ხონის და წყალტუბოს რ-ები).


მესტიის რაიონი

სამესხიო — სოფ. წალენჯიხის რ-ნში. მესხიები მოსახლეობდნენ მე-19 ს-ის I ნახ-ში ოჩამჩირის რ-ნის სოფ. მოქვში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).*

მესხია მაცი, ძმა მისი ქვათა მოხსენებული არიან როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებულნი 1834 წ. მარტში

დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. მოქვში (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8).

სოფ. მესხეთი შედიოდა ქუთაისის ოლქში და 1209 სულს ითვლიდა, სოფელსაც სიმრავლის გამო, ეფიქრობთ, დაერქვა მესხეთი.

მ. ორდენ ლეონის ძე, წალენჯ. რ-ნის საბჭ. მ-ბა, სოფ. სკოლის მასწ. საქ. სსრ დამსახ. მასწ.

მესხია შოთა ამბაკოს ძე (1896-1972), ობუჯი, ახლანდ. წალენჯ. რ-ნი, 1971, თბილისი, ქართველი ისტორიკოსი, ისტ. მეცნ. დოქტორი (1955), პროფესორი (1957), საქ. სსრ მეცნ. აკად. წევრ-კორ (1967), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1967).

საგვარეულო ითვლის 1637 სულს (ზუგდიდი — 702, წალენჯიხა — 457, თბილისი — 208) (გვარ-სახ. საქ-ში, 139).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 125-ე ადგილზეა.

მეუკურდია ეტიმოლოგია სარკვევია.

მეუნარგია საქმიანობის აღმნიშვნელი ტერმინია — უნაგირის ხელოსანი: მეუნარგია=მეუნაგირეა. მ. პეპუ მოხსენიებულია, როგორც აზნაური, სამეგრელოში განთქმული ოქრომჭედელი XIX ს-ის პირველ ნახევარში (საქ. სიძვ., III, 50). ბაზუა — მამა ცნობილი მოღვაწისა — იონა მეუნარგიასი (იქვე 179); იონა და მისი ძმა — კაპიტონი (ექიმი) იყვნენ საქ-ს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრნი 1911 წ. (იქვე, 70). მეუნარგია გიორგოლიას, ივნევას, მახალიას, ქომოკორდის, ცვიარაბიას, უჩაკოჩას, ჯუჯუტიას, ვამიჩქიდას, ლომინოს ემართათ საცაშლო ბეგარა... (1621). მეუნარგია ხოხოლიას, კვირკვებიას, მიხილიას მართებთ დარჩელის სასახლის ბეგარა.

მ. პეპუ (1791-1851), სოფ. ცაიში, (ახლანდ. ზუგდიდის რ-ნი), ქართველი ოქრომჭედელი. ძე. ქართული ჭედ. ხელოვნების უკანასკნელი წარმომადგენელი.

მ. იონა მიხეილის ძე, დ. 1852, სოფ. ცაიში, ახლანდ. ზუგდიდის რ-ნი, 1919, იქვე, ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.

მ. ვალერი, ზუგდიდის ჩაის მექანიზატორი, სოც. შრომის გმირი.

მ. ვალერიან გერმანეს ძე, 1941, სოფ. ინგირი, ზუგდ. რ-ნი, სოც. შრ. გმირი (1975).

მეფორია ეტიმოლოგია გასარკვევია.

მ. შიშიგაბუს, ხუხუტიას, ივანეს ერჩქიდიას კაცებს ემართათ ჭალაის სასახლის ბეგარა.

მეფორიას საგვარეულო 165 სულს ითვლის (ზუგდიდი – 98, წალენჯიხა – 16, თბილისი – 10), (გვარ-სახ. საქ.).

მექერია ეტიმოლოგია საძიებელია.

მეშველია წარმომდგარია მეშველია მეტსახელისაგან. მეშველ-ი – მშველელი, დამხმარე, შემწე (ქეგლ).

მეშველია მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშის მოსახლე სხვა ქართველებთან ერთად, სადაც აფსუური გვარისანი თითზე ჩამოსათვლელი იყო (გაზ. „საქართველო", სპეც. გამოშვ., 1997).

მ. გიორგობი, ცოლი – პიჭჰვა, ასული – თამარი მოხსენიებულია, როგორც მდაბიონი, წარმართნი და 1834 წ. ივნისში გაქრისტიანებულნი დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშში (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7; 27).

მეშველიას საგვარეულო ამჟამად 184 სულს ითვლის (ზუგდიდი – 88, სენაკი – 52, თბილისი – 15), (გვარ-სახ. საქ-ში, 142).

მეჩეხია შეიძლება წარმომდგარი იყოს მეჩეხე – ხელობის აღმნიშვნელი სახელისაგან. შდრ. მჩეხავი, საჩეხი.

მეძველია წარმომდგარია მეძველია შერქმეული სახელისაგან. მეძველმანე ძველმანით მოვაჭრე (ქეგლ).

მეძველიას საგვარეულო 333 სულს ითვლის (თბილისი – 93, ქუთაისი – 54, მარტვილი), (გვარ-სახ. საქ.).

მზარელუა 1. თავზარდამცემი, შიშის მგვრელი (ძვ. საქ. „ვეფხისტყაოსანი", ლექსიკ.). 2. წარმომდგარია ხელობის აღმნიშვნელი სახელისაგან. მზარეული, კულინარი (ქეგლ).

მზარელუა – სოფ. ეკს მცხოვრები, მთავარ აფაქიძეთა ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი აზნაურები (სოსელია, III. 162).

მ. ვლადიმერ ექვთიმეს ძე (1903-1979), გენერალ-მაიორი (1944), სამამულო ომის მხედართმთავარი, ვეტერანი. (დოლიძე ლ., 199).

მზარელუას საგვარეულო 137 სულს ითვლის (სენაკი – 58, თბილისი – 26, ზუგდიდი – 9), (გვარ-სახ. საქ-ში, 140).*

მიდორია შესაძლოა წარმოშობილი იყოს მინდორ შერქმეული სახელისაგან. მიდორია კოჩილია – ემართა ჯგალის სასახლის ბეგარა... (1621). (შდრ. გვარი მინდორაშვილი).**

მითაგვარია ეტიმოლოგია საძიებელია. მითაგვარიას საგვარეულო

325 სულს ითვლის: ზუგდიდი – 152, წალენჯიხა – 49, მარტვილი – 32 (გვარ-სახ. საქ-ში,).

მითორია, მითრა მზის ღვთაება იყო. მუტატა, ცოლი ხაჯხან, ასული – გუდ, ობიშხია, ცოლი – ჩაფრხან, ასული ჩაადი მოხსენიებულია, როგორც მდაბიონი, წარმართი სარწმუნოებისა და გაქრისტიენებულნი დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშში 1834 წ. ივნისში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., 1997, გვ. 7, 11-12).

მითრია მითრა მოიხსენიება დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშის 1834-1835 წწ. მოსახლეობის აღრიცხვის სიაში, სადაც აფსუური ერთეული გვარი იყო, ხოლო ქართველებისა ბევრი, მათ შორის **მითრია** (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარი, 1997).

მიკოლავა საკ. სახელი მიკოლა. პირველი ნამიკოლუ, სოფ. მარტვილის რ-ნის თამაკონის თემში. სოფ. ნამიკოლავა შედიოდა ქუთაისის ოლქის სენაკის ოლქში, სადაც ესახლა მიკოლავების 1553 სული (1897 წ. პირველი აღრიცხვით).

მილორავა წარმომდგარი ჩანს მილორია საკუთარი სახელისაგან. შდრ. მილორი სპეც. ლურჯი ფერის ერთგვარი საღებავი, იხმარება პოლიგრაფიულ წარმოებაში, საალმშენებლო საქმეში (ქეგლ).

მილორავა მ-ილორ-ავ-ა, მ პრეფიქსით მიღებული, სადაურობის აღმნიშვნელი გვარია. ილორ – სოფელია უძველესი ეკლესიით. არაა გამორიცხული სხვაგვარი ახსნაც.

მილორავა შოთა ერმილეს ძე, დ. 1925, თბილისი, ქართველი კომპოზიტორი, პედაგოგი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1979).

მილორავას საგვარეულო 681 სულს ითვლის (თბილისი – 177, სენაკი – 132, ზუგდიდი – 91), (გვარ-სახ. საქ-ში, 141).

მინდია მინდ-ი მარცვლეულის დაფქვის საზღაური მარცვლის ან ფქვილის სახით (ქეგლ). შდრ. გვარები: მინდიაშვილი, მინდაძე, მინდოდაური, მინდოდაშვილი. ამრიგად, მინდია წარმომდგარი უნდა იყოს მინდა, მინდია შერქმეული სახელისაგან.

მინდია მინდა სოფ. კახაბერის ს/ს., ხელვაჩაურის რ. (აჭარა); მინდა ტოპონიმია სოფ. ხაბუმის ტერიტორიაზე ჩხოროწყუს რ-ნში.

მინდილაია (იხ. მინდია). მინდილაიას საგვარეულო 36 სულს ითვლის (თბილისი – 17, მარტვილი – 12, სენაკი – 2), (გვარ-სახ. საქ.).

მინჯერია მინჯე-რა-ია, მინჯე (მგრ.) – პატრონი, რა – არის, ია – ძე; პატრი(ს) ძე; ახუთი (ჩხორ. რ.), ომინჯე, სიმინჯიო (საპატრონო) – სალხინო (მარტვ. რ.). აქედანაა მინჯია, I გალი (გალ. რ.).

მინჯია (იხ. მინჯერია). მინჯიას საგვარეულო 248 სულს ითვლის: ზუგდიდი — 55, თბილისი — 38, სენაკი — 38 (გვარ-სახ. საქ.).

მინჯორაია მინჯი (მგრ.) — პატრონი, მეპატრონე, მფლობელი. საგვარეულო 99 სულს ითვლის: (ზუგდიდი — 67, თბილისი — 12, ფოთი — 3), (გვარ-სახ. საქ.).

მინჯორია მათეს ოკვინორედან, (გალის რ-ნი), სამი ვაჟკაცი შეეწირა სამშობლოსათვის ბრძოლას: აკაკი — ლენინგრადში. კრემლი, სტალინგრადში, ნიკოფორე კი — მოზდოკში, (ნაჭყებია მ. 65).

მინჯორიას საგვარეულო 58 სულს ითვლის (ზუგდიდი — 29, ფოთი — 11, თბილისი — 3), (გვარ-სახ. საქ-ში).

მიორია აქედანაა მილორია, ადგ. გამოთქმით მიორია (ლ — ბგერის ამოვარდნა დამახასიათებელია მარტვილელთა მეტყველებაში). ეტიმოლოგია საძიებელია. ლემიორე — კიწია (მარტვ. რ.), მიორია — მუხური, ზანათი (აბაშ. რ.);

მირაქია ეტიმოლოგია საძიებელია.* მირაქია პტონიბის ემართა ჯგალის ციხის ბეგარა... (1621).

მირგატია ნაწარმოები უნდა იყოს მირგატ (მიჰრატ, მითრიდატ) სახელისაგან. სამირგატიო — ზანა (სენაკ. რ.).

მირგატიები მთავარ აფაქიძეების ყმა-გლეხები იყვნენ (სოსელია, III. 162).

მირგატიას საგვარეულო 394 სულს შეადგენს (სენაკი — 165, ზუგდიდი — 80, თბილისი — 40), (გვარ-სახ. საქ.).

ამჟამად მირგატიას 2 ოჯახია 10 სულით ჩხოროწყუს რ-ნში (ახალაია ვ., 8).

მირონია მირონი სურნელოვანი ზეთი, ნელსახცებელი, რომელიც მზადდება ტროპიკულ მცენარეთა ფისისაგან; იხმარება ქრისტიანული მღვდელთმსახურების დროს; ლემინორე — გურძემი (მარტვ. რ.), აქედან უნდა იყოს **მიორია**.

მირსონავა ნაწარმოები უნდა იყოს მირსონია მეტსახელისაგან. შდრ. მირსი — მეგრელების ღმერთი.

მირცხულავა მ-ურიცხი (მგრ.) — ვარსკვლავი. „ვარსკვლავის შვილს" უნდა ნიშნავდეს (ჯავახ. 146). წარმომდგარი ჩანს მირცხულა შერქმეული სახელისაგან.

მირცხულავა მოსახლეობდა მე-19. ს-ის I ნახ-ში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. შქაწყარის ტერიტორიაზე ქართველებთან ერთად და აფსუების გვარისა თითქმის არავინ იყო (გაზ. „საქართვ.",. სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

მ. იონა ანდრიას ძე (1912-1983), დ. სოფ. ხორგაში (დღ. ხობის რ-ნი). ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1950), პროფესორი თსუ-ის (1951). ფიზიკის მყარი სხეულის კათედრის საპატიო პროფესორი (1981-1983), საქ. სსრ. სახ. პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1975), (ჯაფარიძე ს., 58).

მ. მირცხულავა ცოტნე ევგენის ძე, დ. 1920, ფოთი, ქართველი მეცნიერი ჰიდროტექნიკის დარგში, საკავშ. სას. სამ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1973), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1979).

მ. ილია იორდანეს ძე, დ. 1913, სოფ. ხორგა. (ახლანდ. ხობის რ-ნი), 1976, თბილისი, ქართველი ისტორიკოსი. ისტ. მეც. დოქტორი (1964), პროფესორი (1965), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1969).

მ. ილია ანდრიას ძე, ფსევდ. მაშაშვილი 1903, ხორგა ახლანდ. ხობის რ-ნი 1976, თბილისი. ქართველი პოეტი.

მ. დიდიმ ლაურენტის ძე (1912, ქუთაისი), ქართველი დირიჟორი. საქ. სსრ. სახ. არტისტი (1958).

მირცხულავას საგვარეულო ამჟამად 1804 სულს შეადგენს (ზუგდიდი - 554, სენაკი — 302, თბილისი — 272), (გვარ-სახ. საქ.).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტ ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 53-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

მისერია ეტიმოლოგია საძიებელია. მისერია (თუ ნისერია). ხვიტი, მამიყორდი, კახაბერი, უწყინარი, ქალაქია, წიწია — ემართათ ხაუჟელის სასახლის ბეგარა... (1621).

მიქავა ნაწარმოები ჩანს მიქა საკუთარი სახელისაგან. შდრ. მიქა-მიქია — ქართ. გვარები: მიქიაშვილი, მიქაძე, მიქაუტაძე, მიქანაძე , აფხაზ. მიქანბა, იმერეთში გავრცელებული გვარი მიქაბაძე//ნიქაბაძე. სამიქაო — დიხაზურგა (გალ. რ.), მიქავა, ლემიქავე (მარტვ. რ.), სამიქა (სამიქაო) (აბაშ რ.). „მიქაიები და მიქაძეები აქ სახლობდნენ. მათი ფეოდალური საბატონო იყო" (ელიავა, აბაშ . ტოპ.); ცაგერის რ-ის სოფელ აღუში ცხოვრობენ სამეგრელოდან მიგრირებული მიქავას გვარი (თოფჩიშვილი, 16). მჭედელი უტუ მიქავა სამეგრელოს გლეხთა 1856 წ. აჯანყების მეთაური, რომელიც რუსის მთავრობამ გადაასახლა შორეულ გუბერნიაში. აქედანაა მიქელია, მიქია. მჭედელ უტუ მიქავაზეა ანდაზადქცეული ნათქვამი: „უტუშ ნინა მუში ნაჭკადაშ უჯგუშო ჭკირუნცია" „უტუს ენა მის ნაჭედზე უფრო კარგად ჭრისო" (ხალხ. სიბრძ., 137).*

„ჩვენი თური მიქაიებია, მიქაში თური. იგი თავის შიგნით იყოფოდა რამდენიმე დინოდ. დინო თურიდან გამნართი, გმნარყიე, ჩვენ გურკოჩასქუალების დინოს ვეკუთვნოდით“. (მთქმ. მიქავა ჯაგუ კალის ძე, 86 წ.), ზემო ჭალადიდი, სენაკის რ-ნი, მარტვილის რ.

გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცლებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 95-ე ადგილზეა (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

მიქავა უტუ ჯოტოს ძე, წალენჯიხის რ-ნი, თავადი ფარნაოზ დადიანის ყმა-გლეხი, გადასახლებული ციმბირში 15 წლით, როგორც საჩეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების წამომწყები. (საისტ. მ. გვ. 146).

მიქელაძე გლახუა — დავით დადიანის დარბაზის დამსწრეთა გამრთობი, ხუმარა, (მეუნარგია ი., 67).

მიქავას აჯანყებას წინ უსწრებდა თურქთა შემოტევა ომარ ფაშას მეთაურობით, მტრის განდევნის შემდეგ გლეხთა აწიოკებას ხელი მიჰყო თავადაზნაურობამ. ცდილობდნენ ომის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურებას მშრომელთა ექსპლოატაციით . ეკატერინე დედოფალმა დააწესა ნატურით გადასახადი (1855-1856), (გაზ. „კომ. დროშით“, 20.VIII-87).

უტუ (დ. 1812) დადიანის ყმა-გლეხი, მჭედელი, გაიგო მარტვილის მაზრის გლეხთა აჯანყების ამბავი თუ არა, ჩავიდა ჯვარში — დალიაში. აჯანყების მიზეზი გახდა ის, რომ გრიგოლ დადიანმა გადაწყვიტა სოფელ ჯვარში მოეშენებინ ფუტკარი, ხოლო ლიაში — ხილის ბაღი. მისი განკარგულებით მასობრივად აყარეს ყმა-გლეხები საკმოსახლო ადგილებიდან, ხოლო ახალ სამოსახლო მიწებს გლეხებს არ აძლევდნენ. უტუმ გლეხთა მოთავედ დანიშნა გლეხი ჭანტურია, უტუ კი ჯვარის და ლიის გლეხების აჯანყებას ჩაუდგა სათავეში.

რაზმმა იერიში მიიტანა მემამულეებზე — დადიანებისა და აფაქიძეებზე. უტუ მიქავამ მიმართა ყველა ყმა გლეხს, რომ დღეიდან არ ემუშავათ თავადებისათვის, ხოლო შინაყმები სახლში გაუშვა და არ უნდა დაბრუნებულიყვნენ უკან. მიქავა აჯანყებულებით წალენჯიხაში შეიჭრა, მებატონე დიმიტრი და პლატონ დადიანების ჩაგვრისაგან გაათავისუფლა ყმა-გლეხები: მიქაიები, ეფსიები, ჩიქობავები, სახოკიები, კანკიები და სხვ. წალენჯიხაში აჯანყებულთა სათავეში ლევან და მათია კვარაცხელიები დანიშნა.

უტუ მიქავა აჯანყებულებს მოუწოდებდა: ხომ ხედავთ, ცხოვრება არ შეგვიძლია, მიწა ჩვენ არა გვაქვს და წყალი, სხვისთვის ვშრომობთ.

ჩვენ კი მშივრები ვართ, კაცად არ გვაფასებენ, ხუნდები, გაყიდვა, წართმევა, ძაღლებზეც გადაცვლა — აი რას გვიშვრებიან, მოდით, მომყევით ძმებო და ძალით ჩავაძაღლოთ ეს ქოფაკებიო. ასე შეიქმნა აჯანყების მეორე რაიონი ჯვრის მაზრაში. (გაზ. „კომუნ. დროშით", 3.IX.87).

საჭილაოსა და სუჯუნის მაზრებში შეიქმნა აჯანყების მესამე რაიონი. 1957 წ. გაბაფხუზე უტუს ლაშქარმა წალენჯიხის, ჭკადუაშის, კორცხელის, ლედგებიეს, ყულიშკარის, ჭაქვინჯის, კირცხის, ხიბულასა და სხვა სოფლების დაკავების შემდეგ იერიში მიიტანა ზუგდიდზე, დაამარცა თავადაზნაურთა რაზმები. 1857 წ. 12 მაისს დაიკავეს მთავრის რეზიდენცია ზუგდიდში... დაიკავეს ხორგა, ყულევის მიმართულება და შექმნეს შავი ზღვის საშიშროება. აიღეს სენაკი, კოტიანეთი...

აჯანყებულები დამარცხდნენ, შედეგად 41 კაცს მიესაჯა რუსეთის შერეულ მხარეებში გადასახლება. აჯანყების მთავარ ხელმძღვანელებს: **უტუ მიქავას, ლევან კვარაცხელიას და კოჩა თოდუას** მიესაჯა 10-10 წელი ციმბირში გადასახლებით, არხანგელსკის გუბერნიაში, 9 პატიმარი გადაასახლეს კოსტრომის გუბერნიაში, 20 პატიმარი — კიევის გუბერნიაში, დანარჩენი 609 აქტიური მონაწილე გადაასახლეს სხვადასხვა ვადით სხვადასხვა ადგილებში.

სასჯელის მოხდის შემდეგ 1867 წ. 14 იანვარს მთავრობამ უტუ მიქავა თბილისში მოათავსა მეტეხის ციხეში.

უტუ დაბრუნების შემდეგ მამასახლისად აირჩიეს. დასაფლავებულია წალენჯიხის ეკლესიის ეზოში.*

აჯანყება დამარცხდა. მიუხედავად ამისა, სამეგრელოს გლეხთა აჯანყება იყო საქართველოს გლეხთა ანტიფეოდალური გამოსვლა, რომელმაც სხვა გლეხთა აჯანყებებთან ერთად შეაერყია ბატონყმობის საფუძვლები და ხელი შეუწყო საქ-ში მის გაუქმებას. (რესპ. დამსახ. მასწ. ვლადიმერ ჩიქობავას სტატიიდან „კომუნიზმის დროშით", 3. IX. 87).

მიქავა ვასილ მიხეილის ძე (1905-1990) მედანი (წალენჯ. რ.), სოც. შრ. გმირი ეგრისი (წალენჯ. რ. გაზ.) 3.VII.90.

მ. ლუბა ანდრიას ასული, (წალენჯ. რ.), სოფ. მეურნ. დამს. მუშაკი.

მ. მანანა მეგონას ასული წალ. რ. სოფლის მეურნ. მუშაკი.

მიქავას საგვარეულო 4550 სულს ითვლის (წალენჯიხა — 1571, ზუგდიდი — 1086, თბილისი — 411), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე

გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 96-ე ადგილზეა (გვარ-სახ. საქ. გვ.).

მიქაია (იხ. მიქავა); საგვარეულო 1488 სულს ითვლის (ზუგდიდი – 429, თბილისი – 294, მარტვილი – 247), (გვარ-სახ. საქ-ში).

მიქელაია მიქელა, ებრ. ღვთის სწორი ღვთაებაა. მიქა, შურიმიდგი მუხურს მცხოვრებთ ემართათ სუბვის სასახლის ბეგარა... (1621).

მიქელაიას საგვარეულო 23 სულს ითვლის (ზუგდიდი – 11, წალენჯიხა – 41, თბილისი – 21), (გვარ-სახ. საქ.).

მიქენაია წარმოშობილი უნდა იყოს ან მიქელა, ან მიქანა საკუთარი სახელისაგან. საგვარეულო 111 სულს ითვლის (ზუგდიდი – 56, წალენჯ. – 50, თბილისი – 2), (გვარ-სახ. საქ.).

მიქვაბია წარმომდგარია ხელობის აღმნიშვნელი სახელისაგან. ქვაბის ხელოსანი – მკეთებელი. შდრ. ქართ. გვარი მექვაბიშვილი, აფხაზ. ანქვაბი. გვარი 184 სულს ითვლის (ზუგდიდი – 88, სენაკი – 52, თბილისი – 15), (გვარ-სახ. საქ.).

მიშველია მიშველე, მიხსენი. წარმომდგარია შერქმეული სახელისაგან. შდრ. მეგრულდაბოლოებიანი გვარი მეშველია.*

მიშველიას საგვარეულო 184 სულს ითვლის (ზუგდიდი – 88, სენაკი – 52, თბილისი – 15), (გვარ-სახ. საქ.).

მიჭენაია მიჭენება ... ცხენის მიჯირითება... (ქეგლ). წარმომდგარია მეტსახელისაგან.

მოკია** ეტიმოლოგია საძიებელია.

მოლაშხია გადმოცემით სამი ძმა მალაშხია დასახლებულა ლეჩინდეში (წალენჯ. რ.) – ნაკიფუს უბანი. წალენჯიხელ დადიანებს არ მოსწონებიათ ეს ამბავი, ბევრჯერ დატრიალებულა აქ ცულები ან კაჟის თოფები. უტუს ჯარის დამარცხების შემდეგაც 1872 წ. ლეწურწუმის საზღვარზე კაზაკთა ტყვიებით დაცვნენ ძმები – ბუჯგუ, ბახვა და ტოტოია... მოლაშხიები (გაზ. „კომუნიზ. დროშ.“, 25.II.67 წ.), (კოსტა ლაშხის სტატიიდან).

მ. ამბერკი (1905-1978) სამსონის ძე, ნაკიფუ (წალ. რ.), საქ. სსრ დამსახ. მასწ. („კომ. დრ“. 30.XI.78).

მ. გიორგი მამონტის ძე საქ. სსრ სახ. პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. კომ. დრ. 8.III. 75.

მოლაშხიას საგვარეულო 858 სულს ითვლის (წალენჯიხა – 424, ზუგდიდი – 248, თბილისი – 59), (გვარ-სახ. საქ-ში, 144).

მომრიდია ვინც (რაც) მოერიდება (ვისმე ან რასმე) (ქე გლ).

მონავა მონა, მონათუხუცესი მეჯის კარის ხელისუფალთა — სამონიე (ხობ. რ.), ნამონავე (ამბრ. რ.).

მონიავა მონა, გასაყიდი გლეხი. დას. საქართველოში მონების გასაყიდი ადგილები იყო ქობულეთი: გონიო, ანაკლია, ყულიშკარი.

მონიავების საგვარეულო 430 სულს ითვლის (თბილისი — 144, მარტვილი — 103, ქუთაისი — 72), (გვარ-სახ. საქ.)

მორგოშია გვარი ლაზური წარმოშობისა ჩანს. მორგვ-ი ურმის თელის ან, საერთოდ, ბორბლის კუნძი, რომელშიც გაყრილი ღერძის თავი დამაგრებულია სოლებით (ქეგლ); ლეწურწუმე, ჯგალი (წალენჯ. რ.); მორგოშია მორგვასია//მორგვისაა? მორგო სოფ. ჯავის რ-ნში.

მორგოშიას საგვარეულო 1529 სულს შეადგენს (ზუგდიდი — 451, ჩხოროწყუ — 256, წალენჯიხა — 189), (გვარ-სახ. საქ-ში, 144).

გვარი მოხსენიებულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 645-ე ადგილზეა (გაზ. „საქართველო", 6-8 მარტი, 1997).

მორგოშოა გოტა სოფ. თაიდან (დღ. ჩხოროწყუს რ-ნი), საეკლესიო გლეხი, სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების აქტიური მონაწილე, აჯანყებისადმი დაჟინებითი მხარის დამჭერი და მემამულეთა ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევისათვის 6 წლით ციმბირში გადასახლებამისჯილი. (საისტ. მ., II, 148).

მორგოშიას საგვარეულო 1529 სულს შეადგენს (ზუგდიდი — 451, ჩხოროწყუ — 256, წალენჯიხა — 189), (გვარ-სახ. საქ-ში, 144).

მოროხია ეტიმოლოგია საკვლევია. გვარი მოსახლეობს გალის რ-ნის სოფ. გუდავაში და 70 სულს ითვლის (ზუგდიდი — 28, თბილისი — 17, ჩხოროწყუ — 10), (გვარ-სახ. საქ.).

მოსავა (იხ. მოსავა).

გამორიცხული არაა სხვაგვარი ახსნა. კერძოდ მოსინავა — მოს-ინა საკუთარი სახელისაგან მომდინარეობდეს, შდრ. გვარები: მოსია, მოსიძე.

მორცხვია მორცხვი, მორიდებული; ლემორცხვიე — ლეძაძამე (სენაკ. რ.).

მოსია (იხ. მოსიავა), მოსინიკების ტომი მოსახლეობდა პონტოს ტერიტორიაზე ჩვენი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეებში (ხინთიბიძე, 12). გვარი გამოიცვალეს მოსიძეებად, თუმცა მოსია გვარსახელი ახლაც ფრიად გავრცელებულია სამეგრელოში. შდრ. ქართ. მოსეშვილი, მოსაშვილი. მოსირი (სენაკ. რ.), ლემოსიე (მარტვ. რ.), მოსიას ფონი, მოსიავას წყალთხელი, ფონი — ქოლობანი (აბაშ. რ.), მოსია, მოსიაშვილები — ქედის რ-ნი (აჭარა).

მოსია ტიტე დავითის ძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

მოსიავას გვარი 630 სულს ითვლის (ზუგდიდი – 50, აბაშა – 45, თბილისი – 44), (გვარ-სახ. საქ.).

მოქერია ეტიმოლოგია საძებნია. საგვარეულო 44 სულს შეადგენს (ბათუმი – 17, თბილისი – 17, ქობულეთი – 4), (გვარ-სახ. საქ.).

მოწაფია მოწაფე, მოსწავლე, აქედან გვარი. მოსახლეობენ ქ. გალში. გვარი 133 სულს ითვლის (მარტვილი – 37, ზუგდიდი – 32, თბილისი – 27), (გვარ-სახ. საქ.).

მოწერელია 1. რაც მოსწერეს ან მოიწერეს; 2. რაც მოსწერეს... (ქეგლ); (შდრ. გვარი გაწერელია).

მოწერელია ალექსანდრე (დ. 1910, ფოთი), ქართველი მელიორატორ-ნიადაგმცოდნე, სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1976), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1980).

საგვარეულო 64 სულს ითვლის (მარტვილი – 27, ქუთაისი – 14, ფოთი – 7), (გვარ-სახ, საქ.).

მოხვაში ეტიმოლოგია საკვლევია. ლაზური გვარია. საგვარეულო 48 სულს ითვლის (ზუგდიდი – 44, თბილისი – 4), (გვარ-სახ. საქ.).

მჟავია მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან. მჟავე სპეციფიკური, მწვავე გემო-ჭმახი... ტყემალი, ძმარი, ლიმონი (ქეგლ); მჟავია გაბრიელ ივანეს ძე , როგორც მემამულე, მოხსენიებულია ქუთაისის გუბერნიიდან ქ. თბილისში მამულების საჯარო ვაჭრობის განცხადებაში („ივერი", 1902, № 245).ა

მჟავია მჟაველა, სამყურა მჟავია; ჭან. კურდღლის მჟაუნა; იმერ. შაბშაბა, ჯღამანა; გურ. ექვსყურაი, უკადრისა; ჭან. მტკვი შუკა; მეგრ. სასტი; სვ. მხიმ პირპლიდ (ბოტ.).

მჟავია დიმიტრი გრიგოლის ძე, დ. 1896, თბილისი, 1965, თბილისი, ქართველი მსახიობი, საქ. სსრ სახ. არტისტი (1941).

მჟავიას საგვარეულო 1136 სულს ითვლის (ოზურგეთი – 348, ქუთაისი – 161, თბილისი 159),მ (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი ვაერცელებული ათსი გვარის სიაში და რაოდენობის (1136 სული) მიხედვით 992 ადგილზეა (გაზ. „საქართველო", 6-8 მარტი, 1997).

მსხალაია (იხ. სხულუხია). ნაწარმოებია საკ. სახელ მსხალისაგან. მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან.

მსხალაიას საგვარეულო 54 სულს ითვლის (თბილისი – 19, ფოთი – 10, სენაკი – 5), (გვარ-სახ. საქ.).

მსუბუქია მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან. მსუბუქია ხუხულია, ხუხას მართებთ ჯგალის ციხის ბეგარა... (1621).

მუზურგნია ეტიმოლოგია საძიებელია. მუზურგნია მიხილიას ემართა ხოირის სასახლის ბეგარა... (1621).

მუთაბილუ მუთაქა — მატყლით ან ბამბით გატენილი თავქვეშსადები (ქეგლ). მუთაგილე მოხსენიებულია ლევან დადიანის წყალობის წიგნში (1768-1772).

მუმულია (იხ. მამულია), მუმული (მგრ.) — მამალი. გვარი მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან. შდრ. ქართ. გვარი მამალაძე. მუმულია წებელარას ემართა ხოირის სასახლის ბეგარა... (1621).*

მუნჩავა მუნჩქვი (მგრ.) — მაჩვი, გარეული — ღორის ჯიშის ცხოველი. უყვარს სიმინდის ნორჩი ტაროები. მომდინარეობს მუნჩა შერქმეული საკუთარი სახელისაგან. შდრ. ქართ. გვარი მუჩაიძე. მუნჩი ტოპონიმია ზუგდიდის რ-ნის სოფ. ხეთაში.

გვარი 29 სულს ითვლის (ზუგდიდი — 17, თბილისი — 8, სენაკი — 4), (გვარ-სახ. საქ.).

მურღულია მურღული (მგრ.) — მწერი, ბზიკი, ცხოველების მწარე მკბენარი. ნაწარმოები ჩანს მურღული მეტსახელისაგან. მურღული (ართვინის ოლქი) ძევს ლივანის ჩრდილ. წინ ჭოროხი ჩამოუდის, მურღული იწყება ბორჩხის ზემოთ სოფ. წითურეთის ახლოს.... ამოვარდნილა ქრისტიანული წეს-ჩვეულება... გათათრებულან (მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქ-ში, თბ., 1913, გვ. 203).

მურღულია შოთა, ნაღშმტყორცნელი ათეულის მეთაური, რიგისათვის მებრძოლი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი. (ქოჩიაშ მ., 191).

მურღულიას საგვარეულო 825 სულს ითვლის (თბილისი — 190, სენაკი — 173, წყალტუბო — 94), (გვარ-სახ. საქ-ში).

მუქბაია მუქარა (არაბ.) — ქადილი, დაქადნება (ძვ. საქ. ტ. 1, გვ. 140, „ვეფხისტყ“. ლექსიკ.).

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის **მუქბაია**. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

მუქბაია თასიკოჩი, მეუღლე — ტუგუ, რძალი — კვაფ მოხსენიებული არიან, როგორც თათარნი და წარმართნი, გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8; 4).

მუქერია (იხ. მუქბაია).

მუქერიას საგვარეულო 403 სულს შეადგენს (სამტრედია – 160, თბილისი – 96, რუსთავი – 14), (გვარ-სახ. საქ-ში, 147).

მუშუქია ეტიმოლოგია საძებნია. საგვარეულო 119 სულს ითვლის (ზუგდიდი – 94, ფოთი – 12, თბილისი – 6), (გვარ-სახ. საქ-ში, 147).

მუხაშავრია მუხა – ხე, შავრია უნდა იყოს შავია (ვფიქრობთ რ ბგერა ჩართულია) – მუხაშავია. მუხაშავია მც. (ბოტ.).

მუხაშურა სოფ. ზემო სვანეთის ლენხერის თემში.

მუხაშავრია სევერიან მოსეს ძე, დ. 1909, სოფ. ძიმითი, ახლანდ. ოზურგეთის რ-ნი, სოციალ. შრომის გმირი (1949).

მუხაშავრიას საგვარეულო 245 სულს ითვლის (ოზურგეთი – 123, ბათუმი – 62, თბილისი – 14), (გვარ-სახ. საქ-ში).

მწყერია ნაწარმოებია მწყერია მეტსახელისაგან. არქანჯელო ლამბერტი, XVI ს-ის იტალიელი მისიონერი, წიგნში „სამეგრელოს აღწერა" აღნიშნავს, რომ, როცა მწყერების დრო მოახლოვდება, ყველა... მეგრელი იძენს მიმინოს...", (არქანჯელო, გვ. 172). სამიქაო (აბაშ. რ.). მწყერისციხე სოფ. ზესტაფონის რ-ნში.

მჭითავა წარმომდგარია ღელე მჭიშთადან. ძველი და შუა საუკუნეების ტერმინი, ღელე, „მიწისქვეშა წყალი" მომდინარეობს 30 კილომეტრზე ჯ. გამახ. გ. გოგია, 24). ბაბადიბას, ამარცალია, ჯუმარია, ლეჭყურდაღუ ემართათ საცაიშლო ბეგარა...

მჭიშია ეტიმოლოგია საძებნია.* მჭიშია კაკაური მოხსენიებულია ნაჟანეულის, ღღ. სოფ. ჭილოუ (ოჩამჩ. რ.) მცხოვრებად (XVI ს-ის დასასრული, 1621 წ.).

მხეცია მხეციაშვილების მეგრული ფორმა. იხ. ხეცია.

მხეცია მხექუც, თავადი სომეხთა – მოვიდნენ დროსა თურქთაგან დაპყრობისასა და მეფემან მიიღო თავადად მხეციად და მის გამო გაუგეარდათ შვილთა მისთა მხეციაშვილობა (გაზ. „ივერია", 1883, № 11-12, 1884, 1-12).

მხონჯია ეტიმოლოგია და სხვა საილუსტრაციო მასალა საძიებელია.

ნადარაია 1. წარმომდგარი ჩანს ნადარა (რ. ნადირა) მეტსახელისაგან. ნა იყო გვარების საწარმოებელი ფორმატი (თოფჩიშ., 16), დარაია – ყაჭისაგან მიღებული ძაფის ნაქსოვი. აქედანაა ნადრია. შდრ. გვარსახელი ნადირაძე, ნადირაშვილი.

„ნადარაია, ნადარეიშვილები ერთი თური ვართ, ერთი გვარისანი ვართ, თური კათა ვორეთ, რომლის შიგნით ვიყოფით დინოებად, ვირთუუთ ნოცლოფო, ვიყოფით ნაყარად, ტოტად. ჩემი დინო ხოსიკიაშვილების დინოა, გვარად ნადარეიშვილები, ნადარეიშვილების თური, ხოსიაკიასკუალეფიში დინო. ხოსიკია ჩვენი ნოცს, ჩვენი დინოს წინაპარია, დიდი პაპაა. ჩვენი დინო ნადარეიშვილები სამ დინოდ ვიყოფით. ხშირად ხოსიკასქუალეფიში თურს, ხოსიკია თურებსაც ვიტყვით, ისე დიდია ჩვენი დინო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ხოსიკია თურები ცალკე გვარი იყოს. იგი ნადარეიშვილების თურის ხოსიკიას ტოტია, დინოა“ (მთქმელი ნადარეიშვილი ბურდღუ ბესარიონის ძე, ონტოფო (აბაშის რ-ნი, 89 წ. გეგეჭკ. მუზ., 77).

ნადარაია გიორგი და ფანცულაია მახარობელა ცხოვრობდნენ სოფ. გვაზაურში (XVII) და იყვნენ საეკლესიო გლეხები. (მასალები, 54).

ნადარაია გიორგი ბაადურის ძე, დ. 1901, ხორგა დღ. ხობის რ-ნი, 1974, სოხუმი, ქართველი კლიმატოლოგი, ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1953), პროფესორი (1962, საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1971).

ნადარაიების საგვარეულო 1294 სულს ადგენს (ხობი – 266, ზუგდიდი - 261, თბილისი – 219).

ნადარეიშვილები აბაშის რ-ნის სოფ. სეფიეთში ცხოვრობენ ამავე რ-ნის სოფ. ონტოფოდან მოსული ნადარეიშვილების (ოთხი ოჯახი) ეთნოგრაფიული მონაცემებით, ნადარეიშვილების ადრინდელი გვარი აგიაშვილი ყოფილა. ისინი ონტოფოში მე-18 ს. მეორე ნახევარში გადმოსულან. გადმოცემით, დადიანს ტივზე დაკრული ჭაბუკი უპოვია. ის თავის ნანადირევად ჩაუთვლია და ნადარეიშვილი (ნანადირესკუა – ნანადირევიშვილი უწოდებია)... აქედან ქალის სახელი **ნადია** (ქართვ. მემკვიდრ., 55).

ნ. სამსონ დიმიტრის ძე, დ. 1895, სოფ. ონტოფო, ახლანდ. აბაშის რ-ნი, 1977, თბილისი, ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი, პედაგოგი, საქ. სსრ სახ. მხატვარი (1965).

ამჟამად ნადარეიშვილის საგვარეულო 1564 სულს ითვლის (თბილისი – 657, აბაშა – 351, სენაკი – 111). გვარი რაოდენობის მიხედვით შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში (გვარ-სახ. საქ-ში).

ნადარეისკუა, ნადარე, ნადარი საკ. სახ., სქუა – ძე, შვილი ნადირი(ს) ძე; ნადარეიშვილი, ნადირაძე, ნადირაშვილი.

ნაკაშია წარმომდგარია ნაკა საკუთარი სახელისაგან. ში-ძე; შდრ. ქართ. გვარი ნაკაშიძე. ნაკი სოფ. სვანეთში. სვ. სიტყვაა და ვაკეს ნიშნავს... გოგატ. 31. ერაყის არაბებში არის პროფესიის გამომხატველი ტერმინი „ნაკაშ“ – სახლების მღებავი.

ნაკაშიას საგვარეულო 63 სულს ითვლის (სენაკი – 22, თბილისი – 8, ფოთი – 2), (გვარ-სახ. საქ-ში).

ნანავა ნანა (მგრ.) – დედა,* ნანაში ნამაშულუ – (ნანასი ნამამულარი); ლენანიე (სანანაო) – ჭყონი, ტალერი (მარტვ. რ.), ნანავების მამული, ნანაში ჭალე (ჭალა) – ახალი სოფელი (სენაკ. რ.). გვარი ნაწარმოები ჩანს ნანა საკუთარი სახელისაგან. შდრ. ხევს. გვარსახელი ნანაისძე.

ნანა იყო ქალღმერთი. არის მეგრული მისამღერი: „ჰოინანა, დიდოუ ნანა...“

ნანავა ალექსანდრე ანდროს ძე, ჩერნიგოვ-პოლინის ა. ფ. ფედოროვის სახ. პარტიზანული შენაერთის მებრძოლი (1943), სამამულო ომის ვეტერანი, (ვ. გურული, 49).

გვარი მოსახლეობდა მე-19 ს-ის I ნახ-ში, დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კინდღში, სადაც ცხოვრობდნენ მხოლოდ ქართველები, მათ შორის ნანავაც. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ნანია ჭიჭინ, ცოლი – კაცრი, ასულნი: აშთრახან, ვათომ, ცოლის ძმა – დღესმა მოხსენიებულია, როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. ივნისში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კინდღში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7; 3).

ნანავას საგვარეულო 1612 სულს ითვლის (ზუგდიდი - 572, მარტვილი – 367, თბილისი – 161), (გვარ-სახ. საქ-ში, 150).

გვარი მოხსენიებულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 601-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ნანესკუა ნანე – ნანა, სკუა – შვილი; ნანესკუო, ნანესკუაში წყურვილი (ნანეიშვილის წყარო) – ეკი (სენაკ. რ.).

ნარაკია წარმომდგარია ნარაკ(ია) საკუთარი სახელისაგან. შდრ. ქართ. ნორაკიძე, ლაზური ნარაკიძე; (ნამკოლ, მარტვ. რ.).

ნარგია – „რაც დაირგა", – საკ. სახელი ნაგი, ნარგიზა. ნარგი (მგრ.) – ნარგავი.

ნარგია ბუჟუკა მოხსენიებულია, როგორც წითელრაზმელი ვაჟკაცი (ა. შენგელია, გაზ. „ნაპერწკალი", ჩხორ. რ. 5.1.82).

ნარმანია წარმომდგარია ნარიმან საკუთარი სახელისაგან. ნარმა – ქსოვილი. ნარმანია, ილორელები (ოჩამჩრ. რ-ნი) გადმოსულან ოცინდალედან (ჩხოროწ. რ-ნი), სადაც მის წინაპარს კაცი მოუკლავს და გამოქცეულა ილორში. მისი ჯინჯი ხატი იცინდალეშია. (მაკალათია, 244).

საგვარეულო 1464 სულს ითვლის (ზუგდიდი – 866, თბილისი – 265, წალენჯიხა – 74), (გვარ-სახ. საქ-ში),. ის შესულია საქ-ში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში (გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

ნარსია წარმოშობილი უნდა იყოს ნარსია (ნავსია?) მეტსახელისაგან. ნარსია ემთხვევა ბასკურ გვარსახელს (ჩაჩანიძე, გიბრალტარიდან ჩანდა ლენტეხი (თბ., 8.01.66, 4 მაისურაძე, 122); გადმოცემით დღ. ჩხორორწყუს რ-ნის სოფ. სარაქონში ჩამოსულა დღ. მარტვილის რ-ნის სოფ. ჯოლოდან, მიწა მიუცია ზაქარაიას (ჯალაღონია, 11). ამჟამად მოსახლეობენ ქ. გალში. ნარსიუ დაბა მარტვილი, ნარსიაში სუკი (გორაკი), ნარსიაში ნადუქან-ლეძაძამე (სენაკ რ.). აქედანაა ნარსკუა. სანარსიო-კირცხი (ჩხორ. რ.) შდრ. ქართ. ნარიძე – ნარსიძე.

ნარსია თეოფანე სოჭში 1905 წ. რევოლუციური მოძრაობის მონაწილე. (ტულუმჯიან, 102).

გრიგოლ ბაკულის ძე, უკრაინის ა. ნ. საბუროვის პარტიზანული შენაერთის მებრძოლი (1944). (ვ. გურული 67).

ნარსიას საგვარეულო 1741 სულს ითვლის (ზუგდიდი – 469, თბილისი – 253, ხობი – 222), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტ ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1741 სული) მიხედვით 538-ე ადგილზეა.

ნარსკუა (იხ. ნარსკუა); სანარისკუო – ახუთი (ჩხორ. რ.), თამაკონი (მარტვ. რ.).

ნასარაია წარმომდგარია ნასარა საკუთარი სახელისაგან. ნასარაიას საგვარეულო 215 სულია (ფოთი – 67, ზუგდიდი – 18, თბილისი – 12), (გვარ-სახ. საქ-ში, 151).

ნასარია (იხ. ნასარაია). ნასარიას საგვარეულო 29 სულს ითვლის (თბილისი – 9, ფოთი – 7, ზუგდიდი – 4), (გვარ-სახ. საქ.).

ნაყოფია ნაყოფი – შრომის შედეგად მიღებული...

ნაყოფია ვასო, გალიდან, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, (ნაჭყებია მ., 27).

ნაყოფიას საგვარეულო 1045 სულს ითვლის (ზუგდიდი – 557, თბილისი – 179, წალენჯიხა – 90), (გვარ-სახ. საქ.).

ნაჭყებია (თბ. 14.06.64,4); ნაჭყი (მგრ.) დაწყევლილი. გადმოცემით ამ გვარეულობის წინაპრები სვანეთიდან ყოფილან. ერთ-ერთ ძათგანს ბატონი შემოკვდომია და გამოქცეულა. ახალ სამყოფელში მისთვის ეს სახელი შეურქმევიათ (მაისურ., 124); „ნაჭყებია, ლეჩხუმურ სიტყვაში იან სუფიქსიანი ლაჭყეპიანი გვარით ლეჩხუმში სოფ. ბანძიდან (სენაკ. რ.) გადმოსახლებულა კონფლიქტის გამო... გვარი გვხვდება XVI ს-ის საბუთებში (რ. თოფჩიშვილი, 15); ეკლესიის წარმომადგენელი კარდაკარ დადიოდა, წყევლით იხსენიებდა და ფულს იღებდა ეკლესიის სასარგებლოდ (წალენჯიხის რ., ანტონ ნაჭყებიას ნაამბობიდან). „სანაჭყებიო მღვდელთაგან ბეგარა ყოფილა, სჯულს ამოუკვეთია (საბა); სანაჭყებიო-ლეწურწუმე (ჩხორ. რ.), სანაჭყებიო – ტალერი (მარტვ. რ.), ნაჭყებია მიშველიასა თოფლიშიას მართებთ საცაიშლო ბეგარა... (1621). ნაჭყებია მახარობელს, ნაგვაზაოს მცხოვრებს, ემართა ბიჭვინთის ტაძრის ბეგარა... (1621). ნაჭყებიების ნაწილი ზემო სამეგრელოს აფაქიძეთა ყმა-გლეხები იყვნენ (სოსელია, III, 166).

ნაჭყებია იონა მოხსენიებულია გუდაუთის რაიონის სოფ. ბულა-ბურხვაში, სამრევლო სკოლის დამაარსებელი (გაზ. „იერია“, 1897, № 262).

ნაჭყებიები, გახარიები ლიპარტიანის ყმა-გლეხები იყვნენ, აზნაურები კი „ნეუსაძეები“ და რევიები. (სოსელია, III, 91).

ნაჭყებია სალამაჭა, ცოლი – ნიში, ძენი: თოხუზ, ბოღო მოხსენიებულია, არიან როგორც მდაბიონი, წარმართნი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში, დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კინდღში.

ნ. დათო ჩიკონის ძე, ყმა-გლეხი თავად გიორგი დადიანისა, სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების მონაწილე, აჯანყებისადმი დაჟინებითი მხარის დაჭერისა და მემამულეთა ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევისათვის 6 წლით ციმბირში გადასახლებული. (საისტ. მ., II, 147).

ნ. უტუ ივანეს ძე, სოფ. ჭკადუაშიდან, დღ. ზუგდიდის რაიონი. თავად ბესარიონ დადიანის ყმა-გლეხი, სამეგრელოს გლეხთა 1857 წ.

აჯანყების მონაწილე, აჯანყებისადმი დაჟინებითი მხარის დაჭერისა და მემამულეთა ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევისათვის 6 წლით ციმბირში გადასახლებული. (საისტ. მ., II, 147).

ნ. ოთარ მელქისედეკის ძე, დ. 1925 წ. ბათუმში, გენერალ-მაიორი (1981), დიდი სამამულო ომის ვეტერანი. (დოლიძე, დ., 68).

ნ. ბაბილინა ბეგლარის ასული გალიდან, აფხაზეთში დიდი სამამულო ომის მებრძოლი. ბაბილინას ძმები: ვლადიმერ, შალვა და პარმენ უკვე იყვნენ წასულნი ფრონტზე. 1941 წ. დეკემბერში ისიც წავიდა და მებრძოლთა დობილად მოინათლა. ტყვეობა... ამჟამად ომის ვეტერანი, გალის ცენტრალური საავადმყოფოს ექთანია. (ნაჭყებია, მ. 61).

ნ. გიორგი ბაგრატის ძე, ლია (წალენჯ. რ.) კულტ. დამსახ. მუშაკი.

ნაჭყებიას გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (5759 სული) მიხედვით 58-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართ.", 6-8 მარტი, 1997).

ნაჭყებიას საგვარეულო 5759 სულს ითვლის (მარტვილი — 1487, ზუგდიდი — 1006, ჩხოროწყუ — 2), (გვარ-სახ. საქ.).

ნაჭყეპიას იხ. ნაჭყებია საგვარეულო 51 სულს ითვლის: თბილისი — 11, ზუგდიდი — 3, ჩხოროწყუ — 2 (გვარ-სახ. საქ-ში, 152).

ნაჭყეპია ნა-ჭყეპ-ია, ნა — წარსული დროის მაჩვენებელია, ჭყეპი (მგრ) — წვეთი, ია — ძე; თუ ძროხა სულ არ იწველის ან ცოტას, მეგრელები ასეთ ძროხაზე იტყვიან: „ჩემი ძროხა ერთ ჭყეპს (წვეთს) არ იწველისო".

ნაჭყეპია, ნაჭყეპიებს ქეჯვარში (კურზუ, სანაჭყეპიო) აქვთ სალოცავი — ბორკიში ბარჯგი (დროის სვეტი). აქ დღესაც ნაჭყეპიების მთელი გვარი იკრიბება წელიწადში ორჯერ. ბარჯგი (ძელი, სვეტი) მზის სხივის მონათებით ჩრდილის მხარეა თანმიმდევრობით მინიშნული. ბარჯგს მახვამურის (მლოცველთა მთავარია) მეთაურობით მლოცველები წმინდა სანთელს აკრავენ და ლოცულობენ. (ჟურნ. „აია", 1997, 2, გვ. 11).

ნეშაია წარმომდგარია ნეშა მეტსახელისაგან. შდრ. ქართ. გვარი ნეშაძე. ნეუსაძეები ლიპარტიანის აზნაურები იყვნენ. (სოსელია, III, 91).

ნერსენია ეტიმოლოგია და დამატებითი მასალა საკვლევია.

ნიკოლავა ნაწარმოებია ნიკოლა საკუთარი სახელისაგან. ჯავახეთის ეპიგრაფიკულ წარწერებში ხშირად მოხსენიებული არიან ნიკოლას ძენი. შდრ. ახალი ქართ. ნიკოლაძე, ნიკოლაიშვილი.

ნამკოლუ — სოფელი, სადაც წარსულში ბალამწარა მდგარა (საქ. ისტ.-გეოგრ. გვ. 109.).

ნიკოლავას საგვარეულო 249 სულს ითვლის: თბილისი – 55, სენაკი – 48, ფოთი – 21 (გვარ-სახ. საქ-ში. 153).

ნინუა წარმომდგარია ნინო საკუთარი სახელისაგან. ნინო იყო კაბადოკიელი. ჩამოვიდა 303 თუ 318 წელს მცხეთაში. ჰქონდა მკურნალობის იშვიათი ნიჭი. გააქრისტიანა რამდენიმე სოფელი (დაწვრილებით იხ. გ. როგავას დასახელებულ წიგნში, გვ. 20-23). სანინუო, ნინუაში, ნოხორი (ნასახლარი) – ნოქალაქევ (სენაკ. რ.), სანინუო – კუთხე (სამტრ. რ.).

მოხსენიებულია „ნინუა ალექსი ივანეს ძე, შესულია ასტრახანის დეპუტატთა საკრებულოში 31.12.1801 წ., თანახმად აზნაურობის დიპლომისა, გაცემული ქართველი მეფე ერაკლი II-ის მიერ. 1795 წ. იქვე აღნიშნულია, რომ მას ჰყავდა მოსამსახურეები: 18 – მამაკაცი და 22 ქალი. ნინუა დუტუ ქაიხოსროს ძე მოხსენიებულია ქუთაისის ოლქიდან ქ. თბილისში მამულების სავჭარო ვაჭრობის განცხადებაში („ივერია", 1902, № 245).

ნინუა ვახტანგ დავითის ძე, დ. 1916, ბაქო, 1982, თბილისი, ქართველი მსახიობი, საქ. სსრ სახ. არტისტი (1967).

ნინუას საგვარეულო 1681 სულს ითვლის (თბილისი – 442, სამტრედია – 402, სენაკი – 292), (გვარ-სახ. საქ-ში).

ნოდია ნოდი გლეხების შრომაში ურთიერთდახმარების უძველესი ფორმა აფხაზეთსა და სამეგრელოში. ნად-ი – შემწე, დამხმარე. (ბერულავა); სანოდიო – ფოცხო, ნოდიეფიში დიხა (მიწა) ძვ. აბაშა, ლენოდიე (სანოდიო) (აბაშ. რ.), ახუთი (ჩხორ. რ.).

ნადი ძველად საბატონო ან საეკლესიო მუშაობის გამომხატველი ბეგარა იყო, რომელიც სრულდებოდა ბატონის ვალდებულ ყმათა მიერ.

ნოდია მოხსენიებულია ლევან დადიანის 1628 წლის განჩინების წიგნში, რომელსაც აძლევს ხონის მონასტერს: „მომირთმევია გამსახურდიას კაცი ნასყიდო ნოდია და ექვსი კომლი კაცი...". ნოდიების გვარი დასახელებულია 1770 წ. გრიგოლ ჭყონდიდელის მონასტრისადმი შეწირულობის წიგნში: „...შემომიწირავს სუჯუნის ეკლესიისათვის ურია მორდოხია, მისი ცოლ-შვილით და აქ დამისახლებია, ისე როგორც აქ არიან სხვა ძირის კაცები ნოდია თუ მატკავა". ნადი შემდგომში გლეხთა ურთიერთდახმარების, ღარიბთა და ხანდაზმულების შრომითი შემწეობის შინაარსს ატარებდა. შდრ. შაბათობები და კვირაობები საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

გვარს შემორჩა და სახელსაც: ნადია, ნოდია...

ამჟამად აბაშის რ-ნში, სეფიეთში ნოდიების 21 ოჯახი მკვიდრობს. ნოდიების გვარში ორი შტო გამოიყოფა. ერთი შტოს წინაპარი ონტოფოდან მოსულა, რომლის შთამომავლებს „მოლენ“ (გამოღმა) ნოდიებს უწოდებენ, მეორე შტოს წინაპარი...

ნოდია სვიმონ მოხსენიებულია როგორც სოფ. დურიფშის (გუდ. რ.) ეკლესიის მედაყითნე, სოფელში სამრევლო სკოლის დამაარსებელი (გაზ. „ივერია“, 1897 წ., № 262).

ნ. ნასყიდა გამსახურდია ლევან დადიამა შესწირა ხონის ტაძარს (1628-1639), (ჰალ).

ნ. მიხეილ ზოსიმეს ძე, დ. 1891, აბაშა, 1975, თბილისი. ქართველი ფიზიკოსი, მაგნიტოლოგი, ფიზ-მათ. მეცნ. დოქტ., (1937), პროფესორი (1935), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1944).

ნ. მიხეილ იულონის ძე, დ. 1902, აბაშა, 1978, თბილისი, ქართველი ექიმ-კურორტოლოგი, მედიც. მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1960), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1964).

ნ. დონარა მიხეილის ასული, დ. 1931, თბილისი, ქართველი გრაფიკოსი, საქ. სსრ სახ. მხატვარი (1981).

ნოდიას საგვარეულო 1632 სულს ითვლის (აბაშა – 544, თბილისი – 374, ფოთი – 137), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გაკრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 590-ე ადგილზეა (გვარ-სახ. საქ.).

ნიკორია წარმომდგარია ნიკორა მეტსახელისაგან.

ნორაკია* უძველესი ლაზური გვარია; სანორაკიო, ნორაკიაში ღალ (მგრ. ღელე) – ხორში (სენაკ. რ.).

ნორაკიძე ვლადიმერ 1905 წ. რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი სოჭის ლოქში (ტულუმჯიანი, 52).

ნორაკიები 33 სულს ითვლის (წალენჯიხა – 11, სენაკი – 9, ფოთი – 5), (გვარ-სახ. საქ-ში).

ნოფორია წარმომდგარია ნოფორ მეტსახელისაგან. დაფარული; ნანოფარუ – დაბა მარტვილი (მარტვ. რ.).

ნოღაიდელი ელ სადაურობაზე მიგვანიშნებს; ნოღრა და ონოღია ჭანურად „ქალაქს“, სავაჭრო ადგილს ნიშნავს. ნოღაიდელი, ონოღაელი „ქალაქელი“ (ბერძენ. ნ. 465).

ნოღა სარფის ცენტრის სახელია და ნიშნავს სავაჭრო ადგილს. ასეთი მნიშვნელობითაა ცნობილი თურქეთის ჭანეთის ქ. ათინასთან

არსებული სოფელი ნოლა დიხა (მგრ. ადგილი მიწა) სავაჭრო. ტოპონიმია ნოლა აჭარაში ქობულეთის ხელვაჩაურის ორ სოფელშია. ჩვენის აზრით ონოლია, ნოლა წარმომდგარია მგრ. სიტყვა „ოლალ“ — ტვირთისაგან, ბევრი დიდძალი საქონლის გასაყიდ ადგილს.

ნოლაიდელი ჯემალ დაიბადა სოფ. წყავროკაში, რევოლუციონერი, აჭარის მთავრობის — მეჯლისის წევრი, დიალექტოლოგი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი და ისტორიკოსი, რამოენიმე მონოგრაფიის ავტორი, მეცნ. დამსახ. მოღვაწე.

6. ახმედ-ალექსანდრეს ძე, ქიმიკოსი პროფესორი, თბილისის უნივერსიტეტის კათედრის გამგე, 230 შრომის ავტორი.

ოდიშარია ოდიშ-არ-ია, ოდიშ-ი (მგრ.) — სამეგრელოს ძველი სახელი, არ — ქართ. ელ წარმომავლობის სუფიქსის ტოლფასი ბოლოსართია, ია — ძე, ოდიშელია; ამრიგად, ოდიშარია სიტყვასიტყვით იქნება: ოდიშელიძე. ოდიში პირველად იხსენიება თამარ მეფის დროს. ოდი — მეგრელების ღმერთი იყო. არის მეგრ. ხალხური სიმღერა: „ოდელია დელია ჩქინი ღორონთი რენია, — ოდელია დელია ჩვენი ღმერთი არისო“. ოდა, მევრელის სასტუმრო სახლსაც ჰქვია. საოდიშო — ზანათი (აბაშ. რ.), ოდიში (ზუგდ. რ.), საოდიშარიო (სენაკ. რ.), ადიში სოფ. ზემო სვანეთში.

ოდიშარია მომდინარეობს ოდიშიდან. ეს კი ძველ კოლხებში მიწათმოქმედებისა და მოსავლიანობის ღვთაებად იყო აღიარებული.

ოდიშარია, საკ. სახელი ოდი — წარმართული ხანის ღვთაების სახელი. აქედან მეგრ. სიმღერა „ოდოია“.

ოდაბაში თურქულში იანიჩართა რაზმს, ოდას, ყაზარმის მეთაურს ნიშნავს. (ტულუშ., 26).

ოდიშარია პაველ გიორგის ძე (1904-1967), დ. სოფ. მარტვილში საქართველოს დამსახ. აგრონომი.

ოდიშელ-ი, ოდიშელიძე ქართულდაბოლოებიანი გვარებია და უდრის მეგრ. ოდიშარს.

ამჟამად ოდიშარიას საგვარეულო 1540 სულს ითვლის (სენაკი — 513, თბილისი — 345, მარტვილი — 258), (გვარ-სახ. საქ-ში)..

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 637-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1977).

ოდიშელიანები ცხოვრობდნენ დღ. ზემო სვანეთის რ-ნის სოფ. ეცერში (XIII ს-ის II ნაბ.), (სვ. ძეგლ. 132).

ოთხოზორია ოთხოზ — ორი-ა. ოთხოზ — მისდევს ორია (დასაწევად). წარმომდგარი ჩანს ოთხოზორ შერქმეული სახელისაგან. შდრ. გვარსახელი ოთხმეზური. ოთხოზორიას საგვარეულო 730 სულს ითვლის (ზუგიდიდი — 321, ჩხოროწყუ — 119, სენაკი — 85), (გვარ-სახ. საქ-ში, 456).

ოკარბია კარიბი (მგრ.) — ცხვრის პატარა შვილი, ოკარიბე — კრავების სადგომი. ხოლო მარაკა, მგრ — ცხვრების დასამწყვდევს

ნიშნავს. ოკირბა მხარე დასავლეთ საქართველოში. იმერეთის ნაწილი, შდრ. გვარი **ლაკერბაია.**

ოკუჯავა ადგ. გამოთქმით, ოცჯავა, მომდინარეობს მგრ. ცჯი — ჯურიდან. მოსახლეობენ ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. სარაქონში.

ოკუჯავა ბულატ, პოეტი, რეჟისორი და მომღერალი, გარუსებული ქართველი, გარდაიცვალა 1997 წ.

ო. ვაჟა მიხეილის ძე, დ. 1930, თბილისი, ქართველი ფიზიოლოგი, მედიც. მეცნ. დოქტორი (1966), პროფესორი (1969), საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1974), 1981 მიენიჭა ი. ბერიტაშვილის პრემია.

ოკუჯავას საგვარეულო 837 სულს ითვლის (მარტვილი — 164, ზუგდიდი — 158, თბილისი 155), (გვარ-სახ. საქ-ში).

ომბოლია ომბოლი (მგრ.) — ობოლი. ომბალე მცენარეა. ომბოლია სოფ. ხელვაჩაურის რ-ნში. თუ მასში მ განვითარებულია, დაუკავშირდება ქართული ობოლ სიტყვას. შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარი ობოლაძე.

ომბოლისკირია ომბოლი — მგრ. — ობოლი, სკირი — შვილი. ობოლი(ს) შვილი. თურქულად ოქსუს — ოღლი. ზუგდიდის რ-ნის სოფ. ანაკლიაში ლაზების 15 ოჯახია (ტულუში ა., 26).

ორბელია ა-უარბა (აფხ), ორბ (მგრ.), დ. გულია, (ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934). ორბი მტაცებელი ფრინველია, ელ სადაურობაზე მიგვანიშნებს. ორბელიანები იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ფეოდალური საგვარეულო XII-XIII ს-ში, ფლობდნენ ორბეთის ციხეს; აქედან მომდინარეობს მათი გვარიც. ორბელია ორბელიანის მეგრული ფორმაა. შდრ. ორბელაძე, ორბელიძე, ორბელიშვილი, ორბელი...

ორბელია ბარაიას, თავადი ლევან დადიანის ყმას, ნადირობისას თავის გამოჩენისათვის ბატონმა მათი შთამომავლობა გააზატა და თითოეულს თოფი აჩუქა (ბოროზდინი, 81). სოფ. ორბელი შედიოდა ქუთაისის ოლქის ლეჩხუმის მაზრაში და ორბელის მოსახლეობა 1897 წ. პირველი აღწერით 1086 სულს ითვლიდა.

ორზოლია (მგრ.) — ორზოლი: 1. საგზალი, გზაში საჭირო საჭმელი. ნაწარმოებია ორზოლა შერქმეული სახელისაგან. 2. ორზოლია, ძველი მირთმეული (ბავშვის ან მოზრდილის) მიერ ნათლიასადმი. ორზოლია გიორგის მართებს გურია-ოდიშის სამთავროების ბეგარა... (1466-1772).

ორჯონია მოსახლეობენ გულრიფშის რ-ნის სოფ. გულრიფშში. უფროსი ძმა მეგონა 1941 წ. დეკემბერში უკვე ფრონტზე იყო, 1942 წ. შოთა, ხოლო 1943 წ. ვარლამიც თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ წავიდა ფრონტზე. შოთა და ვარლამი მკერდდამ-

შვენებული დაუბრუნდნენ სამშობლოს, ხოლო უფროსმა ძმამ მეგონამ ლეგენდარული სტალინგრადის წმიდათაწმიდა მიწის დაცვას შესწირა თავი. (ნაჭყებია, მ., 77).

ორჯონიას საგვარეულო ამჟამად 168 სულს შეადგენს (ზუგდიდი – 105, თბილისი – 24, სენაკი – 9), (გვარ-სახ. საქ-ში).

ორქოია ორქო (მგრ.) – ოქრო. (შ. ბერიძე). ნაწარმოები ჩანს ოქრო საკუთარი სახელისაგან. შდრ. ქართ. გვარსახელები: ოქრუაშვილი, ალთუნაშვილი (ალთ უნ თურქულია და ნიშნავს „ოქროს“).


ოსიავა წარმომდგარია ოსე//ოსია საკუთარი სახელისაგან. ოსვია ხაკუც, ძმანი: ნიკთია, დანათე, დედის ძმა – გვადანაძე ბურდღუ მოხსენიებული არიან, როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისანი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კინდღში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვება, მარტი, 1997, გვ. 25).

ოფსაია აუაფსი (აფხ.), ოფსი (მგრ.), დ. გულია (ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934). რეგვენა შიშვანგვარისა (სვანის გვარისა?) – ემართა საცაიშლო ბეგარა... (1621).

ოშიშხია ოშიშია (მგრ.) – ბალახია სამკურნალო, (კ. გამსახ, I). არის გვარი ოშხერელი (იხ. გვარ-სახ. საქ-ში, გვ. 158). ვფიქრობთ, აქედან უნდა იყოს ოშხურელის მეგრული ფორმა.

ოშიშხია – ზუგდიდში ოშხერელის 19 სული სახლობს (იქვე).

გვარი მოხსენიებულია ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის 1834-1835 წწ. მოსახლეთა აღრიცხვაში, სადაც აფსური გვარი თითზე ჩამოსათვლელი იყო, ხოლო ქართველებისა 156 სული, მათ შორის ოშიშხია. იხსენიება იმავე სოფლის მოსახლეობის გაქრისტიანების 1837 წ. სიაშიც. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).



ოჩამჩირის რაიონი

ოცუკავა ოუკავაა მგრ. ცკ-ყური. ოყუკავას საგვარეულო 554 სულს ითვლის (ზუგდიდი – 406, წალენჯიხა – 34, ჩხოროწყუ – 33), (გვარ-სახ. საქ-ში).

ოჩიგავა ნაწარმოებია ოჩიგა შერქმეული სახე-

ლისაგან. ოჩი (მგრ.) — ვაცი — მამალი თხა და მიგვანიშნებს სამეგრელოში გავრცელებულ თხის კულტზე. „თახაშხა“ — კვირეულის მეოთხე დღე ითვლებოდა თხის დღედ. საოჩიგო — გეჯეთი (სენაკ. რ.), ნაოჩიე, პატარა ოჩე (ოჩამჩ. რ.), საოჩიგო — სეფიეთი. სეფიეთელების წინაპარი მოსულა ოსმალეთიდან, სადაც ის ტყვედ ყოფილა გაყიდული. გვარი მოხსენიებულია სამეგრელოს უძველესი — სეფიეთის ეკლესიის ეკვდერის წარწერაზე. წინათ დიდებულები ყოფილან, მაგრამ თოფურიძე (თოფურიძეები) გაძლიერებულან, ოჩიგავების სურათები წაუშლევინებიათ, მთელი ეკლესია თავიანთი სურათით მოუხატვინებიათ. აღნიშნული წარწერა კი დარჩენილა. სხვათა შორის, აქ არის სურათი მეფუტკრის ტანთსაცმლით (ძვ. საქ., 3, 35). იხ. თოფურია. შდრ. „ოჩიგავები ყმები იყვნენ. გადასახადი რომ მოჰქონდა ოჩიგავას, ოჩი მოუბამს დოქზე, ძღვენი ოჩმა წააქცია და ბატონმა გვარი მისცა. 80 წლის (ბაბუამ უამბო შოთა ოჩიგავას).

ოჩიგავა საბაიას ვალად ჰქონია დადებული ნაურ თოფურიძის ხარების გაძღოლა — „გეკინუა“. ვფიქრობთ, პატივცემულ ს. მაკალათიას აქ მოტანილი „გეკუნია“ კი არ უნდა იყოს, არამედ „აწოკუნა“ — წინ გაძღოლა (ავტორი). საბაიას ამაზე უარი უთქვამს და დადიანსაც ღალას არ აძლევდა თურმე. ამის გამო საბაიას ნიკო დადიანმა მიუსაჯა ცალი ხელით ხეზე ჩამოკიდება, მაგრამ ამან ვერ შეაშინა საბაია. ელიზბარ დადიანის ყმა-გლეხი საბაია მებატონეებთან ბრძოლაში იყო განთქმული. (მაკალათია, 242).

ამჟამად „სეფიეთში ყველაზე მრავალრიცხოვანი ოჩიგავების გვარია (56 კომლი). ოჩიგავები ცხოვრობენ სოფლის ეკლესიის ირგვლივ კომპაქტურად დასახლებული. ოჩიგავების უბანს „საოჩიგაო“ ეწოდება. (ქართვ. მემკვ. II, გვ. 52). ოჩიგავები, სეფიეთის გარდა ცხოვრობენ მდ. აბაშის მარჯვენა ნაპირზეც. 1910 წ. მონაცემებით, სეფიეთში ოჩიგავების 25 ოჯახი მკვიდრობდა. მათი საგვარეულოს სალოცავი სეფიეთის მთავარანგელოზის ეკლესია იყო, სადაც იკრძალებოდნენ კიდევაც. გვარს აქვს „კილი“ (გვარის მეტსახელი, გვარის თიკუნი) „ოჩი გირაანი“, ე. ი. ვაცი, მამალი ვირი.

ოჩიგავას საგვარეულო 1054 სულს ითვლის (თბილისი — 268, აბაშა — 199, სენაკი — 151), (გვარ-სახ. საქ.). გვარი შესულია საქართველოს ყველაზე გავრცელებულ ათას გვართა სიაში (გვარ-სახ. საქ-ში).

პალანძია* ეტიმოლოგია საკვლევია

პამბა ეტიმოლოგია საკვლევია. პამბას საგვარეულო 27 სულს ითვლის (ბათუმი – 3, სამტრედია – 1, ხელვაჩაური – 23), (გვარ-სახ. საქ-ში, 159).

პანავა – პანი – ძველბერძნული ღმერთი, თხის რქებითა და ჩლიქებით. წარმოადგენდა მფარველის ფარათა და მწყემსთა. შვილი ჰერმესისა და ერთ-ერთი ნიმფისა (კ. გამსახ. II).

პაპავა** პ-პაპ (აფხ.), პაპა (მგრ.), დ. გულია (ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934). პაპა (მგრ.-ბერძნ.) მღვდელი; პაპაში სუკი – მღვდლის გორაკი, კირცხი – სარაქონი, ლეპაპე – ნაფიჩხუ, მუხური (ჩხორ. რ.), პაპაში ნოხორი (სენაკ. რ.). შდრ. გვარები: **პაპასქირი, პაპიძე, პაპუაშვილი, პაპაშვილი**. ამრიგად, პაპავა სიტყვასიტყვით ნიშნავს მღვდლის შვილს, ხუცის შვილს. პაპაკუდა ნაგვაზოვოს მცხოვრები – ემართა ბიჭვინთის ტაძრის ბეგარა.

პაპავა მიხეილ გრიგოლის ძე, დ. 1906, ხარკოვი, 1974, მოსკოვი, კინოლრამატურგი, სსრკ სახ. პრემიის ლაურეატი (1950).

პ. ივანე იხსენიება როგორც კომისიის წევრი სოფ. კულაშში (ცსფ. 1887, № 340, 14 ოქტ.).

შდრ. სვანეთში გავრცელებული გვარი პაპიანი ზემო სვანეთის რ-ნის სოფ. ეცერში (XIII ს-ის II ნახ.), (სვ. ძეგლ. 136).

პაპავა გრიგოლ ივანეს ძე, დ. 1914, ჩხორ. რ-ნი, დაამთავრა თსუ (1940), ტექნიკის მეცნ. კანდიდატი (1965), უფროსი მეცნიერ-მუშაკი (1982), წარმოების მექანიზაციის, ნამყენი ვაზისა და ნაყოფის ნერგების ლაბორატორიის გამგე 1975 წლიდან, საქ-ს სამეცნიერო – საცდელი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

პ. ვახტანგ გრიგოლის ძე დ. 1950 დაამთავრა ჩხოროწყუს რ-ნის საქ-ს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი (1983). ექსპერიმენტული სახელოსნოს უფროსი ტექნიკოსი (1970-1975), უმცროსი მეცნიერ-მუშაკი, იმავე საექსპერიმენტო სახელოსნოს ლაბორატორიის საქ-ს მებაღეობის, მევენახეობისა და მელვინეობის საქ-ს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი (1986).

პ. აკაკი (1890-1964), თამარი (1886-1976) განისვენებენ საფრანგეთში, პარიზთან ახლოს, დ. ლეჟილის ქართულ პანთეონში (გაზ. „ლიტ. საქ.“, 1990, 14 აპრილი).

პაპავას საგვარეულო 3234 სულს ითვლის (ჩხოროწყუ – 727, თბილისი – 552, ზუგდიდი – 322), (გვარ-სახ. საქ-ში, 160).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში.

პაპასკირი პაპა-სკირი, პაპა (ბერძ. მგრ.) – მღვდელი, სქირი – ძე – მღვდლი(ს)-ძე; პაპასქირიში ნოხორუ-კიწია (მარტვ. რ.), პაპასქირიში წყარი (წყარო) – მუხური (ჩხორ. რ.). პაპასქირები გადმოსულან ცაგერიდან (ლეჩხუმი), სადაც მათ წინაპარს კაცი მოუკლავს. ამ გვარის სალოცავი ხატი ყოფილა ცაგერის მთავარანგელოზი. (მაკალათია, 244).

მე-19 ს-ის 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში, შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში, მოსახლეობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობიდან 35-მდე იყო აფსუური, ხოლო 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის **პაპასქირიც**. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

გვარი მოსახლეობდა დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში, სადაც აფსუური გვარისა თითზე ჩამოსათვლელი იყო, ხოლო ქართველები 1854-1855 წწ. აღრიცხვით 156 სულს შეადგენდა. გვარი იხსენიება იმავე რ-ნის სოფ. თხინას მოსახლეობის 1837 წ. აღრიცხვის სიაში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

პაპასქირი აპახუ, ბაჯგვალი, ფათუნი მოხსენიებული არიან, როგორც მდაბიო ხალხის წარმომადგენელნი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., 1997, გვ. 6; 14, გვ. 7; 30).

პ. ივანე გიორგის ძე, დ. 1902, სოფ. ვიუტოული, ახლანდ. ოჩამჩირის რ-ნი, 1908, სოხუმი, აფხაზი მწერალი, საქ. სსრ კულტ. დამსახ. მუშაკი (1968). გვარი თავისთავად ცხადია, მეგრულია, გააფხაზება შემდგომ არის მომხდარი.

პ. სულიკო მიხეილის ასული მოხსენიებულია როგორც თბილისში მცხოვრები საქნავთის დასახლება, სახლი – 2, ბ. 27). და ეროვნება დაბრუნებული. (ისტ. და ეთნ. ინსტ., ოჩამჩირის საქმე).

პაპასქირის საგვარეულო 159 სულს ითვლის (ზუგდიდი – 76, ცხოროწყუ – 55, თბილისი – 18), (გვარ-სახ. საქ-ში).

პაპასქუა (იხ. პაპასკირი); საგვარეულო 200 სულს ითვლის (ზუგდიდი – 99, თბილისი 52, წალენჯიხა – 12), (გავრ-სახ. საქ-ში.)

პაპაჭკორი (იხ. პაპავა) პაპა (ბერძნ.- მეგრ.) – მღვდელი, ჭკორი – ყმა - მღვდლის ყმა (ჭუმბ.).

პ. დათუაი, მზანთოს მცხოვრები, ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინთას (1828). (მასალები, 142).

პარკაია* პარკალი (მგრ.) — ენისტლიკუნი (ელიავა გ., ლექსიკ.). ნაწარმოებია პარკა მეტსახელისაგან. შდრ. ქართ. გვარები: პარკაძე, პარქოსაძე, პარკ-ი — აბრეშუმის ნაწარმი; საპარკაო — ხორში (სენაკ. რ.).

პარკაიას საგვარეულო ამჟამად 295 სულს ითვლის (სენაკი — 135, ფოთი — 57, თბილისი — 403), (გვარ-სახ. საქ-ში).

პასანაია ეტიმოლოგია საკვლევია.

მე-19 ს-ის 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში, შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში, სახლობდა 400-მდე კომლი, მათ შორის 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, აქედან პასანაც. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

პატარაია წარმომდგარია საკ. სახელ პატარასაგან. მეგრული გვარია; ლეპატარავე (მარტვ. რ.), პატარაიაში ნოხორი (ნასახლარი) — გეკეთი (სენაკ. რ.), პატარაიაში სუკი (მაღლობი) — ჭოღა (ჩხორ. რ.), პატარა — შემასი (ოზურგ. რ.). პატარაია ივანე, 1862 წ. გურიის მებატონე თავადმა ერისთავმა ჩუმად გაყიდა თავისი ყმა შვილი ივანე (საქ-ს ბატონყმ. მასალები, 1921, ტ. IV, გვ. 92). პატარაიები მოსახლეობდნენ მარტვილის რ-ნის სოფ. ბანძაში და ფალავების ყმა-გლეხები იყვნენ.

პატარაიები დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. კინდღში სახლობდნენ, სადაც აფსუათა გვარის ხსენებაც არ იყო.

პატარია ხუჭ, კაც, დანი მოხსენიებულია როგორც მდაბიო, წარმართული სარწმუნოებისა, გაქრისტიანებული 1834 წ. ივნისში, დღ. ონაშჩირის რ-ნის სოფ. ტამიშში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., 1997, გვ. 7; 2).

პ. გურამ ვასილის ძე, დ. 1928, თბილისი, 1983, იქვე. ქართველი კინორეჟისორი და კინოდრამატურგი, საქ. სსრ სახ. არტისტი (1979), რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1971). პატარაია სვ. მოსახლ. დღ. ზემო სვანეთის რ-ნის სოფ. ეცერში (XIII ს-ის II ნახ.), (სვ. ძეგლ. 138).

პატარაიას საგვარეულო 198 სულს ითვლის (ლანჩხუთი — 592, თბილისი — 447, მარტვილი — 168), (გვარ-სახ. საქ-ში).

პატარაიები გავრცელებული გვარია. ის შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

პატარავა (იხ. პატარაია); საგვარეულო 198 სულს ითვლის (ოზურგეთი – 102, თბილისი – 23, ჩხოროწყუ – 22), (გვარ-სახ. საქ.).

პატარია (იხ. პატარაია); საგვარეულო 23 სულს ითვლის (თბილისი – 17, ლანჩხუთი – 6, სენაკი – 6), (გვარ-სახ. საქ.).

პაჭკორია პა-შემოკლ. – ჰატონი, ბატონი, ჭკორი (კოლხ.) – ყმა – ბატონის ყმა (იხ. გეგეჭკორი); საპაჭკორიო – ეკი (სენაკ. რ.), ნაპაჭკორუ – ზანათი (აბაშ. რ.).

პაჭკორია მამია, დ. 1914, სოფ. ხიდმაღალა, (ლანჩხ. რ.) ფსევდონიმი „პამარ" – გერმანელთა ტყვე, ტექსელი (ჰოლანდია) ქართველ პარტიზან ტყვეთა აჯანყების აქტიური მონაწილე, მტერთან ხელჩართულ ბრძოლაში ხიშტებზე წამოაგო ავაზაკები. (ქოჩიაშვილი, გვ. 18).

პ. გრიგოლ ბაგრატის ძე, დ. 1920, უფრ. ლეიტენანტი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი. თსუ-ს დოცენტი. (ზაქარიაძე, ე. 35).

პეეჭკორია (დედანში ასეა) საკუტი, ძმა – ტუკვა მოხსენიებულნი არიან, როგორც მდაბიონი, წარმართნი და ქრისტიანად მონათლულნი 1834 წ. მარტში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. მოქვში. (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ. 6-8 მარტი, 1997).

პაჭკორია კირილე ნესტორის ძე (1886-1937). სოფ. ლია, წალენჯიხის რ-ნი, 1967, თბილისი). ქართველი ხალხური მომღერალი, ლოტბარი. საქ. სსრ ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე (1946).

გვარი ასევე მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. მოქვის მცხოვრები). (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ. მარტი, 1997).

პაჭკორიას საგვარეულო 1372 სულს ითვლის (ზუგდიდი – 526, სენაკი – 181, ფოთი – 164), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 736-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

პელავა ნაწარმოები ჩანს პელო საკუთარი სახელისაგან.

პელანგია ნაწარმოებია პელაგია საკუთარი სახელისაგან.

პერედია ეტიმოლოგია საძიებელია.

პერტაია მომდინარეობს პეტრე საკ. სახელისაგან, რომელშიც მეტათეზისი ან ბგერის გადასმა მომხდარა.

საგვარეულო 1414 სულს ითვლის (ზუგდიდი - 542, ჩხოროწყუ – 284, სენაკი – 138), (გვარ-სახ. საქ.). გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავცელებული ათასი გვარის სიაში. (გვარ-სახ. საქ.).

პერტახია *1.* მომდინარეობს პეტრე საკ. სახელიდან. საგვარეულო 263 სულს ითვლის (ზუგდიდი – 138, ხობი – 55, ჩხოროწყუ – 23), (გვარ-სახ. საქ-ში).

პერტენავა ნაწარმოებია პერტენა საკუთარი სახელისაგან. შდრ. ქართულდაბოლოებიანი ფერტენაძე//ფარტენაძე.

პერტენავა „გვარი, თური იყოფა სამ შტოდ (დინოდ), რომელსაც ჩვენში პირობითად თურასაც ეძახიან, ისე დიდი და მრავალრიცხოვანია ეს შტო. პერტენავების თური (გვარი) იყოფა სამ დინოდ: ჩემი წინაპარი ხიტიეა, მის ტოტს, მის შთამომავალთ, მის დინოს პირობითად ხიტიეთურებს ვეძახით. ეს იმას არ ნიშნავს იგი ახალი თური იყოს, იგი დინოა. ჩვენ ხიტიეას მეხუთე და მეექვსე თაობა ვართ, მეექვსე თაობა 70 ოჯახს ითვლის. მე ჩვენი დინოს ხიტიელების-ხიტიეთურების გენეალოგიური სქემაც შევადგინე...“

მთქმელი პერტენავა ლავრენტი ზოსიმეს ძე, 70 წ. რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი. (გეგეჭკ., 78).

პერტენავას საგვარეულო 290 სულს ითვის (აბაშა – 155, თბილისი – 99, სენაკი – 19), (გვარ. სახ. საქ-ში).

პერტია ნაწარმოები ჩანს პეტრა საკუთარი სახელისაგან. პერტია – პეტრია; პერტია. საპერტიო – ლეწურწუმე (ჩხორ. რ.), პერტიაში ნოხორუ (ნასახლარი) – მენჯი, პერტიაში ნოხორუ (სენაკ. რ.), პერტიაში ნოხორი (ნასახლარი) – ონოღია (მარტვ. რ.), ნოხორი – სამიქაო (აბაშ. რ.). პერტია ოზურლი, მუხურს მცხოვრები, ემართა სუბვის სასახლის ბეგარა... (1621).

პერტია ბათუ, რევოლუციონერი. 28 ნოემბერს სოჭში შექმნილი სახალხო მილიციის ჯგუფის წევრი. (ტულუმჯიან., 83).

პერტიას საგვარეულო 588 სულს ითვლის (ზუგდიდი – 220, თბილისი – 76, აბაშა – 25), (გვარ-სახ. საქ-ში, 162).

პიჟნორია ეტიმოლოგია საკვლევია.

პიჟნორია კემუზ, ცოლი – ფუნდუკაძე გიდა მოხსენიებული არიან, როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშში. (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997 წ.).

პირტახია ნაწარმოები უნდა იყოს პირტა შერქმეული სახელისაგან: პირტა – საკ. სახელი, ხი, ხე (მგრ.) – ასული; ლეპირტახე – თამაკონი (მარტვ. რ.), ბაღმარანი (გულრ. რ.), ჯუმითი – ხაბუმე (ჩხოროწყუს რ.). ჩემი ყმა „განდრეკილი და წინააღმდეგ ჩემსა ეს რვა თვის

განმავლობაში არ მიმიღია მისგან დებულნი ფარეში და არცა ბეგარაო“ ჩიოდა სენაკის მაზრის უფროსთან ყმის მეპატრონე. (დუმბაძე, ჰ., 374).

პირტახიას საგვარეულო 890 სულს ითვლის (სენაკი – 266, მარტვილი – 188, თბილისი – 168), (გვარ-სახ. საქ-ში).

პიტავა წარმომდგარია პიტა საკ. სახელისაგან. საგვარეულო 170 სულს ითვლის (აბაშა – 113, თბილისი – 32, ქუთაისი – 7), (გვარ-სახ. საქ.).

პიჭუტია პიჭუტა – პიჭუტია საკ. სახელისაგან მომდინარეობს. საგვარეულო 33 სულს ითვლის (სენაკი – 17, ტყიბული – 5, აბაშა – 1), (გვარ-სახ. საქ.).

ჟანავა ეს გვარსახელი ჟვანიას დიალექტური ვარიანტი უნდა იყოს: ჟანავა (იანავა– ივანავა), რომელშიც ვ დაკარგულია. ნ-ს მომდევნო - ა კნინობითი სუფიქსია. შდრ. ჟვანია – იოვანია – ივანია.

ნაჯანაური სოფ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ჭლუში.

ჟანგერია 1. ჟანგუა (მგრ.) – დაჟანგვა; 2. შესაძლოა მომდინარეობდეს ჟანგერა შერქმეული სახელისაგან. ამოსავალი ფუძე შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარსახელი ჯანგირაშვილი.

ჟანგერია გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის მოსახლეთა გაქრისტიანების 1837 წ. სიაში. (გაზ. „საქართველო“, სეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ჟვალია (იხ. ჟვანია). ჟვალია (ჟვანია – ივანია) ლ ვ-ს ფონეტიკური ვარიანტია.

ჟვანია „მიღებულია ივანია-საგან: ივანია – ჟვანია“ (გ. ახვლედიანი); ჟვანია სიტყვასიტყვით უდრის ქართ. ივანიაძეს, ივანიძე, ივანიშვილს. ლეჟვანიე, ჟვანიერი – სამიქო, საჟვანიო – ინტოფო (აბაშ. რ.), საჟვანიო, ჟვანიაში ტყა (მეგრ. – ტყე), ჟვანოხორი (ჟვა – ნასახლარი) – უშაფათი, ნოსირი (სენაკ. რ.), საჟვანიო – ქვ. ჩხოროწყუ (ჩხორ. რ.), სუფსა (ლანჩხ. რ.). ჟვანიძე კირილე მოხსენიებულია: ცაიშის წმ. გიორგის ეკლესიის ხატის წარწერაში (ძვ. საქ., 3, 178); ზუგდიდის ეკლესიას წმ. გიორგის ხატის გამკეთებელი – ხელოსანი, ბედიელი მიტროპოლიტი. აქედანაა: **ჟვალია, ჟველია.** მე-19 ს. I ნახევარში ჟვანიების გვარი უმრავლესობას შეადგენდა გუდაუთის რ-ნის ბარმიშის თემში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ჟვანესკირია (ჟვანე-სკირი-ა, ჟვანე-ივანია, სქირი-ძე=ჟვანიას ძე); ბაბაშური, ქაქალა – ემართათ თილითის სასახლის ბეგარა... (1621).

ჟვანია მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. შქაწყარის მოსახლედ მე-19 ს. I. ნახ.

ჟ. ჯურუმიას მოახლის ვაჟი ესლამ, ქალი ცირა იხსენიება, როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისა და მონათლულნი ქრისტიანად 1834 წ. იანვარში, დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8).

ჟ. პანფსუ და ფატიშ მოხსენიებულია, როგორც მდაბიონი, წარმართნი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. იანვარში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ.

შქაწყარში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8; 2). ჟვანიერი ვაზის ჯიშია (ელიავა გ., ლექსიკ.).

ჟ. ლეონიდ (ერისკაცობაში ლავრენტი ტიმოთეს ძე ჟვანია (1885-1964). დ. ზუგდიდის მაზრის სოფ. ლეჯიქეში. სწავლობდა სენაკის სასულიერო სასწავლებელში, დაამთავრა სტავროპოლის სასულიერო სემინარია, ხარკოვის უნივერსიტეტი (1907), ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელი (1920), ბერად აღიკვეცა (1957), სიონის საკათედრო ტაძრის მთავარ-დიაკვანი (1957), იმავე წელს ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი. (ჟვანია ზ., 80).

ჟ. ისაკი ექვთიმეს ძე (1891-1946) დ. ზუგდიდის მაზრის სოფ. ლეჯიქეში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოძრ., 466).

ჟ. გრიგოლ კონდრატეს ძე, დ. 1915 ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ქვედაჩხოროწყუში, მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1963), მეცნ. დამსახ. მოღაწე (1970), ეროვნულ-სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი.

ჟ. თეოფანე ალექსანდრეს ძე, დ. 1904. პოლკოვნიკი. დიდი სამამულო ომის ვეტერანი (ზაქარიაძე, ე. 36).

ჟ. გივი (გრიგოლ) იერემიას ძე, (1918, ქუთაისი, 1979, კალკუტა (ინდოეთი) დაკრძალულია თბილისში), ქართველი მეცნიერი, საერთაშ. სამართ. სპეციალისტი, იურიდ. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1972), საქ. სსრ მეცნ. მოღვაწე (1979).

ჟ. ნოდარ არჩილის ძე, დ. 1945, ქუთაისი, ქართველი მუსიკოსი (ალტი). საქ. სსრ სახ. არტისტი (1980).

ჟ. იანი ლავრენტის ძე (1918-1990), დ. ნარაზენში, თვითნასწავლი, რომელმაც მოაწყო საგვარეულოს შეკრება 1983 წ. 22 ოქტ. (მიამბო ჟვანია თენგიზმა მცხ. ნარაზენში), (ზუგდ. რ.).

ჟ. აკაკი ბიჭიას ძე (წალენჯ. რ.), საქ. დამსახურებული ბუხჰალტერი (1968).

ჟ. მიხეილ ათანასეს ძე, დ. 1913, აფხაზეთის სამოხმარებლო სფეროს დამსახურებული მუშაკი (1985), დიდი სამამულო ომის ვეტერანი.

გვარი ამჟამად 3454 სულს ადგენს (თბილისი – 801, ზუგდიდი – 740, სენაკი – 362), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 168-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ჟველია ჟველიები მოსახლეობენ ხობის რ-ნის სოფ. ქარიატაში, ფოთის, ზუგდიდის და სხვ რ-ნების ქალქებსა და სოფლებში. საგვარეულო 90 სულს ითვლის (ფოთი – 29, ზუგდიდი – 12, თბილისი – 13), (გვარ-სახ. საქ-ში).

ჟიუბანია მომდინარეობს ჟიჟი საკუთარი სახელისაგან. საგვარეულო 21 სულს ითვლის (ზუგდიდი – 17, თბილისი – 2, ბათუმი – 1), (გვარ-სახ. საქ.).

ჟონგუა გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის მოსახლეთა ქრისტიანად მონათვლის 1837 წ. სიაში. (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ჟორდანია მომდინარეობს იორდანია-საგან (იორდანია – ქვეყანაა, მაგრამ ჟორდანია იორდანე ადამიანის საკუთარი სახელისაგანაა მიღებული). ჟორდანიაში ნოხორო – სუჯუნა (აბაშ. რ.), ნაჟორდანუ – დაბა მარტვილი (მარტვ. რ.). შდრ. იმერული გამოთქმა ჯორდანია (ჟორდანია – ჯორდანეა. ბოლოკიდური -ა კნინობითი სუფიქსია. „1558 წლის ერთ ქართულ საბუთში მოხსენიებულია ბახუტა ჟორდანია ჩამოსულა სამი ძმა. ერთი დასახლებულა ცაიშში, მეორე პროქაბეში და მესამე გურიაში. აქ ერისთაის **რეჟები** შეურქმევიათ, შემდეგ სამეგრელოში გადასულა, ამის სახელი შეურქმევიათ ნოეს შვილისათვის, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობდა, ბათუმშიც ეწვია... ყველაზე მეტი ჟორდანია – ჟორდანიძე ჩვენს მხარეში სახლობს, თანაც ნაწილს აქვს ვარიანტული ფორმა ძე-თი დაბოლოებაც... საქ-ს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია ევროპაში გადაიხვეწა, უჩხუთელ ჟორდანიებს გაუგებრობა – საფრთხის თავიდან ასაცილებლად ურჩიეს სხვა გვარზე დაწერილიყვნენ. ასე გახდნენ აქაური ჟორდანიები გოჩაძეები (ი. ბექირიშვილი, ასი... 149).

ჟორდანიები, გლეხები, დოკუმენტი და ჯარა მებატონე თავადს დადიანს უჩიოდნენ – უკანონოდ თავის ქალს მზითევში გაგვატანაო. მაისი, 1849 (ბოროზდინი..., 55).

ჟ. თევდორე (თედო) დავითის ძე, დ. 1854, მოქვი, სადაც მამამისი მღვდლად იყო, ოჩამჩირის რ-ნი, 1916, კასპი, ქართველი ისტორიკოსი, პედაგოგი, ფილოლოგი.

ჟ. ნოე ნიკოლოზის ძე (ფსევდონიმები: კოსტროვი, ანი, ნარი, ნარიძე და სხვ.), (1868, ლანჩხუთი, 1953, პარიზი), სოციალ-დემოკრატი, ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი, პუბლიცისტი.

ჟ. იოსებ თედოს ძე (1895, თბილისი, 1962, რიო დე-ჟანეირო, დაკრძალულია თბილისში), ქართველი გინეკოლოგი, მედ. მეცნ. დოქტორი (1937), პროფესორი (1939), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1962).

ჟ. ირაკლი სერგის ძე, დ. 1931, თბილისი, ქართველი მეტალურგი, ტექნ. მეცნ. კანდიდატი (1969)... ლენინური პრემიის ლაურეატი (1962).

ჟ. კონსტანტინე ნესტორის ძე, დ. დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. მოქვში. მოქვის სკოლა-ინტერნატის დირექტორი. 1941 წ. დეკემბერში გაიწვიეს სამამულო ომში. დაბრუნდა მაიორის ხარისხით. დაჯილდოვდა სამამულო ომის I და II ხარისხის, ორი წითელი ვარსკვლავის ორდენებით და რამდენიმე მედლით. კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ სკოლას. საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიიღო.

ჟ. ნოე (1868-1953), გიგო (1908-1974), მარია (1916-19..) განისვენებენ საფრანგეთში, პარიზთან ახლოს, დ. ლევილის ქართულ პანთეონში (გაზ. „ლიტ. საქ.“, 1990, 14 აპრილი).

ჟ. გივი გიორგის ძე, დ. 1911, თბილისი, ქართველი ისტორიკოსი, მედიევისტი. საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1979), ისტ. მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1963).

ჟორდანიას საგვარეულო ამჟამად 648 სულს ითვლის (თბილისი — 190, ქობულეთი — 107, ლანჩხუთი — 81), (გვარ-სახ. საქ-ში).

ჟღერია ჟღერა — საამური ხმიანობა, კეთილად მოსასმენი ხმა... (ქეგლ) წარმომდგარია ჟღერა/ია შერქმეული სახელისაგან.

ჟღერიას საგვარეულო 163 სულს ითვლის (ვანი — 38, თბილისი — 23, ოზურგეთი — 23), (გვარ-სახ. საქ-ში).

რაბაია 1. რაბადი (მგრ) — სმური, ბრაგუნი 2. შეიძლება წარმომდგარი იყოს არაბა შერქმეული სახელისაგან, რომელშიც წინაკიდური -ა დაკარგულია, ბოლოკიდური კი კნინობითობის სუფიქსია. შდრ. გვარი არაბიძე. რაბიცია სოფელი აფხაზეთში ბიჭვინთის ახლოს.

რავა ეტიმოლოგია საძიებელია. რავანობორი (ნასახლარი) — ახუთი (ჩხორ. რ.); „რავაები ორი ძმა ყოფილა, ერთი აქ დასახლებულა, მეორე გალმა“ (ელიავა, ჩხორ. ტ. 43).

რაზია რაზა — კარის ან ფანჯრის ჩასაკეტი რკინა, რომელიც გადაეცემა კოჭაკს (ქეგლ). ნაწარმოები უნდა იყოს რაზი საკუთარი სახელისაგან. გამორიცხული არაა რაზიას რევაზა საკუთარი სახელისაგან მიღება. <რაზია< — რავზია — რევზია — რევაზია. ამ გვარსახელში, როგორც ჩანს, ქართ. ე-სა მეგრ. ა-ს ბგერათშესატყვისობაა დაცული. შდრ. ქართ. ძაღლი, მეგრ. ჯოღორი, ქართ. ძელი, მეგრ. ჯა.

რატია რეა იყო ღმერთ-ქალი, რატიან-ი-დან საკ. სახელი რატი (მაისურაძე). აქედანაა რატიანი. რატია, X ს-ის ცნობილი პოეტი-ჰიმნოგრაფო, რატი ორბელი. აქედანაა გვარები: **რატია, რატიანი,** მზარის სახელწოდება, რაჭა (ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, 364). შდრ. ისტორიული ტოპონიმი · ქართულში რატევანი, რომელშიც -ევან სიტყვასაწარმოებელი სუფიქსია. რატიანი („კომ.“ 3.IX.67,3). რატი ძირძველი ქართული სახელია მამაკაცისა, რომელიც დღესაც გავრცელებულია (ზ. რატიანი, 47). რატიანიში ნოხორი (ნასახლარი), ქვ. ჩხოროწყუ (ჩხორ. რ.), მესტიის რ-ნი, ჭიათურის საქალაქო საბჭო.

წაჩხურელი რატია, მისი შვილი კაჭუ და ძმა ქისტეკოჩი, ორმოცდათორმეტი მოსახლე კაცი და ორი სასახლე შეუწირავს წაჩხურის მთავარანგელოზისათვის... იხსენიება ლევან II დადიანის მიერ წაჩხურის მთავარანგელოზისათვის მიცემულ წიგნში (იხ. ჩემი პირველი წიგნი, 63).

რატიანი იოსე აზნაურიშვილი, მოხსენიებულია XII ს. მათხოჯის დავთარში (დოკუმენტები, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1, 437).

რ. გაბრიელ მოხსენიებულია როგორც პოლტავის ოლქის ქ. მირგოროდის მცხოვრები, აზნაური (1845), (სცსა, ფ. 4, აღწ. 7, ს. 1837 ფონდის აღწერა).

რ. შოთა ილიას ძე, დ. 1924, ამბროლაურის რ-ნის სოფ. ღვარდიაში, საქართველოს სოფლის მეურნეობის დამსახურებული აგრონომი (1978), სამამულო ომის ვეტერანი.

რ. პროკოფი კონსტანტინეს ძე, (დ.. 1914, სოფ. რგანი, ჭიათურის რ-ნი), ქართველი ისტორიკოსი, ისტ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1964), მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1974).

რატიას საგვარეულო 243 სულს ითვლის (ზუგდიდი — 172, თბილისი — 42, ქუთაისი — 8), (გვარ-სახ. საქ-ში).

რაფავა 1. რაფუა (მგრ.) — ყეფა; 2. რაფალი (მგრ.) — ხმამაღლა ლაპარაკი. ნაწარმოები უნდა იყოს რაფა საკუთარი სახელისაგან, რომლის სრული ფორმაა რაფიელი: რაფიელა — რაფა. შდრ. რაფო.

რაფავა ბებელი ჯგოროს ძე, სოფ. ჯგალიდან წალენჯიხის რ-ნი, საეკლესიო გლეხი, გადასახლებული ციმბირში 6 წლით, როგორც სამეგრელოს 1857 წ. გლეხთა აჯანყების მხარდამჭერი და მემამულეთა ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გამწევი, (საისტ. მ., II, 147).

რაფავას საგვარეულო 783 სულს ითვლის (ზუგდიდი — 546, თბილისი — 141, წალენჯიხა — 37), (გვარ-სახ. საქ-ში).

რაში რაშს მეგრელები იტყვიან კარგი შეხედულებისა და ღონით ძლიერ ცხენზე. „ში“ სუფიქსი მის ლაზურ გვარობაზე მიგვითითებს. საგვარეულო 21 სულს ითვლის (თბილისი — 17, აბაშა — 2, რუსთავი — 2), (გვარ-სახ. საქ-ში 166).

რევია მომდინარეობს ძვ. საკუთარი სახელი რევისაგან. შდრ. ქართ. გვარი რევიშვილი. რევიაში ნაშქვიდუ (მგრ.) — ჩანამხრჩვალი, ძვ. სენაკი (სენაკ. რ.).

„რევია აზნაური არიან რევანდელნი სპარსნი. ნიშაბურს მხრიდან მოვიდა მათი გვარი და მიიღო ქრისტიანობა და უბოძა გვარად რევიანობა მეფემან. („ივერია“, 1883, № 11-12, 1884, 1-12).*

რევიას საგვარეულო 310 სულს ითვლის (თბილისი — 130, მარტვილი — 59, ზუგდიდი — 27), (გვარ-სახ. საქ-ში).

რეზვაია რეზვაიაში ა კნინობითი სუფიქსია, რეზვ კი იგივე რეზ-ია (შდრ. რაზია ზემოთ): რევაზია — რევზია — რეზვია. ვზ//ზვ ბეტათეზისი ცნობილია ქართულ ტოპონიმიაში. შდრ. ზოვრეთი//ზორვეთი.

რეკვავა ადგ. გამოთქმა რეკვაა. ნაწარმოები ჩანს რეკვა შერქმეული სახელისაგან. საქმიანობის აღმნიშვნელი ტერმინიდანაა: რეკვა-ვა, რეკვა-როკუა, სხაპუა (მგრ.) — როკუა-(ს)-ძე — მოცეკვაკე. როკვა — ძვ. ქართ. ცეკვა. (იხ. ცეკვავა); სარეკვაო — ხორში (სენაკ. რ.), ნარეკვევი

ტოპონიმია თბილისთან ახლოს. (მუსხ. დ., 139. ნარკვევი მდ. დუშეთისა და მცხეთის რ-ნებში). რეკვა მდ. (გულრ. რ-ნი) ჩხალთის მარცხენა შენაკადი. რეკვავა, სიტყვა „რეკვა“ გამოიყენება როგორც ზმნა. X საუკუნის ნაწარმოებში „სიბრძნე ბალავარისა“ (აბულაძის რედაქციით, 67). „ისწრაფვოდა თითოეული ცდუნებად იოდასაფისსა და წინა უროკვიდეს და სტვირთა და ჩანგებითა ქებასა შეასხმიდეს“.

რეკვავას საგვარეულო ამჟამად 295 სულს ითვლის (სენაკი – 67, თბილისი – 37, ზუგდიდი – 36), (გვარ-სახ. საქ-ში).

რეჭია რეჭე-რიყე (ელიავა გ. ლექსიკ.). ქ. გალი, ჩხორთოლი, წარჩე (გალ. რ.). რეჭიას საგვარეულო 32 სულს ითვლის (სენაკი – 15, ჭიათურა – 12, ზუგდიდი – 4), (გვარ-სახ, საქ-ში).

რეხვია ეტიმოლოგია საკვლევია (შდრ. რეხვიაშვილი) ნადია, ანდრეი განისვენებენ საფრანგეთში პარიზთან ახლოს, ლევილის ქართულ პანთეონში. (გაზ, „ლიტ. საქ.“, 1999, IV).

რიგვავა წარმომდგარი ჩანს რიგვა მეტსახელისაგან. მეგრ. რიგვა „თავადი“. რიგვედა–ინდური ლიტერატურის უძველესი ძეგლი, საღვთო წერილი (კ. გამსახ. I, 734).

რიგვავა მაჭიხოლა, ქვრივი გუდუგია, ძენი: გულარა, თამკოჩ მოხსენიებულია, როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7, 29).

რიგვავას საგვარეულო 529 სულს შეადგენს (ზუგდიდი – 297, თბილისი – 112, წალენჯიხა – 31), (გვარ-სახ. საქ-ში).

როგავა შესაძლოა ნაწარმოები იყოს რონგავა მეტსახელისაგან. შდრ. რონგო (მგრ.) – თავგასიებული. ლეროგე –მუხური (ჩხორ. რ.), ყულიშკარი (ზუგდ. რ.). აქ ინახება სასწაულმოქმედი ძლიერი ხატიჯვარი. გადმოცემით ჯვარი სვანეთიდან გადმოუტანია მებატონე დადეშქელიანის სიმკაცრეს გამოქცეულ გლეხს როგავას, ხოლო მის ჩამომავალს – ეგნატე როგავას კი კოშკი და გუმბათიანი პატარა ეკლესია აუშენებია და იქ დაუსვენებია. ჯვარს აქვს წარწერა: „მღდელმან გაბრიელ როგავამ მოვაჭედინე ხატი სულისკარისა, სულისყურისა“ (საქ. სიძვ., 3, 200); რუსი მკვლევრის Чилаев-ის წიგნში... მოხსენიებულია Рогавачев, отставной полковник Василий Константинович 7.05.1785 г. по полученному им 1-01. 1786 г. Чину пропорщика (Количество крепостных дворянских людей нет, გვ. 16). ყუბაში არის სოფელი როგოვსკოე. „ამჟამად სტავროპოლის მხარის, კურსკის

რაიონის სოფ. ნოემბერიანოვკაში ცხოვრობს როგავების 130-მდე ქართული ოჯახი“ (მაისურაძე).

როგავა ბუჩუნა გუდუს ძე სოფ. ყულისკარიდან დღ. ზუგდიდის რ-ნი, თავადი ნიკოლოზ მხეიძის ყმა-გლეხი, სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების აქტიური მონაწილე, აჯანყებისადმი დაჟინებითი მხარის დაჭერისა და მემამულეთა ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევისათვის 6 წლით ციმბირში გადასახლებული. (საისტ. მ., II, 148).

რ. გრიგოლ შამილის ძე (1885-1924) დ. ზუგდიდის მაზრის სოფ. ყულისკარში რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში (რევ. მოძრ., 472).

რ. ანთიმოზ მიხეილის ძე, დ. 1910, სოფ. ყულისკარი, ახლანდ. ზუგდიდის რ-ნი, 1977. ზუგდიდი საკოლმ. წარმოების ნოვატორი, ორგზის სოც. შრომის გმირი (1948, 1951).

რ. ნიკოლოზ ონისიმეს ძე, სოფ. ყულიშკარი, ზუგდიდის რ-ნი, 52 წლის 25.VII. ძვ. სახალხო მთქმელი (ღლონტი, 221).

როგავას საგვარეულო 2597 სულს შეადგენს (ზუგდიდი – 1811, თბილისი – 312, სენაკი – 125), (გვარ-სახ. საქ-ში). საგვარეულო შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში, რაოდენობის მიხედვით 292-ე ადგილზეა (გვარ-სახ. საქ-ში).

როდონაია 1. როდენ – ძვ. ბერძნ. – ვარდი, ვარდის სახელია (მაისურაძე); 2. რადიონის ქვის საბადოები ყოფილა; სარადონაიო (ჩხორ. რ.), როდონიში (მგრ.) გოჭკადილი (მგრ.) – გაჭედილი (მარტვ. რ.), აქ „როდინის ქვებს ამზადებდნენ, ჩამურსაც თლიდნენ“ (ელიავა, „აბაშ... ტოპ“, 130). ეს გვარსახელი წარმომდგარია როდინა – როდიონა საკუთარი სახელისაგან, რომელშიც ი ხმოვანი გაუჩინარებულია. შდრ. ტოპონიმ. როდინაური//როდინოული – სოფლის სახელი ზესტაფონის რაიონში, როდიონოვკა სოფ. ბოგდანოვკის რ-ნში.

რ. როჭი მიდარაჯი, საფიჩხაოს მცხოვრები ყმა-გლეხი შეშირული ლევან დადიანისა და მისი ბიძის გიორგი ლიპარტიანის მიერ შეწირული (ოდიშის) თაწმინდა (ხარება) ღვთისმშობლის ეკლესიისადმი (1912) (მას. საქ. ისტ. გეოგრ., 101). შდრ. როჭიკაშვილი.

როდონაია ერასტო – სახალხო განათლების პირველი თაობის წარმომადგენელი. საგვარეულო 525 სულს ითვლის (ზუგდიდი – 137, ჩხორწყუ – 109, თბილისი – 102), (გვარ-სახ. საქ.).

როსტობაია წარმომდგარი ჩანს როსტომ საკუთარი სახელისაგან: როსტომაია – როსტობაია. საგვარეულო 383 სულს ითვლის (ზუგდიდი – 205, სენაკი – 32, თბილისი – 26), (გვარ-სახ. საქ.).

როყვა (იხ. რეკვავა); როყვას საგვარეულო 572 სულს ითვლის (ლანჩხუთი – 147, ოზურგეთი – 145, თბილისი – 9), (გვარ-სახ. საქ.).

როყუა (იხ. რეკვავა); საგვარეულო 89 სულს ითვლის (ოზურგეთი – 76, ქუთაისი – 6, თბილისი – 4), (გვარ-სახ. საქ.).

რუბენია ნაწარმოებია სახელ რუბენისაგან. რუბენიანი ცნობილი სვანური გვარსახელია, მოსახლენი დღ. ზემო სვანეთის რ-ნის სოფ. ბეჩოში, ეცერში XIII ს-ის II ნახ. (სვან. ძეგლები, 131, 153). საგვარეულო 62 სულს ითვლის (აბაშა – 29, ფოთი – 15, თბილისი – 10), (გვარ-სახ. საქ.).

რურუა რუ – წყალმცირე ღელე. შესაძლოა მიგვითითებს რუსადმი თაყვანისცემაზე; უფრო საფიქრებელია რურუ(ა) ადამიანის შერქმეული სახელი ყოფილიყო ისტორიულად. სარურუო – სეფიეთი (აბაშ. რ.), ულურია (წალენჯ. რ).

„სეფიეთში 45 კომლის რაოდენობით მკვიდრობს რურუების გვარი. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ზოგი ადგილობრივ მკვიდრებად თვლის თავს, ზოგი – მოსულად მარტვილის რ-ის სოფ. ორქადან. 1904 წ. მონაცემებით, სეფიეთში რურუების 38 ოჯახი ცხოვრობდა. რურუების გვარის „კილია“ „ჯგუგები“ (ქართვ. მემკ., I, გვ. 53).

რურუა ანდრო აპალონის ძე (1932, თბილისი), ქართველი სპეციალისტი ავტომატიკის დარგში. სახ-ფო პრემიის ლაურეატი (1976).

რ. ილია პარმენის ძე, დ. 1923, სოფ. ორქა-მუხურჩა, მარტვილის რ-ნი), ქართველი მწერალი. საქ. სსრ კულტ. დამსახ. მუშაკი (1968).

რ. რომან ვლადიმერის ძე, 1942, სოფ. მუხურჩა, მარტვილის რ-ნი, ქართველი სპორტსმენი (კლასიკური ჭიდაობა) სსრკ სპორტის დამსახ. ოსტატი (1966).

რურუას საგვარეულო 1362 სულს ითვლის (თბილისი – 358, მარტვილი – 345, აბაშა – 25), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 745-ე ადგილზეა.

რუსაფია დაცინვითი ტონით რუსი ეროვნების მქონე. რ. მასალიას ემართა ნაჭალეულის სასახლის ბეგარა... (1621).

რუსია შდრ. გვარადქცეული ეთნ. რუსი; სარუსიო — სუკუნა (აბაშ. რ.), რუსიაში ნოხორი (ნასახლარი) — ხორში (სენაკ. რ.); საქართველოში არსებობდა „სარუსო გამოსაღები“ (ჩუბ.). უფრო სარწმუნოა, რუსია, რუსაყია გვარსახელები ეთნონიმ რუსს კი არ დავუკავშიროთ, არამედ რუსა საკუთარ სახელს, რომელიც ცნობილია ძველ ქართულში და ასევე მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ ქვეყნების ანთროპონომიაში ცნობილი სახელები იყო. შდრ. რუსა პირველი, რუსა - მეორე (ხეთების, ასურეთის მეფეთა სახელები). საყურადღებოა, რომ რუსიკო, ადამიანის საკუთარი სახელი გაგონილი გვაქვს მამაკაცის საკუთარ სახელად იმერეთში. (ზესტაფონის რ-ნი სოფ. სვირი) შდრ. ქართულსუფიქსიანი გვარები: რუსაძე, რუსეიშვილი.

„რუსია, რუსიშვილი თავადი. ესენი არიან დროსა თამარ მეფისასა, რომელიც მოჰყვნენ რუსთა მეფისა ძესა ვსევოლოდიისა სვიჯად წოდებულის ქალაქით, რომელიც ექორწინა თამარ მეფისა ქრისტეს აქეთ 1177-სა და თამარ მეფემან ამა რუსის შვილს რუსოვად წოდებულსა გვარით ებოძა რუსისშვილობა და თავადობა“... („ივერია“, 1883, № 11-12, 1884, № 1-12).რუსია კირილე, თბილისელი, სევასტოპოლის დაცვის (მეომარი. ქოჩიაშვ. მ., 26).

რუსია ნინა, მელიტონ განისვენებენ საფრანგეთში, პარიზთან ახლოს დ. ლევილის ქართულ პანთეონში (გაზ. „ლიტ. საქ.“, 1990, 14.IV).

რუსიას საგვარეულო 935 სულს ითვლის (აბაშა — 217, თბილისი — 159, სამტრედია — 109), (გვარ-სახ. საქ.).

რუსია სვან. რუსიანი, მცხ. დღ. ზესტაფონის რ-ნში, მე-13 ს-ის II ნახ.) (ძვ. სვ. ძეგლები, 126).

რუხაია* საკ. სახელი რუხა, რუხი ფერი, რუხაიაში -ა კნინობითი სუფიქსია. რუხუ მსხვილმარცვლიანი პურის ჯიშია (ბოტ.). ლერუხაიე — ინჩხური, რუხაიაშო კარი — გაჭედილი (მარტვ. რ.), რუხი — სოფელი XVII ს-ის ციხესიმაგრით (ზუგდ. რ.). „რუხაიები იყვნენ ბანძიდან (მარტვ. რ.). აქედან გადასახლებულან ღანიქვიტარში (ხონის რ.)“. (მთქმელი რუხაძე გიორგი რაჟდენის ძე, თადარიგის პოლკოვნიკი, მფრინავი, ცხოვრობს ქ. თბილისში ჭავჭავაძის ქუჩაზე).

სამეგრელოში სიმინდის კულტურა შემოვიდა მე-17 ს-ში ორი ჯიშისა: ერთს ერქვა რუხული (რუხი სოფელია ზუგდ. რ-ნში), ხოლო მეორეს ციცუა. აქედან გვარები რუხია და ცაცუა — ციცუა.

რუხიას საგვარეულო 1082 სულს ითვლის (მარტვილი — 346, თბილისი — 192, ზუგდიდი — 104), (გვარ-სახ. საქ.). გვარი შესულია

საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1082 სული) მიხედვით 987-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

რცხილავა შდრ. რცხილა,* — ხის ჯიში, რომელსაც მორწმუნეების აზრით მეხი არ ეცემა. ამრიგად, რცხილა ერთ დროს, ისტორიულად ადამიანის მეტსაბელი უნდა ყოფილიყო. შდრ. ქართ. გვარი რცხილაძე, ტოპონიმი ცხინვალი (გრცხილვანი — რცხილოვანი). რცხილათი ჭიათურის რ-ნში, რცხმელური — მდ. ცაგერის რ-ნში — ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი და ასევე სოფ. ლენტეხის რ-ნში.

„მეგრელები საჩრდილობლად ეზოში რგავენ უფრო მეტად რცხილას. ეს ხე უშველებელი იზრდება კოლხიდაში... ძირს ტოტები აქვს ფრიად გაშლილი ირგვლივ, მერე ნელ-ნელა ვიწროვდება და მერე წვერში სულ ვიწროვდება..." (ლამბერტი, 38). რცხმელური სოფელია ქვემო სვანეთის რ-ნის ლენტეხის თემში.

გიორგი (გულო) ვასილის ძე, 1909, თბილისი, 1968, იქვე, ქართველი სპორტსმენი (ტანმოვარჯიშე) და პედაგოგი, საქ. სსრ სპორტის დამსახ. ოსტატი (1936), სსრკ სპორტის დამსახ. მოღვაწე (1964).

საავა ეტიმოლოგია საძიებელია. საგვარეულო 27 სულს ითვლის (ქუთაისი — 22, რუსთავი — 1, ჩხოროწყუ — 4), (გვარ-სახ. საქ.).

საბახთარია მომდინარეობს საბახთარ საკუთარი სახელისაგან. შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარსახელი საბახტარაშვილი. ძველი გვარია, წერს ბოროზდინი, შარდენი კი ამბობს, რომ იმის დროს საბახთართა გვარი თვალსაჩინო მებატონეებს ეკუთვნოდათ და დღეს მათნი შთამომავალნი აზნაურები არიანო.

„საბახთარ თავად ბეკოს აუარებელი ყმა ჰყავდა აზნაურებისა და გელეხებისა... დაიბადა თუ არა, ძიძას მისცეს აფხაზეთში... ძიძამ სამი წელი ძუძუ აწოვა, მერე ორი წელი კიდევ ყვანდა, მერე საბავშვო უნაგირით შეკაზმულ ცხენზე შესვეს. თან გამოყვა ძიძა და მისი ნათესავები, მამის სახლში მიიყვანეს. მამამ შვილის გამზრდელს ხუთმეტი ცხენი, ოცდაათი ძროხა და ორი კომლი მოჯალაბე აჩუქა“.

მოსახლეობენ ჩოხოროწყუს რ-ნის სოფ. სარაქონში (ბოროზდინი, 90-91), მერე გვარი გადაიკეთეს საბახტარაშვილებად. ამჟამად გვარი 101 სულს ითვლის (სენაკი — 33, თბილისი — 26, ხობი — 13), (გვარ-სახ. საქ.). გვარი იხსენიება საბახტარიშვილებადაც (იქვე).

საბეკია „ბეკნა, კუნტრუში, ხტომა (ჩუბ.). საბეკია — ერთგული გუშაგი (ჯალაღონია, 11). სასაბაკიო — კირცხი (ჩხორ. რ.). „აქ საბეკიები სახლებულან. გადმოცემით, ეს გაშლილი ველი მაშინ ცხენების სადგომი, მათი ქართა ყოფილა — საბეკი ყოფილა. საბეკი განსაკუთრებით ცხენების სადგომია, მათ გაშლილ ადგილზე ბეკვა, ხტუნაობა უყვართ. საბეკიები სამურზაყანოდან მოსულან აქ, მათი ძირი იქ იყო“ (ელიავა, ჩხორ. ტოპ., 30). ამრიგად, საბეკია საბეკ სიტყვისაგან მომდინარეობს. არ არის გამორიცხული მისი წარმომავლობა ძველ ქართულ სასულიერო და ბიბლიურ წიგნებში არსებული საბეკ საკ. სახელისაგან.

საბეკიას საგვარეულო 2261 სულს ითვლის (ზუგდიდი — 122, ჩხოროწყუ — 46, თბილისი — 20), (გვარ-სახ. საქ-ში., 169).

საბუა წარმომდგარია საკუთარ სახელ საბასაგან საბუა — საბოა. შდრ. ქართ. საბიაშვილი.

საბუა ნასაბუს გორა წალენჯიხის რ-ნის ცენტრთან ახლოსაა. საბუი ტოპონიმია ყვარლის რ-ნში. აქედანაა **საბულუა**, მოსახლეობენ გალის რ-ნის სოფ. აჩიგვარაში. საბიანი სვ. მოსახ. ღღ. ზემო სვანეთის რ-ნის სოფ. ეცერში (სვ. ძევლ., 136), (XIII ს-ის II ნახ.).

საკლევია, მთიდან ბარში მიგრაციასთან გვაქვს საქმე თუ? მგონი, ერთიც და მეორეც.

საბულუა საბველი — თოკი. ბაწარი; „მას ერთსა ბურჯსა გარდვაგდოთ წვერი საბლისა გრძელისა“ („ვეფხ. ტყ. ლექსიკ.“, ტ. 1395, სტრ. II). შდრ. კაკო — კაკულა. ბაკო (ამბაკო) — ბაკულა. შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარები: **საბაძე, საბაშვილი, საბიაშვილი.** გალის რ-ნში არის გვარი საბულუა.

საბულუას საგვარეულ 244 სულს ითვლის (ზუგდიდი — 58, აბაშა — 45, თბილისი — 41), (გვარ-სახ. საქ.).

საგარია* საგარია სევგი, სტამბულის მუნიციპალური თეატრის არტისტი, ფესტივალ „ოქროს საწმისის“ მონაწილე, ჩატარდა თბილისის რუსთაველის სახ. თეატრში 1995 წ., ვფიქრობთ, წინაპარი აფხაზეთიდან მუჰაჯირობის დროს (1864-1878 წწ) გასახლებული მეგრელია.

საგულია ვფიქრობთ, სანგულია უნდა იყოს. (იხ. გულია) გვარი იხსენიება დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინას მოსახლეობის 1834 წ. აღრიცხვის სიაში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997). შდრ. სონგულია, სონღულაშვილი.

სადაია სადიო (კოლხ.) — ლაგამი. 2. სადა (მგრ) — უბრალო.

სადიკიში გვარი ლაზურია, ვფიქრობთ, მომდინარეობს სადიკა საკ. სახელიდან. სადიკიში ჯამფერ მუსტაფას ძე, დ. 1905 წ. აზლაელში (თურქეთი), ამჟამად მოსახლეობს ახალ ათონში (კარტოზია, გ., ლაზური ტექსტები, თბ.. 1972).

სავარია შეიძლება ნაწარმოები იყოს სავლე//სავლია საკ. სახელიდან. სავარია სავრომატი — პირველი აზიური ხალხი პონტოში. ამ ხალხს მართავს ქალები (დ. გამახ., გ. გოგია, 160).

სავარია ბახუტას, უსკვამადას ცაიშის მიმდგამსა კაცებსა მართებთ ბეგარა... (1616-1621).

სავლია (იხ. სავარია) იმარცალას, ხერია ემართათ ჯგალის სასახლის ბეგარა (1621).

საკანდელია შდრ. კანდელი ძვ. სანათი, ლამპარი (ქეგლ). ნაწარმოები ჩანს საკანდელი მეტსახელისაგან. შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარი საკანდელიძე.

საკანდელიას საგვარეულო 86 სულს ითვლის (მარტვილი — 69, სენაკი — 6, თბილისი — 3), (გვარ-სახ. საქ-ში).

საკლია ეტიმოლოგია საკლევია. მართებს ჯგალის სასახლის ბეგარა... (1621).

საკორია სკორი — ქათმის განაყალი.

სალაია მომდინარეობს ირანული რომანის სალამან და აბსალის გმირის სახელიდან. აქედან ქართ. გვარსახელები: **სალაძე, სალიაშვილი.**

გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინას მოსახლეობის 1837 წ. აღრიცხვის სიაში. (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

საგვარეულო 55 სულს ითვლის (ოზურგეთი — 14, რუსთავი — 13, ფოთი — 13), (გვარ-სახ. საქ.).

სალაბეხა სალა ბრტყელი და რიყის ქვა (ქეგლ). შერქმეული სახელი უნდა იყოს სალაბექა. შდრ. ანთროპონიმი ბექა, ბექაია//ბეხაია. სალაბეხა კოჩიანას ემართა ბეგარა... (1621).

სალატია წარმოშობილი ჩანს ძველ ქართულში არსებული სალათიელ საკუთარი სახელისაგან.

სალატია უჩარდია, ემართა ხაუჟელის სასახლის ბეგარა... (1621).

სალალაია ნაწარმოებია სალალა საკ. სახელისაგან, რომლის პირველი მნიშვნელობა დასადგენია. საგვარეულო 66 სულს ითვლის (ბორჯომი — 34, ლაგოდეხი — 6, თბილისი — 5), (გვარ-სახ. საქ.).

სალაყაია წარმომდგარი უნდა იყოს სალაყა საკუთარი სახელისაგან. შდრ. მეგრ. სალია, ქართულდაბოლოებიანი გვარსახელები: სალაძე, სალიაშვილი. მოსახლეობენ დღ. სენაკის რ-ნის სოფ. მენჯში, მარტვილის რ-ნის სხვადასხვა სოფლებში.

სოლაყმას წარწერა (XI ს.) იხსენიება VII ს-ის I ნახ-ში აგებულ მარტვილის ჭყონდიდელის ტაძრის გარდამავალი მხედრულით ნაკაწრ წარწერაზე: „წ(მიდა)ო საყდარო, შეიწყალე მონაი თქ(უე)ნი სოლაყმაი, დაიცავი ყოელისა სნებისაგან. ვინცა ესე წაიკითხოს, სწუალობდ(ე)სცა ესე საყდარი („მაცნე", 1993, 3-4).

სალაყაია ერთი თურია, ერთი გვარია, მის შიგნით გმნართი, გმნარყი — განაყოფი, ტოტი, დინოა. „ართი ბაბუში გმნაჭყან ათენარე დინო (ერთი ბაბუას შთამომავლობა გადაიქცევა ახალ ტოტად, ახალ განაყოფად. ეს არის დინო... (მთქმ. სალაყაია ამირან ალექსანდრეს ძე, მენჯი, სენაკის რ. (გეგჭკ. მუზ.).

სალაყაია საგესა, ძმა — საკუტი, და — ფატმანი — ჰაბუშ მოხსენიებული არიან, როგორც მდაბიონი, მაჰმადიანნი და ქრისტიანად მონათლულნი 1834 წ. აპრილში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინაში. (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8; 2, 3).

სალაყაია თეკლათში მოსახლე ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინთას (1628). (მასალები, 104).

სალაყაიები დღესაც თეკლათში ცხოვრობენ. 1904 წ. აღწერაში სალაყაიების 17 კომლი დავითვალეთ, რომელთაგან 8 კომლი აზნაური და 9 კომლი გლეხი იყო (თოფჩიშვილი რ., 63).

სალაყაია იოსებ (1881-1940) განისვენებს საფრანგეთში პარიზთან ახლოს, დაბა ლევილის ქართველთა პანთეონში.

სალაყაიას საგვარეულო 535 სულს ითვლის (თბილისი –141, ზუგდიდი – 122, სენაკი – 91), (გვარ-სახ. საქ.).

სალახია (კნინობითი დაცვითი ფორმა გვარისა — სალდაყი — სალდათი).

გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინას მცხოვრებად მე-19 ს-ის I ნახ. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

სალია ა-სალ აფხ. (დ. გულია, ხელნაწ. ინსტ. საქმე, 1934). სალი ხის ან რკინის წაწვეტებული ნაჭერი, დამხმარე ხის გაჩეხვა – გაპობაში; 2. საკ. სახელი სალიამ — სალამ მეტსახელისაგან, რაც ნიშნავს „გამარჯობას“ (ჯალაღონია, 11). ლესალე (წალენჯ. რ.), სარფი (ბათ. რ.); ძალივე, ოტია, ბაბად და გიორგი მოხსენიებულნი არიან სკურდის (12-13 კილომეტრზე ჯგალიდან (წალენჯ. რ.) მთაში 1845 წ. შემკობილი ჯვრის წარწერაზე (ძვ. საქ., 3, 241). ნაწარმოები შეიძლება იყოს სალია — სავლია საკუთარი სახელისაგან. შდრ. ქართულსუფიქსიანი გვარები: **სალიაშვილი, შავლაძე შალვაძე//შავლაძე.**

სალიების ნაწილი ზემო სამეგრელოს აფაქიძეთა ყმა-გლეხები იყვნენ (სოსელია, III, 166).

- „სალიები აგრძელებენ ჯალაღონიების გვარსო“ — ასე იტყვიან ჩოხოროწყუს რ-ნის სოფ. სარაქონში (იხ. ჯალაღონია). სალი – მაღალი ტინის კლდე (ძვ. საქ., ტ. 1, ვ. 149, „ვეფხ. ტყ. ლექსიკ“.).

სალია კალისტრატე ზოსიმეს ძე, დ. 1901, სოფ. ჯგალი, წალენჯ. რ-ნი, ქართველი ისტორიკოსი, უცხოეთში მცხოვრები ქართველოლოგი, ოსლოს უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი (1965), ხმელთაშუაზღვეთის აკად. წევრი (1968)...

სალია-ჭურციკაშვილი ნინო, პარიზელი (დაბადებული კახეთში) მეუღლესთან — კალისტრატესთან ერთად ჟურნ. „ბედი ქართლისა“-ს ქართულ-ფრანგულ ენაზე დამაარსებელი, ლიტერატურული და მეცნიერული ურთიერთობის მკვლევარი, საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრი, 40-ზე მეტი შრომის ავტორი. ქმარი – კალისტრატე ადრე გარდაიცვალა, გადმოსვენებულ იქნა ქ. თბილისში.


ნინო სალიას დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა და ისე გარდაიცვალა, რომელმაც ანდერძად დატოვა გადმოსვენება თბილისში და ქმრის გვერდით დასაფლავება. ამჟამად ორივენი ქ. თბილისში — მშობლიურ მიწაზე არიან დაკრძალულნი.

სალია ბიქტორ ძოკოს ძე, ჯგალი (წალენჯ. რ.). სოციალისტური შრომის გმირი.

ს. ბიქტორ (წალენჯ. რ.) საქ. სსრ დამსახურებული ინჟინერ-მექანიზატორი.

ს. ვალოდია (წალენჯ. რ.) საქ სსრ დამსახ. აგრონომი.

სალიების გვარი 1152 სულს ითვლის (წალენჯიხა — 472, ზუგდიდი — 296, თბილისი — 151), (გვარ-სახ. საქ.). გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 913-ე ადგილზეა (იქვე).



სამტრედიის რაიონი

სალბაქია ნაწარმოები ჩანს სალბაქ საკუთარი სახელისაგან, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობა დასადგენია.

გვარი. მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშის მცხოვრებთა სიაში, სადაც აფსუური გვარი თითზე ჩამოსათვლელი იყო, ქართველები კი ბევრი. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ. 1997).

სამანავა სამან-ი — საზღვარი, მიჯნა (ქეგლ). ნაწარმოები ჩანს სამანა მეტსახელისაგან, რომელშიც -ა კნინობითი სუფიქსია. შდრ. ქართ. გვარი სამანიშვილი, სამნიაშვილი, სამანიაშვილი.

სამელია წარმომდგარი უნდა იყოს სამელია შერქმეული სახელისაგან. სამელია მრსალიას ემართა ნაჭალეულის სასახლის ბეგარა... (1621).

სამელიას საგვარეულო 102 სულია (ზუგდიდი — 28, თბილისი — 12, წალენჯიხა — 62), (გვარ-სახ. საქ-ში).

სამინავა სა-მინა-ვა, (იხ. სამანავა). სამინავა წარმომდგარია საკ. სახელი სამინასაგან.. სამინავას საგვარეულო 102 სულს შეადგენს

(სენაკი – 79, ფოთი – 20, მარტვილი – 2), (გვარ-სახ. საქ-ში).

სამსონია I გვარი წარმომდგარია საკ. სახელი სამსონისაგან. გვარი იხსენიება ალმ. საქართველოს ქვემო ქართლში (XVIII ს-ის I მეოთხედი).

ლაზებმა უხსოვარ დროში დატოვეს ეგვიპტე და გადასახლდნენ სამსონიაში (ჟურ. „აია“, 1998, I-გვ. 65-66). სამსონია ამჟამინდელი ოლქი და მდ. (დღეს იწოდება ყარსაყთ), რომელიც სათავის იღებს თურქეთის მთებიდან.

2. სამსონი – ბიბლიური გმირი, საოცარი ძალისა და გამბედაობის მქონე პიროვნება... (უცხოური წყაროები საქ-ს შესახებ, (XXIX, თბ. 1973). სამსონია მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში 156 სული ქართველთან ერთად, სადაც აფსუათა გვარი თითზე ჩამოსათვლელი იყო. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

საგვარეულო 507 სულს შეადგენს (ოზურგეთი – 165, თბილისი – 147, ლანჩხუთი – 79), (გვარ-სახ. საქ-ში).

სამუშია მიღებული ჩანს სამუშა საკუთარი სახელისაგან, რომელშიც -უშა კნინობითი სუფიქსია. შდრ. გუგუშა, ღუტუშა... დაბა ჯვარი (წალ. რ.).

სამუშია სულიკო – მეჩაიე, ლია (წალენჯ. რ.), სოციალისტური შრომის გმირი, ბაბუცა ბადურას ასული, ქ. წალენჯიხა, სოფ. მეურნ. დამსახ. მუშაკი.

სამუშიას საგვარეულო 2783 სულს შეადგენს (წალენჯიხა – 1650, ზუგდიდი – 530, თბილისი – 315), (გვარ-სახ. საქ-ში). გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (2783 სული) მიხედვით 248-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

სამხეშია ეტიმოლოგია საძიებელია. შდრ. ქართ. სახეშიძე.

სანაია ნაწარმოები ჩანს სან-ი სანიგისაგან (ჭანის უძველესი სახელწოდება). შდრ. სანიკიძე, სანაძე... ნაწარმოები ჩანს სანაძე ეთნონიმისაგან. შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარსახელი სანიშვილი, საკუთარი სახელი სანო. ტომი სანიხიდან (ბოლოკიდური ფორმანტი „ია“ ამ სახელწოდებაში „სან-ია“ იმავე სახისაა, როგორც სახელწოდებაში „გურ-ია“, „იბერ-ია“. სანია მდებარეობდა იმ სექტორში, სადაც ამჟამად მდებარეობს დაბა ეორდანი (სოჭის რ-ნში).


სანაია გვარი რუსული წარმოშობისაა. ქართულ გვარებში მოიხსენიება სანიშვილი (1818 წ.) საკ. სახ. სანა (ი. მაისურაძე, 143). 1817 წ. სოფ. ვაშლოვანში მოიხსენიება მანჩო სანიშვილი (ი. ახუშვილი, 518).

გვარი 1590 სულს ითვლის (სენაკი – 605, თბილისი – 270, მარტვილი – 114), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 613-ე ადგილზეა (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

სანაკია ეფიქრობთ, ა ჩართული ბგერაა. მამისახარს, სოფლის ეპისკოპოსის გლეხს, მართებს ორმოცდახუთმეტი თეთრი (XVI ს.), (დას. საქ. საბ. წ. 1,13).

სანგულია 1. საგურე აფხ. (დ. გულია, ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934), მგრ. საგურე – ლ ა მ ფ ი ს ფიტილისა; 2. სანგუა მგრ. – მაგრად ხელის გარტყმა ლოყაზე;



სამცხე-საათაბაგარო

სანგულიას საგვარეულო 356 სულს ითვლის (ზუგდიდი – 94, თბილისი – 55, ბათუმი – 6), (გვარს-სახ, საქ-ში).

სარავა სარით გაღობვა, შემოღობვა. (იხ. სარია). ქართულ-დაბოლოებიანი გვარები: სარიშვილი, სარაული. გამორიცხული არაა სარა (ბიბლ.) სახელის ან სარა შერქმეული სახელისაგან მომდინარეობდეს.

სარავას საგვარეულო 42 სულს ითვლის (ქუთაისი - 36, მარნეული – 1, თბილისი – 1), (გვარ-სახ. საქ-ში, 172).

სართანია სართი ქართული სიტყვაა და ნიშნავს საქსოვ დაზგას, (გამახ., გოგია, 23). ლესართანე – ვედიდკარი (მარტვ. რ.), კირცხი, ქვ. ჩხოროწყუ, ჩხორ. რ-ნი.

მე-19 ს-ის 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში მოსახლეობდა 400-მდე კომლი. აქედან 130 გვარეულობიდან 85-მდე ქართლ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის სართანია – სათანია. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

სათანია ურუსი, ძმა — ხანარ და — ხიში; მატუა, და — ფატიშ მოხსენიებულნი არიან როგორც გლეხნი, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. აპრილში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1994, 76, 93, 97).

სართანია შოთა, ლია (წალენჯ. რ.) საქ. სსრ დამსახ. ზოოტექნიკოსი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი. (კომუნიზმის დროშით, 9. II. 88).

სართანიათა გვარი 1486 სულს ითვლის (ზუგდიდი — 47, თბილისი — 277, მარტვილი — 271), (გვარ-სახ. საქ.). გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 665-ე ადგილზეა (იქვე).

სარია სარი — ბოლოწათლილი, წვრილი ხე მიწაში ჩასარჭობად... (ქეგლ). ლესარე, სოფ. წალენჯ. რ.* სარიები დადიანების შინაყმები იყვნენ. აქვეა ვინმე პლატონ დადიანის ნადოხარ (ნასახლარი). ამჟამად ნანგრევებილაა. აქ აღმოჩნდა 20-ზე მეტი ნასამჭედლარი და 4 ტონამდე სპილენძი... (გაზ. „კომუნიზმის დროშით“, 12. XII-81. 4).

სარია საჭაბაი (ლესარეს მცხოვრები, ლევან დადიანმა თავისი მამის მანუჩარის სულის მოსახსენებლად შესწირა თაწმინდის ხარების ღვთისმშობელს (1642). (მასალები, 132).

ს. პარმენ ქოჩოს ძე დ. 1906, სპც. შრომის გმირი, პირველი გოლი (გალ. რ.).

სარიას საგვარეულო 359 სულს ითვლის (წალენჯიხა — 184, ზუგდიდი - 68, თბილისი — 40), (გვარ-სახ. საქ-ში, 172).

სარმატია სარმატები ტომი იყო.** სარმატია ჯონდოია მოხსენიებულია მ. კვირტიას სტატიაში — „ჩიჩილაკი“ (გაზ. „ნაპერწკალი“, 1969, I იანვ. 2).

სარსანია სარსალი — ენის ტრიალი, ენის ტარტარი... (ქეგლ). ქიონია სარსანია — ზუგდიდის რაიონის განთქმული მეჩაიე. სოც. შრომის გმირი.

სარშელია წარმომდგარი უნდა იყოს სარშელა სახელისაგან. სარსანიას საგვარეულო 60 სულს ითვლის (ზუგდიდი - 39, თბილისი — 10, ზესტაფონი — 2), (გვარ-სახ. საქ., 173).

სარუა სარით გაღობვა, შემოსარვა (ვეფხ. ტყ. ლექსიკონი). საგვარეულო 97 სულს ითვლის (ზუგდიდი — 47, თბილისი — 41, ფოთი — 4), (გვარ-სახ. საქ).


სარჩიმელია სარჩომი, სარჩო (ქეგლ). გვარი 163 სულს ითვლის

(თბილისი — 53, მარტვილი — 36, ზუგდიდი — 14), (გვარ-სახ. საქ.). სარჩმელია (იხ. სარჩიმელია); საგვარეულო 57 სულს ითვლის (ზუგდიდი — 30, თბილისი — 5, რუსთავი — 4), (გვარ-სახ. საქ.).

საქანია მიღებული უნდა იყოს საქანა მეტსახელისაგან. შდრ. საქო, საქუა. კვიტოული (ოჩამჩ. რ.), სარაქონი — კირცხი (ჩხორ. რ.).

მე-19 ს-ის 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130 გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის **საქანია** (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

საქანიას გვარი იხსენიება 1834-1835 წწ. აღრიცხვით დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში, 1837წ. კი იმავე რ-ნის სოფ. თხინაში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).



საჩხერის რაიონი

საქანია მაჯითის ასული ხიშამან, თევდა, კოი, ენჯი — მიჯოუჭის ასულნი, პეტრე და მისი ცოლი ფუნდუკ მოხსენიებული არიან, როგორც გლეხნი და წარმართული სარწმუნოებისანი, გაქრისტიანებულნი 1834 წ. აპრილში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6, 30, 32, 34, 35, 73). ხოლო მიჯოუჭი — ტაგუშან, საქანიას ქალი ჩიგვა, ასული მარჯან გაქრისტიანებულნი იმავე წლის ივნისში (იქვე, გვ. 7; 22, 23). საქანია მისირყვას ასული ხუჭუ ნახსენებია, როგორც მდაბიო წრიდან, წარმართი სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. აპრილში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6, 56).

ს ნორა გიორგის ასული გუდაუთის რ-ნის დურიფშის მეჩაიე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ს გალუშა სოციალისტური შრომის გმირი, წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი.

საქანიას საგვარეულო 39 სულს ადგენს (ზუგდიდი — 26, თბილისი — 6, ბათუმი — 2), (გვარ-სახ. საქ.).

საღარია ღარა — შუბლთეთრა ცხენი (ქეგლ); აჭანდარა (გუდ. რ.). წარმომდგარია საღარა შერქმეული სახელისაგან. შდრ. ქართულ-დაბოლოებანი გვარსახელი საღარაძე. კაკაია, შენაწირა ცაიშის მიმდგამსა კაცებს ემართა ბეგარა... (1619-1621).

საღირელიანი სვ. მოსახ;. დღ. ზემო სვანეთის რ-ნის სოფ. ცხმარში (XIII ს-ის II ნახ.). (სვ. ძეგლ. 142), შდრ. საღირაშვილი (სოფ. შილდაში, კახეთში, კათალიკოზის ყმანი 1801-1802 წლებამდე).

საყვარელია (მგრ-დ საცოროფო) საკ. სახელი საყვარელისაგან. საყვარელი: ადამიანი, წიგნი, ნაწარმოების გმირი. წარმომდგარია ადამიანის საკუთარ სახელ საყვარელისაგან, შდრ. იმერეთში გავრცელებული გვარი საყვარელიძე.

ეფვთიმე (გვარად საყვარელიძე) ადრე მოქვის ეპისკოპოსი — მოქველი. ეფვთიმე (გვარად საყვარელიძე) დას. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (1669-1673). იმერეთის სამეფოს თავკაცთა შორის იხსენიება 1669 წერილში, რომელიც ბაგრატ IV-მ გაუგზავნა რუსეთის მეფეს ალექსი მიხეილის ძეს.

საყვარელიას საგვარეულო 35 სულს ითვლის (აბაშა — 16, თბილისი — 10, ფოთი — 6), (გვარ-სახ.).

სახესკუა* ა-სახია (დ. გულია, ხელნაწ. ინსტ., საქმე № 1934) მგრ. — სახე — ადამიანის სახის წინა მხარე, პირი, სკუა — ძე — პირის ძე.

სახესკუა „სახლი“ ძვ. ქართული ტერმინია და ოჯახს ნიშნავს. აქედანაა სახესკუა=სახლის შვილი (როგორც მაგ.: დიასახლისი ოჯახის უფროსი დედა; მამა — „სახლისკაცი“ „სახლისშვილი“, „მსახური“.

სახოკია წარმომდგარი ჩანს სახოკეია შერქმეული სახელისაგან. დალაქობა, გვარადქცეული მოსაქმეობის ტერმინი: სახოკიე (ქ. სენაკი).

სახოკია მიხეილ თედორეს ძე, 1902, სოფ. ბაღმარანი, გულრიფშის რ-ნი, 1983, თბილისი, ქართველი ბოტანიკოსი, გეობოტანიკის მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში... აკადემიკოს, ვ. კომაროვის პრემიის ლაურეატი.

ს. თედო, დ. ზუგდიდის მაზრის სოფ. ხეთაში, მარტვილის სასულიერო სემინარიის, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიის, ჟენევის, სორბონისა და პარიზის უმაღლეს სასაწავლებელებში დაეუფლა მეცნიერების საფუძვლებს. (გეგეჭკ., მუზ. მასალები, 37).

თედო იყო ფედერალისტი რევოლუციონერი, სოჭის 1905-7 წწ. რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე. (ტულუმჯიანი, 100).

ს. ლუბა ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

სახოკიას საგვარეულო 976 სულს ითვლის (სენაკი – 445, წალენჯიხა – 149, თბილისი – 122), (გვარ-სახ. საქ.).

სახულუა შესაძლოა მიღებული იყოს (მ)სახურია შერქმეული სახელისაგან. სახურია მსა-ხურ-ი-საგან მიღებული ჩანს, რომელშიც თავკიდური მ დაკარგულია: ხურ – ხურო – ხის ხელობის კაცი; კირცხი (ჩხორ. რ.), სახურია, ნასახურუ, ნასახურაში ღალ-ღელე (მარტვ. რ.).

სახურიას საგვარეულო 360 სულს ითვლის (ჩხოროწყუ – 127, ზუგდიდი – 100, წალენჯიხა – 36), (გვარ-სახ. საქ-ში).

საჯაია საჯ-ი პურის საცხობი ჭურჭელი, ტაფა (ქეგლ). შეიძლება ეთნ. სადეები-დან იყოს. ამრიგად, საჯაია წარმომდგარი ჩანს საჯა საკუთარი სახელისაგან. ლესაჯაიე, საჯაიაში ნოხორი (ნასახლარი) – უშაფათი (სენაკ. რ.), ლესაჯაიე (წალენჯ. რ.), ნასაჯუ – თაია – ნაფიჩხოვო, სასაჯაო – ახუთი (ჩხორ. რ.). საჯაია, სინჯული. ტერმინი „ს“ წარმოდგა „სჯა“ ზმნისაგან. „სჯა“ არის („სამართლა“) და თავდაპირველად ნაბჭობს, გადაწყვეტილს ნიშნავდა.

საჯი ურთხელი, ურთხლი – საბ, საჯი; მგრ. ურთხელი; სვ. ურთხელ, შაჲრა (ბოტ.).

საჯია (ასეა დოკუმენტში) ესტატე, 900-იანი წლების რევ. მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური ზუგდ. რ-ნში.

ს. კალისტრატე გრიგოლის ძე (პარტ. ფსევდ. „ბაჯეი“, „კალენიჩენკო“, „ქეთევანიძე“, დ. 1895, სენაკის მაზრა (1938), რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე რუსეთსა და საქართველოში. ექიმი, მედიც. მეცნ. დოქტორი (1935), პროფესორი.

ს. ალექსი ნიკოლაძის ძე, (1897-1842), გენერალ-მაიორი (1940), სამამულო ომის მხედართმთავარ-ვეტერანი. (დოლიძე ლ., 204).

ს. ბიჭიკო უშანგის ძე. დ. 1921, სენაკის რაიონის სოფლ ლეძაძამეში, საქ. სსრ დამსახურებული მასწავლებელი, სამამულო ომის ვეტერანი.

ს. გრიგოლ (გრიშა) პლატონის ძე ობუჯი (წალენჯ. რ.) (1901-1986), რესპ. დამსახ. ჟურნალისტი.

ს. ალექსანდრე ალექსის ძე, დ. 1916, სოფ. ლედგებიე, ზუგდ. რ-ნი, 1944, იქვე, ქართველი პოეტი, დაუმთავრებელი დარჩა პოემა უტუ მიქავაზე.

საჯაიას საგვარეულო 3278 სულს ითვლის (ჩხოროწყუ – 720, ზუგდიდი – 705, თბილისი 448), (გვარ-სახ. საქ.). გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და

რაოდენობის მიხედვით 183-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

სებუა წარმომდგარია სებ საკუთარი სახელისაგან, რომელიც თავისთავად იოსებ საკუთარ სახელს გულისხმობს: იოსებუა — სებუ. სებუას საგვარეულო 207 სულს ითვლის (თბილისი — 59, წყალტუბო — 22, სამტრედია — 15), (გვარ-სახ. საქ-ში), (შდრ. ესებუა).

სებუქია შესაძლოა მომდინარეობდეს სებუქ შერქმეული სახელისაგან.

სელიმბა წარმომდგარია სელიმ საკუთარი სახელისაგან.

სელიმბას საგვარეულო 52 სულს ითვლის (ბათუმი — 39, ხელვაჩაური — 13), (გვარ-სახ. საქ-ში, 17 5).

სერგეგია სერ-გეგ-ია სერი (მგრ.), ღამე, გეგი — საკ. სახელი. ამრიგად, სერგეგია, სავეგეგიას უნდა ნიშნავდეს.

სერგია ნაწარმოები ჩანს საკუთარი სახელ სერგისაგან; სერგიეთი (მარტვ. რ.), ერგეტა (ზუგდ. რ.). სერგია: მისხუნუდუ, მასხულია, გვანიბია, მოსასახლე, მთიურისა, შურმიდგია, ხუხერია, გეგშია — ემართათ საცაშლო ბეგარა... სერგია ისრევეს მართებს ჯორიელის სასახლის ბეგარა.

სერგიას საგვარეულო 365 სულს ითვლის (თბილისი — 44, სენაკი — 37, ზუგდიდი — 20), (გვარ-სახ. საქ-ში).

სესკურია სე-სქურ-ი-ამ სე- წინაკიდური სართია, სოფ. სქურ-ი, (მგრ.) კურორტი სამკურნალო წყლით ჩხოროწყუს რაიონში, სკ-ა ფუტკარზე მიგვითითებს... სოფელი ცნობილი იყო ფუტკრის ნაწარმის — თაფლის მაღალი მოსავლიანობით და ხარისხით. სესკურია (ხობ. რ.), სე წინა ბგერა — სამყოფელი, სკური — რაზმი ან მცველი. რაზმის სამყოფელი შავი ზღვის სანაპიროდან 10-15 კილომეტრზე. დიოსკურია?

სესკურიას საგვარეულო 54 სულს შეადგენს (ფოთი — 17, თბილისი — 7, ქუთაისი — 7), (გვარ-სახ. საქ-ში).

სეტაია ნაწარმოები უნდა იყოს სეტა — სვეტა (შდრ. სვეტი) შერქმეული სახელისაგან. შდრ. ტოპ. სეტი სვანეთში (მესტიის ცენტრში). სეტიელი (ცაიშელის, ცაგერელის მსგავსი) სამღვდელო პირი იყო. სეტიელები ფალიანებიდან მომდინარეობენ და სეტის საქორეპისკოპოსოს განაგებდნენ. მიუხედავად არააზნაურული ჩამომავლობისა, მემამულენი იყვნენ. (გასვიანი გ., 190).

სეტელიანი სვ. მოსახლ. დღ. ზემო სვანეთის რ-ნის სოფ. ეცერში (XIII ს-ის II ნახ.), (სვ. ძეგლები, 136).

სექანია (იხ. საქანია), ეტიმოლოგია საძიებელია. გვარი 177 სულს

ითვლის (ზუგდიდი — 102, თბილისი — 50, ბორჯომი — 7), (გვარ-სახ. საქ.).

სვანია გვარსახელი ეთნ. სვანისაგან მომდინარეობს. აქედანაა მთელი რიგი მეგრულად გაფორმებული გვარებისა: **შონია, შვანუა, შონი...** რაც მეტყველებს სვანებისა და მეგრელების მეზობლობა-მეგობრობაზე უხსოვარი დროიდან.

სვანიშია გვარსახელი ეთნ. სვანეთისაგან* მოდის, გვარი მოხსენიებულია სოფ. აფიცხუში შავი ზღვის სანაპიროზე ტოპ. ქართულია), 1844 წ. 300-მდე მცხოვრები ქართველი. სოფ. ლეხინოში (ეფიქრობ, უნდა იყოს გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნი) მცხოვრები ქართველი (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

სვიმონია საკ. სახელი სვიმონისაგან წარმომდგარია. დღევანდელობის მიხედვით უფრო სიმონია ფორმაა გავრცელებული. შდრ. ქართულ-დაბოლოებიანი გვარები: სიმონიშვილი//სვიმონიშვილი.

სვიმონიას საგვარეულო 49 სულს ითვლის (ზუგდიდი — 24, თბილისი — 23, სენაკი — 1), (გვარ-სახ. საქ-ში).

სვირავა სვირა იხ. სვირავა. ჯიხვაჯი მოხსენიებულია. როგორც სოფ. ოკალიკეს მცხოვრები და გიორგი ლიპარტიანის მიერ შეწირული თაწმინდის ხარების ღვთისმშობელს (1642), მას., 168). 1. სვირალი (მგრ.) — წყნარი, სვისვალი ... 2. შეიძლება სვირი-დან იყოს: სვირი — სოფელია ახალციხისა და ზესტაფონის რაიონებში, სვირი — არყის გამოსახდელი როფის გასაყრელი სპილენძის მილი, სვირი — სტვირი (პროფ. გ. როგავა).

სვირავას საგვარეულო 175 სულს ითვლის (ზუგდიდი — 143, წალენჯიხა — 9, თბილისი — 8), (გვარ-სახ. საქ-ში).

სოფელ სვირის ისტორიიდან: აი რა მიამბო აკადემიკოსმა იოსებ კაპანაძემ: „სოფ. სვირი, სადაც მე დავიბადე, მდებარეობს მდინარე ყვირილას მარცხენა სანაპიროზე. ხანდაზმულთა დაკითხვიდან ამ სოფლის გამოჩენა იწყება 1847 წლიდან, სადაც ჭიათურის რეგიონიდან ხალხს დაუწყია თავისთავად მოდენა. ესენი ყოფილან აფხაზეთიდან, კერძოდ კოდორის ხეობიდან დევნილები. მათთვის მიუციათ თავისი გვარი კაპანაძეებს, დევნილებს გვარები შეუცვლიათ, რათა რუსეთის მეფის მოხელეებს არ ეპოვათ და სვირში დასახლებულან.

ამჯერად, კაპანაძეების ერთი ჯგუფი იწოდებიან კვანწიებად (კვანჭიების გვარისა), კორიებად, გურჯიებად, კორჭებად, კოზიებად. (ამჟამად

კოზიაშვილები), ტბისებად (ამტყელის ტბის მოსახლენი, როკბებიად (ალბათ როკიშბა) და ა.შ.“

სვიტერია წარმომდგარი ჩანს სვიტერა მეტსახელისაგან. შდრ. სვიტა/ /სვინტრა, ქართ. სვინტრაძე.

სიგუა ნაწარმოები ჩანს სიგუ საკუთარი სახელისაგან. ნასიაგუ – სალხინო (მარტვ. რ.), აქედანაა **სიგუნავა.**

სიგუა შალვა იტალიაში მებრძოლ ქართველ პარტიზანთა ერთ-ერთი ჯგუფის მეთაური. (ქოჩიაშვილი მ., II, 196).

ს. ოთარი აკაკის ძე, დ. 1923 ქ. თბილისში. მედიც. მეცნ. დოქტორი, (1969), უფროსი მეცნიერ-მუშაკი (1960), პროფესორი (1970), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე, დიდი სამამულო ომის მონაწილე, საქ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნ. და ტექნიკის დარგში (1982).

სიგუას საგვარეულო 1566 სულს შეადგენს (თბილისი – 441, მარტვილი – 353, სენაკი – 177), (გვარ-სახ, საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარის ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1566 სული) მხედვით 625-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

სიგუნავა წარმომდგარია სიგუნა შერქმეული სახელისაგან, რომელშიც უნა კნინობითი სუფიქსია. საგვარეულო 34 სულს ითვლის (ბაღდადი – 19, თბილისი – 9, ადიგენი – 1), (გვარ-სახ. საქ.).

სიდავა გვარადქცეული სოფლის სახელი. სიდა – სოფ. (გალ. რ.).

სივსივა წარმომდგარია სივსივა შერქმეული სახელისაგან. შდრ. იმერეთში გავრცელებული გვარსახელი სივსივაძე. გვარი 48 სულს შეადგენს (ცაგერი – 28, ქუთაისი – 2, გორი – 2), (გვარ-სახ. საქ-ში).

სილაგავა 1. სი-ლაგავა (კოლხ.) სი-შენ, ლაგვა – უდარდელი; 2, სილაქა (მოსაქმეობა) – ნაცარის კირში გარეული და დანამული ტყავის გამოსაქნელად (ჩუბ.). ნაწარმოები უნდა იყოს სილაგა//სილაქა (შდრ. სილაქი) შერქმეული სახელისაგან. შდრ. ქართ. გვარი სილაგაძე, მეგრ. **სილოგავა.**

სილაგაძე ისიდორე ანდრიას ძე, დ. 1898, სოფ. ნალეფსაო, ახლანდ. მარტვილის რ-ნი, 1970, თბილისი, მხედართმთავარი, გენერალ-მაიორი (1944).

სილაგავას საგვარეულო 542 სულს ითვლის (მარტვილი – 232, ხობი – 82, თბილისი 76), (გვარ-სახ. საქ-ში).

სილოგავა (იხ. სილაგავა); საგვარეულო 110 სულს ითვლის (ფოთი – 65, ზუგდიდი – 1, თბილისი – 14), (გვარ-სახ. საქ.).

სიმონია* მომდინარეობს სიმონ საკუთარი სახელისაგან. შდრ. ქართ. გვარი სიმონიშვილი. სიმონეთი სოფ. ხელვაჩაურის რაიონში.

მე-19 ს-ის 30 წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის **სიმონია** (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

სოფ. სიმონეთი შედიოდა ქუთაისი ოლქის სენაკის მაზრაში და 1897 წ. პირველი აღწერით 3936 სულს ითვლიდა. ვფიქრობთ, გვარის მრავალრიცხოვნებით სოფელსაც სიმონეთი დაერქვა.

სიმონიას საგვარეულო ამჟამად 734 სულს ითვლის (აბაშა – 166, სენაკი – 139, თბილისი – 119), (გვარ-სახ. საქ-ში).

სიორდია გვარი მიღებულია სიორდი (შენ იყავ) საკ. სახელისაგან. საგვარეულო 555 სულს ითვლის (ბაღდადი – 97, მარტყოფი – 96, სენაკი – 84), (გვარ-სახ. საქ.).

სირგინავა 1. სირღა – (მგრ.) უშნოდ მაღალი. მომდნარეობს სირგინა მეტსახელისაგან. სირგინავას საგვარეულო 113 სულს ითვლის (ზუგდიდი – 43, სენაკი – 21, თბილისი – 15), (გვარ-სახ. საქ-ში).

სირია 1. სირი – ქართულად ჩიტი; 2. თეთრ სირიელებად იწოდებოდნენ კაბადოკიის (ჭანეთის) ხეთელნი, რომელნიც იყვნენ ჰალისის მდინარის მოსაზღვრედ („ივერია“, 1902, № არ აა). უფრო სარწმუნოა ამ გვარის სირ „ჩიტი“-საგან მომდინარეობა. შდრ. ქართ. გვარი სირაძე.

სისკალა ეტიმოლოგია საძებნია, ყოფ. წინწყარო, სოფელია ბოლნისის რ-ნში.

სისკირია (იხ. სისკალა). სისკირია მოხსენიებულია XVI ს-ის 70-იანი წლების საბუთების მინაწერში:„აღწერა წ˘ელსე გულანი სახლსა სისკირია პაატისასა, ბრძანებითა ღ˘ისთა გულსმოდგინეობითა და კელის წყობითა ლიპარტიანის ქალის მანიასითაი და ამას წელსა მიიცვალა“ (საქ. ისტორ. გეოგრ., 116).

სისორდია სი-ს(ო)-რდ-ია, მგრ. სი – შენ, ორდ – სამშობლო; სასორდიო, სორდიაში ნაოდიხუ (ნამიწარი), ქვ. ჩხოროწყუ (ჩხორ. რ.).

სისორდიას საგვარეულო 22 სულს ითვლის (თბილისი – 12, ზესტაფონი – 41, სენაკი – 4), (გვარ-სახ. საქ.).

სიჭინავა აღგ. გამოთქმით, სიჭინა, სი-ჭ ინ-ა (მგრ.) სი – შენ, ჭინ – ეთნ. ჭანი=შენ ჭანი(ს)შვილი. ლესიჭინე, მეორე ლესიჭინე (ჩხორ. რ.). ჭანიების რამდენიმე სოფელია (წალენჯ. რ.).

სიჭინავა სტუმრია და გვაგვასას, ნაგვაზოუს მცხოვრებთ ემართათ ბიჭვინთ-ის ტაძრის ბეგარა... (1621).

გადმოცემით მღვდელს გზაში უპოვია ბავშვი და სქვიჭა – მკვირცხლი უწოდებია. გასაზრდელად იქვე მიუცია. გაზრდილა, დაოჯახებულა, გამრავლებულა. გვარს სკვიჭინიები – სკვიჭალეფი შერქმევიათ. დროთა განმავლობაში „კვ“ ბგერების ამოვარდნის შედეგად სიჭინად ქცეულა. (ჩხორ. რაიონ. გაზ. „ნაპერწკალი, 11. XI. 78).

„...სოფელი ლესიჭინე ვიცი, სადაც სადღიანო გლეხებია 70 კომლი, სიჭინავების გვარისა, თავისს ყოველგვარ სავაჭრო და სამრეწველო საქმეებს ერთად აკეთებენ; ეს სოფელი ცნობილია თავისი ზნედაც. ულობით და სიმდიდრით. (ბოროზდინი კ., ბატონყმობა სამეგრელოში, 39).

1904 წ. აღწერით ლესიჭინეში 267 ოჯახი მკვიდრობდა (თოფჩ. რ., 58).

ს. ანდრო გერასიმეს ძე, დ. 1907, ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ლესიჭინეში, პოეტი-მთარგმნელი, საქ. მწერალთა კავშირის წევრი. დაიღუპა ქერჩში (1942 წ.).

ს. გრიგოლ ნიკოლოზის ძე, (აფხაზეთიდან) გერონტოლოგი, მედიც. მეცნიერებათა დოქტორი.

ს. კოჩიორეს, ბიას მცხოვრებს, საეკლესიო გლეხს, ევალებოდა 3 ლოღარიკი სანთელი. (მასალები, 42, XVII).

ს. ანტონ ილარიონის ძე, (1899, დაბა ახალ სენაკი, ახლანდელი სენაკის რ-ნი, 1963, თბილისი), ქართველი ექიმი პედიატრი. მედიც. მეცნ. დოქტორი (1949), პროფესორი (1970), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1961).

ს. ომარ სტალინგრადისათვის მებრძოლი, 1943 წ. აზოვის ზღვის გამაგრების დროს გმირის სიკვდილით დაეცა. (ქოჩიაშ., მ. 125).

ს. გივი რაჯდენის ძე (1933, სოფ. ყულევი, ხობის რ-ნი), სოციალისტ ური შრომის გმირი (1971).

სიჭინავას საგვარეულო 6104 სულს ითვლის (ჩხოროწყუ – 2036, ზუგდიდი – 1261, თბილისი - 767), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 53-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

სიხარულია წარმომდგარია საკუთარი სახელი სიხარულისაგან. სიხარულია ძველად ადამიანის საკუთარი სახელი იყო, რომლისგანაც

ნაწარმოებია გვარები: **სიხარულიძე** (გურიაში), სიხარულაშვილი (კახეთში), სოფ. საბუეს მკვიდრი გრიგოლ ჩოდრიშვილის ყმები იყვნენ **სიხარულაშვილები.**

სიხარულია (სახელი არაა) ყმა იყო მებატონე ფალავასი. სიხარულიას საგვარეულო 188 სულს ითვლის: ზუგდიდი – 94, თბილისი – 7, მარტვილი – 7 (გვარ-სახ. საქ.).

სკვითინია სკვითინები ძველად დას. საქართველოს ტომები იყვნენ.

საგვარეულო 32 სულს ითვლის (ბათუმი – 14, თბილისი – 1, ხელვაჩაური – 17), (გვარ-სახ. საქ-ში).

სობელია სობილი – ნასობი ნაკრავი: „ქაჯეთს მივლენ, გასინჯოთ ომი ლახვართა სობილნი“ („ვეფხ. ტყ. ლექსიკ.“ ტ. 1373, სტრ. IV.)

სოგულია ვფიქრობთ, ამოსავალი ფორმა სონგულია უნდა იყოს. შდრ. ქართ. გვარსახელი სონღულაშვილი. სოგულია ჯერ მოხსენიებულია როგორც მდაბიო, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. ივნისში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშ., მარტი, 1997, გვ. 7; 36).

სოლომონია ნაწარმოებია 1. საკუთარ სახელ სოლომონისაგან. ძველი ებრაელების მეფეს სოლომონი ერქვა. სოლომონი ნიშნავს წყნარს, მშვიდს, მშვიდობის მოყვარეს. სოლომონია მახუტია, სოლომორთა, მაკეთია მართებთ ჭალაის სასახლის ბეგარა... სოლომონია (ებრ. შელომო, არაბ. სულაიმან) სახელგანთქმული ბიბლიური მეფე, დავითის ძე, ცნობილი იერუსალიმის ტაძრის შენებით, სიბრძნით, სიმდიდრითა და მრავალცოლიანობით. (ა. გელოვანი, მითოლოგ., (1115-975)).

სოლომონია ეთერი ბეგლარის ასული, დ. 1931, სოფ. ნოსირი, სენაკის რ-ნი, რესპუბლიკის მოწინავე მჭსოველი, მრავალდაზგოსანი, სოციალისტური შრომის გმირი (1960).

საგვარეულო 269 სულს ითვლის (თბილისი – 66, სენაკი – 65, აბაშა – 45), (გვარ-სახ. საქ-ში).

სომლია ეტიმოლოგია დასადგენია. მე-19 ს. 30-იან წლებში დღ გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში, შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში სახლობდა 400-მდე კომლი, აქედან 130-მდე გვარეულობიდან 35-მდე იყო აფსუური, ხოლო 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის **სომლია** (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

სონღულია საკ. სახელი სონღული. სონღული მტაცებელი ფრინველი შევარდნისებრთა ოჯახიდან (მაისურაძე). წარმომდგარია სონღულია შერქმეული სახელისაგან. შდრ. ქართ. გვარი სონღულაშვილი. სონღულია

სოლანლული — სოფ. გარდაბნის რ-ნში. თათრულად ნიშნავს ხახვის ველს. (წინათ ეწოდებოდა ქართ. სახელი ყურყუტო. გოგატ. 37).

საგვარეულო 39 სულს ითვლის (ზუგდიდი — 29, სამტრედია — 3, სენაკი — 3), (გვარსახ. საქ-ში, 179).

სონძია ეტიმოლოგია საძიებელია.

სორდია სო-რდი-ა, (მგრ.) სო-სად, რდი-გაზარდე — 1. სად გაზარდე. 2. სად გაიზარდე. შერქმეული სახელისაგან მომდინარეობს.

სორდია პონზინ აქვსენტის ძე, დ. 1911 წ. ზუგდიდის რ-ნის სოფ. ცაიშში. საბჭოთა კავშირის გმირი 1943 წ. გმირულად დაეცა 1944 წ. (მათ ასახელეს, 345-348).

ს. ლუარა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

საგვარეულო 1388 სულს ითვლის (ზუგდიდი — 521, ჩხოროწყუ — 307, თბილისი — 181), (გვარ-სახ. საქ-ში). საგვარეულო შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავცელებული ათასი გვარის სიაში.

სოსელია წარმომდგარია სოსელ/ია საკუთარი სახელისაგან, რომელშიც -ელა კნინობითობის სუფიქსია. შდრ. სოსო, სოსია, სოსოია. ლესოსელე მუხური, კირცხი (ჩხორ. რ.), სოსელიაში ნადოხორ (ნასასახლარი) — აბედათი, სოსელიაში ნოხორუ (ნასახლარი) — სალხინო (მარტვ. რ.).

სოსელია გიორგი ქუთიას ძე (1897, სოფ. კირცხი, ყოფ. ზუგდიდი სმაზრა, ახლანდ. ჩხოროწყუს რ-ნი, 1961, თბილისი), ქართველი მეცნიერი, იურისტი, იურიდ. მეცნ. დოქტორი (1935), პროფესორი (1936), საქ. სსრ მეცნ. დამსახ მოღვაწე (1961).

ს. ვანო, პოლკოვნიკი, 406-ე ქართული დივიზიის მეთაურის მოადგილე (გაზ. „სახ. განათ." 1990, 24 იანვ. გვ. 5).

ს. ოლღა ნიკოლოზის ასული, დ. 1905, სოფ. ობუჯი, ახლანდ. წალენჯიხის რ-ნი. ქართველი ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1969), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1980).

ს. სერგი დიანოზის ძე, დ. 1923, უმცროსი ლეიტენანტი, თსუ-ის უნივერსიტეტის დოც. დიდი სამამულო ომის ვეტერანი (ზაქარიაძე ე. 37).

ს. გრიგოლ იოსების ძე (წალენჯ. რ.) 1971 საქ. სსრ დამსახ. ვეტექიმი.

სოტკილავა ეტიმოლოგია საძებნია. გამორციხული არაა სოტკილა

შერქმეული სახელი ყოფილიყო. ადრინდელი გვარია, წარმოშობით სვანეთიდან.


სოტკილავა ზურაბ ლავრენტის ძე, დ. 1937, სოხუმი, ქართველი მომღერალი, ლირ-დრამ. ტენორი, სსრკ სახალხო არტისტი (1979).

საგვარეულო 122 სულს ითვლის (ზუგდიდი — 75, თბილისი — 35, ჩხოროწყუ — 6), (გვარ-სახ, საქ-ში).

სოფია წარმომდგარია სოფია//სოფიო საკუთარი სახელისაგან.

სოფია სიასუს ძე, მეგრელი აზნაური, ქალის გატაცების მიზნით ქვრივის სახლთან ცხენიდან ჩამოხტა... თითონ ქვრივი ქალის ტყვე გახდა. (კასტელი, 138).

საგვარეულო 44 სულს ითვლის (ზუგდიდი — 12, სენაკი — 11, თბილისი — 11), (გვარ-სახ. საქ-ში).


სოხუმის რაიონი

სტეფანია სტეფანე (ბერძ.) „გვირგვინი“, წარმომდგარია საკ. სახელ სტეფანისაგან. სასტეფანიო-კირცხი (ჩხორ. რ.). სტეფანაშვილები მოსახლეობენ სულოს რ-ნის სოფ. ღორჯომში (აჭარა).

სტეფანიანი მცხ: დღ. ზემო სვან. რ-ნში. (მე-13 ს-ის II ნახ.) სვ. ძეგლ. 125. ეტიმოლოგია დასადგენია, მთიდან ბარში მიგრაციაზე მიგვანიშნებს, თუ, ერთიც და მეორეც.

საგვარეულო 241 სულს ითვლის (ჩხოროწყუ — 60, ზუგდიდი — 36, თბილისი — 25), (გვარ-სახ, საქ-ში).

სტეფანისკირი სტეფან-ი-სკირი, სტეფანე — საკ. სახელი, სკირი-ძე. შდრ. ქართულსუფიქსიანი გვარები: სტეფნაძე//ტეფნაძე, სტეფანიშვილი.

სტვილია სტვირ-ი ქართული ხალხური ჩასაბერი ინსტრუმენტი (ქეგლ). მომდინარეობს სტვილ/ია მეტსახელისაგან.

სტვილიას საგვარეულო 67 სულს ითვლის (თბილისი – 49, მარტვილი – 15, გორი – 2), (გვარ-სახ. საქ-ში).

სტურუა სტურუები გადმოცემით ურუები ყოფილან ნაბაკევიდან (გალ. რ.). იქიდან გადმოსულან და დასახლებულან სამტრედიის რ-ნში და თავიანთი სოფლის – ნაბაკევის სახელი აქაც დაურქმევიათ. გვარი ურუა სტურუად გადაუკეთებიათ, ანდა შეიძლება მომდინარეობდეს სტურუ შერქმეული სახელისაგან.

სტურუა (ჯანელიძე) მელანია ბართლომეს ასული (1884-1927), დ. ქუთაისის მაზრის სოფ. მარანში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოღვ., 513).

ს. (პაპავა) ოლღა გიორგის ასული (დაბ. 1986), ქუთაისის მაზრის სოფ. კულაშში, რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოღვ., 514).

ს. ივანე (ვანო) თევდორეს ძე (1870-1931), დ. ქუთაისის მაზრის სოფ. კულაშში, რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში.

ს. რაჟდენ არსენის ძე (1883-1905), დ. ქუთაისი მაზრის სოფ. კულაშში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. რევ. მოღვ. 515.

ს. გიორგი თევდორეს ძე (1884-1956), დ. ქუთაისის მაზრის სოფ. კულაშში რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევმოძრ., 511).

ს. ვასილ (ბასია) ნიკოლოზის ძე (1863-1905), დ. ქუთაისის მაზრის სოფ. კულაშში რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოღვ., 512).

ს. ნიკოლოზ ივანეს ძე, დ. 1913, ახლანდ. დაბა კულაში, სამტრედიის რ-ნი, 1984, თბილისი, ქართველი ისტორიკოსი, ისტ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1967), საქ. სსრ. მეცნ. დაშსაბ. მოღვაწე (1982).

ს. რობერტ ივანეს ძე, დ. 1916, სოფ. ნაბაკევი, დაბა კულაში, ახლანდ. სამტრედიის რ-ნი, 1982, თბილისი, ფერმწერ-მონუმენტალისტი, საქ. სსრ სახ. მხატვარი.

ს. მელორ მამანტის ძე, დ. ახლანდ. აბასთუმანი, 25 წელი საკუთარი კორესპონდენტი გერმ. ფედერაციულ რესპუბლიკაში, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთ. შტატებში, გაზეთების პოლიტიკური მიმომხილველი. „მე დავიბადე 1960 წ. ზუგდიდის რ-ნის სოფელ ახალ აბასთუმანში,

რომელიც იმ დროს სოფ. რუხში შედიოდა. მამაჩემი, მამი ფიფია, დედა – ნაზი გერლიანი...“ (გაზ. „საბჭ. აფხაზ.“ 3.IX.90).

ს. რობერტ რობერტის ძე, დ. 1938, თბილისი, ქართველი რეჟისორი, სსრკ სახ. არტისტი (1982).

სტურუას საგვარეულო 1809 სულისგან შედგება (სამტრედია – 872, თბილისი – 444, ქუთაისი – 91), (გვარ-სახ. საქ-ში). გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

სტურუა მიშა (1906-1973) განისვენებს საფრანგეთში, პარიზთან ახლოს დ. ლევილის ქართულ პანთეონში. (გაზ. „ლიტ. საქ.“, 1990, 14 აპრილი).

სუბუქია სუბუქი, სპარს. – მჩატე, (ძვ. საქ. გვ. 151). მომდინარეობს მსუბუქ(ა) შერქმეული სახელისაგან. სუბუქია თემნა – ემართა ნაჟანეულის ბეგარა... (XVI ს-ის II ნახ.).

სუბკი გვარია, ხოლო ტოპონიმი (სუბეიში) – აღნიშნულია ა. ლამბერტის რუქაზე თანამედროვე აჩიგვარასთან (გალის რ.).

სულავა შდრ. სულა (ესპანური) ესპარცერი (ბალახი პარკოსანთა ოჯახისა) (ბოტ). წარმომდგარია სულა საკუთარი სახელისაგან. შდრ. ქართ. გვარები: სულაძე, სულიაშვილი, სულაბერიძე, ქართული ზღაპრის გმირი სულკალმახი.

სულავა ნიკოლოზ თევდორეს ძე მოხსენიებულია ქ. თბილისის მამულების საჯარო ვაჭრობის განცხადებაში (ივერია, 1902, № 245), ოსულე – დაბა მარტვილი (მარტვ. რ.), ნასულუ-თაია (ჩხორ. რ.), სულორი მდ. და სოფ. ვანის რ-ნში.

ს. კირილე ბესარიონის ძე, დ. 1890, სენაკის მაზრის სოფელ მარტვილში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოღვ., 516).

სულავას გვარი 809 სულს ითვლის (თბილისი – 259, მარტვილი – 254, სამტრედია – 85), (გვარ-სახ. საქ-ში).

სულანძავა წარმომდგარია სულანძა..სულანჯა საკუთარი სახელისაგან. შდრ. გვარსახელი სულანჯია. მე-19 ს- 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში – შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში მოსახლეობდა 400-მდე კომლი, აქედან 130-მდე გვარეულობიდან 35 იყო აფსუური... 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის სულანძია (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

სულანძავა საგესა, ცოლი — ხანჯე, ძე —ჯენჯიქ, დაი — მარჯან მოხსენიებულია, როგორც მდაბიონი, წარმართი სარწმუნოებისა და გაქრისტიანებულნი 1834 წ. აპრილში დღ. გუდაუთის რ-ნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

გვარი ასევე მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინას მოსახლეობის 1837 წ. აღრიცხვის სიაში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

სურგულია (იხ. სურმავა), წამომდგარია სურგულა/ია შერქმეული სახელისაგან. შდრ. ქართულსუფიქსიანი გვარი სურგულაძე.

სურგულიას საგვარეულო 28 სულს ითვლის (ზუგდიდი — 9, ოზურგეთი — 8, ფოთი — 49), (გვარ-სახ. საქ.).

სურმავა წარმომდგარია საკ. სახელ სურმასაგან. სურმა — სურამა. სურო მარადმწვანე ხის ძირიდან ამოსული და ხვეულად, ზოგჯერ კენწერომდე ასული ხის მახრჩობელა მცენარე, ისსამს შავ კაკლებს ზამთარში, რაც ძალიან უყვარს შაშვებს. მისი შტო და ნაყოფი შედის ახალწლის მახარობლის საჩუქრების კომპონენტებში. შდრ. სურმანიძე, სურმაა ნაგვაზოუს მცხოვრები, ემართა ბიჭვინთის ტაძრის ბეგარა... (1621). ამრიგად, სორმა სურა.

გვარი მოხსენიებულია სოფ. აფიცხუში (შავი ზღვის ტოპ. ქართულია) 1844 წ. მცხოვრები 300-მდე ქართველთაგანი. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

სურმავას საგავრეულო 2039 სულს ითვლის (მარტვილი — 802, თბილისი — 469, ზუგდიდი — 165), (გვარ-სახ. საქ-ში) და შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

სურმელია წარმომდგარია სურმელა შერქმეული სახელისაგან. -ელ სადაურობაზე მიგვითითებს. სურმელა — სურამელა, მდ. ხაშურის რ-ნში, სურმუში სოფ. ცაგერის რ-ნში.

სქვამაია სქვამი (მგრ.) — ლამაზი. ხარის სახელია. წარმომდგარია სქვამაია შერქმეული სახელისაგან.

სხულუხია სხული (მგრ.) — მსხალი. ამრიგად, სხულუხია მსხულუ შერქმეული სახელისაგან უნდა მომდინარეობდეს, რომელშიც (სხულუხია) ხ კოლხური სუფიქსი უნდა იყოს. შდრ. გოგოხია, ბობოხია. სხულონი (სამსხლო)-ეკი (მარტვ. რ.). მსხლები სოფლებია ჯავასა და ახალგორის რ-ნში, სხულაწყალი - ქდ. ბალდადის რ-ნში.

ს. გრიგოლ პეტრეს ძე, დ. 1909, სოფ. რუხი, ზუგდიდის რ-ნი, საბჭოთა კავშირის გმირი, 1945, (სიკვდილის შემდეგ), უმცრ. სერჟანტი. დაილუპა 1942წ.

სხულუხიას საგვარეულო 145 სულს ითვლის (მარტვილი – 705, ზუგდიდი – 289, თბილისი – 174) (გვარ-სახ. საქ.).

ს. ვინარი გრიგოლის ასული, დ. 1942, სოფ. რუხი, ზუგდიდის რ-ნი, სწავლული აგრონომი (1969), მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი (1966).

სხულუხიას საგვარეულ 145 სულს ითვლის (მარტვილი – 705, ზუგდიდი – 289, თბილისი – 174), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1450 სული) მიხედვით 690-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ტაბაღუა (თბ. 27.07.67.4);* ტაბა–ღუა – ტბის ჭია. კოლხურად შერქმეული სახელი ჩანს. შდრ. ჭიაღუა; სატაბაღუო-ხორში (სენაკ. რ.), ქვალონი (ხობის რ.), ოტობაია, საბერიო (გალ. რ.).

1897 წ. პირველი აღწერის სიაში იხსენიება სოფელი ტაბანიერი, რომელიც შედიოდა ქუთაისის ოლქის იმერეთის მაზრაში, 2915 სული იმერელი მოსახლით. ვფიქრობთ, ტაბა-ნიერი, (ნიერი მგრ. – ნაირი) ტაბაღუების მოგვარეობაზე მიგვანიშნებს. (ვარიანტის სიზუსტე საკვლევია).**

ტაბაღუა ილია მაქსიმეს ძე, დ. 1919, სოფ. კახათი, ზუგდიდის რ-ნი, ქართველი ისტორიკოსი, ისტ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1980), საქ. სსრ დამსახ. მოღვაწე (1989), დიდი სამამულო ომის მონაწილე.

ამჟამად ტაბაღუას საგვარეულო 1459 სულს ითვლის (ზუგდიდი – 573, წალენჯიხა – 254, თბილისი – 189), (გვარ-სახ. საქ.) გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 681-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ტაბახია ნაწარმოებია აქადურ ტერმინ ტაბახიდან და სამსხვერპლო პირუტყვის დამკვლელს ნიშნავს. საგვარეულო 36 სულს ითვლის (ბათუმი – 9, ქედა – 1, ზელვაჩაური – 26), (ქარ-სახ. საქ.).

ტაბილავა მცენარე ჩადკოკო, გვიმრა (მგრ.), (ქეგლ); წარმომდგარი უნდა იყოს ტაბილა მეტსახელისაგან, რომელშიც -ილა კნინობითი სუფიქსია. შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარსახელი ტაბიძე, ტაბლიაშვილი (ტაბილიაშვილი).

ტანია ტანი (სპარს.) კაცის ღერო, ანაგები, ყოველი პირი (ძვ. საქ. 152).

თანია მოხსენებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ფოქვეშის მცხოვრებად (მე-19 ს. I ნახ.), (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვება, მარტი, 1997).

ტვანბაია ტვანგა – (მგრ) უტვინო. მე-19 ს-ის 30-იან წლებში გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნის შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში მოსახლეობდა 400-მდე კომლი, აქედან 130 გვარეულობიდან 35 იყო აფსუური, ხოლო 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის ტვანბაია. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997).

ტვანბაია სოფუჯის ცოლი — ენჯი მოხსენებულია, როგორც მდაბიო, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. ივნისში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ.„საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8, 30).

სვანური წარმოშობის უნდა იყოს. ტვიბერი — ქედი, უღელტეხილი და მდ. ზემო სვანეთში. ტვებრი სვანურად ღელეს, მდინარეს ან წყალს ნიშნავს (გოგატ.).

ტვებრია ღნიკოა და პეტრუცა მოხსენიებულნი არიან, როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში, დღ. ოჩამჩირის რ-ნის. სოფ. ტამიშში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7, 26).

ტიბუა ტიბჯრენები — პონტოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომი ჩვ. წ. აღრიცხვის პირველ საუკ. (ხინთიბიძე, 2).

ტიბუ — (მგრ.) თბილი. ტიბუას დასახლებაა ზუგდიდის რ-ნის სოფ. ჭაქვინჯის ტერიტორიაზე (1830 წ. მონაცემებით), ტიბუ სოფ. ქვემო სვანეთის რ-ნის სოფ. ჩოლურის თემში. (ჩარკვ., ა. 239); ტაბაში მდ. აჭარაში, შუაზე ყოფს სოფ. სარფს.

ტიბუა შოთა პლატონის ძე (1918), სოფ. ჭაქვინჯი, ახლანდ. ზუგდიდის რ-ნი, 1945 გვარდიის სერჟანტი, საბჭ. კავშირის გმირი, (1945), სიკვდილის შემდეგ.

1831 წ. აღწერით ტიბუას გვარი 250 სულს ითვლიდა. ამჟამად საგვარეულო 340 სულს ადგენს (ზუგდიდი — 282, თბილისი — 16, სენაკი — 12), (გვარ-სახ. საქ.).

ტკვაცირია ტკვარცალი — საზარო ხმა, ყვირილი, ტყვალი, მგრ.-ელვა. (ძვ. საქ., 153, ვეფხისტყაოსნის ლექსიკ.); ტყვაცირიას საგვარეულო 26 სულს ითვლის (თბილისი — 2, სამტრედია — 24), (გვარ-სახ. საქ.).

ტოკარია ტოკარი რუსული წარმოშობისაა და ნიშნავს ზეინკალს. ტოკარია ორტობილარა გურიაში ერთგულად ემსახურებოდა მისიონერებს (კასტელი, 115).

ტონია უნდა მომდინარეობდეს საკუთარ სახელ ანტონიასაგან, რომელშიც თავკიდური მარცვალი დაკარგულია: ანტონია — ტონია (სამტრ. რ.).*

1834-1835 წწ. აღრიცხვით დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში ერთეული აფსუური გვარი თუ იყო, ხოლო ქართველებისა 156 სული, მათ შორის ტონია. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ტონიას საგვარეულო 210 სულს ითვლის (სამტრედია – 91. თბილისი – 46, ქუთაისი – 39, (გვარსახ. საქ.)

ტორონჯია (თბ. 4.04.68.4) ტორონჯი (მგრ.) მტრედი. გვარი წარმომდგარია ტორონჯია შერქმეული სახელისაგან. შდრ. ქართ. ტორონჯაძე. ოტორონჯია (ოჩამჩ. რ.), სამტრედია (სამტრ. რ.), ოტორონჯე – ძვ. სენაკი (სენაკ. რ.), ტორონჯია//ტოროჯია, გუაგუალა, ბართიმე – მართებთ თილითის სასახლის ბეგარა... (1621).

ტორუა ტორიოლა – პატარა მგალობელ ფრინველს ჰქვია (ჩუბ.); საპერიო (გალ. რ.), ბალმარანი (გულრ. რ.). მიღებული ჩანს ტორუა შერქმეული სახელისაგან.

ტორუას საგვარეულო ამჟამად 649 სულს ითვლის (ზუგდიდი – 271, წალენჯიხა – 207, თბილისი – 85), (გვარ-სახ. საქ.).

ტორჩინავა წარმომდგარი უნდა იყოს ტორჩინა საკუთარი სახელისაგან, რომელშიც -ინა კნინობითი სუფიქსია. ტორჩინა – ტორჩინა, ნ ბგერა განვითარებული ჩანს. შდრ. ტოჩი, ტოჩია//ტოშია. ლეტორჩინე-ფოცხო, ნატორჩინუ (სენაკ. რ.), ტორჩინაში ნოხორი (ნასახლარი) – აბედათი (მარტ. რ.), აქედანაა: **ტორჩუა, ტოჩუა**. შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარსახელი ტოჩილაშვილი – კახეთში, ყვარელში ღვთისმშობლის კარის ყმა იყო. ზანელი ტორჩინავები მთავარ აფაქიძეთა ყმა-გლეხები იყვნენ (სოსელია, III, 162).

ტოტობინავა (იხ. ტრტობინავა) ტოტებიანი, რასაც ტოტები აქვს (ქეგლ). აქაც -ინა კნინობითი სუფიქსი უნდა იყოს. ტოტობინა. **ტოტი** (იხ. თათი) სადირისფეხი. (ძვ. საქ. 153, ვეფხისტყ. ლექსიკონი)

ტოტორია წარმომდგარი ჩანს ტოტორ(ა) შერქმეული სახელისაგან. შდრ. კოტორა, თავხოტორა, ხოსორა.

ტოტოჩავა ტოტოჩინა, დიდი, ვეებერთელა (ქეგლ). აქედან უნდა იყოს **ტოჩუა**. ტოტოჩაში ოჩა//უჩა კნინობითი სუფიქსი უნდა იყოს, ხოლო ტოჩუა კი ტოჩის კნინობითი ფორმა ჩანს.

ტოტოჩავას საგვარეულო 176 სულს ითვლის (თბილისი – 21, ბათუმი – 17, გარდაბანი – 1), (გვარ-სახ. საქ.).

ტოტოჩია (იხ. ტოტოჩავა); საგვარეულო 55 სულს ითვლის (აბაშა – 34, თბილისი – 11, ბათუმი – 4), (გვარ-სახ. საქ.).

ტოშხუა იგივეა, რაც თოშხუა გვარსახელი, რომელშიც ფშვინიერი მკვეთრი თ ბგერა ყრუ მკვეთრი ტ-თი შეცვლილა.

ტრტობინავა ამ გვარსახელში -ინა კნინობითობის სუფიქსი შეიძლება იყოს. ეტიმოლოგია საძიებელია. ტრტობინავა გვარიში ემართა ჯგალის ციხის ბგერა... (1621). შდრ. ტოტობინავა (იხ. ზემოთ.). ტრტობინავა — ტორტობინავა.

ტურავა წარმომდგარი ჩანს ტურა შერქმეული სახელისაგან. ოტურე-ხორში (სენაკ. რ.), ოტურე — ნაფიჩხოვო (ჩხორ. რ.), ბარღები (გალ. რ.). აქედანაა ტურაა. შდრ. ქართ. გვარები: ტურაშვილი, ტურიაშვილი. ტურავა გატანჯიას მართებს ბეგარა... (1621).

ტურავას საგვარეულო 535 სულს ითვლის (ზუგდიდი — 144, ფოთი — 23, თბილისი — 20), (გვარ-სახ. საქ.).

ტურნავა (იხ. ტურავა).*

ტუსკია*(„თმათ წვა“ (საბა) ტრუსვა; ტუსკიები გურიაში ნაწილი აზნაურები იყვნენ. ტუსკიას საგვარეულო 37 სულს ითვლის (ბათუმი — 21, თბილისი — 15, ლანჩხუთი — 1), (გვარ-სახ. საქ.).

ტუფურია ტურფა: სპარს, არაბ. — ლამაზი, თვალადი, საამო, კოხტა, ნაზი (ძვ. საქ., 153, ვეფხისტყაოს.); ტუფურიას საგვარეულო 261 სულს ითვლის (ზუგდიდი — 230, თბილისი — 12, ქუთაისი — 5), (გვარ-სახ. საქ.).

ტულუში ჭანური გვარსახელია, რომელშიც შ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნეულია. ტულუში=ტულუს შვილი. საგვარეულო 2677 სულს ითვლის (ოზურგეთი — 699, ლანჩხუთი — 613, თბილისი — 539), (გვარ-სახ. საქ.). გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 274-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).


ტყებუჩავა ტყები (მგრ.) — ტყავი, უჩა — შავი; სატყებუჩო — ლესიჭინე (ჩხორ. რ.), სატყებუჩავო, ტყებუჩაში ნოხორი (მგრ.) ნასახლარი — ნოქალაქევი, ლეტყებუჩე (სენაკ. რ.). ტყავჩუსკურჩასთანაა ოჩამჩირის რ-ნში. ამრიგად, ეს გვარსახელი ისტორიულად ტყებუჩა — შავტყავა, შავკანა (ზანგი?) მეტსახელს გულისხმობს. ზანელი ტყებუჩავები მთავარ აფაქიძეთთა ყმა-გლეხები იყვნენ (სოსელია, III, 162).

ტყებუჩავა ენვერ თომას ძე, ოჩამჩირის რ-ნი, სოფ. აგუბედია, საქ-ს დამსახურებული მასწავლებელი, განათლების წარჩინებული. საგვარეულო 2310 სულს ითვლის (სენაკი — 903, თბილისი — 395, ხობი — 276), (გვარ-სახ. საქ.).

ტყვარჩელია ტყვა (მგრ) — კიბე, რჩელი მგრ. — წაქცეული, დადებული. გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 274-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

ტყვარჩელი — აქ ძველად აყუდებული ყოფილა ძელის კიბე, რომლითაც ადიოდნენ აქ არსებულ მინერალურ წყლებთან. სოფ. ტყვარჩელი მოხსენიებულია 1897 წ. პირველი ალწერის სიაში, როგორც ქუთაისის ოლქის სოხუმის მაზრაში შემავალი, სადაც სახლობდა 1426 სული.

ტყვაცირია ტყვაცი (მგრ) — ელვა. აქედან ტყვაცირ შერქმეული სახელიდანაა წარმომდგარი. საგვარეულო 26 სულს ითვლის (თბილისი — 2, სამტრედია — 24), (გვარ-სახ. საქ.).



უ

უბერია უბერებელი. წარმომდგარი ჩანს უბერ შერქმეული სახელისაგან, საგვარეულო 59 სულს ითვლის (ზუგდიდი — 31, თბილისი — 11, სამტრედია — 4), (გვარ-სახ. საქ.)

უბილავა წარმომდგარი ჩანს უბირ შერქმეული სახელისაგან. უბირა — უბილა, რომელშიც რ-ს შენაცვლებია ლ. შდრ. გვარსახელი უბირია.

უბილავა — ეტიმოლოგია საძიებელია. კონდრატე, გალის რ-დან, მეკავშირე ასეულის მეთაური, რაინხსტაგზე საბჭოთა დროშის აფრიალების და გამარჯვების პირველი ცნობის მაუწყებელი მსოფლიოსათვის. სამამულო ომის ვეტერანი. (ნაჭყებია, მ., 71.)

თეოანე მალაქიას ძე 1907-1985 ჭალე (წალენჯ. რ.), საქ. სსრ დამსახ. ექიმი, ომისა და შრ. ვეტერანი თადარიგის პოდპოლკოვნიკი.

ელიზბარ მიხეილის ძე (1917, სოფ. ჭალა, ახლანდ. წალენჯიხის რ-ნი), ქართველი მწერალი, საქ. დამსახ. ჟურნალისტი. უბილავას საგვარეულო 1615 წელს ითვლის (წალენჯიხა — 591, ზუგდიდი — 534, თბილისი — 227), (გვარ-სახ. საქ.). უბილავას გვარი შესულია საქართველოში 2500-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 598-ე ადგილზეა (გვარ-სახ. საქ.).

უბირია (იხ. უბილავა). უბირ-ი 1. უვიცი, უმეცარი; 2. უშნო, ულამაზო, შეუხედავი (ქეგლ); უბირიების უბანი ლეწურწუმე (ჩხორ. რ.), ზუგდიდის, გალის რ-ში; უბიათი სოფ. ზნაურის რ-ნში (სამხრ. ოსეთი).

უბირია ევგენი (1895-1972), ჯუმითი (ჩხორ. რ.) დაამთავრა ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ჭოლის სკოლა. რევოლუციური მოძრაობის მონაწილე.

უბირიას საგვარეულო 661 სულს ითვლის (ჩხოროწყუ — 142, ზუგდიდი — 142, თბილისი — 106), (გვარ-სახ. საქ., 188).

გვარი მოხსენიებული საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (192 სული) მიხედვით 598-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

უგვარია 1. წარმოშობილი უნდა იყოს უგვარია შერქმეული სახელისაგან. 2. უგვარო, ვისაც დიდი, წარჩინებული გვარი არა აქვს, — მდაბიოთა წრიდან გამოსული (ქეგლ).

ოჩამჩირის რ-ნში მცხოვრებმა უგვაროთა ნაწილმა გვარი გადაიკეთა როსტობაიად. გვარი როსტობაია კი მომდინარეობს საკ. სახელი როსტომისაგან.

უგვარი (უგვარია) და ასურია მოხსენიებული არიან 1834 წ. ივნისში სოფ. ლიხნში (დღ. გუდაუთის რ-ნი) ქრისტიანად მონათლულთა სიაში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვება, მარტი, 1997, გვ. 8, 34); უგვარო, (ლაფაქე იქვე, გვ. 7, 42).

უგლავა იხ. უგულავა – უგლავა. ამ გვარსახელის ფუძეში მომდევნო უ-ს რედუქცია განუცდია. „მოსახლეობენ ლეჩხუმის რ-ნის სოფელ ორბელსა და ლასხანაში. მთხრობელი ამბობს: – „სამი ძმა გადასულან – გაქცეულან (ბატონის მიერ პირველი ღამის გამოყენების უფლება), (თოფჩიშკ.).

უგულავას გვარი მომდინარეობს უგულა მეტსახელისაგან. უგულო: 1. ვისაც გული არა აქვს, 2. გულქვა, გულცივი, უგრძნობელი. საგვარეულო 835 სულს ითვლის (ქუთაისი – 427, თბილისი – 17, მცხეთა – 9), (გვარ-სახ. საქ.).

მე-19 ს. 30-იან წლებში გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი, აქედან 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის უგულავა. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

უგულავა მისარბი, მოხსენიებულია, როგორც მდაბიო ხალხის წარმომადგენელი, წარმართული სარწმუნოებისა და 1834 წ. აპრილში გაქრისტიანებული დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6, 9, 38, 120, 121).

უგულავას გვარი 1592 სულს ითვლის (თბილისი – 240, ქუთაისი – 190, წყალტუბო – 139), (გვარ-სახ. საქ.).

უგულავა გავრცელებული გვარია, იგი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული გვარის სიაში და რაოდენობის (1592 სული) მიხედვით 611-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

უზარასკუა უზარ-ა, უზარალო, სქუა-ძე – უზარალოშვილი. მოსახლეობენ გალის რ-ნის სოფ. რეფო-შეშელეთში.

უზარა, უზრახი – უბრობა, ხმის გაუცემლობა, უზრდელობა... (ძვ. საქ. 154, ვეფხისტყ. ლექსიკონი).

უზბაია უზბაშ-ი (თურქ. იუზბაშ-ი): 1. ისტ. ასეულის მეთაური – ასისთავი; 2. მამასახლისი (ქეგლ).

უკლება უკლებ-ი, უკლებელი, რასაც არაფერი არ აკლია – სრული (ქეგლ); წარმომდგარი ჩანს უკლება შერქმეული სახელისაგან. ქ. სოხუმი, ზემო იმერეთი.*

უკლება კირილე ნიკიფორეს ძე დ. 1912, ტყიბულის რ-ნის სოფ. კურსებში. საბჭოთა კავშირის გმირი (1945). (მათ ასახელეს, 178-181).

უკულია (მგრ) უკული — შემდეგ. (ფიფია დ.) წარმომდგარია უკულ შერქმეული სახელისაგან.

მე-19 ს. I ნახ. დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში მოსახლეობდა 400-მდე კომლი, აქედან 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის უკულია.

უმაია ეტიმოლოგია საძიებელია. უმამულო, ვისაც მამული არ ჰქონდა. გვარი მოხსენიებულია მჯუჯის სახელით დარჩელის სასახლის ბეგართა სიაში.

უმაია ხარიტონ — ქვემო ხეთის (ზუგდ. რ.) მცხოვრებმა აზნაურმა ყენიამ 1856 წ. გაძარცვა და უმაიამ დაუმტკიცა კიდეც... (საქ. ბატონყმ. მას., თბ., 1925, გვ. 334).

ურდილია წარმომდგარია ურდილ შერქმეული სახელისაგან. შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარი უნდილაძე. საგვარეულო 43 სულს ითვლის.

ურდია (იხ. ურიდია); 1857 წ. სამეგრელოს გლეხთა აჯანყებულ ლაშქარს „ურდუმი" ერქვა. „ურდუმი" მგრ. უნდა-ჯერ (უმი — მოუხარშავი, ხარშვადაკლებული, დაუმთავრებელი.) (კაკაბაძე ს., ქართ. ხალხის ისტ. „1997, 133). ურდიას გვარი 48 სულს ითვლის (სამტრედია — 134, თბილისი — 9, ზუგდიდი — 1), (გვარ-სახ. საქ.).

ურიდია წარმომდგარი ჩანს ურიდ(ია) შერქმეული სახელისაგან. ურიდი, არმრიდებელი, დაურიდალი (საბა).

უროთავა ურო-თავა, უროსთავიანი, რეგვენი; უროთეფიში, ჭალე-ხაბუმე (ჩხრ. რ.). შდრ. ქართ. გვარი უროტაძე — უროტაძე. ჩანს, ურატა ძველად შერქმეული საკუთარი სახელი ყოფილა.

ურუდია (იხ. ურიდია). საგვარეულო 26 სულს ითვლის (ქობულეთი — 7, რუსთავი — 6, თბილისი — 4), (გვარ-სახ.).

უჩავა უჩა (კოლხ.) — შავი. აქედანაა გვარი **უჩაია**. შდრ. ქართ. გვარები: შავაძე, შავიძე, შავიშვილი. უჩავას საგვარეულო 359 სულს ითვლის (მარტვილი — 163, ზუგდიდი — 79, თბილისი — 34), (გვარ-სახ. საქ.).

უჩაია მიხილია, უჩია, გურმიხელა, მირჩქილია, უჩაია მართებთ ნაჭალეულის სასახლის ბეგარა... (1621), (იხ. უჩარდია).

უჩარდია უჩა-რდი-ა (მგრ.), უჩა მგრ. — შავი, რდი-ზარდე, ან იყავ — შავი ზარდე, ან შავი იყავ; უჩარდიებზეა სუფრული მეგრული

სიმღერა: „უჩარდია, უჩა კოჩი, ვაშუნდიდა მუშა მორთი“; უჩარდია, შავო კაცო, თუ არ დალევდი, რისთვის მოხვედი. უჩაშონა (ზუგდ. რ.); სამურზაყანოს თაკადნი და აზნაურნი. უჩარდია ბეჟან, ხუტუ, ხუხულობა, მუზარბეგ, ბურდღუ და ერასტო მოხსენიებული არიან წიგნში: ც. ქირია, ბ. სარია, „მასალები საქ. ისტ.“, 50. უჩარდიაც შერქმეული სახელისაგან მომდინარეობს.

უჯია უნდა მიგველოცუჯია(მგრ. — ყური). მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან. შდრ. ქართ. სუფიქსიანი გვარი: ყურაშვილი, მეტსახელი ყურაჩა. უჯია ვარსიმეა, ხვარაშია, მამისშური, თოლისქვაშია სოკერდია — მართებთ ნაჟანეულის ბეგარა... (XVI ს. II ნახ.).

ფ

ფათხავა წარმომდგარი ჩანს ფართხა (შდრ. ფართხი, ფართხალი) შერქმეული სახელისაგან. ფართხავა გრგეი, ივანება, ხვიხვილია, მიქაია, ორავთარი — ემართათ ჯგალის სასახლის ბგერა... (1621).

ფათხაია სომიხერდა — მართებს საცაიშლო ბეგარა... (1621).

ფალია წარმომდგარია ფალია (შდრ. თოფის ფალია) შერქმეული სახელისაგან. შდრ. ქართულსუფიქსიანი გვარი ფალიაშვილი, სვან. ფალიანი. ფალია შურიმიდგი — ემართა ჭალის ეკლესიისა და ნავკიანოს სასახლის ბეგარა... (1621).

ფანთია მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან. ფანტვ — ფანთვა — ფანტავს; აქეთ-იქით უწესრიგოდ ყრა — ბნევა (ქეგლ). შდრ. გვარსახელი ფანტიაშვილი.

ფანთია მოხსენიებულია მე-19 ს. I ნახ. დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. შქაწყარის მოსახლე ქართველი, სადაც აფსუათა გვარის ხსენებაც არ იყო (ვაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ფანთიას საგვარეულო 50 სულს ითვლის (ზუგდიდი — 38, თბილისი — 9, სენაკი — 2), (გვარ-სახ. საქ-ში).

ფანჩულია (იხ. ფანცულაია). წარმომდგარია ფანჩულ სახელისაგან. საგვარეულო 33 სულს ითვლის (თბილისი — 9, სენაკი — 9, რუსთავი — 7), (გვარ-სახ. საქ.).

ფანცულია (იხ. ფანცულაია), გვარი 328 სულს ითვლის: მარტვილი — 220, თბილისი — 30, ბათუმი — 14 (გვარ-სახ. საქ.).

ფანცულაია წარმომდგარი ჩანს ფანცულ — ფანჩულ შერქმეული სახელისაგან. შდრ. ძვ. ქართ. ფანჩვ. ძირი, დაფანჩული (ხშირბალნიანი) ცნობილი აზნაური გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან — გაბრიელ დაფანჩული. ამ ძირისაგან წარმოდგა სხვა ქართული გვარები, რომლებიც დღესდღეობით იმერეთშია გავრცელებული: ფანჩვიძე, ფანჩულიძე. ამრიგად, ფანჩულა — ფანცულა (ჩ//ც)-საგან წარმომდგარა გვარი. ფანცულაია მასორდიას მართებს ხონის საყდრის ბეგარა... (1600). მამისთვალას ხონის წმ. გიორგის შეწირულ გლეხს მართებს მორჩილი (მგრ.) მომცრო ღორი, 1 ქათამი, მისი მუცლით და კვერცხით 1790-1803. (კაკაბაძე, ს., 134).

ფ. ამირან სოლომონის ძე, დ. 1926, სოფ. ვედიდკარი, მარტვილის რ-ნი, 1981, რუსთავი, მეფოლადე, სოც. შრომის გმირი (1966).

ფ. გიორგი ჭიათურის მკვიდრი, საჰაერო-საბაგირო გზების სპეციალისტი, რესპუბ. დამსახ. ინჟინერი, მრავალი გამოგონების ავტორი. (გაზ. „ჭიათურა“ თბ. 1973. 101).

ფ. ფანცულაიას საგვარეულო 1773 სულს ითვლის (თბილისი – 478, სამტრედია – 200, ზუგდიდი – 183), (გვარ-სახ. საქ-ში). გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტ გვარში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 524-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ფანფია შდრ. ფანფალი, მოშვებული, რაც ადვილად ამოიღება. წარმომდგარია ფანფლია//ფამფალია შერქმეული სახელისაგან. გორა ფანფიაში ნოხორი (ნასახლარი ჩხორ. რ.).

ფანცხავა მომდინარეობს ფარცხა//ფარჩხა შერქმეული სახელისაგან, რომელშიც ნ//რ მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე. ფანცხავა სიმონ – მღვდელი, მართებს ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგარა... (1578).

ფანცხავა სპირიდონ ქუთაისის მაზრის წყალტუბოს მღვდელი (ჟ. „მწყემსი“, 1884, № 8).

ფ. არჩილ იაკობის ძე, დ. 1905, ფოთი, 1979, თბილისი, ქართველი ეკონომისტი, ეკონ. მეცნ. დოქტორი (1952), პროფესორი (1954), საქ. სსრ. მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1966).

ფანცხავას საგვარეულო 1100 სულს ითვლის (წყალტუბო – 716, ქუთაისი – 203, თბილისი – 93), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 69-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ფაჟაა//(ფაჟავა), ნაწარმოები ჩანს ფაჟა მეტსახელისაგან. ფ. თოლისკვამი – მართებს თილითის სასახლის ბეგარა... (1621).

ფაჟავას საგვარეულო 258 სულს ითვლის (ზუგდიდი – 224, თბილისი – 10, მცხეთა – 6), (გვარ-სახ. საქ-ში).

ფარსმანია ნაწარმოებია ფარსმან(ა) საკუთარი სახელისაგან. შდრ. ტოპონ. ფარსმა. ფარცხანაყანევი – ფასმანას ყანევი (ფარსმანას ნაყანევი). ფარსმანიას ემართა ხაუჟელის სასახლის ბეგარა... (1621).

ფარუჟანია წარმომდგარი ჩანს ფარუჟან//ფარავან (შდრ. ფარავანა – პეპელა სპარსულიდან), ფარვანია შერქმეული სახელისაგან.

ფარულავა ნაწარმოებია ფარულა შერქმეული სახელისაგან. ფარული, დაფარული; ლეფარულე – დოშაე – ნაფარულუ – კირცხი (ჩხორ. რ.), ჭლოუ (ოჩამჩ. რ.), ოტობაია გალის რ. ფარულავა – აზნაური

ფრულა იყო ურიათ მსაჯული, დადგინებული, რომელთაგან ოდიშსა შინა 1002 წ. და ამით გვარნი დაშთენ მუნიდგან და იწოდებიან ფარულავად („ივერია“, 1883, № 11-12, 1884, № 1-12).

ფარულავას საგვარეულო 2073 სულს ითვლის (ზუგდიდი – 504, თბილისი – 398, მარტვილი – 218), (გვარ-სახ. საქ-ში, 192). გვარი შესულია საქართველოში 25 000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში (გვარსახელ. საქ.).

ფარულუა (იხ. ფარულავა). გვარი 63 სულს ითვლის (ზუგდიდი – 40, სენაკი – 5, თბილისი – 4), (გვარ-სახ. საქ.).

ფარფალია გვარადქცეული მწერის სახელწოდება ფარფ:ლი (მგრ.) – პეპელა; ნაფარფალუ (ჩხორ. რ.), ოქუმი (გალ. რ.). წარმომდგარია ფარფალ//პარპალ მეტსახელისაგან.

საგვარეულო 200 სულს ითვლის (ზუგდიდი – 110, თბილისი – 42, წალენჯიხა – 12), (გვარ-სახ. საქ-ში).

ფარფიკია ფარფლი – თევზის ფრთე (საბა). მომდინარეობს ფარფიკია შერქმეული სახელისაგან.

ფარღალავა ფარღალალა – ნაგებობა, რასაც ღია ადგილები, ჭუჭრუტანები აქვს (ქეგლ). მომდინარეობს ფარღალა მეტსახელისაგან. გვარი 228 სულს ითვლის (ფოთი – 102, სენაკი – 47, თბილისი – 36), (გვარ-სახ. საქ-ში).

ამჟამად ფარღალავას 1 სული ცხოვრობს ჩხორწყუს რ-ში (ახალაია, 310).

ფარღული: 1. მარგალიტის ყელსაბამი; (ძვ. საქ., 156, ვეფხ. ტყაოს. ლექსიკონი).

ფარცვანია ფარ-ცვა-ნ-ია, წარმომდგარია ფარცვანა შერქმეული სახელისაგან.

ფარცვანია ბიძინა ბესარიონის ძე, დ. 1915, სამტრედია, ქართველი ვეტერინარი ექიმი. ვეტ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1972), საქ. სსრ. მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1983).

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლაბნში – შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში სახლობდა 400-მდე კომლი,აქედან 130-მდე გვარეულობიდან 35 აფსუური, ხოლო 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის ფარცვანია. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 997).

ფარცვანიას საგვარეულო 37 სულს ითვლის (ზუგდიდი – 16, ბათუმი – 4, მოსკოვის ლტოლვილი – 4), (გვარ-სახ. საქ.). გვარი

შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (2204 სული) მიხედვით 320-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ფარცხალია შდრ. იმერეთში გავრცელებული გვარი. მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში — შერვაშიძეთა რეზიდენციაში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობიდან აფსუური იყო — 35, 85-მდე კი ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის **ფარცხალია** (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997).

ფარცხალია ტუგუ მოხსენიებულია, როგორც მდაბიო, წარმართი და გაქრისტიანებული 1834 წ. ივნისში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8; 22).

ფარჯიკია ფარჯენა (რაჭ.) — საქონელი (უპირატესად ღორი), რომელსაც ფერდიდან ზურგამდე გასდევს თეთრი ზოლი (ქეგლ). მომდინარეობს ფარჯიკია შერქმეული სახელისაგან. შდრ. ქართული გვარი ფანჯიკიძე (ნ//რ მონაცვლეობა).

ფარჯიკიას საგვარეულო 180 სულს ითვლის (ზუგდიდი — 156, თბილისი — 10, თერჯოლა — 3), (გვარ-სახ. საქ-ში).

ფანჯიკიანი სვანური გვარია და მოსახლეობდნენ მე-19 ს-ის II ნახ-ში ზემო სვანეთის რ-ნის სოფ. იელში (სვ. ძეგლ. 126).

ფაფია წარმომდგარი ფაფია შერქმეული სახელისაგან. შდრ. ქართ. გვარი ფაფიაშვილი. ხუმუშკური (გალ. რ.).

ფაფა ჯარია, და — ფატიგ მოხსენიებულნი, როგორც მდაბიონი, წარმართი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7; 33).

ფაფია 50 სულს ითვლის (ზუგდიდი — 17, წყალტუბო — 7, ხაშური — 3), (გვარ-სახ. საქ.).

ფალავა* წარმომდგარია ფალა შერქმეული სახელისაგან. თავადები და ბატონები იყვნენ; ნაფალუ-უშაფათი, საფალუო-ეკი (სენაკ. რ.), საფალაური (სამტრ. რ.), ფალური (აბაშ. რ.), საფალუე — ვედიდკარი, ფალვაში ნადობარ (ნასასახლარი) — თამაკონი (მარტვ. რ.), ნაფალვორი (ჩხორ. რ.); „... ფალავა იყო ორბელიანთა გვარი, რომელიც მეფემან გარდაასახლა ოდიშში და იწოდნენ ფალავაშვილებად წელსა 1271-სა. ისინი ადიღედან მოსულან ოდიშში და აქ ბანძაში დამკვიდრებულან“... ფალავა — მეგრული ფორმით ფალუა//ფალავა მიაგავს ძველ ფეოდალურ

გვარსახელს — „ბალვაშს“ (სოსელია, 1,187). ფალავები ამჟამად აჭარლებიც არიან (ხელვაჩ. რ. სოფ. ჩაისუბანი, იგივე ყოროლისთავი). ფალავა ხუხუ მოხსენებულია ბანძის (სენაკ. რ.) წმინდა გიორგის ეკლესიის მთავარანგელოზის მე-19 ს-ის ხატის წარწერაზე, როგორც მისი შემწირავი. ფალავა გიგი ნიკოლოზის ძე — პოდპორუჩიკი, სამეგრელოს მმართველობის საჭილაოს მაზრის II კლასის მდივანბეგი (1848), (კავკ. კალენდ. 1848, 23).

ფალავას საგვარეულო სამეგრელოს მრავალრიცხოვანი თავადები იყვნენ და მათ ეკუთვნოდათ სოფელი ბანძა, რომელიც შედიოდა ქუთაისის ოლქის სენაკის მაზრაში. 1897 წლის პირველი აღწერით აქ ცხოვრობდა 2122 მეგრელი. ბოროზდინის თქმით, მის დროს აქ 75 კომლი თავადი ყოფილა, რომელთაც 800 კომლი აზნაური და ყმა-გლეხი ჰყავდათ.

ფალავა მექი განთქმული იურისტი იყო. აქ, ბანძაში დაიდგა შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“. ამ დადგმაში აქტიურად მონაწილეობდა მექი ფალავას მეუღლე დარია ფალავაც. (გეგეჭკორი, 69). „... თავადმან ფალავა კაციამ და მეცხედრემან ჩემმან ასპეფისშვილის ასულმან ელისაბედმან გავაჭედინეთ ხატი ესე...“ (XIX ს-ის დასაწყ.). (ძვ. საქ. III, 32).

ბანძა — ვედიდიკარი, აქ მთავარანგელოზის ეკლესიის ხატზეა წარწერა: „... აღგიშენე ხატი ესე მე ფალავამ ხუხუმ შენდა სადიდებლად, ჩემსა ამ სოფლისა სადღეგრძელოდ...“ ხატი უნდა ეკუთვნოდეს XIX ს. დასაწყისს“. (ძვ. საქ. III, 38).

ფალავა ხახუ ბანძელი (ამჟამად მარტვილის რ-ნი, 1900 წლამდე მებატონე, გლეხების თავზარდამცემი თავადი იყო. (ბოროზდ. ბ-ყმ. სამეგრ. შესავალი, V).

ფ. დუტუ ლაილაშის მაზრის უფროსი, თავადი დავით დადიანის დროს (1840-1853), (მეუნარგია, ი., 114).

ფ. გიგო საჭილაოს მაზრის უფროსი, თავადი დავითი დადიანის დროს (1840-1853). (მეუნარგია, ი., 114).

ფ. არჩილ, გაბუ და სოლომონ იყვნენ დავით დადიანის შეიარაღებული რიგის კაცები. (მეუნარგია, ი., 66).

ფ. ახმედ სტამბოლის ცნობილი პერის გუბერნატორი იყო. ახმედის შთამომავალმა დავით (დურსუნ) ფალავამ ნაყოფიერად იღვაწა. მისი შვილები შოთა და ოთარი დამსახურებული მშენებლები არიან. შოთა გაერთიანება „საქზღვანაპირსა“ და კონცერნ „ჭოროხს“, ხოლო ოთარი მშენებლობის № 10 ტრესტს უდგანან სათაეში. მშენებელია მესამე

ძმა იაშაც. ბატონი ნოდარ ფაღავა კი აჭარის კულტურის მინისტრია, ხოლო სამეგრელოს შტოს განეკუთვნება ძველი ბათუმელი, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ბატონი ალექსანდრე ფაღავა". (ი. ბექირიშვილი, ამას..., გვ. 219).

ფ. კონსტანტინე ყარამანის ძე, დ. 1919, დაბა სურამი, ახლანდ. ხაშურის რ-ნი. ქართველი აღმოსავლეთმცოდნე ფილოლოგ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი (1973), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1985).

ფ. სერაპიონ დათას ძე, დ. 1908, სოფ. ზანა, ახლანდ. სენაკის რ-ნი, 1976, მოსკოვი, ქართველი მეტეოროლოგ-სინოპტიკოსი, ფიზ. — მათ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1948), რსფსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1969).

ფ. აკაკი ნესტორის ძე, დ. 1887, სოფ. ნახუნავო, ახლანდ. მარტვილის რ-ნი. ქართველი რეჟისორი, პედაგოგი, თეატრმცოდნე. საქ. სსრ სახ. არტისტი (1962).

ფ. ირაკლი ყარამანის ძე (1918, ქუთაისი), ქართველი ექიმი, პედიატრი, მედიც. მეცნ. დოქტორი (1954), პროფესორი (1958), საქ. სსრ მეცნ. აკადემოს აკად. (1967).

ფაღავას საგვარეულო 1346 სულს ითვლის (ხელვაჩაური — 421, ბათუმი — 337, თბილისი — 220), (გვარ-სახ. საქ.). გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 257-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

ფაჩულია 1. ფაჩუა (მგრ) — დაშლა; 2. წარმომდგარია ფაჩულა შერქმეული სახელისაგან. შდრ. ქალის საკუთარი სახელი ამჟამად ფაჩუნა, რომელშიც -უნა კნინობითობის სუფიქსია. ფაჩ კი ძველი ქართული ფაჩვ ძირი. ფაჩუნიერი, ფაჩარი (თმა რქმებს შუა); საფაჩულიო-ხორში, თეკლათი (სენაკ. რ.), ჩხორთოლი (გალ. რ.); „თეკლათში ძველი დროიდან სახლებულან გოგოლი და ფაჩულიები, ისინი ოჩამჩირის რაიონის სოფელ რეკიდან მოსულან აქ. ფაჩულიებს ამ ადგილებისათვის რეკა შეურქმევიათ. ეს ადგილი გადმოცემით ნაზღვავარია, რეკა კი კუნძული ყოფილა მაღალ ადგილზე და ასე დარჩენილა. „აქ უძველეს დროშიც ცხოვრობდა თურმე ხალხი" (ელიავა, სენაკ. ტოპ. 28).

ფაჩულა მახარიკა — გლეხი, მებატონე შალამბერიას უჩიოდა — უმამულოდ სხვას მიჰყიდა ჩემი თავიო. (ბოროზდინი, 55).

ფ. ბუდუ პავლეს ძე, დ. 1925, ოჩამჩირ. რ. ქართველი ინჟინერი მშენებელი, საქ. სსრ დამსახ. ინჟინერი (1971).

ფ. შარახ აბზაგის ძე, დ. 1954, სოფ. აცი, ახლანდ. გუდაუთის რ-ნი, აფხაზი მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, სსრ სახალხო არტისტი (1982).

ფაჩულია პლატონ (1879-1948), ჩათა (1884-1959) განისვენებენ საფრანგეთში პარიზთან ახლოს, დ. ლევილის ქართულ პანთეონში (გაზ. „ლიტ. საქ., 1990, 14 აპრილი).

ფაჩულიას საგვარეულო 1332 სულს ითვლის (სენაკი – 328, თბილისი – 306, ფოთი – 230), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვიც 772-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1977).

ფაჩხავა წარმომდგარია ფარჩხა შერქმეული სახელისაგან. შდრ. ფარცხი//ფორჩხი – გამხმარი ტოტები ხისა. ოფაჩხაფუ უბანია ზუგდიდის რ-ნის ახალსოფლის თემში.

ფაცაცია მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან. ფაც(ი) ფაცი-ა – ხელი-ხელთ (კირიონი, სალექსიკ. მასალა, ძვ. საქ. 2, განყ. II, 20); ჭოლა (ჩხორ. რ.), დარჩელი (ზუგდ. რ.). აქედანაა ფაცია. ფაცია ახლაც გვხვდება ადამიანის (ქალის) საკუთარ სახელად ფაცია, ფაცაცო, ფაცუნა, ფაცურა, ფაცუცა, ცუცა.

ფაციცი სამსირას ცოლი დიჟა, ასულნი: გუნდოში და ჭორა მოხსენიებულია, როგორც გლეხნი, წარმართი სარწმუნოებისა და გაქრისტიანებულნი 1834 წ. აპრილს. დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6, 50).

გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ფოქვეშის მოსახლე (მე-19 ს. I ნახ.).

ამჟამად ფაცაციას საგვარეულო 1765 სულს ითვლის (ზუგდიდი – 590, ჩხოროწყუ – 347, თბილისი – 276), (გვარსახ. საქ.)

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 529-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ფაცია ფანდურის ჯორა (ქეგლ), (იხ. ფაცაცია).

მე-19 ს. 30-იან წლებში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში, შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში მოსახლეობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობიდან 35 იყო აფსუური, ხოლო 85-მდე

ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის ფაცია. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ფაცია ხაკუცი, ცოლი საადგა მოხსენებულია, როგორც მდაბიონი, წარმართი სარწმუნოებისანი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7, 37).

ფაციას საგვარეულო 483 სულს ითვლის (ზუგდიდი — 158, მარტვილი — 66, თბილისი — 75), (გვარ-სახ. საქ-ში).

ფაცურია ფაცურ-ი აჩქარებული მოძრაობა რამე საქმიანობისას — ფაცა-ფუცი (ქეგლ). წარმომდგარია ფაცურა მეტსახელისაგან. ფაცურია ახლაც გვხვდება მეტსახელად საქართველოში. ფაცურია ფაცერი — წნელისაგან მოწნული კალათი — თევზსაჭერად.

ფაცურიას საგვარეულო 602 სულს ითვლის (ზუგდიდი — 198, თბილისი — 120, ლანჩხუთი — 65), (გვარ-სახ. საქ-ში).

ფაცხლია მიღებული უნდა იყოს ფარცხლია შერქმეული სახელისაგან. ფაცხლია სავლის მართებს ჯგალის ციხის ბეგარა... (1621).

ფელანგია მომდინარეობს პელაგია საკუთარი სახელისაგან, რომელშიც ნარი ჩართულ-განვითარებულა. ეს გვარსახელი ცნობილია გალის რაიონში.

ფელანგიას საგვარეულო 157 სულს ითვლის (ზუგდიდი — 77, თბილისი - 20, ბოლნისი — 9), (გვარ-სახ. საქ-ში).

ფენდერავა მომდინარეობს ფანდურა საკუთარი სახელისაგან. ფენდა მგრ — ხვავი; ბანდურა უკრაინული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი.

ფერთეხია ფერთხი (მგრ) — ფენთხი, ბიბილო — ყურის, ცხვირისა (ელიავა გ., ლექსიკ.).

შესაძლოა, პირტახიას ფონეტიკური ვარიანტი იყოს. ფერტეხია თაიმაზი, ჯგერგეკი — ემართათ ჯგალის ციხის ბეგარა... (1621).

ფეტელავა ნაწარმოები უნდა იყოს ფეტელა//პეტელა მეტსახელისაგან. (შდრ. თხის პეტელი).

ფეტელავას საგვარეულო 435 სულს ითვლის (ზუგდიდი — 261, მარტვილი — 66, თბილისი — 59), (გვარ-სახ. საქ-ში).

ფივლია ფილია — ფივლია (იხ. ფილია).

ფითორია ფითორა (მგრ.) — საქმის ჩქარი მკეთებელი. 1. მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან. ფითურიას საგვარეულო 28 სულს ითვლის (სენაკი — 16, ქუთაისი — 10, თბილისი — 1), (გვარ-სახ. საქ-ში, 194).

ფილია. მომდინარეობს ფილა/ია შერქმეული სახელისაგან. ფილია ფილა – ბრტყელი ნაჭერი ქვისა, თიხისა, ლითონისა... (ქეგლ). ფილია ბაბიჭუჭუ – ემართა საცაიშლო გამოსავალი ბეგარა. ფილა-ქვები (საშენი); ლიხნი (გუდ. რ.), ლეფილიე (ოჩამჩ. რ.), ნაფილოო – მენჯი, საფილიო (სენაკ. რ.), ლეფილიე (ხონის რ.), ლეფილე ინჩხური (მარტვ. რ.).

გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში მე-19 ს. 30-იან წლებში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130 გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის ფილია (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ფილია თულაფსუყვა ნახსენებია, როგორც აზნაური, წარმართული სარწმუნოებისა და მონათლული 1834 წ. აპრილში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7; 28).

ქ. მანგლელის ყმებად მანგლისში 1721 წელს მოიხსენიებიან: დათუნია ფილია... (ვახუშტი, 110).

ფილია მელიტონ გლახუნის ძე (1888-1931), დ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ნიგოეთში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოძრ., 538).

ფილიას საგვარეულო 392 სულს ითვლის (თბილისი – 96, ფოთი – 61, ქუთაისი – 38), (გვარ-სახ. საქ-ში).

ფილიპია წარმომდგარია მამაკაცის საკ. სახელ – ფილიპესაგან. ფილიპე (ხობ. რ.). გამეგრელებული ბერძნული გვარი ფილიპოვისგანაა წარმოშობილი. ფილიპოვები მოსახლეობდნენ დმანისის რ-ნის სოფ. ველასპირში. წინაპართა გადმოცემით, 1820-იან წლებში მეფის მთავრობა ეკონომიკურად ეხმარებოდა საქართველოში გადმოსახლებულ ბერძნებს, მათ შაქარს, ფქვილს, საპონს, ასანთს, მარილს და სხვა სახის პირველი მოთხოვნილების საგნებს აძლევდნენ. (ახუაშვილი, 181). ზოგი მეგრელებმაც ალბათ გადაიკეთეს (შეიძლება გადაუკეთეს გვარიც და ეროვნებაც რომელთაც შეხვდებოდათ დახმარება.

ფილიპია ბუტია სამეგრელოს 1857 წ. გლეხთა აჯანყების მონაწილე და მეთაური, მისჯილი ჰქონდა სიკვდილით დასჯა, მაგრამ მთავრობას არასდროს არ ჩაუარდნია ხელში. (საისტ. მ., II, 144).

ფილიპია, გლეხი, მცხ. დღ. ზუგდიდის რ-ნის სოფ. ხეთაში, ეჭვმიტანილი თავდასხმაში შერემეტიევზე, რომელიც გამოგზავნილი იყო სამეგრელოს გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად (1857).

ფილიპიას საგვარეულო 167 სულს ითვლის (თბილისი – 23, ზუგდიდი – 20, რუსთავი – 6), (გვარ-სახ. საქ-ში).

ფინთურია ნაწარმოებია შერქმეული სახელისაგან ფინთურია – ცუდი, უვარგისი (ქეგლ);

ფინთურიას საგვარეულო 70 სულს ითვლის (მარტვილი – 24, თბილისი – 19, სენაკი – 7), (გვარ-სახ. საქ.).

ფინფია 1834-1835 წწ. აღრიცხვით დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში, ტამიშში, კინდღში ერთეული აფსუური გვარიც არ იყო, ქართული კი 156 სულს ითვლიდა, მათ შორის **ფინფია.** (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ფიოლია ფიონ-ი დასავლეთის ქარი (ქეგლ)... ერთგვარი ქარია კოლხეთისა... ფიოლია მირჩქილიას ემართა ნაჟანეულის სასახლის ბეგარა... (1621).

ფიოლიას საგვარეულო 199 სულს ითვლის (თბილისი – 49, ქუთაისი – 20, წყალტუბო – 9), (გვარ-სახ. საქ-ში).

ფიოშია ფიოში (მგრ) – ღარიბი. შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარსახელი ღარიბაშვილი.

ფირია რიფ-ი – ამა თუ იმ ხელობის მფარველად აღიარებული ბიბლიური პიროვნება (ქეგლ). ფირია შერქმეული სახელი ჩანს.

ფირცხალავა ფიცხი – მალი, სწრაფი, ვინც ადვილად ფიცხდება (ქეგლ); ლეფირცხელე – დასახლებული უბანი, ლეფირცხელეს გამოქვაბული (ჩხორ. რ.), ფირცხელავაში ნოხორი (მეგრ.), (ნასახლარი) – გეჯეთი (სენაკ. რ.), ფირცხელაში კარი – ზანათი (აბაშ რ.). ფირცხელავა (მანგლისი, ენაგეთი, ახუაშვ., 548).

ანტონ ფირცხალავა მოხსენიებულია, როგორც კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტი, ახალგაზრდა მღვდელი (ძვ. საქ., 3.126.129).

ამრიგად, ფირცხელავა მომდინარეობს ფირცხელა//ფიცხელა შერქმეული სახელისაგან, რომელშიც რ ბგერა განვითარებულია ფირცხელა – ფიცხელა. ფიცხელაში -ელა კნინობითობის სუფიქსია. შდრ. ქართ. გვარები: **ფიცხელაური,** სვანური ფიცხელანი. ფირცხელავას ფონეტიკური ვარიანტი **ფირცხალავა. ფიცხელავა** შუშუ – მათხოვრს მცხოვრები. მართებს ბიჭვინთის ტაძრის გამოსაღები... (1621). ფიცხელავა კუჭულეს, ჩოხათის მიმდგამსა კაცსა მართებს ბეგარა.

ჩხოროწყუს რ-ნის გარახის თემში არის დასახლება ლეფირცხელე. აქვე – სოფლის თავშია გამოქვაბული ამავე სახელწოდებისა. ბავშვობისას მოსწავლეები ვყოფილვართ მასწავლებელ ილია ფირცხელავას

ხელმძღვანელობით. კარგად მახსოვს შესასვლელი საკმაოდ ფართე, შიგნით მარჯვნივ და მარცხნივ საწოლების მსგავსი ბუნებრივი ნაკეთობანია. შეიძლება ეს გამოქვაბული პირველყოფილი ადამიანის საცხოვრებელი ან მტრისაგან თავშესაფარი იყო. გამოქვაბული შეუსწავლელია.

ფირცხალავა შუშუა, ახლად ამოკვეთილი, მახარა მოხსენებულნი არიან XVII ს. მათხოჯის დავთარში, როგორც მათხოჯის მეზობელ კაცები. (დოკუმენტები ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით, 1, 238).

ფ. კაცობელა მოხსენიებულია XVII ს. მათხოჯის დავთარში, როგორც მესეფე კაცი (დოკ-ბი ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1, 438).

მე-19 ს. I ნახევარში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობიდან 85 ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის ფირცხალავა, ფარცხალია (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ფ. ანდრო ბერიკას ძე (1886-1949), დ. სენაკის მაზრის სოფ. ოჩამჩირეში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოღვ., 542).

ფ. ფირცხალავა ორი მოხსენიებულია XVII ს. მათხოჯის დავთარში, როგორც მეთევზე კაცი. (დოკუმენტები, ნ. ბერძენიშვილი რედ., 1, 439).

ფ. გივი მეორე ოცეულის მეთაური გერმანელთა ტყვე, ტექსელის კუნძულზე ქართველ ტყვეთა აჯანყების აქტიური მონაწილე, მეორე ოცეულის მეთაური. დაიღუპა. (ქოჩიაშვილი გვ. 49).

ფ. ისიდორე კურზუდან – უტუს ჯარში მყოფი. (მაკალათია, 242).

ფ. შოთა აკაკის ძე, დ. 1932, თბილისი, ნოვატორი, ზეინკალი, სოციალ. შრომის გმირი.

ფ. ნოე იოსების ძე დ. 1911 ინჟინერკაპიტანი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბ. უნტში. (ზაქარიაძე, ე. 38).

ფ. გულჯავარ (ცაცა) აპოლონის ასული დ. 1918, ამჟ. ხონის რ-ნის სოფ. მათხოჯში. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1972), პროფესორი, უმაღლესი სკოლის დამსახ. მუშაკი.

ფ. ნოე იოსების ძე, დ. 1912, მათხოჯი, ახლანდ. ხონის რ-ნი, ქართველი ქიმიკოსი. ქიმიის მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1968), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1975).

ფ. გერასიმე სამსონის ძე, დ. 1912, მათხოჯი, ახლანდ. ხონის რ-ნი, ქართველი ისტორიკოსი, ისტ. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1971), საქ. სსრ დამსახ. მოღვაწე (1983).

ფ. სამსონ გიორგის ძე ფსუედ.: „სიტყვა“, „კალამი“, „სანვინი“ (1872, სოფ. მათხოჯი, ახლანდ. ხონის რ-ნი, 1952, თბილისი) ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი.

ფირცხალავას საგვარეულო 875 სულს ითვლის (ჩხოროწყუ — 380, ზუგდიდი — 255, ხობი — 83), (გვარ-სახ. საქ-ში).

ფირცხალავა სამსონ (1872-1952), საქ-ს გასაბჭოების შემდეგ პარიზში. ემიგრაციაში მყოფი, 1972 წლიდან დაიწყო თანამშრომლობა მისი რედაქტორობით გამომავალ „სახალხო საქმეში“. უცხოეთში მყოფი სოციალისტ-ფედერალისტების კომიტეტმა გამოსცა და დაბეჭდა 50-ზე მეტი წერილი. ჩამოვიდა საქართველოში 80 წელს გადაცილებული. გადაასახლეს შუა აზიაში და იქ ოთხი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

მის კალამს ეკუთვნის: პარიზში გამოცემული ისტორიული ლანდები, ქართველთა წინაპრები და მათი ნათესავი ტომები, უკანასკნელი დედოფალი საქართველოში, ამბავთა და საქმეთა მოლოდინში, თამარ მეფე და სხვა. (გაზ. „კომუნისტი“, 26, I, 1990).

ფირცხალია (იხ. ფირცხალავა) საგვარეულო 30 სულს ითვლის (საჩხერე — 16, თბილისი — 7, მარტვილი — 2), (გვარ-სახ. საქ.).

ფირცხულავა (იხ. ფირცხალავა); საგვარეულო 51 სულს ითვლის (ზუგდიდი — 15, ფოთი — 1, ხონი — 35), (გვარ-სახ. საქ.).

ფიფია ფია — უძუძური ჩვილი ბავშვის შეჭამადი (საბა), ბავშვის საჭმელი თხელი ფაფა; გადმოცემით ფიფიები ფილფანიებისაგან მომდინარეობს (კ. თოფურია, 59). ლეფიფიე (ხონ. რ.), ფიფილეთი (სენაკ. რ.), ლეფიფია უბანია წალენჯ. რ-ნის სოფ. ჩქვალურში. ფიფულა ზუგდიდის რ-ნის სოფ. ეკისაშკარში. საინგილოს სოფ. თალაშში არის საყდარი ფიფინეთი (ძვ. საქ., 2, განყ. IV, 35).

მრავალ მეგრულ-ლაზურ გვარს და ამ გვართა შორის „გვარსახელ ფიფია“-ს 4000 წლის წინანდელი მცირეაზიური, ქასქური საწყისები ეძებნება.

ფიფრები ზემო სამეგრელოს აფაქიძეთა ყმა-გლეხები იყვნენ. (ჯოსელია, III, 166).

ფიფია ურუსი, დანი: რუსუდა, მიტოტ, — კეთილშობილნი, გაქრისტიანდნენ 1834 წ. ივნისში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. კვიტოულში.

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. მათ შორის 130 გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის ფიფია (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ფინფია ყაგუ, ძმა – კერაზ, მხევალი ამათი – ფუნდუკ, ნარჩოუ, დანი – მარიკა – მდაბიონი, გაქრისტიანებულნი 1834 წ. ტამიშში. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., 1997, გვ. 7, 1).

ფიფია ეგნატე კალისტრატეს ძე, დ. 1901, სოფ. ჯვარი, ქუთ. გუბერნია, ზუგდ. მაზრა, ახლანდ. წალენჯიხის რ-ნი, 1979, თბილისი, ქართველი ქირურგი, მედიც. მეცნ. დოქტორი (1937), პროფესორი (1940), საქ. სსრ მეცნ. დამსახურებული მოღვაწე (1955), საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1969), სახ-ფო პრემიის ლაურეატი.

ფ. დანიელ პავლეს ძე, დ. 1896, ზუგდიდი, 1924 საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ხელმძღვანელი ზუგდიდის მაზრაში. ბოლშევიკებმა გაუსამართლებლად დახვრიტეს 1924 წ. დიდებული პოეტი და მამულიშვილი (გაზ. „აღდგომის“ დამატ. 1, გვ. 18).

ფ. ვახტანგ ეგნატეს ძე, დ. 1929, თბილისი, ქართველი ქირურგი, მედიც. მეცნ. დოქტორი (1966), პროფესორი (1967), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1982).

ფ. ოლია ვლადიმერის ასული, საჩინო (წალენჯ. რ.), საქ. სსრ დამსახ. აგრონომი.

ფ. შოთა ისაკის ძე (1902-1986), საქ. სსრ დამსახ. ეკონომისტი („კომ. დროშით“ 6. II-86).

ფ. შოთა საქ. სსრ დამსახ. ჟურნალისტი, (გაზ. „კომ. დრ.“, 1. X. 85).

ფ. მალაქია, ჯახუ და ყოლა განთქმული მეჯოგეები იყვნენ („კომ. დრ“. 27. VIII-83).

ლეფიფიე უბანია წალენჯ. რ-ნის სოფ. ჩქვალერში.

ფიფიას საგვარეულო 7142 სულს ითვლის (წალენჯიხა – 2608, ზუგდიდი – 2589, თბილისი – 817), (გვარ-სახ. საქ-ში, 195).

იგი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 33-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ფიფინავა (იხ. ფიფია) წარმომდგარია ფიფინა შერქმეული სახელისაგან. შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარი პიპინაშვილი. ფიფინა/ /პიპინა.

გვარი მოხსენიებულია სოფ. აფიცხუაში (შავი ზღვის სანაპირო), ტოპონიმი ქართულია, 1844 წ. ცხოვრობდა 300-მდე ქართველი. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ფიჩხაია 1. ფიჩხა მგრ. გამხმარი. მომდინარეობს ფიჩხა

მეტსახელისაგან (ფიჩხა — გამხდარი ტოტები) შდრ. ქართ. გვარი ფიჩხაძე. ტოპონიმი საფიჩხია, ნაფიჩხუ (ჩხორ. რ.), საფიჩხიო (ქუთ. რ.), ფიჩხოვანი, პირველი ფიჩხოვანი (ახმ. რ.).

ფიჩხაიები–ზნაური, კურზუდან, დადიანის სამსახურში იყვნენ.

ნაფიჩხაო — საფიჩხაოს მცხოვრები ყმები ლევან დადიანმა შესწირა თაწმინდის ხარების ღვთისმშობელი თავისი მამის მანუჩარის სულის მოსახსენიებლად. (1642). (მასალები, 162).

სოფ. ნაფიჩხო შედიოდა ქუთაისის ოლქის სენაკის მაზრაში და 1879 წ. პირველი აღწერით 1714 სული ფიჩხაია სახლობდა. ამჟამად აქ არც ერთი ამ გვარის წარმომადგენელი არაა. ფიჩხაიას საგვარეულო 310 სულს ითვლის (ჩხოროწყუ — 76, მარტვილი — 55, თბილისი — 54), (გვარ-სახ. საქ-ში).

ფიცხელაური (იხ. ფირცხელა); ფიცხე-(ლა)-ური — ფიცხე — ფიცხი, ური (მგრ.) — თური, ნათესავი; ფოცხო (სენაკ. რ.). აქედანაა ფირცხელაური, ფიცხულია...

ფიცხულია შერქმეული სახელისაგან მომდინარეობს, რომელშიც —ულა კნინობითი სუფიქსია. შდრ. ფიცხულ//ფიცხულ მეტსახელი გალატზსა ემართა საცაიშლო ბეგარა. აფიცხუ სოფ. გუდაუთის რ-ნის მუგუძირხვის თემში.

ფიხუნია წარმომდგარია ქაშკური საკ. სახელი ფიხუნისაგან (ალ. ღლონტი, ქართ. საკ. სახ., 204). ფიხუნია იყო თიფიელი, ის მოიხსენიება ქაშქების პირველ მეფედ ძვ. წ. XIV ს. (აღნიშნავს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოც. კარლო თოფურია). ის იყო ქართველეროვანი მოსახლეობის ყველაზე ძველი მეფე. იგი დაახლოებით 200 წლით ადრე მეფობდა დიაოხის (ტაოხი, ტაო) მეფე — სიენი-ზე. თიფიელი ფიხუნია ასევე წინ უსწრებდა კოლხი აიეტის მეფობას... იმოწმებს ქართველ და რუს მეცნიერებს და დაასკვნის: **ქართული სახელმწიფოებრიობა 3,400 წლისაა** (ხაზგასმა ჩვენია, ავტორი) (ჟურ. „ია", თბ., 1999, 7).

ფონია ფონი — მდინარის წყალდაბალი ადგილი, სადაც ფეხით გადასვლა შეიძლება მეორე ნაპირზე; ფონა სოფ. ხარაგაულის რ-ნში. ლეფონიე (ოჩამჩრ. რ.), კურზუ — სალხინო (მარტვ. რ.), ოჯოღორე — უშაფათი, ნაჯოღორუ (სენაკ. რ.). ფონიები დადიანის მეძაღლეები იყვნენ კურზუში (მარტვ. რ-ნში). დადიანებს ჰქონდათ „საკურზაულო ბეგარა". არის „საკურზაული ადგილი, სადაც ძაღლებს ამრავლებდნენ, უვლიდნენ" (ელიავა, სენაკ. რ.).

ფონიას საგვარეულო 136 სულს ითვლის (ზუგდიდი – 102, თბილისი – 13, ქუთაისი – 6), (გვარ-სახ.).

ფონიავა (იხ. ფონია); საგვარეულო 267 სულს ითვლის (მარტვილი – 123, ჩხოროწყუ – 28, სენაკი – 24), (გვარ-სახ. საქ.).

ფოჩხუა ფოჩხ-ი იგივეა, რაც ფოჩხი (ქეგლ). გვარსახელი ფორჩ// ფოცხი შერქმეული სახელისაგან მომდინარეობს. შდრ. ქართ. გვარი ფოჩხიძე, ფოცხიშვილი, **ფოჩხერია.**

ლეფოჩხუე – ვედიდკარი (მარტვ. რ.), ოდოჩხაფუ (ზუგდ. რ.).

გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. მოქვის მცხოვრებთა სიაში მე-19 ს. I ნახ-ში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ფოჩხუა არსენ არსენის ძე, დ. 1923, ქუთაისი, ქართველი მხატვარი, საქ. სსრ დამსახ. არტისტი (1982).

ფ. ბიძინა არსენის ძე (1916-1981), დ. ქ. ქუთაისში ფილოლოგიურ მეცნ. დოქტორი (1975), პროფესორი, საქ. სსრ სახ-ფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1971).

საგვარეულო 1159 სულს ითვლის (მარტვილი – 483, თბილისი – 275, სენაკი – 88), (გვარ-სახ. საქ-ში, 195).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებული ათაში გვართა სიასი და რაოდენობის (1159 სული) მიხედვით 902-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართველო, 6-8 მარტი, 1997).

ფოცხვერია მომდინარეობს ფოცხვერა შერქმეული სახელისაგან. შდრ. ქართ. გვარი ფოცხვერაშვილი. ფოცხორაია, ფოცხვ-ი ძვ. იგივეა, რაც ჭარო (საბა), ჭარო – ჭაობიანი ადგილი. უფრო სავარაუდოა იგი ფოცხვერია გვარსახელის ფონეტიკური ვარიანტი იყოს. ფოცხო (სენაკ. რ.), ფოცხვრევი მთა ონის რ-ნში.

ფოცხვერიას საგვარეულო 405 სულს ითვლის: სამტრედია – 225, თბილისი – 109, ქუთაისი – 20. (გვარ-სახ. საქ-ში, 195).

ფოცხორაია (იხ. ფოცხვერია) საგვარეულო 194 სულს ითვლის: ხობი – 79, მარტვილი – 49, ფოთი – 17 (გვარ-სახ. საქ.).

ფოცხორია (იხ. ფოცხვერია) საგვარეულო 46 სულს ითვლის: ზუგდიდი – 15, თბილისი – 8, მარტვილი – 7 (გვარ-სახ. საქ.).

ფულარია ფულ-არი – ფულიანი კაცი; საკუთარი სახელი ფულარია-საგან მომდინარეობს. შდრ. გვარი ფულარიანი, რომელშიც ფულარიას არქაული ვარიანტი ჩანს.

ფულარიანი – ფულარია, დადიანი – დადია. ლეფურაიე – სალხინო

(მარტვ. რ.). „ლეჩხუმის სოფ. აჭარაში ფრუიძეები ცხოვრობენ... ჩვენი წინაპრები ნაცხოვრებან სამეგრელოში, სანადიროდ დადიანთან ერთად დადიოდნენ. შემთხვევით დადიანის ძმისშვილი შემოკვდომია... სისხლის აღების შიშით ლეჩხუმში წასულან. სამეგრელოში ყოფილან გვარად ფულარიები“. (ოოფჩ., 16).

ფულარიას საგვარეულო 173 სულს ითვლის (თბილისი – 42, მარტვილი – 25, სენაკი – 21), (გვარ-სახ. საქ.).

ფურთუხია ფურთიხი (მგრ.) – უგეგმოდ საქმის კეთება. ფურთუხია ხიხულიას მართებს ჯგალის სასახლის ბეგარა. (ჯგალი წალენჯიხ. რ-ნში შედის). საგვარეულო 61 სულს ითვლის (ზუგდიდი – 14, თბილისი – 2, ლანჩხუთი – 1), (გვარ-სახ. საქ.).

ფუტკარაია საკ. სახელი ფუტკარი (იხ. თოფურია); ფუტკარა ხვს. ტყის სარო; ფშ. სასუტკა, სასუტელა (ასე უწოდებენ მრავალ სხვა მცენარესაც, რომლებსაც გვირგვინი გრძელმილიანი აქვთ); მთ. თაფლანა, ძაღლის ენა; ქვ. იმ. ჯილაშვილდა; აჭ. მაწვიმარა, საშხაფუნა (ბოტ). ლეფუტკარიე – ლეხაინდრე, ფუტკარაიაში კარი-ნაჯახაო (მარტვ. რ.). შდრ. ფუტკარაძე, ბუტკუჯი (მგრ.). ფუტკარაული – უღელტეხილი თიანეთის რ-ნში ქართლის ქედზე.

ფუცხუტია წარმომდგარია ფუცხუტა შერქმეული სახელისაგან, რომელშიც უტ(ა) კნინობითობის სუფიქსია წარმოშობით. შდრ. ფუცხ/ /ფუცხვი.

ფუცხუტია თეკლათს მცხოვრები გლეხი. გრიგოლ (აფხაზთა) კათალიკოსმა უბოძა ბერძენ გიორგი კალფას (XVII-XVIII). (მასალები, 104).

ქ

ქააჳა (ადგ. გამოთქმით ქავა) ეტიმოლოგია სარკეევია. საყურადღებოა ამ ფუძის ქართული დაბოლოება ქააძე, რომელიც თუშეთშია დადასტურებული: ქააძე ქავაძე?

ქადარია წარმომდგარი ჩანს ქადარ სახელისაგან, რომლის ეტიმოლოგია დასადგენია. ქანდარია — ქადარია; ლექადარე, ქადარიაში ნოხორუ (ნასახლარი) — მენჯი, ლექადარე — ლეძამე, ქადარიაში ნოხორუ (ნასახლარი) — ნოქალაქევი (სენაკ. რ.).

ქადარიას საგვარეულო 808 სულს ითვლის (ზუგდიდი — 380, სენაკი — 203, თბილისი — 70), (გვარ-სახ. საქ.).

ქავა ეტიმოლოგია საკვლევია. ჯოღორიას ქალი — ჩაადე მოხსენიებულია, როგორც მდაბიო, წარმართი სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. ივნისში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7; 31).

ქავთარია (სპ.) ავთარი (ჭუმბ.). ნაწარმოებია ქავთარ ადამიანის საკუთარი სახელისაგან. ქავთარაძე ფრიად გავრცელებული გვარია საქართველოში. ქავთარაძეები სამეგრელოშიც სახლობენ, ე. ი. მეგრელებია (სენაკ. რ.), იმერეთშიც და მთიულეთშიც. ქავთარია: მოხუტოლი, გუგუ, კოჩი, ინე, კჭული, უჩაია, უწყინარა, ობიშხია, კილულია, სომიტენდა, ხიბლას მცხოვრებთ ემართათ ბიჭვინთის ტაძრის ბეგარა... (1621). ქავთარია შურიმიდგა, ამორცალა, ხახუტია, მაჭაჭია, სოხერდია, ქომიორდო, ბაბუშერჲ, უწყინარა თოლიკაკა, დოსკუდია, დოხვადია — მართებთ დარჩელის სასახლის ბეგარა... (იქვე).

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი, მათ შორის 130 გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის **ქავთარია-ქავთარაძე**. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ქავთარაძე სერგო ივანეს ძე, დ. 1885, ქუთაისის მაზრის სოფ. ზოვრეთში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოძრ. 550).

ქ. ვლადიმერ სიმონის ძე (1889-1927), დ. შორაპნის მაზრის სოფ. სავანეში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოღვ., 553).

ქ აკაკი ივანეს ძე (1904-1944), დ. ზუგდიდის მაზრის სოფ. ხიბულაში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოღვ., 554).

ქ. გიორგი გრიგოლის ძე, დ. 1908, სოფ. ცხრაწყარო, ახლანდ. ზესტაფონის რ-ნი, ქართველი მწერალი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი.

ქ. გულნარა კონსტანტინეს ასული, დ. 1921, მოსკოვი, ქართველი პიანისტი, საქ. სსრ სახ. არტისტი (1976).

ქ. გიორგი გიორგის ძე, დ. 1940, თბილისი, ქართველი მსახიობი და რეჟისორი, საქ. სსრ სახ. არტისტი (1982), საქ. კომკავშირის პრემიის ლაურეატი (1974).

ქავთარიას საგვარეულო 125 სულს ითვლის (ხარაგაული — 31, ვანი — 228, თბილისი — 27), (გვარსახ. საქ-ში).

ქავშბაია ნაწარმოებია ქავშ სახელისაგან, რომლის ეტიმოლოგია დასადგენია. სხვაგვარი ახსნით, ქავშბაიში ქავშბ, შესაძლოა ქაშიბი სახელისაგან მომდინარეობდეს: ქავშიბა — ქაშიბა//კაშიბა. შდრ. ქართული გვარი ქაშიბაძე //კაშიბაძე.

ქავშბაია ლუკიანე ჭოჭის ძე, დ. 1902, გალის რ-ნის სოფ. რეფში, დამსახურებული ფერშალი, სამამულო ომის ვეტერანი.

ქავშბაიას საგვარეულო 116 სულს ითვლის (ზუგდიდი — 63, თბილისი — 20, ქუთაისი — 11), (გვარსახ. საქ-ში).

ქანდარია ქანდარა (მგრ.) — ჯოხი ქათმების ჩამოსაჯდომი. საგვარეულო 252 სულს ითვლის (თბილისი — 34, სენაკი — 9, აბაშა — 6), (გვარ-სახ. საქ.).

ქანთარია (იხ. ქავთარია) წარმომდგარი ჩანს ქანთარ საკუთარი სახელისაგან. ქავთარ ქანთარ ვ//ნ მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე. შდრ. ქართ. ქავთარაძე, ქავთარაშვილი; საქანთარიო — ძვ. სენაკი (სენაკ. რ.), ჯვარი (წალენჯ. რ.).

ქანთარი მელიტონ ვარლამის ძე, დ. 1920 წალენჯიხის რ-ის სოფ. ჯვარში. ის და ეგროვი წითელი დროშით ხელში მუცელზე ხოხვით გაემართნენ რაიხსტაგისაკენ და გაღებულ ფანჯარაზე საბჭოთა დროშა გამოჰკიდეს. (მათ ასახელეს, 386-389).

ქ. კაპიტონ სამსონის ძე, ჯვარი (წალენჯ. რ.) სოფლის მეურნ. დამსახ. მუშაკი.

ქ. ვალერიან ირაკლის ძე, დ. 1900, სოფ. აკეთი, ახლანდ. ლანჩხუთის რ-ნი, 1923, თბილისი, ქართველი საბჭ. აგრონომი, სოფ. მეურნ. მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი (1947), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1961).

ქანთარიას საგვარეულო მრავალფეროვანია 2299 სულს შეადგენს:

ზუგდიდი – 665, თბილისი – 390, წალენჯიხა – 282 (გვარსახ. საქ-ში).

ქარჩია ქარა წამომახული სარი... „სარზე (ძელზე) დაცემულა ჩემი მტერი“ (ელიავა გ. ლექსიკ.). გურუტია კოკის ძე სოფ. ჯგალიდან, დღ. წალენჯიხის რ., თავად გიორგი ჩიქოვანის ყმა-გლეხი, სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების აქტიური მონაწილე, რუსეთის ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის მიზეზით 10 წლით ციმბირში გადასახლება მისჯილი. (საისტ მ., II, 149).

ქ. ეკატერინე, ზუგდიდის რ-ნის სოფ. რუხის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

ქარაიას საგვარეულო 568 სულს ითვლის (ზუგდიდი – 170, წალენჯიხა – 11, თბილისი – 70), (გვარსახ. საქ.).

ქარდავა ეთნ. ქართველი; ჯვარი (წალენჯ. რ.), კოჩარა (ოჩამჩ. რ.) მომდინარეობს ქარდა//ქალდა შერქმეული სახელისაგან. ქარდა სოფ. ჯვარში (ახლანდელი წალენჯიხის რ-ნი). პირველად დასახელებულია ქარდა, რომელიც გადმოცემის თანახმად, გადმოსულა სვანეთიდან. ქარდა სამი ძმა ყოფილა. მათ კაცი მოუკლავთ ლატალში და ჯვარში გამოქცეულან. მათი გვარის კაცები სვანეთში არიან – ქალდანნი, რომელნიც მულახში ცხოვრობენ. (მაკალათია, 243).

ქ. ცაცა ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კოჩარის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

ქ. აკაკი კონდრატეს ძე, დ. 1932, წალენჯიხის რ-ნის სოფ. ფოცხოელწერში, საქ. სსრ დამსახ. მასწავლებელი (1989).

საგვარეულო 6014 სულს ითვლის (წალენჯიხა – 1979, ზუგდიდი – 1707, თბილისი 915), (გვარ-სახ. საქ-ში). გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 53-ე ადგილზეა.

ქართავა ქართი (მგრ.) – თბილისი, ლაზურად – ქართ, სვან. – ქართ. წარმომდგარია ქართლ ეთნონიმისაგან. „ტრადიციული წარმოდგენით „ქართლ“ ეთნონიმი ლეონტი მროველის ქართლოსისაგან მომდინარეობს“ (ალ. ღლონტი, ახალი თეორია... გაზ. „საქ. რესპ“., 1998, 14 აპრილი). ქართავას საგვარეულო 24 სულს ითვლის (ზუგდიდი – 7, თბილისი – 5, ქუთაისი – 5), (გვარსახ. საქ-ში).

ქარსაბაია ქარსამი (მგრ.) – დასაკარგავი ადგილი.

ქარსაბაია თუყვა – ნახსენებია, როგორც მდაბიო, წარმართული

სარწმუნოებისა და ქრისტიანად მონათლული 1834 წ. მარტს დღ. ოჩამჩირის რ-ნის შინა სოფელ ეშქიდს (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8; 2).

ქარჩავა I. ქარჩა მამაკაცის საკ. სახელია; 2. ქარჩი — ცალპირი (ბრტყელპირა) წერაქვი, ქარჩი მთის ზოლში ტყებუჩქიანი მიწების ხელით სამუშაო რკინის იარაღი — თოხის სახესხვაობა; ოქარჩე, ქართე — ახ. სოფელი (სენაკ. რ.), საქარჩო-ახუთი, ნაქარჩუ-ნაკიანი, ლექარჩე-ჭოლა (ჩხორ. რ.), თაგილონი გალის რ-ნი.

ქარჩავა მოხსენიებულია მე-19 ს-ის II ნახ. დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. შქაწყარის მცხოვრები სხვა ქართველებთან ერთად, სადაც აფსუათა ჭაჭანება არ იყო. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

სამანჩო საუფლისწულო იყო დადიანებისა და მდებარეობდა მდ. ხობის წყლის ზემო წელზე: ბოიდნახე, ჯუმითი, ხაბუმე და ჭოღა. სამანჩო ეწოდა მისი პირველი მფლობელი მანუჩარის სახელისაგან. ქარჩავები მისი ყმა გლეხები იყვნენ.

ქარჩავა გრიგოლ ზოსიმეს ძე, ნაკიანი, ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ქ. ვალერიან ივანეს ძე, დ. 1916, დღ. ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ხაბუმეში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი.

ქარჩავა სვან., დ. ქარჩიანი, მცხ. ზემო სვანეთის სოფ. ლეშტერიუში (მე-13 ს-ის II ნახ.), (სვ. ძეგლ. 122).

ქარჩავა ქარჩითი სოფ. არცევის ტერიტორიაზე. ცხინვალის რ. (სამხრ. ოსეთი).

ქარჩავას საგვარეულო მრავალრიცხოვანია და 2836 სულს ითვლის (ზუგდიდი — 2005, ჩხოროწყუ — 426, თბილისი — 374), (გვარ-სახ. საქ-ში). საგვარეულო შესულია საქ-ში 25 000-ზე მეტი ათასი გვარის სიაში.

ქარცხია ქარცხი ყვავილია (ჩუბ.) ქარცხია წარმომდგარია ქარცხ შერქმეული სახელისაგან. ქარცხია უჩაკოჩი, ხუთკუბა, გამიგონა, მახოლა, გუგუტა-აბარხალი, ულვინობა, ლანდალე, ინე, ჭოჭოლე — ხიბულას მცხოვრებთ მართებთ ბიჭვინთის ტაძრის ბეგარა... (1621).

ქარცხიას საგვარეულო 219 სულს ითვლის (ზუგდიდი — 94, თბილისი — 19, ბათუმი — 8), (გვარ-სახ. საქ.).

ქაჭუჩაია საკ. სახელი ქაქუჩა (არის მეგრ. მისამღერი: „ქაქა

ქაქუჩელა“). წარმომდგარი ქაიხოსრო საკუთარი სახელისაგან: ქაიხოსრო – ქაქუცა//ქააუჩა, რომელშიც უჩა კნინობითი სუფიქსია.

გვარი 73 სულს ითვლის (ფოთი – 18, თბილისი – 17, მარტვილი – 14, (გვარსახ. საქ., 198).

ქაქუთია ზდრ. კაკოტა. ქაქუთია-ში უთ (-უტა) კნინობითი სუფიქსი გამოიყოფა. ამრიგად, ქაქუთა//კაკუტა სახელი ამოსავალი ფუძე ჩანს.

ქაჩიბაია ქაჩაობა – სიმხდალე, ქალაჩუნობა (ჩუბ.); საქაჩიბაიო (სენაკ. რ.). აქედანაა ქაციბაია.

ქაჩიბაიას გვარი 423 სულს ითვლის (სენაკი – 179, თბილისი – 105, ზუგდიდი – 30), (გვარსახ. საქ-ში).

ქაცარავა (კომ. 16.11.67.3). წარმომდგარია საკ. სახელ ქაცარისაგან, ქაცარი (მგრ.) – თიკანი; ქაცარი, ქარცარი – მენჯი (სენაკ. რ.), ქაცარი ეწოდებოდა სალიპარტიანოს ერთ-ერთ სოფელს. ქაცარავა ხუცესს და ქრისტეშიას მართებთ ხონის საყდრის ბეგარა... (1600).

ქაცარავა, თიკანაძე აქედანაა ლაზური გვარი თიკან-ოღლი, მოსახლეობენ ზუგდიდის რ-ნის სოფ. ანაკლიაში. თიკანი, ქაცარი (მგრ.)=თიკანი, ოღლი – შვილი=თიკანაძე, ქაცარავა. (ტულუში ს., 25).

ქაცარავა გიორგი ხუცესს მართებს „დიდად შემცირებული და მოკლებული ხონის რ-ის გიორგის შეწირულთა გლეხთა დეკანოზის ბეგარა. ურმული, ღომი, 14 კოკა ღვინო, მარჩილის სახორცე, 1 ქათამი, 6 კუახი, ცხული ღომი, 6 ქათამი სამაჭრობო და კიდევ 6 ქათამი ნაშობევს, ნააღდგომევს საბატონო საყუშლიერო ძღუნნი, მაჭრობაზედ მაინძლობა, ნადობა და სამსახური ხორცის წამოღებაზე ხელოსის დაპატიჟება. აგრეთვე მის განაყოფს ქრისტეკოჩის და ივანას მართებს... (კაკაბაძე ს., დას. საქ-ს საეკლესიო საბუთები, 1921, II, 30-31).

ქ. ბუჟა ხუხიას ძე, სოფ. ყულისკარიდან, დღ. ზუგდიდის რ-ნი, თავადი ბეჟან მხეიძის ყმა-გლეხი, სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების მონაწილე, აჯანყებისადმი დაჟინებითი მხარის დაჭერისა და მემამულეთა ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევისათვის 6 წლით ციმბირში გადასახლებული. (საისტ. მ., II, 148).

ქაცარავას საგვარეულო 260 სულს ითვლის (თბილისი – 129, ხობი – 33, ბათუმი – 25), (გვარსახ. საქ-ში).

ქაციბაია (იხ. ქაჩიბაია) ქაციბაიას საგვარეულო 31 სულს ითვლის (სენაკი – 18, ზუგდიდი – 8, თბილისი – 2), (გვარ-სახ. საქ-ში).

ქაბანია წარმომდგარი უნდა იყოს ქაბან შერქმეული სახელისაგან. ძვ. ხიბულა (ხობის რ-ნი), ანაკლია (ზუგდ. რ.), დრანდა (გულრ. რ.), სენაკი, თბილისი. აქ არის ქაბანიების ძირი ხატი და ძვ. ხიბულელი ქაბანაიები ხონში დადიოდნენ ხატზე სალოცავად.

ქაბანაიას გვარი 177 სულს ითვლის (ზუგდიდი – 97, თბილისი –12, ფოთი – 11), (გვარსახ. საქ-ში).

ქაჯაია (კომ. 16.11.67,3); ქაჯი – ტყიური, მავნე სული... (ქაჯ (სპ.) – ყალბი) ცრუმორწმუნე, ავისული, ეშმაკი; „ქაჯა ეთნონიმური წარმოშობისა უნდა იყოს. შდრ. ქაჯეთის ციხე (მაისურაძე), ან ქაჯა შერქმეული მეტსახელი შეიძლება იყოს. ლექაჯაე (მარტვ. რ.), ჭაგანი (სამტრ. რ.); ქაჯაიები ნაწილი აზნაურები იყვნენ. ვფიქრობთ, ქაჯაია, ქაჯა ადამიანის შერქმეულ სახელს გვავარაუდებინებს.

ქაჯაია სკუტი, ძმა – ჰანაფსუ მდაბიო ხალხი, მაჰმადიანნი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. აპრილში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინაში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8; 1).

ქ. დავით ილარიონის ძე, დ. 1912, სოფ. გვაზაური, ახლანდ. ხონის რ-ნი, ქართველი კონსტრუქტორი, პროფესორი (1976), საქ. სსრ დამსახ. ინჟინერი (1961).

ქ ვარლამ ნიკოლოზის ძე, დ. 1906, სოფ. ონოღია ახლანდ. მარტვილის რ-ნი, ქართველი პედაგოგი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე. პედ. მეცნ. კანდიდატი (1948), დოცენტი (1950), რესპ. დამსახ. მასწავლებელი (1955), ავტორი 130-მდე მეცნ. შრომისა.

გვარი მრავალრიცხოვანია. ის შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 157-ე ადგილზეა. გვარი 3585 სულს ითვლის (თბილისი – 872, მარტვილი – 644, ზუგდიდი – 355), (გვარ-სახ. საქ-ში).

ქაჯიანი ქაჯიან-ი (იხ. ქაჯაია). ამ გვარსახელში გამოიყოფა ქაჯ ძირი, -იან მქონებლობა-წარმომავლობის სუფიქსი. ქაჯიანია ჯგეკოჩის, ხიბლას მცხოვრებთ, ემართათ ბიჭვინთის ტაძრის ბეგარა... (1621).

ქებულია მომდინარეობს ქებურ//ქებულ შერქმეული სახელისაგან. ქებულიაში ული//ურა სიტყვამაწარმოებელი ბოლოსართია. შდრ. გვარი ქებაძე. ტოპონ. ქებაანი – ნასოფლარი კასპის რაიონში.

ქებურია ქეიბური – დიდი საბრძოლო ისარი. (გამს. „დიდოსტატის მარჯვ.“ 1984. 371). ქებულ-ი შეიძლება გვარი ქებული სახელისაგან

იყოს მიღებული. შდრ. ქართ. გვარი ქებაძე (გავრცელებულია იმერეთსა და ქართლში).

ქებურია ბესარიონ სავლეს ძე, დ. 1870, სოფ. ქედა ჩხოროწყუ, ქუთაისის გუბ., დღევანდ. ჩხოროწყუს რ-ნი, 1958, თბილისი, პირველი ქართველი მფრინავ-კონსტრუქტორი, სსრკ დამსახ. მფრინავი (1931).

ქერქელია წარმომდგარია ქერქელა შერქმეული სახელისაგან, რომელშიც -ელა კნინობითობის სუფიქსია. ქერქი (ბერძ. ლათ.) 1. კანი ხეთა. 2. ღომის ქერქი. ქერქელია — ქვ. ჩხოროწყუ (ჩხორ. რ.).

ქეცბაია ქეც-ი კანის ერთგვარი ავადმყოფობა, ქაქილი იცის, თმაბალანს აყრევინებს (შდრ. მუნი). შდრ. აფხაზ. ქეცბა. დღესაც „აფხაზურ-მეგრული" კამათი მიმდინარეობს, ვითომ ეს გვარი იყოს „მეგრელიზებული ნამდვილი აფხაზური გვარია, სინამდვილეში კი ზანურიდან ზოგადქართველურისაკენ მიმავალი გზაა" (გ. ერაძე, 16).

ქეცბაია ტერენტი საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

ქ. თემურ, დ. 1964, ქ. ოჩამჩირეში, თბილისის „დინამოს" თავდამსხმელი, ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელი. ქეცბაიას საგვარეულო 592 სულს ითვლის (ზუგდიდი — 202, თბილისი — 171, წალენჯიხა — 69), (გვარსახ. საქ-ში).

ამჟამად ქეცბაიას ერთი სული სახლობს ჩხოროწყუს რ-ნში (ახალაია ვ., 11).

ქვაბალია (იხ. ქობალია).

ქვარაია ქვარა (მგრ) მუცელი. საგვარეულო 650 სულს ითვლის (ზუგდიდი — 452, ხობი — 78, თბილისი — 47), (გვარ-სახ. საქ.).

ქვარანძია (იხ. ქვარაია); საგვარეულო 63 სულს ითვლის (ზუგდიდი — 24, წალენჯიხა — 11, სენაკი — 7), (გვარსახ. საქ.).

ქვარცხავა ქვარცხ — ყვავილი (ჩუბ.); ქვარცხია — ალპური საძოვრები, ლექვარცხე (მარტვ. რ.), ქორცხა — ხორში (სენაკ. რ.), ქვ. ჩხოროწყუ (ჩხორ. რ.).

ქვარცხავა — მღვდელი „დადიანური, ხაჯალური", ანუ რკინის ჯაჭვს, გამიზნულს მონათა დასასჯელად, ხმარობდა მონა გიჟების დასაბმელად მორჩენის მიზნით (იხ. ოდიშარია,. ბატონყმ. სამეგრ., თ. სახოკიას შესავალი).

ქ. დიმიტრი ნიკოლოზის ძე, სენაკის რაიონის კოლხიდის ეთერზეთოვანთა საბჭ. მეურნეობა, სოციალისტური შრომის გმირი.

ქვარცხავას საგვარეულო 1639 სულს ითვლის (ზუგდიდი — 311, მარტვილი — 255, სენაკი 213), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შეისულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 587-ე ადგილზეა (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).*

ქვაჩალია მომდინარეობს ქვაჩალ/ია შერქმეული სახელისაგან. შდრ. მეგრ. გვარი ქვაჩახია. ლექვაჩალე-ტალერი (მარტვ. რ.).

ქვაჩახია (იხ. ქვაცალია) — ქვა — ჩახ-ი, სალესი ქვის ჩარხი; ქვაჩათი, სენაკის რ-ნი, ოქუმი გალის რ-ნი, ოკვაჩახე გუდაუთის რ-ნი.

ქვაჩახია ჩოქოლი (დ. სოფ. ოქუმი, დღ. გალის რ-ნი), სიმინდის უხვი მოსაელის ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი.

ქ. ვენორი მიხეილის ძე, დ. 1924 წ. სოფ. ღუმურიში, ახლ. გალის რ-ნი, 1982, თბილისი, ქართველი ფილოსოფოსი და სოციოლოგი, ფილოს. მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი, მეცნიერების დამსახ. მოღვაწე (1982).

ქ. იროდი მიხეილის ძე, ქართველი ეკონომისტი, პროფესორი.

ქ. ივანე მიხეილის ძე, ფიზიკოსი, მეცნიერებათა კანდიდატი, გ. ტაბიძის ლექსების რუსულ ენაზე მთარგმნელი.

ქვაჩახიას საგვარეულო 528 სულს ითვლის (ზუგდიდი — 179, თბილისი — 108, წალენჯიხა — 46), (გვარსახ. საქ-ში, 199).

ქვაცაბაია ქვაცა (მგრ) ქვაცალა — მარდად მოსიარულე. საგვარეულო 314 სულს ითვლის: ზუგდიდი — 128, წალენჯიხა — 76, თბილისი — 52 (გვარსახ. საქ.).

ქვაცაბია (იხ. ქვაცაბაია) საგვარეულო 49 სულს ითვლის: თბილისი — 10, ზუგდიდი — 8, ქუთაისი — 7 (იქვე).

ქვაცალია ქვაცალა (მგრ.) — მარდად მოსიარულე (ქალი თუ კაცი).

ქვაცარია (იხ. ქვაცალია) ქვაცარიაში ნოხორი (ნასახლარი) კიწია (მარტვ. რ.).

ქვაცბაია (იხ. ქვაცაბაია) საგვარეულო 92 სულს ითვლის (ზუგდიდი — 35, თბილისი — 16, სამტრედია — 8), (იქვე).

ქვაცხია მომდინარეობს ქვაცხია შერქმეული სახელისაგან. მარღია, ემართა ჭალის ეკლესიისა და ნაჯაიანოს სასახლის ბეგარა... (1621).

ქვეითაია ქვეით მოსიარულე; საგვარეულო 60 სულს ითვლის (ოზურგეთი — 40, ქობულეთი — 9, თბილისი — 6), (იქვე).

ქველია მომდინარეობს ქველ საკ. სახელისაგან. შდრ. ქართულ-დაბოლოებიანი გვარები: ქველიძე, სულაქველიძე, ქველიაშვილი. მე-19 ს-ის 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში შერვაშიძეთა

რეზიდენციის ცენტრში სახლობდა 400-მდე კომლი, აქედან 130 გვარეულობიდან 35 იყო აფსუური, ხოლო 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის ქველიაც.

ქითაია ეტიმოლოგია და დამატებითი საილუსტრაციო მასალა საძიებელია.

ქვითია ქვითია შეიძლება მომდინარეობდეს ქვეითა (ქვედა, დაბალი) შერქმეული სახელისაგან. ქვეითი. სოფ. მარტვ. რ-ნში.

ქვილითია „ქვილთაია" ქვილითი (მგრ) — ქვირითი — თევზის ნაწარმი. საგვარეულო 494 სულს ითვლის (აბაშა — 304, თბილისი — 37, ბათუმი — 74), (გვარსახ. საქ.).

ქვილორია ქვილორი (მგრ.) — ქილორი, მტაცებელი ფრინველი. ქვილორები ამჟამად გურიაში და ქვემო იმერეთში არიან. ისე გვარი მეგრული წარმოშობისაა. საგვარეულო 57 სულს ითვლის (ოზურგეთი — 33, ლანჩხუთი — 11, ბაღდადი — 4), (გვარსახ. საქ.).

ქვირია 1. ქვირი (მგრ) — ფქვილი; 2. ქვირ-ას მეგრელები იტყვიან ლამაზ და საშუალო აგებულების გოგონაზე. არის მეგრული სიმღერა: „სი სოულუ სი ქვირა, სი ეშმაკი სი ცირა", „სად მიდიხარ შე ქვირა, შე ეშმაკო ცირა".

ქვირიას საგვარეულო 149 სულს ითვლის (თბილისი — 52, სამტრედია — 30, ბათუმი — 18), (გვარსახ. საქ.).

ქილორია მომდინარეობს ქილორა შერქმეული სახელისაგან. შდრ. მგრ. ქილორ-ი გარეული ფრინველი; დიდი საქილორო ძვ. აბაშა (აბაშ. რ.), თაგილონი (გალ. რ.); ქილორდავა, აქედანაა ქილორია.

ქიმონჯავა ქიმუნჯ-ი ქიმუნჯასს ცემს, ჰკრავს, უთავაზებს... მუშტსა სცემს... (ქეგლ). მომდინარეობს ქიმონჯა შერქმეული სახელისაგან.

ქირთბაია ეტიმოლოგია უკავშირდება ქართველის მეგრულ ქართ — ქართ-ის სახელს. მოსახლეობენ გალის რაიონის სოფ. ოტობაიაში.

ქირთბაია ნესტორ — დაიბადა გალის რაიონის სოფ. ოტობაიაში, ქართული ინტელიგენციის პირველი თაობის წარმომადგენელი, საქართველოს დამსახ. მასწავლებელი.

ქ. შოთა ნესტორის ძე, დ. გალის რაიონის სოფ. ოტობაიაში, მედიცინის დამსახურებული მოღვაწე.

ქ. ნესტორის ძე სოფლის მეცნიერებათა დოქტორი, კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ქ ალექსანდრე (შურა) ნესტორის ასული, დ. გალ. რ-ნის სოფ. ოტობაიაში, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

ქირთბაიას საგვარეულო 88 სულს ითვლის (ზუგდიდი — 32, თბილისი — 22, ფოთი — 10), (გვარ-სახ. საქ-ში).

ქირია ქირი (მგრ.) — ქორი; აბასთუმანი, კოკი (ზუგდ. რ.). ხობის რ-ნის სოფ. ხეთაში იყო ქირიების ოჯახი. ოთხი ძმა: ტემურია, ლარუა, გვაძი, ჯკვებერე თავიანთი ცოლ-შვილით ერთად ცხოვრობდნენ. საეკლესიო გლეხები იყვნენ. ჰქონდათ: 30 ორთალი მიწა (ორთალი — მიწის საზომია). ოგაფა, რასაც ერთ დღეში მოხნავდა, 2,5 ორთალი=1 ჰ-ს), 30-მდე ძროხა, ოთხი ცხენი თავისი უნაგირით, ოჯახი ორ ხარზე მეტს არ გაიჩერებდა, ე. ი. ერთი უღელი ხარი ოჯახს ყოფნიდა.

ქირიები იხსენიებიან როგორც მიგრატები და ოკრიბაში ნაბოსლავში დაფუძნებულნი, ქირათელიძეებად ქცეულნი. (ქართვ. მემკ. 3, 1999, 197).

ქირია ქუჩუის, ცაიშის მონასტრის გლეხს, თავადმა დავით დადიანმა 1848 წ. 1 მარტს შეაწერა: (სტილი დაცულია) „არს მამრითი სქესი ექვსი სული, რომელსაც მართებს სამთავრო გადასახადი: ერთი ბეგარა ღორი, ერთი ქილა საუდიერო ღომი, ორი ქილა ბეგარა ღომი, აგრეთვე ხუროს ხარჯი მართებს ერთი საკლავი, ერთი ქილა ღომი და ერთი კოკა ღვინო, ექვსი კოკა ბეგარა ღვინო და ერთი კოკა საუდიერო ღვინო, ერთი კოტხო ლობიო, ამასთან ერთი ლანდი აბრეშუმი მართებს ცაიშის ეკლესიას, აგრეთვე, ახლის პურის ძღვენი მართებს ოთხი დედო-პური, ოთხი სულუგუნი, საბოჭი ქათამი, ცხენის ჩაბმა, ტვირთობა, ნადობა და მუშაობა“. (მეუნარგია ი. 91). ცაიშის მონასტრის გლეხობა შეადგენდა 94-ს.

ქირია ჩელირ, ხუჭუ, აბრაგი მოხსენიებულნი არიან, როგორც გლეხნი, წარმართული სარწმუნოებისანი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. აპრილში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., 1997, გვ. 6, 81, 82, 85).

ქ. შალვა ნესტორის ძე, დ. 1910, ზუგდიდი რ-ნის სოფ. ცაიშში, საბჭოთა კავშირის გმირი (1944) გენერალ-მაიორი. (მათ ასახელეს, 390-393).

ქ. ვლადიმერ სპირიდონის ძე დ. 1911 უფროსი ლეიტენანტი თსუ-ის დოცენტი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი. (ზაქარიაძე ე., 40).

ქ. შოთა იასონის ძე (1914-1985), დარჩელი (ზუგდ.), საქ. სსრ დამსახ ზოოტექნიკოსი „კომუნიზმის დროშით“, 20.IV.85.

ქირიას საგვარეულო 3857 სულს ითვლის (ზუგდიდი — 2070, ხობი — 698, თბილისი — 400), (გვარ-სახ. საქ-ში, 200). გვარი

შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 135-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ქიქავა ქიქა – დაღებული (პირი); ლექიქე – ლეხაინდრე (მარტვ. რ.); ქიქავების ნაწილი აზნაურები იყვნენ. ქიქავა მომდინარეობს ქიქა შერქმეული სახელისაგან. შდრ. ქართ. გვარი: ქიქოძე.

საგვარეულო 714 სულს ითვლის (მარტვილი – 239, ბათუმი – 126, თბილისი – 97), (გვარსახ. საქ-ში).

ქიქია წარმომდგარი უნდა იყოს ქიქია შერქმეული სახელისაგან. ქიქ-ი წვრილი მატლი (ქეგლ).

ქიშმარია უძვ. ეთნონიმი – ქიმერი, ქი(ჭშ)მარი, შ – ჩართული ბგერაა. სუფიქსი მარი – მარიამ ღმრთისმშობლის შემოკლებული სახელია; მაგრამ ეს ეტიმოლოგია უფრო ხალხურს ჰგავს. ამიტომ გვარსახელის დამატებით ეტიმოლოგიური კვლევაც დაზუსტებას მოითხოვს. კვიტოული (ოჩამჩ. რ.), ჭუბურხინჯი (გალის რ.). ან: ქიშმარია შეიძლება ქიშმარ//ქიშვარ (ქიშვარდ) სახელისაგან მომდინარეობდეს. ქიშმარიხე (ქიშმარიას ასულზე) არის ანდაზა: ქიშმარიხეს კოპეშიაში ბედი უღუდუა. „ქიშმარიას ასულს კვახის ბედი ჰქონდაო“, (ხალხ. სიბრძ., 142).

ქიშმარიას საგვარეულო 196 სულს ითვლის: ზუგდიდი – 64, თბილისი – 42, სენაკი – 23 (გვარ-სახ. საქ-ში).

ქობალია ქობალი (მგრ.) – პური; წარმომდგარია ქობალ(ა) შერქმეული სახელისაგან. შდრ. (მეგრ.) ქობალავა, ქართ. ხორბალაძე. ლექობალე – ჭოლა, ქობალიეს უბანი – ნაფიჩხოვო (ჩხორ. რ.), ნაქობალუ (სენაკ. რ.). აქედანაა ქობალავა. ქობალია გერასიმე, გაბისულავა ანდრონიკე და დადიანი ვამეყ გაგზავნილ იქნენ კონსტანტინოპოლს, წალენჯიხის ეკლესიის პირველად მოსახატავად. (საქ. სიძვ., 3,325); სამეგრელოში იყო ოქობალური – საპურო გადასახადი (პურის გალეწვის დამთავრების შემდეგ).

ქობალავა ქობალავა და ქობალია სიტყვასიტყვით პურაძეს, ხორბალაძეს ნიშნავს.

ქობალია კუტუ ან ჭუჭუ სოფ. ჯგალიდან (დღ. წალენჯიხის რ-ნი), საეკლესიო გლეხი, გადასახლებული ციმბირში 6 წლით სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების დაჟინებითი მხარის დაჭერისა და მემამულეთა ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევისათვის. (საისტ. მ., 147).

ქ. ივანე ანტონის ძე, დ. 1924, სოფ. ლია, წალენჯიხის რ-ნი, ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი (1971), მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1984).

ქ. ნუცა (წალენჯ. რ.) ვაჭრობის დარგის დამსახურებული მუშაკი. („კომ. დრო“. 6.XII.79).


ქ. კარლო, ზუგდიდის რ-ნის ინგირის მეურნეობის მექანიზატორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ქობალიას საგვარეულო მრავალრიცხოვანია, ის შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ათასი გვარის სიაში. გვარი 5209 სულს ითვლის (ზუგდიდი — 2340, წალენჯიხა — 630, თბილისი — 572), (გვარ-სახ. საქ-ში, 200).

ქობულია ქობული — გოდორივით კაწანია, სადაც შესაყვარებლად ცხვარ-ბატკანს ამწყვდევენ (ახუაშვილი, 559, შენიშვნა). „ქობულ“ საკუთარი სახელისაგან. შდრ. ტოპონ. ქობულეთი, გვარი ქობლიანიძე, ქობულაშვილი, ქობულოვი. ქობულო სოფ. დუშეთის რ-ნში.

„ქობულაშვილი უძველესი გვარია. მისი ძველი ფორმაა ქობულის ძე. ვახუშტი წერს: „ხოლო გვარნი მთავართა მათი ძველთანი ესენი არიან ქობულის ძე, დონაური, არელმანელი, ბაღუაში, რომელი იყო ლიპარიტის ძე“. (ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 13).

თავადი ქობულაშვილი ამათი წინაპარნი იყვნენ, ქობულად წოდებულნი, უკვე 882 სუმბატ მეფე აფხაზეთს წავიდა, თან გაჰყვნენ ქობულის ძენიც. ქობულთა შვილთაგან დაშთნენ გურიას ადგილს ქობულეთსა შინა და იყვნენ მუნ...“ (ახუაშვ. 558).



ქობულეთის რაიონი

ქობულია გიორგი სამსონის ძე (1909-1987), დ. სოფ. ღანირში, ამჟ. სამტრ. რ-ნი, საქ-ს დამსახ. ინჟინერი (1961), საქ. სსრ სახ. პრემიის ლაურეატი მეცნ. და ტექნიკის დარგში (1971), (ჯაფარიძე ს., 22).

ქობულიას საგვარეულო ამჟამად 342 სულს ითვლის (აბაშა – 89, თბილისი – 88, სამტრედია – 39), (გვარ-სახ. საქ-ში).

ქოიავა მომდინარეობს ქოია შერქმეული სახელისაგან. გავრცელებული გვარია, 481 სულს ითვლის: თბილისი – 533, აბაშა – 397, ფოთი – 195. (გვარ-სახ. საქ-ში). გვარი შესულია საქართველოში გავრცელებული 25000-ზე მეტი გვარიდან ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 668-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

ქოიავა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, დ. ქ. ოჩამჩირეში 1892 წ., ეკონომიურ მეცნ. დოქტორი, მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფესორი.

ქორაია წარმომდგარია ქორა მეტსახელისაგან. ქორი მტაცებელი ფრინველია; 1. ქორა (ხარი) – რქათეთრი ხარი; ლექორაიე – თამაკონი (მარტვ. რ.), ქარეთი (ჭიათ. რ.).

ქორაიას საგვარეულო 179 სულს ითვლის (მარტვილი – 94, თბილისი – 15, სენაკი – 10), (გვარსახ. საქ-ში, 201).

ქორთაა (იხ. ქორთუა) ქორთა სოფ. ონის რ-ნში. ბატკუა, ჯგეკოჩა, ხუხურიკა, მხარებელი, ოქროპირ, დოხვადია, მიჭაჭვია, მიხილია, სამალეი, მათლაი, ხუხურია, მლობა, კვახილია, დალაბია, ხახუტია, გულეჯია, გვანიშია, შურიმიდგა, სამართალი, მიხილია, საბაკუ, საგულისაი, ქაშაბი, ლახუ – ემართათ დარჩელის სასახლის ბეგარა...

ქორთუა ა-ქართუა (აფხ.), ქორთუ (მგრ.) (დ. გულია. ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934). ქორთა სოფ. ონის რ-ნში, ეთნ. ქართველის კოლხური ვარიანტი. აქედანაა **კორთუან, კორტულ, კუარტაა, კორტაგა**... (იხ. ალფაბეტის მიხედვით); ნაქორთუ (ნაქართველარი – ძვ. სენაკი, ნაქართუ-ეკი (სენაკ. რ.), ლიხნი (გუდ. რ.), **კორტა, ქორთა, ქორთა** ნასახლარი (ონის რ.), ქართუა ღალ (კოლხ.) – ღელე – ლეწურწუმე (ჩხორ. რ.), ხეთა (ხობ. რ.), ქორთუები აფხაზეთში ჩამოსახლდნენ 1874 წ. (აცსა ფ. ისტ., საქმე 12, 13, გვ. 71-72), (ავტორის პირად არქივში ინახება ამ ფონდიდან ამონაბეჭდი ფოტო – ასლები ქორთუების გვარის გენეალოგიის რუკებისა). გვარი წყაროებში მოიხსენიება: „ქორთაძე" და ქართუაძეც. ქორთუები დიდი თავადები ყოფილან... ლევან II დადიანის სამთავროში (1611-1657) მერაბ ქორთუას ეკავა ვეზირთუხუცესის თანამდებობა.

ქორთუა მოხსენიებულია სოფ. ლეხინოში (ვფიქრობთ, უნდა იყოს გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნი) მცხოვრებ ქართველად (გაზ. „საქართველო", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

1874 წ. დღევანდელ ხობის რაიონის სოფ. ხეთადან აფხაზეთში ჩამოსახლდა სამეგრელოს აზნაურთა წრის წარმომადგენელთა ოჯახი. დოკუმენტს თან ახლავს ქორთუების გვარის გენეალოგიის სქემა. ქორთუა მეგრულია და ნიშნავს „ქართველია“. ამჟამად კი აფხაზეთში მცხოვრები ქორთუების გვარის მატარებელნი აფხაზებად თვლიან თავს.

ქორთუა როსტომი, ერთი უპირველესი დიდბატონი მეგრელიისა, (კასტელი, 169). ქ. თეთრუა ქალიშვილი მუყაითი თავმდაბალი და დარბაისელი ქალი, მთავარმა გურიელმა მოსამსახურედ მისცა პატრებს 1636 წლიდან 1640 წლამდე (კასტელი, 115).

ქ. ისაკი მელიტონის ძე (ძვ. აბასთუმანი, ზუგდ. რ.) საქ. სსრ დამსახ. ჟურნალისტი, დიდი სამ. ომის ვეტერანი. (გაზ. „კომ. დრ.“, 11.XII. 80).

შემდეგში ეს გვარი შემცირდა და გააზნაურდა. მათი შთამომავლები იყვნენ ხეთელი ქორთუები (ილ. ანთელავა, 64).

ქორთუას საგვარეულო 282 სულს ითვლის (ზუგდიდი — 161, თბილისი — 64, სენაკი — 13), (გვარსახ. საქ-ში).

ქორია (იხ. ქორაია) შდრ. კოლხ. ქორი (მგრ.), ქირი — მტაცებელი. გარეული ფრინველი. მხრებელს, ქაქალიას, გუგულიას, ჩოხათის მიმდგომთ ემართათ ბეგარა... ქორია ომარხალა, მიხილია, ამუნა — ემართათ ჭალაის სასახლის ბეგარა.. ქორია მასხუია, ამასცალა, მოკეთია, ნაცვალი, სიმამული, მიხილია, ამარცალა, მკერვალ, ამუნა, მახუტია. სოლომართაი, ხუხინია, ჯვარეი, ხუხიტა, ოსორთუდა, კაკაია — ემართათ საცაიშლო ბეგარა... (1621).

ქ. ავთანდილ გიორგის ძე (1935, თბილისი 1966) ქართველი სპორტსმენი, მოჭიდავე (კლასიკური ჭიდაობა) სსრკ სპორტის ოსტატი (1960).

ქორია ფილიმონ იასეს ძე, დ. (1829, სოფ. გამოჩინებული, ახლანდ. ზემო აბაშა, სამტრედიის რ-ნი, 1911, ბახმარო, ახლანდ. ჩოხატაურის რ-ნი, დაკრძალულია ოზურგეთში). პირველი ქართველი პროფესიონალი მომღერალი (ბანი), პედაგოგი, ფოლკლორისტი, ხალხ. გუნდების ორგანიზატორი და ლოტბარი.

ქარეთი სოფ. საჩხერის რ-ნში, ეწოდა ქორებისაგან, რაც აქ ადრე ბევრი ყოფილა. ქორეთი სოფ. ახმეტის რ-ნში. (გოგატიშვ. 42).

ქორიას საგვარეულო 20 სულს ითვლის (ზუგდიდი — 5, თბილისი — 4, ბათუმი — 1), (გვარ-სახ. საქ-ში).

ქორქია ქოქი — ჩირგვიანი ეკალი (ჩუბ.); საქორქიო — ზემო

ჭალადიდი, ქორქიაში ჭალე-ზანათი (აბაშ. რ.), ქორქიაში ნოხორი (ნასახლარი, აბაშ. რ.), საქორქიო — აბედათი (მარტვ. რ.), თაგილონი (გალ. რ.).

ქორქიები მოიხსენიებიან სოჭის რაიონის სოფელ პლასტუნკაში მოსახლე ქართველთა შორის (გაზ. „იერია" 1888 წ. ივლისი, 146, გვ. 2).

ქ. როდიონ კოლენიკეს ძე (1804-1894), სოფ. ჭალადიდი, ახლანდ. ხობის რ-ნი, 1984, თბილისი, ქართველი მწერალი, ქართ. საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. შიო მღვიმელის პრემიის ლაურეატი.

ქ. ოთარ მიხეილის ძე (1923, ქუთაისი), ქართველი სპორტსმენი, კალათბურთელი. სსრკ სპორტის დამსახ. ოსტატი (1950), სსრკ დამსახ. მწვრთნელი (1967).

ქორქიას საგვარეულო ამჟამად 277 სულს ითვლის (თბილისი — 104, ფოთი — 90, ბათუმი — 15), (გვარსახ. საქ-ში).

ქორქია ალექსანდრე (1879-1959) განისვენებს საფრანგეთში, პარიზთან ახლოს, დ. ლევილის ქართულ პანთეონში (გაზ. „ლიტ. საქ", 1990, 14 აპრილი).

ქორჩილავა ქორჩი (მგრ.) — გაჭამე; კუთხე იმერეთში , ქორჩიოტა (ლეჩხუმის, რაჭის რ-ნები) იგივეა, რაც ყორჩვარდა (მც.); საქორჩილო (ქ. აბაშა): აფხაზეთის საკათალიკოსო დიდ დავთარში მოხსენიებულია ქორჩოლუა, მხცოვრები სუბეიშში (დღ. სუბეიშში). ამრიგად, ქორჩილავა ისტორიულად ქორჩილა მეტსახელს გულისხმობს.

ქორჩილავას საგვარეულო 515 სულს ითვლის (აბაშა — 157, თბილისი — 111, ფოთი — 67), (გვარ-სახ. საქ-ში).

ქორჩილუა (იხ. ქორჩილავა): ყელგრძელი, მაშში, მუხურელი — ემართათ სუბვის სასახლის ბეგარა... (1621).

ქოჩაკია მომდინარეობს ქოჩაკ შერქმეული სახელისაგან. ქოჩორი — ადამიანის თავის ზემო ნაწილის თმა (ქეგლ); საქოჩაკიო — ზემო ჭალადიდი, ქოჩაკიაში ნაპარონ (რუსული) — ყოფილი სანაოსნო (სენაკ. რ.), ლექოჩაკე — წალენჯ. რ. — ჩქვალერი.

ქოჩაკიძე ქოჩაკიადან წარმოებული გვარია. (იხ. ქოჩაკია). გიორგი ქოჩაკიძე, დაიბადა ჭალადიდში (სენაკ. რ., 1847-1898). მისი ფსევდონიმებია: „ჭალადიდელი", „სირიაჩქონელი ჭიშვარდიანი", პოეტი, თერგდალეულთა მიმდევარი. სამხედრო პირი (სწავლობდა პეტერბურგის სამხედრო სასწავლებელში, რომელიც 1873 წ. დაასრულა ოფიცრის

ჩინით). გ. ჭალადიდელის ლექსები: „ფაცხა“ („მიყვარს ფაცხა მე მეგრული“) და „მოგონება“ („მახსოვს პირველად სასწავლებელში“) სიმღერებად იქცა და დღესაც პოპულარულია.

ქოჩაკიძე ოდიშის თავადი ქუშანგ ან ქოჩანგ. „არის ადგილსა ხორსნის მხარეს ხორაზმისასა და ოდეს ზაქარია მხარგრძელმან ბრძო ხორასნელთა დროსა თამარ მეფისასა, მაშინ ქოჩანგ მთავრის ძე, მცირე ყრმა მოიყვანა მძევლად; ესე ყრმა მონათლეს ქრისტიანედ დაასახლეს ოდიშში და იწოდა თავად ქოჩაკი ძედ. („ივერია“, 1883, № 11, 12; 1884, 1-12).

ქოჩაკიძე, ჩქვალერი (წალენჯ. რ.) ქოჩაკიები ახლა აქ არ ცხოვრობენ (გაზ. „კომ. გაზით“, 27.VIII.83).

ქოჩაკიძე (ქოჩაკია, ავტ.) მაქსიმე (მამა პოეტი გიორგი ჭალადიდელისა), მარტვილის მაზრის უფროსი. (მეუნარგია ი., 114).

ქოჩოლავა (იხ. ქოჩაკია) გიორგი იხსენიება XI-XII საუკუნეებში ილორის ტაძრის მოღვაწე მღვდელი (ქართვ. მემკ., 3, 57).

ქოჩუა წარმომდგარია ქოჩუ საკუთარი სახელისაგან. 1. ქოჩი – შებარდული ხე (საბა); 2. ქოჩუა (კოლხ.) – აჭამა.

ქოჩუას საგვარეულო 85 სულს ითვლის (ზუგდიდი – 148, თბილისი – 10, ზესტაფონი – 4), (გვარსახ. საქ-ში).

ქუდუბერია საკ. სახელი ქუდ-ი, ბერ-ი ძველი – ძველქუდიანი?

ქუთელია ქუთ(ა)თ(ა)-(ი) სელია – ქუათა-ის-ელ-ია – ქუტაისელია; ლექუთელე-კიწია, ქუთელიაში ნაუდუ (მგრ ნასახლარი) – სერგიეთი (მარტვ. რ.), ქუთელია სოფ. შუახევის რ-ნში. ნაქუთელუ-თაია (ჩხორ. რ.). მეორენაირად, ქუთელია შეიძლება მომდინარეობდეს ქუნთელ მეგრული სიტყვისაგან.

ქუთელიას საგვარეულო 912 სულს ითვლის (ზუგდიდი – 324, თბილისი – 115, სენაკი – 87), (გვარ-სახ. საქ-ში).

ქულავა წარმომდგარია ქულა მეტსახელისაგან. მგრ. ქულა – კოჭლი. აქედანაა: გვარი **ქულანავა**. „ქულაია“ – „ასკინკილა“ – შეკიბრი ცალ-ფეხა სირბილში. საგვარეულო ამჟამად 69 სულს ითვლის (ზუგდიდი – 30, სენაკი – 19, ბორჯომი – 8), (გვარსახ. საქ-ში).

ქულანავა (იხ. ქულავა).

საგვარეულო 34 სულს ითვლის (ზუგდიდი – 19, წალენჯიხა – 9, ჩხოროწყუ – 1), (გვარსახ. საქ-ში).

ქუნთელია იგივეა, რაც გვარსახელი ქუთელია. ნარი განვითარებულია, რაც ფრიად დამახასიათებელი მეგრულისათვის. გვარსახელი წარმომ-

დგარია ქუნთელ ძეტსახელისაგან მეგრ. უქითოლუანს — „კუდს უქიცინებს“.

საგვარეულო 177 სულს ითვლის (თბილისი — 69, აბაშა — 60, სამტრედია — 21), (გვარ-სახ. საქ-ში).

ქუნია ქურუა (მგრ) — დაფარება, ქუნია ბაბადიას ემართა ხოირის სასახლის ბეგარა... (1621).

ქურდაგია გვარს საფუძვლად უდევს ძველ საქართველოში გავრცელებული მამაკაცის სახელი „ქურდია“ (ეს სახელი ფიქსირებულია „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“), (თოფჩიშვ. რ. როდის... 50). შდრ. ქურდაძე — იმერეთში გვარმა ვერ პოვა გავრცელება გასაგები მიზეზების გამო.

ქურდაგიას საგვარეულო 46 სულს ითვლის (თბილისი — 22, ზუგდიდი — 11, წყალტუბო — 6), (გვარსახ. საქ-ში).

ქურია 1. ქური (მგრ) — კავზე მიცმული საბვნელი, (ელიავა გ., ლექსიკ.) ქურიას ემართა ხოირის სასახლის ბეგარა... (1621).ქურთა მდ. და სოფლები ახალგორის რაიონებში; 2. ქური (მგრ.) ქუსლი.

ქურსუა ქურა-ი (მგრ.) — ქუსლი — „ადამიანის ფეხის (ტერფის) უკანა მრგვალი ნაწილი“ (ქეგლ); ქურსუა (მგრ.) — დაწიხლვა. ჯვარი (წალენჯ. რ.), ჭუბურხინჯი (გალ. რ.).

ჩქვალერი (წალენჯ. რ.) ამჟამად ქურსუები აქ არ ცხოვრობენ, არის ტოპონიმი ლექურსუე. (გაზ. „კომ. გზით“, 27.VIII.83).

ქურსუას საგვარეულო 144 სულს ითვლის (ზუგდიდი — 55, თბილისი — 46, წალენჯიხა — 8), (გვარსახ. საქ-ში, 203).

ქურქალია ნაწარმოებია ქურქალ მეტსახელისაგან. ქურქი თბილი წამოსასხამი.

ქურცუა 1. ქურსი (მგრ.) — წიხლი (ელიავა გ., ლექსიკ.) 2. ქურცინა — თრითინა.

ქურცუას საგვარეულო 64 სულს ითვლის (ოზურგეთი — 54, თბილისი — 4, მცხეთა — 2), (გვარსახ. საქ- ში).

ქურხუა ქურხლ-ი „ხეზე დადებული თოვლი“ (ჩუბ.), ნაწარმოებია ქურხუ შერქმეული სახელისაგან. შდრ. ქართ. გვარი ქურხული.

ქუქალია წარმომდგარია ქუქალა შერქმეული სახელისაგან. ქუქალია: მიჰამია, ვამიგოლი, ხახუტია — მართებთ დარჩელის სასახლის ბეგარა...

ქუქალიას საგვარეულო 90 სულს ითვლის (სამტრედია — 56, ბათუმი — 9, აბაშა — 8), (გვარსახ. საქ-ში).

ქუჩახია იგივე გვარია, რაც ქვაჩახია. ვა-ო/უ.

ქუჩუბერია წარმომდგარია ქუჩუბერ შერქმეული სახელისაგან. შდრ. გვარი ქუჩულორია.

ქუჩუბერიას საგვარეულო 21 სულს ითვლის (თბილისი — 9, სამტრედია — 3, ჩხოროწყუ — 2), (გვარსახ. საქ-ში).

ქუჩულორია ქუჩულა ძვ. ყვავთ დამათრობელი წამალი (საბა). ნაქოჩულორი — ლეძაძამე (სენაკ. რ.), 1834-1835 წწ. აღრიცხვით, დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში ერთეული აფსუური გვარი სახლობდა, ხოლო ქართველი 156 სული, მათ შორის ქუჩულორია (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ქუჩულორიას საგვარეულო 168 სულს ითვლის (წალენჯიხა — 51, თბილისი — 37, ზუგდიდი — 31), (გვარ-სახ. საქ.).

ქუცურავა (იხ. ქუცურუა). ქუცურავა ამარცალია — ემართა ჯგალის სასახლის ბეგარა... (1621).

ქუცურია 1. დაბალი და მჭლე კაცი; 1. ქუცურა ძაღლის სახელი (ქეგლ). ამრიგად, გვარსახელი ქუცურუა მეტსახელისაგან უნდა მომდინარეობდეს. ქუცურუები მოსახლეობენ: ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ჩხოროწყუში.

ქუცურუას საგვარეულო 83 სულს ითვლის (თბილისი — 8, ზუგდიდი — 4, სენაკი — 3), (იქვე).

ქუხილავა, ადგ. გამოთმით, ქუხილაა, წარმომდგარია ქუხილა შერქმეული სახელისაგან. ქუხილ-ი, ჭექა, გრიალი ღრუბელში... (ქეგლ).

ქუხილავები მოსახლეობენ წალენჯიხის რ-ნის სოფ. ჯვარში. ამავე რაიონის სოფ. ჩქვალერში მცხოვრები ძმები: კოქია და ალექსი განთქმული მეკოგეები იყვნენ.

ქუხილავას საგვარეულო 801 სულს ითვლის (წალენჯიხა — 357, ზუგდიდი — 247, თბილისი — 15), (გვარ-სახ. საქ.).

ღაბუა ღაბუ (მგრ) — ყბედი (ელიავა გ. ლექსიკ.); ღაბო ღაღაბო; ოღაბუე — კურზუ (მარტვ. რ.).

ღადუა ღადერი — ღრმად სერვა (ბრჭყალით, ფრჩხილით (ქეგლ). ღადური (სენაკ. რ.), („ღადუები აქ უკვე არ ცხოვრობენ"). ღიდიში ამბროლაურის რ-ნში.

ღადუები 240 სულს შეადგენს (ზუგდიდი — 45, თბილისი — 39, ფოთი — 30), (გვარსახ. საქ.)

ღაჟონია ეტიმოლოგია საკლევია. საგვარეულო 103 სულს ითვლის (ოზურგეთი — 76, თბილისი — 10, რუსთავი — 9), (გვარსახ.) საქ.)

ღაჩუა ღაჭუა, შდრ. ბაჩუა//ბაჭუა. (ჩ ჩართული ბგერაა, უნდა იყოს ღაჭუა). ემართა ხაუჟელის სასახლის ბეგარა... (1621). წარმომდგარია ღაჭუა მეტსახელისაგან.

ღაჭუა (იხ. ღაჩუა). ღაჭავას საგვარეულო 696 სულს ითვლის (ზუგდიდი — 173, თბილისი — 137, მარტვილი — 50), (გვარ-სახ. საქ.)

ღაჭონია მოსაქმეობაზე მიგვითითებს. ღაჭუა (მგრ.) კრეჭვა (გაკრეჭვა — თმის); ოღაჭუე (საკრეჭაო — სადალაქო). — კიწია (მარტვ. რ.), ღაჭონია-ში -ონა(უნა) კნინობითობის სუფიქსი ჩანს.

ღვაბერია ღვა-ბერ-ი-ა, ღვა (მგრ.) — „ლოყა, ღაწვი", ბერი — ძველი — ლოყაძველი, დაბერებული. შდრ. ქართ. გვარი ღვაბერიძე.

საგვარეულო 109 სულს ადგენს (თბილისი — 34, სენაკი — 23, აუგდიდი — 15), (გვარსახ. საქ.).

ღვამიჩავა ღვა-მიჩ-ა-ვა, ღვა (მგრ.) — ლოყა, (მი — ჩართული ბგერებია) -ჩა — შავი, ვა — ძე — ლოყაშავა — შავგვრემანი; საღვაჩიჩო — ჭალადიდი (ხობის რ.). ამრიგად, ღვამიჩავა წარმომდგარია ღვამიჩა მეტსახელისაგან.

ღვამიჩავას საგვარეულო 102 სულს ითვლის (ფოთი — 42, თბილისი — 54, გორი — 7), (გვარსახ. საქ.).*

ღვანერია ღვა-ნერი-ა — ლოყანერიანი, ლოყამიმზიდველი. საღვანიო-სეფიეთი (სენაკ. რ.). „ამჟამად ღვანერიები აქ არ ცხოვრობენ".

ღვანია ღვანა, ღვენა (მგრ.) — ქონა. მოსახლეობენ აბაშის რ-ნის სოფ. სეფიეთში. მიგრირებული გვარია. ისინი ცხოვრობენ საჩაიოს უბანში. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ბატონის მოკვლის გამო ხონიდან მოსულან მე-18 ს. ბოლოს. გვარის დაფარვის მიზნით, სამეგრელოსათვის თავშეფარებულებს ადრინდელი გვარი ღვამბერიძე ღვანიათი შეუცვლიათ.

1804 წ. აღწერით სეფიეთში ღვანიების ცხრა ოჯახი მკვიდრობდა. (ქართვ. მემკ., I, 1996, გვ. 54). ლელვანიე სოფ. დღ. შორაპნის რ-ნში. მოსახლეობის 1897 წ. I აღწერით ლელვანიე შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრაში და მოსახლეობდა 1073 სული.

ღვანია მათეა – საბატონო ყმა 1850 წ. ივლისის 26 № 110, თხოვნა, მიცემული დავით დადიანისადმი და ამის გამო დადიანის მიწერილობა აზნაურ მეთოდე ხოშტარიასადმი. საბატონო ყმას მათე ღვანიას სახლი დაეწვა. მებატონე ფილიპია თოფურიამ ცოლი გაულახა, მერე ყანაში მიუხტა და იქ ცემით სიკვდილს ძლივს გადაურჩა... მთავარმა ხოშტარიას მოწერა რომ შეარიგეთ, ყმას ასე ნუ მოექცევა... (სოსელია, 128-129, საბ. 110).

ღვარძიკია ეტიმოლოგია საკვლევია. სოლომონ ნახსენებია, როგორც გლეხი წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. აპრილში გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნი (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვება, მარტი, 1997).

მე-19 ს-ის 30-იან წლებში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი, აქედან 130 გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის ღვარძიკია.

ღვარძიკიას საგვარეულო 217 სულს ითვლის (თბილისი – 85, სამტრედია – 44, ვანი – 29), (გვარსახ. საქ.).

ღვაჭაჭია ღვაჭა (მგრ.) – საქონლის პირის ღრუს, უფრო ენის ჭიანი-შეწუკიანი ავადმყოფობა. წარმომდგარია ღვაჭაჭა მეტსახელისაგან. ღვაჭაჭა ლიბერდღვი, ემართა საცაიშლო ბეგარა... (1621).

ღვეძია შიო, ლესარეს მცხოვრები გლეხი მოხსნიებულია, როგორც შეწირული ოდიშის მთაწმინდის (ხარების) ეკლესიისადმი (1642) (მას. საქ. გეოგრ. I, გვ. 101) შდ. ღვანიძე.

ღელეყვა ღელე-ყვა=ღელემ შობა. საგვარეულო 150 სულს ითვლის (ოზურგეთი – 93, ლანჩხუთი – 23, ბათუმი – 17), (გვარ-სახ. საქ.).

ღვინჯილია ღვინჯა (მგრ.) – მწიფე (მსხალი, ვაშლი...). 80 წლის (1973 წ.) მიხა კვატიას ძე ღვინჯილიას ცნობით, ზუგდიდის რაიონის სოფ. ყულისკარიდან მათი გვარიდან სამი ძმა: ხუნ, მახვი და სალამახვ გადასახლდა სოფ. კინდღში (ოჩამჩირ. რ.), მათი ჯინჯი (ძირი) ხატი იქაა-ყულისკარში. ამრიგად, ღვინჯილია წარმომდგარია ღვინჯილ(ა) მეტსახელისაგან. გვინ-ლელვინჯილე სოფ. წალენჯიხის რ-ნში.

ღვინჯილია ბითუ უტუს ძე სოფ. წალენჯიხიდან, დღ. წალენჯიხის რ. თავად ფარნაოზ დადიანის ყმა-გლეხი, სამეგრელოს გლეხთა 1857

წ. აჯანყების აქტიური მონაწილე, რუსეთის ხელისუფლებასთან შეიარაღებული დაპირისპირების გამო 10 წლით ციმბირში გადასახლებული. (საისტ. მ., II, 148).

ღვინჯილია ჯანსულ — მწერალი და კრიტიკოსი.

ღვინჯილიას საგვარეულო 2469 სულს ითვლის (წალენჯიხა — 577, ზუგდიდი — 398, თბილისი — 385), (გვარ-სახ. საქ, 204).

გვარი შესულია საქ-ში ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და 323-ე ადგილზეა.

ღვინია ღვინო (საქ. სიძვ. II, 184). ა-ღვი (აფხ.) ღვინი (მგრ.) დ. გულია, ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934).

გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში გაქრისტიანებულთა 1837 წ. სიაში.

ღვინჯიას ქალი ფათუკე მოხსენიებულია, როგორც თათრი და მონათლული ქრისტიანად 1834 წ. იანვარში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997, გვ. 8, 1).

ღორჯომია ღორჯო (მგრ.) — თევზის ჯიშია პატარა ზომისა, მრავლდება და იზრდება ღელეებში. ღორჯომელაძეები მოსაბლეობენ აჭარის რესპუბლიკის დიოკნისის თემში.

ღრუბლაია წარმომდგარია საკ. სახელ ღრუბელისაგან. ღრუბლაია მამისმამას, კოჭოლიას, ვიჩის ემართათ ნაჭალეულის სასახლის ბეგარა... (1921). ღრუბელა — სოფ. ხეთაგუროვში, ცხინვალის რ-ნში (შიდა ქართლი). შდრ. ღურბელაძე, ღრუბელაძე.

ღუამჭითავა ღვა-მჭითავა ღვა (მგრ) — ლოყამჭითა მ ბგერა ჩართულია, ჭითა (მგრ) წითელი=ლოყაწითელა.

ღუამჭითავა ვაჟიბედიას, ხოფის ეპისკოპოსის გლეხს მართებს ოცი თეთრი (XVI). (დას. საქ. საბ. წ. 1, 14).

ღუამჭითავა გუგუას ემართა ხორირის ეკლესიის გამოსაღები ოცი თეთრი (XVI) (ქართ. სამ. ძეგ. 3, 350).

ღვუაჭაგა ღა-ღვა (მგრ.) — ლოყა, (მგრ.) ჭაგი. ეფიქრობთ მჭლეს უნდა ნიშნავდეს. ღუაჯაგია სანატრელი და სუბეი მუხურიდან. მართებთ სუბევის სასახლის ბეგარა... (1621) სუბეიში სოფელი აჩიკვარა (გალ. რ).

ღულათავა ღულა-თავ-ა, ღულა (მგრ.) — მოღუნული, ჩაღუნული, თავა-თავი — მოღუნულთავა. ამრიგად იგი წარმომდგარია (ღულათავ(ა) მეტსახელისაგან.

ღულათავას საგვარეულო 94 სულს ითვლის (ზუგდიდი – 93, მოსკოვის ლტოლვილი – 1), (გვარ-სახ. საქ-ში, 205).

ღულუმბაია თაბათ ნახსენებია როგორც აზნაური, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. აპრილში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6, 29).

ღულუმბაია ღულა (მგრ.) – მოგრეხილი, მოღუნული (ელიავა გ., ლექსიკონი).

ღუნჯუა ღუნა – ქონა (აქვს), ეფიქრობ, გუნჯუაა. გუნჯუები მოსახლეობენ ზუგდიდი რ-ნის სოფ. ორსანტიაში.

ღუნჯუა გვარი მოხსენიებულია მე-19 ს-ის I ნახ-ში, დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კინდღში, სადაც მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ, მათ შორის ღურჯიები (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ღუნჯია ბულათ, ცოლი – ჩაფრახან, ძენი: კვაღი, ხუჭუ, კალამათ, გიდი, ასული ჯავაზ; ხუმატა, ცოლი – შაშირ, ძე – ავჯგერეთ მოხსენიებულნი არიან, როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში, დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კინდღში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7).

ღურძიკია ღურძული დასახლება გულრიფშის რ-ნის სოფ. მერხეულის მთიან ტერიტორიაზე.

ღურძიკია ირანეს ცოლი – ბეხათბენ, ძენი: ფაცი, ხაპაკშ, ხაკუც, ასულნი: მარჯან, ჩადი, მურადი, წარმართული სარწმუნოებისანი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. აპრილში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვება, 1997, გვ, 6; 116, 117).

მე-19 ს-ის 30-იან წლებში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში – შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში მოსახლეობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობიდან 35 იყო აფსუური... 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის **ღურძიკიაც**. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვება, მარტი, 1997).

ღურწკაია ღურწუა (მგრ) – ყლურწვა (ელიავა გ., ლექსიკ). ღვრა ცრემლთა... წყლის დაქცევა მაჭარა (გულრ. რ.), მაჭარა (გალ. რ.).

საგვარეულო 2828 სულს ითვლის (ზუგდიდი – 1359, წალენჯიხა – 320, თბილისი – 285), (გვარ-სახ. საქ.).

გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 238-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ღურჭუმელია 1. ღურჭუმელაობა... ჩაყურყუმალავება წყალში (ჩუბ.); 2. ღურჭული – სასიამოვნო სიმღერა (კაკის, ჩიტის...). „ღურჭუმელაძეები სამი ძმა, მიგრირებულნი ლეჩხუმის სოფელ ნასპერში. მიზეზი: ბატონის მიერ პირველი ღამის გამოყენების უფლება ყოფილა“ (თოფჩ. 17). ამრიგად, ღურჭუმელია ძველად მეტსახელი უნდა ყოფილიყო.

ღურჯია გურჯი – ქართველი. ეტიმოლოგია ამ სიტყვისა მაინც ღრმა ძიებას საჭიროებს.

საგვარეულო 189 სულს ითვლის (ფოთი – 55, ხობი – 55, ზუგდიდი – 42), (გვარ-სახ. საქ-ში, 205).

ღუტია საკუთარი სახელი ღუტა ბანძა. (ალ. ღლონტი, 213; ახუაშვ 567. (შდრ. ღუტიაშვილი).

ყაბუხია წარმომდგარი უნდა იყოს ყაბუხა შერქმეული სახელისაგან. პირვანდელი მნიშვნელობის დადგენა სარკვევია.

ყაბუსია ქვამსაჩი მოხსენიებულია როგორც მდაბიო, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. ივნისში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., 1997, გვ. 7; 15).

მე-19 ს-ის 30 წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობიდან 35 იყო აფსუური, ხოლო 85-მდე კი ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის **ყაბუხია**. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ყალიჩავა, ადგ. გამოთქმით, ყალიჩაა, ოყალიჩე, საყალიჩო — ქვ. ჩხოროწყუ, მოიდანახე, ნაკიანი (ჩხორ. რ.)* 2. ყალიჩავა თურქული სამო.ხელეო ტერმინი ყალიჩი-დან (ყალიონის ოსტატი) მომდინარეობს. XVIII საუკუნის დამდეგს უკვე დამკვიდრებულია. 1709 წლით დათარიღებულ ერთ ნასყიდობის წიგნში. იხსენიება ვიღაც ყალიშჩი ანდრია. (ტუღუში, ა. 26).

ყალიჩავას გვარი 2010 სულს ითვლის: (ზუგდიდი — 649, ჩხოროწყუ — 559, თბილისი — 237), (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი ყალიჩავა შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 123-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ყალიჩონა ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. მოიდანახის ერთ-ერთი უბანი. ყალიჩავა გამოქვაბულია, ჩხოროწყუს რ-ნის ამავე სახელწოდების ამავე სოფელში.

ყარტაშაია წარმომდგარი უნდა იყოს ყარტაშ//ყარდაშ შერქმეული სახელისაგან.

ყარტაშაია ჯიმით, ცოლი — ანხან, ძე — ქვათი, ასული — ხვარამზე, მოხსენიებულნი როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში (გაზ. საქართვ., სპეც. გამოშვება, მარტი, 1997, გვ. 7, 34).

ყაჩუა ყავაჩი — ნაყაჩუ-კიწია (მარტვ. რ.). წარმომდგარი შეიძლება იყოს ყაჩუ(ა) მეტსახელისაგან, რომლის ეტიმოლოგია დამატებით ძიებას საჭიროებს.

მე-19 ს-ის 30-იან წლებშში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობიდან 35 იყო

აფსუური, ხოლო 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა. მათ შორის ყაჩუა. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ყენია შერქმეული მეტსახელისაგან უნდა მომდინარეობდეს. ყენობის დღესასწაული სამეგრელოში სპარსეთიდანაა გადმოტანილი. „დიდ მარხვის პირველი კვირის ორშაბათს ხალხის ყრილობა ამოირჩევდა სუსტ ყაენს, რომელიც იმ დღეს ყენობდა და უფლობდა. სამასხარაოდ შემოღებული ჩვეულება... მეორე დღეს ჩამოაგდებდნენ და ცემით გააძევებდნენ“ (ჩუბ.); საჭამიასერი (ჩოხატ. რ.).

ყენია ომარ, ჩოხატაურელი აზნაური, იხსენიება ჩოხატაურის განყოფილების (უჩასტოკ) ნაჩალნიკისადმი თხოვნაში მისი ყმისათვის თბილისში წასასვლელად ნებართვის (ბილეთის) მიცემაზე (1850).

ყენია გიტუნა, აზნაური, დესპოტი იხსენიება 1857 წ. ჩოხატაურის უფროსისადმი დაწერილ ყმათა საჩივარში... (ჭიჭინაძე, 1331).

ყენია (დოკუმენტში – კენია; ავტ.) დავითი ცოტნეს ძე, დ. 1959. ქ. ბათუმში. ინჟინერ-ტექნოლოგი, ქ. თბილისის კომპიუტერების ცენტრის უფროსი (1989), საქ. სსრ სახ-ფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1988) (ჯაფარიძე, ს. 312).

ყენიას საგვარეულო 231 სულს ითვლის: (თბილისი – 125, ჩოხატაური – 21, სამტრედია – 28), (გვარ-სახ. საქ-ში.).

ყვაშილავა (იხ. კვაშილავა) წარმომდგარი ჩანს ყვაშილა მეტსახელისაგან. შდრ. მეგრ. ცჭა – შუბლი. შდრ. ქართული გვარები: შუბლაძე, შუბლიაშვილი.

ყვებია – ეტიმოლოგია დასადგენია. ყვებია სამინა და შიო, ლესარეში მცხოვრებნი, ლევან დადიანმა თავისი მამის მანუჩარის სულის მოსახსენიებლად შესწირა მთაწმინდის ხარების ეკლესიას (1642). (მასალები, 132).

ყვინჩია ყვინჩა, (მგრ) სკვინჩა. პატარა ფრინველია ღობემძვრალას მაგვარი. შდრ. ქართ. გვარი ხვინჩიაშვილი (იმერეთში სახლობენ).

საგვარეულო 23 სულს ადგენს: (სამტრედია – 6, თბილისი – 4, ქუთაისი – 3), (გვარ-სახ. საქ-ში).

ყირიმზია 1. ყირზიანი (მგრ.) – კაცის უტიფარი, ურცხვი ყურები (ელიავა გ., ლექსიკ.). 2. წარმომდგარი ჩანს ყირიმზა შერქმეული სახელისაგან, რომელშიც მეტათეზისი ანუ ბგერათგადასმა მომხდარა: ყირიმზია – ყირიმზია.

ყირიმზია თუყვას ქალი – ჭუჭუკ მოხსენიებულია როგორც მდაბიო, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. ივნისში,

დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7; 17).

ყოლანდარია ყოლანდარი – ბოსტნეული მცენარეა. გვარსახელი შერქმეული სახელისაგან წარმომდგარა. საგვარეულო 58 სულს ითვლის (ზუგდიდი – 48, თბილისი – 10), (გვარსახ. საქ-ში).

ყოლბაია ყოლბი (არაბ.) – შუაგული, გული, (ძვ. საქ., 160; ვეფხ.ტყაოს. ლექსიკონი, თბ., 1953).

ყოლბაია ამბაკო, სოფ. ნაბაკევის გალის რ-ნი სამ. სკოლის დირექტორი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი ქერჩთან ბრძოლაში დაღუპული 1943 წ. (ნაჭყებია, მ., 48).

ყ. ჯუმბერ, ეაჟთა ფოლკლორულ ანსამბლი „ფაზისის“ მხატვრული ხელმძღვანელი, საქართველოს დამსახურებული არტისტი.

ყოლბაიას საგვარეულო 2503 სულს ითვლის (ზუგდიდი – 1082, თბილისი – 566, წალენჯიხა – 194), (გვარსახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 317-ე ადგილზეა (გვარსახ. საქ.).

ყოლბია (იხ. ყოლბაია). საგვარეულო 31 სულს ითვლის: (ზუგდიდი – 29, თბილისი – 1, ქუთაისი – 1), (გვარსახ. საქ.).*

ყურავა წარმომდგარი ჩანს ყურა შერქმეული სახელისაგან. შდრ. ქართ. ყურაშვილი, მეტსახელი ყურაჩა. ცრუ (მგრ.) – ბალღი, რომელსაც ჭკუა არ ეკითხება. ყურავები ზემო სამეგრელოს აფაქიძეთა ყმაგლეხები იყვნენ (სოსელია ო., III, 166). ყურუა მამისერ და ჭინ მოხსენიებული არიან, როგორც მდაბიო ხალხის წარმომადგენელნი, წარმართული სარწმუნოებისანი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. აპრილს გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“ სპეც. გამოშვ., მარტი, 1977, გვ. 6, 14-83). ყურავას საგვარეულო 73 სულს ითვლის (თბილისი – 14, ხარაგაული – 12, ჭიათურა – 11), (გვარსახ. საქ.).

ყურშია ყორჩ-ი 1. ძველი მეფის... პირადი მცველი, შეიარაღებული მხედარი (ქეგლ); 2. ყორი – გროვა, ყორე.

ყორშია 428 სულს ითვლის (ზუგდიდი – 235, თბილისი – 11), (გვარსახ. საქ.).

ყულია ყულ-ი: 1. ბარგის მზიდავი, მტვირთავი მუშა; 2. ახალგაზრდა მსახური მეფისა, „მეფის დარაჯი“ (ქეგლ); საყულიო (წყალტ. რ-ნი); ყულიშწყარი, ყულიშკარი (ზუგდ. რ.), ყულევი (ხობის რ.). ამრიგად, ყულისკარი ნიშნავს მონების კარს, მონების შესაკრებ (და გასაყიდ)

ადგილს. იმავე მნიშვნელობისაა ყულევი, რომელშიც -ევ ქართული სუფიქსია, ყულია გვარსახელი. მონა, მონია შერქმეულ სახელს უნდა გულისხმობდეს. შდრ. ქართ. გვარი მონასელიძე, მონავარდისაშვილი.

ყურუა (იხ. ყურავა). ადგ. გამოთქ. ყურუა ყურია ყრუს, შეუსმენელს ნიშნავს, შდრ. გვარი ყურაშვილი.

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130 გვარეულობიდან 85-მდე იყო ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის **ყურუა.** (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ყურუა ხვინჭა, იხსენიება როგორც მდაბიო, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებულნი 1834 წ. აპრილში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ყურუას საგვარეულო 634 სულს ითვლის (წალენჯიხა – 143, ზუგდიდი - 94, სენაკი – 68), (გვარ-სახ. საქ.).

ყურდგელია (მგრ.) ყურდგელი – კურდღელი. შდრ. კურდღელაშვილი. ოკურდგელი – ხაბუმე. (ჩხოროწყუს რ-ნი).

ყურსალია ყურუ (მგრ.) – ბალღი, ბავშვი, რომელსაც ჭკუა არ ეკითხება, სალ-ი – გამსაღებელი, – გამყიდველი, ბავშვების ქურდი და მით მოვაჭრე. (იხ. დადიანი ცოტნე, გამსახურდია). ეკლესია იფარავდა ბავშვებს, ტყვეებს: 1794 წ. შედგა კრება, ესწრებოდნენ: ჭყონდიდელი ბესარიონ, მიტროპოლიტნი: გრიგოლ, ანტონი და სხვ., რომელთაც შეაჩვენეს ტყვეთა გამსყიდველები, აუკრძალა ტყვეთა მყიდველთ: ქორწინება, ზიარება, დამარხვა... ამრიგად, ყურსალია ყურსალა მეტსახელიდან მომდინარედ გვესახება.

ყურუმსალ ია (თურქ.) კურუსაკ („მაჭანკალი“) სალანძღავი სიტყვაა (ქეგლ). აქედანაა ყურასულია. ყურუმსალიაც შერქმეული სახელიდან მომდინარედ უნდა დავსახოთ.

ყურშუა მეტსახელი ყურშა. ძაღლის სახელია. (შდრ. ყურშუბაძე, ყურშიტაშვილი) შდრ. მეტსახელი ყურჭიტა „ცალყურმცირე“. საგვარეულო 39 სულს ითვლის (ზუგდიდი – 38, ხობი 1), (გვარ-სახ. საქ-ში).

ყურწია ყურწ-ი მგრ. – ყლაპვა, ღვინისა ან სხვა სასმელის უზომოდ მიღება. (შდრ. ქართ. ყლურწვა ღვინისა).

ყუფუნია 1. ყუთანი (არაბ.) – ბამბის ან აბრეშუმის ნაქსოვი (ჩუბ.). 2. ვფიქრობთ, ყუფუნია ყუფუნ საკუთარი სახელისაგან უნდა მომდინარეობდეს.

ნაყუფუნოუს სასახლე ლევან დადიანმა თავისი მამის მანუჩარის სულის მოსახსენებლად შესწირა მთაწმინდის ხარების ღვთისმშობელს (1642). (მასალები, 163).

გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის მოსახლეთა ქრისტიანად მონათვლის 1837 წ. სიაში (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ყუფუნია თამარ (ქალიშვილობის გვარი ლომაია) ანდრიას ასული, დ. 1901, სოფ. ზუბი, (ხობის რ-ნი), 1985, ზუგდიდი, საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი (1948, 1951).

ყუფუნიას საგვარეულო 435 სულს ითვლის (ზუგდიდი — 281, თბილისი — 55, მარტვილი — 29), (გვარ-სახ. საქ-ში).

შაბათავა* შაბათა – შაბათ დღეს დაბადებულსაც შეიძლება აღნიშნავდა. შდრ. ქართ. შაფათაძე. შაბათი (ძვ. ებრ.) „დასვენების დღე“, შვიდღიანი კვირის მეექვსე დღე (შდრ. შაბათი) (ქეგლ); შაბათი (მგრ.) – „შაბატონი“, ამიტომ, ჩვენც ვფიქრობთ, ეს დღე საბატონო დღედ, მათზე პატივსაცემ დღედ ითვლებოდა. შაბათავა (ოქუმი (გალ. რ.), ფოცხო – უშაფათი – ძვ. სენაკ. (სენაკ. რ.).

შაბათავა საბას ასული ჭყვიპი მოხსენიებულია, როგორც მდაბიო ხალხის წარმომადგენელი, წარმართული საქრწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. ივნისში, დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6; 12).

სოფ. უშაბათი მოხსენიებულია 1897 წ. მოსახლეობის I აღწერის სიაში. იგი შედიოდა ქუთაისის ოლქის სენაკის მაზრაში, სადაც მოსახლეობდა 1040 მეგრელი.

შაბათავას გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (2601 სული) მიხედვით 288-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

შადანია (შდრ. შედანია) შადი – ნაქსოვი (კ. გამსახ. I, 737); შადი – ძვირფასი ქსოვილი (ძვ. საქ., 160, ვეფხის-ტყ. ლექსიკონი).

შადანიას საგვარეულო 50 სულს ითვლის (ზუგდიდი – 27, თბილისი – 9, რუსთავი – 2), (გვარ-სახ. საქ-ში).

შავდია შერქმეული სახელიდან მომდინარე ჩანს. შავ-დია, შავ-შავი, დი-ა-იყავ – შავი იყავ; შავდიაში ნოხორი (ნასახლარი) – ლეჩაძამე (სენაკ. რ.), შავდიაში ნოხორი (ნასახლარი) – გაჭედილი (მარტვ. რ.).

შავდია ბეჟან ვახტანგის ძე, სოფ. ჭაქვინჯი, ამჟ. ზუგდიდის რ-ნი, აზნაური, რომელიც სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყებისას ქურდობით „ხელს უშლიდა“ ხელისუფლების ორგანოებს „წესრიგის დამყარებაში“, ათი წლით ციმბირში გადასახლებამისჯილი. (საისტ. მ., II, 149).

საგვარეულო 252 სულს ითვლის (თბილისი – 128, მარტვილი – 19, ბათუმი – 18), (გვარსახ. საქ-ში).

შაკაია ეტიმოლოგია საკვლევია. საგვარეულო 585 სულს ითვლის (ზუგდიდი – 223, თბილისი – 123, წალენჯიხა – 36), (გვარსახ. საქ.).

შაკირბაია ეტიმოლოგია დასადგენია.

შაკირბაია ეკატერინე ზაქარიას ასული, დ. 1907, სოფ. ბაღმარანი, ახლანდ. გულრიფშის რ-ნი, 1979, სოხუმი, აფხაზი მსახიობი. საქ. სსრ

სახ. არტისტი (1961). აფხაზური პროფესიული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

შალამბერია შალარ-მბერია, შალარი — ლოლუა, ყინული, მ ჩართული ბგერაა, ბერი — ბერ ეთნონიმი. წარმომდგარია შალამბერ საკუთარი სახელისაგან. ებრ. შალამ — სალამი, გამარჯვება. შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარი შალამბერიძე.

შალაგვა სადი (სვან) — შალი, ქსოვილი, ყელსახვევი (ლიპარტ. ლექს.). გვარი მოხსენიებულია სოფ. ლეხინოში (ვფიქრობთ, უნდა იყოს გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნი) მცხოვრები მე-19 ს. I ნახ. (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

შალიკაია (იხ. შალაგავა) (შდრ. შალიკაშვილი).

საგვარეულო 39 სულს ითვლის (ოზურგეთი — 22, თბილისი — 6, ბათუმი — 5), (გვარ-სახ. საქ-ში).

შამათავა შამათ-ი (სპარ. შაჰ. „მეფე", არაბ. მათ — მოკვდა) ჭადრაკში ისეთი მდგომარეობა, როდესაც ერთ-ერთი მხარის მეფეს აღარ შეუძლია თავდაცვა მოწინააღმდეგის ქიშისაგან... შამათავები იყვნენ განთქმული მარჯუა — მორბენალი ცხენებით. შესაძლოა, შამათავა შაბატავას დიალექტური ვარიანტი ყოფილიყო ისტორიულად: ბ//მ: შაბათავა — შამათავა, საშამათო — ქვ. ჩხოროწყუ (ჩხორ. რ.), უშაფათი (სენაკ. რ). შ ვარლამ პაპავას ძე (დ. 1915), ფოცხო, ახლანდ. სენაკის რ-ნი), ქართველი ექიმი=ვეტერინარი, ვეტ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1964), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1969).

შამათავა პეტრე იულიანეს ძე, დ. (1911, სოფ. ლეძაძამე, (ახლანდ. სენაკის რ-ნი), ქართველი პუბლიცისტი, სცენარისტი, საქ. სსრ. დამსახ. ჟურნალისტი, დიდი სამამ. ომის მონაწილე; პოდპოლკოვნიკი.

შამათავას საგვარეულო 2601 სულს ითვლის (ზუგდიდი — 705, სენაკი — 514, თბილისი — 377), (გვარ-სახ. საქ-ში).

შამათავას საგვარეულოს შესულია საქ-ში 25 ათასზე მეტი გვარის სიაში.

შამაზია საგვარეულო 65 სულს ითვლის (ზუგდიდი — 63, ბათუმი — 1, თბილისი — 1), (გვარ-სახ. საქ-ში, 210).

შამბია შამბი — დიდი ბალახი, ეკლნარით გავერანებული ადგილი (საქ., 160, ვეფხის-ტყ. ლექსიკონი). შამბ-ი მაღალი ან მსხვილი ბალახი (საბა). აქედანაა **შამბია, შამბა.** არაა გამორიცხული შამბიას მომდინარეობა აფხაზური შამბასაგან. საძიებელია შამ ძირის მნიშვნელობა და წარმომავლობა. შამბია თავაზა, მაშუტუა, ჭუჭუალია, ემართათ ხაუჟელის სასახლის ბეგარა... (1921).

შამბია (იხ. შამბია) ბუმბუკა, ემართა ჯგალის სასახლის ბეგარა... (1621).

შანავა შანა (მგრ.): 1. ცრუმორწმუნეთა. რაიმე ჩივთი (უპირატესად ლითონის), რომელსაც შეულოცავდნენ და ყელზე ან მაჯაზე აბამდნენ, თითქოსდა ავი თვალისაგან (ავი სულისაგან) დასაცავად; 2. საქმროს საცოლისაგან პირველი საჩუქარი: შანა — ბეჭედი... ნიშანი ცოლად დანიშვნისა. შდრ. ქართ. გვარი შანიძე. შანი მწვერვალი ყაზბეგის რ-ნში (სანის ქედი). სოფ. წალენჯიხა წალენჯიხის რ-ნში,

შანავას საგვარეულოს 1887 სულს ითვლის (წალენჯიხა — 103, ზუგდიდი — 414, თბილისი — 186), (გვარსახელ. საქ.)

გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1887 სული) მიხედვით 472-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

შანავა აკაკი, ს.ოფ წალენჯიხა (წალენჯ. რ.), დამსახ. მასწავლებელი, (ეგრისი, 1-IX. 90).

შ. ივანე სტეფანეს ძე, (წალენჯ. რ-ნი), სოფ. მეურნ. დამსახ. მუშაკი.

შანგუას რამდენიმე ოჯახი 1888 წ. მონაცემებით სოჭში გადავიდა საცხოვრებლად. (გაზ. „ივერია“, 1888, 146, გვ. 2).

შანავას საგვარეულო 1887 სულს ითვლის (წალენჯიხა — 1036, ზუგდიდი — 414, თბილისი — 186), (გვარ-სახ. საქ-ში).

შანგუა 1. შანგი, ჯანგი, შავი (ელიავა, გ., ლექსიკ.) 2. საფიქრებელია მისი მომდინარეობა სანიგ//შანიგ ეთნონიმისაგან. სანიკი — შანიგა — შანგუა (იხ. შანიგია).

შანგუა დიმიტრი სოჭში ფლობდა ახლანდელ რკინიგზის სადგურის წინა მინდვრებს და მას საძოვრებად იყენებდა. (გაზ. „ივერია“, ნ. კეცხოველი, ქართველები პლასტუნკაში, (ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1954, გვ. 40).

შანგულია საცაიშლო მამულზე დაობდნენ ქაიხოსრო შანგულია და ზაირამ ჯოლარია (1611-1657), (იხ. ჯოლორია).

შანიგია ივანია, ხუხუბია, თოლიშია, მართებთ საცაიშლო ბეგარა... (1621). წარმომდგარია ისტორიული სანიგ კოლხურ-იბერიული კავკასიური ტომის სახელისაგან: შანიგი — სანიკია. შდრ. სანიგები. სან-იკ//ზან-იკ. ქართულდაბოლოებიანი გვარი სანიკიძე.

შანტია შანტია შესაძლოა შარტავას დიალექტურ-ფონეტიკური ვარიანტი იყოს. ნ//რ შანტია//შარტია. შარტავა//შანტავა. შდრ. ხეთური

ღვთაების სახელს — სანდა(ნ). შანტია უჩაკოჩი, მართებს თილითის სასახლის ბეგარა... (1621).

შარანგია (სარანგია). საგანგი: 1. ბოროტთა მდევნელი; 2. თანამდებობის ტერმინი შარანგი (სპ.), წესრიგის დამცველი, ბოქაული, იასაული.

შარანგია ვალიკო ივანეს ძე, დ. 1918, გალის რ-ნის სოფ. მუხურში, აფხ. ასსრ, დამსახურებული მასწავლებელი, სამამულო ომის ვეტერანი.

საგვარეულო 422 სულს ითვლის (თბილისი — 156, ზუგდიდი — 130, ქუთაისი — 125) (გვარ-სახ. საქ-ში).

შარაშია* ა-შალაშინ აფხ. (დ. გულია, ხელნაწ. ინსტ. საქმე№ 1834), შარაშენ-ი (მგრ.) — შალაშინი. შალაშენი ფიცრის გასაპრიალებელი ხელსაწყოა.

„იგი ტიპური ზანური დაბოლოებით არის ნახმარი... ჩნდება მისი





შარაშია ბესლაკო — აფხაზეთის მთავარი

შარაშია დარეჯან ბესლაკოს ასული

გვარის ორეულიც — ჩაჩ(ბა)... ორივე დაბოლოება „ძე“ და „ბა“ ზოგადქართულია...“ (გ. ერაძე, 16, 42). შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარი შარაშიძე.

„გვარსახელი „შარაშიძე აშკარად მეგრული წარმოებისაა: შარვაში პლუს ქართული ძე“ (ნ. ბერძ., საკითხები, თბ., 1990, გვ. 605).

შარაშიები თავადები იყვნენ. ჯერ მოსახლეობდნენ დღ. გალის რ-

ნის სოფ. საბერიოში, უმეტესობას მამულები ჰქონდათ. ამჟამად აქ არის ტოპონიმი. შარაშენიძე იხსენიება როგორც სოფელი ვანის რ-ნის სოფ. გადიდის ტერიტორიაზე.

შარაშია ბესლაკო — ხანი, უფროსი, უფრო დიდი თანამდებობისაა მათ ქვეყანაში... (კასტელი, 192).

შ. ბესლაკო — აფხაზეთის მთავარი კავკასიის მთებში. (კასტელი, 171).

შარაშია სეტემან, მოსისხლე მტერი ლევან დადიანისა, რომელიც (დადიანს) ცოლად ჰყავდა, ცხვირმოჭრილი გაუგზავნა მამას, შემდეგ კი აფხაზეთს შეესია, აიკლო და ხარკი დაადო... (კასტელი, 32-33).

შ. ბესლაკომ, აფხაზეთის მთავარმა მეორე ეკლესია უბოძა ჩვენს მისიონერებს... (კასტელი, 178).

შ. ბესლაკო, აფხაზეთის მთავარი. 1650 წ. მთელი ოჯახი უფრო მაჰმადიანია, ვიდრე სხვა სარწმუნოებისა. (კასტელი, 171).

შარაშიები სამი ძმანი იყვნენ: უფროსი — დონ ბასილაკუსი, მეორე — სოლომონი და მესამე — სეტემან. „ძალიან ლამაზები იყვნენ", ასეთი წარწერა აქვს სურათს თვითონ კასტელის ხელითვე. (კასტელი, 194).

შ. დარეჯან — ლევან II დადიანის მეუღლე, (კასტელი, სურ. 57).

გავიდა დრო და შარაშიები შარაშიძეებად დაეწერნენ, შემდგომ შარვაშიძეები — შერვაშიძეები გახდნენ.

შარვაშიძე//შარვაშია აფხაზეთის მფლობელთა სამთავრო გვარია... შერვაშიძეები წარმოშობით შიდა ქართლიდან (თეძმის ხევი) არიან. აქედან გადასულან აფხაზეთში და XII საუკუნეში თამარ მეფის კარზე ერისთავები არიან... შიდა ქართლში არის შერვაშეთის მთა და შერვაშეთის ეკლესია... დავით აღმაშენებელმა ერთ-ერთი ქალიშვილი შარვაშიძეს მიათხოვა და სიძე შირვანის შახად გაგზავნა... შერვაშიძეები როცა გაძლიერდნენ და აფხაზეთში პროვინციები გააფართოვეს, სამეგრელოდან წარჩინებული გვარები: **ანჩაბაძე, ინალიშვილი, მარღანია, ემხვარი, ზვანბაია, ლაკირბაია და აქირთავა** გადაიყვანეს და პროვინციათა მთავრებად გაამწესეს... (აზუაშ. ი., ქართ. გვარსახ. საიდ., 148-149).

პატივცემულ კოლეგას, მეგობარს ვერ დავეთანხმებით, რომ შერვაშიძეები შიდა ქართლიდან არიან და აქედან გადასულან აფხაზეთში. პირიქით, წარმოშობით შერვაშიძეები არიან სამეგრელოდან და აქედან მოხდა მათი გადასვლა აფხაზეთში და გაძლიერება...

შარვაშიძეები (შერვაშიძე, აფხ. ჩაჩბა, მეგრ. შარაშია) — მთავართა საგვარეულო ფეოდალურ აფხაზეთში. საგვარეულოს წარმოშობასა

და გვარსახელწოდებას ისტორიული გადმოცემა უკავშირებს შირვანშაჰებს. საკუთრივ აფხაზეთში ეს საგვარეულო იხსენიება როგორც ჩაჩბა, რასაც უშუალოდ უკავშირებენ გვარსახელ აჩბას (ანჩაბაძე)...

შარვაშიძე (შერვაშიძე — ჩაჩბა) ალექსანდრე კონსტანტინეს ძე (დ. 1867, ფეოდოსია, 1968, მონტე-კარლო, 1985 წ. ნეშტი გადმოასვენეს და დაკრძალეს სოხუმში, ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი, საზოგადო მოღვაწე, პირველი აფხაზი პროფესიონალი მხატვარი.

შარაშიძე გალაქტიონ ესეს ძე, სოფ. საყვავისტყე, (ახლანდ. ჩოხატაურის რ-ნი), 1977, ჩოხატაური, სოც. შრომის გმირი.

შ. ლუარსაბ კალისტრატეს ძე, დ. 1923, თბილისი, ქართველი ექიმ-პათომორფოლოგი, მედ. მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1963), სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1984).

შარაშიძეს საგვარეულო 2583 სულს ითვლის (სელვაჩაური — 692, ქობულეთი — 430, შუახევი — 395), გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 296-ე ადგილზეა. გვარმა კლავაც იცვალა სახე და შარაშენიძე გახდა.

შ. ლევან ლევანის ძე, დ. 1. თბილისში, გენერალ-მაიორი (1980), მფრინავი, სამამულო ომის მხედართმთავარი.

შარაშენიძე გალაქტიონ იესეს ძე, დაიბადა ჩოხატაურის რ-ნის სოფ. საყვავისტყეში, სოციალისტური შრომის გმირი.

შარაშენიძეები 1875 სულს შეადგენენ (თბილისი — 542, ვანი — 452, სამტრედია — 268), გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 476-ე ადგილზეა. (გვარსახ.. საქ.).

გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიიდან მთიელთა ჩამოსახლებამ, რომელიც მიმართული იყო ქართული ფეოდალური ურთიერთობისა და ქრისტიანობის წინააღმდეგ აფხაზეთში, ისევ წარმართობის აღდგენა გამოიწვია, რასაც მოჰყვა ქართველ ფეოდალთა გაფხაზება. ამის შემდეგ თავადები ორმაგ გვარებს ატარებდნენ: შარვაშიძე — ჩაჩბა, ანჩაბაძე — აჩბა, ინალიშვილი — ინალ-იფა, ემუხვარი — ემხაა, ზეფიშვილი — ძიაფშ-იფა, სოტიშვილი — ჩაბალუხვა, უცვლელი დარჩა მხოლოდ ჩქოტუა და მარშანია (ვ. ზუხბაია), (თითოეულზე იხ. ანბანის რიგის მიხედვით).

ცნობილი ვითარების შედეგად შარაშიას გვარმა ფორმა ოთხჯერ იცვალა: შარაშიძე, შარაშენიძე, შარვაშიძე და შერვაშიძე.

შარვაშიძე გიგო (გიორგი) დავითის ძე (1848-1932), დ. ჩოხატაურის რ-ნის სოფ. საყვავისტყეში, მასწავლებელი ძიმითის სკოლაში, ბახვში, რევოლუციონერი მოღვაწე. ახალციხის სამოქალაქო სასწავლებელი (1905), საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი. (სახ. განათლ. მოღვ. 341).

შ. ერმილე დავითის ძე (1860-1939), სახალხო განათლების პირველი თაობის წარმომადგენელი. დ. ჩოხატაურის მაზრის სოფ. დაბლაციხეს ჩააბარა გამოცდა საქალაქო ან სამრევლო სკოლების მასწავლებლებს (1888), იმუშავა მასწავლებლად ზუგდიდის მაზრის სოფ. კორცხელში, წალენჯიხაში, ზუგდიდის საქალაქო სასწავ-შ ი... (სახ. განათ. მოღვ. 363).

შ. როსტომ ბეგი ნახსენებია, როგორც თავადი, მაჰმადიანური სარწმუნოებისა, კეთილშობილნი, მოინათლა ქრისტიანად 1834 წ. ივნისში შინა სოფელსა დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6; 1).

შერვაშიძე მანუჩარ სოლომონის ძე, (1809-1813 წწ.) ცოლად ჰყავდა ლევან დადიანის და ქეთევანი. მანუჩარი 1813 წელს გლეხმა მაკე კვარაცხელიამ მოკლა ცოლის გაუპატიურების გამო (მიბრუანი, აფხ. მეფ., 63).

შარვაშიძე ვლადიმერ ამბაკოს ძე, დ. 1911 წ. სამტრედიის რ-ნის სოფ. უწერაში, ზოოლოგ-იქთიოლოგი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1969), პროფესორი (1971), მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე (1983).

შარვაშიძის ქალი ცაიშის ხელთნაწერში მოხსენიებულია: „ღმერთო, ადღეგრძელე შარვაშიძის ქალი ასტანდარ, ამინ“. (XVII ს.), (ძვ. საქ. III, 188).

და ბოლოს, შერვაშიძეს გვარზე შერვაშიძეებმა, ყუაპუმ და ქერაქიმმა, პირობა დაუდეს აფხაზეთის კათალიკოსს, აღარ გაყიდონ ნაჟნაურელნი და ხიერელი კაცები და კათალიკოსის სარგო სამსახური არ დაუშალონ (1661-1680), (მასალები, 162).

შერვაშიძე ზურაბ, აფხაზეთის მთავარი 1780 წ. რუხის ციხესთან სამურზაყანოს დაპყრობისათვის გამართულ სასტიკ ბრძოლაში დამარცხდა და გაიმარჯვა კაცია დადიანმა. (მაკალათია, 235).

შ. ევთიმე გენათელი (გვარად შერვაშიძე) (გარდ. 1822), მიტროპოლიტი 1776-1820, ადრე ეკავა ჯუმათის საეპისკოპოსო. 1819 იმერეთის აჯანყების დროს რუს. ხელისუფლებამ დააპატიმრა, როგორც აჯანყების ერთ-ერთი მეთაური და სხვებთან ერთად გადაასახლა რუსეთში.

შ. მიხეილ გიორგის ძე, 1822 წ. ებოძა პროპორშიკობა, 23 წ. მაიორობა და წოდება აფხაზეთის მთავრისა; მონაწილეობა მიიღო მრავალ ომში ჩრ. კავკასიის მთიელების წინააღმდეგ; 45 წ. ებოძა გენერალ-მაიორობა და 49 წ. გენერალ-ლეიტენანტობა. („საქ. კალენდ.", 1890, 464).

შ. ხუტუნია 1757 წ. 14 დეკემბერს იმერეთის მეფე სოლომონის მეთაურობით ოკრიბაში, ხრესილის მინდორზე გამართულ ბრძოლაში გმირული სიკვდილით დაეცა, რომელმაც ხმლით 16 თურქი აკაფა. (ასათიანი ნ. საქ. ისტ., IX კლ. III გამოც. 1995, გვ. 105).

Шервашидзе Дмитрии Георгевич был в 1914г. Ставропольским Губернатором (სცსა).

შ. მანუჩარ პროკოპის ძე, დ. 1930, სოფ. მუხურაში (ტყიბულის რ.) ქართველი მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1982).

„საქართველოსადმი პატრიოტობის ეტალონად ითვლება შარვაშიძე ალექსანდრე გიორგის ძე (1855-1932), უაღრესად განათლებული დიდი მამულიშვილი. ალ. შერვაშიძე ვერ ეგუებოდა რუსეთის მიერ საქართველოს გახლეჩვის მცდელობას, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შელახვას, ცარიზმის ფარისევლურ, წამქეზებლურ პოლიტიკას, სისხლხორცეული აფხაზების დანარჩენი ქართველებისაგან მოკვეთას. ამის გამო მან პროტესტის ნიშნად მტკიცედ განაცხადა: Я не абхазский а грузинскии генерал (თ. მიბჩუანი, აფხ..., 52).

შერვაშიძეთა საგვარეულო 1092 სულს ითვლის (თბილისი – 207, ხელვაჩაური, 190, ბათუმი – 184). გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 976-ე ადგილზეა (გვარსახ. საქ-ში.).

შერვაშიძეთა საგვარეულოზე მდიდარი მასალები შემოგვინახა ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ და ჟურნალისტმა იოსებ ბექირიშვილმა.

შარია შარი; მომდინარეობს შარაია მეტსახელისაგან. შდრ. ქართ. გვარი შარაძე. თაგილონი, სიდა, ბარღები (გალ. რ.).

შარია პეტრე ათანასეს ძე, (1902-1979), დ. გალის რ-ნის სოფ. თაგილონში, აკადემიკოსი (1944), პროფესორი, ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი.

შ. მიხეილ (მიშა) ასთამურის ძე, სიდა (გალის რ.) 1915, საქ. სსრ დამსახ. მუშაკი. (გაზ. „საბჭ. აფხ.", 20.XII.90).

შარიას საგვარეულო 1089 სულს ითვლის (ზუგდიდი - 578, თბილისი – 255, ხობი – 75), (გვარ-სახ. საქ-ში).

შარიას გვარი მოხსენიებულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 978-ე ადგილზეა.

შარინავა შარიანი, შარის მომდები (ქეგლ). მომდინარეობს შარინა მეტსახელისაგან. შარინა ასპანდელი, ემართა ხაუჟელის სასახლის ბეგარა...

შარტავა (იხ. შანტია). დაშარტვა — შეხვევა... (ჩუბ.); შარტაში ჭალე — ხორში (სენაკ. რ.), ობუჯი წალენჯიხის რ-ნი. არაა გამორიცხული ამ გვარში რ განვითარებული იყოს, შდრ. ქართ. გვარი შატაიძე.

შარტავა ჟიული კალისტრატეს ძე, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, შეეწირა აფხაზეთის მოვლენებს. ძეგლი დაიდგა ქ. სენაკში, სახელი მიეკუთვნა II საშუალო სკოლას.

შარტავას საგვარეულო 338 სულს ითვლის (სენაკი — 117, თბილისი - 51, წალენჯიხა — 42), (გვარ-სახ. საქ-ში).

შარუხია შარუხ-ი (სპ); 1. ბულბულის მსგავსი ფრინველი (ჩუბ.). საშარუხიო — ონტოფო (აბაშ. რ.). მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან.

შარუხიას საგვარეულო 115 სულს ითვლის (თბილისი — 47, ფოთი — 27, ბათუმი — 19). (გვარ-სახ. საქ-ში).

შაფათავა (იხ. შაბათავა). წარმომდგარია შაფათა შერქმეული სახელისაგან.

შაფათავას საგვარეულო 271 სულს ითვლის (თბილისი — 129, სენაკი — 50, ბათუმი — 27), (გვარსახ. საქ-ში, 211).

შაყრილ — შაკრილ (იხ. შეყრილავა).

შედანია წარმოშობილი უნდა იყოს შედან საკუთარი სახელისაგან. შედან ჭილაძე — ცნობილი თამადა ყოფილა იმერეთში.

შედადიანები ქართული წარმოშობის ფეოდალური დინასტია ირანსა და სომხეთში (დაახლ. 951-1199).

შედანია ფეოდოსია ბესარიონის ასული, დ. 1910, სოფ. მერხეული, ახლანდ. გულრიფშის რ-ნი, ქართველი მსახიობი, საქ. სსრ დამსახ. არტისტი (1976).

შედანიას საგვარეულო ამჟამად 543 სულს ითვლის (ზუგდიდი — 489, თბილისი — 23, წალენჯიხა — 16), (გვარსახ. საქ-ში).

შელეგია შელევა, შეალევს... ბოლომდე მოთავება (ქეგლ). გამორიცხული არაა შელეგიას შლეგისაგან ან სავლეგიასაგან მომდინარეობდეს: 1. შელეგია — შ ლეგია ე-ს რედუქციით; 2. შელეგია —

შალეგია — შავლეგია. შდრ. ისტორიული სახელი შავლეგ, შავლეგო.

შელეგია რემა (რომანოზ) ზალიკას ძე (1883, სოფ. ჯოლევი (ახლანდ. მარტვილის რ-ნი) — 1955, თბილისი) ქართველი მომღერალი და ლოტბარი, საქ. სსრ ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე.

შელია წარმომდგარი ჩანს შელ(ია) საკუთარი სახელისაგან. შველი — გარეული უწყინარი ცხოველი, შელი — ძვ. ქართ. შველა; მგრ. შველი — სქვერი, სქი-დან — შვილიდან.

შელიეთი ტოპონიმია ჩხოროწყუს რ-ნის ლუგელას ხეობაში, ახლა აქ შელიები არ ცხოვრობენ. შელიები — სოფ. შიდა ქართლის ახალგორის რ-ნში, საჩინო, ფახულანი (წალენჯ. რ-ნი)..

„შერია ანუ სელია აზნაური იყო, თათარი არზრუმის, კერძოდ, და მოვიდნენ დროსა მეფისასა და იქმნა ქრისტიანი და მიიღო გვარად შერაშვილი, ესენი იყვნენ ძველად დიდის თათარიიდგან შერედუნებულად წოდებულნი და ამავე გვარით მიღებულ იქმნენ ესენი“.(გაზ. „ივერია“, 1883, 11-12; 1884, 1-12).

საჩინოელი შელიები იყვნენ ზემო სამეგრელოს აფაქიძეთა აზნაურები... უმეტესი ნაწილი გლეხები იყვნენ, მცირე ნაწილი კი — აზნაურები. ნავაგუს შელიები თავადები იყვნენ. (სოსელია, III. 166).

შელია ახალკოჩი — ჯვარელი (ზუგდ. რ.), გლეხი, „24 მაისს 1849 წ. ბატონს უჩივლა — მიწა და საქონელი წამართვაო“ (ბოროზდინი, ბატონყმობა სამეგრელოში, თბ., 1927, გვ. 55).

შ. კლიმენტი ივანეს ძე (წალენჯ. რ.), ისტორიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

შ. მარიამ იულონის ძე (წალენჯ. რ.), საქ. სსრ დამსახ. ვეტექიმი (1971).

შ. მიტროფანე საჩინო (წალენჯ. რ.), კულტურის დამსახ. მოღვაწე (1968).

შ. ნიურა საჩინო (წალენჯ. რ.), გმირი დედა (1969).

შელიას საგვარეულო 3058 სულს ითვლის (ზუგდიდი — 1055, წალენჯიხა — 648, თბილისი — 520); (გვარ-სახ. საქ- ში), 212).

გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 202-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

შელიავა (იხ. შელია). შველა — უშხამო გველის მაგვარი არაწვრილკუდიანი ქვეწარმავალი. ამრიგად, შელია//შელიავას — შველია.

შელიავას საგვარეულო 28 სულს ითვლის (თბილისი — 20, ოზურგეთი — 5, ქუთაისი — 3), (გვარ-სახ. საქ-ში, 212). შემანია ნაწარმოები შეიძლება იყოს შემან საკუთარი სახელისაგან: შემან — შედმან — შადიმან.

შენგელაია წარმომდგარია შენგელა შერქმეული სახელისაგან. შდრ. ქართ. გვარი შენგელიძე, საკუთარი სახელი შენგელი. აზნაურები იყვნენ, ჰქონდათ მამულები ლიაში (ზუგდ. რ.). შენგელაიაში ნადუქან — ნოქალაქევი (სენაკ. რ.), მოსახლეობენ გალის რ-ნის სოფ. ოტობაიაში, მცხეთის რ-ნის სოფ. ძოწირეთში, (იხ. მარტვილის ხატის წარწერაზე, როგორც სოფ. ჯაქვინჯში (ზუგდ. რ.) დასახლებული და დაყენებული მეჯოგედ; აქედანაა ჩანგელია.

1885 წლისათვის ზუგდიდის მაზრის სოფ. ობუჯში ცხოვრობდა შენგელაიების 220 კომლი. აქედან 180 იყო გლეხი, ხოლო 40 აზნაური შენგელაიას გვარისა. შენგელაიები არიან მოსულნი ქართლიდან და უწინ შერგილაძეები ყოფილან. აზნაურობის დამადასტურებელი „სასისხლო სიგელი" ბოძებული აქვთ მეფე ბაგრატ დიდისა და დედოფალ ელენედაგან, 1954 წ. (განთქმული კინორეჟისორის ნიკო შენგელაიას სტატიიდან („გაზ. „დროება", 1984 წ. № 152).

შენგელაია ნიკოლოზ მიხეილის ძე, დ. 1901, სოფ. ობუჯი, ახლანდ. წალენჯიხის რ-ნი, 1943, თბილისი, ქართველი კინორეჟისორი და კინოდრამატურგი. რსფსრ ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე (1935)... სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1941).

შ. ქიაჩელი ლეო (ნამდ. სახელი და გვარი ლეონ მიხეილის ძე შენგელაია), დ. 1884, სოფ. ობუჯი, ახლანდ. წალენჯიხის რ-ნი, 1963, თბილისი), ქართველი მწერალი... სსრკ პრემიის ლაურეატი (1941).

მისი ინიციატივითა და დანაზოგი სახსრებით დაარსდა მშიბლიურ სოფელ ობუჯში (წალენჯიხის რ-ნი), ბიბლიოთეკა. იქნეა მწერლისეული სახლ-მუზეუმი.

შ. ელდარ ნიკოლოზის ძე (1933, თბილისი), ქართველი კინორეჟისორი. საქ. სსრ სახ. არტისტი, (1979. ნ. შენგელაიასა და ნ. ვაჩნაძის შვილი.

შ. გიორგი ნიკოლოზის ძე, დ. 1937, ქართველი მსახიობი და კინორეჟისორი, საქ. სსრ სახ. არტისტი (1985), ნ. შენგელაიას და ნ. ვაჩნაძის შვილი.

შ. არიადნა ვსევოლოდის ასული, დ. 1937, ტაშკენტი, თეატრისა და კინოს მსახიობი, საქ. სსრ სახ. არტისტი (1979).

შ. დემნა კონსტანტინეს ძე (1896, სოფ. საჭილაო, ახლანდ. სამტრედიის რ-ნი, 1980, თბილისი), ქართველი მწერალი, საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1969).

შენგელაიას საგვარეულო 324 სულს ითვლის (ზუგდიდი — 103, თბილის — 88, წალენჯიხა — 84) (გვარსახ. საქ-ში).

შენგელი (იხ. შენგელია); შენგელის გვარს ატარებდა გამოჩენილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე შალვა, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

შენგელის საგვარეულო 24 სულს ითვლის (თბილისი — 11, სამტრედია — 10, ჩხოროწყუ — 2), (გვარსახ. საქ.).

შენგელია (იხ. შენგელაია); შენგელიები გლეხები იყვნენ... შენგელია გომართი მოხსენიებულია მარტვილის ხატის წარწერაზე, როგორც სოფელ ჭაქვინჯში (ზუგდიდის რ-ნი) დასახლებული და დაყენებული მეჯოგედ. აქედანაა გვარი ჩანგელია.

წალენჯიხელი შენგელიების წინაპარი გადმოსახლებულა ობუჯიდან (დღ. წალენჯიხის რ-ნი), სადაც ყოფილა მათი ჯინჯი. (მაკალათია, 244).

შ. გიორგი ქუთაისის მაზრის სოფ. ჩაჩანის ეკლესიის მღვდელი (მწყ. 1884, 8).

შ. გიორგი დავითის ძე, 1908, სოფ. კულაში, ახლანდ. სამტრედიის რ-ნი, საბჭ. კაუშირის გმირი (1944), მაიორი.

შენგელია, 1812 წლის სამამულო ომის მონაწილე, სმოლოენსკის ქვეითი პოლკის მაიორი.

შ. პავლე გიორგის ძე (1903, ქუთაისი, 1971, თბილისი), ქართველი ჰიდროენერგეტიკოსი, საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1969), საქ. სსრ. მეცნ. და ტექნ. დამსახ. მოღვაწე (1962).

შ. სპირიდონ ბურგოს ძე, უკრაინის მ. ი. ნაუმოის პარტიზანული შენაერთის მებრძოლი (1944). (გურული, ვ., 61).

შ. გიორგი არკადის ძე, დ. 1894, ტემრიუკი ახლანდ. კრასნოდარის მხარე, 1956, მოსკოვი, რუსი პოეტი, წარმოშობით ქართველი.

შენგელია — აბაშიძე ლორეტა სერგოს ასული (1942, თბილისი), ქართველი გრაფიკოსი, საქ. სსრ დამსახ. მხატვარი (1982).

შ. რამაზ ალექსანდრეს ძე, დ. 1957, ქუთაისი, ქართველი სპორტსმენი, ფეხბურთელი, სპორტის დამსახ. ოსტატი (1981).

შენგელიების საგვარეულო 12764 სულს ითვლის (ზუგდიდი — 2600, თბილისი — 2512, ჩხოროწყუ — 2066), (გვარ-სახ. საქ-ში, 212).

გვარი შესულია საქ-ში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით მე-8 ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

შეროზია წარმომდგარი უნდა იყოს შეროზ შერქმეული სახელისაგან. შეროზა (კარის) რაზის – საკეტის დადება. წალენჯიხის რ-ნის სოფ. ჩქვალერში არის უბანი საშეროზიო.

შეროზიები ზემო სამეგრელოს აფაქიძეთა ყმა-გლეხები იყვნენ (სოსელია, III, 166).

შ. აპოლონ ეპიფანეს ძე, დ. 1927, სოფ. უშაფათი, სენაკის რ-ნი 1981, თბილისი, ქართველი ფილოსოფოსი, ფოლოს. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1968), გფრ-ის ფსიქოანალიზის აკად. წევრი (1980).

შ. კალისტრატე (კალე) საქ-ს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მარუხისა და სხვა უღელტეხილების მტრისგან გაწმენდის ხელმძღვანელი, სამამულო ომში დაღუპული. (ქოჩიაშვ., 86).

შეროზიას საგვარეულო 1851 სულს ითვლის (ზუგდიდი – 644, სენაკი – 282, წალენჯიხა – 276). იგი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გავრცელებული გვარის სიაში და რაოდენობის (18851 სული) მიხედვით 486-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

შეესქერია შეე – საკ. სახელი, სქერი – სჭუა – შვილი=შეესქერია, შეესშვილი.

შეესქერია ქვასაჯი, ცოლი – ხიშ, ასული – ჩაფრიხან – მოხსენიებულნი არიან, როგორც მდაბიონი, წარმართი სარწმუნოებისანი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., 1997, გვ. 7; 16).

შეესქერია შიმვა გიორგის ცოლი – კულტა, ცოლები: ხაკუში, კვატაში (ასეა დოკუმენტში). მოხსენიებულნი არიან როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7; 21).

შეყრილავა (მგრ.) წარმომდგარია შაყარუადან – შეყრილ-ა-ვა, შეყრილ – მგრ-დ, ე.ი. პრეფიქსი ქართულია, ხოლო სუფიქსი მეგრული გვარის დაბოლოებაა, აქედან აფხაზური გვარი შეყრილ – შაკრთლი...

შეყრილავა ქალბოჩი, ძმები: ლაზ, კვაჯი, დაკიდჟა იხსენიება, როგორც მდაბიონი, წარმართნი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7, 53; 25).

გვარი შეყრილავ-ად მოიხსენიება დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის მოსახლეთა გაქრისტიანების 1837 წ. სიაში. ხოლო თხინას მოსახლეობის იმავე წლის აღრიცხვის სიაში. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

შეყრილავა ხალირ — კეთილშობილი, აჯგარეის ასული თირსა; მისირყვა მოხსენიებულია, როგორც გლეხნი, წარმართი სარწმუნოებისანი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. აპრილში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6; 78, 111).

შეწირულია რადიანი ფსევდონიმი, ნამდვილი გვარი შეწირული შალვა დიმიტრის ძე, დ. 1904, ახლანდ. ოზურგეთის რ-ნი, 1977, თბილისი, ქართვ. კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1943), პროფესორი (1944).

შველაია შველა (მგრ.) — გველხოკერა (დ. ფიფია).

შილავა შილა რუსული ტერმინია და მგრ. — ოდგიში, ქართ-ად — საღგისი. „შილა“ ერქვა 1857 წ. სამეგრელოს გლეხთა აჯანყების ლაშქრის წითელ დროშას (ს. კაკაბაძე, ქართ. ისტ., 133).

შირავა (იხ. შილავა) — მედროშეს შილავა აქედან ეწოდა.

შიმჟა ეტიმოლოგია საძებნია.

შინკუბა შინკა (აფხ.) შინკა (მგრ.), ნესვი. დ. გულია (ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934).

შესულია საქ-ში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 27-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“).

შუბავა შუბი, ერთგვარი იარაღი — გრძელ ტარზე დაგებული ლითონის წვეტიანი პირით (ქეგლ).

შუბლავა წარმომდგარია შუბადან. შუბი წარმოადგენდა „ოდიშურ-აფხაზური დუელის უძველეს ნაშთს, აწ უკვე თამაშად ქცეულსაო“ (კ. გამსახურდია, სამეგრ. ისტ. თბ., 1941, 159) შდრ. შუბლაძე.


შულაია ულო-ძნის შესაკრავი დაგრეხილი სველი ნაბჯა; შულაია შულა მეტსახელისაგან მომდინარედ გვესახება. საშულაიო — კირცხი (ჩხორ. რ.). საშულაიო სოფ. წალენჯიხის რ-ნში, შულაური, შულავერი სოფ. ცხინვალის რ-ნში (შიდა ქართლი).

შულაიას საგვარეულო 962 სულს ითვლის (ზუგდიდი 388, მარტვილი — 151, სენაკი — 104), (გვარსახ. საქ-ში).

შუმანია ეტიმოლოგია საკვლევია. პავლე რევოლუციონერი, 1905 წ. 28 ნოემბერს სოჭში შექმნილი სახალხო მილიციის ჯგუფის წევრი. (ტულუმჯიანი, 84).

შურდულია შური (მგრ.) — სული, დ. გულია, (ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934). შურდული — ქვის სასროლი იარაღი, ორად მოკეცილი ბაწარი, რომელსაც ბრტყელი ნაწილი აქვს ქვის ჩასადებად და სასროლად (ქეგლ.). ნაწარმოები ჩანს შურდულა მეტსახელისაგან. შურდულა. სოფ. ახალციხის რ-ნში.

შურღაია მომდინარე ჩანს შურღაია//შუღლა მეტსახელისაგან. (თბ., 26.07.67.4); საშურღაო — ზანა, საშუარღაო, ეკი, შურღაიაში გენაცვილა



ხულოს რაიონი

(დანაკლავი), სენაკის რ-ნი, შურღაიო — ზუმი (ჩხორ. რ.). აქედანაა შორგაია.

ზანელი შურღაიები თავად აფაქიძეთა ყმა-გლეხები იყვნენ (სოსელია, III, 162).

შურღაია ესტატეს მართებს ხოირის ეკლესიის გამოსაღები ხუთმეტი თეთრი (XVI ს.), (საქ. სამ. ძეგ., 3, 349).

საგვარეულო 1306 სულს ადგენს (სენაკი — 484, თბილისი — 273, ფოთი — 186), (გვარ-სახ. საქ-ში, 215).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 788-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

შურღაია შოთა იოსების ძე (1920, ფოთი), საბჭ. კავშირის გმირი (1946), გვარდიის პოდპოლკოვნიკი.

შ. რაჟდენ ნესტორის ძე, დ. 1918, პოდპოლკოვნიკი, თსუ-ის განყ. უფროსი, დიდი სამამ. ომის ვეტერანი.

შურღულაია შურ — სული, ღულა — მრუდე=სულმოკლე.

შურღულაიას საგვარეულო 195 სულს ითვლის (სენაკი — 64, ფოთი — 42), (გვარ-სახ. საქ.).

შუშანია წარმომდგარია შუშან(ა) საკუთარი სახელისაგან, შდრ. ქართ. გვარი შუშანიშვილი. შუშანია სოხერდია, იანე, ივანე, სულთამა, ემართათ ნაუანეულის სასახლის ბეგარა... (1621). შუშარა მდ. ლენტეხის რ-ნში. 1888 წლის მონაცემებით სამეგრელოდან სოჭში გადავიდა საცხოვრებლად შუშანიას რამდენიმე ოჯახი (გაზ. „ივერია“, 1888, 146,გვ. 2).

შუშანია ონოფრე, კიევის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, ერთ დროს სენაკის მამათა მონასტრის წინამძღვარი, შემდეგში საქ. განათლების სამინისტროს მეთოდისტი. დაკრძალულია სენაკის მონასტრის ეზოში...

შ. პლატონ გიორგის ძე, (1891), დ. ქ. თბილისში რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოღვ. 586).

შ. ირაკლი ლავრენტის ძე (1927, თბილისი, 1982, მოსკოვი, დაკრძალულია თბილისში), ქართველი მომღერალი (ბანი), საქ. სსრ სახ. არტისტი (1972).

შუშანიას საგვარეულო 149 სულს ითვლის (სენაკი — 37, თბილისი — 31, ფოთი — 13), (გვარ-სახ. საქ-ში).

შუშია შერქმეულია მოსაქმეობის გამო, რომლისგანაც წარმოდგა გვარი მუშუა. თუ ამ შემთხვევაში გამორიცხული არაა საკუთარი სახელის მუშუასაგან მომდინარეობა. შდრ. მუშნი — მუშუან (სვან.). შუან — შვან — შო-ნ; გვარები შონია//შონავა. შუშა მდ. საჩხერის რ-ნში.

შხანუფია ეტიმოლოგია საკვლევია.

1834-1835 წწ. აღრიცხვით დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში ერთეული აფსუური გვარი თუ იყო, ხოლო ქართული — 156 სულს ითვლიდა, მათ შორის **შხანუფია**. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

შხვაცაბაია შხვა-ცა-ბაია==შხვა (მგრ.) — სხვა, ცა — ზეცა, ბაია — აია, ძვ. კოლხური სუფიქსი.

შხვაცაბაია გიორგი იაკობის ძე, 1904, ქუთაისი, ქართველი მექანიზატორი, საქ. სსრ მეცნ. აკად. წევრ.-კორ (1956), სსრკ სოფ. მეურნ. მეცნ. აკადემიის წევრ.-კორ (1936), საქ. სსრ მეცნ. და ტექნ. დამსახ. მოღვაწე (1961).

შ. გიორგი გიორგის ძე, დ. 1940, თბილისი, ქართველი მოქანდაკე, საქ. სსრ დამსახ. მხატვარი (1979).

ჩაავა (იხ. ჭაავა). ჩაავას გვარი, ვფიქრობთ, მიღებულია ჭაავას გვარიდან რუსულის გავლენით: ჩ ბგერა შენაცვლებულია ჭ-თი. ჭაა წარმომდგარია ეთნ. ჭანიდან.

ჩაავას გვარი 24 სულს ითვლის (რუსთავი — 19; თბილისი — 2; ბათუმი — 2), (გვარსახ. საქ-ში).

ჩაბრავა ეტიმოლოგიუ დასადგენია. გვარი 24 სულს ითვლის (რუსთავი — 18, თბილისი — 2, ბათუმი — 2.), (გვარსახ. საქ-ში). 1874 წ. პირველი აღწერით შედიოდა ქუთაისის ოლქის იმერეთის მაზრის შემადგენლობაში, სადაც 1977 სული იმერელი სახლობდა. სოფელსაც სახელი გვარისაგან აქვს მიღებული.

ჩაგანავა ჩაგანა წარმოდგენილია შერქმეული სახელისაგან. საგვარეულო 900 სულს ითვლის (აბაშა — 369, თბილისი — 149, ბათუმი — 79), (გვარსახ. საქ-ში).

ჩაგინავა (იხ. ჩაგანავა) წარმომდგარია ჩაგინა (რომელშიც -ინა კნინ. სუფიქსია) საკუთარი სახელისაგან. საგვარეულო 115 სულს ითვლის (ზუგდიდი — 85, სამტრედია — 11, თბილისი — 7), (გვარ-სახ. საქ-ში).

ჩაბალურხვა ჩაბალახი, მუზარადი, მამაკაცის თავსაფარი, თავის შესახვევი, დასაფარავი, (ძვ. საქ, 161, ვეფხისტყაოს. ლექსიკონი). 2. მოსაქმეობაზე მიგვითითებს. ჩაბალახის მამაკაცის თავსახურის მკერავი, ოსტატი. გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინაში (დოკ-ში ხინოა, ვფიქრობთ, თხინა უნდა იყოს) 1837 წ. მოსახლეობის აღრიცხვის სიაში. ტაბუ ჩაბალურხვა — თავადი, დანი: ამიდა და თუთუკი, მაჰმადიანნი და 1834 წ. ივნისში გაქრისტიანდნენ დღ. ლიხნში (იქვე, 2).

ჩაგავა მგრ. ჩვაგა — „ბოდიალა“ ნაწარმოები ჩანს ჩაგა, ჩაგანა საკუთარი სახელისაგან. შდრ. ჩაგანავა — განის ჩაპლება (ფიცრისათვის ...) (ქეგლ). აქედანაა **ჩაგელავა, ჩაგანავა.**

ჩაგლია წარმომდგრია ჩაგლი შერქმეული სახელისაგაენ. შდრ. ჩაგელია, გვარი ჩაგელიშვილი; ჩაგლია მიხეილია, ემართა ჭალის საყდრის ბეგარა (1621).

ჩაგუა იხ. ჩაგენავა ნაწარმოებია ჩაგუ საკუთარი სახელისაგან: კუაია, გ, ია, გურმიხილა, ხუხული, ქაქალია, ემართათ ხოირის სასახლის ბეგარა... (1621). ჩაგუა გურმიხილია ჯგერდეშია, ხუხულია, ქაქალია,

ემართათ ხოირის სასახლის ბეგარა... (1621). ჩაგათა სოფ. ჯავის რ-ნში.

ჩაგუნავა — ჩაგუნა ერთგვარი კოლხური სიმღერაა ცეკვით. საკუთარი სახელი ჩაგუნა, უძველესი ეთნონიმი (ღვთაების სახელი). (ისმის ხალხურ-მეგრულ სიმღერაში მოძახილი „ჩაგუნია ჩაგუნა". ჩაგანური-ფორცხო (სენაკ. რ.), ლეჩაგანე — ჭყონი, ნაჩაგინუ — გაჭიდილი (მარტვ. რ.), მაჭარა (გულ. რ.), აქედანაა **ჩაგანავა**

ჩაგუნავა შალვა თადეოსის ძე, დ. 1909, სოფ. ხიდი, ახლანდ. ხონის რ-ნი, ქართველი კინორეჟისორი, ქართ. დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქ სსრ ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე (1962).

ჩაგუნავას გვარი 684 სულს ითვლის (მარტვილი — 171, თბილისი — 142, ქუთაისი — 50), (გვარსახ. საქ-ში).

ჩაზმავა ეტიმოლოგია საკვლევია. საგვარეულო 46 სულს ითვლის (ბათუმი — 45, თბილისი — 1) (გვარსახ. საქ-ში).

ჩალა — 1. გლახაკი, სულელი. 2. ჭ-ა (სიმინდის ღერო) სოფ. ჩალა შედიოდა ქუთაისის ოლქის შორაპნის ოლქში, სადაც 1189 სული იმერელი სახლობდა. ეს იყო პირველი. იყო მეორეც — სოფელი ჩალა, რომელიც შედიოდა იმავე ოლქის ზუგდიდის მაზრაში, სადაც 2388 სული მეგრელი სახლობდა...

ჩაკაბერია ჩაკა — ბერია, ჩაკა — სიარულში მხნე, ბერი — მოხუცი. საგვარეულო 507 სულს ითვლის (ზუგდიდი — 199, წალენჯიხა — 103, თბილისი — 71), (გვარსახ. საქ-ში).

ჩაკვეტაია ჩაკვეტება — ჩაკვეხება. შდრ. ქართ. გვარები ჩაკვეტაძე, ჭანკვეტაძე||ჭანკოტაძე. ჩაკვეტაიას საგვარეულო 61 სულს ითვლის (წყალტუბო — 50, ქუთაისი — 2, ოზურგეთი 1), (გვარსახ.)

ჩალიგავა ჩალიკვა — ცაცია, მარცხენა ხელის მხმარებელი (ჩუბ.) ჩალიგავა ნაწარმოებია ჩალიკა ადამიანის საკუთარი სახელისაგან. ჩალიგავა ხუტია იხსენიება, როგორც ყმა 1860 წ. 2 მარტის მის განცხადებაში ოზურგეთის მაზრის (უეზდის) უფროსისადმი, რათა აკმაროს ერთი მებატონის სამსახური. (საქ. ბ/ყმ. მას., თბ., 1925, 3, 109). ხაბუმე (ჩხოროწყუს რ-ნი), სოფ. წალენჯიხა, (წალენჯიხის რ-ნი).

ჩალიგავას საგვარეულო 834 სულს ითვლის (ჩხოროწყუ — 314, წალენჯიხა — 109, ზუგდიდი — 85) (გვარსახ. საქ-ში).

ჩალიჩავა ნაწარმოებია ჩალიჩა შერქმეული სახელისაგან. შდრ. ჩალიჩი ტილოს ლახტი საგვემელა ფუნდრუკობაში (ხტუნვა-თამაშში).

ჩალიჩავას საგვარეულო 42 სულს ითვლის (ზუგდიდი — 13, მარტვილი — 8, თბილისი — 6) (გვარსახ. საქ-ში).

ჩამაგუა (ჩამაგ(ე)ი ტანდაბალი (ქეგლ). გვარი მეტსახელისაგან წარმომდგარა. ჩამაა მთაა სოხუმის რ-ნში.

ჩამბა რუსულის გავლენით ბგერა შეცვლილია ჩ-თი, ეთნ. ჭანი (იხ. ჭამბა). უჩამბა (სოფ. შუახევის რ-ში;). ჩამბას გვარი 158 სულს ითვლის (ბათუმი — 40, ქობულეთი — 7, ხელვაჩაური — 111) (გვარსახ. საქ-ში).

ჩანგელია 1. ჩანგი — მუსიკალური სიმებიანი საკრავი, ა — ჩამგურ (აფხ.), დადიანის ჩონგური (მგრ.) დ. გულია, (ხელნაწერ. ინსტ. საქმ. №1934). 2. ჩანგალა (მგრ.) — ძლიერს ფეხზე მდგარი (სიმთვრალისაგან, სისუსტისაგან). გვარი მეტსახელისაგან ჩანს წარმომდგარი. ჩანგელი უსვამს ქორთობის შენაწირსა კაცსა მართებს საცაიშლო ბეგარა... ჩანგალათი მდ. ბაღდათის რ-ნში, ჯგალი — წალენჯიხის რ-ნი.

ჩანგელია ზ. დარჩელიდან (ზუგდიდის მაზრა) დადიანის ყმა. ჩ. ელიჯარ, თილითს მცხოვრები, ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინთის ღვთისმშობელს (1628), (მასალები, 106).

ჩ. თარაშ ბავრატის ძე ჯგალი (წალენჯ. რ.), საქ. სსრ დამსახ. მასწ. ომის ვეტერანი (გაზ. „კომ. დრო". 1. XII-79)

ჩ. ბახუ ჭკუტიას ძე სოფ. ჯგალიდან, დღევანდ. წალენჯიხის რ-ნი, თავადი დუტუ დადიანის ყმა-გლეხი, სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების აქტიური მონაწილე, რუსეთის ხელისუფლებისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისათვის 10 წლით ციმბირში გადასახლება მისჯილი. საისტ. მოამ. II. 149

ჩანგელიას საგვარეულო 803 სულს ითვლის (ზუგდიდი — 374, წალენჯიხა — 331, თბილისი — 31) (გვარსახ. საქ-ში).

ჩანთარია — ჩან-თარ-ი-ა, ჩან-ჭან, ჩ ბგერა ჩართულია რუსულის გავლენით ჭ-ს სანაცვლოდ: თარ-თური (მოდგმა). აქედანაა: **ჭანტურია, ჭანტურიძე ჭანტურიშვილი.**

ჩანთარია „ჩ" ძიღებული ჩანს რუსულის გავლენით იხ. ჭანტურია შდრ. ჭიკაიძე ჩიკაიძე.

ჩანთარიას გვარი 47 სულს ითვლის (თბილისი — 21, სენაკი — 8. მარტვილი — 7) (გვარსახ. საქ-ში).

ჩანია ეთნ. ჭანისაგან მომდინარეა. შდრ. ქართ. გვარები: ჩანიშვილი, ჭანუყვაძე, მეგრ. **ჭანია**, აფხაზ. **ჭანბა.***

ჩარაია გარუსებული ჭარაია გვარსახელია, (იხ.) ჭარაია, ქართ. ჩიკვაიძე‖ <-ჭიკაიძე.

ჩარგაზია წარმომდგარია 1. ჩარგაზა საკუთარი სახელისაგან; 2. ჩარგაზუა — გათელვა. ჩარგაზ — სატომო სახელი ჩერქეზისაგანაა მიღებული (იხ. შარაშია, იქ ჩირგასია), შდრ. ჩერქეზიშვილი.

ჩარგაზია მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინას მოსახლეობის 1857 წ. სიაში... ღვაპი, ცოლი — დაჯე, ვაჟები: კუმაჯი, ნაგვი, აფუჯი, ასული — ჯაოზ, რძალი — ნიში; ჩარგაზავა ჯოჭსაჩი, ძმა — კუმაჯი როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებულნი 1834 წ. იენისში. დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, 39, 40).

მე-19 ს. 30-იან წლებში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში, — შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130 საგვარეულოდან 35 იყო აფსუური..., 85-მდე ქართულ-მეგრული-ლაზური წარმოშობისაა. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997)

ჩარგაზიას საგვარეული 1064 სულს ითვლის (ზუგდიდი — 431, მარტვილი — 205, თბილისი — 84), (გვარსახ. საქ-ში)

ჩარტია (თბ. 31.01.79.4) — ჩერტი (მგრ.) — ჩელტი.

ჩარტიას საგვარეულო 170 სულს ითვლის (ფოთი — 47, სენაკი — 40, ზუგდიდი — 20), (გვარსახ. საქ-ში).

ჩხარჩხალია წყლის ჩხარჩხალი — შხუილი; საჩაჩხალიო (ოჩამჩ. რ.), ლეჩხარჩხალე — ხაბუმე (ჩხორ. რ.), საჩაჩხალიო — სოფ. ოჩამჩირის რ-ნის ფოქეშის ტერიტორიაზე, ჩაჩხრიალა — ახმეტის რ-ნში; ჩანჩეთი, ლანჩხუთის რ-ნი ნიგვზიანის თემში, ჩოჩხარი სოფ. ოზურგ. რ-ნში.

ჩაჩხალიები იხსენიება მე-19 ს-ის I ნახ-ში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინაში.

ჩარჩხალიები 84 სულს შეადგენს (თბილისი — 25, სენაკი — 14, ფოთი — 13), (გვარსახ. საქ-ში).

ჩაფრავა (სოფ. ცხ. 5.12.68.2); მომდინარეობს ჩაფ(ა)რა მეტსახელისაგან. შდრ. ჩაფრან-ი — „პატარა გოდორი“, იხმარება საქონლისათვის ბზის დასაყრელად (ქეგლ); კოჩარა (ოჩამჩ. რ.), ბარლები (გალ. რ.). ჩვენი აზრით, ჩაფრავა ძირი მოდის „ჩაფარია“-დან; ჩაფარია (მგრ.) ჩალის მოჭრის შემდეგ დარჩენილი ღეროებისაგან შეკრული ჩელტი აბრეშუმის ჭიისათვის.

ჩაფრავას საგვარეულო 117 სულს ითლის (ზუგდიდი — 51, ცაგერი — 24, ქუთაისი — 13), (გვარსახ. საქ.)

ჩაუშხია ეტიმოლოგია დასადგენია.*

ჩაუშას ეტიმოლოგია საკვლევია; გვარი 23 სულს ითვლის (ბათუმი – 14, ხელვაჩაური – 9) (გვარსახ. საქ-ში).

ჩაჩავა ადგ. გამოთქმით ჩაჩაა. ჩაჩი – ქსოვილის საშინაო საღამური ქუდი (ქსე), საჩაჩო, ხობის რ-ნის ჭალადიდის ტერიტორიაზე. ოჩაჩანეს მიწები, კირცხი – სარაქონი ჩხოროწყუს რ-ნი.

№ 108. 1849 წ. ოქტომბრის 10. მთავარი დავით დადიანის ბრძანება კოტო ჩაჩავასადმი.

„... ამის შემდეგ „არა სუფევდეს უკმაყოფილება თქუენი გლეხებთა შორის... თქვენ არ გაქვთ ნებაგალახოთ ე. წ. რაც არ დებულა მისი მამაპაპეულს თქუენი მამა პაპეულისაგან, მოსთხოვოთ".

ჩაჩავა თეიმურაზმა ოჩამჩირელმა აზნაურმა შესწირა ცხრას სამოცდაშვილი მანეთი ოჩამჩირის სკოლას (გაზ. „ივერია" 1897, № 180).

ჩ. ივანე (1905) გაგრაში რევოლუციური მოძრაობის მონაწილე, თბილისის პალატის მიერ 1907 წ. 5-13 ნოემბერს გასამართლებული (ტულუმჯიანი, 57).

ჩ. ნოე (1905) გაგრაში რევოლუციური მოძრაობის მონაწილე. ტულუმჯიან, 102

ჩ. კონსტანტინე გიორგის ძე, (1880-1904), დ. ლანჩხუთის რ-ნის სოფ. ლანჩხუთში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოღვ. 590).

ჩ. ამირან ვლადიმირის ძე სნაიპერი, ლენინგრადის ბლოკადის გარღვევისათვის მებრძოლი (ქოჩიაშვილი, შ., 137).

ჩ. კონსტანტინე ვლადიმერის ძე, 1919, თბილისი, 1979, იქვე, ქართველი მეან – გინეკოლოგი, მედიც. მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1962). საქ სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1967), სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1974). (ქსე).

ჩ. მიხეილ კონსტანტინეს ძე, დ. 1902, ახლანდ. ლანჩხუთის რ-ნი, 1983, თბილისი, ქართველი ქირურგი, მედიც. მეცნ. დოქტორი (1937), პროფესორი (1944), საქ სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (964).

ჩაჩავას საგვარეულო 1145 სულს ითვლის (თბილისი – 309, აბაშა – 293, ფოთი – 125), (გვარსახ. საქ-ში). ის შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვართა სიაში და რაოდენობის მიხედვით 922-ე ადგილზეა (გვარსახ. საქ-ში)

ჩაჩიბაია ჩაჩია სიმინდის ხმელი ღერო – ჩალა. (მგრ) – ჭა; ჩაჩიბაიაში ნოხორი (ნასაბლარი). (აბაშა). ჩაჩიბაია ჩაჩიბას ვარიანტია. – შდრ. ჩაჩბა -> ჩაჩიბა(ია) -> ჩანჩიბაძე.

ხალხური გადმოცემით ალერტის (სოფელია მარტვილის რ-ნში) წმინდა გიორგის ხატი ითვლებოდა ჩაჩიბაიების საგვარეულო ხატად.

1874 წ. ზუგდიდიდან ჩამოსახლდა გიორგი ჩაჩიბაია (აცსა, ი.ფ. 57, ს. 13), აფხაზეთში მოსახლე მისი მოდგმა ჩაჩიბაიები ატარებენ ჩიჩბას გვარს.

ჩაჩიბაია კვაჯი, და — ჩიჩი მოხსენიებულნი არიან, როგორც კეთილშობილნი და გაქრიატიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8; 11).

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში შერვაშიძეთა რეზიდენციაში მოსახლეობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობიდან 35 აფსური, 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის ჩაჩიბაია (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ალერტისა და ილორის წმ. გიორგი ძმებიაო. მათი წინაპარი წამოსულა ბიჭვინთიდან და თან წამოუღია ილორის წმ. გიორგის ნაწილი, რომელიც ჩაჩიბაიას ყელზე შეუბამს. ჩაჩიბაიას იქიდან გამოჰყოლია პერტაიაც და მათ სოფელ ალერტში აუშენებიათ პატარა საჯვარე და ეს ხატის ნაწილი აქ დაუსვენებიათ ამ საჯვარესთან. შემდეგ აუგიათ ხის პატარა ეკლესია. ხოლო XIX საუკ. ორმოციან წლებში აქ აუშენებიათ მაღალგუმბათოვანი ქვის ეკლესია...

ალერტის ეკლესიის ხატის მნათედ პირველად ირჩევდნენ ჩაჩიბაიების და გოგიების გვარებიდან, რომლებიც ცხოვრობდნენ ალერტში. (მაკალათია, 358-359).

ჩაჩიბაია გიორგი ზურაბის ძე მოხსენიებულია, როგორც присяжный поверенны III, 1912. (ხელნაწ. ინსტ. ფ. 27, წერილი ე. თაყაიშვილს №1381)

ჩაჩიბაიას, გლეხი, დადიანის სამფლობელოდან, ყმობის სიმკაცრეს გამოქცეული და ორი ვაჟით მალულად ხონში ცხოვრობდა. (სცსა 3. 4, აღწ. 2, ს. 3160).

ჩ. აქვსენტი, რევოლუციონერი, 1905 წ. 28 ნოემბერს სოჭში შექმნილი სახალხო მილიციის ჯგუფის წევრი. (ტულუმჯიანი, 83).

ჩ. ზურაბ ვლადიმირის ძე, საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორი (1951), სამამულო ომის მხედართმთავარი ვეტერანი. (დოლიძე, ლ., 206.)

ჩ. არჩილ ესტატეს ძე, დ. 1909, სენაკი. ქართველი მწერალი. ქსე. ლიტერატურათმცოდნე. ფილოლოგ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1971), მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1979).

საგვარეულო 977 სულს ითვლის (თბილისი — 225, ზუგდიდი — 186, სენაკი — 151), (გვარსახ. საქ-ში).

ჩაჩუა მოსაქმეობის ტერმინია (მეგრ.) — ჯოხების ცემით, ლობიოს, ღომის — ღომის თავთავის ნაყოფისაგან განთავისუფლება; საჩაჩუო — ნორიო, საჩაჩუო — ნაესაკაო (აბაშ. რ.). ამრიგად, ჩაჩუ(ა), როგორც გვარი, მეტსახელისაგან მომდინარეობს.

ჩაჩუას საგვარეულო ამჟამად 2818 სულს ითვლის (სამტრედია — 1541, თბილისი 642, ქუთაისი — 128), (გვარსახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობით 240-ე ადგილზეა. (გაზ. საქართვ. 6-8 მარტი, 1997).

ჩაჩხალია შდრ. ჩხარჩხალია, ჩაჩხალია, ჩირჩხალია — წყლის ჩარჩხალი, შხუილი. საჩხარჩხალო, ოჩხარჩხალე — ეკი — სენაკის რ., ჩანჩხალო — სოფ. შუასუვის რ-ში (აჭარა).

ჩაჩხალია კუცუ, ძმა ბაჩვალი მოხსენიებულნი არიან, როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისა და ქრისტიანად მონათლულნი 1834 წ. აპრილში ღღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინაში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997, გვ. 8, 5).

საგვარეულო 105 სულს ითვლის (თბილისი — 27, ზუგდიდი — 23, სენაკი — 10), (გვარსახ. საქ.).

ჩახავა ჩახვია (მგრ.) — პატარა ტომარა (შდრ. ძველქართული ინჩახვი), ჩიჩახვი (კილანავა).

ჩახავა გიორგი ვარლამის ძე, დ. 1923, თბილისი, ქართველი არქიტექტორი, „საქ. სსრ დამსახ. არქიტექტორი (1971).

ჩ. მედეა ვასილის ასული, დ. 1921, სოფ. სერგიეთი, მარტვილის რ-ნი, ქართველი მსახიობი. საქ სსრ სახ. არტისტი (1960).

ჩ. გიორგი, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, სევასტოპოლისათვის მებრძოლი და სამამულო ომის ვეტერანი. (ქოჩიაშვილი, მ., 26).

ნაჩახუ-სერგიეთი (აბაშ. რ.), საჩახუე-სერგეითი (მარტვ. რ.). ამავე გვარის ძირს შეიცავს **ჩახაია** და **ჩახუნაშვილი**.

ჩახავას საგვარეულო 160 სულს ითვლის (თბილისი — 92, მარტვილი — 17, ქუთაისი — 14), (გვარსახ. საქ.).

ჩახაია (იხ. ჩახავა).

საგვარეულო 530 სულს ითვლის (ზუგდიდი — 426, თბილისი — 39, ჩხოროწყუ — 16), (გვარსახ. საქ-ში).

ჩეგია ობლად დარჩენილი ნადირთ ნაშიერი (ქეგლ). ჩეგემი ჯგერდა (ოჩამჩ. რ.).

ჩიგია (საბუთში ასეა) ბურდღა, ნაცოლევი — ხვარაშან, ასული — კულაქ მოხსენიებულნი არიან, როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებულნი 1834 წ. იენისში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში. (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6; 7).

ჩემია წარმომდგარა შერქმეული სახელისაგან. (თბ., 02. 65-3) ჩემი-ჩემიანი; საჩემიო — გეჯეთი, ჩემნაგაში ნოხორი (ნასახლარი) — სენაკის რ-ნი, ბაღმარანი — გულრიფშის რ-ნი.

საგვარეულო 838 სულს ითვლის (სენაკი — 256, თბილსი — 184, ზუგდიდი — 8), (გვარსახ. საქ-ში).

ჩემინავა — ჩემიანი... (იხ. ჩემია). ჩემინავაში ინ(ა) კნინობითობის სუფიქსად უნდა დავსახოთ. შდრ. მამინა — მამინაშვილი.

ჩემინავა — ქართველი ტყვე, გერმანელთა მეკავშირე, ტექსელის კუნძულზე (ჰოლანდია) ტყვეთა აჯანყების მონაწილე (ქოჩიაშვილი, 46).

ჩემინავას საგვარეულო 357 სულს ითვლის (ზუგდიდი — 185, თბილისი — 78, ფოთი — 18) (გვარ-სახ. საქ-ში 218).

ჩენგელია — ჩენგი (მეგრ.) — საჩორკნი თოხი (ელიავა გ., ლექსიკ.)

გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშის მცხოვრებ ქართველად, სადაც აფსუათა გვარი თითზე ჩამოსათვლელი იყო (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშც. მარტი, 1997).

ჩეპია ეტიმოლოგია საძიებელია.


ჩეჟია იხ. ჭეჟია).

ჩერგელია ჩერგვალი (მგრ.) — ვაზის ჯიშია, თეთრი, მაღლარი (ელიავა გ., ლექსიკ.) უნდა მომდინარეობდეს შერგილ (‖ შერგილ) ადამიანის საკუთარი სახელისაგან. ჩერგელ-შერგელ (‖ შერგილ). შდრ. ქართულდაბოლოებიანი გვარსახელი შერგელაშვილი (გავრცელებული გვარია იმერეთში).

ჩერგელია იქითის ასული ხიში მოხსენიებულია, როგორც გლეხი, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. აპრილში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., მარტი, გვ. 6; 115).

ჩერქეზია წარმომდგარია ეთნ. ჩერქეზისაგან.* შდ. ჩერქეზიშვილი ჩერქეზიზუ — სოფ. ბლაბურხვის თემში (გუდაუთის რ-ნი). ჩერგეზიას გვარი 58 სულს ითვლის (ზუგდიდი — 33, სენაკი — 9, თბილისი — 6). (გვარსახ. საქ-ში).

ჩერჩია (< - იხ. ჩარჩია) თასია, ემართა თილითის სასახლის ბეგარა... (1621).



ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ

ჩეხერია ჩეხერა, ქედმალალი, ამპარტავანი (ქალი, კაცი).

ჩვაბელია ეტიმოლოგია საძიებელია. ჩვაბლიანი სოფ. მესტიის რ-ნში

ჩვამანია წარმოშობილი უნდა იყოს ჩვამანა შერქმეული სახელისაგან. ჩვამა — მოზრდილი, ჩვეულებრივ შავბუმბულიანი ფრინველი; იკვებება თევზით (ქეგლ).

ჩვამანიას საგვარეულო 127 სულს ითვლის (სენაკი — 87, თბილისი — 20, ზუგდიდი — 4), (გვარსახ. საქ-ში).

ჩიბუხია ყალიონი (ქეგლ) ჩიბახი — (მგრ.) ფოთქვი, ჯილე (ელიავა გ., ლექსიკა) წარმომდგარია ჩიბუხა მეტსახელისაგან. ჩიბუხ-ი (თურქ.

ჩუბუ), თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა – მუნდშტუკი და მასზე წამოცმული პატარა ფინჯნისებური ჭურჭელი (თიხისა, ხისა) თამბაქოს ჩასაყრელად.

ჩიგია ეტიმოლოგია საკვლევია. ჩ. კაკა, ცოლი სადლამი ჩიხურაია მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის მოსახლეთა გაქრისტიანების 1837 წ. იანვრის სიაში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 81).

ჩიგვაგა გვარი მოხსენიებულია სოფ. აფიცხ||უაში (შავი ზღვის სანაპირო, ტოპ. ქართულია), 1844 წ. მცხოვრები 300-მდე ქართველთაგანი. (გაზ. „საქართ“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ჩიგორავა დოქუდარ, მილია, პიპირეი დაწყალგზას სასახლე ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინთას (1628) მასალები, 264).

ჩიკა (მგრ) უშნოდ თავმომწენე, (ელიავა გ. ლექსიკ.)

ჩიკაშუა ნაწარმოები ჩანს ჩიკაშ(უ) შერქმეული სახელისაგან. ჩიკა დაბალი (ჩვეულებრივი სამფეხა სკამი) (ქეგლ).

ჩიკაშუას საგვარეულო 275 სულს ითვლის (ლანჩხუთი – 110, თბილისი – 62, ოზურგეთი – 31), (გვარსახ. საქ-ში).

ჩიკვატია წარმომდგარია ჩიკვატა მეტსახელისაგან. ჩიკვატია, ვფიქრობთ, იგივე ჩხიკვატია უნდა იყოს. შდრ. ქართ. გვარი ჩიკვაიძე (<-ჩიკვატიძე), ისე როგორც ჩხეიძე <- ჩხეტიძე.

ჩიკვატიას საგვარეულო 207 სულს ითვლის: (ზუგდიდი – 170, თბილისი – 49, ხობი – 11., (გვარსახ. საქ-ში).

ჩიკორია (იხ. ჩიკაშუა).

1834-35 წ. წ. აღრიცხვით დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში ერთეული აფსუათა გვარი იყო, ხოლო ქართული 156 სულს ითვლიდა, მათ შორის ჩიკორია (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ჩიკორიას საგვარეულო 21 სულს ითვლის: (თბილისი – 7, ზუგდიდი – 6, ქუთაისი – 2.), (გვარსახ. საქ-ში).

ჩილაჩავა 1. ჩილა-ჩავა, ჩილა – სანთლის გული, ჩავა – ზევიდან ქვევით გადაინაცვლებს, გადაადგილდება; 2. ჩილიკა – ჯოხის თამაში (დათიკაშ.,V); ამრიგად, როგორც არ უნდა ავხსნათ ეს გვარსახელი – ჩილაჩავა, იგი მაინც ჩილაჩა მეტსახელისაგან მომდინარეობს. ლეჩილაჩე-კიწია, ნაჩილაჩუ-ბანძა, ლეჩილაჩე-გურძემი (მარტვ. რ.). ჩილაჩავა – დღ. სენაკის რ-ნის ლეკში სოფ. მცხოვრებ საეკლესიო გლეხს ეწერა 5 ღოღარიკი სანთელი.

ჩ. შურა, გერმანელთა ტყვე, ტექსელის კუნძულზე (ჰოლანდია)

ქართველ პარტიზან ტყვეთა აჯანყების მონაწილე, მეტყვიამფრქვეველი, მტრის ტყვიამ მარჯვენა ხელი გადაუმსხვრია, მაგრამ მარცხენით მუსრავდა მტერს.

ჩილაჩავები მოსახლეობდნენ დღ. მარტვ. რ-ნის სოფ. ბანძაში და თავად ფალავების ყმა-გლეხები იყვნენ.

ჩ. შალვა ილიას ძე, დ. 1911, ზუგდიდში. საბჭოთა კავშირის გმირი 1945. (მათ ასახელეს, 427-430).

ჩილაჩავას საგვარეულო 581 სულს ითვლის: (ზუგდიდი — 204, ჩენაკი — 126, თბილისი — 87), (გვარ-სახ. საქ-ში).

ჩიმავა ნაწარმოებია ჩიმა მეტსახელისაგან. შდრ. ჩიმჩაა -> სიმავა, სიმჩ-ი — ჩალის ნამწვავი (ქეცლ), ან ჩქიმავა -> ჩიმავა. ჩქიმი — მეგრ. „ჩემი“.*

ჩიტაია წარმომდგარია ჩიტა შერქმეული სახელისაგან. შდრ. გვარი: სირაძე, ჩიტაძე, ჩიტიშვილი. „ოჩიტოლე“ ჩიტაუბას თავშესაფარი კირცხი, სავეკუო-ახუთი ლეჩიტაიე (ჩ'ბორ. რ.), ლეჩიტე, ჩიტური (აბაშ. რ.), ჩიტაიაში ნაცვანუ (ნაყანარი) — მენჯი (სენაკ. რ.).

1888 წ. მონაცემებით ჩიტაიას რამდენიმე ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად სოჭში. დღევანდელი ახალი სოჭის ტერიტორიას ამბაკო ჩიტაია ფლობდა მუდმივ საძოვრებად. ქალაქის ცენტრალური პარკი ჩიტაიას მიერ არის გაშენებული. გორკის ქუჩასა და პროსპექტს შორის დიდი ბაზარი იყო. მის ირგვლივ კი რაჭველებისა და მეგრელების დუქნები და სახელოსნოები იდგა. ისინი ამზადებდნენ სამეურნეო იარაღებს, ჭურჭლეულს, რასაც დიდი გასავალი ჰქონდა შავი ზღვის სანაპიროს მოსახლეობაში (ნ. კევლიშვილი, ქართველები პლასტუნკაში, საბჭოთა ხელოვნება, 1954 წ., 6, გვ. 60).

ჩიტაია ჩიტათა სოფლებია: ჩიტიანი (შიდა ქართლი) ახალგორის რ.

სამტრედიიდან სოჭში ჩასული მეგრელები ზრუნავდნენ მოსახლეობის სულიერ საზრდოზე. ამას ადასტურებს 1897 წ. 2 ივლისს „ივერიაში“ გამოქვეყნებული სოჭელი კორესპონდენტის პუბლიკაცია, რომელშიც ვკითხულობთ: „ბატონ ჩიტაიას მიერ გამართულ და მოწყობილ ბაღში კვირაში სამჯერ რუსული წარმოდგენები იმართება ხოლმე. კარგი იქნება, ბატონმა ჩიტაიამ ერთხელ ქართველი არტისტები გამოიწეროს და გვაღირსოს ჩვენს სამშობლოს ენაზედ (გაზ. „ივერია“, 1897, 2 ივლ. 137, გვ. 2.).

1922 წ. სოჭში ჩამოყალიბდა ქართული თეატრალური დასი.

ჩიტაია — გვარი მოხსენიებულია მე-19 ს-ნის I ნახ-ში დღ. ოჩამჩირის

რ-ნის სოფ. შქაწყარის მცხოვრებ სხვა ქართველებთან ერთად, სადაც სხვა აფსუური გვარის ჭაჭანება არ იყო. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ჩ. გიორგი სპირიდონის ძე, დ. 1890, ფოთი, 1986, თბილისი, ქართველი ეთნოგრაფი, საქ სსრ მეცნ. აკად. წევრ-კორ. (1944), ისტ. მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1963), საქ სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1969) ქართ. ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი.

ჩ. ანდრო იაკოს ძე, სოჭში რევოლუციური მოძრაობის მონაწილე, ქალაქში 1905 წ. 22 ნოემბერს შექმნილი სახალხო სასამართლოს წევრი. (ტულუმჯიანი, 75.)

ჩ. ტროფიმე ლევანის ძე დ. 1899, სოფ. ახუთი, ახლანდ. ჩხოროწყუს რ-ნი, 1962, თბილისი, ქართველი სამთო ინჟინერ-გეოლოგი. საქ სსრ დამსახ. ინჟინერი (1961), სსრკ სახ-ფო პრემიის ლაურეატი (1951).

ამჟამად საგვარეულო 1435 სულს ითვლის (ზუგდიდი — 278, თბილისი — 251, ჩხოროწყუ — 245) (გვარ-სახ. საქ-ში, 219). ჩიტაიათა გვარი მოხსენიებულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 698-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

ჩიტავა (იხ. ჩიტაია); ჩიტავას საგვარეულო 27 სულს ითვლის *ვანი — 11, რუსთავი — 8, სამტრედია — 3), (გვარსახ. საქ.).

ჩიტია (იხ. ჩიტაია).

ჩიტია გიკაკა, ხიბლას მცხოვრები, ემართათ ბიჭვინთის ტაძრის ბეგარა... (1621)

ჩიტიას საგვარეულო 218 სულს ითვლის (სამტრედია — 75, აბაშა — 63, თბილისი — 46), (გვარსახ. საქ-ში).

ჩიქავა წარმომდგარია ჩიქა მეტსახელისაგან. ჩიქა ფარდაგის საქსოვი ყდების ხელები (ქეგლ). ჩიქახეს (ჩიქას ასულის) მოქმედებაზეა ანდაზა: „სონი ჩიქახე სო მიშახე, „სადაური ჩიქავას ასული სად ჩამჯდარაო“ (ხალხ. სიბრძ.).

. ჩიქავა ლეო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ჩიქავას საგვარეულო 203 სულს ითვლის (ზუგდიდი — 163, თბილისი — 35, ფოთი — 2). (გვარ-სახ. საქ-ში)

ჩიქვანია ჩიქვა, ჩიქვი მეტსახელიაგანაა წარმომდგარი. შდრ. ჩიქვანია, ჩიქოვანი; საგვარეულო 142 სულს ითვლის (მარტვილი — 82, თბილისი — 45, ფოთი — 6), (გვარ-სახ. საქ-ში).

ჩიქვანია (იხ. ჩიქვანაია); საგვარეულო 31 სულს ითვლის (თბილისი — 21, მარტვილი — 5, სენაკი — 1. (გვარ-სახ. საქ-ში)

ჩიქვანია მარგო ილარიონის ასული, გეგეჭკორის ტუნგის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

ჩიქვანიას საკვარეულო 31 სულს ითვლის: თბილისი — 21, მარტვილი — 5, სენაკი — 1 (გვარ-სახ. საქ-ში).

ჩიქოვანი (შდრ. ჩიქობავა). ჩიქოან||ჩიქოვანში ოან||ოვან სიტყვასაწარმოებელი ძველი ქართველური სუფიქსია. ჩიქ საერთო ძირია ჩიქავა, ჩიქობავა გვარსახელებისათვის. ეგევე ძირი ა სუფიქსდართული გვაქვს ჩიქვანია გვარსახელში: ჩიქოვანი -> ჩიქოანი. ერთი მხრივ, ჩიქოვანი -> ჩიქვანი, მეორე მხრივ ურთიერთსაპირისპირო, მაგრამ ერთდროული დიალექტური, ისტორიული პროცესი ჩანს კოლხურში. „გვარი საისტორიო წყაროებსა და წარწერებში იხსენიება: ჩიქუანი, ჩიქანი და ჩიქვანი. სამეგრელოში და ლეჩხუმში ხალხი დღესაც ჩიქვანს ამბობს. რუსები წერდნენ — ჩიკოვანი, რომლის მიბაძვით ნაწარმოებია ქართულ მწერლობაში დამკვიდრებული ჩიქოვანი. (მაკალათია, საისტორ. და ეთნოგრ. თბ., 1992, გვ. 103) ჩიქოანი გრიგოლ — მოხსენიებულია ხატის წარწერაზე ცაიშის მიტროპოლიტად. (საქ. სიძვ., 3, 172, 175, 161). ჩიქოვანი წარჩინებული საგვარეულოთაგანია ძველ საქართველოში, ოდიშის მთავარი; საჩიქვანიო-ლეძაძამე, ჩიქვანიში კარი-ნოქალაქევი, ჩიქვანიში ოხვამე (სალოცავი ეკლესია) — ლეძაძამე, ჩიქვანიში ოდაფე (დაფნის პლანტაცია), ნაბინეხარი (ნავენახარი, სენაკ. რ.), საჩიქვანო-ჭოლა, მუხური (ჩხორ. რ.), ჩიქვანიში დიხა (მიწა), (მარტვ. რ.), „გარნა ესე ლეჩხუმი შემდგომად განყოფისა სამეფოსათა იყო ტალანი იმერთა მეფისა და აწ უპყრავსთ ჩიქოვანს, რომელიც არს დადიანი“ (ვახუშტი, ქართ. ერ. ისტ., IV., 750). (ივან ბოლოსართით წარმოქმნილი გვარსახელია ანალოგიური: გელოვანი, კიტოვანი...), ძირეულია საკ. სახელი ჩიქა. შდრ.: ჩიქავა, ჩიქვაია, ჩიქვანია, ჩიქობავა, ჩიქვილაძე, ჩიქოვანიძე (მაისურაძე, 201).

„ჩიქოვანების რეზიდენცია იყო სოფ. კვაუთში. აქ სასახლე, კარის ეკლესია, ციხე-სიმაგრე. ლეძაძამეში ჰქონდათ. ყმა-გლეხები იყვნენ: აფშილავები, ძაძამიები, გოგიები, არზიანები, დამენიები, კიკალიშვილები, ნანეიშვილები, ჩიხლაძეები, ხეცურიანები, პაჭკორიები, ჩიქობავები, ფარცვანიები, გელანიძეები, ქუთათელაძეები, ჯანაშიები, ფაცაციები და. სხვ.“ (თ. ბერაძე, II, 11). ჩიქვანთა აზნაურები იყვნენ: გაბუჩიები, საჯაიები (სოსელია, 318). ჩიქოვანთა „გვარისანი ძირითადად თავადები იყვნენ და აზნაურებიც, განსახლებულნი ლეჩხუმის რაიონის სოფლებში: ლაცორიაში, სპათაგორში, ხოჯში, უსახელოში, მახაშში, ლესიდში, უცხერში, ცხუკუშერში, ღვირიშში, საირმეში.

ჩიქვანების სათავადო წარმოიქმნა ძველი სალიპარტიანოს ერთ ნაწილზე – სოფლები: კვაუთი, ლესაყე, თარგამელა (ნაწილობრივ), ჯოლევი (ნაწილობრივ), ნამკოლუ (ნაწილობრივ), ლეძამე (ნაწილობრივ), აზნაურები: გაბუნიები და საკათები (სოსელიო. ნაკვ. 318, ყმა-გლეხები იყვნენ: მაჯაგალაიები, ბარამიები, ლემონჯავები, სოხაძეები, ბაძალუები, ხოლო მათი აზნაურები იყვნენ: კიკალიშვილები, ბაძალუები (სოსელია ო. ნარკვ, 320).

II ჩიქვანთა საგვარეულო:

20 კაცია I (1704-1710)
21. ბეჟან (1715-1728)
22. ოტია (1728-1752)
23. კაცია II (1745-1788)
24. გრიგოლ (1788-1804)
25. ლევან V (1804-1840)
26. დავით (1840-1853)

ეს კაცია I იყო ოდიშის პირველი მთავარი ჩიქვანის ვვარიდან, იგი იყო შვილი გიორგი ჩიქვანისა და შვილის შვილი კაციასი, ლეჩხუმისა და სალიპარტიანოს პატრონისა. კაციას შვილებში დაწინაურდა გიორგი, რომელმაც მიიღო სალიპარტიანო და იწოდებოდა ლიპარტიანად. 1691 წლიდან, როდესაც სტამბოლში გაიხიზნა ოდიშის უკანასკნელი მთავარი დადიანთა გვარიდან ლევან IV,გიორგი ლიპარტიანი შეიქნა სამეგრელოს სამთვაროს ფაქტობრივი მმართველი, მაგრამ იგი ვერ ბედავდა გამთავრებას. 1704 წელს გიორგი ლიპარტიანმა თავისი უფროსი შვილი კაცია აღიარა ოდიშის მთავრად.

იმერეთის მეფე სოლომონ II-სთან ბრძოლის პერიოდში გრიგოლს აუმხედრდნენ მისი ძმები: მანუჩარ და ტარიელი, რომლებიც სოლომონის წაქეზებით და დახმარებით ცდილობდნენ გრიგოლის გადაგდებას და სამთავროს ხელში ჩაგდებას. მანუჩარმა ცოტა ხნით შეძლო გამთავრება (1791-1796 წ.), ტარიელი დადიანად იყდა 1802 წელს, შემდეგ გრიგოლმა ის გადააგდო და ისევ დაიჭირა სამეგრელოს სამთავრო.

ჩიქოანი მიქოუჭ, ასული ჯავაზ ნახსენებია როგორც გლეხი, წარმართული სარწმუნოებისა და მონათლული 1834 წ. აპრილში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპც. გამოშვ., 1997, გვ. 6, 58).

ჩიქოვანი როსტომ გიორგის ძე, შტატის კაპიტანი, თავადი, სამეგრელოს უმაღლესი სამმართველოს მდივანბეგების თავ-რე (1848 წ.). (კავკ.

კალ., 1848, 23). ჩიქოვანი სიმონ (იხეიძის ძე, პოდპორუჩიკი, თავადი სამეგრელოს უმაღლესი სამმართველოს მდივანბეგი (1848), (იქვე). ჩიქოვანი ვახტანგ გიორგის ძე პოდპორუჩიკი, თავადი, სამეგრელოს უმაღლესი მთავარმმართველობის მდივანბეგი (1848), (იქვე).

„მარტვილის ეკლესიას სახელს სდებენ ჩიქოვანების ეკლესიათ“ (ძვ. საქ., III, 43).

ჩიქვანი ივანე, თავადი, მთავარი დავით დადიანის სასახლის მოსამსახურეთუხუცესი. (მეუნარგია ი. 67).

ჩ. ალექსი — ლაილაშის მაზრის უფროსი დავით დადიანის დროს. (მეუნარგია ი. 114).

ჩ. ანტონ — ზუბის მაზრის უფროსი თავად დავით დადიანის დროს (1840-1853). (მეუნარგია ი. 114).

ჩ. ალექსი — მურის მაზრის 45 სოფლით ლეჩხუმ-სვანეთში მდივანბეგი (1847). (მეუნარგია ი., 114).

ჩ. ალექსი ზუგდიდელი, „ერთხელ წინ შეეგება თავად დავით დადიანს ჩალმიანი კაცი.

— ვინ არის ეს თათარი, იკითხა მთავარმა. — ეს თათარი კი არა, ალექსი ჩიქვანია, ბატონო, ოტიას შვილი, — უპასუხა მხლებელმა — მოხადეთ ახლავე თავსაბური და გაგზავნეთ მეფურნესთან. აიღოს ლეჩაქი და მის ფასში პური გაუგზავნოს ბალის მუშებს, — ბრძანა მთავარმა.

ლეჩაქი 6 ალაბი გამოდგა და მუშებს ხუთი პური გაუგზავნა.

ჩ. დათა, სახლთუხუცესი თავად დავით დადიანისა. „1847 წ. 26 იენისიდამ 1-ლ ნოემბრამდის ხოლერით გახდა ავად სამეგრელოში 1385 კაცი, — რომელთაგან გარდაიცვალა 508, ამავე წელს მუცელკეთილით კი გახდა ავად 8012 კაცი; ამათგან გარდაიცვალა 4032“. (მეუნარგია ი., 39).

ჩ. ივანე, თავადი, რომელიც სამეგრელოს გლეხთა 1876 წ. აჯანყების მონაწილეა, გლეხებს ამხნევებდა და მოუწოდებდა წინააღმდეგობის გაწევისაკენ, გამომდინარე პირადი ინტერესებიდან, 6 წლით გადასახლებული რუსეთის შორეულ გუბერნიაში. (საისტ. გ., II, 150).

ჩ. ვლადიმერ, გლეხი, სოჭის რევოლუციური მოძრაობის მონაწილე, გასამართლებამდე ციხეში მოკლული 1905. (ტულუმაჯიანი, 133).

ჩ ალექსანდრე ერემიას ძე (1897-1937), ქართველი ინჟინერ-ჰიდროენერგეტიკოსი. პროფესორი (1971).

ჩ. მიხეილ იასონის ძე (1909-1983), დ. ჭუთაისის ოლქის, ლეჩხუმის

მაზრის სოფ. ცხუკუშერში, ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი (1949). პროფესორი (1950), საქ სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1961), საქ სსრ სახ-ფო პრემიის ლაურეატი მეცნ. და ტექნიკის დარგში (1988), (ჯაფარიძე ს., 252).

ჩ. სამსონ სამსონის ძე, დ.. 1915, სოფ. ხეთა, ახლანდ. ხობის რ-ნი; 1975, სოხუმი, სამედიც. სამსახურის ჭენერალ-მაიორი, აფხ. ასსრ და საქ სსრ (1966) დამსახ. ექიმი.

ჩ. ვახტანგ ვლადიმერის ძე, დ. სამტრედიაში, საბჭოთა კავშირის გმირი 1944. (მიენიჭა სიკვდილის შემდეგ), დასაფლავებულია ჩერკასის ოლქის სოფ. ვოდიანიკში. (მათ ასახელებს, 431-433).

ჩიქოვანი (სახ. და გვარი არაა) მოხსენიებულია 1909 წ., როგორც მიწათმფლობელი დ. გუდაუთაში.

ჩიქვანია ევსევი ეგნატეს ძე (1893-1919), დ. სენაკის მაზრის სოფ. ნახარებოვოში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოღვ. 591).

ჩ. გიორგი ევგენის ძე, 1928, თბილისი, 1968, იქვე, ქართველი ფიზიკოსი ფიზიკა-მათ. მეცნ დოქტორი (1970), ხარისხი მიენიჭა გარდაცვალების შემდეგ.

ჩ. კონსტანტინე (ბონდო) პლატონის ძე, 1908, სოფ. ჩხორია ახლანდ. ზუგდიდის რ-ნი, 1960, თბილისი, ქართველი ნეიროქირურგი, ნეიროქირურგიის ფუძემდებელი საქართველოში, მედ. მეცნ. დოქტორი (1945), პროფესორი (1947), საქ სსრ მეცნ. აკად. წევრ.-კორ (1955).

ჩ. სიმონ ივანეს ძე, დ. 1902, სოფ. ნაესაკოვო, ახლანდ. მარტვილის რ-ნი, 1966, თბილისი, ქართველი პოეტი... სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ჩ., თავადი გრ. უცხერელი დღ. ცაგერის რ-ნი, მისი თანამეცხედრე იყო ფოტინე, განთქმული მოჭადრაკე ქალი, რომელსაც ქუთაისში რამდენიმე პარტია უთამაშია ლევან დადიანთან.

ჩიქოვანების საგვარეულო მრავალრიცხოვანია, ის შესულია საქართველოს 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 107-ე ადგილზეა (გაზ. „საქართველო", 6-8 მარტი, 1997); გვარი 4358 სულს ითვლის (თბილისი – 1251, ჩხოროწყუ – 742, ზუგდიდი – 435). (გვარსახ. საქ-ში). სვდაც ჩიქოვანი დღ. ზემოსვან მე-13 ს-ის II ნახ.), (სვ. ძეგლ. 123 საკვლევია მთიდან ბარში მიგრაციასთან გვაქვს საქმე თუ? ვფიქრობთ, ერთიც და მეორეც.

ჩიქობავა ადგ. გამოთქ., ჩიქობა (ჩიქვა+ცნობილი ბოლოსართი -ბა) შეადარეთ საკ. სახელი ჩიქვი (ღლ. სახელი); აგრეთვე გვარსახელები ჩიქვაია, ჩიქოვანი და სხვ. (მაისურაძე). საჩიქობოში ჯიხა (საჩიქობოს კოშკი, საჩიქობოში გვალა (მთა), ჩიქობავაში გინარჩქილუ (გადასახედი), საჩიქობო-ეკი (სენაკ. რ.); „აქ არის ცნობილი ენათმეცნიერის, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას ეზო-კარმიდამო, შიგ სახლი არ დგას“, (გ. ელიავა, სენაკ. ტოპ., 73).

„ჩიქობა ერთი თურია, ერთი გვარია. იგი იყოფა შემდეგი დინოებად: დედანში თური, ხონკაში თური, ნიკოში თური, ჯოლორიაში თური, ლუკაიაში თური. ბატონი არნოლდი ჩიქობავა ხონკაში თურს, ხონკას დინოს ეკუთვნოდა“. მთქმ. ჩიქობავა მიხეილ უშანგის ძე, ძვ. სენაკი, სენაკის რ-ნი“.

ჩიქობავა არნოლდ სტეფანეს ძე (1898), სოფ. საჩიქობავო, ახლანდ. სენაკის რ-ნი. (1985), თბილისი, ქართველი ენათმეცნიერი, ენათმეცნიერების თეორეტიკოსი, პროფესორი (1933), საქ სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1941), მრავალი მეცნიერული ნაშრომის ავტორი.

ჩიქობავას საგვარეულო მრავალრიცხოვანია, ის შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 712-ე ადგილზეა. ამჟამად საგვარეულო 1409 სულს ითვლის (სენაკი – 459, თბილისი – 240, ზუგდიდი – 189), (გვარსახ. საქ-ში).

ჩიქოვანი ბესარიონ მოხსენიებულია, როგორც გუდაუთის ნაწილის უფროსი და გუდაუთაში სამკლასიანი სასწავლებლის ინიციატორი. (გაზ. „ივერია“, 1894, №264).

ჩიჩუა დაპეპვლას, დაჩინჩვლას ნიშნავს. (კომ. 21.11.67,2) ჩიჩუა ნიშნავს ჩინჩლვას, მამლის სქესობრივ აქტს; ჩიჩუეფში ნოდობორუ (ნასახლარია) – ნორიო, ჩიჩუაში ჭალი (ჭალა) – ზანათი (აბაშ. რ.), ჩიჩუაში ყვანა (ყანა), ჩიჩუაში ნოხორი (ნასახლარი) (ჩხორ. რ.), ჩიჩუაში ნოდობორ (ნასახლარი), საჩიჩუო – ჭალადიდი, ჩიჩუების კარე (კარავი) – კეთილარი (სენაკ. რ.); ჩიჩუა კაცია გიორგის ძე, პორუჩიკი, თავადი, ზუგდიდის მეორე კლასის მდივანბეგი (კავკ. კალ., 1848,2).

ჩიჩუათა გვარი ერთ-ერთი „უწარჩინებულეს“ ფეოდალურ გვარს წარმოადგენდა ოდიშის სამთავროში.

ჩიჩუები ოდიშის თავადნი ძველად იყვნენ ჩიქოანის გვართაგან, რომელიც იყო ვინმე ოჰან სომეხთა თავადი და მან დაუტოვა სომეხთა სჯული და იქმნა მართალმადიდებელი და ამის გამო სომეხთა უწოდეს

ჩიქოჰან, ესე იგი წყეული ან შეჩვენებული ოჰან და მის გამო გაუგვარდათ ჩიქოანობა წელსა 1335 დროსა შეისასა და ესენიც დაესახლნენ ოდიშშია. („ივერია“, 1883, №11, 12; 1884 1-12).

ჩიჩუა — იხსენიება ყველაზე ადრინდელი წარმომადგენელი რამაზ ჩიჩუა (1628-1657 წლებში... უფრო გვიან იხსენიებიან მისი სახლიკაცები ხახუ და კახაბერ ჩიჩუები... XVII ს-ის მიწურულში კი: კაცია, გიორგი, შაქარი, მოგული (მოგელი), ჯგემორდილი და პაპუნა ჩიჩუები (სოსელია ო., ნარკვევები, 299).

„კაცია დადიანის მიერ ოდიშისა და ლეჩხუმის ლაშქრის შეკრებაი ანაკლიას ნავთსაყუდელის და მცველად თავადი და სარდალი ჩიჩუას განუწესებია. (ტულუში, 15).

ჩიჩუათა სათავადო ფლობდა სოფლებს: ზუბი, ჯაპშაქარი, რზენი, საჯიჯაო, ხეთა (ნაწილობრივ)... ასევე ჩიჩუები ყმა-მამულს ფლობდნენ: ნარაზენს, ბიას, სახარბედიოს, თეკლათის, ქვალონსა და მუხურში. რეზიდენცია რზენში ჰქონდათ. მათი ყმა-გლეხები იყვნენ: ბერაიები, ნადარაიები, სიგუები, კუჭავები, ჯგუბურიები, ჭიხვარიები, გვასალიები, ჭანტურიები, გერსამიები, პაპასკირები, გვალიები, ჭილაიები და სხვ. აზნაურები: გვათუები, ხოჭოლავები, ჯორჯიკიები და ლოლუები. (სოსელია ო., ნარკვევები, 301).

„... იმერეთში ბატონყმობდნენ ოსმალები, რომელნიც ბაგრატ IV და ალექსანდრე IV მეფობის დროს შემდეგს გადასახადს იღებდნენ: საკუთარის იმერეთისაგან — 80 ქალსა და ვაჟს, გურიიდან 46 ქალსა და ვაჟს, სამეგრელოდან 30000 ადლს ოქროს ქსოვილს. გარდა ამისა, ოსმალები ფრიად იაფად ყიდულობდნენ დასავლეთ საქართველოში ქალებსა და ვაჟებს... ერთი ხუთად და ხშირად ერთი — ათადაც ასაღებდნენ ოსმალეთში. (1676-1744), (საქ. ისტ., 1882, 149).

... ჯუდიჩის მიხედვით, სამეგრელოში ყველა ყმა, მთავარისაა იგი თუ თავადისა, შეუძლიათ გაყიდონ. ყოველწლიურად მრავალრიცხოვან ქალსა და კაცს თურქებზე ყიდიან. თუმცა მონებით, ტყვეებით ვაჭრობა ცოდვად მიაჩნიათ, მაგრამ თითქმის ყველა იღებს მონაწილეობას ამ ვაჭრობაში, რომლის მეშვეობითაც ოჯახისათვის ტანთსაცმელს, მოვერცხლილ იარაღს და სხვა საჭირო ნივთებს იძენენ. (კასტელი, 34-35, წინასიტყვაობიდან),

ჩიჩუა დავით სოლომონის ძეს — ზუგდიდის მაზრის მდივან ბეგს კაცია ჩიჩუას ქურდის ოჯახის დაწვა უბრძანა დავით დადიანმა (1840-1853). (მეუნარგია ი. 119).

ჩ. კაცია — დავით დადიანის დროს ზუგდიდის მაზრის მდივანბეგი

(იყვნენ აგიაშვილი თეიმურაზ და დადიანი დუტუსთან ერაად), (1847), (მეუნარგია, ი. 114).

ჩ. თავადი სამურზაყანოში გოგირა სვანმა მოკლა სატევრით (დუმბაძე, 394). (შენიშვ.)

ჩ. კაცია იყო გურიის მთავარი, ტყვეთა თურქებზე გაყიდვაში განთქმული. ბიჭვინთის საბუთებში დაცულია №68, 1776 წ. 29 დეკემბრის თარიღით კათალიკოზი მაქსიმეს შეჩვენების წიგნში. მკითხველს ვთავაზობ მცირედი შემოკლებით. (სტილი დაცულია) ... „აწ უწყოდეთ ყოველთა ქ-ს სისხლითა მოსყიდულთა ერთა. ჩიჩუა კაციამ ჩვენი ბიჭვინტისა ეკლესიის კაცის შვილები მძლავრებით და უსჯულოებით დაგვიყიდა უსჯულოთა ოთმანიანთა მისცა წარსაწყმედად და შესაგინებლად. და მიუხვნა დიდასა თასსა ეკლესიასა ძენი ემბაზისა სინათლისა აღმოშობლინი უწყალოებითა და უსამართლოებითა აწ ვინადგან არა შეინიშნა. დედისაგან ღ-თისა და არცა დედისაგან თ-სისა წმიდისა ეკლესიისა და განეხვა ნებსით ორთავე საფარველსა. ამისათვის შევაჩვენებ წყეულსა მას კაცია ჩიჩუას და განვახვამ ეკლესიისაგან და განვაყენებ ქენობისაგან წყეული იყავ და შეჩვენებული. საკელითა ყ-დ წმიდისა სამებისა კ-დაწყეველილი იყავ და შეჩვენებულ სისხლითა ქ-სითა რ-ლიცა უხვად დაითხია ქვეყანასა ზედა სახსრად ჩვენდა კვალად წყეულ იყავ და შეჩვენებულ მარიამ ყ-დ უმწიკვლოსაგან დედისა და ახდილ მფარველობა და მეოხება მისი თხემისაგან მისისა. კვალად წყეულ იყავ და შეკრულ სულით და კორცით ათორმეტთა მოციქულთა მადლისაგან ოთხთა წმიდათა პატრიარხთაგან და ჩვენგან და ყოველთა მღუდელთამთავართაგან უმკვიდრო იყავ სოფელი მისი ცასა შორის და ქუეყანასა გაუხსნელ იყავ კორცი მისი საძაგელი საფლავსა შინა და წარუმართებელ გზანი მისნი. მისთჳს ცანი დახშულ ილიას მიერ მაგრიად. დანთქმულ იყავ ცოცხლივ უხვაიშნოსა და ნაზეთქსა ჯოჯოხეთისასა და წყეულ კრულ და შეჩვენებულ და აღკეცილ სახელი მისი აქა და მუნ:

აწ რომელმაც ჩვენი შეჩვენება შეურაცხოთ და არ ეკრძალნეთ ვითა განცოფებულსა ძაღლსა თქვენდაცა იყავენ წყევა ესე და შვილთა თქვენთა ზედა ამინ...“ (კაკაბაძე ს., დას. საქ. საეკლესიო საბუთები, თბ., 1921, წ.).

ჩიჩუა დავითი, ქვალონელი, დატუქსა დავით დადიანმა (1840-1853): წუწკი ხართ, ქვეყანა შეაწუხეო (ქურდობით ავტ.) და როცა ჩიჩუამ სიტყვა შეუბრუნა, ჯაჭვი შეაბა და ციხეში გაგზავნა. (მეუნარგია ი. 119).

ჩ. გიორგი პირველი თავადიშვილი იყო სამეგრელოში დავით დადიანის დროს (მეუნარგია ი. 65).

ჩ. კაცია ზუგდიდის მაზრის უფროსი დავით დადიანის დროს.

ჩ. თეოფილე ბეჟანის ძე (1878-1928) დ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ამაღლებაში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოღვ. 592).

1838 წ. ჩიჩუების საგვარეულო ჩიქვანთა საგვარეულოსთან ბრძოლაში დამარცხდა.

საგვარეულო 1346 სულს ითვლის (თბილისი – 451, სენაკი – 158, ჩხუთი – 135). (გვარ-სახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 758 ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ჩიხორია წარმომდგარია ჩიხორ(ია) მეტსახელისაგან. ჩიხორი ქვედა წელი, ქვედა ტანი (ქეგლ). ჩიხარიში ქვემო სვანეთის სოფ.

საგვარეულო 54 სულს ითვლის (თბილისი – 25, თერჯოლა – 14, ზესტაფონი – 11), (გვარ.სახ. საქ-ში).

ჩკადუა (იხ. ჭკადუა) „მჭედელი“ მომდინარეობს მოსაქმეობა ხელობის ტერმინისაგან. ჩ ბგერა ჩართულია ჭ-ს მაგივრად რუსულის გავლენით.

ჩოდუა (მასალებში ასეა. ვფიქრობთ სხვა მასალებში ასე არ იხსენიება), (იხ. თოდუა) ჩოდუა კოჩილა ან წაწულუა, ფუცული ლევან დადანმა შესწირა ბიჭვინთის ღვთისმშობელს. (მასალები, 19).

ჩოკორაია ჩოკორე არყის ხის ქერქის კოლოფი; ლეწურწუე, ლეჩოკორე – ნაკიანი (ჩხორ. რ.), წარმომდგარია ჩიკორა მეტსახელისაგან.

ჩიკორა კვაკი, ცოლო – გვაშახან, ასულნი: ხინძი, ხირ ჰდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997, 42).

საგვარეულო 289 სულს ითვლის (ჩხოროწყუ – 70, ზუგდიდი – 48, წალენჯიხა – 20), (გვარ-სახ. საქ-ში, 221).

ჩოკულია ეტიმოლოგია საკვლევია: ხოფელ.... ეპისკოპოსის გლეხს მართებს ოცი თეთრი (XVI) (დას. საქ. საბ. წ. I, 13)


ჩოლარია რუსულის გავლენით ჩ ბგერით შეცვლილია ჭ – ბგერა (იხ. ჭოლარია); გვარი 22 სულს ითვლის (თბილისი – 12. ბათუმი – 2. მოსკოვის ლტოლვილი – 1), (გვარ-სახ. საქ-ში).

ჩოლობარგია ნაწარმოებია ჩოლობარგა შერქმეული სახელისაგან. ჩოლ-ი „ველი, უდაბნო“... (ქეგლ).

ჩოლობარგიას საგვარეულო 34 სულს ითვლის (ოზურგეთი — 12, ქობულეთი — 8, ბათუმი — 7), (გვარსახ. საქ-ში, 221).

ჩომახია (სოფ. ცხ. 7.07.67.4); ჩომახი — კომბალა; ჩომახეთი (საჩხ. რ.), აბედათი (მარტვ. რ.). წარმომდგარი ჩანს ჩომა შერქმეული სახელისაგან. შდრ. ჩომახიძე.

ჩომახიას საგვარეულო 60 სულს ითვლის (ზუგდიდი — 48, თბილისი — 8, ქუთაისი — 5), (გვარსახ. საქ-ში).



ჩოქუა, ჩოქიანი, ჩაჩოქვა. ჩოქუა ემართა ხაუჟელის სასახლის ბეგარა... (1621).

ჩოჩია ჩოჩვა — ცოცვა. ჩოჩავს, ბობღავს, ხოხავს (ქეგლ.); საჩოჩიო (აბაშ. რ.). შდრ. გვარები: ჩაჩიშვილი, ჩოჩიევი.

საჩოჩიო სოფ. აბაშისპირეთის ძვ. სახელწოდებაა. ზემო და ქვემო ჩოჩეთი — სოფ. კასპის რ-ნში.

ჩოჩია აბაშელი (ფსევდონიმი) ალექსანდრე (ისაკ) ბესარიონის ძე, დ. 1884 სოფ. საჩოჩიო, ახლანდელი აბაშისპირი, (აბაშ. რ.) 1954 თბილისი), ქართვ. პოეტი (ქსე)

ჩოჩიას საგვარეულო 794 სულს ითვლის (აბაშა — 364, თბილისი — 199, ფოთი — 56), (გვარსახ. საქ-ში).

ჩოჩუა ჩოჩი (მგრ.) დაჯექი (ბავშვს ეტყვიან მოფერებით. აქედან ჩოჩუა ჩოჩვა. (გ. ელიავა, ლექსიკ.)

მე-19 ს. 30-იან წლებში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი, აქედან 130-მდე გვარეულობის ქართულ-

მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის ჩოჩუა. (გაზ. „საქართ“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ჩოჩუას საგვარეულო 79 სულს ითვლის (თბილისი – 46. მოსკოვის ლტოლვილი – 6, აბაშა – 5). (გვარ-სახ. საქ-ში, 221).

ჩოჩხუ(ა) მომდინარეობს ჩოჩხა|ჩოჩხუ შურქმეული სახელისაგან. მეგრულ-ჭანურად ჩოჩხ ნიშნავს ცაცხვს, „ცაცხვათს“ (გოგატ. 45). ჩოჩხუ ხუხულიას მართებს დარჩელის სასახლის ბეგარა...

ჩურუბკა ეტიმოლოგია საკვლევია. ჩურუბკას საგვარეულო 39 სულს ითვლის (ბათუმი – 8, თბილისი – 1, ხელვაჩაური – 30), (გვარსახ. საქ-ში).

ჩუხუა ჩუსჩუხი (წყლისა) მომდინარეობს ჩუხუ(ა) მეტსახელისაგან. (იხ. ჩახავა).

ჩუხუა ვანო ზოსიმეს ძე, სოფ. ჭაქვინჯი (ზუგდ. რ-ნი), 50 წლ. სახალხო მთქმელი.

ჩუხუას საგვარეულო 753 სულს ითვლის (ზუგდიდი – 633, თბილისი – 27, ქუთაისი – 15). (გვარ-სახ.; საქ-ში, 222).

ჩქვანავა ჩქვანა 1. მოხნული ნიადაგის მესამეჯერ მოხვნა – (მგრ.) „ტახუა“, რჩქონუა“, (შემდეგ თასუა – თესვა); 2. ჩქვა (მგრ.) – ეშვი (ლორის), (ს. მაკალათია).

ჩქვანავას საგვარეულო 64 სულს ითვლის (ზუგდიდი – 55, თბისლისი – 6. წალენჯიხა – 2). (გვარს-სახ. საქ-ში).

ჩქიმიკოჩა ჩქიმი-კოჩა, ჩქიმი-ჩემი, კოჩა საკ. სახელი – ჩემი კაცი. მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან.

ჩქიმიკოჩას საგვარეულო 37 სულს ითვლის (თერჯოლა – 17, ზესტაფონი – 8, ტყიბული – 8), (გვარსახ. საქ-ში).

ჩქოფორია ეტიმოლოგია საკვლევია.*

გვარი 74 სულს ითვლის: სენაკი – 15, ჩხოროწყუ – 4, მცხეთა – 2, (გვარსახ. საქ.)

ჩხაბელია ჩხა-ყურძნის მტევნებიანი ტოტი შესანახად. საგვარეულო 54 სულს ითვლის (თბილისი – 16, ქუთაისის – 13, ზუგდიდი – 9), (გვარსახელ. საქ.).

ჩხანგუა წარმომდგარია ჩხანგუ მეტსახელისაგან. ჩხანკო ხის ხმელი ტოტები – წალამი. ჩხან-ა – მზიანი ამინდი. ჩხანგუ(ა) ანჩიბუბუ – მართებს ოდიშის სამთავროს ბეგარა... (1640).

ჩხაპელია (თბ. 6.06.64.4); 1. ჩხაპნა – უაზრო ქმედება – წერა; 2. სხაპუა – მორწყვა; ჩხაპელია (წალენჯ. რ.). ნაწარმოებია ჩხაპელა

შერქმეული სახელისაგან, რომელშიც -ელა კნინობითობის სუფიქსია. ჩხაპელი (მგრ.) – მცირე წვიმა, ჟინჟღლვა (კილანავა); ჩხაპელიას საგვარეულო 925 სულს ითვლის (ზუგდიდი – 401, წალენჯიხა – 333, თბილისის – 52), (გვარსახ. საქ.).

ჩხარჩხალია ჩხარჩხალი (მგრ.) – ღარის, მილის წყლის დინება-შხუილი. საგვარეულო 158 სულს ითვლის (ჩხოროწყუ – 111, თბილისი – 20, ზუგდიდი – 10), (გვარ.სახ. საქ.).

ჩხარტია – ეტიმოლოგია საძიებელია. შდრ. ჩხარტიშვილი. ჩხარტიები მოსახლეობენ გალის რ-ნის სოფ. ჭუბურხინჯში.

ჩხეტია ჩხე (მგრ). ცხელი. აქედან ნაწარმოები გვარია ჩხეიძე, მსხვილი ფეოდალური საგვარეულო დას. საქართველოში, არგვეთი (საჩხ. რ.).

ჩხეტიები ჟიგვა, ძმა კვაკოჩი მოსახლეობენ დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. შქაწყარის (შუამდინარის) ტერიტორიაზე, მდაბიონი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. იანვარში (გაზ. „საქ-ლო“, სპეც. გამოშვ. მარტი, 1997, გვ. 8; 4).

ჩხეტია ალექსანდრე დავითის ძე (1873-1949). სახალხო განათლების პირველი თაობის წარმომადგენელი, ზუგდიდის მაზრის სოფ. ქორცხელში, შუამთის ხონის საოსტატო სემინარია (1895), მასწავლებელი სოფ. ქვალონში, ხორგაში, ქუთაისში (1902), ზუგდიდში (1903-4), რევოლუციონერი. 1911 წ. 4 წლით დააპატიმრეს და გადაასახლეს ციმბირში – ირკუტსკის გუბერნიაში. დაბრუნდა 1917 წ. და განაგრძო პედაგოგიური მოღვაწეობა. (სახ. განათ. მოღვაწე, 401).

ჩ. შალვა ყარამანის ძე, დ. 1899, კონცხელი, ახლანდ. ზუგდიდის რ-ნი, 1978, თბილისი, ქართველი ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1940),. პროფესორი (1942), საქ სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1961).

ჩხეტიას საგვარეულო 1065 სულს ითვლის (ზუგდიდი – 342, თბილისი – 212, სენაკი – 74), (გვარსახ. საქ.).

ჩხეტია გავრცელებული გვარია, ის შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 999-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8, მარტი, 1997).

ჩხვირკაია (იხ. ჩხვირკია); საგვარეულო 29 სულს ითვლის (ფოთი – 8, ზუგდიდი – 5, თერჯოლა – 3), (გვარ-სახ. საქ-ში, 222).

ჩხვირკია ჩხვირკი (მგრ.)– ჩხიკვი. ნაწარმოებია შერქმეული სახელისაგან. შდრ. ქართ. ჩხიკვიშვილი, ჩხიკვაძე.

ჩხვირკიას საგვარეულო 217 სულს ითვლის (ზუგდიდი — 88, თბილისი — 31, წალენჯიხა — 18), (გვარსახ. სექ-ში).

ჩხირუა წარმომდგარია ჩხირუ მეტსახელისაგან. შდრ. ჩხირი. ჩხირუა შურიმიდგი, მართებს თილითის სასახლის ბეგარა... (1621).

ჩხოლარია ჩხოლარია, ჩხორა (მეგრ.-სვანი) მზის, მთვარის... სხვანაირად, ჩხოლარია „ცხრაძაფა“ მომდინარეობს ჩხოლარ შერქმეული სახელისაგან. აქედანაა გვარი ჩხოლარია.

ჩხოლარიას საგვარეულო 75 სულს ითვლის (ზუგდიდი — 51, თბილისის — 19, ფოთი — 2), (გვარსახ. საქ-ში).


ჩხომალია (კომ. 20.05.66). ჩხომ — თევზი. წითელ ფორეკებიანი (ჭრელი) თევზი ერთგვარი (ქეგლ); ჩხუმი (ცაგ. რ.) ოჩხუმური (სათევზე). მდ. (ჩხორ. რ.), ოჩხი — თევზის საბუნაგე (საბა). აქედანაა ჩხამალია. აძრიგად, ჩხომალია ისტორიულად ჩხომალ მეტსახელის არსებობას გვავარაუდებინებს.

ჩ ხ ო რ თ ო ლ ი ა

ჩხორ-თოლი-ა, ჩხორ (მგრ.) — ცხრა, თოლი მგრ. — თვალი; ჩხორთოლი სოფელი (გალის რ.). ჩხორთოლია „ცხრათვალა“ მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან.

სოფ. ჩხორთოლი მოხსენიებულია 1897 წ. მოსახლეობის პირველი აღწერის სიაში, როგორც ქუთაისის ოლქის სოხუმის მაზრაში შემავალი, სადაც სახლობდა 1041 სამურზაყანოელი.

ჩხორთოლი მოხსენიებულია იტალიელი მისიონერის ქრ.



ჩხოროწყუს რაიონი

კასტელის 1654 წ. „კოლხეთის რუკაზე“, რომელიც გამოქვეყნებულია ი. ტაბაღუას წიგნში — საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, (თბ., 1988, ტ. II, ჯ. გამახ. და ბ. გ. გოგია, 840).

ამჟამად, ჩხორთოლიას საგვარეულო 51 სულს ითვლის (ზუგდიდი — 20, სენაკი— 11, თბილისი — 6), (გვარ-სახ. საქ-ში, 222).

ჩხოტუა ჩხოტუა ბელვა (მგრ) — ცხოტუა — შტოებისაგან ხის განთავისუფლება წალდით... წარმომდგარია შერქმეული სახელისაგან.

ჩხოტავა ჭ., მოხსენიებულია, როგორც სამურზაყანოს თავადი და მცხოვრები სოფ. ლიაში წალენჯიხის რ-ნისა, 1844. (საქსა, ფ. 4, აღწ. 2, საქ. 3119).

ჩხოტუას საგვარეულო 116 სულს ითვლის (თბილისი— 67, ფოთი — 9, ჩხოროწყუ — 8) (გვარ-სახ. საქ.).


ჩხუნგურუა ეტიმოლოგია საძიებელია. მე-19 ს. 30 წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. მათ შორის 130 გვარეულობის 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობის იყო, მათ შორის **ჩხუნგურუა.** ჩხუნგურია ნოუა და ცოლი მისი ფაფულ, ამისი ძის ცოლი ნიშა მოხსენიებულია, როგორც მდაბიონი, წარმართული ჩარწმუნოებისანი და 1834 წ. აპრილში გაქრისტიანებულნი. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1977 წ.).

ც

ცაა, ცაავა წარმომდგარია ცაა შერქმეული სახელისაგან. ცა, ზეცა, ცაში (ცის) კარი; ცისკარი. თამაკონი (მარტვ. რ.). შდრ. ტოპონ. ცაიში — აქედან გვარსახელი ცაიშელი, ცაავა, ცაიშვილი.

ცაავა ცა, ზეცა; ლეცაევე — სალხინო, საცაო — ლეცაევე (მარტვ. რ.), ლეცაევე (ოჩამჩრ. რ.).

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე გვარეულობისაგან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის ცაავა. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).



ცაგერის რაიონი

ცაავა ქისე, ცოლი — ჭუგვა, ძენი ხვათუზ და დადი მოხსენიებულნი არიან, როგორც გლეხნი, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებულნი 1834 წ. აპრილს დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6; 88, 91).

სოფ. ცაიში (სახეწოდება ლაზურია) მოხსენიებულია 1897 წ. I აღწერაში და შედიოდა ქუთაისის ოლქის ზუგდიდის მაზრაში, სადაც მოსახლეობდა 2,507 სული მეგრელი. მათ შორის ცაავა. ამჟამად ცაავას საგვარეულო 2814 სულს ითვლის (მარტვილი — 233, ზუგდიდი — 582, თბილისი 378), (გვარსახ. საქ-ში). გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და

რაოდენობის მიხედვით 241-ე ადგილზეა. (გვარსახ. საქ.). მარტვილი – 87, ზუგდიდი – 81.*

ცაგურია ცავარელი; ცაგერი (მარტვ. რ.), ცაგერა (ოჩამჩ. რ.), ქვედა ცაგერა (ცაგერის რ.). სხვაგვარად, ცაგურ შესაძლოა ცაგო სახელის კნინობითი ფორმა იყოს (-ურ სუფიქსი).

ცაგერი რ-ნის ცენტრი მდ. ცხენისწყალზე; ცაგ – სვანურად ნიშნავს ეკალს, ცაგერი „ეკლნარი“ ან „ეკლარი“. (გოგატ. 45).

საგვარეულო 599 სულს ითვლის (თბილისი – 100), (გვარ. სახ. საქ-ში).

ცავა (იხ. ცაავა); საგვარეულო 40 სულს ითვლის: ზუგდიდი – 15, თბილისი -- 3, რუსთავი – 3), (გვარსახ. საქ-ში).

ცაია ცა-ია, ცა-ცა, აია – ძვ. კოლხეთის საკ. სახელია.

ცაია სელუქ მოხსენიებულია, როგორც მდაბიო წრიდან, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6, 67).

ცაიას საგვარეულო 27 სულს ითვლის: ვანი – 9, თბილისი – 6, ბაღდადი – 4 (გვარსახ. საქ.). შდ. ცააკვაშვილი, სოფელსაც სახელი ცაკვას საგვარეულოდან აქვს მიღებული, როგორც მრავალრიცხოვანს.

ცაიშელი ცაიშელს ნიშნავს. ცაიში ისტორიული სოფელია, მისი სახელი ღვთის კუთვნილებას ნიშნავდა. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, წარმართობის ხანაში კვირაში შემავალი შვიდი დღიდან, ყოველი მათგანი ღვთის სახელს ატარებდა, მათ შორის **ცაშ-ხა** (ე. ი. ცის დღე პარასკევია, 42).

ცაიშელი იყო ვახტანგ VI-ის მწერალ-ჟურნალისტ სოლომონ დაგარგულიანის ცაიში იყო და არის ზუგდიდის მაზრაში. აქ არსებობდა ცაიშის ეპარქია, რომელიც IX-X ს-ში დას. საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთის საკათალიკოსოში შემავალ 17 ეპარქიიდან იყო ერთ-ერთი (როგავა გ. 81).

ცამბაია ეთნ. ცან-ჭანი.

ცანავა ეთნ. ჭანი; ლეცანე, ცანათი, ნაცაუჭყონი (მარტვ. რ.), ლეცანე – ლეწურწუმე (ჩხორ. რ.), აცანა (ლანჩხ. რ.), ცანა (ლენტ. რ.). საკ. სახელი ცანა ეთნონიმური წარმოშობის უნდა იყოს ცან, წან – ჭანის ვარიანტებია (ს. ჯანაშია). შესაძლოა სხვა ვარაუდიც. ცანავა უნდა ნიშნავდეს ცანელს, ცანის მკვიდრს. შდრ. ცანა – სოფელი სამეგრელოში. საყურადღებოა გურიაში არსებული სოფლის სახელწოდება აცანა, რომელსაც ცანა-სთან უთუოდ საერთო უნდა ჰქონდეს.

აცანა იყო სოფელი, რომელიც შედიოდა ქუთაისის ოლქის ოზურგეთის მაზრაში და 1897 წ. პირველი აღწერით სახლობდა 1555 სული.

ცანავა ონისიმე (ნიკოლოზ) დიმიტრის ძე (1894, სოფ. ნალეფსაო, ახლანდ. სენაკის რ-ნი, 1950, თბილისი), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე რუსეთსა და საქართველოში.

ც. გიორგი მელიტონის ძე დ. 1915, ზუგდიდი, ქართველი ქირურგი, მედიც. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1986), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1983), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1984), მედიკო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიკოსი (1995), სამამულო ომის ვეტერანი.

ც. იური გიორგის ძე (1930, ბათუმი), ქართველი მსახიობი. საქ. სსრ სახალხო არტისტი (1982).

ცანავას საგვარეულო 2104 სულს ითვლის (თბილისი - 467, ზუგდიდი – 428, მარტვილი – 418), (გვარსახ. საქ-ში). გვარი, შესულია საქ-ში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში.(გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

ცავანი – სვ. მოსახლ. დღ. ზემო სვანეთის სოფ. ბეჩოში (XIII ს-ის II ნახ.), (სვ. ძეგლ. 155).

საკვლევია მთიდან ბარში მიგრაციასთან გვაქვს საქმე, თუ პირიქით, მგონი ერთიც და მეორეც.

ცანბა ეთნ. ჭან-ი. აქედან: ჭანბა, ჩამბა. ამრიგად, ჭანბა//ცანბა ნიშნავს ჭანიას, ჭანიშვილს.

ცატავა ცა-თავ, ცა-ზეცა – თავ-თავი. უფრო სარწმუნო გვგონია ასეთი ახსნა: ცატავა უნდა მომდინარეობდეს ცვატა მეტსახელისაგან. ცვატა – ცოტა ცოტინა – ცოტინე – ცოტნე. ცვატა, როგორც საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, იყო მეტსახელი ქართველი უფლისწულისა (ვახტანგისა). შდრ. ქართ. გვარები: ცოტაძე, ცოტნიაშვილი, ამრიგად ცვატავა – ცატავა. ვინი დაკარგული ჩანს. ნაცატუ სოფ. ზუგდიდის რ-ნის კორცხელის ტერიტორიაზე.

ცატავას საგვარეულო 409 სულს ითვლის (ზუგდიდი – 133, თბილისი – 92, წალენჯიხა – 59), (გვარსახ. საქ-ში).

ცაცუა 1. ცაც ადამიანი, რომელიც ხმარობს მარცხენა ხელს მარჯვენის ნაცვლად; 2. ალერსით – ბავშვის პაწაწა ხელი. ცაცავი (მგრ.) ცაცუნი, „უცაცუნებს". ცაცავი მდ. ცაგერის რ-ნში.

სამეგრელოში სიმინდის კულტურა შემოვიდა მე-17 ს-ში. თესდნენ ორ ჯიშს: „რუხულის". და ციცკას. რუხი სოფ. ინგურის მარცხ.

ნაპირზე, გალის რ-ნის სოფ. ოქუმი, ჭუბერის ხინჯი. იხ. რუხაია.

„ცისცუა“ — ადრეულს ნიშნავს. აქედანაა გვარი ცაცუა, ჩქვალერი, წალენჯ. რ.

ცაცუას საგვარეულო 570 სულს ითვლის (ზუგდიდი — 358, თბილისი — 96, წალენჯიხა — 58), (გვარსახ. საქ-ში).

ცაცუა, სვ-ად ცაციანი, ზემო სვანეთის კეჩხელდაშს მცხ. (მე-13 ს. II ნახ), (სვ. ძეგლ. 119).

საკლევია მთიდან ბარში მიგრაციასთან გვაქვს საქმე, თუ პირიქით, მგონი, ერთიც და მეორეც.

ცეკვაჟა მოცეკვავე, ცეკვა; ლეცეკვე (სენაკ. რ.), ცეკვარი — კირცხი, ქვ. ჩხოროწყუ, ნაოსხაპუ (ნაცეკვარი), ლესიჭინე (ჩხორ. რ.), ცეკვა (შუახ. რ.). ცეკვა მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან.

ცეკულონია ცეკვანი — ციცინათელა, ელვანა (ჩუბ.); ცეკულანი — დოშაყე (მარტვ. რ.), მომდინარეობს ცეკულონა შერქმეული ანთროპონიმისაგან.

ცეკვა — ხელოვნების დარგი, რომელიც მხატვრულ სახეს ქმნის მოცეკვავის თავის, ტანის და კიდურების მოძრაობით, აგრეთვე ჟესტიკულაციით; ცეკვა, სოფელია აჭარის ასსრ შუახევის რ-ნში (ჭვანის საბჭო, ცეკური, ეგრისის ქედის აღმ. ნაწილში, მდ. ახალოურის (ჯონოულის მარცხ. შენაკადი).

ცეკვავა 365 სულს ითვლის (სენაკი — 116, თბილისი — 90, მარტვილი — 36), (გვარსახ. საქ-ში).

ციკოლია (კომ. 3. 11, 67,3). 1. ციკორ-ი — ვარდკაჭკაჭა (ქეგლ); 2. ციკი — სახლის კაკუტების (იხ. კაკუთია) შესაყარი. გალის რ-ნის სოფ. რეჩხი.

ციკოლია მირიან ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, აფხაზეთის მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

გვარი ითვლის 1043 სულს (ზუგდიდი — 239, მარტვილი — 232, თბილისი — 135) (გვარსახ. საქ-ში).

ციკოლია მრავალრიცხოვანი გვარია. ის შესულია საქართველოს ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 975-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი).

ციკორია (იხ. ციკოლია) გვარი 26 სულს ითვლის (რუსთავი — 6, ლანჩხუთი — 5, ბათუმი — 4), (გვარსახ. საქ-ში).

ციკუტანია ციკუტა — თეთრყვავილა, შხამიანი ბალახი, იზრდება ჭაობებსა და წყალსაცავების ნაპირზე (ქეგლ). ციკუტანა, როგორც

ჩანს, მეტსახელი ყოფილა, რომელშიც -ანა კნინობითობის სუფიქსია.

საგვარეულო 57 სულს ითვლის (ზუგდიდი – 46, რუსთავი – 8, მოსკოვის ლტოლვილი – 1), (გვარსახ. საქ.).

ციმიტია (იხ. ციმინტია); ეტიმოლოგია საძიებელია. საგვარეულო 88 სულს ითვლის (ზუგდიდი – 32, წალენჯიხა – 14, სენაკი – 9), (გვარ-სახ. საქ.).

საგვარეულო მოსახლეობს წალენჯიხის რ-ნის სოფ. ორჯონიკიძეში, საგვარეულო 652 სულს ითვლის: წალენჯიხა – 401, ზუგდიდი – 138, თბილისი – 13 (გვარსახ. საქ.).

ცინდავა 1. ცინდა – ზომის ერთეული, მტკაველზე ნაკლები. 2. ცინდალი – (მგრ.) კატის კნუტი. უფრო სარწმუნოა მეორე ახსნა. ამრიგად, ცინდალავა – ცინდავა. შდრ. სვან. გვარსახელი ცინდელიანი. ოცინდალე სოფელია ჩხოროწყუს რ-ნში და მოთავსებულია თაიას მთაზე. ამ მთას ოცინდალეს გარდა ოსინდალეს და ოსინჯალეს (სინდა და სინჯა ორივე მგრ. სიტყვაა და ორივე სიძეს აღნიშნავს), ჩვენი აზრით უწოდებენ ოსინდალეს და ოსინჯალეს სოფლისათვის დარქმევა გამართლებულია, ვინაიდან აქაა ამჟამად ეკლესიის ნანგრევი, რაც მიგვითითებს იმაზე, რომ აქ ხდგებოდა ქალ-ვაჟის დაქორწინების რეგისტრაცია. აწ განსვენებული ჟურნალისტი **მამანტი კვირტაიას** აზრით, ამოსავალი უნდა იყოს ოწინდალე, ე. ი. ადგილი, სადაც ქალ-ვაჟის დაწინდვა (დანიშვნა) ხდებოდა... ბოლო ხანებში ზოგიერთი მკვლევარი ამ შეხედულებას რატომღაც არ იზიარებს.

ცირაია ცირა – გასათხოვარი გოგო; ცირაიაში გა (მგრ.) მაღლობი – კიწია (მარტვ. რ.), საცირე (საგოგო) – რიონი (სენაკ. რ.). „ცირაია სქანი ჭირიმე“ – „გოგონავ, შენი ჭირიმე“ – ისმის მეგრულ მისამღერებში. ამრიგად, ცირა შერქმეული სახელიდან მომდინარე გვარსახელია. შდრ. ქართული გვარსახელი გოგოძე.

ცირამუას იხ. ცირაიას საგვარეულო 513 სულს ითვლის (ჩხოროწყუ – 251, ზუგდიდი – 69, თბილისი – 65), (გვარსახ. საქ-ში). საცირამუო სოფ. ჩხოროწყუს რ-ნის მუხურის თემში.

ცირბაია მომდინარეობს ცირგა, ცირღა, ცირღილა მეტსახელისაგან. ლეცირგე – დაბა ჩხოროწყუ, „ცირგაების მიწა“ ტოპონიმია ჩხოროწყუს რ-ში.

ცირგაიას საგვარეულო 71 სულს ითვლის (ჩხოროწყუ – 54, თბილისი – 5, ქუთაისი – 3), (გვარსახ. საქ-ში).

ცირდავა ცირ-ი ქოჩორი//ოლაცირდე – მუხური (ჩხორ. რ.).

საგვარეულო 778 სულს ითვლის (ჩხოროწყუ – 253, ზუგდიდი – 189, თბილისი – 92), (გვარსახ. საქ-ში).

ცისბაია ცის-ბა-ია==ცისშვილი. შდრ. ცისკარავა, ცისკარაძე.

ცისბაია მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. თხინას მოსახელობის 1834 წ. აღრიცხვის სიაში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ცისკარავა (კომ. 3.04 65,4); ცისკარი: 1. ყველაზე კაშკაშა პლანეტა, მოჩანს დილით აღმოსავლეთით (და საღამოს დასავლეთით)... (ქეგლ). ანანა იყო შუამდინარეთის, შუმერების ერთ-ერთი მთავარი ღმერთი, ხოლო მისი ვარსკვლავი იყო ვენერა – ცისკრის ვარსკვლავი. შდრ. ქართ. გვარი ცისკარავა, ცისკარიძე, ცისკარიშვილი. ცისკარავა ლომინია, ემართა თილითის სასაბლის ბეგარა... (1621).

ცისკარავას საგვარეულო 34 სულს ითვლის (ზუგდიდი – 17, ბათუმი – 5, რუსთავი – 4), (გვარ-სახ. საქ-ში).

ცისტარია ციტრა-ყუთის ფორმის მრავალსიმებიანი საკრავი, როემლსაც წკირით (მედიატორით) უკრავენ. ცისტარია კოჩია ემართა ნაჟანეულის სასახლის ბეგარა... (1621).

ციქობავა (იხ. ჩიქობავა).

ციცავა ციცა – კატა; ვა – შვილი. ციცუა (მგრ.) საადრეო სიმინდის ჯიში (ელიავა, გ., ლექსიკ.). შდრ. ქართული გვარი ციცაბა.

ციცარია წარმოიმდგარია ციცარია მეტსახელისაგან. შდრ. ციცარ-ი ქათმის ჯიშის ფრინველი, აქვს მუქი ნცრისფერი, თეთრკოპლებიანი ბუმბული. ა-ციცარა გაქცევა, გაექცა, მგრ. ციცარი – შინაური ფრინველი. (ჯანაშია ბ. ლექსიკონი).

ციცბაია (იხ. ციცავა); საგვარეულო 35 სულს ითვლის (ბათუმი – 3, ხელვაჩაური – 32), (გვარსახ. საქ.).

ციცქარავა (იხ. ცისკარავა); საგვარეულო 88 სულს ითვლის (ზუგდიდი -- 41, ფოთი – 33, თბილისი – 9), (გვარსახ. საქ.).

ციღუტია შეიძლება ღ ბგერა ჩართულია „გ“-ს ნაცვლად. ციგანი მასხარა, ხუმარა, მამაძაღლი (ელიავა გ., ლექსიკ.). ციღუტია სოფელია და მდინარე სოხუმის რ-ნში.

ციცხვია (75-X.65,4); ციცხვი – კოვზი; აკეთებენ ადვილად დასამუშავებელი ცაცხვის ხის მასალისაგან; ლეციცხვაე (მარტვ. რ.), ციცხვარა (მესტიის რ.). ნაწარმოებია ციცხვა მეტსახელისაგან.

ციცხვარი – სოფ. მესტიის რ-ის ხაიშის და ლენტეხის თემში.

საკვლევია. ეს იქნებ მიგვანიშნებს მთიდან ბარში მიგრაციაზე, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ პირიქითაც იყოს.

ცობეხია ცობოლა, ხის (ან ლითონის) საცობი ბოთლისა, კასრისა და მისთ. (ქეგლ). ნაწარმოებია ცობეხა მეტსახელისაგან. საგვარეულო მოსახლეობს გალის რ-ნის სოფლ ქვემობარღებში.

ცობეხია აკაკი — გალის რ-ნი, აფხაზეთსა და საქ. დამსახ. მასწ.

ცობეხიას საგვარეულო 148 სულს ითვლის (ზუგდიდი — 71, თბილისი — 24, წალენჯიხა — 15), (გვარსახ. საქ-ში).

ცომაია ნაწარმოებია ცომა შერქმეული სახელისაგან. ცომი (პურის) მოზელილი ფქვილი (ჩუბ.). შეიძლება „ცხომელს“ ანუ „სოხუმელს“ ნიშნავდეს, მოსახლეობენ აბაშის რ-ნში.

ს. ცომაია, მოხსენიებულია ქართველი, 1812 წ. ფრანგ-რუსთა ომში (ჟურნ. „განათლება“, 1915, № 1, გვ. 1).

ც. სამუილ გრიგორის ძე მოხსენიებულია როგორც პეტერბურგის სტუდენტი. 25.IX.1908 (ხელნაწ. ინსტ. ფ. 27, თაყაიშვილი საქმე, 1374).

ც. სოფელ ლათის (გულრიფშის რ-ნი) მცხოვრებმა ცოლ-ქმარმა საბედ და მათემ 5 შვილი — ერთი ქალი და ოთხი ვაჟი გაგზავნეს სამამულო ომის ფრონტზე, ამათგან სოფიო და ნიკოლოზი სევასტოპოლს იცავდნენ, მესამე შვილი უკრაინაში ომობდა და მონაწილეობდა ქ. ხარკოვისათვის ბრძოლაში, ხოლო მეოთხე შვილმა დავთმა მრავალგზის ასახელა ქართველი მეომრის მარჯვენა ბელორუსიისათვის ბრძოლაში. (ქოჩიაშვილი მ., II, 157).

ც. ნადეჟდა ათანასეს ასული (1909, ქუთაისი, 1973, თბილისი), ქართველი მომღერალი (მეცო-სოპრანო), საქ. სსრ სახ. არტისტი (1943).

საგვარეულო 2228 სულს ითვლის (აბაშა — 795, თბილისი — 681, ფოთი — 160), (გვარსახ. საქ-ში). გვარი შეტანილია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 363-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8, მარტი, 1997).

ცუბჟაია, ცუბშაია — ცუ — წინსართი ბგერები გაურკვეველია, ბჟა (მგრ.) — მზე.

ცუბშაია პეტრა ნახსენებია როგორც დაბალი წრისა, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. აპრილში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6, 62).

ცუიბაია ისმაილ, ძე — მუსა, ასული აშრახან მოხსენიებულია როგორც მდაბიონი, წარმართი სარწმუნოებისანი, გაქრისტიანებულნი

1834 წ. ივნისში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7; 37).

ცუჟბაია (იხ. ცუბჟაია).

მე-19 ს. 30-იან წლებში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში სახლობდა 400-მდე კომლი, აქედან 130 გვარეულობიდან 35 იყო აფსუური, ხოლო 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის **ცუჟბაია** (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ცურგუშია ლაზური გვარია. ცურგუ საკ. სახელი, ში – გენეტიკურობის მაჩვენებელი ბგერებია. ცურგუს შვილი. შდრ. ქართ. გვარი ცუგოშვილი.

ცურგუშია მოხსენიებულია სოფ. აფიცხუში (შავი ზღვის სანაპიროზე, ტოპ. ქართულია) 1844 წ. მცხოვრები 300-მდე ქართველთაგან. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., 1997).

ცურკუტი ცურღუტი, ცუღლუტი. ზუსტი ეტიმოლოგია ისევ საკვლევია.

მე-19 ს. 30-იან წლებში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში შერვაშიძეთა რეზიდენციაში სახლობდა 400-მდე კომლი, აქედან 130-მდე გვარეულობიდან 35 იყო აფსუური, ხოლო 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის ცურკუტი. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ცურუბია 1. ცურუ (მგრ.) – სურო 2. ცურუ – საკ. სახელია, ბია – შვილი=ცურუ(ს) შვილი. შდრ. ქართ. გვარი ცუღოშვილი.

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში, – შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში მოსახლეობდა 400-მდე კომლი, აქედან 130 გვარეულობიდან 35 იყო აფსუური... 85-მდე კი ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის **ცურუბია**. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ცურუბია ცუგუნა იხსენიება, როგორც წარმართი სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (იქვე, გვ. 99).

ცულუნია ცულუ საკ. სახელია, ღუნია – მოფერებითი სახელის დაბოლოებაა. შდრ. ქართ. გვარი ცუღოშვილი.

ცულუნია იოყანეს და ქერობინს მართებთ ხოფის ეკლესიის გამოსაღები ათი თეთრი. (ქართ. სამ. ძეგლები, 3,349), (XVI ს.).

ცუცხვაია ბუქნა (ქეგლ); შეიძლება ცაცხვის ხის სახელიდან იყოს. ცაცხვს თაყვანს ცემდნენ ქრისტიანობამდელი მორწმუნეები. ნაწარმოებია

ციცხვა შერქმეული სახელისაგან. შდრ. ტოპონიმი ცუცხვათი გურიაში, რომელიც აშკარად ზანური ტოპონიმი ჩანს. შდრ. ცუცხვაშვილი.

ამჟამად ცუცხვაიას საგვარეულო 31 სულს ითვლის (თბილისი – 4, სენაკი – 4, ზუგდიდი – 2), (გვარსახ. საქ-ში).

ცუცხუბაია ცუხ-ცუხ-ი, ჩქარი სიარული მოკლე ნაბიჯებით, ტუსტუსი (ქეგლ); საბერიო (გალ. რ.).

ცქერია წარმომდგარია ცქერია მეტსახელისაგან. ცქერია სორდია, ემართა თილითის სასახლის ბეგარა... (1621). შდრ. ძვ. ქართულ მწერლობაში, კერძოდ, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ნახსენები მოქმედი ისტორიული პიროვნების სახელი ცქირი. ამრიგად: ცქერია – ცქირია – ცქირი.

ცქვიტაია წარმომდგარია ცქვიტა შერქმული სახელისაგან. ცქვიტი, მარდი, სწრაფი, მარჯვე... გადმოცემით, ნადიმზე მომსახურე ბიჭს ბატონისათვის ღვინის დასხმისას დოქს სახელური მოსტყდომია და ბიჭს უმალვე დაუჭერია. აქედან მოდგმისათვის ბატონს ცქვიტ-ის გვარი მიუცია. მთქმელი (1979 წ.) 80 წლის პანიკო **ცქვიტაია**, მცხ. ჭოლა-ხანწკა (ჩხორ. რ.). ამჟამად ცქვიტი-დან წარმოებული გვარებია: **ცქვიტაია, ცქვიტარია, ცქვიტია, ცხვიტავა, ცქვიტისქუა, ცქვიტიშვილი, ცქვიტინიძე**. ცქვიტიშვილების გვარი გურიაში ნაწილი აზნაურები იყვნენ. შდრ. ბიზანტიელი მწერლის აგათია სქოლასტიკოსის ნათქვამი: ლაზები „ძლიერნი და მამაცი ტომი... განთქმული ხასიათით, სილამაზით და სიცქვიტით...“ ცქვიტიშვილები და სცქვიტისქუები მოსახლეობენ ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ხაბუმესა და ჭოლაში.

ჭოლაში (დღ. ჩხოროწყუს რ-ნი) მცხოვრები ცქვიტაიები გადმოსახლებულან ცაგერიდან (ლეჩხუმი) და ამ გვარის ხატი ყოფილა წმ. გიორგი ლელაშისა. (მაკალათია, 244).

ცქვიტაია პარმენ დ. 1908, ს. ჭოლა, ჩხოროწყუს რ-ნი, ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი.

ცქვიტაიას საგვარეულო 273 სულს ითვლის (ჩხოროწყუ – 114, თბილისი – 51, ზუგდიდი – 56), (გვარსახ. საქ-ში).

ცქვიტარია (იხ. ცქვიტია).

ცხვიტარია გიორგი ნადიაკვანარი, დავით დადიანის (1840-1853) (სამეგრ. უკანასკნელი მთავარი) მთავრის კაბინეტის პირადი სეკრეტარი.

ცქვიტარია 434 სულს ითვლის (ზუგდიდი – 185, თბილისი – 118, ჩხოროწყუ – 30), (გვარსახ. საქ-ში).

ცქიმირტია ცქუმუნტური (მგრ.) – ზღმარტლი. ამავე სახელწოდებისაა

ზღმარტლის ხის და ნაყოფის სახელიც. შესაძლოა ცქიმირტიას ვარიანტი იყოს ციმინტია გვარსახელიც (იხ. ზემოთ).

ცქირია ცქიმურ-ა — წვრილი თევზი (ჩუბ.); ნაცქირუ ხუნაო (მარტვ. რ.). (შდრ. ცქრია, იხ. ზემოთ). ნაწარმოები ჩანს ცქირია მეტსახელისაგან. გვარი 92 სულს ითვლის (თბილისი — 28, ფოთი — 16, ზუგდიდი — 11), (გვარსახ. საქ.).

ცხაბელია (იხ. ცხადაია). ეტიმოლოგია და საილუსტრაციო მასალა საძიებელია.

საგვარეულო 68 სულს ითვლის (ზუგდიდი — 30, თბილისი — 19, ხაშური — 6), (გვარსახ. საქ.).


ცხადაია ცხად-ი დაუფარავ-ი, აშკარა (ქეგლ); ცხადაია — მოიდანახე (ჩხორ. რ.), ჯვარი (წალენჯ. რ.), ცხადისი (ამბრ. რ.). უფრო სარწმუნოა ცხადა მეტსახელის მცხუედასაგან მომდინარეობა. შდრ. გვარები ცხვედიანი, ცხვედაძე, ცხადიაშვილი.

ც. ჯემალი, ზუგდიდის ჩაის ფაბრიკის მუშა, სოციალისტური შრომის გმირი.

ც. ალექსი, ჯვარი (წალენჯ. რ.) საქ. სსრ დამსახ. მასწ. (გაზ. „კომ. დრ.“ 25. VIII-81).

ც. ტარასი გუსარის ძე, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, კათედრის გამგე, დოცენტი, მეცნიერების დამსახ. მოღვაწე.

ც. თედორე (ტატო) გუსარის ძე, თბილისის სახ. უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.


სენაკის რაიონი

ც. პაატა ალექსის ძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

ცხადაიას საგვარეულო 1418 სულს ითვლის (ზუგდიდი — 383, თბილისი — 179, წალენჯიხა — 167), (გვარსახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე

გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 705-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ცხადია (იხ. ცხადაია); საგვარეულო 68 სულს ითვლის (ზუგდიდი – 30, თბილისი – 19, ხაშური – 6), (გვარსახ. საქ.).

ცხაკაია 1. ცხაკუა (მგრ.) – უძალო დარტყმა, მოცაცუნება (ელიავა გ. ლექსიკ.). 2. შესაძლოა მომდინარეობს ცხაკა//ჩხაკა მეტსახელისაგან, ცხაკა//ჩხაკა – თვალღია, ღია, გადახუნებული თვალები. ცხაკაიები სენაკის რაიონში მოსახლეობენ.

ც. ბასილი, დ. 1910 მარტვილის მღვდელი, „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერი ექუსთა დღეთა. დღ. სოჭის რაიონის სოფ. პლასტუნკის მასწ.

ც. ივანე, გლეხი, 16 აპრილს მარტვილის მდივანბეგს ებრძანა გაერჩია მისი საჩივარი ბატონის მიერ მიწის წართმევის თაობაზე (ბოროზდინი, ბატონყმობა სამეგრელოში, 1927, 55).

1988 წ. მონაცემებით, სამეგრელოდან ცხაკაიების რამდენიმე ოჯახი გადაიდა საცხოვრებლად სოჭში (გაზ. „ჟერია“, 1988, ივლისი, 146, გვ. 8).

ც. ეფრემ ბასილის ძე, დ. 1863 სოფ. ხუნწში. დღ. სოჭის რაიონის ქართული მოსახლეობის სკოლის მასწავლებელი, მარტვილის ეკლესიის მღვდელ-მასწავლებელი, რევოლუციონერი.

ც. მიხეილ (მიხა) გრიგოლის ძე, დ. 1865, სოფ. ხუნწი, ახლანდ. მარტვილის რ-ნი, 1950, მოსკოვი, დაკრძალულია თბილისში, კომუნისტური პარტიის, საბჭ. სახელმწიფო და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე.

ც. იოსებ გერმანეს ძე (1879-1942), დ. სენაკის მაზრის სოფ. აბედათში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოღვ., 624).

ც. ქსენია ეფრემის ასული, 1950, სოფ. პლასტუნკა, შავი ზღვისპირეთის გუბ. (ახლანდ. სოჭ ის ფარგლებში, 1982, თბილისი), ქართველი მცენარეთა ფიზიოლ. ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში.

ც. მიხეილ ივანეს ძე, დ. 1890, ქუთაისი, 1952, თბილისი, ქართველი ექიმი, ორთოპედ-ტრავმატოლოგი, მეცნ. ორთოპედიის ფუძემდებელი საქართველოში, მედიც. მეცნ. დოქტორი (1949), პროფესორი (1935), საქ. დამსახ. ექიმი (1943).

ც. ალექსანდრე დავითის ძე, დ. 1902, სოფ. კოკი, ახლანდ. ზუგდიდის რ-ნი, 1970, თბილისი, ქართველი გეოფიზიკოსი, სეისმოლოგი.

ც. ვახუშტი კალისტრატეს ძე, დ. (1922-1988), ტექნ. მეცნ. კანდიდატი (1970) ი. ნ. ვეკუას სახ. სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის

ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1961-1968). საქ. სსრ სახ-ფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1988), (ჯაფარიძე ს., 291).

ც. გრიგოლ — ნაფიცი ვექილი, ყოფილი წევრი აზერბაიჯანის პარლამენტისა (1888-1973). განისვენებს საფრანგეთში პარიზთან ახლოს დ. ლევილიის ქართულ პანთეონში (გაზ. „ლიტ. საქ.“, 1990, 14 აპრილი).

ცხაკაიას საგვარეულო 590 სულს ითვლის (თბილისი — 189, მარტვილი — 105, ზუგდიდი — 93), გავრცელებული გვარია სენაკის რაიონში, (გვარსახ. საქ-ში).

ცხვიტავა (იხ. ცხვიტაია); საგვარეულო 29 სულს ითვლის (სენაკი — 134, თბილისი — 66, ფოთი — 50), (გვარსახ. საქ.).

ცხვიტარია (იხ. ცქვიტაია); საგვარეულო 211 სულს ითვლის (ფოთი — 71, სენაკი — 62, აბაშა — 35), (გვარსახ. საქ.).

ცხილონია ცხილონი — რცხილოვანის ტყე. შდრ. ცხინვალი — რცხილოვანი. ქვ. ცხილონი სოფ. ახალგორის რ-ნში. შდრ. ქართული გვარი რცხილაძე.

ცხომარია 1. ჩხომარი ჩხომ-არი (ჩხომ მგრ.) — თევზი, არ-არის. ძვ. სახელწოდება სოხუმისა. ცხიმური — რცხმელა. ხალხური გადმოცემით, ხის კეთილი ჯიში, რომელსაც მეხი არ ეცემა. ვფიქრობთ, ცხომარიას უფრო სარწმუნო ახსნაა ცხუმარიასაგან მომდინარეობა: ცხუმარია — ცხომარია. — ცხუმელი, სოხუმელი, შდრ. ცხომ — სვანურად ცაცხვი. სოხუმი (ცხუმი) თურქების მიერ დამკვიდრებული და დამახინჯებული ფორმაა (თურქები ცხ ბგერათ კომპლექსს ვერ გამოთქვამენ: ცხ — სხ — სოხ.). აქედან წარმოდგა ასევე დამახინჯებული ფორმა რუსთაგან შერქმეული სუხუმ. ამავე ცხუმ ძირს შეიცავს ქართული გვარი ცხომელიძე. გამორიცხული არაა მეორენაირი ახსნაც: ცხუმ — ჩხომ შდრ. მგრ. ჩხომ — „თევზი“, ოჩხომური — „სათევზაო ადგილი, მდინარე“ ჩხოროწყუს რ-ნში.

ცხომარია ულოიან და გურიბია ხოფის ეპისკოპოსის გლეხებს მართებთ ოც-ოცი თეთრი თითოეულს (დას. საქ. საბუთ. წ. I, 14).

ცხომარიას საგვარეულო 270 სულს ითვლის (სენაკი — 66, თბილისი — 52, ფოთი — 28), (გვარ-სახ. საქ-ში, 226).

ცხონდია (თბ. 1.12.65.4) — ცხონვა — ვაცხოვრო... ცხონებული (ჩუბ.). წარმომდგარია შერქმეული სახელისაგან. ცხონდიების ნაწილი აზნაურები იყვნენ და ჰყავდათ გლეხები, მოსახლეობდნენ წალენჯიხის რ-ნში. ცხონდიებზეა ნათქვამი: გიორგი ცხონდია, ირკოჩიში მორდია“.

„გიორგი ცხონდა ყველასი მომნათველელი“ (ხალხ. სიბრძნე, 204).

ცხონდია ვენიამინ ალექსანდრეს ძე, უკრაინის ნ. ა. შჩორსის სახ. ჟიტომირის პარტიზანული რაზმის მებრძოლი (1943). (ვ. გურული, 51).

ცხონდია მოხსენიებულია სოფ. აფიცხუში მუგუძირხვის თემი (გუდაუთის რ-ნი), შავი ზღვის სანაპიროზე, ტოპ. ქართული. 1844 წ. მცხოვრები 300-მდე ქართველთაგანი (იხ. გვარი ფიცხულია).

ც. დიმა (1903-1982) განისვენებს საფრანგეთში პარიზთან ახლოს დ. ლევილიის პანთეონში (გაზ. „ლიტ. საქ.“, 1990).

საგვარეულო 159 სულს ითვლის (ზუგდიდი – 87, თბილისი – 50, ჩხოროწყუ – 12), (გვარსახ. საქ-ში).

ცუცხვაია (იხ. ცხუცხუბაია), ცუცხვათი ბაგრატ (იმერთა) მეფემ უბოძა ვახტანგ ციხისთავის შვილს ციხისთაობა, ცუცხვათის ციხე და რაც ალექსანდრე (იმერთა) მეფის დროს მამულები ჰქონდა ვახტანგის ბიძას თეიმურაზს (1673, ქუთ. მუზ. № 973) – გარდაცვლილი ქაიხოსრო (აგიაშვილის) ყმები გიორგი (იმერთა) მეფემ ქაიხოსროს ბიძას ვახტანგ აგიაშვილს უბოძა 1697“, (იქვე).

ცხუცხუბაია ცხუცხუ-ს ეტყვიან კატას განშორებისათვის.

ცხუცხუბაიას საგვარეულო 52 სულს ითვლის (ზუგდიდი – 15, მოსკოვის ლტოლვილი – 1, წალენჯიხა – 36), (გვარ-სახ. საქ-ში, 226).

ძაბახია ძაბახი, ძველი სატომო სახელია.

ძაბახიძე ვალერიან სერგოს ძე, დ. 1903, სოფ. ბზვანი, ახლანდ. ვანის რ-ნი, 1986, სოხუმი, დაკრძალულია ვანში, ქართველი გენერალ-მაიორი (1943).

ძაბუა ძაბუნი (სპარ) — მხდალი, სუსტი, მშიშარა, მორჩილი (ძვ. საქ., 162, „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკონი). მომდინარეობს ძაბუა პიროვნების სახელისაგან. შდრ. 1. ძაბახი, ძველი სატომო სახელია; 2. ძაბუნი — ჯაბანი, დაძაბუნებული, დაშინებული კაცი.

ძაგანია მომდინარეობს საკუთარ სახელ ძაგანისაგან: საქართველოს ისტორიაში ცნობილი ძაგან ერისთავი (ქართ. ცხ. 11, 34..., მაისურაძე) შდრ. ქართული გვარი ძაგნიძე. აბედათი (მარტვ. რ.), ძაგანი (ოჩამჩ. რ.), ლეძაგანე-კიწია (მარტვ. რ.). ძაგან სოფ. ახალგორის რ-ნის დორეთკარის ტერიტორიაზე. ძაგანი, ძაგან (სომხ.) — „ნაშიერი", „ნაშვილი" და ა. შ.

ძაგანიას საგვარეულო 1153 სულს ითვლის (თბილისი — 350, მარტვილი — 333, ქუთაისი — 96), (გვარსახ. საქ-ში).

გვარი მოხსენიებულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (1153 სული) მიხედვით 914 ადგილზეა (გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

ძანძავა ძაძა — შავი სამოსელი, სამგლოვიარო... (ჩუბ.); ბანძა (სენაკ. რ.) სოფ. ჯვარი, ნაკიფუ (წალენჯიხის რ-ნი).

ძაძამია (თბ. 15.07.64,3) იხ. ძანძავა. ლეძაძამე (სენაკ. რ.) ძაძა (მგრ.), დიხაში ლებია, ჩეჭიფე ლებია, ჩეჩხირა ლებია (ბოტ.).

საგვარეულო 1697 სულს ითვლის (წალენჯიხა — 370, თბილისი — 280, ზუგდიდი — 128), (გვარსახ საქ.).

გვარი შესულია საქ-ში 25 ათასზე მეტი გვარის ყველაზე გავრცელებული გვარის სიაში (იქვე).

ძაძუა წარმომდგარია ძაძუ მეტსახელისაგან. ძაძვა კანაფის კანის გაძრობა (მ. ჩიქოვანი); ძაძუა გაბრილ, აბრამ, ირდაშელი, ინგარია, ემართათ ნაჭალეულის სასახლის ბეგარა... (1621); ოტობაია, თაგილონი (გალ. რ.).

ძაძუას საგვარეულო 578 სულს ითვლის (ზუგდიდი — 331, თბილისი — 83, ქუთაისი — 24), (გვარსახ. საქ-ში).

ძაბულია ნაწარმოებია შერქმეული სახელისაგან. ძაძიანი — ძაძით მოსილი, (ქეგლ).

ძერია ძერა (ფრინვ.) ნაწარმოებია ძერა შერქმეული სახელისაგან. დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი, ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის ძერია (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ძერია ჯოღორია დაბირის ასული, მადლექ მოხსენიებულია, როგორც მდაბიო ხალხის წარმომადგენელი, წარმართული სარწმუნოებისა და 1834 წ. აპრილში გაქრისტიანებულნი დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6, 12).

ძერია კვაჯი, ცოლი ზიში და ძე ტუგვა მოხსენიებულია (იქვე., გვ. 6, 22).

ძერიას საგვარეულო 199 სულს ითვლის (ჩხოროწყუ — 129, თბილისი — 20, სენაკი — 17), (გვარსახ. საქ-ში).

ძვაბავა ძვაბავები მოსახლეობენ წალენჯიხის რ-ნის სოფ. ჯგალში. საგვარეულო 90 სულს ითვლის (ზუგდიდი — 9, გარდაბანი — 3, თბილისი — 1), (გვარსახ. საქ-ში).

ძველაია წარმომდგარია მეტსახელისაგან (ღლ. სახელი). ძველი — ადრინდელი ნახმარი, დიდის ხნისა (ჩუბ.); საძველაო — სეფიეთი, საძველაიო — ნორიო, განკარი (აბაშის რ-ნი). „სეფიეთში მიგრირებულია სოფ. განკარიდან, განკარში კი გადმოსახლებულნი იყვნენ სამურზაყანოდან (ოჩამჩირიდან) მე-18 ს-ის ბოლოს. თავდაპირველი გვარია ზვანბაია. გადმოსახლებულია სუმათა ზვანბაია, რომელსაც დიდი ცოდვების გამო იქ ვერ დაედგომებოდა. განკარაში მოსულ ორ ძმაში ძველაიების ოთხი კომლი მკვიდრობდა. ისინი ილორის წმინდა გიორგის ყმები იყვნენ, სადაც სალოცავად ბოლო დრომდე დადიოდნენ. ამჟამად სეფიეთში 12 კომლია (ქართ. მემკვ., 1996, I, გვ. 55).

ძველაია მირიან თეოფანეს ძე (1912, აბაშა), ქართველი გეოლოგი, გეოლოგ-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1954), პროფესორი (1980), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1984).

ამჟამად ძველაიას საგვარეულო 390 სულს ითვლის (აბაშა — 156, თბილისი — 70, სენაკი — 37), (გვარსახ. საქ.).

ძიგვავა უძვ. ძიგები. ლაზური წარმოშობის ტოპი (ურუშაძე, 124); აქედანაა: ძიგავა, ძიგაა. ძიგუთა სოფ. და მდ. სოხუმის რ-ნში.

ძიგუა (იხ. ძიგვავა) 1888 წ. ძიგუას რამდენიმე ოჯახი გადავიდა სოჭში (გაზ. „ივერია, 1888, VII, 146, გვ. 8).

ძიგავას საგვარეულო 65 სულს ითვლის: ქუთაისი — 27, თბილისი — 12, მცხეთა — 11 (გვარსახ. საქ-ში).

ძიგუა პავლე ექვთიმეს ძე (1885-1918), დ. აფხაზეთის ოლქის სოფ. რეფო-შეშელეთში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოღვ., 627).

ძიგუას საგვარეულო 667 სულს ითვლის (ზუგდიდი — 243, სამტრედია — 156, თბილისი — 182), (გვარსახ. საქ-ში).

ძიძავა ძიძა — დედაკაცი უცხოთა შვილთა მაწოვებელი. ძაძაები გუდაუთიდან ყოფილან, იქ კაცი შემოკვდომიათ, გამოქცეულამ სამეგრელოში და სენაკის რ-ის სოფ. ხორშაში დასახლებულან. შემდეგ ერთი ოჯახი დასახლებულა ხობის რაიონის სოფ. გურიფულში და აქ დღესაც ცხოვრობენ. ჩაიწერა გია კლიმენტის ძე ძაძავამ 1998წ. მოგვაწოდა ბიძინა გურამის ძე ჩიტაიამ 1999 წელს. საგვარეულო 116 სულს ითვლის (თბილისი — 37, ფოთი — 31, სენაკი — 14), (გვარსახ. საქ.).

ძიძარია ნაწარმოებია ძიძარ შერქმეული სახელისაგან. შდრ. ძიძა — „დედაკაცი უცხოთა შვილთა მაწოვებელი"; ნაძიძოუ (ნაძიძარი) — გაჭედილი (მარტვ. რ.), ძეძილეთი (ხონ. რ.). რამდენიმე კომლი, ძიძარიას გვარსახელის მატარებელი სახლობს წალენჯიხის რ-ნის ქ. წალენჯიხაში.

ძიძარია გიორგი ალექსის ძე (1914-1988), დ. სოფ. ლიხნში დღ. გუდაუთის რ-ნი. ისტორიის მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1960), საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორ (1974), საქ. სსრ მეცნიერების დამსახ. მოღვაწე (1961), აფხაზეთის ასსრ (1964), საქ. სამეცნიერო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1979). (ჯაფარიძე ს., 75).

ძიძარიას საგვარეულო 146 სულს ითვლის (წალენჯიხა — 64, ზუგდიდი — 28, თბილისი — 2), (გვარ-სახ. საქ-ში, 228).

ძიძიგური ქალის საკ. სახელი, ძიძიგა (ღლ. სახ.) — ძიძიკური (მაისურაძე); ძიძი-გური — ძიძის გული. ძიძიგური ხოჟინას მართებს ხონის საყდრის ბეგარა... (1600). ძიძიგური სვიმონ, მართებს მარჩილი ღორი, 1 ქათამი, მისი ყუცლით და კვერცხი. (კაკაბაძე, წ. II, 135).

ძ. არჩილ ამროსის ძე (1914, ქუთაისი), ქართველი მეცნიერი სამთო მექანიკის დარგში, ტექნ. მეცნ. დოქტორი (1958), პროფესორი (1960), საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1969) და პრეზიდიუმის წევრი (1976). საქ. სსრ მეცნ. და ტექ. დამსახ. მოღვაწე (1964).

ძ. შოთა ვარლამის ძე, დ. 1911, მათხოჯი, ახლანდ. ხონის რ-ნი,

ქართველი ენათმეცნიერი, ქართ. ენისა და დიალექტების მკვლევარი, ბასკოლოგი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1963), საქ. სსრ მეცნ. აკადემიკოსი (1974), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1971).

ძ. ვარლამ დავითის ძე, დ. 1889, სოფ. მათხოჯი, ახლანდ. ხონის რ-ნი, 1957, თბილისი, ქართველი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, საქ. სსრ დამსახ. მასწავლებელი (1939).

ძ. იულია ანდროს ასული, დ. 1913 წ. ქ. ბაქოში, გეოგრაფიის მეცნიერების კანდიდატი (1950), დოცენტი (1965) საქ-ს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი (1985).

ძ. ალექსანდრე (ბოჩია) ანდროს ძე, დ. 1915 ქ. ზუგდიდში, დიდი სამამულო ომის ვეტერანი.

ძიძიგურთა საგვარეულო 2359 სულს ითვლის (თბილისი 639, მარტვილი — 344, ხონი — 144), (გვარსახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (2359 სული). მიხედვით 340-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ძიძილია ძეძილისიანი — გამზრდელი, ძიძისიანები; აქედანაა ძეძემია, ძიძღია.

ძიძღია (იხ. ძიძილია). გვარი მოხსენიებულია დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. კვიტოულის 1834-1835 წლების აღწერის სიაში, სადაც აფხაზთა თითო-ოროლა გვარი თუ იყო დარჩენილი ქართველი კი 156 სული იყო, მათ შორის ძიძღია (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ძომათია ეტიმოლოგია და დამატებითი საილუსტრაციო მასალა საძიებელია.

ძღირკისჭუა ძღირკ-ი ძღირკაფა (მგრ.) — ხელზე აყვანა (ბავშვის), ძღირკი(ს) ძე. წარმომდგარია შერქმეული სახელისაგან.


ძღირუა წარმომდგარია მეტსახელისაგან. ძღინკ-ი გამხდარი, მჭლე, ძღინკი (ქეგლ). ძღირუა მუხურელი, მართებს სუბვის სასახლის ბეგარა... (1621).

წაბლია ნაწარმოებია წაბლია შერქმეული სახელისაგან. შდრ. მეგრ. ჭუბურ-ი. ქართ. გვარი ჭუმბურიძე. წაბლი; საწაბლე, წაბლარის ხევი (ბაღდ. რ.), წაბლია (შორაპ. რ.).

წაბლი ჭან. ჭუბური, ჭუბუი; მგრ. ჭუბური; სვ. გვიჯ, გვიჯრა. (ბოტ). წაბლიანი სოფ. გაგრის რ-ნის მიქელრიფშის თემში; წაბლოვანი ხაშურის რ-ნის ცოცხნარის თემში.

წაბრია წარბას იტყვიან ხარზე. წაბრიას საგვარეულო 105 სულს ითვლის (ზუგდიდი - 52, თბილისი — 21, ქუთაისი — 10), (გვარსახ. საქ-ში).

წარალბაია გვარეულობა მოსახლეობს გალის რ-ნის სოფ. ოკვინორეში. საგვარეულო 24 სულს ითვლის (ზუგდიდი — 14, ბაღდათი — 2, თბილისი — 2), (გვარსახ. საქ.).



წალენჯიხის რაიონი

წარბაა მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან. ხარის სახელია; 2. ხშირწარბიანი; კახათი (ზუგდ. რ.), წარბათუბანი (ადიგ. რ.). აქედანაა **წარბია.**

წ. საკიმას ემართა ჭალაის სასახლის ბეგარა... წარბია მათე, წიწილა, შისაგვირი, ხუხულია, დონვადია მართებთ დარჩელის სასახლის ბეგარა... წარბა ვამიჩქიდა, მართებთ საცაიშლო ბეგარა...

წარია საგვარეულო 54 სულს ითვლის (ზუგდიდი — 28, თბილისი — 13, მოსკოვის ლტოლვილი — 3) (გვარსახ. საქ.).

წარლბაია იგივე გვარსახელია, რაც წარალბაია (იხ.). 1. წარღვნა, წალეკვა; 2. ბიბლიური ლეგენდით — წყალდიდობა, რომელმაც მთელი დედამიწა დაფარა წყლით (ქეგლ). მოსახლეობენ გალის რ-ნის სოფ. ოტობაიაში.

წაქაია მგრ. წაქა წურუქი, წაქი, ნარჩენი ყველის ამოღების შემდეგ.

წაქაძე (სახელი არაა) (1912, ზესტაფონი), ქართველი ფიტოპათოლოგი, ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1972), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1982).

წაწულია წაწალი — მომიჯნურე ქალაჟი, რომელთაც ალერსის ნება აქვთ, მაგრამ დაქორწინება არა... (კ. გამსახურდია, II, 809).

წ. ფაცული ანაკლიაში მცხოვრები ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინთის ღვთისმშობელს (1628) (იხ. თოდუა).

წაწალუა გამიძულა ილორს მცხოვრები, ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინთის ღვთიმშობელს (1628), (მასალები, 112).

წახნაგია (სოფ. ცხ. 3.01.67.4), მომდინარეობს საკ. სახელი წახნაგი-საგან, (წახნაკი) აგ -აკ კნინობითი უნდა იყოს... (მაისურაძე); წახნაკიები მჭედლები ყოფილან; საწახნაგიო, წახნაკიაში სუკი (მაღლობი), საწახნაკიო — ლეწურწუმე, ნაჩალიკუ — საწახნაკიოს უბანი (ჩხორ. რ.).

წახნაგია პეტრე, ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კოჩარის კოლმეურნე, 70 წელს გადაცილებული, რომელიც 5 ჯარისკაცის მამა იყო და შრომის მისაბაძ მაგალითს იძლეოდა 1942 წ. (ნ. ჯომიდავა, კოჩარა, 40).

წახნაგიების საგვარეულო 28 სულს ითვლის (თბილისი — 6, ქუთაისი — 6, რუსთავი — 3), (გვარსახ. საქ-ში).

წახნაგია (პარტ, ფსევდონიმი) ციალაძე გიორგი ფილიპეს ძე (დ. 1902, სოფ. ჭოლა, დღ. ჩხოროწყუს რ-ნი, რევოლუციური მოძრაობის მონაწილე საქართველოში.

წახნაკია (იხ. წახნაგია); საგვარეულო 159 სულს ითვლის (ჩხოროწყუ — 102, სენაკი — 12, თბილისი — 12), (გვარსახ. საქ.).

წებლარია წებელდის მკვიდრი, წებელდელი, რომელშიც დაკრგულია ე და დ ბგერები. წებლარია გაჭირდია, გუგურიში, ქაქალია, თალაბერი, გაწირლ, დასკუდა, ზანგელარ, მართებთ ხაუჟელის სასახლის ბეგარა... (1621).

წეენჯია წეენ-ჭაან, ჯი-ა, ჯიშია — ჭანის ჯიშის; (შდრ. წანჯია). ეტიმოლოგია საძიებელია; წეენჯიაში ნოხორი (ნასახლარი) — თამაკონი (მარტვ. რ.).

წვერავა წვერ-ი 1. რისიმე წაწვეტებული წვეტიანი ბოლო; 2. ადამიანის ყბებსა და ნიკაპზე ამოსული თმა... (ქეგლ); გვარსახელი ნაწარმოებია წვერა მეტსახელისაგან, რომელშიც ა მსგავსება-შედარების — კნინობითობის სუფიქსია. შდრ. წვინდა, ქერა, წვერა-თევზის სახელი. ქართ. გვარი წვერიკმაზაშვილი.

წვერავა ივანიკა მოხსენიებულია ხონის ეკლესიის 1824 წ. სიგელ-გუჯრებში (ძვ. საქ. 3, განყ. 1, 299).

წ. სიმონ დიმიტრის ძე, დ. 1905, დაბა ხონი, ახლანდ. ხონის რ-ნი. 1982, თბილისი, ქართველი მწერალი.

წ. ელენე ნიკოლოზის ასული (1909, თბილისი), ქართველი ექიმი (ჰემატოლოგი), მედიც. მეცნ. დოქტორი (1952), პროფესორი (1952), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1962).

წვერაას საგვარეულო 516 სულს ითვლის (თბილისი – 131, ქუთაისი – 72, სამტრედია – 30), (გვარსახ. საქ-ში).

წვინარია ნაწარმოებია წვინარ შერქმული სახელისაგან. შდრ. წვინარი – გარეული* ცხოველი შავი ფერისა, აქვს მშვენიერი და ნაზი ტყავი. ქალები ხმარობენ პალტოს საყელოზე გადასადებად. წინარეთი სოფ. შუახევის რ-ნის (აჭარა) ტერიტორიაზე.

წვინარია სალმაქვას ცოლი ხუჭ მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის 1854-55 წწ. მცხოვრებ ქართველ 156 სულთა ქრისტიანთა სიაში, სადაც აფსუათა გვარი თითზე ჩამოსათვლელი იყო (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ, მარტი, 1997, გვ. 8; 3). წვინარია. ოეტრო ძმა დალაკო, კოლუა, სუმატა, ასული – ხირ, მახუ, ცოლი მარი მოხსენიებულია იმავე სოფელში, როგორც მდაბიონი, წარმართნი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში (იქვე, გვ. 7; 38-40).

წირქვაია მომდინარეობს წირქვა მეტსახელისაგან. წერაქვი, შეიძლება წირ-ქვა, წისქვილის ქვიდან უყოს; ლეწირქვე-ნაჯახაო (მარტვ. რ.). შდრ. ტოპონ. წირქვალი იმერეთში.

წირქვაიას საგვარეულო 28 სულს ითვლის (აბაშა – 13, ზუგდიდი – 1, თბილისი – 14), (გვარსახ. საქ.).

წირღვავა წირღვა (მგრ.) კვირისთავი (გ. ელიავა, ლექსიკ.) საგვარეულო 412 სულს ითვლის (თბილისი – 76, ზუგდიდი – 75, ფოთი – 63), (გვარსახ. საქ.).

წისბარია დუდუხან მოინათლა ქრისტიანად 1834 წ. ივნისში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7; 8).

წიფურია ნაწარმოებია შერქმეული სახელისაგან. მეგრ. წიფური – წიფელი. წიფურია (თბ. 10.11, 64,4); წიფურია – დღ. აჩიგვარა, ლეწიფურე (საწიფლოვანო), კიწია (მარტვ. რ.), წიფლოვანი (გულრ. რ.), დიდი წიფური სოფ. გალის რ-ნში; საქ-ს ტერიტ. დაყოფის წიგნში წიფურიდან ნაწარმოები გვარის 17 დასახელებაა. მე-17 ს-ში ამავე წიფურიას სახელი ყოფილა ცნობილი, მისიონერები (მაისურაძე, 215).

წიფურია მოხსენიებულია იტალიელი მისიონერის ქრ. კასტელის 1654 წ. რუკაზე, რომელიც გამოქვეყნებულია ი. ტაბაღუას წიგნში:

საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, (თბ., 1988, ტ. II, ჯ. გამახარია და გ. გოგია, 840, 842). სხვათა შორის IX-X ს-ში დას. საქ-ში, კერძოდ აფხაზეთში 17 საკათალიკოსოდან ერთ-ერთი იწოდებოდა წიფურიას ეპარქიად.

წიფურია ბორის მიხეილის ძე, დ. 1933, სოფ. ხორგა, ხობის რ-ნი, ქართველი მსახიობი, საქ. სსრ სახ. არტისტი (1979), საკავშ. ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი (1982).

საგვარეულო 459 სულს ითვლის (მარტვილი – 136, თბილისი – 109, ზუგდიდი – 84), (გვარსახ. საქ.).

წიფურიანი – სვ. მოსახლ. დღ. ზემო სვან. რ-ნის სოფ. ეცერში (XIII ს-ის II ნახ.), (სვ. ძეგლები, 138).

იქნებ საკვლევი გვარის მთიდან ბარში მიგრაციასთან გვაქვს საქმე, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ მოძრაობა საპირისპიროდ წარმართულიყო.

წიქურია წიქარა – წითელი ხარის სახელი (ქეგლ). წარმომდგარია წიქურ მეტსახელისაგან (შდრ. ქართული გვარი წიქურიძე).

საგვარეულო 86 სულს ითვლის (ბათუმი – 19, თბილისი – 14, ცხინვალი – 14), (გვარსახ. საქ-ში).

წიწაა ნაწარმოებია წიწა შერქმეული მეტსახელისაგან. წიწაა მესკეს ემართა საცაიშლო ბეგარა... (1621). ეტიმოლოგია დასაძებნია.

წიწავა წიწვა;* საგვარეულო 148 სულს ითვლის (ზუგდიდი – 117, თბილისი – 21, ბათუმი – 4), (გვარსახ. საქ.).

წიწაკია წიწაკა ბოსტნეული მცენარე, რომლის ნაყოფი იხმარება კერძის შესაკმაზად.

გვარი მოხსენიებულია როგორც ცაიშიდან (ზუგდიდის რ-ნი), საბატონო გლეხი, რომელიც თავადმა დავით დაღიანმა შესწირა ღვთისმშობლის ეკლესიას. (62).

წიწალია ნაწარმოებია წიწილ შერქმეული საბელისაგან (შდრ. გვარსახელი წინწალაშვილი ახმეტის რ-ნში, პანკისის ხეობა), რომელშიც ნარი განვითარებული ჩანს.

წიწია (იხ. წიწაა) ხუჭუჭია, მიხირდიას ცაიშს მიმდგამსა კაცებს, მართებთ ბეგარა... (1619-1621). წიწია კოჩიას ემართა დარჩელის სასახლის ბეგარა...

წიწიბაია როგორც ჩანს, წიწაა, წიწია წიწიბოა გვარსახელები ერთი საერთო ძირისანი არიან. შდრ. წიწიბი – წიფლის ნაყოფი, საწებნაგოვანი. წიწიბაიაში ნოხორი (ნასახლარი), მარტვილის რ-ნში.

წიწიბურია წიწიბურა, მცენარე (ბოტ.).

წკაები წკა-ში ებ, შესაძლოა მრავლობითის ნიშანი იყოს. წკა — წკაები, გვარსახელად კი წკაა ფორმა უნდა დავსახოთ. მეგრ. წკა — ხილის კურკის ნაჭუჭის თესლი. წკალა (მგრ.) — ბუწკვა, კურკის მოცილება. წკაათი სოფ. მარტვილის რ-ნში.

წკირია მგრ. წკირი — ხის შამფური. წკირიები მოსახლეობენ ხობის რ., ინწკირვეთი სოფ. შუახევის რაიონის წყლისაყარის ტერიტორიაზე.

წკურუა ჭუტვა თვალისა (ქეგლ). მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან. წკურუა (მგრ.) — ჭუტვა (თვალისა), აქედან (მგრ.) მარწკინალი — კაცი თუ ქალი, ვინაც მკვდარს თვალის დაუხუჭა. მარწკინაიას მეგრელები უწოდებენ ციცინათელასაც. არის თამაშობა — თვალხუჭუაობა (მგრ.) — თვალხუჭვაობა, აქედანაა მგრ. წკვარამი — ჯურღმული.

წოწელია (თბ. 11.06.68.4); წოწიალი აქეთ-იქით, უთავბოლო სიარული, — თრევა ხეტიალი (ქეგლ); ზანა (სენაკ. რ.). გვარსახელი ნაწარმოებია წოწელია შერქმეული სახელისაგან.

წოწელიას საგვარეულო 22 სულს ითვლის (თბილისი — 10, სამტრედია — 6, ქუთაისი — 4), (გვარსახ. საქ.).

წოწერია (იხ. წოწელია); გვარი 202 სულს ითვლის: სენაკი — 92, ზუგდიდი — 26, ქუთაისი — 10 (გვარსახ. საქ-ში).

საგვარეულო 914 სულს ითვლის (მარტვილი — 334, თბილისი — 175, სენაკი — 70), (გვარსახ. საქ-ში).

წოწორია (იხ. წოწონავა). 1078 სულს (მარტვილი — 517, თბილისი — 251, აბაშა — 47), (გვარსახ. საქ-ში). გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებული გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 991-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

წოწინავა მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან. წოწინა იგივეა, რაც წოწინარი (ქეგლ); საწონელა — ბანძა (მარტვ. რ.). წოწინაკი — გაჩერებულ ურემზე თავთან ამოსაბიჯი ჯოხი (რომ არ წაიქცეს), ან ხარებს ტვირთის სიმძიმე შეუმსუბუქოს. წოწონავა წოწოლა: 1. მაღალი რამე პირამიდებრ ან შაქრის თავის მსგავსი; 2. მოდიდო ბუ. წოწონავა — წოწოლავა ამ შემთხვევაში ნ//რ მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე.


წუდია ეტიმოლოგია საძებნია. ხვინჯა, ცოლისდა დადალ ასული: ასტრახან,. გვარი მოხსენიებულია, როგორც მდაბიო, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. ივნისში დღ. ოჩამჩირის

რ-ნის სოფ. კვიტოულში. (გაზ. „საქართვ.“, მარტი, 1997, გვ. 6; 23).

წუნდიას ტბა ახალციხის რ-ნში, ზოგჯერ უწოდებენ წურბლის ტბას. ხალხ. გადმოცემით ამ ტბასთან მოდიოდა ხოლმე თამარ მეფე, იცქირებოდა შიგ და თმებს ივარცხნიდა. ამის გამო ხალხი ამ ტბას თამარის სარკესაც უწოდებს. (გოგატ. 47).

წულაია (თბ. 3.03.69,4), გენეტიკური წარმოშობის გვარია, საკ. სახელი წული-დან, წული (მგრ.) — სქი, ძე — ძმისშვილი — ძმისწული; ხაბუმე, ჩხოროწყუს რ-ნი. ამრიგად, გვარი ნაწარმოებია წულა შერქმეული სახელისაგან, რომელშიც ა სუფიქსია. წულაია მართგკანის, ოფიშხუას მართებთ საცაიშლო ბეგარა... (1621).

გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში მოსახლეთა ქრისტიანად მონათლულთა 1837 წ. სიაში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).


ზონის რაიონი

წულაიები სამეგრელოს აფაქიძეთა ყმა-გლეხები იყვნენ (სოსელია, III. 166).

წულაია იროდიონ, გალის რ-ნის სოფ. ჭუბურხინჯიდან, სამამულო ომის ვეტერანი, არტილერისტი, დიდების სამივე ორდენის კავალერი. (ნაჭყებია, მ., 7).

წ. გივი, ისტორიის მეცნ. დოქტორი. საგვარეულო 5091 სულს ითვლის (მარტვილი — 1469, თბილისი — 695, ზუგდიდი — 465), (გვარ-სახ. საქ-ში). საგვარეულო მრავალრიცხოვანია, ის 5091 სულს ითვლის (მარტვილი — 1469, თბილისი — 695, ზუგდიდი — 165). (გვარსახ საქ.) გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 76-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-7 მარტი, 1997).

წულეისკირი (თბ. 1.04.69.4). გენეტიკური წარმოშობის გვარია. წულ-ი-სქი(ძე), სქირი — ძე, ძისწული — ძის შვილი; საწულეისკირო (სენაკ. რ.), ბანძა (მარტვ. რ.).

წულეისკირი შამშე ბეროს ძე, ოქრომჭედელი ქ. ქუთაისში, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მოშაობდა. მისი ნამუშევრები გამოირჩეოდა მაღალმხატვრულობით, ტექნიკური შესრულების სინაზითა და სინატიფით. (ქუთაისის მუზ. მას., გვ. 122).

გიორგი ვასილის ძე (1909, ყაზანი), ქართველი გვირაბმშენებელი... სსრკ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

წ. ნოდარ ალექსანდრეს ძე, დ. 1932, ბანბა, მარტვილის რ-ნი, ქართველი მწერალი.

საგვარეულო 645 სულს ითვლის (სენაკი — 290, თბილისი — 146, სამტრედია — 39), (გვარსახ. საქ-ში).

წულუკია წული — ძისშვილი, წუკალა — ბგერების შეცვლასთან გვაქვს საქმე — სპილენძის პატარა ქვაბი (ქეგლ). ან უფრო სარწმუნოა წულუკია წულა-ს ვარიანტი იყოს. თუ ეს ასეა, მაშინ -უკ სუფიქსი ყოფილა კნინობითობის გამომხატველი.

ნაწულუკუ, სოფ. ზუგდიდის რ-ნის რუხის თემში.

წულუკიას საგვარეულო 21 სულს ითვლისზ (ზუგდიდი — 10, თბილისი, რუსთავი - 1), (გვარსახ საქ.).

წუმბაია ნაწარმოებია წუმბა შერქმეული სახელისაგან. შდრ. წუმბა-წუმპე, წვიმა: „.. ატმოსფერული ნალექი, რომელიც ეცემა წყლის წვეთების სახით დედამიწაზე... ვარსკვლავთა წვიმა, ასტრ. მეტეორიტების ხშირი ცვენა.

წურქავა ნაწარმოებია წურქა შერქმული სახელისაგან. წურუქი — შრატის ნარჩენი ხაჭოს ამოლების შემდეგ (ქეგლ). წურუქავა — წურქავა. სხვანაირად, წურქავა წირქვავას ვარიანტი შეიძლება იყოს.


წურქავას საგვარეულო 25 სულს ითვლის (ბათუმი — 5, თბილისი — 5, ზუგდიდი — 1), (გვარსახ. საქ-ში).

წურწუმია (თბ. 30.01.64.4); წურწუმა სპილენძის მაღალყელიანი და ლულუკიანი ჭურჭელი; სხვაგვარი ახსნით, შესაძლოა წურწუმი—წუმწუმისაგან მომდინარეობდეს. შდრ. წუმწუბა//წუნწუმა//წურწუმა. ერგეტა (ზუგდ. რ.), ლეწურწუმე-ახუთი, ფოქვა-ლეწურწუმე (ჩხორ. რ.)„ ფოქვაში წურწუმიები სახლებულან გამოქცეული წულუკიძედან მკვლელობის თაობაზე, გვარი შეუცვლიათ... გამრავლებულან, მკვლელს აზნაურობა მიუღია. ამჟამად წურწუმიას გვარს ატარებენ (ელიავა, ჩხორ. ტოპ., 40).

ლეწურწუმე სოფელია დღ. ჩხოროწყუს რ-ნში. ის შედიოდა ქუთაისის ოლქის ზუგდიდის მაზრაში და მოსახლეობა 1034 სულს შეადგენდა.

ვფიქრობთ სოფელს ლეწურწუმე გვარის სიმრავლის გამო შეერქვა. ამჟამად, საგვარეულო 4266 სულს ითვლის (ზუგდიდი – 1152, ჩხოროწყუ – 1006, თბილისი – 579), (გვარ-სახ. საქ-ში). გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 113-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

წურწუმია ალექსანდრე პეხუს ძე, დ. 1910, სოფ. გოდასკური, ახლანდ. სენაკის რ-ნი, მფრინავი, მაიორი (1941), საბჭ. კავშირის გმირი (1944, სიკვდილის შემდეგ).



წყალტუბოს საქალაქო საბჭო

წუნარია ვფიქრობთ, უ ბგერა ჩართულია ვი ბგერის ნაცვლად. მაშინ წვინარია წვინარი (მგრ) – თრია.

წუწუნავა ნაწარმოებია წუწუნა შერქმეული სახელისაგან. (თბ. 16.06.64.4); წუწუნა, ვინც ხშირად წუწუნებს, ვისაც წუწუნი სჩვევია (ქეგლ); ბანძა (მარტვ. რ.).

წუწუნავა ცეცილია რაჟდენის ასული (1892, ოზურგეთის რ-ნი, 1956, თბილისი), ქართველი მსახიობი, საქ. სსრ. სახ. არტისტი (1943).

წ. ალექსანდრე რაჟდენის ძე (1881, სოფ. ლიხაური, ახლანდ. ოზურგეთის რ-ნი, 1935, თბილისი), ქართველი რეჟისორი, თეატრალური მოღვაწე, საქ. სსრ სახ. არტისტი (1934).

საგვარეულო 251 სულს ითვლის (ბათუმი — 51, თბილისი — 39, ფოთი — 30), (გვარსახ. საქ-ში).

წყაბელია (იხ. წყალბია), წყალბია ნაწარმოებია წყალობა საკუთარი სახელისაგან, რომელშიც ო ხმოვანს რედუქცია განუცდია: წყალობაი — წყალბაი. წყალბაი ნაგვაზოუს მცხ., ემართა ბიჭვინთის ტაძრის ბეგარა... (1621). მოსახლეობენ ხობის რ-ნში. საგვარეულო 96 სულს ითვლის (ზუგდიდი — 76, თბილისი — 8, წყალტუბო — 1), (გვარ-სახ. საქ.).

წყაროზია ნაწარმოებია შერქმეული სახელისაგან: წყაროზია — წყაროსია. როგორც ჩანს, ამ გვარსახელში ს-ზ ბგერათგამჟღერება მომხდარა. წყარო: 1. მიწისქვეშა წყლის ნაკადი ამოხეთქილ ზედაპირზე; მიწიდან ან კლდიდან გამომდინარე წყალი (ქეგლ); წაჩხური (წყალი — ცივი) (მარტვ. რ.), წყაროთა (შუახ. რ.). აქედანაა: წყაროსია, წყარსია. წყაროსია ლომინიას ემართა ჭალის სასახლის ბეგარა... წყარსია დეისპამას, ლომინიას მართებთ საცაიშლო გამოსაღები... წყაროსია — წყარსია. ამ გვარსახელში ო ხმოვნის რედუქცია მომხდარა (შდრ. წყალბია — წყალობაია).

საგვარეულო 339 სულს ითვლის (ზუგდიდი — 263, თბილისი — 35, ქუთაისი — 13), (გვარ-სახ. საქ-ში).

ჭ

ჭაავა I. ჭაა (მგრ) — ჩალა — სიმინდის გამხმარი ღერო, პირუტყვის საკვები ზამთარში. მომდინარეობს ჭა სახელისაგან, შდრ. ქართ ჭეშვილი; ნაჭაო-სამიქაო (აბაშ. რ.), ბარღები (გალ. რ.).

ჭაავას საგვარეულო 995 სულს ითვლის (ზუგდიდი — 272, სენაკი — 248, თბილისი — 95), (გვარ-სახ. საქ-ში, 230).

ჭაბურია ჭაბუ-რე (მგრ) — ჭაბუ- — წებო, რე — არის, იტყვიან კაცზე თუ ქალზე, რომელიც გულთბილია, წებოსავით მოგეწებება. შდრ. ჭაბუა (ამირეჯიბი). გვარი 27 სულს ითვლის (აბაშა — 4, ზუგდიდი — 23), (გვარ-სახ. საქ.).

ჭაკუა ჭაკი — დედალი ცხენი. საგვარეულო 118 სულს ითვლის (ხობი — 55, ფოთი — 38, ზუგდიდი — 12).

ჭალა ჭალა წყლის პირი, ნაყოფიერი (საბა). სოფელი მოხსენიებულია 1897 წ. მოსახლეობის პირველი აღწერის სიაში ქუთაისის ოლქის. ზუგდიდის მაზრის სოფელი, სადაც მოსახლეობდა 2388 სული მეგრელი და იმავე ოლქის შორაპნის მაზრის სოფელი, სადაც მოსახლეობდა 1189 სული იმერელი.

ჭალა ასევე სოფლებია: გულრიფშის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, სენაკის და შიაბევის რ-ნში.

ჭალაკანია ჭალა-კან-ია, ჭალა — მდინარის ნაპირი, აკან (მგრ.) — მხარე, აქედანაა ჭალაკავა. უფრო საფიქრებელია, ჭალაკან შერქმეული სახელი ყოფილიყო ძველად, რომლისგანაც წარმომდგარია გვარი ჭალაკანია. შდრ. ქართ. გვარი ჭალაგანიძე, სადაც ჯ//გ მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე.

ჭანბა ეთნონიმი ჭანი. ჭანბაია მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში 1845-1855 წწ. მცხოვრებ 156 სულ ქართველთა შორის, სადაც აფსუათა გვარი თითზე ჩამოსათვლელი იყო. ჭ.ნბა იხსენიება, სახელად ბათა, როგორც მდაბიო ხალხიდან, წარმართული სარწმუნოებისა და ქრისტიანად მონათლული 1834 წ. იანვარში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ათარაში (გაზ. „საქართველო", სპეც. გამოშვ., გვ. 8; 2).

ჭანბა სამსონ იაკობის ძე, დ. 1886, სოფ. ათარა, ახლანდ. ოჩამჩირის რ-ნი, 1937, აფხაზი მწერალი, საზ. მოღვაწე, რევოლუციონერი.

ჭანია ეთნ. ჭანი; ჭანიეთი-ნოსირი, ჭანიორი-თეკლათი (სენაკ. რ.), ჭანიერი-სუჯუნა (აბაშ. რ.), აჭანდარა (გუდაუთის რ.), ჭანწათი (ოზურგ.

რ.), საჩინო (უნდა იყოს საჭინო, ოჩამჩირის რ-ნში) აქედანაა ჭანბა. ჭანია მაჭიხოლის ემართა ჭალას ეკლესიის და ნაჯაიანოს სასახლის ბეგარა... (1621).

„ჭანია ქვია, სახელი რომ დგია ან კუხნა, იმის წინ რო არის მიწიანი გადახურული, ძირ მიწაა და საძირკველი, მაღლიდან კი დახურულია“. მგრ-ად აბარწა. (ავტ.).

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 35 აფსუური, 130-მდე გვარეულობიდან დარჩენილი 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის ჭანია.

ჭანია ცუკუ, მისი ნაცოლევი რაზმა, ძე — გიჩ, ამის ცოლი მარჯან, ასული მისი — ფაგე, ძმისწული კუტრა, ასული ლალვაშან — მდაბიონი, წარმართნი, გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში, დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., 1997, გვ. 7; 49).

ჭანია ვალერიან კალისტრატეს ძე, დ. 1928, დღ. წალენჯიხის რ-ნის სოფ. ნაკიფუში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1964), პროფესორი (1965), მრავალი მონოგრაფისა და სამეცნიერო სტატიის ავტორი.

„ჭანიას ქალი იყო დედა გამოჩენილი ბერძენი მეცნიერ-გეოგრაფის — სტრაბონისა“ (ჯანაშია ს., სტატიიდან წიგნში „მესხეთი“, თბ., 1915).

ჭანიას საგვარეულო ამჟამად 783 სულს ითვლის: ზუგდიდი — 323, წალენჯიხა — 284, თბილისი — 59 (გვარსახ. საქ-ში).

ჭანტურაია (იხ. ჭანტურია); გვარი 20 სულს ითვლის (თბილისი — 2, ქუთაისი — 1, ხონი - 17), (გვარ-სახ. საქ-ში).

ჭანტურია ჭანი-ეთნონიმურ, თურ-ი — მონათესავე, მოგვარე; გადმოცემით, ჭანტურიები ჭატრიები ვიყავითო. ამ გვარის ნაყარია გვარებია: ჭანტურაია და ქართ. ჭანტურიძე, ჭანტურიშვილი. ჭან-თურ, თარი მგრ-ად უფროსი. საჭანტურიო — დაბა ჭალადიდი (სენაკ. რ.), საჭანტურიო — ძვ. აბაშა, ჭანტურიაში ჭალე — სუჯუნა (აბაშ. რ.), ჭვატური — თამაკონი (მარტვ. რ.), ქ. გალი, I გალი (გალ. რ.), ჯვარი (წალენჯ. რ.), აქედანაა: ჭანტურაია, ჭვანტურია.

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130 გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის ჭანტურია — ჭატარია (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ჭანტურია მაკი და მისი ძე ბუდუზ, ნახსენებია, როგორც გლეხნი, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. აპრილში დღ, გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6, 44, 47, 51, 75).

ჭ. იმარინდუს და იოვანეს მართებს ხობის ეკლესიის გამოსაღები მეორე წელიწადია, თხუთმეტი თეთრი თითოეულს, (ქართ. სამ. ძეგლები, 3, 349).

ჭ. იმარი, ნდაყ, სოფლის ეპისკოპოსის გლეხებს, მართებთ ხუთმეტი თეთრი თითოეულს XVI, (დას. საქ. საბ. წ. I. 13).

ჭ. იოანნე, ზუგდიდის მაზრის სოფ. ეწერფერდის ეკლესიის მღვდელი, (მწყ. 1884, № 8).

(დათიელა, და ბეჟანის და სხვა ჩიქოვანებისადმი:) მიცემული № 106, 1843, აპრ. 9. გარიგების წიგნი.

„...ხელის მომწერნი დათიელა ჭანტურია და მისი ძენი... თქვენ ჩვენს მეპატრონეს ბეჟანს, მერაბს, ალექსის, გიორგი ჩიქოვანის ძეებს, ზომიერი სამსახური დაგვადევი: ბეგარა ხუთი ბათმანი ღვინო, თვეში ორი დღეს ხარით და ორ დღეს თოხით (მუშაობა), თხუთმეტ დღეს თავისი მევკინიბით ცხენის შენახვა... ულაპარაკოთ უნდა მოგართვათ... ამიერიდან გამსახუროთ, თქვენი ერთგული ვიქნებეთ შეძლებისდაგვარად. გამრიგე ბოქაული ხურცილავა და მოწმეები... ვინაიდან წერა არ იცოდნენ ჭვანტურიებმა, ჯვარს ასმენ“... (სოსელია, 125, დოკ. 106).

ჭ. უტა – სამეგრელოს აჯანყების ჯვარისა და ლიის სოფლების ერთ-ერთი მეთაურთაგანი (1856 წ.), (იხ. მიქავა უტუ).

ჭ. აპოლონ ილარიონის ძე ჩქვალერი (წალენჯ. რ.) (1915-1990). სახალხო განათლ. წარჩინებული. (გაზ. „ეგრისი“, 23. XII-90).

ჭ. დომენტი 900-იან წლებში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური ზუგდიდის მაზრაში.

ჭ. სოლომონ პავლეს ძე, ლია (წალენჯ. რ), საქ. სსრ დამსახ. მასწ. (გაზ. „კომ-ზმის დრ.“ 16.VI-77).

ჭ. ლუდოვიკო ბეგოს ძე, ჯვარი (წალენჯ. რ.) საქ. სსრ დამსახ. მასწ.

ჭ. თინა ფახულანი, ის არის (წალენჯ. რ.), სოც. შრ. გმირი.

ჭ. გელა ანდროს ძე ჯვარი (წალენჯ. რ.), სსრ დამსახ. ზოოტექნიკოსი, სოც. შრ. გმირი (გაზ. „კომ. დრ.“ 8-III-79).

ჭ. ანდრონიკე, წალენჯიხის რ-ნი, საქ. სოც. შრ. გმირი.

ჭ. ტერენტი პავლეს ძე, 1908, სოფ. ნოღა – ხაში, ახლანდ. ქ. აბაშა

1973, ბათუმი, ქართველი მოქანდაკე. აჭარის ასსრ ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე (1957).

ჭ. კონსტანტინე (ფსევდონიმი კაპანელი), დ. აბაშის რ-ნის სოფ. კაპანაში, ქართველი ფილოლოგი, კრიტიკოსი, ფილოსოფოსი.

ჭ. ტარიელ პროკოფის ძე, დ. 1932, სოფ. სუფსა, ლანჩხუთის რ-ნი, ქართველი პოეტი.

ჭანტურიას საგვარეულო 6698 სულს ითვლის (აბაშა — 1226, თბილისი — 1188, ზუგდიდი — 867), (გვარსახ. საქ-ში). გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (6698 სული) მიხედვით 39-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

ჭანუნბაია ჭანუნბაია ეთნ. ჭანი. შდრ. ჭანია, ჭანიშვილი... მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ათარაში მცხოვრები მე-19 ს. I ნახ. ამავე რ-ნის კვიტოულში (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ჭანუნბაია აშგერეი მოხსენიებულია, როგორც მდაბიო, წარმართული სარწმუნოებისა და 1834 წ. აპრილში გაქრისტიანებული ღღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6; 3).

ჭ. ქვაბრაჯი, ასული — დოლახთან მოხსენიებულია, როგორც მდაბიო ხალხის წარმომადგენელი, წარმართული სარწმუნოებისა და ქრისტიანად მონათლული 1834 წ. ივნისში, ღღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში (გაზ. „საქართვ.", სპც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6; 10).

ჭაპანია ჭაპანი (მგრ)- ტვირთი, მომდინარეობს ჭაპან მეტსახელისაგან.

ჭარაია მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან ჭარუა — წერა, ჭარი — ჭაობიანი ადგილი; ლეჭარაე-საბერიო (გალ. რ.).

ჭარაია პეტრე გიორგის ძე (1861-1919), დ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ეშგეთში. თბილისის სასულიერო სემინარიის მეხუთე კლასიდან გამოსული მშობლების გარდაცვალების გამო. თვითგანვითარებით მოიპოვა გზა. მასწავლებლობდა სამურზაყანოს სკოლებში (მოქვი,გუფი, ფოქვეში. გალი...), (სახ. განათლ. მოღვაწე, 216).

საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო სა-ობის წევრი (1910 წ., ძვ. საქ.) ჭარაიების ნაწილი აზნაურები იყვნენ.

ჭარაიას საგვარეულო 167 სულს ითვლის (ზუგდიდი — 66, წალენჯიხა — 62, თბილისი — 16), (გვარსახ. საქ-ში, 231).

ჭატარია, ჭატარი — ბევრი მოლაპარაკე. ჭატალია მახულ, ცოლი

კოფ, შეფაფა, ასული ხაციც, ვაპუ მოხსენიებულია, როგორც მდაბიო ხალხის წარმომადგენელი, წარმართი სარწმუნოებისა და 1834 წ. აპრილში გაქრისტიანებული, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6, 11, 74).

ჭაჭია 1. ა-ჭაჭა (აფხ.), ჭაჭა (მგრ), — თირკმელი, დ. გულია (ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934). 2. მომდინარეობს ჭაჭ შერქმეული სახელისაგან. შდრ. ჭაჭა მგრ.- ღვინოგამოწურული ყურძნის ნარჩენი. ა-ჭაჭა აფხ-დ თირკმელი (ჯანაშია ბ.) შდრ. ძველ საქართველოში ცნობილი გვარი ჭაჭნიაშვილი, დღევანდელი ჭაჭიაშვილი. ჭაჭიეთი სოფ. ჩხოროწყუს რ-ნში.

ჭაჭიას საგვარეულო 209 სულს ითვლის (თბილისი— 2, ფოთი — 38, ზუგდიდი — 5), (გვარსახ. საქ-ში). ჭაჭიას საგვარეულო 471 სულს ითვლის (ზუგდიდი — 333, მარტვილი — 78, თბილისი — 33), (გვარსახ. საქ-ში).

ჭაჭუა მიმდინარეობს ჭაჭუა შერქმეული სახელისაგან. ჭაჭუა მგრ. აცმა (თამბაქო, ჩირი...) ჭაჭუა, ჭაჭია აბდუნაბა, ცაიშის მიმდგომსა კაცსა მართებს ბეგარა (1619-1621). ჭაჭია უჟამია, ბაკალია, იონალია, აბდუნაბა, ემართათ საცაიშლო გამოსავალი... (1621).

ჭახნაკი ჭახრაკი — სართავთ საბრუნავი (საბა) (იხ. წახნავია); საგვარეულო 97 სულს ითვლის (სამტრედია — 56, ბათუმი — 15, თბილისი — 11), (გვარსახ. საქ.).

ჭახრაკია (იხ. წახნაკია); საგვარეულო 36 სულს ითვლის (თბილისი — 24, აბაშა — 7, თერჯოლა — 1), (გვარსახ. საქ.).

ჭედია მოსაქმეობაზე მიგვითითებს. მომდინარეობს მგრ. ჭკადუადან. ჭკადუა მეგრ. — ჭედვა, დამზადება: თოხის, ნალის... მჭედლური სოფ. შუახევის რ-ნში (აჭარა). ჭედია სვანურადაც (XV ს-ის II მეოთხედი (სვანური ძეგლები, 75).

ჭედია იხსენიება დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის მოსახლეთა გაქრისტიანების 1834 წ. სიაში.

გვარი მოხსენიებულია სოფ. აფიცხუაში შავი ზღვის სანაპიროზე, (ტოპ. ქართულია), 1844 წ. მცხოვრები 300-მდე ქართველთაგანი (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ჭედია დათია — პირველი მეგრელი ვაჭარი, მოხსენიებულია წიგნში, „სამეგრელო დავით დადიანის დროს“.

ჭ. სოფუჯო მოხსენიებულია, როგორც მდაბიო წრის წარმომადგენელი, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტინაებული 1834 წ. ივნისში,

დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7; 46).

ჭ. ლეონ დიმიტრის ძე, 1903, სოფ. წალენჯიხა, ახლანდ. წალენჯიხის რ-ნი, ქართველი მსახიობი და რეჟისორი, საქ. სსრ სახ. არტისტი (1958).

გვარი 1267 სულს ითვლის (ზუგდიდი – 355, აბაშა – 97), (გვარსახ. საქ-ში).

საგვარეულო მრავალრიცხოვანია და ის შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან, ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 814-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, -8 მარტი, 1997).

ჭელია (იხ. ჭილაია) გვარი მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის 1854-1855 წწ. მცხოვრებ 156 ქართველს შორის, სადაც აფსუური გვარი თითზე ჩამოსათვლელი იყო (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997). აქ გაქრისტიანდნენ ჭელია ეკოლორია და მისი ცოლი – თამარ 1834 წ. ივნისში (იქვე, გვ. 6; 30).

ჭელია მოხსენიაბულია, როგორც 1888 წ. სამეგრელოდან საცხოვრებლად სოჭში გადასული რამდენიმე ოჯახი. (გაზ. „იველია“, 1988. 7, 146, გვ. 8). ჭელია მანჩა მოხსენიებულია, როგორც ერთ-ერთი ინიციატორი სოჭში 1921-1922 სასწავლო წელს სკოლის გახსნისა (ნ. კევლიშვ., 23).

ჭელიას საგვარეულო 64 სულს ითვლის (თბილისი – 15, ბათუმი – 11, აბაშა – 10), (გვარსახ. საქ-ში).

ჭეჟია (კომ. 1.11.64,2); ეტიმოლოგია დასაძებნია. ანაკლია, ორულე, დარჩელი (ზუგდ. რ.), ლეჭეჟიე-ნაკიანი (ჩხორ. რ.).

ჭეჟია ანტიფო მარკოზის ძე, დ. 1908, ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ნაკიანში, სოციალისტური შრომის გმირი (1951).


ჭ. წყაპუცია, მოხსენიებულია აფხაზეთის საკათალიკოზო დიდ იადგარში (1578-1600 წწ.) „სახელითა ღვთისათა კათალიკოზს ბატონ დავითს გვიბოძა დადიანმან ლეონ და დედოფალმან ბატონმან თინათი. ეს წყაპუტია ჭეჟია, გვიბოძა მისის ცოლშვილითა, რისაც მჭონებელი არის მისის ყოვლისფრით და ჩვენ ბიჭვინტისა ღვთის მშობლისთვის შგვიწირავს სახსრად და საოხად სულთა ჩვენთა და დღეთა ჩვენთა წარსამართლებლად ვინც ეს გამოსწიროს, მასაც რისხავს ღმერთი. (საისტორიო მოამბე, წ. II, გვ. 192).

ჭეჟიას საგვარეულო 878 სულს ითვლის (ზუგდიდი – 504, ჩხოროწყუ – 197, თბილისი – 56), (გვარსახ. საქ-ში).

ჭვიტიშია ნაწარმოებია შერქმეული სახელისაგან. 1. ჭვიტუა (მგრ.) თვალის დახამხამება გოგოსთვის... თვალით მინიშნება მოწონებაზე. 2. შდრ. ჭიტ – ჭუჭრუტანა. როგორც ჩანს, ჭვიტიშიაში -იშ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ჩანს. ჭიტიშია თოლიოქრო, ემართა ნაჭალეულის სასახლის ბეგარა... (1621).

ჭითავა ჭითა (მგრ) – წითელი. საგვარეულო 536 სულს ითვლის (სენაკი – 260, თბილისი – 76, ხობი – 36), (გვარსახ. საქ.).

ჭითანავა ნაწარმოები ჩანს ჭითანა ქართ. წითლანა შერქმეული სახელისაგან. შდრ. ქართ. წითლანაძე, ჭითა – წითელი ფერი; ლეჭითანე – თამაკონი, ნაჭითანუ-ნახუნავე (მარტვ. რ.), კორცხელი, მდ. ჭითაწყარი (ზუგდ. რ.). ჭითანავა ჩარჩუ, ემართა ნაჭალეულის სასახლის ბეგარა... (1621).


ჭიათურის საქალაქო საბჭო

„ჭიითი – აქ ჭის – დიდი კაცის ოჯახი-თი ყოფილა. ამ ოჯახში მაშინ 16 მელოგინე და მათი ნამრავლი ნაცხოვრება. მეორე სუკზე გაბითია – გაბის დიდი ოჯახია, იქაც 24 მელოგინე ყოფილა თავისი ნამრავლით. გაბის თიდან ქალიშვილს გამოუვლია ჭისთის ტერიტორიაზე, აქ ჭისთის ოჯახიდან ერთ-ერთს ეს ქალიშვილი გაუუპატიურებია, რის გამოც მოხდარა გვაროვნული ომი, ჭის ოჯახი დაუმარცხებიათ, ჭის შვილები და შვილიშვილები კიწიაში ეჭიში დასახლებულან ცალკე თიებად, ცალკე ოჯახებად. ეს ძალიან შორეული დროის ამბავია. მარტო ეს ლეგენდა ახსოვს ხალხს და გაბითსა და ჭიითზე ბრინჯაოს იარაღებს, ძვლებს და ქოთნებს ვპოულობთ ხვნის დროს“.

მთქმელი ბერულავა იასონ სიკოს ძე, 75 წ. კურზუ, მარტვილის რ-ნი. (გეგეჭკორის მუზ., 79).

ჭითანავა ნოდარ ამბროსის ძე, 1938 წ. ჭკადუაში, (ზუგდ. რ.), ეკონომიკის მეურნეობათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი.

გვარი 2850 სულს ითვლის (ზუგდიდი – 1665, ხობი – 502, თბილისი – 240), (გვარ-სახ. საქ-ში). გვარი მრავალრიცხოვანია და შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე

გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 233-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ჭითარქია ჭითა – რქია, ჭითა – წითელი, რქია – რქიანი=წითელრქიანი.

ჭითარქია ხახუტია დღაში მოსახლე, ლევან დადიანმა „თაწმინდის ხარების ღვთისმშობელს შესწირა (1642), (მასალები, 234).

ჭიკაშუა ჭიკუ (მგრ) – წვრილი. ნაწარმოებია ჭიკა შერქმეული სახელისაგან. ჭიკ-ა-შუა, ჭიკ-ი თითისტარი, შუა-სქუა – თითისტარის ოსტატი ხელოსანი. შდრ. ქართ. ჭიკაძე, ჭიკაიძე.

ჭილავა (იხ. ჭილაია) სოფ. ჭილოვუ მოხსენიებულია ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქის 1897 წ. I აღწერის სიაში, სადაც 2069 მოსახლე ჭილავა იყო. სოფელს სახელი გვარიდან აქვს მიღებული. ამჟამად ჭილავა 64 სულს ითვლის (ზუგდიდი – 47, წალენჯიხა – 5, თბილისი – 3), (გვარსახ. საქ-ში).

ჭილაია მომდინარეობს ჭილა შერქმული სახელისაგან. ჭილაიებზეა ნათქვამი ანდაზა: ჭილაიაში ხოჯი ეკოხონს ხონუნსია. „ჭილაიას ხარი აღმართში ხნავსო“ (ხალხ. სიბრძ. 175). ჭილა – მაღალი მოლი, ფართო ფურცლოვანი, რომლისგან მოიქსოვების ჭილობი (ჩუბ.); ჭილოუ (ოჩამჩ. რ.), ნაჭილუ-ეკი, საჭილაო-მენჯი, ჭილათეფიში ნოხორი (ნასახლარი), საჭილაო, ნაჭილუ, ნაჭილვარი – გეჯეთი (სენაკ. რ.); „აქ ჭილაიები სახლებულან, ისინი გამწყდარან. დღეს ადგილებში ქვევრებსა და დოქებს პოულობენ“ (ელიავა, სენაკ. ტოპ. 67). საჭილაო, ჭილაიაში ნაშარუ, კეთილარი, ჭილური ზანათი, საჭილო – ძვ. აბაშა (აბაშ. რ.), ნაჭილუუ, ჭიითი-კურზუ (მარტვ. რ.). ამავე ფუძისაგან არის ნაწარმოები ქართ. ჭილაძე, ჭილაშვილი, რომლებშიც ლ-ს მომდევნო -ა სიტყვის საწარმოებელი ბოლოსართია. Чилов Иван Матвеевич священик 17.XI. 1796 г. по диплому, подверждающему за ниё дворянское достойнство, доинному имеретинским царём Давидом в 1787 г. (Любимов С. 26). გვარსახელი ამოსავლად მეგრ. ჭილაია ან ქართ. ჭილაძე, ჭილაშვილს უნდა გულისხმობდეს. ჭილაია ბუბუტია, ნაგვაზოვოს მცხ., ემართა ბიჭვინთის ტაძრის ბეგარა... (1621).

ჭილაძე (პაპუნა) კოლხეთის დედოფლის მამა, (კასტელი, 80).

ჭილაია გურამ სერგოს ძე, დ. 1937 წ. თბილისში, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1983), საქ. სსრ სახ-ფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1899), (ჯაფარიძე ს., 272).

ჭ. ანდრო რომანოზის ძე, დ. 903, სოფ. ნახუნაო, ახლანდ. მარტვილის რ-ნი 1973, თბილისი, ქართველი ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი (1966).

ჭ. სერგი ესტატეს ძე, დ. 1912, სოფ. სერგიეთი, ახლანდ. მარტვ. რ-ნი), ქართველი მწერალი, ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1963), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1973).

ჭილაიას საგვარეულო 512 სულს ითვლის (მარტვილი – 135, თბილისი – 123, ხობი – 60), (გვარსახ. საქ-ში).

ჭილია (იხ. ჭილაია) მოხსენიებულია, როგორც ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის მოსახლეთა ქრისტიანად მონათლის 1837 წ. სიაში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., 6-8 მარტი, 1997).

ჭიქაშუა (იხ. ჭიქავა); გვარი 100 სულს ითვლის (სამტრედია – 47, ვანი – 16, აბასა – 15), (გვარ-სახ. საქ.).

ჭიქავა მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან. ჭიქა, ცილინდრული ფორმის ჭურჭელი (სასმისი). ჭიქიანი – მწვერვალი ჯავახეთის ქედზე, ეწოდა იმის გამო, რომ მთა დაძარღვლულია ობსიდიანით ან ვულკანური მინით, ჭიქით. გოგატ. 48

საგვარეულო 60 სულს ითვლის (ხარაგაული – 23, თბილისი – 13, ბორჯომი – 10), (გვარსახ. საქ.).

ჭილვარია (სახ. განათლება); ჭიგოზე ვაზის მისაბმელი წნელი (ვ. ბერიძე); ეთნოგრაფიული მასალებით, სამ ძმას ბატონი მოუკლავს და ლეჩხუმში გადახვეწილან. ლეჩხუმში სოფ. ჭყვიშში და ლარდასანაში მოსახლეობენ. გვარი მოხსენიებულია 1766 წ. საბუთში. „მოჯალაბე დაესახლებინათ ჭიხვარია მაღლუტა და უდაბნოსათვის შეუწირავთ მოსამსახურედ“. (თოფჩიშვილი, 16). ჭილვარია ამოსავალად ჭილვარ მეტსახელს გვაფიქრებინებს. შესაძლოა, ჭილვა ძველად ტოპონიმი ყოფილიყო. თუ ეს ასეა, მაშინ ჭილვარია ჭილველს აღნიშნავს. და თუ ჭილვარ ჯიხვარ-ისაგან მომდინარეობს, მაშინ იგი ამოსავლად ჯიხვა(რ) მეტსახელს გვავარაუდებინებს.

ჭილვარია 312 სულს ითვლის (ქუთაისი – 82, აბროლაური – 72, ცაგერი – 52), (გვარსახ. საქ-ში).

ჭიჭალუა (თბ. 21.02.62.2); ახუჭა (აფხ.), ჭიჭე (მგრ.), დ. გულია, ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934. ჭიჭა-ჭიჭი (პატარა) ღუ-ბუ, პატარა ბუ. ამრიგად, გვარი მეტსახელისაგან მომდინარეობს; კორცხელი (ზუგდ. რ.), ინჩხური (მარტვ. რ.), საჩინო (საჭინო– წალენჯიხის რ-ნი).

ჭიჭაღუები ზემო სამეგრელოს აფაქიძეთა ყმა-გლეხები იყვნენ (სოსელია, III, 166).

საგვარეულო 390 სულს ითვლის (მარტვილი — 128, წალენჯიხა — 110, ზუგდიდი — 71), (გვარსახ. საქ-ში).

ჭიჭინავა ჭიჭინა-ვა — გულზე მოსვლა. ჭიჭინა „თვალი ნაბვრეტი საწნახლისა“. მომდინარეობს ჭიჭინა შერქმეული სახელისაგან, რომელშიც -ინა სავარაუდო კნინობითი სუფიქსი შეიძლება იყოს. შდრ. მეგრ. ჭიჭია — „პატარა“. აქედანაა გვარები: ჭიჭიშვილი, ჭიჭინაძე.

ჭიჭინავა 69 სულს ითვლის: თბილისი — 16, ზუგდიდი — 11 (გვარსახ. საქ.).

ჭიხვარია (თბ. 6.12.69.4); ჭიხვინა — რაც ჭიხვინებს (ცხენი). ჭიხვარიები ჩიჩუათა სათავადოს საგვარეულო ყმა-გლეხები იყვნენ. (სოსელია, ნარკ. 299). (იხ. მჭედლიშვილი წიგნში — ახუაშვ., „ქართული გვარები“, 1994, გვ. 470).

ჭკადუა (კომ. 3.09.67,3). მოსაქმეობა — ჭკად — მჭედელი; ამრიგად, გვარსახელი მომდინარეობს ჭკადუ(ა) ხელობის აღმნიშვნელი ტერმინისაგან. შდრ. ქართულდაბოლოებიანი მეგრ. გვარი ჭედიშვილი (სახლობენ მარტვილის რ-ნში). ჭკადუაში, ნაჭკადუ (ნასამჭედარი) (ზუგდ. რ.), ნაჭკადუ-ნაფიჩხოვო (ჩხორ. რ.), ნაჭკადუ (სენაკ. რ.), კვიტოული (ოჩამჩ. რ.)*. შდრ. სვან. მეშკიდ „მჭედელი“.

ჭკადუა შალვა გუჯუს ძე, ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ჩარის მკვიდრი, ამავე რ-ნის სოფ. ღვადის ფერშალი, სამამულო ომის ვეტერანი, მრავალი ორდენისა და მედლის მფლობელი.

სოფ, ჭკადუაში მოხსენიებულია 1894 წ. პირველი აღწერის სიაში, რომელიც შედიოდა ქუთაისის ოლქის ზუგდიდის მაზრაში, სადაც 1519 მეგრელი ცხოვრობდა. გვარის გამო სოფელსაც ჭკადუაში — ჭკადუასი სახელი მიუღია.

საგვარეულო 3886 სულს ითვლის (ზუგდიდი — 1059, მესტია — 973, თბილისი — 470), (გვარ-სახ. საქ-ში).

ჭკადუა ბეგლარ პავლეს ძე, ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი,

ჭკადუას საგვარეულო შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 156-ე ადგილზეა. (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ჭოლარია მომდინარეობს ჭოლარ შერქმეული სახელისაგან. ჭოლი ჭაობის მცენარეა, რისგანაც ქუდებს ქსოვდნენ. საგვარეულო 339 სულს

ითელის (ზუგდიდი — 150, თბილისი — 67, წალენჯიხა — 39). (გვარსახ. საქ-ში, 233).

ჭოლოკავა მომდინარეობს ჭოლოკა მეტსახელისაგან. ჭოლოკი: 1. მოკლე კეტი (ჯოხი) სასროლად; 2. ნავის სამართი; ჭოლოკაში კარი — ლესიჭინე (ჩხორ. რ.), ჭოლოკაში ნოხორუ (ნასახლარი) — ხუნწი (მარტვ. რ.); აქედანაა: ჭოლოკაური, ჭოლოკავა, ჭოლოკია...

ჭოლოკია ბეჟან, ასული — რუსუდან მოხსენიებულია როგორც მდაბიო წრის წარმომადგენელნი, წარმართული სარწმუნოების მატარებელნი და 1834 წ. ივნისში გაქრისტიანებულნი დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კეტოულში. (გაზ. „საქართ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7; 33).

ჭოჭუა (კომ. 14.11.68.2); მომდინარეობს ჭოჭუ შერჩეული სახელისაგან. შდრ. ჭოჭი — ძირს დამდგარი წყალი (ქვეგლ); ჭოჭი — ჭ:ობი (კ. გამსახ. II, 809). საჭოჭურ-ეკი (სენაკ. რ.), საჭოჭურ ხობის რ-ნი.

ჭოჭუას საგვარეულო 819 სულს ითვლის (მარტვილი — 162, თბილისი — 158, ფოთი — 146), (გვარსახ. საქ-ში).

ჭუბაბრია (კომ. 14.02.68, 2); ჭუბური (მგრ.) — წაბლი; წაბლნარი (გაგრ. რ.), ჭუბაბრიაში ტყა (ტყე) — გეჯეთი, ჭუბაბრიეფიში ნოხორუ (ნასახლარი) სენაკ. რ.), ოჭუბურე (საწაბლე), (სოხ. რ.), წაბლანა (ხელვაჩ. რ.), წაბლანა (შუახ. რ.), ჭუბერი (მესტ. რ.). ამავე ძირს შეიცავს გვარი ჭუმბურიძე. ჭუბაბრია მურზა მოხსენიებულია ხონის ეკლესიის 1745 წ. სიგელ-გუჯრებში (ძვ. საქ. 3 განყ. 1, 296).

ჭუბაბრია კოტე ვარლამის ძე, არტილერისტი, ქვეშეხის გათვლის მეთაური, სერჟანტი, ლენინგრადის განთავისუფლებისათვის მებრძოლი ფრონტზე, ლეგენდად ქცეული. (ქორიაშვ., 138).

ჭუბაბრიას საგვარეულო 574 სულს ითვლის (თბილისი — 162, სენაკი — 115, მარტვილი — 57), (გვარ-სახ. საქ-ში, 233).

ჭურღულია ჭურღულა — ყურწაჭრილი ცხვარი (ქვეგლ); ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ ბგერების გადაადგილებასთან გვაქვს საქმე, — უნდა იყოს ღურჭული — სასიამოვნო სიმღერა; ყოველ შემთხვევაში, ორიენტირი ახსნა-ეტიმოლოგია, ვფიქრობთ, მისაღები უნდა იყოს. საჭურღულაო (ზუგდ. რ.).

ჭურღულია იროდი გიორგის ძე, ზუგდიდის რ-ნის ახალსოფელი სოციალისტური შრომის გმირი.

ჭ. ოთარ გრიგოლის ძე, დ. ქ. ოჩამჩირეში 1926 წ. ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1976), გ. შერვაშიძის პრემიის

ლაურეატი (1995), 16 მონოგრაფიისა და გამოკვლევათა კრებულის ავტორი, 400-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი საქ-ს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის აკადემიკოსი.

ჭურღულიას საგვარეულო 821 სულს ითვლის (ზუგდიდი — 664, თბილისი — 64, წალენჯიხა — 28), (გვარსახ. საქ-ში).

ჭუჭულია ჭუჭუა (მგრ.) — კოცნა (ბავშვებს მოფერებით მიმართავენ (ელიავა გ., ლექსიკ.). მომდინარეობს საკ. სახელ ჭუჭულასაგან, რომელშიც -ულა კნინობითობის სუფიქსია. ჭუჭულია ერჩქინდიას, ჩოხათის მიმდგომა კაცსა, ემართა ბეგარა...

ჭუჭურია (იხ. ჭუჭულია) უჩაკოჩი, მართებს ხაუჟელის სასახლის ბეგარა... (1621).

ჭყონია (კომ. 16.11.67,3); ჭყონი — მუხა. წარმართულ ეპოქაში ყველაზე უფრო გამორჩეული სათაყვანისმცემლო ხის ჯიში, გამძლე. კანისაგან ამზადებდნენ ტყავის დასარბილებელ ან შემღებავ ხსნარს; ჭყონა (სენაკ. რ.), ჭყონ (ხობ რ.), დიდი ჭყონი (მარტვ. რ.), მუხნარი (გაგრის რ.), ჭყონხუმლა (მუხა გამხმარი) — (გალ. რ.); ჭყონიები ნაწილი აზნაურები იყვნენ გურიაში. ჭყონი-ს ზუსტი შესატყვისია ქართული წყნ წყნეთ ტოპონიმში.

ჭყონია გვარი მოხსენიებულია სოფ. აფიცხუაში (შავი ზღვის სანაპირო, გვარი ქართულია) 1844 წ. მცხოვრები 350-მდე ქართველთაგანი, (გაზ. „საქართ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ჭყონია ხ. ბ., 1905 წ. გაგრაში რევოლუციური მოძრაობის მონაწილე, გასამართლებული თბილისის პალატის მიერ 1907 წ. 5-13 ნოემბერს, (ტულუმჯიანი, 57).

ჭ. ტრისტან ტიტიკოს ძე, დ. 1929, ლანჩხუთის რ-ნის სოფ. ჩიბათში, ვეტერინალური მეცნ. კანდიდატი (1968), უფროსი მეცნიერ მუშაკი (1971), საქ. სსრ სახ-ფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1988). (ჯაფარიძე ს., 279).

ჭ. ილია მირიანის ძე (1860, ოზურგეთი, 1927, თბილისი) მწერალი ჟურნალისტი, მთარგმნელი, საზ. მოღვაწე.

ჭ. ლამარა გრიგოლის ასული (1930, ბათუმი), ქართველი მომღერალი (ლირიკული), სსრკ სახ. არტისტი (1976).

ჭ. მემედ ყურშუმის ძე (1860, სოფ. ქობულეთი, ახლანდ. ქობულეთის რ-ნი, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე, ხალხური მთქმელი.

ჭ. მაჭედ ალა მუჰუკირიბის დროს თურქეთში გადასახლებული და ტრიპოლში მცხოვრები (მ. სვანიძე, ქართველები თურქეთში, თბ., 1996, გვ. 24).

ჭყონია ს. (1882-1967) განისვენებს საფრანგეთში, პარიზთან ახლოს, დ. ლევილის ქართულ პანთეონში (გაზ. „ლიტ. საქ.“, 1990, 14 მარტი).

ჭყონიას საგვარეულო 1648 სულს ითვლის: თბილისი – 432, ლანჩხუთი – 355, ბათუმი – 227 (გვარსახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოს 25000-ზე მეტი ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 583-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი).

ხაბუა* მომდინარეობს ხაბუ შერქმეული სახელისაგან (კომ. 27.10.67.4); ხავარა საკ. სახელი ხაბუ; ჰაბიუ (გუდ. რ.), ხაბუმე (ჩხორ. რ.), სახაბო (ახმეტ. რ.).

ხაბურზანია (თბ. 30.01.64); ა-ხაბურზაკი (აფხ), ხაბურზაკი (მგრ.) დ. გულია (ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934). მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან. ხაბურზაკ (სპ. ხარბუზე) — საზამთრო; შდრ. საკ. სახელი ხაბუ; ლეძაძამე (სენაკ. რ.), ცხოვრობენ სოფლის იმ უბანში, რომელსაც კვაუთი ეწოდება//ქაბურზანია. ხაბურზანია, საკ. სახელი ქაბუ, ხოლო დაბოლოება ეთნონიმ ზანი-სა აქვს.

ხაბურძანია (იხ. ხაბურზანია); საგვარეულო 225 სულს ითვლის (ქუთაისი — 197, თბილისი — 9, წყალტუბო — 5), (გვარ-სახ. საქ.).

ხავშამბა ეტიმოლოგია საკვლევია. საგვარეულო 21 სულს ითვლის (ბათუმი — 15, გარდაბანი — 3, ხელვაჩაური — 3), (გვარ-სახ. საქ.).

ხაზალია დ. გულია ა-ხაზნა (აფხ.), ხაზინა (მგრ.) (ხელნაწ. ინსტ., საქმე № 1934). ხაზალი (ღლ. სახელი), საკ. სახელი ხაზუ — ხაზვა; ხაზალა, ლეხაზალე (წალენჯ. რ.). ამავე ფუძისაგან ნაწარმოებია ქართული გვარი ხაზალაშვილი.

ხაზალია პაშუტია კვაჭიას ძე სოფ. ჯგალიდან, დღ. წალენჯიხის რ-ნი, ყმა-გლეხი, გადასახლებული ციმბირში 6 წლით, როგორც სამეგრელოს 1857 წ. გლეხთა აჯანყების დაჟინებითი მხარის დამჭერისა და მემამულეთა ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევისა. (საისტ. მ., 147).

ხაზალიას საგვარეულო 615 სულს ითვლის (ზუგდიდი — 481, თბილისი — 77, ფოთი — 17) (გვარსახ. საქ-ში).

ხაზალიანი სვ. მოსახლ. დღ. ზემო სვანეთის რ-ნის სოფ. კალაში (XIII ს-ის II ნახ.), (სვ. ზეგლ. 141).

საკვლევია; მთიდან ბარში მიგრაციასთან გვაქვს საქმე, თუ პირიქით; ვფიქრობთ, ერთიც და მეორეც.

ხაზარია ხაზარები ტომები იყვნენ. მომდინარეობს ხაზარა საკუთარი სახელისაგან. ხაზარია ასპინას მართებს დარჩელის სასახლის ბეგარა... ხაზარია კეკურიას, მიხილია, კუტუ, მამისახარს ემარჯათ ჭალაის სასახლის ბეგარა...

ხაინდრავა (თბ. 19.09.67,4); ხაინდრავა დასახელებულია როგორც ეპენთეზისის ნიმუში (მაისურაძე); ხაინდრავა — ხაინ (არაბ.) მუხანათი,

– დრავა – მივამსგავსებ, შევადარებ (ჩუბ.); ხაია მდ. (გალის რ.), ლეხაინდრავე (მარტვ. რ.); ხაინდრავები აზნაურები იყვნენ. „არის ორთა გვარნი აზნაურნი“ („ივერია“, 1883 წ. № 11-12, 1884 1-12), ხოლო მათი გლეხები კი : დანელიები და პერტაიები. ხაინდრავა თადეოზ (იგივე ივანე) ტატის ძე, მოხსენიებულია ქუთაისის გუბერნიიდან ქ. თბილისში მამულების საჯარო ვაჭრობის განცხადებაში („ივერია“, 1902, № 245).

ხაინდრავების პირობის წიგნი ხონის მთავარეპისკოპოსის მაქსიმესადმი № 73, 1770 წ.: „ესე წიგნი მოგართვით ჩვენ ხაინდრავებმა საზერელომა და კუჭუჭიმ და პაპუნამ გაბუელიმ თქვენ მთავარეპიზკოპოს მაქსიმეს, ასე რომე ბატონმა დადიანმა ხატის მამული ნაკვარახსო (?) ძველათაც წმინდა გიორგის ყოფილა და ხელ ახლათ ხატს მიართვა რთვა. მერმეთ თქვენ მობრძანდით, მოდისათვის მჭადის პატივს შეგებუეწეთ და წყალობა გვიყავით ამ ერთი წლის მერმეთ ყოველ წელიწადს მოგართვათ ღომიც და მჭადიც, არის ამის მოწამე...“ (კაკაბაძე, ს., წ. II, 175).

ხაინდრავა ლევან იოსიანეს ძე, დ. 1916, ქ. ხარბინი, ახლანდ. ჩინეთის სახალსო რესპუბლიკა, ქართველი მწერალი, წერს რუსულ ენაზე. 1941 წლიდან მუშაობდა ხარბინის საბჭოთა პრესაში. 1948 წლიდან ცხოვრობს საქართველოში.

სოფ. ლეხაინდრავე ქუთაისის ოლქის სენაკის მაზრაში შედიოდა და 3069 სულს ითვლიდა. სოფელს ლეხაინდრავე ამ გვარის სიმრავლის გამო აქვს მიღებული. ამჟამად ხაინდრავას საგვარეულო 799 სულს ითვლის (თბილისი – 321, მარტვილი – 124, ქუთაისი – 69), (გვარსახ. საქ-ში).

ხაკობა მომდინარეობს ხაკო შერქმეული სახელისაგან. ხაკი: 1. სქელი, უხეში ქსოვილი, ტომარა საცალო; 2. გოგრა, დიდი და ტკბილი (ქვგლ); ხაკა მთაა სოხუმის რ-ნში, ხაკი სოფ. ახალციხის რ-ნში; ნახაკუ – ლეჯომიდე (ჩხორ. რ.) ადგილი: „აქ ხაკოები სახლებულან, შემდეგ გასახლებულან, ამიტომ ეძახიან ნახაკუს (ელიავა გ., ჩხორ. ტოპ. 65). ნახაკუ – ოთხი სოფლის: ლეჯომიდეს, ლეჭეჟიეს, ლეფირცხელეს და ლეაფხაზეს შესაყარში მდებარეობს. აქ 1949 წლამდე (გადასახლებამდე) იდგა ამ სოფლების მოსახლეობის მიერ აშენებული 4-წლიანი სკოლის ხის შენობა.(?) (XII ს-ის II ნახ.), (სვ. ძეგლ. 146).

საინტერესოა, მთიდან ბარში მიგრაციასთან გვაქვს საქმე თუ პირიქით? ჩვენ ვფიქრობთ, ერთიც და მეორეც.

ხალვაში ხალვა – ხალუა (მგრ.) – მოხალვა (ღომის...), (ელიავა გ., ლექსიკ.). ადგ. გამოთქმით, ჰალვაში. ლაზური გვარია; ხალვა (არაბ.) – მარტო, თავისუფალი, უსაქმური (ძვ. საქ. 163, „ვეფხ. ტყაოს“. ლექსიკონი).

ხალვაში, სოფ. ქობულეთის რ-ნი (აჭარა).

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130 გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის ხალვაში (ჰალვაში). (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ხ. მაჯიჯი, ცოლი – ღუჭუ, ვაჟი – ხამგერეი მოიხსენიებიან დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის მოსახლეთა გაქრისტიანების 1834 წ. სიაში, (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8; 4).

ხალვაში ფრიდონ იშილის ძე, დ. 1925, სოფ. გეგელიძეები, ახლანდ. ქედის რ-ნის, ქართველი პოეტი.

ხალვაშთა საგვარეულო 2235 სულს ითვლის (ქობულეთი – 738, ხელვაჩაური – 467, ბათუმი – 434), (გვარ-სახ. საქ-ში) და ის შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 361-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ხალიბე ხალდები, გაერთიანება შავი ზღვის აღმოსავლეთის მოსახლე ტომებისა ჩვ. წ. აღრ.-მდე მეორე ათასწლეულში (ხინთიბიძე, 12). ამ შემთხვევაში არ ჩანს გვარის მაწარმოებელი ბოლოსართი. შესაძლოა, იგი მეტსახელი ყოფილიყო. ხალიბე დალაბას ემართა ხაუჟელის სასახლის ბეგარა... (1621).

ხალები სოფლების: დიდი ხალიბისა და პატარა ხალიბეს გავრცელებული სახელწოდებაა.

ხანაგუა ა-ხანგა (აფხ.), ხანგა (მგრ) (დ. გულია, ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934). „ხანგა“ – სამათხოვრო სახლი შეუძლო მონა ხალხისათვის კერპთაყვანისმცემლობის დროს (საქ. ბ/ყმ. მას., 5, 361) მომდინარეობს ხანაგა შერქმეული სახელისაგან. შდრ. ხანგოშვილი.

ხანძია ეტიმოლოგია და დამატებითი მასალა საძიებელია.

ხანძია მალუხ, ცოლი – ჭრაჭა, ძმის ძენი: საკუც და ჯაჯა მოხსენიებულია, როგორც გლეხნი, წარმართული სარწმუნოებისანი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. აპრილში დღ, გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6; 92).

ხანწკავა ხანწკა (მგრ) — მჭლე, სუსტი ჟიზიკური აღნაგობის კაცზე იტყვიან. ხანწკი დასახლებაა ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ჭოლის ტერიტორიაზე, მაგრამ ამ გვარის მატარებელი აქ არავინ ცხოვრობს. შდრ. ხვარწკია, (იხ. გ. შენგელიას სტატია „ხანწკი" — ჩხოროწყუს რ., გაზ. „ნაპერწკალი", 20.02.71).


ხანჯარია ხმალა, ხანჯალა, კხ. ყანის ხამბახი (ბოტ.).ხანჯარია მომდინარეობს ხანჯარ//ხანჯალა მეტსახელისაგან ან ხვანჯარასაგან. შდრ. ხვანჯარი — შარვლის სათათურში გასაყრელი ზონარი (ქსოვდნენ აბრეშუმის ძაფისაგან) (ქეგლ). აქედანაა გვარი **ხანჯალაძე**.

ხაჟალია (თბ. 24,03,67,4; 5.08.72,4). ლებნიანი მცენარე ხაჟი — ჭრელი, ლაქებიანი (მაგ. ლობიო). აქედანაა: **ხაჟომია, ხაჟამია, ხაჟონია**. თუ ეს ასეა, მაშინ ამ გვარში -ალ, -ომ, -ონ სუფიქსები ყოფილა, რაც საყურადღებოა თავისთავად.

ხაჟალიას საგვარეულო 553 სულს ითვლის (სამტრედია — 261, თბილისი — 112, წყალტუბო — 65), (გვარსახ. საქ-ში).

ხაჟომია (იხ. ხაჟალია) საგვარეულო 748 სულს ითვლის (მარტვილი — 284, თბილისი — 170, ქუთაისი — 62), (გვარსახ. საქ.).

ხარაზია ხარი — 1. შუამდინარეთის ღმერთების პანთეონში მთავარის მეფის ძე იყო (ნ. პატ., 387). 2. გვარადქცეული მოსაქმეობის ტერმინი ხარაზი — ფეხსაცმლის მკერავი; ცხმორისი (ქედ. რ.), ბაღმარანი (გულ. რ.). ამრიგად, გვარი შერქმეული სახელისაგან მომდინარეობს. შდრ. ქართ. ხარაზიშვილი.


ხარაგაულის რაიონი

საქართველოში წარმართულ ეპოქაში თაყვანს სცემდნენ ცხოველებს. საკულტო ცხოველი იყო „მხვნელ-მთესველი" — ხარი. წმინდა ხარის კულტი სამეგრელოში უფრო გვიან უკავშირდება წმ. გიორგის კულტს. ხარი დიდი ღმერთის სამსხვერპლო ცხოველი იყო. ხარის კულტის მაჩვენებელი ექვსი ერთეული გვარია მეგრულში, რომლის ფუძეა „ხარ" (იხ. ზემოთ).

ხარაზია ვლადიმერ კომსაგის ძე, დ. 1916, სოფ. ჯირხვა, ახლანდ. გუდაუთის რ-ნი, 1942, სოფ. ვესიოლოე, ზაპოროჟიის ოლქი, საბჭოთა კავშირის გმირი (1942, სიკვდილის შემდეგ), უფროსი ლეიტენანტი.

ხ. ხასან ლაგუსტინეს ძე (1908, სოფ. მერხეული, (გულრიფშის რ-ნი), პირველი აფხაზი გენერალი, 1965-იდან გენერალ-ლეიტენანტი.

ხ. ლევან ახმედის ძე დ. 1922, უფროსი ლეიტენანტი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, ეკონომიურ მეცნ. დოქტორი, თსუ-ის პროფესორი. (ზაქარიაძე, ე., 46).

ხარაზიას საგვარეულო 36 სულს ითვლის (ფოთი — 13, თბილისი — 8, ქუთაისი — 8), (გვარ-სახ. საქ-ში).

ხარაზიებზე იხილეთ ვრცელი მასალა იოსებ ბექირიშვილის წიგნში „ამას შენზე ამბობენ აჭარავ", (ბათ. 1995, გვ. 153-157).

ხარბედია ხარბი — მეტად ბევრის მსურველი... (ქეგლ), სხვაგვარად ხარბედია ხარბედ მეტსახელისაგან მომდინარე გვარი ჩანს. მოლენი (მეგრ. გამოლმა), მელენი (გალმა) სახარბედიო — მენჯი, საბარბედიო — ხორში, სახარბედიო — ახალი ხარბედიების ერთი დინო (ოჯახი) ცხოვრობს (ელიავა, სენაკ. ტოპ. 57).

ხარბედიას სახარბედიოს მცხოვრებ საეკლესიო გლეხს ეკისრა 5 ლოღარიკი სანთელი (XVI), (მასალები, 190).

ხარბედიას გვარი 1131 სულს ითვლის: სენაკი — 391, თბილისი — 184, ფოთი — 133 (გვარ-სახ. საქ-ში), და შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 398-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

ხარგელია მომდინარეობს ხარგელ(ა) მეტსახელისაგან. ხარგელი — დატვირთული; ხარგა — ნაბდის კარავი (ჩუბ.); შეიძლება სადაურობის ტერმინ ხორგადან იყოს (შდრ. ხობელია და ხორგელია), (ხორგა სოფელია ხობის რ-ნში), ან, ვფიქრობთ, ხარგელა — ხარგალა-ს ვარიანტიც იყოს. შდრ. ტოპონ. ხარაგაული//ხარაგოული, რომელიც ამოსავლად ხარაგა ანთროპონიმს გულისხმობს — ხარაგაული — ხარაგასეული მამული.

ხარგელია ოლღა ბიქტორის ასული, დ. 1924 წ. 414 ქართული დივიზიის, მე-18 არმიის ასეულის სანიტარული სამსახურის ინსტრუქტორი, სამამულო ომის ვეტერანი, ინვალიდი, დაჯილდოებულია ორდენებითა და მრავალი მედლით.

ხარგელიას საგვარეულო 331 სულს ითვლის (ზუგდიდი – 146, თბილისი – 38, მარტვილი – 27), (გვარსახ. საქ-ში).

ხარებავა (თბ. 27.03.67.4) მომდინარეობს ს.კ. სახელ ხარებასაგან (ჯავახ., საქ. ეკ... ძეგლები, 11); დღესასწაული ყოველად წმინდისა ქალწულის მუცლად ღებისა 25 მარტს; აქედანაა: **ხარებუ, ხარებუა.** ლეხარაბე – ახუთი (ჩხორ. რ.), ხარაბა (ხონ. რ.), ნახარებუ-აბედათი, ნახარებუ – დაბა მარტვილი (მარტვ. რ.), შუა ხარება (წალკ. რ.), შდრ. გვარები: ხარებაშვილი, ხარაბაძე.

ხარება – სასიხარულო, სასიამოვნო ამბის პირველად თქმა – მიხარება, 2. ფესვების გადგმა, ზრდა (დარგული მცენარეებისა) – გახარება, 3. ქრისტიანული დღესასწაული – 25 მარტს. აქედან გვარები: **ხარებავა, მახარია, გამახარია, გახარია...**

ხარებავა მათე – სოხუმის ოლქის სოფ. ქვითულის (უნდა იყოს კეიტოულის) ეკლესიის მღვდელი (ჟურნ. „მწყ.“, 1884, 8).

ხ. გერმანე ივანეს ძე (1910-1978), დ. ქ. ოზურგეთში, ტექნიკ. მეცნ. და დოქტორი (1971), უფროსი მეცნ. მუშაკი (1949), საქ. სსრ მეცნ. ტექნიკის დამსახ. მოღვაწე (1978), საქ. სსრ სახ-ფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1982), (ჯაფარიძე ს., 152).

ხ. დომენტი ერასტოს ძე, დაბ. მარტვილის რ-ნის სოფ. კიწიაში. აფხ. ასსრ დამსახურებული მასწავლებელი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი.

ხარებავას გვარი 2727 სულს ითვლის (ზუგდიდი – 731, თბილისი – 481, სენაკი – 396), (გვარ-სახ. საქ-ში, 236). შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 262-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ხარშილავა, ხარჩილავა 1.. ხარჩალი მგრ. წყლის ჩანჩქერის ხმა. ხარჩალი (თბ. 27.03.67) 2. მომდინარეობს ხარჩილა შერქმეული სახელისაგან, შდრ. არჩილ(ა) საკუთარი სახელი. ლეხარჩილე, ხარჩილაში ნოხორი (ნასახლარი) – ნოქალაქევი (სენაკის რ-ნი), ლეწურწუმე (ჩხორ. რ-ნი).

სოფ. წალენჯიხაში არის ალერტი (ალერტი სოფელი და ეკლესია მარტვილის რ-ნში) და მას უწოდებენ „ალერტ-ხარჩილს“. იგი წარმოადგენს ნანგრევს და მოთავსებულია ერთ მაღალ გორაკზე. (მაკალათია, 361).

ხარჩილავა ავთანდილ იორდანეს ძე, დ. 1955 ქ. წალენჯიხაში. საქ. სსრ სახ-ფო პრემიის ლაურეატი მეცნ. და ტექნ. დარგში (1983), (ჯაფარიძე ს., 163).

ხარჩილავას გვარი მრავალრიცხოვანია. ის შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 262-ე ადგილზეა (გაზ. „საქართ.“, 6-8 მარტი, 1997). საგვარეულო მოსახლეობს: ზუგდიდი – 718, წალენჯიხა – 707, თბილისი – 237 (გვარსახ. საქ-ში).

ხარძენია ხარძენი მგრ. ხარის ძირა (ბოტ.); ეტიმოლოგია საკვლევია.

ხასაია (სოფ. ცხ. 3.04.68.1), მომდინარეობს ხასა შერქმეული სახელისაგან. ხასა – საყვარელი (დათიკ.); ლეხასუე – ნაფიჩხოვო (ჩხორ. რ.), აჩიგვარა – ჭუბურხინჯი (გალ. რ.), აქედანაა **ხასია**.

ხასაიები სოფ. მუჟავიდან (წალენჯ. რ.) განთქმული მეკოგეები იყვნენ (გაზ. „კომ. დრ.“, 27.VIII.83).

ხასაია ვარდო აკაკის ასული გმირი დედა (1969), ჯვარი, წალენჯიხის რ-ნი.

ხასაიას საგვარეულო მრავალრიცხოვანია და 1526 სულს ითვლის (ზუგდიდი – 612, წალენჯიხა – 530, თბილისი – 150), (გვარ-სახ. საქ-ში). გვარი შესულია საქართველოში 25 000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული გვარის სიაში (გვარსახ. საქ.)

ხასია ხასი (არაბ.) – კარისკაცი, დაახლოებული მეფესთან, დიდებული; წარჩინებული (ძვ. საქ., 164, ვეფხ. ტყაოს. ლექსიკ.).

გვარი მრავალრიცხოვანია 1103 სულს ითვლის (ზუგდიდი 662, თბილისი – 108, სენაკი - 59), (გვარ-სახ. საქ-ში, 237).

ხაფავა მომდინარეობს ხაფა შერქმეული სახელისაგან. შდრ. ხაფო – ძლიერი თავდასხმა ომის დროს კიჟინის ხმითა... (ჩუბ.); ლეხაფე – გურძემი (მარტვ. რ.).

ხაფას რამდენიმე ოჯახი 1888 წ. საცხოვრებლად გადავიდა სოჭში (გაზ. „ივერია“, 1888, ივლისი, გვ. 8).

ხაფავას საგვარეულო 390 სულს ითვლის (ზუგდიდი – 111, ქუთაისი – 79, თბილისი – 72), (გვარსახ. საქ-ში).

ხაფთიანი სვ. მოსახლ. დღ. ზემო სვანეთის სოფ. ბეჩოში (XII ს-ის II ნახ.). სვ. ზეგლ. 153. საკვლევია მთიდან ბარში მიგრაციაზე მიგვითითებს თუ პირიქით, ეფიქრობთ ერთიც და მეორეც.

ხაცავა ა-ხაცია, (აფხ.) თავში ჩაჰკრა. (ჯანაშ., ლექსიკ, 411).

ნაწარმოებია ხაცა მეტსახელისაგან. შდრ. ხაცავ-ს, თვალს ჭრის... სინათლე.

ხაცავას საგვარეულო 42 სულს ითვლის (ზუგდიდი – 27, თბილისი – 7, აბაშა – 2), (გვარ-სახ. საქ-ში, 237).

ხახარია ხარხარი (ქეგლ). იგივე, რაც ძვ. ქართ. ხასარე, რომელიც საერთო ძირია მახარესი. შდრ. გვარი მახარაძე. ხახარია. კუტუს, ხაზარიას, მამისახარს, კუკურიას, მიხელიას მართებთ საცილო ბეგარა...

ხახვა ხახუა (მგრ.) – გაფატერა (გ. ელიავა, ლექსიკ.); ხახავას საგვარეულო 35 სულს ითვლის (ბათუში – 25, ზუგდიდი – 1, ხელვაჩაური – 9), (გვარსახ. საქ.).

ხახუა მომდინარეობს ხახვ(ა) მეტსახელისაგან. აქედანვეა ნაწარმოები დღემდე შემორჩენილ გვარსახელი **ხახვა**.

ხახუბაია (კომ. 0.03.67.2) მომდინარეობს (საკ. სახ. ხახუბ, ხახუბასაგან. სახახუბიო – ბედია (გალ. რ.).

ხახუბაიას საგვარეულო 158 სულს ითვლის (სენაკი – 47, თბილისი – 41, ზუგდიდი – 18), (გვარსახ. საქ-ში).

ხახუტავა მომდინარეობს ხახუტა საკ. სახელისაგან, რომელშიც -უტა კნინობითობის სუფიქსია. შდრ. ქართ გვარი ხახვიაშვილი, ხახუტაიშვილი, ხახვა.

ხაჯალია ხაჯი: 1. მცენარე, ცერცვი; 2. ხარჯი (არაბ.) – პილიგრიმი – წმინდათა ადგილთა თაყვანისმცემელი მაჰმადიანი (ჩუბ.); ხაჯალური მგრ. – ბორკილებია ერთგვარი (კ. გამსახ., 738).

მოსაქმეობასთან დაკავშირებული გვარია ხაჯალ-ა ხაჯალურის (ურჩთა დასასჯელის) მკეთებელი პირისაგან. გვარსაზელი მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან (ხაჯალ). ხაჯალია ტოპონიმია ლანჩხუთის რ-ნში.


ხაჯალიას საგვარეულო 106 სულს ითვლის (თბილისი – 32, ზუგდიდი – 28, საჩხერე – 15) (გვარსახ. საქ-ში).

ხაჯალია შოთა ივანეს ძე (1917, ქუთაისი), ქართველი მსახიობი, საქ. სსრ სახ. არტისტი (!965).

ხეთელია ელ სადაურობაზე მიგვითითებს. „ვინ იყვნენ ხეთელნი? ა. გ. საისმა ოქსფორდის სამეფო კოლეჯის პროფესორმა 1888 წ. გამოაქვეყნა წიგნი „ხეთელნი, ანუ დავიწყებულის სამეფოს ისტორია" (არის რუს. თარგმანი). 1. ხეთელნი კაბადოკიის (ჭანეთის) ძირითადი მკვიდრნი ივნენ: ხეთელიაში -ელ წარმომაელობა – სადაურობის სუფიქსია. ხეთელი ნიშნავს სოფელ ხეთიდან მოსულს, გადაბარგებულს.

შდრ. ოდიში — ოდიშარია — ოდიშელი, თავისთავად ხეთების უძველესი ეთნონიმის და დღევანდელი სამეგრელოს ხეთა-ს იდენტურობა მრავლისმთქმელი ფაქტია და საგანგებო და ღრმა კვლევა-ძიებას საჭიროებს, რაც მომავლის საქმედ გვესახება.

1897 წ. მოსახელობის პირველი აღწერით, ხეთა იყო ყველაზე


ქუთაისი
ბაშისუბანი
ურეხი
ჩაისუბანი
ახალშენი
ხელვაჩაური
ოზურგეთი
ახალციხე
ბორჯომი
ახალქალაქი
ახალციხე
ბათუმი
ქობულეთი
ფოთი
ზუგდიდი
სენაკი
ქუთაისი
ოზურგეთი
ახალციხე
ბორჯომი
ახალქალაქი

ხელაია ბესარიონ ზოსიმეს ძე (1861-1927), კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ზუგდიდის მაზრის სოფ. მარტვილში, მღვდლის ოჯახში დაბადებული. დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია (1885). მღვდელი სოჭში (1887), ტაძრის კანდელაკი, (1892), სოხუმის, ახალი ათონისა და ლიხნის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველი და მასწავლებელი, ჭყონდიდის ეპარქიის ეპისკოპოსი, (1917), ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი (1919), სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (1922, პატიმრობა (1924) (ჟვანია ზ., 23).

ხელაიას საგვარეულო 935 სულს ითვლის (მარტვილი – 344, თბილისი – 180, ხობი – 74), (გვარსახ. საქ-ში).

ხელია (იხ. ხელაია); ხელიას საგვარეულო 89 სულს ითვლის (აბაშა – 43, რუსთავი – 15, სენაკი – 7), (გვარსახ. საქ-ში).

ხენგავა ხენგა (მგრ.) ხანგა – გიჟი, გადარეული. აქედანაა **ხინგუა**, ნახინგუ სოფ. გალის რ-ნში.

ხერაკია მომდინარეობს ხერაკ მეტსახელისაგან. ხერკე – ხირკე (მეგრ.), ორშიმო (იმერ.) გამოშიგნული მწარე გოგრა (სახელურ-გაყრილი), წყლის, ღვინის... ამოსაღებად. ხერია სოფ. ქვემოსვანეთის რ-ნის ლაშხეთის თემში; ხერაკია ცაიშის მიმდგამსა კაცსა მართებს ბეგარა...

ხეჩუა ხეჩა-ხეჩა (ქეგლ). უფრო სარწმუნოა ხეჩუა-ს მომდინარეობა ხეჩუა ანთროპონიმისაგან. შდრ. ქართული (//გაქართულებული) გვარი ხეჩუაშვილი, სომხ. ხეჩოიანი, ანთროპონიმი ხეჩო.

ხეცია ხეცა – (მგრ.) – ლუკმა, დილის პატარა საუზმე. ხეცერა სოფ. ზუგდიდის რ-ნში, ა-ხეცარა სოფ. ოჩამჩირის რ-ნში.

ხეცია გვარი მოხსენიებულია სოფ. აფიცხაში (გუდაუთ. რ-ნი), შავი ზღვის სანაპიროზე. ტოპ. ქართულია) 1844 წ. მცხოვრები 300-მდე ქართველთაგანი (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ხეცურია (იხ. ხეცია); საგვარეულო 50 სულს ითვლის (ზუგდიდი – 23, ვანი – 14, ქუთაისი – 4), (გვარსახ. საქ.).

ხვამაია ხვამა (მეგრ.) – ლოცვა. მომდინარეობს ხვამა შერქმეული სახელისაგან.

ხვამაია ხვამლი (ხომლი) – მთა კარსტული მღვიმეებით, ლეჩხუმში – „მოიგო ამან სახელი ესე სიმაღლით ხომლის ვარსკვლავის სწორებით (ვახუშტი), (გოგატ. 49).

ხვანძია ეტიმოლოგია საკვლევია. ხელუქ მოხსენიებულია, როგორც მდაბიო, წარმართი და გაქრისტიანებული 1834 წ. იუნისში დღ. გუდაუთის

რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8: 23).

ხვარაა (იხ. ხორავა) წარმომდგარია მეტსახელისაგან. შდრ. ხვარა (მეგრ.) – დაბადებით უწვერულვაშო.

ხვარეშია მომდინარეა ხვარეშა საკუთარი სახელისაგან. ხვარაშან – ხოროსანი (მც,) (ქეგლ), ხვარაში მდ. ოჩამჩირის რ-ნში.

ხვარეშიას საგვარეულო 135 სულს ითვლის (თერჯოლა – 82, ტყიბული – 12, თბილისი – 60, (გვარსახ. საქ-ში).

ხვარძიკია ხვარცა (მგრ) – მუნი. ხვანძა – ერთგვარი ცერცველაა (ქეგლ); ხვარძიკები აფხაზეთში ატარებენ გადაკეთებულ გვარს ხვარცკია. ზოგი მათგანი აზნაური იყო. თუ ეს ასეა, მაშინ ხვარძიკიაში -იკ კნინობითობის სუფიქსად უნდა დავსახოთ. ხეთა, ზუგდიდის რ-ნში.

ხვარცკაია ლილი ტყვეებით მოვაჭრე იყო. ეს ასახულია ზეპირსიტყვიერებაშიც „ანარკია გიოჭვალს თურქიშ ხვამალდ მიკობიჯუ, ხვარძიკია ეჭყვადილქ სქუა ეთექ გეგმომიჩუ“. „დასაწვავ ანაკლიაში თურქეთის ხომალდი მიყუდებულა, ამოსაწყვეტმა ხვარძიკიამ შვილი იქ გამიყიდა“. (ტულუში ა., 8. მთქმელი (1884 წ.) ზუგდიდის რ-ნის სოფ. უჩაშონაში.

ხვარძიკიას საგვარეულო ამჟამად 47 სულს ითვლის (ზუგდიდი – 39, ბორჯომი – 4, თბილისი – 3), (გვარსახ. საქ-ში).

ხვაჩია მომდინარეობს ხვანჩა მეტსახელისაგან. ეტიმოლოგია დამატებით საძიებელია. ხვაჩია ქომიშველა, მეყოთელია მართებთ საცაიშლო ბეგარა... აქედანაა **ხვიჩია.**

ხვითარია (თ.ბ. 20.09.67.4); მომდინარეობს შერქმეულისახელისაგან. შდრ. ხვითო ნატვრის შემსრულებელი ძვირფასი ქვა; 2. საკ. სახელი ხვითო, ხვითა; აბედათი (მარტვ. რ.), ბარღები (გალ. რ.), ხვითი სოფ. კასპის რ-ნში.

ხვითარიას საგვარეულო 102 სულს ითვლის: სენაკი – 41, თბილისი – 20, ფოთი – 12 (გვარსახ. საქ.).

ხვინგია (იხ. მოლაღური); მომდინარეობს ხვინგა შერქმეული სახელისაგან. ხანგე – კარბონატული ნიადაგი. აქედანაა **ხინგავა** და ქართ. გვარი: ხვინგიაძე. ხვინგია უწყინარას, მუხურს მცხოვრებს, ემართა სუბეის სასახლის ბეგარა... (1621). ნახინგუ – სოფ. გალის რ-ნში, ხინგა მდ. გულრიფშის რ-ნში.

ხვინგია დავით – ზუგდიდის მაზრის სოფ. ახალბედიის ეკლესიის მღვდელი (მწყ. 1884, № 8).

ხ. მიხეილ ვლადიმერის ძე (1924, ბათუმი) – ქართველი მეცნიერი მანქანათმშენებლობისა და მანქანათმცოდნეობის დარგში, საქ. სსრ მეცნ. აკად. წევრ-კორ (1979), ტექნ. მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი (1972), საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1979).

ხვინგიას საგვარეულო 493 სულს ითვლის (ზუგდიდი – 103, თბილისი – 100, მარტვილი – 68), (გვარსახ. საქ-ში).

ხვიტია ხვიტი – თავხვეულა კომბოსტოს შუა, მკვრივი ნაწილი (ღერო) – მურკი, ხიკვი. გვარსახელი მომდინარეობს მეტსახელისაგან.

ხვიტიები ეპატრონებოდნენ რუხის ციხეს (ზუგდ. რ-ნი). მათ მამულში იყო აშენებული. (მაკალათია, 235).

ხვიტია ქვათათი კუჭუს ძე სოფ. ზუგდიდიდან, ამჟ. ზუგდიდის რ-ნი, აზნაური, რომელიც ქურდობით ხელს უშლიდა ხელისუფლების ორგანოებს („წესრიგისა დამყარებაში“), ათი წლით ციმბირში გადასახლებამისჯილი. (საისტ. მ., II, 149).

ხ. მათე კუჭუს ძე სოფ. ზუგდიდიდან, დღ. ზუგდიდის რ-ნი, აზნაური, სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების პერიოდში „ხელს უშლიდა“ ხელისუფლების ორგანოებს („წესრიგის დამყარებაში“), ათი წლით ციმბირში გადასახლება მისჯილი. (საისტ. მ., II, 149).

ხ. ფოკია ზოჩოს ძე, სოფ. ზუგდიდიდან, აზნაური, სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების პერიოდში „ხელს უშლიდა“ ხელისუფლების ორგანოებს წესრიგის დამყარებაში, ათი წლით ციმბირში გადასახლება მისჯილი. (საისტ. მ., II, 149).

ხ. მარინე მიხეილის ასული (1947, ზუგდიდი), ქართველი პიანისტი, საქ. სსრ დამსახ. არტისტი (1988), პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი.

ხ. მიხეილ თომას ძე (დ. 1924, ზუგდიდი), ქართველი ფერმწერი, პეიზაჟისტი, საქ. სსრ დამსახ. მხატვარი (1961).

ხვიტიას საგვარეულო 399 სულს ითვლის (ზუგდიდი – 259, თბილისი – 71, წალენჯიხა – 13), (გვარსახ. საქ-ში).

ხვიცაჯა ხვიჩა (მგრ.) – თვალღია, თვალებბრწყინვალე (კაცი). საგვარეულო 321 სულს ითვლის (წალენჯიხა – 194, ზუგდიდი – 79, ჩხოროწყუ – 4), (გვარსახ. საქ.)*

ხვიჩარია (იხ. ხვიჩავა).

„ხვიჩარ-ა თურეფი ჯიქიების თურის ერთ-ერთი გამნარყია, ერთ-ერთი დინოა. ხვიჩარია ჯიქია იყო, მისი მოდგმა მისი ტოტი, მისი დინო, გვარიში თური.. ხვიჩარია თურები ან ხვიჩარია სჭუალეფი.

მთქმ. კვაჭაღია პიჭუნა ევგენის ძე, 60 წ., ხორში, სენაკის რ-ნი. (გეგეჭკ. მუზ., 80).

ხვიჩია მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან, ხვიჩა (თოლი ხვიჩა — თვალით მოლიმარე); სახვიჩო სოფ. წალენჯ. რ-ნში, ლეხვიჩიეთამაკონი, სახვიჩიო — დიდი ჭყონი (მარტვ. რ.), სახვიჩიო — ხორში (სენაკ. რ.). ხვიჩია მამუკელა მოხსენიებულია კაცია დადიანის წყალობის წიგნში (1768-1772).

ხვიჩია ერასტი ნიკოლოზის ძე, დ. 1981, ქუთაისის მაზრის სოფ. ჭაგანში, რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოღვ., 654).

ხ. ალექსანდრე ტაგუს ძე (1903, ზუგდიდი, 1988, თბილისი), ქართველი მეტალურგი, ტექნ. მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1960).

ხ. იპოლიტე ალექსანდრეს ძე (1910 სოფ. კონტუათი, ახლ. ხონის რ-ნი, 1985 თბილისი, ქართველი მსახიობი, საქ. სახ. არტისტი (1960).

ხვიჩიას საგვარეულო 1886 სულს ითვლის: თბილისი — 352, ზუგდიდი — 329, მარტვილი — 202 (გვარსახ. საქ.). მრავალრიცხოვანია, ის შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 473-ე ადგილზეა,

ხიბაია წარმომდგარია 1. მამაკაცის ხიბა საკ. სახელიდან: ხიბლი (მგრ.) — ხერგილი, გახერგილი, ყორე ქვისგან ნაშენი; 2. ხიბაკი — ხაბაკი — (მგრ.), — ავეჯი (გ. ელიავა). ხიბაიას საგვარეულო 59 სულს ითვლის: ბათუმი — 8, ლანჩხუთი — 1, ხელვაჩაური — 50 (გვარსახ. საქ.).

ხილანძია ხილუა (მგრ) — გახელვა (ელიავა გ., ლექსიკ.).

მე-19 ს. 30 წლებში, დღ, გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში, შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში სახლობდა 400-მდე კომლი, აქედან 130-მდე საგვარეულობიდან 35 იყო აფსუური, ხოლო 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის **ხილანძიაც** (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ხინგავა ხინგა, ხანგა (მგრ) — ჭკუიდან შეშლილი, გადარეული.* საგვარეულო 299 სულს ითვლის (ქუთაისი — 139; თბილისი — 36, ლაგოდეხი — 12), (გვარსახ. სახ.).

ხინტკირია მომდინარეობს ხინტკირ მეტსახელისაგან. შდრ. ხინტკი — საბმობი (სიმინდის ლობიოს...); აქედანაა: **ხინთქირია, ხიტირია.**

ხინტკირიას საგვარეული 32 სულს ითვლის (თბილისი – 12, აბაშა – 9, ფოთი – 8), (გვარსახ. საქ-ში).


ხისტარია მომდინარეობს შერქმეული მეტსახელისაგან; ხიშტაკი – ოქრომჭედლის იარაღი – ყალიბი (ქეგლ), ან ხისტარა მეტსახელისაგან. ხისტარია თოლიმაფუ ემართა ნაჭალეულის სასახლის ბეგარა... (1621).

ხიტუა მომდინარეობს ხიტუ – საკ. სახელისაგან. ნახიტუ, ხიტუების ნასახლარი – სერგიეთი (მარტვ. რ.).

ხობელია მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან. -ელ სუფიქსი მიგვითითებს სადაურობაზე – ხობი რ-ნის ცენტრია, მეორე ხობი სოფელი ხობის რ-სა, ჭოლა (ჩხორ. რ.). ხობელაშვილები მოსახლეობენ შუახევის რ-ნის სოფ. წყალსაყარში. ხობელიას საგვარეულო 176 სულს ითვლის (ჩხოროწყუ – 49, ზუგდიდი – 48, თბილისი – 20), (გვარ-სახ. საქ-ში).

ხობუა (იხ. ხობელია); ხობუას საგვარეულო 176 სულს ითვლის: (ჩხოროწყუ – 49, ზუგდიდი – 43, თბილისი – 2), (გვარ-სახ. საქ.).

ხონელია სადაურობაზე მიგვითითებს – ხონი რ-ნის ცენტრია დას. საქ-ში. „ხალხური ეტიმოლოგიით უკავშირებენ ხონუას-ს – ხვნას“ (მაისურ.). შდრ. ქართ. გვარი ხონელიძე, ძველი ქართველი მწერალი მოსე ხონელი. ხონი – სოფ. ჩოხატაურის რ-ნში, ხონისჭალა სოფ.



ხობის რაიონი

დუშეთის რ-ნში. IX-X ს-ში ხონში არსებობდა ეპარქია (როგავა, 81).

სოფ. ხონი მოხსენიებულია 1897 წ. პირველი აღწერის სიაში შემავალი ქუთაისის ოლქის შორაპნის მაზრაში, სადაც მოსახლეობდა 4,963 სული იმერელი. ამჟამად ხონელიას საგვარეულო 66 სულს ითვლის (ოზურგეთი – 23, ზუგდიდი – 7, ბათუმი – 6), (გვარსახ. საქ-ში).

ხორავა ანზარა (აფხ.), ხორუა (მგრ) – სახლობა. დ. გულია (ხელნაწ. ინსტ, აღწერილობის საქმე № 1934). ხორიათი – დაბა მარტკილი, ხორაში გაჭედილი, ხორაში ნოხორუ (ნასახლარი) – ონოლია (მარტვ. რ.), ლეხორეს (სახორაოს) ოხვამე (სალოცავი), სახვარა – ლესიჭინე (ჩხორ. რ.).

ხორეთი სოფ. ლანჩხუთის რ-ნში.

„ხორავა ერთი თურია. იგი 7 დინოდ, 7 განაყოფად, 7 ტოტად იყოფა: ოჯაკუთურები, ბაკიჩათურები, ბაბშელათურები, ოჩარდიათურები, გულუნთური, მორდელათურები, პაპათური. ხორავას თურის ყოველი ოჯახი ერთ-ერთ ამ დინოში შედიან. აქ პაპის, დინოს შემქმნელის სახელი და თურია შეერთებული. თური აქ პირობითია. წინათ დინოები ერთ უბანში, ერთ სოფელში ესახლენ, შემდეგ გაიფანტნენ სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ დინოს ერთობა ამით არ ამოშლილა. ჩვენ ახლაც ვამბობთ მასზე, ჩვენი დინოა, ჩვენი ჯიმაკოჩია და ვიწვევეთ ლხინსა და ჭირზე. სამოხიოში ისინი არ შედიან, სხვაგან სახლობენ, მაგრამ დინოს წევრია და ჩვენი მეჭირისუფლეა. თქვენ მკითხავთ მის ნასახლარს, მაგ. ჯაკუთურებს, ამ ტოპონიმით მინიშნულ ადგილს ხომ არ ვეტყვით ჩვენს დინოს, ეს ოდესღაც ოჯაკუთრების სამოსახლო იყო, ახლა აქ ამ დინოს რამდენიმე ოჯახი სახლობს, სხვა თურის სხვა დინოები ბევრია, ამიტომ ისტორიული მინიშნებით შეიძლება ვთქვათ, ახლა ის დინოს სამოსახლო არაა. (გეგეჭკ. მუზ., 80).

სხვარაა (ხორავა) დადიანების ბატონობის ხანაში სოფ. ოჩხომური ჯვარის მაზრის შემადგენლობაში შედიოდა და ადმინისტრაციულ ერთეულად ითვლებოდა. აქ არსებობდა საგვარეულო სამლოცველო „სახვარაო ეკლესია“. სოფელში ცხოვრობდა ძირითადად გვარი სხვარაა (ხორავა).

საკვლევია ამ გვარის მეორე ვარიანტიც – სხვარაა. ხორავები ამჟამად მოსახლეობენ თურქეთის სოფ. სარფში. შეიძლება ეს საგვარეულო დღ. ჩხოროწყუს ტერიტორიაზე სარფიდან გადმოსახლდნენ და მათ სხვა გვარი ეწოდათ. სხვა-რე მგრ. – სხვა არის. მერე ს ბგერა

დაიკარგა და დარჩა სხვარაა, შემდეგ კი ვ შეცვალა ლ ბგერამ და მივიღეთ ხორავა.

იმავე სოფელში მერე გადმოსახლდნენ: დგებიები, მალანიები, მორგოშიები, კაკასქუები, კოხიები, სიჭინავები, ჭითანავები, ხუბუტიები...

სოჭის ოლქში. (ტულუმჯიან., 53).

ხორავა ანდრო 1905წ. სოჭში რევ. მოძრაობის მონაწილე.

ხ. მაქსიმე 1905-1907 წწ. სოჭის გლეხთა აჯარყების მონაწილე, პასუხისგებაში გადაცემული. (ტულუმჯიან., 100).

ამჟამად ჩხოროწყუს რ-ნში ხორავების 141 ოჯახია 576 სულით (ახალაია ვ.). 1879 წ. I აღწერის სოფლების დასახელებაში იხსენიება სოფ. სხვავი, რომელიც შედიოდა ქუთაისის ოლქის რაჭის მაზრაში. აქ მოსახლეობდა იმერლები, გვარად სხვავა (სოფელს სახელიც, ვფიქრობთ, აქედან უნდა ჰქონდეს მიღებული). ჩვენ ვასკვნით: ხორავას გვარი სხვავაც არის რაჭის მაზრაში და იქ სხვა ქვეყნიდან მოსულთ სხვა-ვა უწოდეს (ვარიანტები შემოწმებას საჭიროებს).

და ისევ ხორავებზე. ა. სილაგაძისა და ა. თოთაძის წიგნში (გვარსახელები საქართველოში, თბ., 1997) მოხსენიებულია გვარი ხვარეშია. ში სუფიქსი მიგვითითებს, რომელი გვარია ლაზური წარმოშობისა. საგვარეულო 135 სულს ითვლი (თერჯოლა – 82, ტყიბული – 12, თბილისი – 6).

ჩვენ ვფიქრობთ, ხვარეშია, ხვარაა, სხვავა, ხვარავა ხორავას გვარის ვარიანტებია.

ხორავების გვარის წარმოშობის მესამე ვარიანტსაც ვთავაზობთ მკითხველს. შეიძლება ხორავას გვარი წარმოსდგება მოსაქმეობის ტერმინი ხუროსაგან. უ და ვ ხშირად ცვლიან ერთმანეთს და შეიძლება ხორავა ხურო-საგან იყოს მიღებული.

„მეგრული ოხორე, წერს შ. ძიძიგური, სადაც ო ქართული სა თავსართის ბადალია, ძირია ხორ, რაკი ხლ-შხ ხმოვანი უნდა ყოფილიყო, ადვილი მისახვედრია, რომ ეს ძველი ძირი დავინახოთ სიტყვაში – ხურო. ეს სიტყვაც ხომ ამგებს ნიშნავს, ხოლო აგებას ხუროობა ეწოდება. იგივე ძირია ქართულ სიტყვაში სახურავი (შ. ძიძიგური, 32).

ხორავა აკაკი ალექსის ძე, დ. 1895, სოფ. ოჩხომური, ახლანდ., ჩხოროწყუს რ-ნი, 1972 – თბილისი, ქართველი მსახიობი და პედაგოგი, ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სსრკ სახალხო არტისტი (1936), შ. რუსთაველის სახელობის თეატრ. ინსტ-ის ერთ-ერთი

დამაარსებელი (1945), მისი დირექტორი (1939-49) და პედაგოგი (1939-1947), პროფესორი, საქ. თეატრ. საზ-ბის ერთ-ერთი დამაარსებელი (1945), მისი თავმჯდომარე (1945-60), ზუთგზის სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1941, 1943, 1946-4951). 1951 წ. მისი სახელი ეწოდა თბილისის მსახიობის სახლს.

ზ. ტარასი ტარასის ძე, დ. 1913, გუდაუთა, 1975, სოხუმი, ქართველი მსახიობი, საქ. სსრ სახ. არტისტი.

ზ. ხორავა კაკო ვასილის ძე (მთქმელი), დ. 1932 წ. სარფში (თურქეთი). აქ ამჟამადაც მოსახლეობენ ამავე გვარის მატარებლები (კარტოზია გ., ლაზ. ტექსტ.).

ხორავას საგვარეულო 2536 სულს ითვლის (ჩხოროწყუ – 629, თბილისი – 424, ზუგდიდი – 356), (გვარ-სახ. საქ-ში). გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 304-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ხორგელია გვარადქცეული სოფლის სახელი (ხორგა დასახლებაა ხობ. რ-ში); ხორგუა (მგრ.) დახორგვა, დაზვინვა (ელიავა გ., ლექსიკ. (იხ. ხარგელია).

ხორშია გვარადქცეული სოფლის სახელი. ხორში - სოფ. სენაკის რ-ნში. ხორშია ხახულია, გლეხი. „მებატონე თავადს დადიანს 1850 წ. 30 აპრილს აუყრია და თავად გაბუნიასთვის მიუცია“ (ბოროზდინი, 55).

ხორჩაკია შესაძლოა მომდინარეობდეს „ხორშაკა“ შერქმეული სახელისაგან. ხოჩორა (მგრ.) – სულ მღიმარი, კბილებგადმოყრილი (გ. ელიავა, ლექსიკ.). ხუტკუბია ხიბლას მცხოვრები, ემართა ბიჭვინთის ტაძრის ბეგარა... (1621).

ხოფერია წარმომდგარია შერქმეული სახელისაგან. შდრ. ხოფი – ხოპი წისქვილის ღარის წყლის მისაშვები და ჩამკეტი ხის ნიჩაბი; სახოფერიო (სენაკ. რ.). ხოფი (სოფ. გუდაუთის რ-ნში). გამორიცხული არაა ხოფერიას ხობთან (სამეგრელოში) და ხოფასთან (ჭანეთში) დაკავშირება. თუ ეს ასეა, მაშინ ხოფერია ნიშნავს ხოფელს, როგორც ხობელი-ა, ხობელს.

ხოფერია აზნაურს 1850 წ. სამეგრელოს სამთავროში აუჯანყდნენ სოფ. საქაჩიბაიოს (იხ. ქაჩიბაია) გლეხები, რომლებმაც აზნაურს ბეგარა-სამსახურზე უარი გამოუცხადეს, მოხდა შეტაკება გლეხებსა და დადიანის დამსჯელ რაზმს შორის. გლეხებმა მოკლეს რაზმის უფროსი ვამეყ

დადიანი. მთავრობა აჯანყებულებს სასტიკად გაუსწორდა. (დუმბაძე მ., 396).*

ხოფერია ავთანდილ გრიგოლის ძე, დ. 1947, ქ. ფოთში, უფროსი ინჟინერ-ტექნოლოგი (1972)... თბილისის საავიაციო ქარხნის მთ. ინჟინრის მოადგილე (1979), საქ. სსრ სახ. პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1985). (ჯაფარიძე ს., 226).

საგვარეულო 1126 სულს ითვლის (თბილისი – 297, ლანჩხუთი – 270, სენაკი – 154), (გვარ-სახ., საქ.).

ხოფერიას საგვარეულო მრავალრიცხოვანია. ის შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარეულობიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 945-ე ადგილზეა.

ხოფერა სოფელია ქვემო სვანეთის რ-ნის ლენტეხის თემში. (ჩარკვ. ა., 238).

საკვლევია, ეს მიგვითითებს მთიდან ბარში მიგრაციაზე, თუ პირიქით ვფიქრობთ, ერთიც შესაძლებელია და მეორეც.

ხოშტარია (თბ. 10.03.64.4). 1. ხოშტარი – ხუშტარი (მგრ.) შალაშინი, ხუროს ხელსაწყო – ფიცრის საპრიალებელი; -არ სუფიქსი მეგრულ სადაურობას აწარმოებს. 2. ხოშტარია – ხოსტელია. ხოსტა სოფელია და კურორტი კრასნოდ. მხარის სოჭის რ-ში. ოქტომბრის რევოლუციამდე ხოსტისა და სოჭის მოსახლეობის უმრავლესობას მეგრელები შეადგენდნენ. ამრიგად, ხოშტარია, უფრო სარწმუნო ახსნით ნიშნავს ხოშტელს (ხოსტელს) ხოსტის//ხოშტის მცხოვრებს. შდრ. ხორშა. ხოშტი (სენაკ. რ.); მე-17 საუკუნის სუჯუნის ხატის წარწერაზე მოხსენიებულია ხოშტარია თევდორე. გვარი აბაშაში 1760 წ-მდე სახლობდა.** „დეკანოზ ხოშტარია ნიკოლოზ – გადასახლებული სუჯუნიდან ეკატერინე დედოფლის მიერ“ (მაკალ., 149).

„ქ: დ˙თ და დადიანის ძე ბატონი ჭყონდიდელ მ[იტროპო]ლიტი გრიგოლის ბრძანებით შევმკევი ხ[ატი ესე მე] ხოშტარია თევდორემა“...

გრიგოლ ჭყონდიდელი ცხოვრობდა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. ერთ მის სიგელს უზის თარიღად 1760 წ. (ძვ. საქ. ტფ. 1913-1914). (ხოშტარიები აბაშის მცხოვრებნი არიან დღესაც).

ხოშტარია ხოშტ-არ-ია (ხოსთა – ხოშტა) ძველი ისტორიული პუნქტია შიდა ჰენიოხეთის მხარისა (ზღვისპირა აფხაზეთის საზღვართან). იგი აღნიშნულია იტალიურ რუკებზე (XIV-XVII საუკუნისა). ამავე სახელწოდებას ატარებს აგრეთვე მდინარე, რომლის

შესართავთან მდებარეობს ეს პუნქტი. ხოშტი დასახელებულია ხობის ხატის ლევან დადიანის (1611-1657) სასელით შესრულებულ წარწერაში (იხ. ე. თაყაიშვილი, III, 1913-1914 წწ. გვ. 144). ამავე სახელწოდებასთან კავშირში იმყოფება აგრეთვე ისტორიული სახელწოდება სოფლისა იმერეთში — ხოშტიელი, ხოშტ-იბ-ი (იხ. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, 1, გვ. 58), რომლის ამოსავალი სახეობაა ხოშტა. (პ. ინგოროყვა, 162).

„ხოშტარია იყანე იყო იბეროდიაკონი დავით დადიანის მმართველობის პერიოდში, მთავარი დავით დადიანის კანცელარიის მდივანი, ივა ბერად წოდებული. მისით უკმაყოფილო იყო დიდკაცობა. სამეგრელოს გლეხთა აჯანყების შემდეგ ხელფეხშეკრული ივა-ბერი სამეგრელოდან სადღაც გადაკარგეს. მთავრის კანცელარიის პირად მდივნად იყო ნადიაკვნარი გიორგი ცხვიტარია“. (მეუნარგია ი., 32-33).

ხ. აკაკი მეთოს ძე (1873-1934), დაიბადა დღ. აბაშის რ-ნის სოფ. სუჯუნაში. მამა — მეთო, აზნაური, დადიანის მოურავი იყო... აკაკიმ თავისი ხარჯით გაიყვანა რკინიგზა ფოთი-აბაშა... აკაკი იყო ნიჭიერი მეწარმე... 1914 წ. ირანში გაიყვანა პირველი რკინიგზა... (ლიტ. საქ. 6.X.89).

ხ. ბესარიონ ვატას ძე იხსენიება დღ. სოჭის ოლქის პირველ მდიდარ კაცად (1899 წ.), ჟურ. „კვალი“, 1899, № 8, გვ. 121-122. (აქვსენტი გვათუას სტატიიდან).

ხ. დუტუ, დიმიტრი თომას ძე (მეგრელი ფსევდონიმი ჰქონდა — ავტ.) დ. 1867, სოფ. სუჯუნაში, ახლანდ. აბაშის რ-ნი, 1938, თბილისი. ქართველი მწერალი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას მეუღლე.

ხ. ბროსე ედიშერ, დ. 1925, ქ. თბილისში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რამდენიმე მონოგრაფისა და მეცნ. სტატიების ავტორი.

ხოშტარიების საგვარეულო 1006 სულს ითვლის (თბილისი 304, აბაშა — 297, ფოთი — 144) (გვარ-სახ. საქ-ში).

ხოჭავა (იხ. ხოჭოლავა). მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან ხოჭო-ლა, რომელშიც ოლა (ულა) კნინობითობის სუფიქსია შდრ. საკ. სახელი ხოჭო; აქედანაა **ხოჭავა**, სახოჭოლაო (ხობ. რ.).

ხოჭოლავა ხოჭო (აფხ.), ხოჭო (მგრ.), (დ. გულია, ხელნაწ. ინსტ., საქმე, § 1934). ხოჭოლავა დასახლებაა წალენჯიხის რ-ნის სოფ: ლეკაკულეში.

ხოჭოლავა ივანე ანდრიას ძე (1902, ფოთი, 1986, თბილისი), ქართველი მეცნიერი კვების მრეწველობის დარგში, ტექნ. მეცნ. დოქტორი (1955), პროფესორი (1957), საქ. სსრ მეცნ. და ტექნ. დამსახ. მოღვაწე (1961).

ხ. კლარა მედიცინის სამსახურის ექიმი სტალინგრადისთვის მებრძოლი, ომის ვეტერანი. (ქოჩიაშვილი მ., 117).

გვარი 412 სულს ითვლის (თბილისი – 106, ზუგდიდი – 92, ფოთი – 58), (გვარსახ. საქ.).

ხოხბა (იხ. ხოხობაია) საგვარეულო 23 სულს ითვლის (ბათუმი – 8, ხელვაჩაური – 15), (გვარ-სახ. საქ.).

ხოხობაია „მთელს კოლხეთში... უფრო მოწონება აქვს ხოხობს. ამ ფრინველმა თავისი სახელწოდება მიიღო ფაზისიდან, სადაც ის ცხოვრობს (ლამბერტი, 171); საგვარეულო 25 სულს ითვლის (მარტვილი – 6, ფოთი – 19), (გვარ-სახ. საქ.).

ხოჯავა ხოჯი (მგრ.) – ხარი, გამწევი ცოცხალი ძალა; ოხოჯია (ოჩამჩ. რ.), მდ. ოხოჯე (გალ რ.), ხოჯი (ცაგ. რ.); ქედანაა ხოჯალია.

ხოჯავას საგვარეულო 505 სულს ითვლის (ქუთაისი – 114, თბილისი – 110, წყალტუბო – 107), (გვარსახ. საქ-ში).

ხოჯალია (იხ. ხოჯავა) წარმომდგარია ხოჯალა შერქმეული სახელისაგან გაბრიელ, გლახა ან სავალა მცხოვრებნი სოფ. კულაშში, 1846 წ. 15 მარტს გაიყიდებიან ქუთაისის სუდში აზნაურ მიქელაძის ვალში თავიანთი უძრავი და მოძრავი ქონებით (საქ. ბატ. ყმ. მას. 31).

ხუბილავა (იხ. ხუბლარია) საგვარეულო 51 სულს ითვლის (ზუგდიდი – 36, ბორჯომი – 2, ქუთაისი – 2), (გვარსახ. საქ.).

ხუბილავა მეთაგილუნ, ზეგანში მცხოვრები ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინთას (1628). (მასალები, 93).

ხუბლავა (იხ. ხუბლარია); საგვარეულო 54 სულს ითვლის (ვანი – 36, ბაღდადი – 1, ზუგდიდი – 1).

ხუბლარია მომდინარეობს ხუბულარ შერქმეული სახელისაგან. -არ სადაურობის, წარმომავლობის სუფიქსი ჩანს. შდრ. გვარი ხუბულოვი, ხუბუკელაშვილი, რომლის ფუძე ხუბუას, ხუბ-ს უნდა უკავშირდებოდეს. ამრიგად, ხუბლარია – ხუბულარია; ხიბულა (ზუგდ. რ.), სოფ. მუხათში (ქ. თბილისთან ახლოს) ცხოვრობენ სომეხი ხუბლაროვები – მეგრელი ხუბლარიების შთამომავალი (ახუაშვილი, მუხათი, 18).

ხუბუა მომდინარეობს ხუბუ შერქმეული სახელისაგან.

ხუბუ მაკარ ნიკოლოზის ძე, დ. 1890, სოფ. უშაფათი, ახლანდ.

სენაკის რ-ნი, 1956, თბილისი. ქართველი ირანისტი. ქართვ.-სპარს. ურთიერთობის მკვლევარი.

ხუბუას საგვარეულო მრავალრიცხოვანია — 1166 სულს ითვლის (ზუგდიდი — 654, თბილისი — 173, სენაკი — 143), (გვარსახ. საქ-ში). გვარი ცნობილია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 879-ე ადგილზეა (გაზ. „საქართ.", 6-8 მარტი, 1997).

ხუბილავა (იხ. ხუბლარია). მოსახლეობენ წალენჯიხის რ-ნის სოფ. ჯგალში. საგვარეულო 937 სულს ითვლის (ზუგდიდი — 557, თბილისი — 101, ქუთაისი — 49), (გვარსახ. საქ.).

ხუბულავა ნინო. ბესარიონის ასული, დ. 1917, სოფ. ეკი, ახლანდ. ზუგდიდის რ-ნი, 1935, თბილისი, პირველი ქართველი მფრინავი ქალი. ხ. მიხეილ 1905-1907 წწ., სოჭის გლეხთა აჯანყების მონაწილე. პასუხისგებაშუ გადაცებული. (ტულუმჯიანი, 138).

ხუბულია მომდინარეობს ხუბულია შერქმეული სახელისაგან, რომელშიც ულ(ა) კნინობითობის სუფიქსია. შდრ. ხუბუკა, ხუბუკელა, გვარი ხუბუკელაშვილი. ხუბულია მამულია, ემართა ჯგალის ციხის ბეგარა... (1621).

ხუბულიას საგვარეულო 244 სულს ითვლის (წალენჯიხა — 114, ზუგდიდი — 53, თბილისი — 35), (გვარსახ. საქ-ში).

ხუბუნია იგივეა, რაც ხუბულია (იხ.) ნ/ლ მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე. სახუბუნიო-ახუთი (ჩხორ. რ.), თხუბუნი-მაჭარა (გულრ. რ.).

ხუბუტია ამ გვარსახელში -უტ(ა) კნინობითობის სუფიქსი გამოიყოფა, ძირი კი იგივეა, რაც აქვს **ხუბუას, ხუბულიას, ხუბუნიას** — ხუბ. ხუბუტიაში ნაწისქვილ (ხუბუტიას ნაწისქვილარი) (ჩხორ. რ.).

ხუბუტია ბიძინა დაბა წალენჯიხის მკვიდრი, დ. ჯვარში. რიაზანის სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი, პროფესორი მედიცინის დარგში, მრავალი შრომის ავტორი ქირურგიაში. („კომ. დრ.", 17. IX. 77).


ხუბუტიას საგვარეულო 569 სულს ითვლის (ზუგდიდი — 257, წალენჯიხა — 118, თბილისი — 102), (გვარსახ. საქ-ში).

ხუთკუბია მგრ. ცალკუჩით — ცალფეხით სირბილი ფეხებშეკვრით გადახტომა (შეკიბრია ასეთი). საგვარეულო 109 სულს ითვლის (ზუგდიდი — 46, თბილისი — 23, სენაკი — 17), (გვარსახ. საქ-ში).

ხუტკუბია — ხუტკუბია იორდანეს, ხუხუბიას, ურცხოლას, შურიძიდგიას, ბახუტას და იორდანეს ემართათ საცაიშლო გამოსალები... (1621).

ხუთკუბიას საგვარეულო 29 სულს ითვლის (თბილისი – 13, ზუგდიდი – 10, ბათუმი – 3), (გვარსახ. საქ-ში).

ხულორდავა 1. მომდინარეობს ხულორდა მეტსახელისაგან. 2. ა-ხულა (აფხ.), ხულა (მგრ.), დ. გულია (ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934), სათავსო და საკრალური ნაგებობა. ხულო რაიონის ცენტრია აჭარაში.



ხულოს რაიონი

ხულორდავას საგვარეულო 387 სულს ითვლის (წალენჯიხა – 78, მარტვილი – 75, თბილისი – 73), (გვარსახ. საქ-ში).

ხუმატია მე-19 ს-ის 30 წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში, შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში სახლობდა 400-მდე კომლი, მათ შორის 130-მდე იყო აფსუური, 85-მდე კი ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის **ხუმატია** (გაზ. „სა-ქ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ხუმშია ბალუხია და მისი ასული მოხსენიებულნი არიან, როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისანი და 1834 წ. აპრილში გაქრისტიანებულნი დღ. გუდაუთის რ-ნის სოფელ ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6, 10).

ხუნდია მოსაქმეობაზე მიგვითითებს — ხუნდის მკეთებელი ოსტატი. რკინის ან ხის ნაკეთობა, დამნაშავის (მონის) დასაჯენი — დასჯის მიზნით. შდრ. გვარი ხუნდაძე.

ხ. კალაგონი, ჩოხატაურის რ-ნი. სახალხო განათლების პირველი თაობის წარმომადგენელი. (1860-1928). დ. ოზურგეთის მაზრის სოფ. კალაგონში (ამჟამად ჩოხატაურის რ-ნში შედის). დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი (1884), ძველი სენაკის ქართული სკოლის მასწავლებელი (1884), ქუთაისის გიმნაზია (1920). (სახ. განათლ. მოღვ. 251).

ხუნტუა წარმომდგარია ხუნტუ მეტსახელისაგან. ხუნტული — ოღრო-ჩოღრო, ორმო (გზა). სახუნტუო უბანია ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ლეწურწუმეში.

ხუნტუას საგვარეულო 57 სულს ითვლის (ჩხოროწყუ 34, თბილისი — 12, ზუგდიდი — 9), (გვარსახ. საქ-ში).

ხუნძია ხუნძიები იყვნენ ტომები და ქართულ ფეოდალურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ (ნ. ბერძ., „საქ. ისტ.“ II). ხუნძია ჯენჯიქ, ბეჩინხან და გურა მოხსენიებულნი არიან, როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისანი და 1834 წ. აპრილში გაქრისტიანებულნი დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6; 61).

ხუნწარია ხუნწი: 1. სოფელია (სენაკ. რ.), ქვემო ხუნწი სოფ. მარტვ. რ-ნში. 2. ხუნწი — მოცხარი, დაბალი ტანის ბუჩქი, ისხამს წვრილ, მრგვალ, წუნიან ნაყოფს; იჭმევა. მოჰყავთ ბაღებში (ქეგლ). ამრიგად, ხუნწარია ნიშნავს ხუნწელს, ხუნწში მცხოვრებს. მოხსენიებულია 1897 წ. პირველი აღწერის სოფლების სიაში, როგორც შემავალი ქუთაისის ოლქის სენაკის მაზრაში და სადაც მოსახლეობდა 2140 სული მეგრელი. ამჟამად საგვარეულო 943 სულს ითვლის (სენაკი — 286, თბილისი — 182, ზუგდიდი — 109), (გვარ-სახ. საქ-ში).

ხუნწელია (იხ. ხუნწარია). ხუნწელიას საგვარეულო 201 სულს ითვლის (მარტვილი — 155, თბილისი — 16, ქუთაისი — 8), (გვარსახ. საქ-ში).

ხუნჯუა ხუჯი (მგრ.) მხარი; ხუნჯულარო (მარტვ. რ.). აქედანაა

ხუჯუა. მომდინარეობს ხუნჯუა შერქმეული სახელისაგან, ხუნჯულური – სოფ. სამტრედიის რ-ნის ტერიტორიაზე, მახუნჯია სოფ. გალის რ-ნის სოფ. მზიურის თემში.

ხუნჯუას საგვარეულო 211 სულს ითვლის (ზუგდიდი – 50, სენაკი – 41, თბილისი – 21), (გვარსახ. საქ-ში).

ხურცილავა ადგ. გამოთქმა ხურცილა. ხურც – ძვ. ქართული სახელი (ჭუმბ.). აქედანაა ხურცია, ხურციძე... ოსური წარმოშობისაა. ხურც-ი ოსურად ცხელს ნიშნავს. (წულაია, 107). ლეხურცელე – უშფათი, ხურცილიაში ჭალა (სენაკ. რ.) ნახურცილუ – გურძემი, აბედათი, გორდი (მარტვ. რ.).

გვარი მოხსენიებულია მე-19 ს-ის I ნახ-ში ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშის მცხოვრებ ქართველად, სადაც აფსუური გვარი თითზე ჩამოსათვლელი იყო (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997); სუფუჯი, ცოლი კეიკეია, ასულნი: პახვა, აშრახან მოხსენიებული არიან, როგორც მდაბიონი, წარმართულ სარწმუნოებისანი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშში (იქვე, გვ. 7, 23). ხურცილავა ქვაბსარი, ცოლი – ქორო მოხსენიებულია, როგორც მდაბიონი, წარმართნი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. მარტს დღ. ოჩამჩირის რ-ნის შინა სოფ-ში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 8;4).

ხურცილავა 90 წლის მოხუცს უამბნია იონა მეუნარგიასათვის სალხინოს სასახლის აშენების შესახებ: „სასახლეს აშენებდნენ თათრები და ბერძნები. ასი უღელი კამეჩი და ასი უღელი ხარი გვება მარხილებზე (ურმები მაშინ არ იყო) და სახლის საშენებელი მასალა ლეცკავედან დაგვქონდა“... (დაახლ. 1805 წ.). (მეუნარგია ი., 62).

ხურცილავა (სახელი არაა), მოხსენიებულია დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულის მცხოვრები და გაქრისტიანებულთა 1834 წ. სიაში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ხურცილავას საგვარეული მრავალრიცხოვანია, 4172 სულს ითვლის (მარტვილი – 869, თბილისი – 779, ზუგდიდი – 449), (გვარ-სახ. საქ-ში). გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 117-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.“, 6-8 მარტი, 1997).

ხურცია (იხ. ხურცილავა). ნიკო (მოსე) ალექსანდრეს ძე, დ. 1905, სოფ. მენჯი, დღ. სენაკის რ-ნი. 1949, თბილისი. ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი (ტენორი) და ლოტბარი, საქ. სსრ დამსახ არტისტი (1949).

ხ. მურთაზ კალისტრატეს ძე, დ. 1943, ბანძა, მარტვილის რ-ნი, ქართველი სპორტსმენი, ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს“ ცენტრალური მცველი და კაპიტანი (1971-75), სსრკ სპორტის დამსახ. ოსტატი (1968).

ხურცია პამფილო რევოლუციონერი, 1905 წ. 28 ნოემბერს სოჭში შექმნილი სახალხო მილიციის ჯგუფის წევრი (ტულუმჯიან, 83).

ხურციას საგვარეულო 973 სულს ითვლის (სენაკი — 371, თბილისი — 139, ზუგდიდი — 116), (გვარსახ. საქ-ში).

ხურხუნძია (იხ. ხურცია), გვარი მოხსენიებულია, როგორც მდაბიო, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. აპრილში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში.

ხუფაცარია უნდა ნიშნავდეს ხუფაცელს. ე. ი. -არ წარმომავლობა-სადაურობის სუფიქსია. ხუფაც კი ძველად ტოპონიმი უნდა ყოფილიყო.

ხუფაცარიას საგვარეულო 245 სულს ითვლის (ზუგდიდი — 222, თბილისი — 15, აბაშა — 2), (გვარსახ. საქ-ში).

ხუფენია მომდინარეობს ხუფენა მეტსახელისაგან. შდრ. ხუფ-ი თავსახური (ჭურჭლის) — სარქველი (ქეგლ); აქედან უნდა იყოს: ხუფუნია. მოსახლეობენ გალის რ-ნის სოფ. გუდავაში, ორულუ (ზუგდ. რ.).

ხუფენია შალვა ნიკიფორეს ძე (გალი — ოტობაია), სახალხო განათლ. წარჩინებული. წარმოშობით ხოფერისაგან, სამი ძმა ზუგდიდში ჩასულან დარჩელში, სიმინდი დაუთესავთ და კარგი მოსავალი მიულიათ. დარჩელი, დორჩელი — დაწვენილი (სიმინდი) და აქედან დარჩელი. ერთი ძმა დარჩა, ვანარჯიაში დასახლდა. ამჟამად აქ 25-30 ოჯახია.

ხუფენიას საგვარეულო მრავალრიცხოვანია — 1135 სულს ითვლის (ზუგდიდი — 819, თბილისი — 154, წალენჯიხა — 31), (გვარსახ. საქ-ში).

ხუჭუა თვალის დახუჭვა (საბა). მომდინარეობს ხუჭუა მეტსახელისაგან. ხუჭუა ივანიკა მოხსენიებულია 1854 წლის 23 ნოემბერს ტორღში გასაყიდად (საქ. ბ/ყმ. მას. გვ. 136).

ხუჭუა კუჭა კურუკოვის ძე სოფ. ჯგალიან (დღ. წალენჯიხის რ-ნი), ყმა-გლეხი თავადი აფაქიძისა, გადასაბლებული ციმბირში 6 წლით, სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების აქტიურად მხარის დაჭერისა და მემამულეთა ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევისათვის. (ისტ. მ., 147).

ხ. პავლე ვასილის ძე, დ. 1905, ბაქო, 1986, თბილისი. ქართველი მუსიკათმცოდნე, საქ. სსრ ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე (1959).

საგვარეულო 88 სულს ითვლის (ზუგდიდი – 29, თბილისი – 22, ქუთაისი – 7), (გვარსახ. საქ-ში).

ხუშუტიში ხუშუტი საკ. სახელია, ში ლაზური გვარია; ხუშუტიში რიზა იმერის ძე ფხიგელი (თურქეთი, ცხოვრობს გუდაუთაში (1972) (კარტოზია გ. ლაზ. ტ. თბ., 1932).

ხუხია საკ. სახელი ხუხია.

ხუხუა (სოფ. ცხ. 24.11.68.2); ხუხუ – სელის ხინკალი (ს. მაკალათია); ხუხუა ხუხულა ბავშვის მიერ კუბებით აშენებული სახლი. მომდინარეობს ხუხუ(ა) მეტსახელისაგან. ხუხულა ხულა... ქოხი ძაღლისა (ჩუბ.). ხუხუა გრძელი; ალაბა ჯოხი (ჯანაშია, 427). ხუხუა თოსკვამია – ემართა თილითის სასახლის ბეგარა... (1621). ამრიგად, ხუხუა გვარსახელის ახსნა – ეტიმოლოგია, როგორადაც არ უნდა დავსახოთ მისი ამოსავალი მნიშვნელობა, მომდინარეობს ხუხუ მეტსახელისაგან (შდრ.: **ხუხუნა, ხუხუნი, ხუხუნაშვილი**).

ლეხუხუე – ჭყონი, მარტვილის რ-ნი. ხუხუა თოსკვამია, ემართა თილითთის სასახლის ბეგარა... (1621).

ხუხუას საგვარეულო 388 სულს ითვლის (სენაკი – 187, ფოთი – 65, თბილისი – 63), (გვარსახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 560-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

ხუხუა მირიანე (მირო) დათას ძე (1900-1980), დ. მარტვილში, მგოსანი, მეზღაპრე, მომღერალი (გეგეჭკ. მუზ. მასალები, 62).

ხუხუია ერთბაშად გადაკვრით სმა... მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან. შდრ. **ხუხუნია**.


ხუხუნია (თბ. 23.06.68.4); ხუხუნ-ი ხმაბაძვით „გატყორცნის ხმა" (საბა) – ხრიალი, შხუილი; აქედანაა გვარი ხუხუნი. ნახუხუნუ – ეკი, ნახუხუნარი (სენაკ. რ.), ხუხუნიაში ენალეფი (ხუხუნიას გადანავარდნი), (მარტვ. რ.).

ხუხუნიას საგვარეულო 169 სულს ითვლის (სენაკი – 50, თბილისი – 31, ზუგდიდი – 17), (გვარსახ. საქ-ში).

ჯაბავა ჯაბა (არაბ.) — მხდალი, სულმოკლე (ძვ. საქ., 165)

ჯაბავას საგვარეულო 82 სულს ითვლის (ზუგდიდი — 661, რუსთავი — 5, ჭუთაისი — 5), (გვარსახ. საქ.).

ჯაბელია ჯალაბი (სპ.) — ოჯახობა, ოჯახის წევრები და მოსამსახურეები.



ჯავის რაიონი

ჯაბუა ჯაბი (მგრ.) — ფიქრი, მომდინარეობს ჯაბა (თურქ.) შერქმეული სახელისაგან. 1. ამ გვარზეა ხალხური ანდაზებია: „გომბარი ჯაბუეფიში ფაცხაცალო“, „გაბერე ჯაბუების ფაცხასებრ“ (ხალხ. სიბრძ. 31). 2. „ჯაბუას გირინიში ბედი ვაუღუდუა“, „ჯაბუას ვირის ბედი არა ჰქონდაო“ (იქვე, 187). (მგრ.) სიმღერაა: „ჯაბით ვირექ დღულაფირი“ — „ფიქრით ვარ დამდნარი“.

ჯებუა (ვფიქრობთ, ჯაბუა უნდა იყოს.) ღვატი, ცოლი — ჭარაჭა, ძე — შინარუყვა, ასული — წიშ მოხსენიებული არიან როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისანი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. ივნისში დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კინდღში. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7).

ჯაბუა ვასილი ბესარიონის ძე, სოფ. ნატანები (ოზურგეთის რ-ნი) სოციალისტური შრომის გმირი (1947).

ჯ. ვალენტინა სტეფანეს ასული (წალენჯ. რ.), სსრკ დამსახურებული ეკონომისტი.

საგვარეულო 1153 სულს ითვლის (ზუგდიდი — 730, ოზურგეთი — 127, თბილისი — 199), (გვარ-სახ. საქ.). გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 915-ე ადგილზეა (იქვე).

ჯაბურია (იხ. ჯაბუა); საგვარეულო 132 სულს ითვლის (ზუგდიდი — 40, ხობი — 30, ფოთი — 11), (გვარსახ. საქ.).

ჯაგუნავა ჯაგი — ეკალბარდი, ჯაგნარი, ჯაგურა (მგრ.) — უცხო, მოჩლუნგებული (ელიავა გ., ლექსიკ.).

ნაჯაგუნუ ტოპონიმია ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. მეორე ჭოლაში — ჯომიდავების ნასახლარზე. გვარი ამჟამად არის ამავე რ-ნის სოფ. პირველ ჭოლაშიც.

ნაჯაგუ — ნასოფლარია ქვედა ჩხოროწყეში (ჩხოროწყუს რ-ნი).

ჯაგუნავას საგვარეულო 123 სულს ითვლის (ჩხოროწყუ — 83, სენაკი — 16, რუსთავი — 5), (გვარსახ. საქ-ში).

ჯავახია (1781 წ.) ჯავახ-ი, გვარადქცეული ეთნონიმი, შემდგომში საკუთარ სახელად გვხვდება... ჯავახ ანჟაისძე რომელიც მოხსენიებულია იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპებში (ე. მეტრეველი, მასალ., 83, 123)... (ახუაშვ., 630). ჯავახიას საგვარეულო 423 სულს ითვლის: თბილისი — 116, სენაკი — 116, მარტვილი — 59 (გვარ-სახ. საქ-ში).

საჯავახო სოფ. სამტრედიის რ-ნში. სოფ. ნაჯავახო შედიოდა ქუთაისის ოლქის სენაკის მაზრაში, სადაც 1897 წ. პირველი აღწერით ცხოვრობდა 1547 სული ჯავახია.

ჯაველია მომდინარეობს ჯაველა შერქმეული სახელისაგან, რომელშიც -ელ სადაურობის სუფიქსი ჩანს: ჯავა — ჯაველი — ჯაველა — ჯაველია. შდრ. გვარსახელი ჯაველიძე. ჯაველია ლიპარტიანის მიერ ხუნწს შემოწირულ კაცს მართებს ხონის საყდრის ბეგარა... (1600). შდრ. ტოპონ. ჯავა შიდა ქართლში.

ჯაშნაშია ნაწარმოებია შერქმეული სახელისაგან. ჯაშაშია — ჯაშანასია, ჯაშნით შემოსილი (შეჭედილი). ჯაშნაშიაღან, ეფიქრობთ, შნ ბგერების ამოვარდნის შედეგად მიღებული გვარი ჯანაშია. ჯაშნაშია ნაგვაზოუს მცხოვრებს ემართა ბიჭვინთის ტაძრის ბეგარა... (1621).

ეკლესიაო". ცნობილია ისტორიული ფაქტი: 1572 წ. ლეჩხუმელმა თავადმა ჯაიანმა ნადირობისას ცხენი დაუკარა და ჩრამში გადაჩეხა სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი (1532-1572). ამის შემდეგ ჯაიანებს ლეჩხუმში აღარ ედგომებოდათ და გაიფანტნენ — გურიაში, აფხაზეთსა თუ დადიანის სამთავროს მივარდნილ ადგილებში. ხუთი ძმა ჯაიანი ახუთის მიდამოებში დასახლდა, ცოდვის გამოსასყიდად აქ აგეს ეკლესია, რომელსაც ზემოხსენებული სახელი უწოდეს (ჭუმბ. 426).

ჯაიანების ყმა-გლეხები იყვნენ: ჩიტაიები, ჯოჯუები, გოგიები, კაკულიები, კაჭარავები, საჯაიები, ხუბუნიები და სხვ. ხორვაში: აფშილავები, გიგიბერიები, აბრამიები, გურალიები, ჯაბელიები და სხვ. მათი აზნაურები იყვნენ: გერსამიები, ფიჩხაიები, ზოდელავები, ჩიჩიბაიები, ბოკუჩავები (ალერტელი), პაპასქირები (ახუთელი), ერთი კომლი საჯაია და სხვ. (სოსელია, ნარკვ., 292).

ჯ. ანზორ გიორგის ძე (დ. 1934), გენერალ-მაიორი (1986) სამამულო ომის მხედართმთავარ-ვეტერანი.

ჯ. ალექსანდრე, რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე, სოჭში 1905-1907 რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე (ტულუმჯიან., 102).

ჯაიანების საგვარეულო მრავალრიცხოვანია, ის შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 419-ე ადგილზეა. საგვარეულო 2029 სულს ითვლის (თბილისი — 202, სენაკი — 192, ბათუმი — 187), (გვარსახ. საქ-ში).

ჯაილავა ნაწარმოებია ჯაილა შერქმეული სახელისაგან, რომელშიც -ილა კნინობითობის სუფიქსი ჩანს. ჯა კი, როგორც ცნობილია, შესატყვისია ძველი ქართულ სიტყვისა, ჯაილია — „ძელია/ძელუა".

ჯაილავას საგვარეულო 20 სულს ითვლის (თერჯოლა — 8, თბილისი — 3, მცხეთა — 1), (გვარსახ. საქ-ში).

ჯაკობია (თბ. 3.01.65,4); ჯაკონია წარმართული სარიტუალო კერპი (ელიავა გ., ლექსიკ.). იაკობია, ჟაკობია, საკ. სახელი იაკობი — ჟაკობ; ჯოკობა, გუდავა, ბედია (გალ. რ.); აქედანაა აკობია, შდრ, ქართ. გვარსახელები: იაკობიძე, აკობაშვილი. ჯაკობია თოლიოქრო. გეგუტია, ემართათ ნაჟალეულის სასახლის ბეგარა... (1621). ჯაკობია ხუხუნია, ემართათ ხოირის სასახლის ბეგარა... (1621).

ჯაკობია გიორგი პაულეს ძე (1894, 1944, თბილისი) ქართველი ლიტერატურათმცოდნე, თავისი ნაშუშვრებით საფუძველი ჩაუყარა ძვ.

ჯაიანი ჯაინი (სანსკრიტ.) გავრც. სექტა ინდოეთში. ნაწარმოებია შერქმეული სახელისაგან (თბ. 13.1165). 1. ჯანიანი — ჯანმრთელი, ლონიერი (დათიკ.); 2.ჯაინი — ყურძნის ჯიშია (ჩუბ.); ჯაიანიში ტყა (ჯაიანის ტყე) — თამაკონი, ჯაიანიში ნაწისქვილ (ჯაიანის ნაწისქვილარი) — გურძემი, ჯაიანიში ნამარანუ — კიწია (მარტვ. რ.); ჯაიანები „ცხოვრობენ ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ახუთში. გადმოცემით, ძველად აქ ჩამოსულ შაქრო ჯაიანის ერთ-ერთ მემკვიდრეს ხუთი შვილი ჰყოლია, დასახლებულან სოფლის სხვადასხვა კუთხეში. აქედან ახუთი, ე. ი. ხუთი ჯაიანის სოფელი. გვარი გვხვდება XV ს-დან. ბ. ჯაიანი თავის ჩანაწერებში აღნიშნავს, რომ ჯაიანთა გვარი ძველ ფარჯანიანთა შტოს ეკუთვნოდა. ჯაიანთა სათავად.ო XV ს-ის მიწურულში ჩამოყალიბდა თავკაც ცოტნე ჯაიანის მოღვაწეობით (სოსელია, 1., 291-292). ჯაიანი ივ. თავადი, ცხოვრობს აჭარის სოფ. ლივანიში, ჭანეთისაკენ, ჭოროხისკენ მიმავალ ერთი ციხის ნანგრევში. ის აქაურ მაჰმადიან ბავშვებს ქართულ წერა-კითხვას ასწავლის...“ (მუსულმანი ქართველობა... 148). ჯაიანი ევდომონ მოხსენიებულია წალენჯიხის ეკლესიის XVIII ს. ფრესკის წარწერებში (ძვ. საქ. 3, 215).

ჯაიანების სამფლობელოს ეკუთვნოდა სოფლები: ახუთი, ალერტი, ნოღა, ლეწურწუმე და ხორგის მნიშვნელოვანი ნაწილი. რეზიდენცია ნოღაში იყო, აქვე სასახლე, კარის ეკლესია და ციხე-სიმაგრე. საგვარეულო საძვალე ჯაიანებს ალერტის ეკლესიაში ჰქონდათ.

ჩიქვანთა საგვარეულო დადიანების შემდეგ (1704 წ.) ოფიციალურად ჯაიანები თანდათან ქვეითდებიან... XIX ს. 20-30 წლებში დაიშალა. (სოსელია ო. ნარკვ. 297).

„ჯაიანი ჯან, ან ჯააბ იყო თათრის ბეგი. ესე მოინათლა და დაემოყვრა მამიკონიანთ გვართა ვანის მხრით მცხოვრებთა და მერმე მოვიდნენ დროსა ტატართაგან დაპყრობისა და დაესახლენ იმერეთს და მეფემ მიიღო მათი გვარნი თავადად ჯაიანი“ („ივერია“, 1883, № 11-12, 1884, 1-12).

„ახუ ვიღაც ჯაიანების თურის დიდკაცი ყოფილა, ამ ტყის ცენტრში მოსულა, აქ გაუჩენია და თავისი დიდი ოჯახი — თი, კარმიდამო შეუქმნია. ამიტომ ამ ადგილს ახუსთი — ახუთი შერქმევია“. (მთქმელი გერსამია გულა, ახუთი — ჩხოროწყუს რ-ნი, 75 წლის. (გეგეჭკ. მუზ., 50; იხ. ვეკუა).

ჯაიანი ძვ. სოფელია. ხალხ. ეტიმოლოგიით (მ. კვირტია, გაზ. ნაპერწკ., 8.V.71) სახელწოდება წარმოდგა გამოთქმიდან „ახუთი ჯაიანის

ქართ. მწერლობის ძეგლების პუბლიკაციასა და ქართ.-სპარს. ლიტერატურულ ურთიერთობათა შესწავლას.

ჯაკობიას საგვარეულო 231 სულს ითვლის (თბილისი — 105, სენაკი — 52, ფოთი — 33), (გვარსახ. საქ-ში).

ჯაკონია (თბ. 3.01.65); ჯაკონია — კერპი (ჩუბ.) ი. ყიფშიძესაც განმარტებული აქვს, როგორც კერპი... „მომდინარეობს ბერძნ. დიაკონი-საგან „დიაკონიძე", სადაც ბგერათა კომპლექსი ჯ-დ ქცეულა" (ყიფშიძე); ჯაკონური-ნაფიჩხუ (ჩხორ. რ.). ჯაკონია გვარსახელი შერქმეული სახელისაგან მომდინარეობს. შდრ. ქართ. დეკანოსიძე, დეკანოზიშვილი. ჯაკონია კაკა, ვაჟობაი, პაპიშია, მაჭაჭვა, თენა, ბაბადიში, სკვამილი, ქოძირა — მუხურს მცხოვრებთ, ემართათ სუბვის სასახლის ბეგარა... (1621).

ჯაკონიას საგვარეულო 307 სულს ითვლის (ზუგდიდი — 80, თბილისი — 42, ფოთი — 15), (გვარ-სახ. საქ-ში, 245).

ჯალავა მომდინარეობს ჯალა შერქმეული სახელისაგან. შდრ. ჯალაევერ-ი, ჯალამბერი (ქეგლ.). მგრ. ჯა — ხე. შდრ. ქართ. გვარი ჯალიაშვილი.

ჯალალონია ნაწარმოებია შერქმეული სახელისაგან, ჯან-ღონე-ჯანმრთელი; საჯალალონიო — აბუთი, ლეწურწუმე, ჯუმითი (ჩხორ. რ.), ჯალალონიაში ნაკარუ (ნაკარავი) (სენაკ. რ.); აბუთის ტერიტორიაზე ჯალალონიებს ჰქონდათ სამჭედლოები, „ლეწურწუმეში ოშაყარუ (თავშესაყარი ადგილი), მას ჯალალონიაში გას (ამაღლებულ ადგილს უწოდებენ). აქ იცოდნენ კათუა — შაყარუა, ანუ თავშეყრა, ასევე იცოდნენ ჭარკუნობა-ჭარკუნის თამაში" (ელიავა, ჩხორ. ტოპ. 41).

„სარაქონში (ჩხორ. რ-ნი) სამეგრელოს მთავრის წარმომადგენელს ამოუყვანია სამი ძმა, მაღლობზე ფაცხა გაუკეთებიათ დღ. ნაოხვამში (ნაეკლესიარი), ცეცებლი არ ჰქონიათ. შორს დაუნახავთ სინათლე (ცეცებლი) დღევანდელ ჯალრიდან. აქამდე გზა გაუკაფავთ და ნაკვერჩხალი წამოუღიათ. ამიტომ ამბობენ **„სარაქონელ ჯალალონიებს მებონიების ცეცხლი უნთიათო"**. გზის გაკაფვაში ჯალალინის (მგრ.) — ბურჩხის დაძლევა გაჭირვებიათ. გვარად დარჩენილა ჯალალინის მცენარის სახელი ჯალალონიებს. ამიტომ მათზე იტყვიან: **„ჯალაგვალი ოდიარეში მალაგვალი"**-ო, **„ჯალაგვარი მცენარის მღეჭველნი"**-ო. (ჯალალონია მ. 12). ხონელი, გურული ჯალალონიები სამეგრელოდან არიან წამოსულნი.

გადმოცემით, ერთ-ერთ ჯალალონიას ჰყავდა მარტო ქალიშვილი, რომელიც გათხოვდა **შულაიაზე**. დედ-მამის გარდაცვალების შემდეგ

ქალიშვილი თავის ვაჟიშვილთან ერთად დაუბრუნდა მამისეულ ოჯახს და გააგრძელა ცხოვრება შულაიას გვარზე. ამიტომ იტყვიან, „ჯალაღონიების შთამომავლობას აგრძელებენ შულაიებიო“ (იქვე).

ჯალაღონიებს და შულაიებს ერთი სალოცავი ჰქონდათ, ერთი სალოცავის ქვეშ იჩოქებოდნენ. მათ გვარში დაქორწინებაც არ შეიძლებოდა (ჯალაღონია მ., 30).

ჯალაღონია ნესტორ, რევოლუციონერი, 1905 წ. 28 ნოემბერს, სოჭში შექმნილი სახალხო მილიციის ჯგუფის წევრი. (ტულუმჯიანი, 83).

ჯ. ნოდარ დომენტის ძე, დ. 1934, სოფ. ხაბუმე, ჩხოროწყუს რ-ნი, ქართველი პოეტი... მისი ლექსები თარგმნილია ოსურ, რუსულ, უკრაინულ, სომხურ ენებზე.

ჯ. ილარიონ ივანეს ძე, დ. ჯგალის (წალენჯ. რ.) სოფ. მეურნეობის დამსახ. მუშაკი.

ჯ. მირიან, სამამულო ომის ვეტერანი ავტორი წიგნისა „სარაქონი“.

ჯალაღონიას საგვარეულო 4269 სულს ითვლის (ზუგდიდი 1065, ჩოხოროწყუ – 1039, თბილისი – 536), (გვარსახ, საქ-ში).

ჯამაშურია ნაწარმოებია ჯამაშურ(ა) შერქმეული სახელისაგან. ჯამა-შ ური, ჯამა – ერთგვარი ერთკუზიანი აქლემი; შური მეგრ. სული.

ჯამბურია ჯამბარა-ეკანი, ერქვანთ დასაკრავი (ჩუბ.); კიწია (მარტვ. რ.). გამორიცხული არაა, ჯამბულ სახელი იყოს ამოსავალი: ჯამბურია – ჯამბულია. შდრ. ქართული გვარი ჯამბურიძე, ჯამბურია „გვარი სამეგრელოდან ზემო სვანეთში გადასულა. მთხრობელის სიტყვით „ამით თავიდან აიცილეს მტერი: თავდაპირველი გვარი ჯამბურიანი ყოფილა. გვარი ხშირად გვხვდება ზემო სვანეთის XII ს-ის მეორე ნახევრის საბუთებში“ (თოფჩიშვილი, 13).

ჯამბურია გივი დარისპანის ძე (1924, სამტრედია) ქართველი ისტორიკოსი, ისტ. მეცნ. დოქტორი (1975), პროფესორი (1982).

ჯამბურიას საგვარეულო 376 სულს ითვლის (მარტვილი – 153, თბილისი – 52, სამტრედია – 42), (გვარსახ, საქ-ში).

ჯამბურიანი სვ. მოსახლ. დღ. ზემო სვანეთის რ-ნის სოფ. ცხმარში (XII ს-ის II ნახ.) სვ. ძეგლ. 142. საკვლევია მთიდან ბარში მიგრაციასთან გვაქვს საქმე თუ ვფიქრობთ, ერთიც და მეორეც.

ჯამლაია ჯა(მლ)აია – ჯა – ხე, აია – კოლხეთი=ხით (თუ ტყით) მდიდარი ქვეყანა.

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში

შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში სახლობდა 400-მდე კომლი, აქედან 130 გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, მათ შორის **ჯამლია** (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ჯამუტია მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან. შდრ. ჯამუკა — პატარა ჯამი... (ქეგლ.).

ჯანაია ჯანი , ძალი (ელიავა გ. ლექსიკ.). ჯანი (არაბ.) — ღონიერი, მრთელი; დღეს ნიშნავს სიმრთელეს, (ძვ. საქ., 166, „ვეფხისტყაოს“. ლექსიკონი).

ჯანაია მაჯი და ასული რებია მოხსენიებულნი არიან როგორც მდაბიო ხალხის წარმომადგენელნი, წარმართი სარწმუნოებისა და 1834 წ. აპრილში გაქრისტიანებული ღღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც, გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6; 8).

ჯანაშია ზანური აგებულების ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ჯანაშ: ჯანა+შ+საგვარეულო დაბოლოება — ია (მაისურ.); ჯანაშური — ჯანაშიების უბანი — ხაბუმე, ლეჯანაშე — თამაკონი, ნამკოლუ, ჯანაშიაში ნოხორუ (ნასახლარი) — სერგიეთი, ჯანაშიაში კართ-სერგიეთი, ლეჯანაშე-თამაკონი (მარტვ. რ.); „აქ სულ ჯანაშურის ჯიშის ვაზი იყო მაღლარზე“ (ელიავა, ჩხორ. ტოპ. 63). ჯანაშია-ჯანასია, ჯანას კუთვნილება. შდრ. ქართ. გვარები ჯანაშვილი, ჯანიაშვილი, ჯანბერიძე, ჯანიკაშვილი. ანთროპონიმები: **ჯანიკო, ჯანია.** ჯანა საკუთარ სახელად გვესახება.

1888 წ. მონაცემებით ჯანაშიას საგვარეულოს რამდენიმე ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა სოჭში. (გაზ. „ივერია“, 1888, ივლისი 146, გვ. 8).

ლევან დადიანმა, სამეგრელოს მთავარმა, 1819 წ. თავად როსტომ ჩიქოვანს აჩუქა ტამაკოკელი ყმა-გლეხები, გვარად ჯანაშიები და ფაცაციები (ჩხეტია, შ., მასალები ნ. I, გვ. 83).

ჯანაშიებმა და ფაცაციებმა, თამაკონელმა (ამჟამად მარტვ. რ.) გლეხებმა კრება მოიწვიეს და ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ გადასახადს არ გადაიხდიდნენ და მებატონეებს არ დაემორჩილებოდნენ... (ჩხეტია შ., მასალები, 88).

ჯანაშიები, რომლებიც ცნობილ იქნენ სამეგრელოს სოფ. თამაკონის გლეხთა 1863 წლის აჯანყების წამომწყებად და პასუხისგებაში გადაცემულნი:

1. ბაშინა ხუხუს ძე — 44 წ. აჯანყების მეთაური.
2. გულა ტოჩას ძე — 40 წ. მეთაური.
3. ბასაია კაკუჩას ძე — 45 წ.

4. სოფრომიკა კაკუჩას ძე — 36 წ.
5. ნიკოია გოჩას ძე — 40 წ.
6. თედორიკა — თედოს ძე — 40 წ.
7. ხახულია თედოს ძე -- 25 წ.
8. კაკუჩია ხუტას ძე — 49 წ.
9. იოსიკა ბითუიას ძე — 30 წ.
10. დათა მიხეილის ძე — 28 წ.
11. თედორიკა, იგივე ჯუკუ უჩარდიას ძე — 35 წ.
12. გოგია გიტოს ძე — 29 წ.
13. გოგია დედუს ძე — 35 წ. (ჩხეტია, შ., მასალები, 89-125).

ჯანაშია ნიკოლოზ სიმონის ძე, დ. 1872, სოფ. აძიუბჟა, (ახლანდ. ოჩამჩირის რ-ნი), აფხ. ასსრ, 1918, სოხუმი. დასაფლავებულია სოფ. აძიუბჟაში (ოჩამჩირისს რ-ნი). ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ფოლკლორისტი, სიმონ ჯანაშიას მამა.

ჯ. ნიკოლოზ (ლაშა) სიმონის ძე, დ. 1931, თბილისი, 1982, იქვე ქართველი ისტორიკოსი, ს. ჯანაშიას შვილი.

ჯ. სიმონ ნიკოლოზის ძე (1900, სოფ. მაკვანათი, ახლანდ. ოზურგეთის რ-ნი, 1947, თბილისი. ქართველი ისტორიკოსი, საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1941), სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1943), მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1946).

ჯანაშიას საგვარეულო 3559 სულს ითვლის (ზუგდიდი — 940, მარტვილი — 914, თბილისი — 532), (გვარსახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 160-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

ჯანთუა ჯან-თ უ-ა, ჯან -- საკ. სახელი, თუ — თურია, — ძოგვარეა. მე-19 ს. 30 წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი, აქედან 130-მდე გვარეულობიდან ქართულ-მეგრულილაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის **ჯანთუა** (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ჯანია (იხ. ჯანაია) შდრ. ჯანიაშვილი. ჯანიას საგვარეულო 25 სულს ითვლის: ზუგდიდი — 20, თბილისი — 1, ქუთაისი — 1 (გვარ-სახ. საქ.).

ჯანიკია მომდინარეობს ჯანიკ საკუთარი სახელისაგან, რომელშიც -იკ კნინობითობის სუფიქსია. ჯან (ინდ. სპ.) — სული. ბალმარანში (გულ. რ.) ცხოვრობს ორი ძმა ჯანიკია, როგორც თვითონ მიამბეს,

ვათი წინაპარნი სტავროპოლის მხრიდან ყოფილან, თვითონ კი ქართველობენ (მეგრელობენ). შდრ. ქართ. გვარი ჯანიკაშვილი.

ჯანღალია ნაწარმოებია შერქმეული სახელისაგან. ჯანჯალი — ნელი სირბილი (ქეგლ); აქედან უნდა იყოს: **ჯანყარია, ჯანჯარია, ჯანჯულია**; ჯანღა მთა მესტიის რ-ნში, სვანეთის კავკასიონზე.

ჯანყარია (იხ. ჯანღალია)

ჯანჯალია ჯანჯალა — ულაზათო, საქმის ნელი მკეთებელია. გვარი 108 სულს ითვლის (სამტრედია — 71, თბილისი — 63, ქუთაისი — 44), (გვარსახ. საქ-ში).

ჯანჯარია (იხ. ჯანღალია). საგვარეულო 109 სულს ითვლის (ზუგდიდი — 62, თბილისი — 18), (გვარ-სახ. საქ-ში).

ჯანჯულია (იხ. ჯანჯარია); საგვარეულო 256 სულს ითვლის (ზუგდიდი — 98, თბილისი — 55, წალენჯიხა — 22), (გვარსახ. საქ-ში).

ჯანჯღავა (თბ. 23.06.64.3) — ჯღანჯღილ-ი (მეგრ.) — დაბეჟილი, საჯანჯღაო — ძვ. სენაკი (სენაკ. რ.), აბედათი (მარტვ. რ.), ბაღმარანი (გულრ. რ.). ეს გვარსახელი, უფრო სარწმუნო ახსნით ჯანჯღა მეტსახელისაგან უნდა მომდინარეობდეს: ჯანჯღა=ჯანჯღანა.

1834-1835 წწ. აღრიცხვით დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში აფსუური გვარი თითზე ჩამოსათვლელი იყო, ხოლო ქართველებისა 156 სულს აღწევდა, მათ შორის **ჯანჯღავა** (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ჯანჯღავა ვლადიმერ ნიკოლოზის ძე, დ. 1907, სოფ. გუბი, ახლანდ. ხონის რ-ნი, 1982, თბილისი, ქართველი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი (1953), საბჭ. კავშირის გმირი.

ჯ. იაკობი, (ფსევდონიმი, „ჯანიმ") გერმანელთა ტყვე, ტექსელის აჯანყებულ (ჰოლანდია) ქართველთა პარტიზანული აჯანყების აქტიური მონაწილე. პარტკომის წევრი, აგიტატორი და უშიშარი მეომარი. (ქოჩიაშვილი გვ. 18, 58).

ჯანჯღავას საგვარეულო 3001 სულს ითვლის (თბილისი — 548, მარტვილი — 487, ზუგდიდი — 387), (გვარსახ. საქ-ში).

გვარი შესულია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის (3001 სული) მიხედვით 207-ე ადგილზეა (გაზ. „საქართვ.", 6-8 მარტი, 1997).

ჯარია ჯარი — გროვა, სიმრავლე (ძე. საქ. 166, „ვეფხისტყაოს". ლექსიკ.) ნაწარმოებია ჯარია მეტსახელისაგან. ჯარი-ა მხედრობა, მოლაშქრენი (ჩუბ.); ჯავრი. ჯარიეფში ნოხორი (ჯარიების ნასახლარი) (სენაკ. რ.).

ჯაფარია ჯაფარა — ჩხიკვი — ფრ. (ჩუბ.), მომდინარეობს ჯაფარა შერქმეული სახელისაგან. (ანჯაფარია), ჯაფარიძე, ჯაფა, შრომა; ლეჯაფარე — ნაფიჩხოვო (ჩხორ. რ.), ჯაფარიაში ნოხორუ (ნასახლარი) — სალხინო (მარტვ. რ.).

ჯაფარიძე სიმონ ვალერიანის ძე, დ. 1921, ქ. ჭიათურა, აფხაზეთის ასსრ დამსახურებული აგრონომი, სამამულო ომის ვეტერანი.

ჯაშია ლაზური გვარია; ჯა-ში-ა ჯა მგრ. — ხე, ში (მგრ) სი=ჯაში(ს). გვარი ჯაში მოხსენიებულია როგორც გურიიდან მიგრირებული ოკრიბაში (ქართვ. მემკვიდ., 199, 3, 196).

საგვარეულო 57 სულს ითვლის (ზუგდიდი — 30, მარტვილი — 12, თბილისი — 10), (გვარსახ. საქ.).

ჯახაია მომდინარეობს ჯახა მეტსახელისაგან. 1. ჯახინი — შეხეთქების ხმა ერთჯერ (ჩუბ.); 2. ჯა — ხე, ხაია — ღელე (გალ. რ.), ნაჯახაო (მარტვ. რ.).

ჯახაია ლეონიდ გრიგოლის ძე, დ. 1932, ქ. სოხუმში. ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1973).

ჯახაიას საგვარეულო 887 სულს ითვლის (წალენჯიხა — 278, ზუგდიდი — 270, თბილისი — 149), (გვარსახ. საქ-ში).

ჯახვა (იხ. ჯახია); საგვარეულო 27 სულს ითვლის (თბილისი — 3, ოზურგეთი — 24), (გვარსახ. საქ.).

ჯახია (იხ. ჯახაია) ჯახება, ხეთქება (ქეგლ.). ჯახიაში ნოხორუ (ნასახლარი) — გეჯეთი (სენაკ. რ.), ჯახაური, სოფ. ხულოს რ-ნში.

ჯახიას საგვარეულო 550 სულს ითვლის (ზუგდიდი — 191, თბილისი — 51, წალენჯიხა — 41), (გვარსახ. საქ-ში).

ჯახუა (იხ. ჯახაია); ლეჯახუე, ნაჯახუ-კიწია (მარტვ. რ.), ნაჯახუ (ჩხორ. რ.), აჯახუ (გუდ. რ.), ნაჯახუ-ნოქალაქევი (სენაკ. რ.).

ჯახუა კირილე კოჭოს ძე (1902, მარტვილის რ-ნის სოფ. ჯოლევი, 1969, თბილისი) გენერალ-მაიორი (1982). სამამულო ომის ვეტერანი.

ჯახუას საგვარეულო 58 სულს ითვლის (მარტვილი — 131, თბილისი — 102, ზუგდიდი — 48), (გვარსახ. საქ-ში).

ჯაჯავა 1. ჯაჯა — ძერა. 2. „ჯაჯა" მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ღმერთი იყო. (გ. როგავა, საქ. ეკლ. ისტორია, გვ. 13). მომდინარეობს ჯაჯა მეტსახელისაგან. ჯაჯ-ი ძვ. წამების იარაღი, რომელზედაც საწამებელ ადამიანს აკრავდნენ. აქედან უნდა იყოს: ჯაჯუა, ჯაჯაია. შდრ. გვარი ჯაჯანაშვილი.

ჯაჯავას საგვარეულო 52 სულს ითვლის (ფოთი — 14, ლისი — 7 (გვარსახ. საქ-ში).

ჯაჯაია (იხ. ჯაჯავა); საგვარეულო 81 სულს ითვლის (ქუთაისი — 14, წალენჯიხა — 13, თბილისი — 6), (გვარსახ. საქ-ში).

ჯგერენაია მომდინარეობს ჯგერენა შერქმეული სახელისაგან. უძველესი ღმერთი „ჯგერაგუნ-ა, ჯგერ — კარგი, გუნა — ღმერთი — კარგი ღმერთის შვილი; ჯგერიანი (ოჩამჩ. რ.), ჯგემარიონი-ნამკოლუ (მარტვ. რ.), ჯგემარიონი — მეორე ჭოლა (ჩხორ. რ.), ჯგემარიონი — მზიური (გალ. რ.), ჯგერენაიაში .ცაცხუ — ცაცხვი (სენაკ. რ.). „წარმართულ ღვთაებათა პანთეონში ყველაზე აღიარებული იყო ღვთაების — მითრას საკულტო კერა — „მისარიონიდა ჯგემარიონი“ (ელიავა, სენ. ტრად. 5).

გვარი 1205 სულს ითვლის (მარტვილი — 335, ზუგდიდი — 255, თბილისი — 154), (გვარსახ. საქ-ში). ის შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებულ ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 852-ე ადგილზეა.

ჯგვიბურია (იხ. ჯგუბურია) გვარი მომდინარეობს მეტსახელისაგან. თოლიოქრო, რიკოლა, გურიაში მართებთ ნაჟანეულის ბეგარა (XVI ს. II ნახ.).

ჯგუბურია ეტიმოლოგია საძიებელია. შესაძლოა, იგი ფართო სახიანს ნიშნავდეს. შდრ. მეგრ. ჯგვიბალი — ფართო სახიანი. (შდრ. მეგრ. ოჯგვიბინანს); ოქუმი (გალ. რ.), ზუგდიდი, ქ. სოხუმი, სუჯუნა (სენაკ. რ.).

ჯგუბურია გიორგი გუჯას ძე, დ. 1897, სოფ. ოქუმი, ახლანდ. გალის რ-ნი, 1950, იქვე. ოქუმის კოლმეურნეობის თავ-რე, სოციალისტური შრომის გმირი (1949).

ჯგუბურიას საგვარეულო 169 სულს ითვლის (ფოთი — 81, ზუგდიდი — 57, თბილისი — 42), (გვარსახ. საქ-ში).

ჯგუნჯგია ჯგუნჯგი (მეგრ.) — ჯოხი, პამიდვრის, ლობიოს... ასაკრავი; ჯგუნჯგი — გვარსახელი, როგორც ჩანს, მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან; ჭუბერხინჯი (გალ. რ.), ჯგუჯგია ჭუჭუტიას მართებს დარჩელის სასახლის ბეგარა...

ჯგუნჯგიას საგვარეულო 89 სულს ითვლის (ზუგდიდი — 74, თბილისი — 7, ვანი — 3), (გვარსახ. საქ-ში).

ჯგუშია 1. ჯგუ-ში-ა ლაზური გვარი ჩანს. „ჯგუ“ საკუთარი სახელი, აქედან ჯგუშიშვილი; 2. მეგრ. (უ)ჯგუში — უკეთესი, სადაც უ წინაკიდური დაკარგულია, უკეთესი(ს)შვილი.

ჯგუშია (ჟამთააღმწერელი სახელს არ წერს), „ახალგაზრდა კაცი, თავადმა დავით დადიანმა დაინახა, რომ ძლიერ ახლო და გულის-

მოდგინეთ (ასეა ტექსტში, აქტ.) ეარშიყებოდა ასაკიდელში მყოფს ერთ ყმაწვილ ქალს... მოიტანა წკისელი, გააწვინა არშიყი ყმაწვილი იატაკზე და გარიზვა... „თაყვანისწონე ახალგაზრდამ დაბმაჩით თავი მოიკლა“... (მეუნარგია ი. 68).

ჯგუშიას საგვარეულო 251 სულს ითვლის (ზუგდიდი – 213, თბილისი – 16, ქობულეთი – 4), (გვარსახ. საქ-ში).

ჯეკაიში გვარი ლაზურია; ჯეკა-იშ-ი, ჯეკა – საკ. სახ. ში – მისი (ძე). საგვარეულო 47 სულს ითვლის (ბათუმი – 2, ხელვაჩაური – 45), (გვარსახ. საქ.).

ჯეია ლ ბგერის დაკარგვა დამახასიათებელია მარტვილურ გამოთქმაში, უნდა იყოს ჯელია. ჯელია, ჯეილი, ახალგაზრდა ყმაწვილი. ჯეია ბაბიტია, სამინიას, ემართათ საცაიშლო ბეგარა.

ჯელია ნიკოლოზ დიმიტრის ძე უკრაინის ს. ფ. მალიკოვის სახ. პარტიზანული ენაერთის მებრძოლი (1943), (ვ. გურული, 53).

ჯელიას საგვარეულო 428 სულს ითვლის (მარტვილი – 122, თბილისი – 90, ადიგენი – 4), (გვარსახ. საქ-ში).

ჯერგენია ჯერგერე (მგრ) – ტლანქად აწოწილი (ელიავა გ. ლექსიკ).

ჯერგენია მე-19 ს. 30-იან წლებში, დღ. გუდაუთის რაიონის სოფ. ლიხნში – შერვაშიძეთა რეზიდენციის ცენტრში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130-მდე საგვარეულოდან 35 იყო აფსუური. 85-მდე კი ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა და მათ შორის ჯერგენია. (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ჯერგენია ქვარას ასული ენჯი მოხსენიებულია როგორც დაბალი წრისა, წარმართი სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. აპრილში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ. „საქართვ.“. სპეც. გამოშვ.- მარტი, 1997, გვ. 6; 89).

ჯეჯელია (იხ. ჯეჯელავა) მზიური, I გალი (გალის რ.).

ჯეჯელიას საგვარეულო 399 სულს ითვლის (ზუგდიდი – 121, თბილისი – 85, წალენჯიხა – 64), (გვარსახ., საქ-ში).

ჯეჯელავა (მგრ.) ჯიჯალე, ჯიჯაე – წითელი ჯიჯლაყა; ქართ. თათრული მხალი (ბოტ.)

ჯეჯელავა ივანე მარკოზის ძე (1883-1936) დ. ქ. ქუთაისში, რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში (რევ. მოღვ., 674).

ჯ. გაიოზ ივანეს ძე (1915, თბილისი) ქართველი სპორტსმენი, ფეხბურთელი. სსრკ სპორტის დამსახ. ოსტატი (1945), საქ. სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე (1973).

საგვარეულო 301 სულს ითვლის (თბილისი — 89, ზუგდიდი — 58, სენაკი — 26), (გვარსახ. საქ-ში).

ჯეჯელია (იხ. ჯეჯელავა); საგვარეულო 66 სულს ითვლის (ზუგდიდი — 20, თბილისი — 12, ფოთი — 8), (გვარსახ. საქ.).

ჯეჯია (იხ. ჯეჯელავა); საგვარეულო 96 სულს ითვლის (ზუგდიდი — 30, თბილისი — 22, წალენჯიხა — 14), (იქვე).

ჯვარელია ჯვარი ქრისტეს ჯვარცმის სიმბოლო. (რელ. ლექსიკ.) ა-ჯარ (აფხ.), ჯვარ (მგრ.), (დ. გულია, ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934). ელ სადაურობაზე მიგვითითებს: ჯვარი დაბაა (წალენჯ. რ-ნში). ჯვარი 1897 წ. პირველი აღწერით შედიოდა ქუთაისი ოლქის ზუგდიდის მაზრაში, სადაც 3289 სული მეგრელი სახლობდა. ამჟამად ჯვარელიას საგვარეულო 59 სულს ითვლის (აბაშა — 14, ფოთი — 8, სენაკი — 5), (გვარ-სახ. საქ.).

ჯვარიავა ჯვართა სპეც. ორთქლის ძრავის ნაწილი... (ქეგლ); შეიძლება საქართველოს მეფის კარზე ჯვარისმტვირთველის მსახურიდან მომდინარეობდეს. ჯვარზენი სოფ. წალენჯიხის რ-ნში.

ჯვარიავა 44 სულს ითვლის (სენაკი — 13, ლანჩხუთი — 10, თბილისი — 9), (გვარ-სახ. საქ. 248).

ჯვებენავა (თბ. 15.01.65.4) მომდინარეობს ჯვებენა საკუთარი სახელისაგან, რომელშიც -ენა(-ინა) კნინობითობის სუფიქსია. ჯვებე — იობი. (შდრ. ჯობავა).

ჯვებენავას გვარი 59 სულს ითვლის (მარტვილი — 31, თბილისი — 20, ზუგდიდი — 3), (გვარსახ. საქ-ში).

ჯიბილეია მომდინარეობს ჯიბილა/ჯიბილო საკუთარი სახელისაგან.

ჯიბუხაია (ობ. 10.06.72.4) მომდიარეობს ჯიბუხა (ჩიბუხა?) შერქმეული სახელისაგან. **ჯიბუხია** (თბ. 26.68.4).

ჯიგანია ჯიგანი (მგრ) — ვარგებული. საგვარეულო 244 სულს ითვლის (ზუგდიდი — 129, თბილისი — 42, აბაშა — 19), (იქვე).

ჯიმია მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან. ჯიმა (მეგრ) — ძმა. ჯიმია გუგური მუხურს მცხოვრები ემართა სუბვის სასახლის ბეგარა... (1621); ჯიმია აჩიგვარა (გალ. რ.), ჯიმარა სოფ. და მწვერვ. ყაზბეგის რ-ნში.

ჯიმუტია აჯიმუ (აფხ.), ჯიმუ (მგრ), დ. გულია, ხელნაწ. ინსტ. საქმე № 1934. შდრ. ჯიბუტი. ჯიმუტია 23 სულს ითვლის (ვანი — 11, თბილისი — 6, ქუთაისი — 6), (გვარსახ. საქ-ში).

ჯინორია (ლიტ. საქ. 12.01.68.4). ჯინა 1. ყურება; 2. სმენა (ელიავა გ., ლექსიკ.). მოძდინარეობს ჯინორ შერქმეული სახელისაგან. შდრ. ჯინიანი კაცი.

მე-19 ს 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში მოსახლეობდა 400-მდე კომლი, აქედან 130-მდე გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის ჯინორია — ჯონრია. (გაზ. „საქართვ.“, სპც. გამოშვ., მარტი, 1997).

ჯინორიას საგვარეულო 138 სულს ითვლის (თბილისი — 40, აბაშა — 39, სენაკი — 26), (გვარსახ. საქ-ში).

ჯინჯარია (იხ. ჯინჯია). გვარი 42 სულს ითვლის (ზუგდიდი — 42), (გვარსახ. საქ-ში).

ჯინჯია ჯინჯი (მგრ.) ძირი, ფესვი, საძირკველი; აქედანაა ჯინჯოლია. აფხაზეთში აფსუები არიან, ასევე ატარებენ გადაკეთებულ გვარს აჯინჯალ. ამავე გვარის ვარიანტია ჯინჯოლია; ჯინჯოურა მდ. ბაღდადის რ-ნში.

ჯინჯია ჯინჯი სოფუჯის ძე —ვათა, ამის ცოლი ფათი. თვალაფს, ძმა — ჩალირ, დანი: დედისგულ, გვაშანა; ურუსი მოხსენიებულია, როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისანი და გაქრისტიანებულნი 1834 წ. აპრილში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფლ ლიხნში (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6, 77, 114, 31).

ჯინისბაია ეტიმოლოგია საკვლევია. გვარი მოხსენიებულია დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. აფიცხუში, შავი ზღვის სანაპირო ზოლი (ტოპ. ქართულია), 1844 წ. მცხოვრები 300-მდე ქართველთაგანი (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ჯინჯოლავა (იხ. ჯინჯია). გვარი 451 სულს ითვლის (ზუგდიდი — 257, თბილისი — 57, ჩხოროწყუ — 47), (გვარ-სახ. საქ.).

ჯინჯოლია (იხ. ჯინჯია) ჯინჯოლიას გვარი მოსახლეობდა მე-19 ს-ის I ნახ. დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კინდღში. მოქვში, ფოქვეშში, სადაც მხოლოდ ქართველობა ცხოვრობდა და აფსუათა გვარის ჭაჭანება არ იყო (გაზ. „საქართველო“, სპეც, გამოშვ. მარტი, 1997). ჯინჯოლია შხანუკუა, ქალი — ხანა მოხსენიებულია, როგორც მდაბიონი, წარმართული და ქრისტიანად მონათლულნი 1838 წ. აპრილში დღ. ოჩამჩიირის რ-ნის ფოქვეშში (იქვე, 8; 5).

ჯინჯოლია ბათაყუა, ცოლი — ხანძე, ძენი: ტაგუ და გეგუა მოხსენიებულია, როგორც მდაბიონი, წარმართული სარწმუნოებისა და

გაქრისტიანებული ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კინდღში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 7; 16). გვარი 451 სულს ითვლის (ზუგდიდი – 257, თბილისი – 57, ჩხოროწყუ – 47), (გვარ-სახ. საქ.).

ჯინჯორია (იხ. ჯინჯოლია); გვარი 49 სულს ითვლის (ზუგდიდი – 44, ფოთი – 5), (გვარსახ, საქ-ში).

ჯინჯუა (იხ. ჯინჯია).

ჯინჯუა მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში მოსახლეობდა 400-მდე კომლი. აქედან 130 გვარეულობიდან 35 აფსუური, ხოლო 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის **ჯინჯუა** (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ჯინჯუა კაკაშია, სამაგულიოს, მცხოვრები, ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინთას (1628), (მასალები, 180).

ჯიტავა მომდინარეობს ჯიტა შერქმეული სახელისაგან. ეტიმოლოგია დამატებით საძიებელია. ჯიტაა ჯვარისა, ემართა ხოირის სასახლის ბეგარა... (1621).

ჯიტავა 66 სულს ითვლის (ზუგდიდი – 17, თბილისი – 16, დუშეთი – 8), (გვარ-სახ. საქ-ში, 249).

ჯიქია ჯიქი – ველური ცხოველი, ლეოპარდი, საქართველოში მცხოვრები, ჯიუტი, კერპი, შეუპოვარი (ძვ. საქ. 166, „ვეფხისტყაოს“. ლექსიკ.). ჯიქთუბანი სოფ. სამტრედიის რ-ნში. 1. ეთნ. ჯიქი; ჯიქა მცენ. (ბოტ.) საჯიქაო-ხორში, საჯიქიო-მენჯი, ჯიქიაში ნოხორი (ნასახლარი) – ნაქალაქევი, ჯიქიაში ნაკარუ (ნაკარავი), (სენაკ. რ.). ლეჯიქე-კირცხი, ლეჯიქე-ახუთი (ჩხორ. რ.), ნოჯიკეთი სოფ. დუშეთის რ-ნში. ჯიქია სკვამილეი, ემართა ხოირის სასახლის ბეგარა... (1621).

ჯიქიები (ანტიკური წყაროებით ზიგები) აფხაზურ-ადღეური მოდგმის მთიელი ტომი. ცხოვრობდნენ სარმატიაში (პლინიუსანის ზემოთში), (იხ. კოლხეთის ძვ. წ. ს.).

ჯიქია – მე-19 ს-ის 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი, აქედან 130 გვარეულობიდან 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის ჯიქია.

ჯიქია ჯიმითის ასული ფუნდუკ ნახსენებია, როგორც მდაბიო წრის წარმომადგენელი, წარმართული სარწმუნოებისა და გაქრისტიანებული 1834 წ. აპრილში, დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში (გაზ.. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997, გვ. 6; 39).

გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 44-ე ადგილზეა (გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997).

ჯიქია ვლადიმერ გაბრიელის ძე (1893-1937), დ. ქ. ზუგდიდში, მღვდლის ოჯახში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოღვ., 681).

ჯ. ავთანდილ იორდანეს ძე, დ. 1894, ზუგდიდის მაზრის სოფ. ჭაქვინჯში. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. (რევ. მოღვ. 681).

ჯ. პარმენ ივანეს ძე, დ. 1898, სოფ. ონოღია, (ახლანდ. მარტვილის რ-ნი), 1985, თბილისი, ქართველი ჰიდროტექნიკოსი. ტექნიკ. მეცნ. დოქტორი (1966), პროფესორი (1967).

ჯ. სერგი სიმონის ძე, დ. 1898, სოფელი ონოღია, ახლანდ. მარტვილის რ-ნი, ქართველი აღმოსავლეთმცოდნე, თურქოლოგი, თურქოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში, საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1969). საქ. სსრ მეცნ. დამსახ. მოღვაწე (1961).

ჯ. დავით კონსტანტინეს ძე, დ. 1924, თადარიგის ლეიტენანტი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი. თსუ-ის დოცენტი. (ზაქარიაძე, ე., 45).

ჯიქიძე ეთერ კაპიტონის ასული (1926, თბილისი), ქართველი მიკრობიოლოგი, მედიც. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1972), აფხ. ასსრ (1974) და საქართ. სსრ (1979) მეცნ. დამსახ. მოღვაწე.

ჯიქიას საგვარეულო 6432 სულს ითვლის (ზუგდიდი – 2313, თბილისი – 1186, წყალტუბო – 539), (გვარ-სახ. საქ-ში).

ჯიქია სვ. მოსახლე დღ. ზემო სვანეთის სოფ. ბეჩოში (XIII ს-ის II ნახ.), (სვ. ძეგლ., 155).

საინტერესოა, მთიდან ბარში მიგრაციასთან გვაქვს საქმე, თუ პირიქით? ვფიქრობთ, ერთიც და მეორეც.

ჯიჭონაია ნაწარმოებია ჯიჭონა შერქმეული სახელისაგან. 1. შეიძლება ჯი(ნჯი)ჭ(ყ)ონ-იდან იყოს, 2. ჯიჭონ-ი – ხისჭამია მატლი.

ჯიჭონაიას საგვარეულო 532 სულს ითვლის (ზუგდიდი – 432, თბილისი – 35, წალენჯიხა – 31), (გვარ-სახ. საქ-ში).

ჯიხაია ჯიხა (მგრ.) – კოშკი. ჯიხა სოფ. ხონის რ-ნში, ჯიხაიში სოფ. სამტრედიის რ-ნში, ჯიხაშ# კირდე მგრ. – შვეული კლდე, ადგილმდებარეობაა ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. პირველი ჭოღის ტერიტორიაზე.

საგვარეულო 24 სულს ითვლის (ზუგდიდი — 10, სენაკი — 9, თბილისი — 1), (იქვე).

ჯიხვაია ჯიხვ-ი — გარეული კავკასიური თხა (ქეგლ). მომდინარეობს ჯიხვა შერქმეული სახელისაგან. შდრ. ქართ. არჩვაძე.

ჯიხორია (იხ. ჯიხვაია), მომდინარეობს შერქმეული სახელისაგან. შდრ. მეგრ. ჯიხე=ციხე, -ორ სიტყვასაწარმოებელი სუფიქსია. ჯიხორია — ხიცორია; ციხეში მცხოვრები.*

ჯიჯავა მომდინარეობს ჯიჯა შერქმეული სახელისაგან, რომლის ეტიმოლოგია საძიებელია. აქედანაა ქართულდაბოლოებიანი გვარი ჩიჯავაძე ჯიჯა — ჩიჯა. გამორიცხული არაა, ჯიჯა — ჯინჯა-საგან იყოს. საჯიჯაო (ხობ. რ.); „საჯიჯაო შედიოდა ჩიჩუების სამთავროში, მდებარეობდა სენაკის მარჯვენა მდ. ოჩხომურსა და ცივს შორის და შედიოდა 10 სოფელი“ (ცაგარ.), ჯიჯავა ოტია 1851 წ. მზითევში მისცეს ლანჩხუთელ აზნაურ სპირიდონ მაჭავარიანს.

ჯიჯავას საგვარეულო 101 სულს ითვლის (მარტვილი — 55, ზუგდიდი — 9, სენაკი — 7), (გვარსახ. საქ-ში).

ამჟამად ჯიჯავას გვარის მატარებელი ერთი ოჯახი ცხოვრობს ჩხოროწყუს რ-ნში (ახალაია ვ., 14).

ჯიჯელავა მომდინარეობს ჯიჯველა შერქმული სახელისაგან, რომელშიც -ელა კნინობითობის სუფიქსია. ჯიჯი ბავშვური ენით ბიძია; საჯიჯელაო-ახუთი (ჩხორ. რ.), საჯინჯელო-ფოცხო (სენაკ. რ.).

ჯიჯელავა კალისტრატე ფილიპეს ძე — კოლხიდის ეთერზეთოვანთა საბჭოთა მეურნეობის მუშა, სოციალისტური შრომის გმირი.

ჯიჯელავას საგვარეულო 1055 სულს ითვლის (მარტვილი — 476, თბილისი — 142, ზუგდიდი — 108), (გვარსახ. საქ-ში).

ჯიჯიხია ჯინჯ-იხია ჯინჯი (მგრ) — საძირკველი, ფუძე, ხიხატი, ხე. ჯიჯიხიები იხსენიებიან, როგორც აზნაურები, მიგრირებულნი ოკრიბაში და იქ ჯინჯიხაძეებად ქცეულნი (ჟურნ. „ქართვ. მემკვ.“, 1999, გვ. 197).

საგვარეულო 56 სულს ითვლის (ზუგდიდი — 27, თბილისი — 18, სენაკი — 11), (გვარსახ. საქ.).

ჯობავა 1. იობავა (ძვ. ებრ.) „დევნილი“ (ჭუმბ., 345), 2. ჯობავა — ჯონბა, ჯობია (ქეგლ); ლეჯობე — ლეწურწუმე (ჩხორ. რ.), ჯობრია — აძვიბჟა (ოჩამჩირ. რ.), რეჩხი (გალ. რ.).

ჯობავა 1529 სულს ითვლის (ზუგდიდი — 177, თბილისი — 371, ხობი — 284), (გვარსახ. საქ-ში).

ჯობინავა წარმომდგარია ჯობინა მეტსახელისაგან.

ჯოლია – რკინის ჯაჭვი (ქეგლ); 2. ჯოლა – ხის მორი (მორები), გამიზნული ხარის, კამეჩის... გამოყენებით ტყიდან ხის კონის გამოსატანად; ჯოლია ნაწარმოებია ჯოლა შერქმეული სახელისაგან, ლეჯოლიე (წალენჯ. რ.), ჯოლევი (მარტვ. რ.), საჯოლიე – ჭალადიდი, ჯოლიაში გიმნაჩერი (განაყიდი)-ეკი (სენაკ. რ.), ოჯოლა სოფ. ტყიბულის რ-ნში.

სოფ. ჯოლავა 1897 წ. პირველი აღწერით შედიოდა ქუთაისის ოლქის სენაკის მაზრაში, სადაც 1714 სული მეგრელი სახლობდა. სოფელსაც ჯოლავა დაერქვა ამ გვარის სიმრავლის გამო.

ამჟამად ჯოლიას საგვარეულო 297 სულს ითვლის (თბილისი – 68, სენაკი – 64, ზუგდიდი – 49), (გვარსახ. საქ-ში).

„ჯოლა იყო თათრის ბეგი, ესე მოვიდა წელსა 1232 მეფესთანა ქართლს და ნათელ იღო, იმას მიუბოძა ადგილნი ოდიშში და შემდგომ მან და ძეთა მისთა მიიღეს გვარად თავადნი ჯოლიაშვილები“ (ეხლა არ არიან თავადნი ჯოლიები) (გაზ. „ივერია“, 1883, № 11-12; 1884 № 1-12).

ჯოლოგუა ნაწარმოებია შერქმეული სახელისაგან. „ჯოლა-ლოხორა (ჩუბ.) (ლოხორა – ძვ. ცარცის ანაცერი); ნაჯოლოგუ (ჩხორ. რ.), ჯოლოგუაში ნოტონი (ნამრავლი) – ხორში (სენაკ. რ.); ლეჯოლოხე სოფ. წალენჯიხის რ-ნში“.

ჯოლოგუა სამი ძმა: შალვა, არტემი და მუხია შამგონიდან (გალის რ-ნი), სამამულო ომში წავიდნენ, მხოლოდ შალვა გადურჩა სიკვდილს. ორი ძმა შინმოსვლელია. (ნაჭყებია მ., 85).

ჯოლოგუას საგვარეულო 580 სულს ითვლის (ზუგდიდი – 340, თბილისი – 107, სენაკი – 57), (გვარსახ. საქ-ში).

ჯოლოხავა ეტიმოლოგია საძიებელია. ლეჯოლოხე (მიქავა) – სოფ. წალენჯიხის რ-ნში.

მათე ბუხუტის ძე სოფ. წალენჯიხიდან, დღევანდ. წალენჯიხის რ-ნი, თავადი პლატონ დადიანის ყმა-გლეხი, სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების აქტიური მონაწილე, რუსეთის ხელისუფლებისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისათვის 10 წლით ციმბირში გადასახლებული. (საისტ. მ., II 148).

ჯ. ივანე გეიჩას ძე სოფ. წალენჯიხიდან, დღ. წალენჯიხის რ-ნი, თავადი გრიგორ დადიანის ყმა-გლეხი, სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების აქტიური მონაწილე, რუსეთის ხელისუფლებისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისათვის 10 წლით ციმბირში გადასახლებული, (საისტ. მ., 148).

ჯოლოხავას საგვარეულო 875 სულს ითვლის (წალენჯიხა — 487, ზუგდიდი — 161, თბილისი — 67), (გვარსახ. საქ-ში).

ჯომიდავა ჯომი — ვარსკვლავს ნიშნავს (ლომაშვილი, ჯ. 5). ჯიმდაი (სვან.) — ძმა (ლიპარტელ. ლექსიკ.) შდრ. სვანური გვარი ჯამადანი, გვარი მოხსენიებულია სვანეთის XIII ს-ის II ნახევრის ძეგლებში. ადგილობრივი გამოთქმით: ჯომიდა — დიომიდე (ჭუმბ., 31); (სპ. ჯავანმარდ). ძვ. გულადი, ყოჩაღი, ჩაუქი, ძველი (ქეგლ); ჯიმადი (მეგრ.) ბიძა; ჯო — მინდა, ჯო-ჭო, ბიჭო. მინდა ტოპონიმი სოფ. ხაბუმე (ჩხორ. რ.), იქ, სადაც ჯომიდავას გვარი მოსახლეობს მდ. ოჩხომურის მარცხენა დავაკებაზე; აქ ძმებს: საბას და სამსონს მიწის ნაკვეთი ჰქონდათ 1-2 კმ დაშორებით, ჭოლა (ჩხორ. რ.), საბერიო (გალ. რ.), კოჩარა (ოჩამჩ. რ.). 1908 წ. ჭოლიდან კოჩარაში გადასახლდა ჯომიდავას გვარის ორი ყმაწვილი (ნასყიდობის ხელწერილი ავტორის პირად არქივშია...) გამრავლდა და ამჟამად აქ ჯომიდავას 42 ოჯახია. ამრიგად ჯომიდავა — დიომიდავა-სგან უფრო მომდინარეობს. არის სხვა მოსაზრებანიც.

ამჟამად ჯომიადის (ჯომი — ვარსკვლავი და ბერძნ.-შვილი) 12 ოჯახი სახლობს ქ. სოხუმში, შეიძლება ჯომიდავაც ბერძნული წარმოშობის გვარი იყოს.

ჯიმიდის (სახელი არაა) ემართა ჯგალის ციხის ბეგარა იმდენი, რამდენიც შონია ეჩაკოჩის (1616).

ჯომიდავა აკაკი ალექსის ძე (1908-1968), დ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კოჩარაში, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, პოლკოვნიკი, ქართული დივიზიის პროკურორი.

ჯ. ბიქტორი ვლადიმერის ძე დ. 1916, ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კოჩარაში სამამულო ომის ვეტერანი, კაპიტანი, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი.

ჯ. ნიკოლოზ (კოლია საბას ძე, დ. 1915 წ.ჩხოროწყუსარ-ნის სოფ. ჭოლაში), სამამულო ომის ვეტერანი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი (1967), 5 მონოგრაფიისა და ათეულობით სამეცნიერო სტატიის ავტორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ლეჯომიდეს მიწის ზედაპირზე ნაპოვნია 400 გრამამდე წონის ბრინჯაოს სხმული, რომელიც ორივე მხარეს დაშტრიხულია (გ. შენგ. გაზ. „ნაპერწკალი", 18. I. 71). ეს მიგვითითებს, რომ ლეჯომიდეში უცხოერია ბრინჯაოს ხანის ადამიანს.

ჯომიდავას საგვარეულო 943 სულს ითვლის (ზუგდიდი — 238, ჩხოროწყუ — 170, თბილისი — 96), (გვარსახ. საქ-ში).

ჯომნია ნაწარმოები ჩანს ჯომნია//ჯობნია შერქმეული სახელისაგან. ჯომნია თოთიბია ნაჭალეულს, გამიგონა, ვაჟიკოჩა ხოირს, ხოლო ჯიმია გუგური სოფ. სუბვის მცხოვრებნი მუხურის ეკლესიაზე შეწირულნი (კაკაბაძე, აფხ. დავთ.). ჯომნია გამიგონა, ვაჟიკოჩა, ემართათ ხოირს სასახლის ბეგარა... (1621). ჯომნია თოთიბია ემართა ნაჭალეულის სასახლის ბეგარა... (1621).

ჯონია ძვ. ქართველი ქალის სამოსი, (გამსახ. V, 966). ჯონია — ორპირი (ტყიბ. რ.) „... წყაროებში პირველად მოიხსენიება 1545 წ. შემორჩენილი შუა საუკუნეების ციხისა და X-X II ს-ის ნანგრევები. კედლებზე ლაპიდარული წარწერებია. 1967 წ. აღმოჩნდა მონეტების — „კოლხური თეთრის განძი". (ქსე). აქედანაა ჯონუა (ეტიმოლოგია საძიებელია).

ჯონია ბაგრატ იმერთა მეფემ შესწირა გელათის წმ. გიორგის საყდარს 10 ჯომლი მემნაძე სოფელ ჯონიაში (1545), (მასალები, 283).

ჯონჯუა ჯონჯო (მგრ.) — ცხვირპირი საქონლისა, გაღატანით კაცზეც იტყვიან (ელიავა, გ., ლექსიკ.).

ჯონჯუა ჯონჯელა — კბილებით მტვრევა, კენტა, გაჭირვებით ღეჭვა (ქეგლ). აქედანაა ჯოჯუა. გამორიცხული არაა ამ გვარსახელის ჯოჯოდან ან ჯოჯოლი (კოლხ., მცენარე) მომდინარეობა. ჯონჯუას გვარი 395 სულს ითვლის (ზუგდიდი — 363, წალენჯიხა — 40, თბილისი — 23), (გვარსახ. საქ-ში).

ჯორჯალავა ჯორჯალი — მუცლის აპკის ნაწილი, რომელზედაც მიმაგრებულია ნაწლავები (ქეგლ). ნაწარმოებია ჯორჯალა შერქმეული სახელისაგან.

ჯორჯიკია მომდინარეობს საკუთარ სახელ ჯოჯიკისაგან. ჯორჯიკია-ში რ განვითარებული ბგერაა. ჯოჯიკია — ჯორჯიკია: ჯოჯიკ ანთროპონიმი ცნობილია ისტორიულ საქართველოში. მაგ. იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში" ჯოჯიკი ვარსქენ პიტიახშის ძმაა. შდრ. ქართ. გვარი ჯოჯიკაშვილი. ჯორჯია (ინგლ. გეორგია) — აშშ-ს ერთ-ერთი შტატი.

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი, აქედან 130 გვარეულობიდან 35 აფსუური, ხოლო 85-მდე ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის ჯორჯიკია (გაზ. „საქართვ.", სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

გვარი სახლობდა ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში, სადაც აფსუური გვარის ერთეული თუ იყო, ხოლო ქართველები 156 სული,

მათ შორის ჯორჯიკია. (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ჯორჯიკია უჩა ნაჯიხევიდან, დავით დადიანის დროს განთქმული ქურდი (მეუნარგია, 118).

ჯოლორია ნაწარმოებია შერქმეული სახელისაგან. შდრ. საკ. სახელი — ჯოლორი (მგრ.) — ძაღლი. გვარი წარმოშობილია მეძაღლეობისაგან. დადიანებს ჰქონდათ ძაღლსაშენები კურზუში (მარტვ. რ.), უშაფათში (სენაკ. რ.), სადაც მომვლელ-მწვრთნელებად ჰყავდათ ფონიები, სართანიები და გაბისონიები.

მე-19 ს. 30-იან წლებში დღ. გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. აქედან 130 გვარეულობიდან 35 აფსუური, ხოლო 85-მდე ქართულ-მეგრულ-ჭანური წარმოშობისა, მათ შორის ჯოლორია (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., 1997).

გვარი სახლობდა დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კვიტოულში 156 ქართველთან ერთად, სადაც აფსუური თითზე ჩამოსათვლელი იყო (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ჯოხაია ჯოხი — ხის ღერო, ტოტებგაცლილი იყენებენ საბჯენად და სხვა (ქეგლ). აქედანაა ჯოხია. შდრ. ქართ. ჯოხაძე. გვარი წარმომდგარია ჯოხა მეტსახელისაგან (იხ. ჯოხაია).

ჯოხია (იხ. ჯოხაია) ჯოხია 26 სულს ითვლის (თბილისი — 10, ქუთაისი — 10, ლანჩხუთი — 3), (გვარსახ. საქ-ში).

ჯოჯოხია ა-ჯაჰნმ (აფხ.), ჯოჯოხეთი (მგრ), დ. გულია, 27 ხელნაწ. ინსტ. საქმის № 1934). ჯოჯოხიას გვარი ალბათ იყო ერთ დროს, ამჟამად არაა.

ჯოჯუა ჯოჯო — (მგრ.) უშნო (კაცი თუ ქალი) (იხ. ჯონჯუა); ლეჯოჯუე-ლეძაძამე (სენაკ. რ.), ჯოჯიანი (ცხინვ. რ.).

ჯონჯუანი სვ. მოსახლ. დღ. ზემო სვანეთის სოფ. ბეჩოში (XIII ს-ის II ნახ.), (სვ. ძეგლ. 152).

საკვლევია, მთიდან ბარში მიგრაციასთან გვაქვს საქმე, თუ პირიქით.

ჯოჯურლა ღომის ჯიშია (ბოტ. ლ.).

ჯოჯუა ჯიმითის ასულნი, გუნდუშ და მარჯან. მოხსენიებულია როგორც მდაბიო ხალხი, წარმართული სარწმუნოებისანი და გაქრისტიანებულნი 1874 წ. აპრილში დღ. გუდაუთ ის რ-ნის სოფელ ლიხნში (გაზ. „საქართვ.“, სპეც. გამოშვ., 1997, მარტი, გვ. 6; 21).

მე-19 ს. 30-იან წლებში, გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში სახლობდა 400-მდე კომლი. მათ შორის 130 გვარეულობის ქართულ-მეგრულ-ლაზური წარმოშობისა იყო, მათ შორის ჯოჯუა (გაზ. „საქართველო“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ჯოჯუა გვარი მოხსენიებულია, როდესაც მე-19 ს-ის I ნახევრის ცნობით დღ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. შქაწყარის მცხოვრები, სადაც აფსუათა გვარის ხსენებაც არ იყო.

საგვარეულო 3858 სულს ითვლის (თბილისი – 666, მარტვილი – 655, სენაკი – 548), (გვარსახ. საქ-ში). გვარი მრავალრიცხოვანია და შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 134-ე ადგილზეა.

ჯუგულავა ჯუგარა – სორგის პურეული მცენარე (ქეგლ); ჯუგაანი სოფ. სიღნაღის რ-ნში.

ჯუმიტია ჯუმი სოფ. და მდინარე სენაკის რ-ნში. 1897 წ. პირველი აღწერით ჯუმითი შედიოდა ქუთაისის ოლქის ზუგდიდის მაზრაში, სადაც სახლობდა 1000 სული მეგრელი ჯუმიტიას – ჯუმითიას გვარისა. ამჟამად საგვარეულო 195 სულს ითვლის (წალენჯიხა – 38, ზუგდიდი – 76, თბილისი – 23), (გვარსახ. საქ.).

ჯუნჯუა ჯუჯა – ეგრისის ერისთავი. აუშენებია ციხე ჯუჯი ან გოჯი – ლანჩხუთი (ლანჩხ. რ.). მომდინარეობს ჯუნჯუ შერქმეული სახელისაგან.

ჯურუმია ჯურუმი (მგრ.) ეტიმოლოგია და საილუსტრაციო მასალები საძებნია.

ჯულელია ჯულელი – ავგული, ღრძო (ქეგლ). შდრ. სომხ. ჯულაეცი-ჯულაელი. ქართ . გვარი ჯულაშვილი. ჯულელი ფრიად გავრცელებული გვარია იმერეთში. ადგილობრივი ამ გვარის მქონენი თავიანთ თავს ჯუჯღუნა შერქმეული სახელისაგან მომდინარედ მიიჩნევენ. ასე რომ, ჯულელია//ჯულელი მეტსახელისაგან მომდინარედ უნდა დავსახოთ. ჯულ-ტბა გულრიფშის რ-ნში, ჩხალთის აუზში.

ჯუმიტია ჯუმი მდინარეა, რომელიც სოფ. ცაიშს შუაზე კვეთს. ჯუმითი სოფელია ჩხოროწყუს რ-ნში, ჯუმითი – გურიაში (პაჭკორია. 43).

ჯღაბელია ჯღაბუა (მგრ) – ჯღაბნა. 1834-1835 წწ. ოჩამჩირის რ-ნის სოფლებში თითო-ოროლა აფსუების გვარი მოიძებნებოდა, სოლო ქართველი კი 156, მათ შორის **ჯღაბელია** (გაზ. „საქართ.“, სპეც. გამოშვ., მარტი, 1997).

ჯღათა(ა) ჯღათარა (ლანძღ.) ჭრელი, ჭროღა თვალების მქონე (ქეგლ). დამატებითი ეტიმოლოგია საძიებელია.

ჯღამაია წარმომდგარი ჩანს ჯღამა მეტსახელისაგან. შდრ. ჯღანა, ჯღანი, იჯღანება. შდრ. ქართ. გვარი ჯღამაძე. (ქ. ზუგდიდი, ზუგდ. რ.).

ჯღამაიას საგვარეულო 326 სულს ითვლის (ზუგდიდი — 83, მარტვილი — 63, სენაკი — 38), (გვარსახ. საქ-ში).

ჯღარკავა 1. ჯღარკი (მგრ.) ძველი გაცვეთილი ფეხსაცმელი (ელიავა გ., ლექსიკ.). 2. ჯღარკალა — ლობიოს, კიტრის... მცენარეულის ასასვლელი ტოტებიანი ჯოხი; უშაფათი (სენაკ. რ.). მომდინარეობს ჯღარკა შერქმეული სახელისაგან.

საგვარეულო 2748 სულს ითვლის (მარტვილი — 815, ზუგდიდი — 539. თბილისი — 507), (გვარსახ. საქ-ში). და ის შესულია საქართველოში 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და რაოდენობის მიხედვით 255-ე ადგილზეა.

ჯღერია ჯღრე — დანჯღრეული რამ (ქეგლ); ჯღერია — ჩხარუნი (ჩუბ.); ნაჯღერუ ქ. სენაკი. შდრ. ქართ. ჟღერა. აქედანაა ჯგერია, გ ბგერა ჩართულია ღ -ს მაგივრად რუსულის გავლენით.

ჯღერიას საგვარეულო 46 სულს ითვლის (ზუგდიდი — 18, გორი — 2. თბილისი — 26). (გვარსახ. საქ-ში).

გვ. 18. * ალა ქართ–დ – გრძივად აღმართული (საბა).

გვ. 19. * ალექსანდროუკა – სოფ. გულრიფშის რ–ში.

გვ. 21. *ან მთვარის ერთადერთი ღმერთი იყო შუამდინარეთში (რ.პატარიძე, 86).

** ანარია – სოფ. ოჩამჩირის რ–ში.

***ანდრია (ბერძ.) ქრისტეს ერთ–ერთი მოციქული (რელიგ ლექსიკ.)

გვ. 22. * ანჩაბაძე

გვ. 23. * – ანჩიბაია

** შდრ. ანჩაბაძე და მაჩაბელი.

*** ართ – ერთი, ლეკური – ეკოლა.

გვ 24. * აჩამეია – სოფ. გუდაუთის რაიონში.

გვ. 25. * არისტარხია არისტარქო კოლხეთის მეფის სახელი იყო.

გვ. 26. * 2. არქი – (ბერძნ.) ბატონი (რელიგ. სიტყვათა ლექსიკ.).

გვ. 28. * ასან – არაბულად კარგი, ლამაზი, მშვენიერი.

გვ. 36. * აქუბარდია კონდრატე მოხსენიებულია, როგორც მწყემსი XIX ს–ის მიწურულში ყუბანისპირეთში (ზ. რატიანი, 24).

** აშხარბეგიშვილი მოხსენიებულია ი. ახუაშვილის ქართ. გვარსახ., II, 1999, გვ.632.

გვ. 38. * I. ბაგა – ეს არის პირუტყვთა საზრდელთა დასადებელი აღგილი (ს.ს. ორბელიანი, გეოგრ. სახ.).

გვ. 42. * 2. ბასარია (ბერძნ.) ლიდიასა და თრაკიაში ბაკხელთა გრძელი ჩასაცმელი (რელიგ. ლექსიკ.).

** (ბარს რუსულია, ნიშნავს ვეფხვს)

გვ. 44. * ბაღდადი – ერაყის დედაქალაქი.

გვ. 46. * ბახაფა – (კვმა, დარტყმა (ი.ყიფშიძე)

გვ. 50. * ბერაია – (ბერძნ.) ბერობა მონასტრებსა და ქვაბებში მცხოვრები მორწმუნე ბერების დიდი ჯგუფი (რელიგ. ლექსიკ.)

გვ. 51. * აქედანაა ტერმინი ბრძენი.

გვ. 54. * ბიბლია (ბერძნ.) იუდეველთა და ქრისტიანთა საღვთო წიგნი (რელიგ. ლექსიკ.).

გვ. 59. * ლაზური გვარია.

გვ. 60. * ბეინაფა – გაიხსენება.

გვ. 61. * აღხაზად ნაწერილი

გვ. 65. * ურმის ხის ნაწილი;

** გაბელაია (ბერძნ.) ჰერას ერთ-ერთი ზედმეტი სახელი. ჰერა ბერძნებში ღმერთების დედოფალი, ქორწინებისა და შობადობის მფარველი ქალღმერთი (რელიგ. ლექსიკ.).

გვ. 71. * იხ. გალია.

გვ. 72. * გამახარია ჯ.ქიმალ, ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი.

გვ. 73. * განგია – განგება, რელიგიური დოგმატი, რომლის მიხედვით ყველაფერი, რაც ქვეყანაზე ხდება დამოკიდებულია ღმერთის ნებაზე (რელიგ. ლექსიკ.).

გვ. 74. * საგარგულიო – სოფ. გალის რაიონში.

გვ. 80. * გეთიები მოხსენიებულია შუმერებში.

** გელა'ხინ-ი (ბერძნ.) – ვიცინი, წარმართების სიხარულისა და სიცილის ღმერთი (რელიგ. ლექსიკ.).

გვ. 81. * გერი – მცირე ზომის საცისკრო ლოცვა... ღამის თევის ნაწილი, ლოცვის ნაწილი (აღსდგა ქრისტე) (რელიგ.ლექსიკ.).

გვ. 82. * ტექსტი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: „ საგვარეულო 70 სულს ითვლის (აბაშა – 25, ზუგდიდი –16, სენაკი – 16; გვარ-სახ. საქ.-ში).

გერზმავა (იხ. გერია); გურმაზა (მგრ.) – ცეცხლის დანთება (გ.გელიავა, ლექსიკ.). გერმავა (–გერსმავა<–გერასიმოვა), როგორც ჩანს, გვარ-სახელებში გერასიმე საკუთარი სახელის სახეცვლილებასთან გვაქვს საქმე. შდრ. გერზეული – გერზმავების უბანი, სოფ. გულრიფშის რაიონში.

1998 წ. გამოვიდა..." ლა ა.შ., როგორც ტექსტშია.

გვ.86. * გვასალია პლატონ თეიმურაზის ძე (1915–1979), დაიბადა გულრიფშის რ-ნის სოფ. განახლებაში, სამამულო ომის ვეტერანი, სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი, მრავალი ორდენისა და მედლის მფლობელი.

გვ. 88. * გვაჯია ზენი – სოფ. გალის რ-ში.

გვ. 90. * გიორგი წმინდანთა შორის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელია, გაღმერთებული გმირი განდიდებული საქართველოში, განსაკუთრებით,

სვანეთში, სადაც უწოდებენ ჯგირათს და მის სახელზე აგებულია მრავალი ეკლესია – ლახამულის, ბატალის, მესტიის და სხვ.

გ;. 100. * ამჟამად გვარი მოსახლეობს გუდაუთის რ-ში და აფხაზურ გვარად იქცა აფსუები.

გვ 102.* გუდაუთა

გ;. 106. * გურები (სპარს. არაბულიდან – ლამაზოვალა) მშვენიერნი, რომლებიც მაჰმადს ემსახურებიან, მართლმადიდებლებს სამოთხეში (რელიგ. ლექსიკ.).

გ;. 107. * ეფიქრობთ წარმოდგება სიტყვიდან გუჩ, რაც მაფსუღურად რკინას ნიშნავს (ზ. რატიანი, გვ. 52).

გ;. 109.* – ბატონი.

გვ. 116. * (დანა – დანა, ვა – შვილი. შდრ. დანაჭრელაშვილი).

გვ. 129.* (ბერძნ.) ჰაერის მაღალი ფენის განსახიერება, ზევსის ადგილსამყოფელი... გადატანითი მნიშვნელობით ეთერი სუფთა ჰაერს ნიშნავს (რელიგ. ლექსიკ.);

გ;. 130. * ელიავა გიული, ს'ხოგადო მოღვაწე, მარტვილის ეროვნული მუზეუმის დამაარსებელი და მისი უცვლელი დირექტორი, ქართული კულტურის დიდი მოჭირნახულე.

გ;. 131. * 1. ერემიტები, მეუდაბნოე ბერები, რომლებიც რელიგიური მიზნით ცხოვრობდნენ ისეთ პატარა ქოხებში ან ქვაბულებში, რომ არ ჰქონდათ მობრუნების საშუალება (რელიგ.ლექსიკ.). 2...

გვ. 136. * ვარდი;

** უნდა იკითხებოდეს – ხობის რ-ნი.

გ;. 139. * რუსეთის გენერალი პოტატი წერდა, რომ მის დროს, XIX ს-ის ბოლოს, მღ. ყუბანთან იყო ზანას ხეობა, რომელსაც გერმანელი ე. ჰაანი ზანიგვარას უწოდებს. (ნ. ფოფხაძე, „სიმართლე აფხაზეთის შესახებ ყველამ უნდა იცოდეს". გაზ. „ჭეშმარიტების მაძიებელი", მარტი-აპრილი № 2, გვ.ე.)

გვ 142. * ზედანია გულრიფშის რ-ნი.

** ზენი სოფ. გალის რ-ში.

გვ. 144. * ლაზური წარმოშობის გვარია (იხ. ზვანდრიფში, სოფ. გუდაუთის რ-ში)

გ;. 148. * უნდა იკითხებოდეს – სათევზაო

გ.ჯ. 149. * თვალუა – მრიქმით დატირება (ბ. კილანავა)

გ.ჯ. 150. * – თუთბერია თუთ(მგრ.) – მთვარე – მთვარის ფერი.

გ.ჯ. 152. * თომასტები რეალისტების სექტა, თომა აქვინელის მიმდევრები XIII ს-ში (რელიგ. ლექსიკ.).

გ.ჯ. 155. * თორა (ებრ. – მოძღვრება, ჭკუის დარიგება, კანონი). მოსეს ხუთი წიგნი და მაიში ღაბოლოებული მოძღვრება (მითოლ. ლექსიკ.).

გ.ჯ. 173. * (ქათმის)

გ.ჯ. 178. * კვაოუა

გ.ჯ. 187. * კვიტია – კვიტიული – კვიტიების უბანი

გ.ჯ. 196. * კულხა, კოლხა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მეორე დიდი გაერთიანება დიაოხის შემდეგ, ჩამოყალიბდა II ს-ის დასასრულს (არიანეს ლექსიკ.)

გ.ჯ. 205. * კუნტა (მეგრ.) – მოკლე

გ.ჯ. 210. * ლადა მაჰმადიანებში ქრისტიანების საწამებელი მეორე განყოფილება (მითოლოგ. ლექსიკ.)

** ლაზარისტები (ფრანგ.) ერქვათ იმიტომ, რომ ცხოვრობდნენ სახლში, რომელიც ეკუთვნოდა წმინდა ლაზარეს ორდენს... (რელიგ. ლექსიკ.)

გ.ჯ. 211. * ლათა სოფ. გულრიფშის რ-ში.

** ლაკერბაიები სამეგრელოში აზნაურები იყვნენ. აფხაზეთში გადასახლებულთა ერთ-ერთ საბუთს ხელს აწერდა 30 კაცი.

გ.ჯ. 216. * ლაშხეთ თემია ამავე რ-ში, რომელშიც შედის ლაზური „ში“ დაბოლოებიანი სოფლები: მახაში, მარგვიში, ჩიხარეში, სასაში და ფასლაში.

გ.ჯ. 217. * 7. ცხვირათური

გ.ჯ. 218. * ლემსია – ლემსი სოფ. ზემოსვანეთში, ლენჯერის თემში.

გ.ჯ. 224. * ლუკა ჯიმანი, დომინიკელთა ორდენის იტალიელი ბერი, იმოგზაურა საქართველოში. (რელიგ. ლექსიკ.).

გ.ჯ. 226. * მაისი რომაული კალენდრის მიხედვით წლის მესამე თვე (რელიგ. ლექსიკ.)

გ.ჯ. 227. * მაკოფსე მდ. ტუაფსედან 14 კმ-ზე.

გ.ჯ. 228. * 1. მალა – ხერხემლის შემადგენელი ცალკე ძვალი. კისრის მალები (ქსიგლ. 281); 2.

გ;ვ. 229. * მამაიკა სოფ. სოჭის ოლქში.

გ;ვ. 230 * ბერძნულია და სითხის შესანახ ჭურჭელს ნიშნავს.

გ;ვ. 231. * ქალის სასქესო ორგანოს ქვია

** მანია (ლათ.) მიწისქვეშა სამყაროს ძველი იტალიელი ქალღმერთი; მანების დედა ან ბებია (რელიგ. ლექსიკ.).

*** მანტია ლათ–ია (იხ. აკერმანტია) გრძელი, კაზმულობიანი ლაბადა, რომელსაც ანიჭებდნენ გარკვეულ დიდებულ პირებს, მაგ., არქიერებს, ბერებს, მეფეებს და სხვ. (რელიგ. ლექსიკ.).

გ;ვ 235. * მოწამეთა–გელათის მკვიდრი

გ;ვ. 236. * მარხვა საჭმელ–სასმელის რელიგიური აკრძალვა წლის გარკვეული დროის მონაკვეთში (რელიგ. ლექსიკ.)

გ;ვ. 239. * სამახარო გალის რ–ში.

გ;ვ.241. * მელიები (ბერძნ.) მელეიური ფერიები, გეასა და ურანოსის ქალიშვილები... (რელიგ. ლექსიკ.)

გ;ვ.243 * აქედანაა მესხიძე.

გ;ვ. 245. * მზიმთელია მზიმთა მთასა და მდინარეს ჰქვია სოჭის ტერიტორიაზე. შდრ. მზიუაშვილი.

** მითრე(ი)ა, მითრა (სპარს.) უძლიერესი ინდუსების შემდეგ ირანისა და სხვ. სინათლის უმაღლესი ღვთაება (რელიგ. ლექსიკ.).

გ;ვ. 247. * მირქმა (მიგებება, გულზე მიკონება) იესო ქრისტესი, საქრისტიანოს დღესასწაული 2(15) თებერვალი რელიგ. ლექსიკ.).

გ;ვ. 248. * უტუს ლაშქარზე არის სიმღერა: აბა ულა – აბა წასვლა.

გ;ვ 250. * უტუს ძეგლი წალენჯიხაში (დ. ლემონჯავა, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში, გვ. 2).

გ;ვ. 251. * მიშველი ტოპ. გალის რ–ში.

** მოკ–ი ადამატების მითოლოგიის მიხედვით სინათლის შემქმნელი ძალა (რელიგ. ლექსიკ.)

გ;ვ. 254. * მამულია გურამ ფიზიკოსი, პროფესორი, დოქტორი, აფხ. რეს. მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი.

გ;ვ. 255. * გვარი ლაზურია

გ;ვ. 257. * ნანა (ბერძნ.) ფერია, ფრიგიული მდინარის ღმერთის სანგასიოს ქალიშვილი, ატისის დედა (რელიგ. ლექსიკ.).

გვ. 258. * ნარა (სანსკრიტ.) ინდური მითოლოგიის მიხედვით კენტავრების მსგავსი არსებანი (მითოლოგ. ლექსიკ.).

გვ. 260. * ნ. იასონ ფილოსოფ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი

გვ 260. * ნემეს-ი (ბერძ.) პერძნების ერთ-ერთი ყველაზე ძველი ქალღმერთი... (რელიგ. ლექსიკ.).

გვ. 262. * ნარაკია (სანსკრიტ. – ადამიანი) ჯოჯოხეთი ინდური მითოლოგიის მიხედვით, აგრეთვე ასურელების ერთ-ერთი ბოროტი დემონი (რელიგ. ლექსიკ.).

გვ. 268. * პალა (ლათ.) ოთხკუთხა მუყაო, რომელსაც გამოკრული აქვს ნათელი ქსოვილი, იყენებენ კათოლიკურ ეკლესიაში საჩუქრების ჭურჭლის სახურავად (რელიგ. ლექსიკ.)

** პაპა (იტალ.) პირველად ყველა პატრიარქების ტიტულ.; წმინდა მამა (რელიგ. ლექსიკ.).

გვ. 270. * პარკა (ლათ.) ბედის ქალღმერთი, ისინი იყვნენ სამნი: ადამიანის სიცოცხლე და სიკვდილი ან სიცოცხლე მათზე იყო დამოკიდებული (რელიგ. ლექსიკ.)

გვ 271. * უხუცესი და მათხოვართა კვარტლის სახელწოდება მილანში; XI ს-ის ლომბარდიის ქალაქებში, სოციალურ-პოლიტიკური და ნაწილობრივ, საეკლესიო ხასიათის პარტიის დამცინავი სახელწოდება (რელიგ. ლექსიკ.).

გვ. 272. * 2. აპარტახებს, პარტახად აქცევს.

გვ. 279. * რ. ლილი კონდრატეს ასული, ზუგდიდის რ-ნის ახალსოფლის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

გვ. 283. * არუხა სოფ. ბიჭვინთასთან (გაგრის რ-ი).

გვ. 284. * მგრ. ცხიმური

გვ. 286. * – საღარია

გვ. 288. * სალიები (ლათ.) მარსის ქურუმთა ორი კოლეგია ძველ რომში (რელიგ. ლექსიკ.)

გვ. 292. * ისარეთი (გალის რ-ნი)

** რომელიც კოლასიდას ესაზღვრებოდა ჩრდილოეთით (II ს. ჩვ. წ.ა.)

გვ. 294. * – სახეიშეილი

გვ. 297. * უნდა იკითხებოდეს –... სვანიდან ლაზური სუფიქსით...

გვ. 299. * საეკლესიო საგნების გამყიდველი (რელიგ. ლექსიკ.).

გვ. 301. * რომელნიც (ხოვრობდნენ VII ს-ში ჩვ. ერამდე

გვ. 308. * ტაბაღი, უძველესი ეთნონიმი ძვ. აღმოსავლეთიდან

** ტაბაკონი სოფ. არგვეთში

გვ. 309.* ტონია გვარია (თ. სახოკი 288).

გვ. 311. * აქედანაა ტუნავა.

** ტუსკები თავიანთ თავს უწოდებდნენ ეტრუსკებს ძველი იტალიური სიტყვით.

გვ. 312. * ტყვარჩელი მცენარეა (ა. მაყაშვილი ლექსიკ.)

გვ. 314. * ჩვენ კი ვფიქრობთ, გვარი წარმომდგარი უნდა იყოს სიტყვიდან ურკებუ – შემდეგი, მომდევნო შვილი.

გვ. 320. * ადგ. გამოთქმით ფაღვა

გვ. 336. * ქ. მოსე იაკობის ძე, დ. 1916-1965 ჩხორ. რ-ნის სოფ. ჭოლაში, სამამულო ომის ვეტერანი, პოეტი.

გვ. 339. * ქექუთია – ლეონტი და ლევან ქაქუთია მიხ. ჯალაღონიას მოხსენებული აქვს წიგნში „მოლოდინი", თბ. 1997, გვ. 13.

გვ. 351. * ღ. ანდრო დ. 1900 წ. სენაკის რ-ნის სოფ. ჭალადიდში. დაამთავრა თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამედ. ფაკულტეტი. საქ. ომის ვეტერანი, პროფესორი, 140-ზე მეტი შრომის ავტორი.

გვ. 356. * 1. მც. ალუჩა (მგრ.), გვარი ყალიჩავა. (ა. მაყაშვილის. ბოტ. ლექსიკ.).

გვ. 358. * ყულუა ყულანურხვა (გუდაუთის რ-ნი).

გვ. 361. * შაბათი (ძვ. ებრ.) დასვენება, სიმშვიდე, შვიდი (რელიგ. ლექსიკ.)

გვ. 364. * ლაზური გვარია.

გვ. 380. * აზიაში ყველაზე გავრცელებულ გვარად აღიარებულია ჩანი. სტატისტიკის მიხედვით, ეს გვარი აქვს 100 მილიონ ადამიანს (გაზ. „კვირის პალიტრა", სექტ. 1998). ხომ არაფერი აქვს საერთო ჭანასთან?

გვ. 381. * შდრ. ჩხოუშია. მდინარე ჩაუდის ზუგდიდს.

გვ. 386. * ჩრდ. კავკასიის ტომი. (ცნობილია ვერკეტების სახელით „ღამის დარაჯი" (საბა)

გვ. 388. * ჩიტაჯა იხ. ჩიტაია. საჩიტავო სოფ. გალის რ-ნში.

გვ. 399. * მოხსენებულია, როგორც მარტვილელი და 1857 წ. სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მონაწილე (მ. კოლბიდელი, გლეხთა აჯანყება. სამეგ. თბ. 1926, გვ. 73).

გვ. 415 * ცუჭბაია. ეტიმოლოგია საკვლევია. საცუცბაიო სოფ. გალის რ-ნში.

გვ. 421. * გულრიფშის რ-ნი.

გვ. 422. * თაგვისნაგვარი

გვ. 423. * ქვაც წიწაკას მართებს – საბატონო გლეხს მართებს... (ი. მეუნარგია, გვ. 91)

გვ. 429. * სიტყვიო გაბოლებდა მარტვილის ეკლესიის მსახურთა შორის...

გვ. 438. * ნაკარიუ (გალის რ-ნი)

გვ. 442. * ხაბა (არაბ.) დიდის პირველი ლოცვა (რელიგ. ლექსიკ.)

გვ. 444. * ხან-ი მგრ. წყალი, დრო (რა ხნისაა)

გვ. 453. * ხვანა (მგრ.) – ოყალმცინარა

გვ. 454. * სახინგალე (გალის რ-ნი)

გვ. 459. * მიხეილ ხოცერია იხსენიება, როგორც სოჭის ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე 1919 წ. (გაზ. „სიმართლე", 1993 წ. გვ. 9).

**1888 წლის მონაცემებით ხოსტაში ცხოვრობდა 100 კომლი.

გვ. 467. * შეიძლება ხუროს ხელსაწყო ხუშტარიდან მომდინარეობს.

** სარუხუო, გალის რ-ნი.

გვ. 484. * ნაჯიხურუ (გალის რ-ნი).

გვ. 496. * რუსეთთან

გვ. 498. * კილანავა ბ. 900 მეგრული სიტყვა. თბ. 1998.

გვ. 501. * ხორნაული გ. ონომასტიკური კრებული. თბ., 1994.

გამოყენებული საარქივო დოკუმენტები, მასალები და ლიტერატურა

საქართველოს ცენტრალური სახ-ფო არქივი, ტ. 4, აღწ. 2., ჯ.ს. ძვ. აღწ., 31-02 სცსა, ფ. 4, აღწ. 4207. სცსა, ფ. 4, აღწ. 7, 1836 აღწ. საქ. ც. ს. ა., 3,4, აღწ. 2,2. 366 J; ფ. 4. აღწ. 2,1. 3119;

აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი *(აფხ. ც. ს. ა), ფ. 57 (ისტ. ფ. 9, ს. 3); საქმე 12, !3

აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აფხ. ცსა), ფ. ისტ. 57, საქმე 3, ფურც. 96; იქვე, ფურც.; 2,3,8, საქმე 24, ფურც. 34. იქვე, ფ. 57 (ისტ.) საქმეები; ¡2, 13; გვ. 71-72.

საეკლესიო საბუთები

ბიჭვინთის ტაძრის გამოსაღები.

მათხოჯის საყდრის ყმების დავთარი (1561-1680)

ცაიშის საყდრის დავთარი (1616-1621)

ჭალის სასახლის გამოსაღები დავთარი.

ნაჭარეულის სასახლის ბეგარა (XVI ს-ის II ნახ.)

აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (1621)

აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი იადგარი (1578-1600)

კათალიკოს დავით ნემსაძის შეწირულობის წიგნი ბიჭვინთისადმი (1673-1693)

ცაგერის საყდრის ბეგარა (XVI ს.)

ხობის ღვთისმშობლის ეკლესია

ხონის ეკლესიის სიგელ-გუჯრები

ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, 1921, II

ს. კაკაბიძე აფხაზეთის დავთარი.

თაყაიშვილი ე., ჭუთაისის საყდრის დავთარი, 1578 წ.

სვანეთის XIII ს-ის II ნახ. საისტორიო ძეგლები

საცაიშო საყდრის დავთარი (1661-1621)

სუბვის სასახლის ბეგარა

საისტორიო მოამბე II, XI.

საქართველოს ისტორია

საქართველოს სიძველენი 1882, II, III.

სახალხო განათლების პირველი თაობის წარმომადგენელნი საქართველოს სამართლის ძეგლები

მასალები

მასალები გეგეჭკრის მუზეუმის XXVII კონფერენციისა

მასალები საქართველოს ისტორიის გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის

მუსულმანური საქართველო და მათი სოფლები საქართველოში, თბ., 1913.

საქართველოს ბატონყმობის მასალები, თბ., 1921, ტ. IV.

საქართველოს ისტორიის მასალები, 1924.

საქართველოს ისტორიის მასალები.

ქუთაისის მუზეუმის მასალები, 1925.

თაყაიშვილი ე., ისტორიული დოკუმენტები იმერეთის-სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1446-1770).

ქირია ც., სარია შ., მასალები საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1967.

ჭიჭინაძე ქ., საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები, თბ. 1924.

მეტრეველი ე., მასალები

ჟურნალები – გაზეთები

„ალა„ თბ., 1997, №2.

„ალა“, თბ., 1999, 7.

„განათლება“, 1915, №1, 15.

„კავკასიის კალენდარი“, 1848, №23, 2; 1897, №262.

„ივერია“, 1883, №11-12; 1884, №1-2; 1902 №245.

„ივერია“, 1897, 2. VII. №137; 1894, №242.

„მგზავრი“ 1905, 16 01. №2-4.

„მგზავრი“ 1905, 16. 01. №2-4.

„მწყემსი“ 1884, № 28.

„ეგრისი“, 1. IV – 90; 232. XII. 90.

„საქართველოს კალენდარი“, 1890, №464.

„Кавказский календарь“, 1848, 23;

„Кавказский календарь“, 1902, №202 1855;

„კვალი“, 1899, №8
„ივერია“, 1888, VII; №146.

სახალხო განათლება, 1910, №17, 1990, 24,01,5; 1990, №13;
ლიტერატურული საქართველო, 1990, 14.04; 6X89; 1973, 26,01
1888, №146. 1897 №267. 1898 №28; 1898 №216
გაზ. „საქართველო“, 6-8 მარტი, 1997.
ცნობის ფურცელი, 1899, №899.
1887, №340, 180.
გაზ. „კომუნისტი“, 3. IV. 67; 26,01, 1990.
„Советская абхазия“, 1942, 2 августа.
„კომუნისტური დროშით“ წალენჯ. რ/გ, 27 VIII. 83, 3, IX-87.
245, II. 67; 9X1,88; 1-XII-79; 16.VI-77; 17.IX.77; 27. VIII,83.
გაზეთი „ნაპერწკალი“, ჩხოროწყ. რ/გ; 3-05.70; 20.02.71; 78.05.71;
11.11.78.
„კომუნისტური გზით“, წალენჯ. რ/გ, 1989, 10.04; 1983.27.VIII; 17.
II. 77; 25.II. 89; 12.XII.81.
გაზ. „აღდგომის“ დამატება I, გვ. 18
გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 20, XII-90.
გაზ. „დროება“, 1984, №152.
„თბილისი“, 24, III, 67,4.

ლექსიკონები
სულხან-საბა ორბელიანი, თბ., ტ. I. ტ. II
ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ., 1985.
გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1996.
ლიპარტელიანი ა., სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1995.
კილანავა ბ., 900 მეგრული სიტყვა წიგნში, თბ., 1998.
ჯანაშვილი მ., საეკლესიო მასალა (ძვ. საქ. II განყ. II)
რელიგიური ლექსიკონი, თბ., 1995.
გელოვანი ა., მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983.
აბულაძე ი., ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი (წიგნში საქართვ. სიძველენი.
ტ. I).
აბულაძე ი., I. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1971.
დათიკაშვილი ქ., ქართული-რუსული ლექსიკონი
პირთა ანოტირებული ლექსიკონი, თბ., I, II, 21995.

ლიტერატურა

Абаев В. И., "Историко-Этимитический словарь осетинского языка.

Абаев В. И. Морфялизмы 1224.4. осетинами. (КН; Осетинский язык и фольклор М., 194).

აბდუშელიშვილი, ქართ;;ელი ხალხის ანთროპოლოგიური თავისებურებანი. სიმპოზიუმის მასალები, ბიულეტენი №1. თბ. 1944.

Абшилава А. А. Абхазия Промышленности Абхазской АСС (1921-1941) Тбилиси, 1960. 1902, №202 1855;

Авалиани С. Крестианский вопрос в закавказие, реформы в менгр.. 1913.

Авалов . З. Засед. суда 9. IV. 1871 по делу князя Менгрельского Тиф. 1871.

ავალიანი ს., მონათმფლობელობა საქართველოში, ქუთაისი, 1920.

Абхазя в период великой отечественной войны Советского Союза (1941-1945) Сборник Документов, Сухуми, 1978.

აია, გაზ. „აღდგომის“ დამატება, №1, 1996.

Акты, Собраниы Кавк. археограф и др. и много актов

Алексеев В. П. Происхождение народов Кавказа. М. 1974.

ალექსი ბერი, ისპობა თუ არა ბატონყმობა, ამბავი კნეინა ეკატერინე ჩაჩუასი გურიის უკანასკნელი მთავრის ასულისა, „მოგზაური“, 1902 №1, 54-64; 98-109.

ანდრონიკაშვილი მ., ჩვენი ქართული ლექსიკონოგრაფია, თბ., 1964.

ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966.

ანდღულაძე ნ., თირის მონა'ტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი თბ., 1976.

ანთელავა ი., ქართველები 1812 წ. სამამ. ომში, თბ., 1962.

ანთელავა ი., საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში (XIX ს-ის მეორე ნახევარში) თბ., 1967.

ანთელავა ი., ლევან II დადიანი, თბ., 1990.

ანთელავა ი., ქართველები 1812 წლის სამამულო ომში, თბ., 1984.

Анчабадзе З., Из истории средневековой Абхазий, Сух., 1959.

Анчабадзе З. Д. П. А. Дзидзирия, А. Э. Куправа, История Абхазий учебное пособие, Сухуми, 1986.

არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბ., 1961.

არქანჯელი ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა., თბ., 1938.

აფრიდონიძე შ., „ზანური ანთროპონიმიზმის ზოგიერთი საკითხისათვის", ონომასტიკა, I., თბ., 1987.

Афакидзе Д. П. Централная колхида в этапу поздней бронзыранного железа. Тб., 1992, с. - 4.

Абхазава С. М. Пути развития абхазсской истории. Изд. наркомпроса Абхазии, 1925.

„აფხაზეთი" გაზეთ არჩევანის დამატება, №001, 1996.

აჩუგბა თ., აფხაზთა დასახლება აჭარაში, ბათ. 1988.

აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1978.

ახალაია ვ., იცი, ვისი გორისა ხარ? ჩხოროწყუ, 1996.

ახვლედიანი ხ., სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ., 1956.

ახვლედიანი გ., ქართული ფოლკლორის პრობლემები ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებში, თბ., 1996; ახუაშვილი ქართულ გვარსახელთა საიდუმლოებანი, თბ., 1997.

Бакрадзе Д. Сванетия (записки Кавказского отдела императорского русскую общ., кн. VI Тифл. 1864.)

ბაქრაძე დ., ისტორია საქართველოსი, თბ., 1889.

ბატონყმობის გაუქმება (1861-1911); თბ., „ჯეჯილის" გამოცემა, 1911.

ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია თბ., 1942.

Прожба Х. Р. Бзифский деятель абхазского языка, Тб., 1924, 247.

თეიმურაზ ბატონიშვილი, კოლხიდა, ცსკ, 1857, 2., 601.

ბედოშვილი გ., ანთროპონიმური დაკვირვებანი, III, კრ.,: „ეტიმოლოგიური ძიებანი", თბ., 1991.

ბერიძე შ., მეგრული (ივერიული) ენა, 10.

ბერაძე თ., ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, საქ., ახალი გეოგრაფიის კრებული., 1967.

ბერძენიშვილი ნ., დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, 1., ბატონყმური ურთიერთობიდან (XV-XVII სს. თბ., 1940, I, II ნაწ.

ბერძნული და რომაული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, შედგ. კონა გოგინეიშვილის მიერ, თბ., 1985.
ბერძენიშვილი მ., ქალაქ-ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969.
ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.
ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბ., 1966.
ბო-პანი, არგვეთის გმირები, დავით და კონსტანტინე (კოლხეთის წარსულიდან). მონგოლების შემოსევა კოლხიდაში, ქუთ., 1916.
Бороздин К. Закавказие воспоминание. Мингр. Сван.
გაბისონია ვ., მეგრ-ქართ. ლექსიკონ., გვ., 38
გაბლიანი ვ., თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927.
გასვიანი გ., დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, 1973.
გასვიანი გ., ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, თბ., 1991.
გასვიანი გ., დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1977.
გვარები... აზნაურების, „ივერია" 1884 №11,12.
გვაზავა-სანაძე ლ., იბრძოლნენ დნეპრზე, თბ., 1957.
გვარამაძე ლ., ქართული ხალხური ქორეოგრაფია, თბ., 1957.
გეგეჭკორის სარაიონთაშორისო სამხარეთმცოდნეო მუზეუმი, XXVII სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საქართველოს შეერთების 200 წლისთავისადმი, მასალები გეგეჭკორი, 1982.
გელოვანი ა., სვანეთის თეთრი ქუდი, თბ., 1976.
Геродот К. руков. IV по დამატებითი კანონი 1867წ. 19 ოქტომბრისა სამეგრელოს ბატონყმობისა.
გეძინელი კანონი, 19 გემათუთას. სამარგ. პ/ჭკორ. 1867
გოგინეიშვილი ივ., თოფურია ვ., ქავთარაძე ივ., ქართული დიალექტოლოგია, 1, დიალექტთა განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1961.
გვასალია ჯ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.
გლეხთა შეიარაღ. აჯანყება სვანეთში 1875-1876 წწ. „საისტ. მოამბე" ტ. I, 1945, გვ. 12.
გიორგაძე გ., სავაჭრო-კულტურული ურთიერთობანი კაბადოკიასა და მეზობელ ქვეყნებს შორის.

გიორგაძე გ., ათასი ღვთაების ქვეყანა, თბ., 1988.
გიგინეიშვილი ბ., ეთნონიმ „ჰენიოხის წარმომავლობისათვის, „მაცნე", ისტორიის სერია, 1975. №1.
გლეხობა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1879.
გოგია, ი., გლეხთა აჯანყება სამეგრელოში, 1857, (ზუგდ. მუზ. შრომები, 1947, ტ I, გვ 1-70. სურ.)
გოზალიშვილი გ., მითრიდატე პონტოელი, თბ, 1962.
გოთუა ლ., „გმირთა ვარამი".
გორგაძე, ჭარაია პ., აფხაზი და აფხაზნი „ივერია": 1888, წ. №180, 185, 167, 169, 173, 175, 176, 179, 180, 183-186.
გორგილაძე ვ., მოსახლეობის ფულადი შემოსავალი, სყიდვითი ფონდი და მათი ტერიტორიალური გადანაწილება საქართველოში, 1969.
გორდეზიანი რ., „ილიადა" და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზისის საკითხები., თბ., 1970.
გორისელი საქ., ისტ., IV და V ს. გვართა ბრძოლა, კრებ 1872 წ. 7, 8, 9. 1873 წ. 5, 6 (1069).
Грузинские дворянские акты и родословные росписи (материалы для истории Грузии), издание с предисловыем и примечаниямы А.С. Хаханова, М., 1893.
გრიგოლია, კ., ილორის წ. გიორგის ხატის წარწერა., (ენიმკის „მოამბე", 1943, ტ. XIII, 145)-
გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIV-XX სს, ტ. II, 1956.
გუგუშვილი პ., სოფლის მეურნეობა და აგრარული ურთიერთობა, თბ., 1938.
გუგუშვილი პ., სოციოლოგიური ეტიუდები, II, თბ., 1971.
გულბანი გ., ეს იყო მთაში, თბ., 1966.
გულისაშვილი., ძვ. მკვლევარნი (ქართ. ჩამომვ) „ივერია", 1901, №137, 234, №27, 24, გვ. 1–2..
Гулиа Д., История Абхазии, т. 1. Тиф., 1925.
Гумба М.М., Абхазия в первом тысячелетии, Тб. 1967.
გურული ვ., ქართველების მონაწილეობა პარტიზანულ ბრძოლებში საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებში, თბ., 1985.
გუჯრები, საისტ. მასალა, ქუთ. 1891.
„დაბრუნება", გ. შარაძის საერთო რედაქციით, 1991.

დადიანი ნ., დასტურლამა, ი. მეუნარგიის რედაქციით, თბ. 1857.
დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962.
დათიკაშვილი ქ., ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1953.
დამატებითნი კანონნი 13 ოქტ. 1864 წ. წესდებათათვის 1867.
დასავლეთ საქართველოს საბუთები, წლის. I.
დას. საქ-ში მომხდარი ამბების 35 წ. თავი. ჟ. „კომუნისტი" 1941, №19.
დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი I, II თბ., 1921.
დასავლეთი საქართველო XIX ს-ის პირველ ნახევარში, თბ., 1957.*
მიბჩუანი თ., მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები, თბ,. 1913.
მუსხელიშვილი დ., ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის.
პაჭკორია მ., ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1974.
პაჭკორია მ., შორეული გამომახილი, თბ., 1979.
რატიანი ზ., წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო, თბ., 1995.
როგავა გ., „ზოგი გეოგრაფიული სახელის შედგენილობისათვის (თბ.) სახ. უნ-ტის შრ., ტ. 93, 1960).
რევ. მოძრაობის მოღვაწენი საქ-ში, თბ., 1966.
სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, (სათავადოები), წიგნი I, თბ., 1973. 5, 277, 312, 318 გვ. 115, 116, შენიშვნა 13; 291-292.
სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. თბ., 1981. წიგნი II, 187.
Тулумджян А.О. Очерки истории революционного движения сочинском округе в 1905-1907 гг. Сух. 1955.
ტულუში პ., ანაკლიის ისტორიიდან, ზუგდიდი, 1991.
ქოჩიაშვილი მ., მათ ასახელეს საბჭოთა სამშობლო, I
შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
შანიძე ა., წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I თბ., 1957.
შანიძე ა., წისქვილის ქვის სახელები, საქართველოს ეთნოგრაფია, 1968.
შარაშენიძე თ., შუმერები და მათი კულტურა, თბ., 1983. გვ 149.
შარდენის მოგზაურობა, თბ. 1975.

ჩუბინიძე ვლ., სასწაული, თბ., 1993.
ჩუბინაშვილი დ., საქართველოს ეკლესიის ისტორია
ღლონტი ალ., ახალი თეორია ქართველურ ტომთა სახელწოდებების საკითხებზე, თბ., 1998.
ღლონტი ალ.,ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბ. 1984.
ღლონტი ალ.,. ქართული გვარსახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბ., 1967.
ღლონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964.
ღლონტი ალ., ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბ., 1983.
ღლონტი ალ., ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986. გვ. 16.
ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957.
ყაუხჩიშვილი თ., საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976.
ყიფიანი დ., სამეგრელოს მთავრის სახლი, თბ., 1869.
შენგელია ი., დიოსკურიადის ტოპონიმის საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XXX, №6, 1963.
Шервашидзе Л.А., Некоторые средн. стенные росп. на территории Абхазии, Тбилиси, 1971.
Шервашидзе Л.А., Средневековая монументальная живопись в Абхазии Тбилиси, 1980.
შველიძე ზ., რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქ-ში. თბ., 1960.
ჩართოლანი ა., სვანეთი, თბ., 1967.
ჩართოლანი ც., ნათესაური ურთიერთობანი სვანეთში, „მაცნე" 1980,
ჩარკვიანი ა., სვანეთი, თბ., 1967.
ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბ., 1938.
ჩიქობავა არნ., – შდრ. ლექსიკონი ჭანურ-მეგრულის
ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში.
ჩიქობავა გ., ჭანურის გრამატიკ. ანალიზი თბ., 1936.
ჩიქობავა არნ., „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება", 1948 II.
ჩიტაია გ., ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა. „მიმომხილველი", 1, თბ., 1949.
ჩუბინოვი დ., ეთნოგრ. განხ. ძველთა და ახალთა კაბადოკიის ან ჭანეტის მკვიდრთა მოსახლეთა

ჩხეტია შ., გლეხების აჯანყება 1863 წელს სამეგრელოში. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის თბ., 1937, ნაკვეთი 1, გვ. 75-128.
ჩხეტია შ. თვითმპყრობელობის რეპრესიები 1905 წ. სამეგრელოში თბ., 1930, გვ., 27.
ჩხეტია შ., გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1863 წ., თბ., 1937. გვ., 716.
ჩხეტია შ., გლეხთა მოძრაობა გურიაში 1862 წ. „საისტორიო მოამბე" №7, 1953.
ჩხეტია შ., გლეხების აჯანყება სამეგრელოში 1863 წ., მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტ., ნაკვ. 1. 1937.
ჩხეტია შ., გლეხთა მოძრაობა გურიაში 1862 წ. „საისტორიო მოამბე", 1943. ტ. 7.
ცხადაია პ., „ლე-ე და სა/საოჯ აფიქსების შემცველი ანთროპონიმები მთიან სამეგრელოში" „ტოპონიმიკა", 1976.
ცამციშვილი-ფიცხელაური ა., ქართველთა კულტურული ღვაწლ-მოსილება შუა აზიაში, თბ., 1997.
ძველი საქართველო, IV, განყ. III.
ძიძიგური შ., მასწავლებლის მოგონებები, თბ., 1957.
ძიძიგური შ. ბასკურ-კავკასიური პრობლემა, თბ., 1981.
ძიძიგური შ., ბასკები და ქართველები, თბ., 1978, გვ. 183.
ძიძიგური შ., ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, გამოც. მე-2, თბ., 1970.
ძიძიგური შ., ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 1974.
ჭარაია პ., მეგრული დიალექტის ნათესაობა ქართულთან, 1895 № X-XII; 1896, I, II, III.
ჭეიშვილი ი., მასალები სამეგრელოს 1857 წლის აჯანყების მონაწილეთა შესახებ, „საისტორიო მოამბე", 1925 (ტ) 2.
ჭიჭინაძე ზ., ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება
ჭიჭინაძე ზ., ქართველების გათათრება დას. საქ, 1901.
ჭიჭინაძე ზ., ქართველების გამაჰმადიანება, თბ., 1915.
ჭიჭინაძე ზ., ლაზისტანი ცნობის ფურცელი 1902; 1908.
ჭუმბურიძე ზ., დედა-ენა ქართული
ჭუმბურიძე ზ., რა გქვია შენ? თბ., 1966.
ჭყონია ალ., ლამბერტი არქანჯელო, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1933.

ჭურღულია ო., ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, წ. I, სოხუმი, 1974

ხალხური სიბრძნე, თბ., I 1994.

ხარაძე რ., რობაქიძე ა., სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964.

ხარაძე რ., დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939.

ხაჩიძე ა., საქართველოს მოსახლეობა, 1926, 1939 წლების აღწერით... თბ., 1958.

ხახანაშვილი ა., მეგრული ენა ქართულ ლიტერატურაში „ივერია" 1897, №227, 1904, №48

ხახანაშვილი ა., ბატონყმობა საქართველოში, ქუთ., 1910, 1890.

Хаханов А.С. Древнейшие пределы заселения грузин по малой Азии. Тифлись, 1903.

ხინთიბიძე ე., ქართველთა სახელწოდებები და მათი ეტიმოლოგია, თბ., 1998.

ხეთელი ა., სამეგრელოს ვითარება. „კვალი", 1894 №34.

ხოშტარია ნ., დიხა-გუძუბა, კოლხეთის ძველი მოსახლეობა. საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 1944 ტ. V №2.

ხონის საყდრის დავთარი 1950 წ-სა, 1913.

ხოშტარია ნ., სოფ. ყულევის არქეოლოგიური გამოკვლევა (1945 წ. ექსპედ.) საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 1946. ტ. VII №1-2, გვ. 77-82.

ხოშტარია ა. ნ., ჩხოროწყუ. სასაფლაო (მიცვალებულის დაწვით დამარხვა ურნებში) და ნასახლართა ნაშთები, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1941, ნაკვ. II, გვ. 67-95.

1768-1772 წყალობის წიგნი კაცია დადიანისა გიორგი დადიანის შვილს

ხუბულავა მ., ჭაქვინჯი (სამეგრ.) (ჭაქვინჯის ციხე), „კვალი", 1896, №17 გვ. 284.

ჯავახიშვილი ივ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ. 1945.

ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები.

ჯავახიშვილი ივ., თხზ. ტ. VI 1982.

ჯავახიშვილი ივ., თხზ. ტ. X, თბ., 1992.

საქ-ში, 1901.
ჯალაღონია მ., სარაქონი, თბ., 1996.
ჯანაშია ს., დავით ჩხოტუა და მისი ნარკვევები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, უნ-ის შრ, 1936 ტ. 1, გვ. 186-189.
ჯაფარიძე გ., ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები. იხ. წიგნში: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია., თბ. 1993.
ჯანაშია ს., ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისი. გენეზისის ისტორიიდან (კოლხეთის სამეფოს ისტორიისათვის). საქ. მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ. XII სესიის თეზისები, 1943, გვ. 17.
ჯანაშია ს., ხეთების ისტორიისა და ენის საკითხებისათვის. „კომუნისტი“, 1936, №294.
ჯანაშია ს., გვაროვნული წყ-ბა ქართ. ტომებში, 1932.
ჯანაშია ს., ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრომები, ტ. 11, თბ., 1954.
ჯანაშია ს., ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში, ისტორიული პრობლემები ქართული ონომასტიკონის სინათლეზე. 1. სსრკ. მეცნ. აკად. საქ. ფილიალის მოამბე, 1940, ტ. 1, №8, გვ. 623-628. რეზიუმე რუსულ ენაზე.
ჯანაშია ს., თუბალ-თაბალი...
ჯანაშია ს., ქართ. პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის 1939.
ჯანაშია ს., ნ. ბერძენიშვილი, ჩვენი პრეტენზიები თურქებისადმი, 1945, ისუ შრ., ტ. 33, თბ., 1948.
ჯანაშია ს., ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, თბ., 1934, 79-80.
ჯანაშია ს., აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1954.
ჯანაშვილი მ., ქართველები დაღესტანში, დროება, 1875, №35
ჯანაშვილი მ., ქართველების კვალი საჩეჩნოში. „დროება“, 1884, №66
ჯანაშვილი მ., მესხეთი, თბ., 1915.
ჯანაშვილი მ., კაცის გაყიდვა 1762 წ. და ნიხრები მე-17 საუკუნისა. „ივერია“, 1900, №36, 37.
ჯანაშვილი მ., მოთხრობის „ეკატერინე ჩიჩუას“ შესახებ, „ივერია“, 1902, №27.

ჯანელიძე დ., თეატრმცოდნეობითი ჩანაწერები, ნაწ. 2 სამღერალი და მისი აღნაგობა, („თეატრალური მოამბე", 1970, №4).
ჯაფარიძე მ., კოლხური ცული. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1950, ტ.
ჯაფარიძე ს., ებანოიძე თ., სახალხო განათლების მოღვაწეები და სახალხო სასწ., თბ., 1968.
ჯიქია ს., „ლაზეთი" სიტყვის წარმოშობისათვის, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე", 1944, ტ. 5, №2;
ჯიქია მ., თურქიზმები ქართველურ ანთროპონიკონში, სადოქტორო დისერტაცია, „სადისერტაციო მაცნე", თბ., 1995.
ჯომიდავა ნ., სოციალისტური შრომისათვის ბრძოლა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში (1921-1941), სოხ., 1971.
ჯომიდავა ნ., კოჩარა, სოხ., 1948.
ჯომიდავა ნ., კოლხურ-მეგრული გვარ-სახელები, თბ., 1996.
ჯომიდავა ნ., აფხაზურ-მეგრული გვარსახელები „ვეფხისტყაოსანში", თბ., 1999.

გამომცემლობის რედაქტორი თამარ გაბელაია

ტექნიკური რედაქტორები: ანა კვანტიანი
შორენა ხარებავა

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნინო გულდედავა
ეთერ კვანტიანი
მარიკა ფიკლაური

ტირაჟი 100.

ფასი სახელშეკრულებო